ანა ანჯონოვსკაია

დიდი მოუკავი

პირველი წიგნი

ნაწილი მეორე

თარგმანი ა. ჭუმბაძისა

ფედერაცია
19 თბილისი 41

თავი ოცდამეერთე

ბუღში გახვეულ ქარავანთა შავი აჩრდილი ტაატით მიაბიჯებდა. მდოვრად სდიოდა მღვრიე, ობმოკიდებული წყალი ბამბის ყანების სარწყავ არხებში.

— აიბალამ! ბა-ლამ, ბაა-ლაამ! — გაისმოდა ყვითელმტვრიან ჰაერში. უსასოო ლოტვასავით ჟღარუნებდნენ ეჟვნები აქლემთა — დრომადერთა, ბუღურთა და შუთიურ-ბაადთა მრუდე კისერზე. [1]

გზა-თანდათან ფართოვდებოდა, ქარავანი იშლებოდა. ზოლიან საპალნეებით, მოგრძო ყუთებით, მოჭიქული დოქებით მიჰქონდათ მაზანდერანის ლერწმის შაქარი, შირაზის ვარდისწყალი, სეფირრუდის ზეთისხილი, რეშტის სახანოს ბრინჯი, გილანის ნუში, ხორასნის წმინდაბეწვიანი ხალები, ქერმანშაჰის აბრეშუმი, ხურემაბადის ზაფრანა და ინა, ქიშმირული თხის მატყლი და მარგალიტი სპარსეთის ყურედან.

— აი ბალამ! ბაა-ლაა-მ!

ზენდერუნდს გაღმა სიცხის ალმურში, ბუნდოვანად კრთოდნენ ჰაეროვანი მეჩითები, მარმარილოს სასახლეები, მოზაიკიანი ციხედარბაზები, ფერდოსშეფენილი ბაღები და ბროლის ქარვასლები.

მხედარი უნაგირზე შეირხა და მტვრიანი ხელით ამოიწმინდა თვალები.

მის წინაშე გაშლილიყო ჩაარბაღის შესანიშნავი წალკოტი, რომელსაც ოთხად ჰკვეთდნენ ზენდერუდიდან მიწისქვეშა მილებით გამოყვანილი ხელოვნური მდინარენი. რიკულოვან ჭიშკრებში მოსჩანდნენ მარმარილოს მჩქეფარე შადრევნები, ხელოვნური კლდეები, ბროლივით მოკამკამე ჩანჩქერები, ქარაფებიდან რომ ბაზალტის კალაპოტიან ტბებისკენ მიექანებოდნენ, ნაქანდაკევი ფასკუნჯები, რომელთაც ნეფრიდის თვალები უბრწყინავდათ და გაღებულ ხახიდან აქაფებული ნაკადულები სდიოდათ.

ქადართა მწკრივები ჭყოფდნენ ბაღს ხეივნებად, დაჩრდილულ მოედნებად, ლაბირინტებად — „სალხენ ადგილებად“, რომელთა გარ-

---

[1] დრომადერი — ორკუზიანი აქლემი, ბუღური — ერთკუზიანი, ხოლო შუთიურ-ბაადი სწრაფი მორბენალი.

შემო გაფურჩქნულიყო თეთრი, წითელი, ყვითელი, ფერმკრთალი და მოშავო ვარდნარი.

აქა-იქ გაბნეულ ფანჩატურებს ამშვენებდნენ ნაჩუქურთმევი ოქროსვარაყიანი ფოთლები და ყვავილები.

გრილ ბაღში უხვად ხარობდა საუცხოო ნუში, ფსტა, წერწეტა ინდიხურმა, ტკბილი ლეღვი, ხავერდოვანი ატამი, ჭერამი, ბროწეული, კაკლის ხე, უზარმაზარი წაბლი მრავალი, ეკლიანი კენკრა და სხვა ხეხილი.

ნაშუადღევის სიცხე ჩაარბაღში იწვევდა აუარებელ ხალხს. ჭიშკრებთან ისხდნენ შაჰის მებაღენი, რომელთაც წინ ედგათ შეშედილი, თავღია ზანდუკები, თვითეულ ისპაჰანელს იქ უნდა ჩაეგდო ოთხი შაი, იმ ხილის საფასურად, რასაც იგი, რამდენიც უნდოდა, იმდენს შესჭამდა თვით ბაღში, ხოლო თუ გაბედავდა და, ერთი მარცვალი ფსტა რა არის, იმის გატანასაც კი ეცდებოდა, ასეთ გულადს იქვე გაჯობავდნენ.

მხედარმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი საუცხოო ჩაარბაღს. გაახსენდა საზეიმო შესვლა ისპაჰანს ყრმა შაჰ აბაზისა, რომელიც ჯერ ხორასნის მმართველი იყო, სანამ სეფევიდთა ტახტზე ავიდოდა.

ბრწყინვალე ქარავანი საყვირთა და დაფდაფთა გუგუნით უახლოვდებოდა მაშინ ქალაქის კარებს. შაჰის შავმა ტაიჭმა უეცრად წაიფორხილა. გაკვირვებულმა შაჰმა თვალი მოავლო ტიალ მიდამოს და ბრძანა, რათა უცხოელთა შურის აღსაძვრელად აქ გაეშენებინათ ახალი სატახტო ქალაქის ბაღი. სპარსეთის ყოველი კუთხიდან დაუყოვნებლივ წამოედინა აქეთ ქვა, მარმარილო, უცხო მცენარეთა ნერგეულობა, და ნოყიერმა ნიადაგმა უხვად აღმოაცენა მწვანილოვანი სამყარო.

სწრაფად გავიდა თხუთმეტი ქარტეხილიანი წელი და ახლა სურნელოვანი ჩაარბაღი მგზავრის თვალსა და გულს ახარებს.

მხედარი ქალაქის კედელთან შესდგა. ოქროშეშედილ ქარქაშიდან ხმალი ამოიღო. სარკესავით იხმარა ლაპლაპა ლითონი, სადაც მკრთალად გამოჩნდა წვრილი თვალები, ზაფრანისფერი სახე და ნაკვთი თითები, რომლებითაც ოდნავ ხუჭუჭა შავ წვერს იოშავედა.

მბრძანებლურ ძახილზე ჭიშკარი საჩქაროდ გაიღო და დარაჯი მოწიწებით მიესალმა ძლიერ ხანს ალი-ბაინდურს...

ნაკრა-ხანებში მედუდუკენი, მედოლეხი და მესაყვირენი შესაგებარს უკრავდნენ. გადახრილი მზის ალმაცერი სხივი ფრთხილად ეფინებოდა მაღალ კედელს, რომელზედაც მოჭიქული მასალისაგან რელიეფურად იყო ნაქანდაკევი. გაჩირაღდნებულ ომთა გამოხატულებანი.

შაჰს არაბულზე მჯდომარე შაჰ აბაზი დეევლეთ-ხანეს ჩუქურთმიან ჭიშკარში შედიოდა.

შაჰი მაღალი არ იყო, ჩასხმული ტანი ჰქონდა, იგი მძლავრად უმერდა გრძელ წვიეებს აბრეშუმითა და ძვირფასი თვლებით მორთულ ასალს და სპარსულ დიდებულთა ჩინებულ ამალასა და სირიელ ბუმბერაზ მამელუკთა შორის მაინც ყველაზე მაღალი სჩანდა.

შაჰმა სადავე მორიგე ხანთა ვაჟებს გადასცა და ნელი ნაბიჯით შეუდგა ხალებით დაფენილს თეთრ კიბეს, რომლის აქეთ-იქით მხარეს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ფასკუნჯები და პირქვე დამხობილი მდუმარე მონები ჩამწკრიეებულიყვნენ.

მის წინაშე გაიღო წინა დარბაზი. დარკინული ფანჯრები თვალის მომჭრელს ლურჯ სინათლეს აფრქვევდნენ. მუქ-მწვანე გუმბათში ოქროს ვარაყით ბრწყინავდნენ ფანტასტური ყვავილები და ფოთლები. კედლებზე ფირუზისფერი, მტრედისფერი, მწვანე, ნარინჯისფერი და ლურჯ-ყვითელი საღებავებით, რასაც ვერცხლისა და ოქროს ვარაყი ამუქებდა, გაცოცხლებულიყვნენ ძველი სპარსული ლეგენდანი და თქმულებანი სპარსეთის მონარქიის დამფუძნებელის, დასავლეთ აზიისა და აღმოსავლეთი ქვეყნების დამპყრობის კიროსის შესახებ.

წინა კედელზე წარმოდგენილი იყო ძველის-ძველი სატახტო ქალაქი კიროსისა პასარგადი, რომელსაც მდინარე პულვარი ჩაუდიოდა.

შაჰ აბაზის წინ მიხაკისფერი ხელები სასწრაფოდ აღებდნენ მოოქრულსა და შავად შეღებილ კარებს...

მრგვალ ოთახთან, რომელსაც ერქვა „ყურნი შაჰისა", შაჰ აბაზი მედიდურად შესდგა...

ფირუზისფერი ცა დაჰყურებდა ისპაჰანს.

შუადღის პაპანება თითქოს უფრო ამწვავებდა კამათს ერთი მხრით ფერგათ-ხანსა და აზი-ხოსრო-ხანსა ხოლო მეორე მხრით ბორის გოდუნოვის ელჩებს მეფის ნაცვალ შაკის, თავად ალექსანდრე ზასეკინს, აზნაურ ტემირ ვასილის-ძე ზასეკისა და დიაკს ივანე შარაპოვს შორის.

წესიერად მდგარი თარჯიმნები გულმოდგინედ სთარგმნიდნენ დიპლომატიურ საუბარს.

თავად ზასეკინს მძლავრი მკერდი წინ გამოეწია, წარბი შეეკრა და შიგ თვალში ჩასცქეროდა გამოუცნობ ხანებს, მისი სიტყვები ისე ისმოდა, თითქოს ყინულის ნამტვრევები ცვივაო:

— ეს სად გაგონილა, რომ დიდი ხელმწიფის საელჩო სალაღობო ადგილას მიეღოთ, და შაჰი ცხენზე მჯდარიყოს?..

ფერგათ-ხანი ინით შეღებილ ულვაშებზე ხელს ისვამდა, თავის ქნევას ზასეკინის აღშფოთებულ სიტყვებს აყოლებდა და მერმე, თარჯიმნებს რომ თვალი მოაშორა, დინჯად წარმოსთქვა:

— მოწყალედ მოისმინე, დიდად პატივცემულო თავადო: არწივს თავისი ქვის ბუდეში საკუთარი კანონი აქვს, ერანის ლომს ალაჰის მიერ ნაკურთხს სამეფოში თავისი კანონი აქვს. უკეთუ არწივი ელ-

ჩებს უგზავნის უძლეველ ლომს, ეფიცავ იმამ-ჰუსეინის საფლავს, ლომის ყოველი სურვილი მათ მკურნავ მზესავით უნდა ეჩვენოთ. და შაჰ-ინ-შაჰი პატივს დაგდებთ და საელჩო საუბარს მოედანზე გაგიმართავთ, ვინაიდან სწორედ ახლა ჩამოვიდნენ თურქი, ბუხარელი და სხვა ქვეყნის ვაჭარები, რომელნიც თავს უმეცრებად ჩასთვლიან უკეთუ მთელ ქვეყანას არ მოსდებენ დიდი შაჰ-ინ-შაჰისა და რუსეთის ბრძენთა ბრძენი მეფის მეგობრობის ამბავს.

თავადმა ზასეკინმა მუხლზე დაუშვა თავისი მსუქანი ხელი, რომლის შუა თითზედაც მეფის ძვირფასი ბეჭედი ეცო.

— ჩვენ, თვისთა ელჩთა, დიდმა ხელმწიფემ მეფემან ჩვენმა ბორის თეოდორეს-ძემან გვიბრძანა მოვახსენოთ მის დიდებულებას შაჰ აბაზს, რომ ჩვენის ხელმწიფისა და შაჰის მტერთა წინააღმდეგ ერთად ვიყვნეთ. ჩვენ მზადა ვართ ამას არ ვადავადგეთ, მხოლოდ თქვენის უთავაზობით ჩვენ, დიდი ხელმწიფის ელჩებს შეურაცხება არ მოგვადგეს. და გვამცნეს ჩვენ მახლობელთა კაცთა, რომ შაჰს სწვევიათ ესპანეთის მეფის ელჩნი, ფილიპე დრეიფი ამხანაგებითურთ და მათთანვე კაცი ოთხასი ზავისა და თანხმობისათვის, რათა წინააღმდეგ თურქისა ერთად იყვნენ, და შაჰს უბრძანებია თურქეთისა და ესპანეთის ელჩნი ერთად წარმომიდგენენო; ხოლო როცა ისინი შეკრიბნენო, იყო მათ შორის გინება დიდი და ტაკებაცა სურდათო; იამტეხნი კი ესპანეთის მეფის ელჩნი იყვნენო. და მეცა მწადია, საელჩოდ მივიდე მისის უდიდებულესობის შაჰისა თანა, გარნა არა სალაღობო ადგილას და არცა მოედანზე, არამედ შაჰისა სასახლესა შინა, და რათა მას ჟამსა შინა შაჰისა თანა არა იყვნენ მტერნი ჩვენსა ხელმწიფისა, გინა შაჰისა, თურქი და ბუხარელი ელჩები და ვაჭრები...

ხანები თარგმანს უსმენდნენ და ძლივს იკავებდნენ ღიმილს: უხაროდათ, რომ შაჰის უთავაზო მოპყრობას დიდ სახელმწიფოთა— ესპანეთისა და თურქეთის მიმართ რუსთა ელჩების ყურამდეც მიუღწევიაო. მათ შეუმჩნეველად გადაავლეს ერთმანეთს მოღიმარი თვალი, გარნა ფერგათ-ხანმა მოკრძალებით მიუგო:

— ნუ შეშფოთდები, კეთილშობილო თავადო; ერანის სამართლიანმა მბრძანებელმა საამური შეხვედრა იმიტომ მოუწყო ქედმაღალ სახელმწიფოთა ელჩებს, რომ დიდ შაჰ-ინ-შაჰსა სურს მეგობრული და მოყვრული ურთიერთობა მხოლოდ თავის დიდებულ ძმასთან— რუსეთის მეფესთან იქონიოს.

აზნაურს ტემირ ვასილიჩს, რომელიც ზამოსკვორეჩიეში კრივით იყო განთქმული, ჩვევისამებრ, არ შეეძლო ხელი გაეჩერებია, წარამარა ჰკუმშავდა უზარმაზარ მუშტს, სადაც ვერცხლის აბაზიანი ჰქონდა, და გამომწვევად წარმოსთქვა:

— მის უდიდებულესობას შაჰ აბაზს არა სურს ისეთი მოყვრობა ჰქონდეს რომელიმე ხელმწიფესთან, როგორც ჩვენთან, მაგრამ მთე-

ლი რუსეთის მტრები—თურქეთის ელჩები კი შემოუშვა სატახტო ქალაქ ისპაჰანში, ხოლო გაიგო თუ არა ჩვენი მისვლა, ბრძანა, თურქეთის ელჩები სხვადასხვა ქალაქებში გადაიყვანეთო, რათა ჩვენ არა შეგვეტყო რა მისი უდიდებულესობის შაჰ აბაზისა და თურქთა ელჩების მოლაპარაკების შესახებ.

თავადმა ზასეკინმა თვალი უყო ვასილს, დაკინეით გადაჰხედა ხანებსა და დაურთო:

— ჩვენი დიდი ხელმწიფე ბორის თეოდორეს-ძე რომ რუსეთის დიდ სახელმწიფოებზე გაბატონდა, ჩვენს ხელმწიფეს სულთნისათვის არაფერი მიუწერია და არც თურქეთის სულთანს მ. ჰშადს გამოუგზავნია რამე მისი მეფური უდიდებულესობისათვის. ხოლო როცა სულთნის შიკრიკი მოვიდა ძღვნითა და მეგობრობის წინადადებითურთ, ჩვენმა დიდმა მეფემ ბორის თეოდორეს-ძემ იგი შერცხვენილი გაისტუმრა: ძღვენი არ მიიღო და, ქურქის ნაცვლად, სულთანს ღორის ტყავი და ფარჩის ტომარი გაუგზავნა, რომელიც უწმინდურებით იყო სავსე.

ელჩებმა ერთად გადაიხარხარეს.

რაკი დიაკმა ივანე შარაპოვმა სპარსელ დიპლომატთა გაოცება დაინახა, ხალისით განმარტა: სიცილის მიზეზი ფარჩის ტომარი გახლავთ, რომლის შიგნადებიც აზნაურის ტემირ ვასილის-ძე ზასეკის წყალობა იყოო.

ხანებმა ირონიულად მოიწონეს საზრიანი მეფის ბორის გოდუნოვისა და გულუხვი ზასეკის გონებამახვილობა, მადლობაც გადაუხადეს საამო ბაასისათვის და სთხოვეს, ახლა კეთილ ინებეთ და მოისმინეთ შაჰ-ინ-შაჰის მიერ რუსთა ელჩების მიღების ცერემონიალიო:

— ძლევამოსილს ერანში, — მტკიცედ დაიწყო აზი-ხოსრო-ხანმა,—სადაც მეფობს მრავალ სახელმწიფოთა მრისხანე დამპყრობი დიდი შაჰი აბაზი, ყველა ელჩნი, ვისაც კი შაჰ-ინ-შაჰი მიღების ღირსს გახდიდა, ერანის მზის წინაშე ემხობოდნენ. ერანის დიდი ბრძანებელი მოწყალედ ათხოვებს ყურსა და მოუსმენს თხოვნას მეფის ბორის გოდუნოვის ელჩებს, არა მაიდანზე, არამედ შაჰ-ინ-შაჰის დეევლეთ-ხანეში.

რუსთა ელჩების თითქოს გაქვავებულ სახეზე ოდნავ გამოიბეატა სიამოვნება, მათ მიერ გამოჩენილი სიმტკიცის შედეგის გამო.

ფერგათ-ხანმა ნეკზე მსხვილი ბრილიანტის ბეჭედი გაისწორა და შეპარვით დაიწყო:

— ვფიცავ მექას, კეთილშობილნო ელჩნო, რომ თქვენ დამცხრალ მთვარეზე დაბადებულხართ, ვინაიდან ღირსნი გახდით მიპატიჟებისა დიდთა შორის უდიდესი შაჰის აბაზის სადილზე და შაჰის ლხინზე, რომლის ღირსიც არც ერთი უცხო ქვეყნელი არ გახდება.

და ნიშნად ჩრდილოეთის მეფისადმი, ბრძენთა უბრძნესი, ბორის გოდუნოვისადმი დიდი მეგობრობისა და სიყვარულისა ერანის მრისხანე მბრძანებელი ნებას დაგრთავს, თავადო, ეპისტოლეს გადაცემისას ეამბორო მისი უდიდებულესობის შაჰის ფეხს.

ტემირ ვასილის-ძემ ძლივს მოუსინა გაფითრებულ თარჯიმანს, წამოხტა და მუშში გავარდა გაპულეტილი აბაზიანი. მკერდზე ისე ებერებოდა მოქარგული ქურთუკი, თითქოს სამეფოლოს საბერველიაო.

თავადმა წარბებს ქვემოდან გადახედა ტემირ ვასილის-ძეს და მერმე გაავებული თვალი ხანებს მიაპყრო:

— ჩვენი ხელმწიფე მისი უდიდებულესობის შაჰ აბაზის ელჩებს თავის მეფურ ხელზე აამბორებინებს ხოლმე... შაჰის ფეხთან მე არა-სოჯეს არ მივალ და არც შაჰის ფეხს ვაკოცებ.

ხანებს დროზე გაახსენდათ შაჰის ბრძანება, რაც შეიძლება ეცადეთ არ გააღიზიანოთ ელჩები მრისხანე მეზობლისა, რომელიც საჭიროა სუნიტური თურქეთის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისათვისო. ამიტომ ხანებმა მყის დაარწმუნეს რუსთა ელჩები, როცა შორსმჭვრეტელი შაჰ-ინ-შაჰი ხანებს მოწყალედ მოგვისმენს, უთუოდ შესაფერის პასუხს გაგცემთ თხოვნაზე, რომ დიდებული შაჰის ხელს ეამბოროთო.

ყარაჯულაი-ხანი, აღა-ხანი, ემირ-გიუნე-ხანი, ერებ-ხანი და ყორჩი-ხანი კარგა მოშორებით ისხდნენ, შაჰის პირდაპირ. შაჰმა მოისმინა ყარაჯულაი-ხანის მოხსენება, ინგლისელთა წინადადების შესახებ: ჰამრუნის ნავსადგურს გავამაგრებთ სპარსეთის ყურეში, რათა ინდოეთთან ვაჭრობა განვითარდესო, მოისმინა აგრეთვე მოხსენება ემირ-გიუნე-ხანისა გოდუნოვის თხოვნის შესახებ, ჩრდილოეთს გაუშვი კახეთის ბატონიშვილი თეიმურაზი, რომელიც ისპაჰანაში მძევლად არისო, წარბი შეიკრა და ამ საკითხის გადაწყვეტა მანამდე გადასდო, სანამ რუსთა ელჩებთან გაგზავნილი ხანი არ დაბრუნდებოდა.

— საჭიროა ჯერ შევიტყოთ მოსკოველი მეფის ფარული ზრახვანი და მერმე გავცეთ პასუხი შორსმჭვრეტელ ინგლისელებსაც და შორსმჭვრეტელ გოდუნოვსაც. მარტო ერთი სარწმუნოებისათვის იგი იმ მთებში არ დაუწყებდა ქურქებს თრევას ქართველთა მეფეების დასასაჩუქრებლად.

— ვინაიდან ნათქვამია,—მოსწრებულად ჩაურთო ემირ გიუნე-ხანმა,—თვალნი მისნი ვითარცა თვალნი ბუხარელი ზარაფისა.

შაჰმა გაიღიმა. მრჩევლებმა მოწონებით გადახედეს „მხიარულ“ ხანს.

შაჰმა გადასწყვიტა, ალი-ბაინდურის დაბრუნებამდე არ მიეღო გოდუნოვის ელჩები, და შეუდგა სხვა საკითხების განხილვას, რომელ-

ნიც შეეხებოდნენ ატრეკის ნაპირას ახალ სასაზღვრო სიმაგრეთა აგებასა და მერვში, ურჩ უზბეკთა წინააღმდეგ, ერანის ერთგულ თურქ-ყაჯართა დასახლებას.

თავი ოცდამეორე

ესგერაბათის ვიწრო ქუჩაში, რომლის ორივე მხარეს აღმართულიყვნენ თიხით ნაშენი ყრუ კედლები, მიდიოდა მზისგან სახე დამწვარი სპარსელი ბიჭი და დაკოჟრებული ხელით ძლივს იმაგრებდა დასაკერვლებულ ტომარს, ზურგზე რომ ეკიდა. მიტყაპუნებდა ქერიმი და მტვრის კორიანტელს აყენებდა.

უკვე გაიარა ეს ყრუ კედლები, რომელთა გადაღმაც ბზენარეი თიხით გალესილს ქოხმახებში თავს აფარებდნენ კალატოზები, ანუ ტვირთმზიდავი მუშები, მკალავები, მეწულეები, მეჭურჭლეები და სხვა წვრილი ხელოსნები; ეს ხალხი დილაადრიანვე მოედებოდა ხოლმე ისპაჰანს გამოსარჩენის საძებნელად. ქოხმახებში არ ინთებოდა მაყალი, არც სარეცხი ირეცხებოდა, სადილი მხოლოდ ხმელი ლავაშისა და ერთი ჭიქა წყლისაგან შესდგებოდა, ტანისამოსი კი—უხეში ყვითელი კონკებისა და ტომრისაგან შეკერილი, სადღესასწაულო წამოსასხმისაგან, რომელიც, ვით ფუფუნების საგანი, ქოხის კუთხეში ცალკე ეკიდა.

სქელი ჩადრებითა და მაღალი კედლებით ცხოვრებას მოწყვეტილი, ქანცმილეული ქალები აჩრდილებივით დალასლასებდნენ ყოველის მხრით შემოზღუდულს ეზოებში.

ამ ყრუ ქუჩაში არ ისმოდა მოთამაშე ბავშვთა ჟივილ-ხივილი. მათ ოთხის წლის ასაკიდანვე უნდა იზრუნონ დღეგანდელი დღისათვის; განთიადიდან ლურჯ დაისამდე მათ შეხვდებით მაიდნის სახელოსნო უბნებში: ზოგნი ქვაბებს, სინებსა და საყავეებს ჰკვერავენ, ზოგნი სირაჯებთან წვალობენ, ზოგნი სამეედლოებში საბერველს უწყობენ ხელსა და ზოგნიც მეხალიჩეებთან ხის დაზგებზე ნაირსახიან ხალიჩებსა ქსოვენ. ეს საბრალონი რაღაც ერთ შაურად ასრულებენ სპარსელ სოვდაგართა სამძიმო დავალებას. ოთხი ხუთი წლის ბავშვთა თვალებში უკვე იხატება ზრუნვა ლავაშისა და ჭიქა წყლისათვის. თორმეტის წლისანნი უკვე მაღალ ოსტატობას აღწევენ, რაითა თექვსმეტი წლისას ჭლექისა, თვალთა დაავადების, ან სხვა სნეულების მსხვერპლნი გახდნენ.

სწორედ ამაზე ფიქრობდა ახლა ყრმა ქერიმი, რომელსაც მეზობლებმა უცნაური აზროვნების გამო ჯადოსანი კალატოზი დაარქვეს.

მშიერი, უბნიდან რომ გამოვიდა, მსუბუქად ამოისუნთქა, მზესა და კამკამა ცას გაღიმა.

ხანეებიდან ზუზუნ-გუგუნი მოისმოდა. თიხის გუმბათიან აბანოების ბანებზე თეთრ კარვებივით ქათქათებდნენ სველი ზეწრები.

თუმცა ქერიმს გზა მაიდნის ლურჯი კარებისაკენ როდი ჰქონდა, მაგრამ ამ ჭრელ ბრბოში გარეევა და წუთით თავისი მიყრუებული ქუჩის დავიწყება მუდამ იმ ლურჯი კარებისკენ იზიდავდა ხოლმე.

მაიდანი გუგუნებდა, ზუზუნებდა, წკრიალებდა, ჭრიალებდა და ხარბად ისრუტავდა მთელი ერანის ვაჭრობას, მაღალი ქვიტკირის კედლებით გარსშემოვლებული ქარვასლები, კარგად მოწყობილი ოთახებით, ბეღლებითა და ორ-სამ სართულიანი გადატიხრული ტალანებითურთ, ძალიან მოხერხებული იყო მოსულ ვაჭართა, მათს აქლემთა და საქონლისათვის.

აქედან დიდი საბითუმო ვაჭრობა მთელს ერანს ჰფენდა სხვადასხვანაირ საქონელს. კაისერიეში იზომებოდა ინდური აბრეშუმი, სახიანი ფარჩა, პეწიანი ატლასი, ნაირფერი ხავერდი. სხვადასხვა პატიოსანი თვალი აელვარებდა ხელოვნურ ნაკეთობათ. ოქროულობა, სპილოს ძვალი, ნაზი ფაიფური ზედ გამოხატული ცეცხლ-მეშინავი გველეშაპებითა და ელამი ჩინელი ქალებითურთ, ქაშანური ლარნაკები, სურები, თეფშები, ძველი სპარსული ნახატებითა და წარწერებით დაფარული ფინჯნები, ნელსაცხებლით სავსე ბროლის ჭინჭილები თვალსა სტაცებდნენ ნატიფი გემოვნების მქონე მყიდველს.

აქ მოეყარა თავი შაჰთა ჰარამხანებისა და ხანთა სასახლეების მთელ ფუფუნებას.

მაიდნის ირგვლივ ჩამწკრივებულიყვნენ ორსართულიანი, თაღოვანი და აივნიანი შენობანი. კოხტად ნასხლავი შიმშადები აჩრდილებდნენ ისედაც მიბინდულ დუქნებს. მთელს მაიდანს ქამარივით შემორტყმოდა ქვის არიკი, სადაც შადრევანთა წყალი სდიოდა ნამაზისათვის და ბინების მოსასხურებლად.

აივნების ქვეშ გრძელს დერეფნებში ჩამწკრივებულიყვნენ ოქრომჭედლები და შინამრეწველთა ნაწარმის ვაჭრები.

აღმოსავლეთის მხარეზე, აივნების პირდაპირ, ფართო თაღოვან ტალანებში სხვადასხვა საამქროთა ხელოსნები მოთავსებულიყვნენ.

მაიდნის გასწვრივ გაჭიმულიყვნენ დაფარდაგებული ხანეები. გრილს ჩაი-ხანებში სვამდნენ სურნელოვან ჩაისა და თამაშობდნენ ნარდ-ჭადრაკს. ხალდაფარებული და ბალიშებიანი ფართო ტახტებით, დაბალი სუფრებით, მოწყობილი ყავახანები ყავისა, ყალიონისა და ჩიბუხის მოყვარულთ იზიდავდნენ. შირე-ხანა, ირგვლივ გამართული ხალიჩებიანი სკამლოგინებით, იდუმალი ოთახებითა და ქვის აუზებითურთ. დუდუკის ღუღუნითა და დოლის ბრახუნით ეპატიჟებოდა ოპიუმისა და ხაშხაშის მწეველთ. აქ სურქერი-ბიქები ვნებიანი ცეკვით აღიზიანებდნენ გარყვნილ მოქეიფეთ. შუაგულ ხანებში

მაღალ სკამებზე შემსხდარი პოეტები და ისტორიკოსები წკეპლის ქნევით კითხულობდნენ ლექსებს, ჭკუის სასწავლად და სმენის დასატკბობლად მოუთხრობდნენ წარმტაც ამბებსა და არაკებს.

ყავა-ხანის ახლოს შეჯგუფებულიყვნენ ჯერა-ხანისა [1] და დელაქ-ხანის სადალაქოები. შუაგულ მაიდანში, ჭრელ ფარდულებ ქვეშ, ღია ზანდუკებსა და ხალიჩიან ტახტებზე დახვავებულ ფულთან მორთხმულიყვნენ ზარაფები.

და ასე, დილის ნამაზიდან საღამოის ლოცვამდე გუგუნებდა, ზუზუნებდა, წკრიალებდა და ჭრიალებდა მაიდანი.

ქერიმი ბრბოს გამოეყო და გზის განგრძობას ეპირებოდა, რომ მისი ყურადღება უეცრად ახალმა სასწაულმა მიიპყრო: თეთრს მრგვალ ფირფიტაზე, რომელიც მოჩითული იყო მინანქრის ხოჭოებით, პეპელებითა და ამობურცული ვარსკვლავებით, ორი ისარი იძვროდა.

ქერიმი მოჯადოვებულივით ადექენებდა თვალს ისრების მოძრაობას. იგი უკვე კარგა ხნის წინათ უნდა ყოფილიყო მძლავრი ხანის დიდებული სასახლის მშენებლობაზე, მაგრამ ვერას გზით თვალი ვერ მოეშორებინა კაისერის შესავალზე ჩამოკიდებული სასწაულისათვის, რომელსაც, მწვანე დერვიშის სიტყვით, თავის მჭიდე კლანჭებში დრო მოემწყვდია.

ქერიმს დაავიწყდა თავისი უბადრუკი ქოხიდან კუთხეში მიყრილი ძონძები, რომლებზედაც ქანცმილეულსა ეძინა ხოლმე, უდიერი შრომის შემდეგ, რამაც მამა მისი მაჰმადი ასე უდროოდ გაისტუმრა საიქიოს.

ქერიმს აღარც შიმშილი ახსოვდა, ჩვეულებრივად რომ დილიდან საღამომდე სტანჯავდა ხოლმე. ყურადღებასაც არ აქცევდა გინებასა და მუჯლუგუნებს და აღფრთოვანებული უცქეროდა „მიწიურ მზეს.“

აბა რას წარმოიდგენდა ინგლისელი ფესი, რომელმაც შაჰ აბაზს ძღვნად მიართვა მოხატული, სარეკიანი საათი, თუ ეს ჯადოსნური საჩუქარი ასე საბედისწერო გახდებოდა ალი-ბაინდურისათვის.

ძლიერმა მუჯლუგუნმა და შიშველ ზურგზე აწოვლებულმა მათრახმა ერთბაშად მოიყვანა გონს გაშტერებული ქერიმი. ბიჭი ძლივს წამოდგა, სისხლი ჭუჭყიანი მჩვრით მოიწმინდა და მრისხანე თვალი გააყოლა ბრწყინვალე მხედრებს, აყენებულ მტვერში რომ მიიმალნენ.

ქერიმმა გაფანტული ჩაქუჩები ტომარაში ჩაჰყარა და შეურაცხყოფის ცრემლები მუშტით მოიწმინდა. მწვანე დერვიშმა მხარზე ხელი მოუცაცუნა ბიჭსა და ურჩია, მიწას ტყუილ-უბრალოდ ნუ ასველებ მლაშე წყლითაო. ნუ თუ არ იცი, რომ ყოველ მართლმორწმუნეს უნდა უხაროდეს, როცა მძლავრი ხანის ალი-ბაინდურის ცხვნი თავისი ნალის ნაკვალევს დასტოვებს მის ზურგზეო.

---

[1] ჯერა-ხანა,—სადალაქო, სადაც აგრეთვე მკურნალობენ.

— უფრო საწყენი ის იქნებოდა,—დაუმატა დერვიშმა,—რომ მაგ „შაითანის ულვაშთა“ ცქერაში ღარიბი კაცის მჭლე სახედარს შეეშალნა შენთვის ხელი.

ქერიმი გაუდგა გზას აქოთქოთებულ მაიდანზე, დახეთქილი ტუჩები ჩურჩულებდნენ „ალი-ბაინდური“...

ურტყამს ჩაქუჩს ქერიმი და სულმაღლა და მაღლა მიიწევენ მრისხანე ხანის ახალი სასახლის კედლები. მაგრამ რატომ არ ძალუძს ქერიმს, მსგავსად ესგერაბათისა, მორჩილად ყლაპოს შხამიანი მტევერი? რატომ არა ხდის ლავაშს უფრო მაწიერს, ხოლო ხანების მათრახის წივილს ყურისათვის საამოს ჩეხელ-სოთუნის მეჩითის მოლლას მიერ მომომენ მართლმორწმუნეთათვის დაპირებული ნეტარება მაჰმადის სამოთხეში?

„შაჰის ყურების“ მცირე დარბაზში გამართული საიდუმლო თათბირზე ალი-ბაინდურმა დაწვრილებით აუწერა შაჰ აბაზს ქართლის სამეფოს მდგომარეობა. ერანის მბრძანებელს მოსწონდა მისი მაღალი ოსტატობა, რისი მეოხებითაც იგი ხან ვაჭრად იქცეოდა, ხან დალაქად და ხანაც თავადად. ალი-ბაინდურმა შაჰის ყურადღება მიაპყრო ტატიშჩევის მიერ პატრიარქ იობისათვის გაგზავნილი ეპისტოლის ნაწყვეტს. ხანმა აღნიშნა პაპანდოპულოს თარგმანის სიზუსტე, რასაც იგი დარწმუნდა მის დუქანში, რომელიც ერანის დავალებით, საიდუმლო ცნობათა შესაკრებელი ადგილი იყო. ალი-ბაინდურს საკაძე გაახსენდა და შაჰის გამხიარულება მოინდომა. უამბო იმ დაჟინებული ხმების შესახებ, რასაც ჩუმად ავრცელებდნენ ქართლის ლაშქარში: თრიალეთის მთების ხეობაში თურქების დამარცხებას გიორგი X თავისთავს კი არა, სხვა გიორგის უნდა უმადლოდეს, რომლის გულიც დიდი მამულის ბოძებით მოიგოო.

შაჰ აბაზმა ყურადღებით მოუსმინა ხანსა და დაწვრილებით გამოკითხა საკაძის შესახებ. ახალი გმირის სახელი მან ერთბაშად დაუკავშირა იმ შუღლს, რაც ქართლის აზნაურთა და თავადთა შორის ჩაღდებოდა. ჩაუკვირდა რა ყოველივეს, რაც ტატიშჩევის ელჩობაზე იყო ნათქვამი, შაჰ აბაზმა მტკიცედ განაცხადა, სურვილი და მისი აღსრულება ყოველთვის ერთ გზაზე როდი ხვდებიან ხოლმე ერთმანეთსა, და გოდუნოვიც იძულებული იქნება იგემოს მწარე ნაყოფი თვისი ნაგვიანევი ნათესისაო.

რაკი თავის იდუმალ ზრახვებს თვით მახლობელ ხანებსაც კი არ უმალავდა, შაჰი ჩააფიქრა იმ მუქარამ, რომელიც სულ უფრო და უფრო მოიწევდა ჩრდილოეთიდან...

რუსეთის ელჩები ხმამაღლა მსჯელობდნენ უკანასკნელ მიღებაზე, რაც მათ დეველეთ- ხანში გაუმართეს. ახარებდათ მიღწეული შედეგი და ოცნებით უკვე იშინჯავდნენ სამეფო ქურქებს, რითაც, რა თქმა უნდა, ბორის გოდუნოვი მათ დააჯილდოებდა, წარმატებით შესრუ-

ლებული ელჩობისათვის. ელჩებს განსაკუთრებით ახარებდა სურვილი შაჰ აბაზისა ერთხელ კიდევ მოესმინა ის ადგილი ბორის გოდუნოვის უსტარისა, სადაც რუსეთის მბრძანებელი მიჰმართავდა ერანის ლომს „რათა მისი უდიდებულესობა თურქს არ დაეზავოს და კეისართან ერთობა იქონიოს...“ და „მეფე და შაჰი ერთად წინააღდგეს მტერთა თვისთა; ელჩნი და ვაჭარნი თავისუფლად ვიდოდეს რუსეთით ერანსა და ერანით რუსეთს: ნუ შემოიღებენ ახალ სავაჭრო ბაჟსა...“

არანაკლებ ახარებდა ელჩებს ის გარემოება რომ შაჰმა სრულიად არ იცოდა რა ტატიშჩევის საელჩოს იდუმალ მიზნებზე ქართველთა სამეფოებში. შაჰ აბაზი დაინტერესდა მხოლოდ, „რად იხსენებაო რუსეთის ხელმწიფე ივერიის ქვეყნის, ქართველთა მეფეების, ყაბარდოელთა მიწა-წყლისა და ჩერქეზთა და სხვა მთიელ თავადთა ხელმწიფედ,“ რაზედაც თავადმა ზასეკინმა სიამით უპასუხა გოდუნოვის განაწესისამებრ: „ეს სახელმწიფონი ჩვენს ხელმწიფეს ახლა შეუერთდნენ: ქაროველ მეფენი შეევრდომნენ მის ხელმწიფებას, წინათ კი თურქეთისანნი იყვნენ... ხოლო ყაბარდოელი თავადნი დიდი ხნიდანვე...“

რუსეთის ელჩებს ფიქრადაც კი არ მოსდიოდათ ის შინაგანი გააფთრება, რამაც შაჰ აბაზი მოიცო ამ ამბის შეტყობისას. შაჰის თავაზიანმა ღიმილმა დაჰფარა გადაწყვეტილება ახალ-ახალი სისხლისღვრის შესახებ იმისი გამო, რომ ქართველთა სამეფოებს სურდათ თავი დაეღწიათ ერანის ვასალური დამოკიდებულებისათვის.

მრისხანე შაჰის თვალი ამ წუთს ბორის გოდუნოვისა და მისი ძის თეოდორეს ნაძღვნევს დასცქეროდა: „მაქმანით მორთული ქურთუკებს, სონღულებს, სიასამურებს, შავ მელიებს, თევზის ძვლებს, ჯავშნებს, სამოპალს, გერმანულ ფალიან თოფებს, სარეკიან საათებს, დათვსმარეკს, ორ მწევარსა და ორ მედელური ჯიშის, ძაღლს, ორას ვედრო ყაზანურ არაყს, ორ საღვინე კასრს მილებით, სახურავითა და თუნგებითურთ“.

დააყოლა რა საამო მოგონებათ ციცი შარბათი, დიაკმა ივანე შარაპოვმა საკინძე გაიხსნა, ოფლიანი შუბლი ჭრელი ხელსახოცით მოიწმინდა, ბატის ფრთის კალამს წვერი წაუმახვილა, დაჯდა და ბორის გოდუნოვისადმი გასაგზავნ ეპისტოლეს დამთავრებას მიჰყო ხელი.

...და როცა თავადი შაჰის პალატაში შეეიდა, შაჰთან იყვნენ ძე მისი სეიფი-მირზა და იურგენის მეფის აზიმის ძმისწული და სხვანი მახლობელნი... ფერგათ-ხანი შაჰის სხვა მახლობელნი კი არ იყვნენ: საომრად იყვნენ გაგზავნილნი არაბეთის შავ ქვეყნებში... თავადი რომ შაჰის სასახლიდან ბრუნდებოდა, ეზოში დაჰყავდათ თხუთმეტიოდე არგამაკი, მორთულნი საძაგრავებითა, და გვითხრეს, ეს არგამაკები შაჰს გამოუგზავნა მაზდრონის ხელმწიფემაო, ხოლო მაზდრონის ქვეყანა შაჰის ქვეშევრდომია... ხოლო სეირი იყო მთელს გარემო-ეზოში, კედლებზე სანთლები იყო ანთებული, და

ლერწმები შუშხუნა წამლითა, ნავთითა და გოგირდითა; ხოლო შუა ეზოში სპილენძის მილებში აუკიდეს შუშხუნა წამალს; ხოლო შაჰისა და მის მახლობელთა სუფრაზე მიჰქონდათ მწვანილი, სასმელს კი შარაფები არიგებდნენ... და შუა ლხინში შაჰმა დალია ხელმწიფის სადღეგრძელო და თასი თავადსაც მიაწოდა... მარტის ოთხს უბრძანა შაჰმა თავადს სასეიროდ მეწვიეო... ხოლო მაიდანზე რომ მოვიდა, ჩამოხტა არგამაკიდან, ვიდრე თავის ადგილამდე მოვიდოდა; როცა რიგებში მოვიდა, რიგებში დაიარებოდა და საქონელს ათვალიერებდა, ხოლო ყველა დუქნის კედლებზე და ჭერზე გაკრულია ჩინური აბრეშუმი და ქსოვილი მეწამული და საქონელი დაკიდებულია კედლებზე და თაროებზედაც აწყვია; მრავალი სანთელი და ჭრაქი ანთია დუქნებში და საქონელთან... და შაჰი დაჯდა რიგებში და უბრძანა, დაუკარით ზურნა და დაფი, იმღერეთ და იცეკვეთო. სროლის შემდეგ შაჰი ბაღში წავიდა და თავადს უბრძანა ნახე პალატები და წყალი, რომელიც ზემო პალატებშია აყვანილიო... და შაჰმა აქ, ბაღში სპამა მწვანილი, ალუბალი და ნესვი და თაფლიანი საზამთრო, და თავადსაც მოართვეს. შაჰმა თავადს უჩვენა ყვითელი იაგუნდი, წონა მისი იყო ასი მისხალი, რახტი მოჭედილი ოქროითა და დიდად ძვირფასი თვლებითა, იაგუნდითა, ლალითა და ფირუზებითა; და სთქვა შაჰმა, ეს რახტი თემირაქსა კოვისეულიაო, გვიჩვენა ჩაჩქნები და ქუდები და სარკენი ფოლადისანი, მოოქროვილნი; და ჯავშანი, ხოლო გვეუბნებოდა: ამას ჩვენს სახელმწიფოში აკეთებენ, ეარნა კარგი და საუკეთესო ინდოეთის სახელმწიფოდან გამოდის, ხოლო კარგი ჯავშანი—ჩერკასიდანო. უძღვნა თავადსა სარკე და თვალი სარდიონი, ოქროში ჩასხმული, და ხატი ღვთისმშობლისა ოქროსი, და სთქვა, ეს ხატი ჩემმა მხატვრებმა გადმოიღეს ფრანგული ხატიდან, ხოლო ფრანგული ხატი გურმიზიდან გამომიგზავნესო...“

შაჰ აბაზი რომ რუსეთის საელჩოს პატივსაცემად მიღებასა და ლხინს მართავდა, თავს რომ იქებდა სპარსეთის სასახლის სიმდიდრით—ომისა და მშვიდობიანი დროის ნადავლით, ძვირფას საჩუქრებს რომ იღებდა და იძლეოდა, იგი ანგარიშს უწევდა ბორის გოდუნოვთან კავშირის შეკვრის სარგებლიანობას, ითვალისწინებდა აგრეთვე, რომ იმხანად შეუძლებელი იყო საქართველოზე გალაშქრება ცეცხლითა და მახვილით (რაც რამდენიმე წლის შემდეგ განახორციელა). ამიტომაც არ დააყოვნა და ქართლში საიმედო საელჩო გაჰგზავნა...

— აი ბალამ... ბა... ლაა...მ...—გაისმოდა ყვირილი მტვრის კორიანტელში.

მზე ძალზე აცხუნებდა. ისპაჰანის გზაზე გაჭიმული მდიდრული ქარავნის თავში, სანაქებო ამალის, ცხენოსანი სარბაზებისა და მრა-

ვალერიანოვან მსახურთა წინ მიდიოდა ოქროსფერ ცხენებზე მჯდარი ორი ხანი.

— აღირსე ჩემს ყურს, კეთილშობილო ყორჩი-ხან, შენი ბრძნული სიტყვები, ვინაიდან ნათქვამია: სიბრძნე საუკეთესო ფარია საშიში მგზავრობისასო.

— ძლევამოსილმა ერებ-ხანმა თავი რად უნდა დაიმძიმოს სხვისი სიბრძნის ფარითა.

— მაგრამ არსად არ არის ნათქვამი შუთირ-ბაადის, ალი-ბაინდურის ცნობათა სისწორის შესახებ. რად უნდა მოსკოვის მეფეს ქართველი გიორგის ასული? იქნებ ტფილისში უკვე დგას ჩრდილოეთის ჯარი, ჩვენ კი უმეცრად მივდივართ მეგობრული წინადადებებით.

— დიდებულ შაჰ აბაზს არ უყვარს, როცა მის კეთილშობილურ ყურს ცრუ ცნობებით სტენიან; ასეთ შემთხვევაში ერანის ლომი მთელი თავით ამოკლებს ხოლმე გაუფრთხილებელს, ვინაიდან ნათქვამია: „ვისაც მ'ხისა და მთვარის გარჩევა არ შეუძლია, იგი ზედმეტი ტვირთით ნურც თავის მხრებს, დაამძიმებსო," ან იქნებ მამაც ერებ-ხანს სხვა მიზეზიც აქვს შეშფოთებისა?

ერებ-ხანი ყურადღებით დააკვირდა მარჯვენა ხელის ინითნაღებ ფრჩხილებს, ასალი გაისწორა და მტკიცედ განაცხადა: ახლანდელს პირობებში სპარსეთის ელჩობის წარმატება საქართველოში ძალზე საეჭვოაო.

— ვინაიდან ნათქვამია,—დაურთო ხანმა, სახედარი ნუ გწადია, როცა ცხენს გთავაზობენო.

ყორჩი-ხანმა მიუგო, სასიამოვნოა გონებამახვილ ერებ-ხანთან მოგზაურობაო, და ურჩია: მივენდოთ ალაჰსა და ქართველთა სიბეცეს— ისინი ვერ მისწვდებიან უძლეველი შაჰ აბაზის გონივრულ გეგმებსო.

— ხშირად ფენთხიც გავად გავა... თუმცა რა ღირსნი ვართ ჩვენი მპრძანებლის აზრები შევამოწმოთ.

ერებ-ხანმა გამომცდელი თვალი მიაპყრო ფრთხილ მობაასეს.

— იყავ თავაზიანი, ღრმად პატივცემულო ყორჩი-ხანო, შენი ბრძნული სიტყვა მაბედვინებს გთხოვო: განვაგრძოთ საამო საუბარი. ამიხსენი: შუბზე წამოაგებენ ჩვენს თავს, თუ ისპაჰანის საამოდ ქუჩაში გადააგდებენ?

— ნუ სწუხარ, უკეთილშობილესო ერებ-ხანო, უკეთუ ქართლის მეფის უარით დავბრუნდით, მგონია, შუბზე წამოაგებენ.

— თავის მოიმედედ ნუ ჩასთვლი შაჰის მრჩეველს, მაგრამ, ვფიცავ ნეჯეფს, თავს ურჩევნია ალაჰის მიერ განკუთვნილ ადგილას დარჩეს. განსაკუთრებით ყორჩი-ხანის ქებული კისრისთვის იქნება არასასიამოვნო მოაკლდეს დიდებული კაზმულობა.

— უზრდელად ნუ ჩასთვლი შაჰ-ინ-შაჰის მრჩეველს. ვფიცავ ქერბელას, მრჩეველს რომ არჩევანი არგუნონ, იგი მყისვე გაიზიარებდა ერებ-ხანის ბრძნულ აზრებს, მაგრამ ყოველი მართლმორწმუნის ბედი

მისსავე კისერზე ჰკიდია. ხოლო, უკეთუ შაჰ-ინ-შაჰს არა ნებავს თავი ერთგული ყორჩი-ხანისა, მით უმეტეს ჩემთვის აღარ არის იგი საჭირო.

— ვინ იქნება ისეთი თავხედი, რომ სულგრძელ ყორჩი-ხანს არ დაეთანხმოს? ვფიცავ მაჰმადის წვერსა, არ გავალიზიანო მზიური თვალი შაჰ-ინ-შაჰისა და, თუ მეფე გიორგი უარს იტყვის, შაჰ აბაზს ქალს არ მივცემო, ჩემს დამწუხრებულ თავს ერანის ფარგალს გარეთ გავგზავნი. ვინაიდან ნათქვამია: იქ ნუ დადგები, სადაც უთუოდ წაიქცევიო.

— ხომ არ ნებავს წარჩინებულ ხანს, რომ იმ უნებურ მოგზაურობაში გამყოლად იყოლიოს მორჩილი ყორჩი-ხანი?

— არსად არ არის ნათქვამი—წმინდა ადგილები მარტომ მოინახულეო და, ალბათ, წარჩინებულთა შორის წარჩინებულმა უწყის, რომ მექა საუკეთესო მუზარადია თავისთვის.

— იქნებ მამაცი ერებ-ხანი შიშობდეს, რომ ერანის მრისსანე მბრძანებელი შეიტყობს ასეთ წინადადებას?

— ვფიცავ, არა, ხანთა შორის შორსმჭვრეტელო ხანო... ერანის სამართლიანი მბრძანებელი ასეთ შემთხვევაში თავსა ჰკვეთს იმასაც, ვინც ლაპარაკობს და იმასაც ვინც უსმენს... ვინაიდან ნათქვამია: მეზობელს ნებას ნუ მისცემ, ყანა ცუდი თესლით წაგიხდინოსო...

ყორჩი-ხანმა იყუჩა: „ერებ-ხანი მართალია, შაჰს შენი თავის მოსაკვეთი ხმალი არ უნდა მიაწოდო!

და უეცრად გადასწყვიტა ქარავანი დაეთვალიერებინა, ცხენი მიაბრუნა და აქლემებისკენ გაემართა.

„ვფიცავ ალაჰს,—ჰფიქრობდა იგი,—ერებ-ხან განთქმულია კეთილშობილებათა და უშიშრობით, მაგრამ როცა თავი გერყევა, საკუთარი თავის იმედი ამაოა. და უმჯობესია აქლემმა დაგდუქოს, ვიდრე გულადი ხანის ყბაში ჩავარდე.“

ერებ-ხანმა დამცინველი თვალი გააყოლა გაქცეულ მოსაუბრეს. იგი სიამით ჰფიქრობდა: უკეთუ ასეთი წარჩინებული ხანი ვერ ჰბედავს ქართველთა უარით დაბრუნდეს შაჰთან, მაშინ მეც არა მაქვს რა ასაჩქარებელი. ვინაიდან ნათქვამია: „უსარგებლო სიმამაცე ბრძენთა აცინებს, ხოლო სულელებს ახარებს.“

თავი ოცდამესამე

სანამ სპარსული საამო ბაასით გართულნი ყორჩი-ხანი და ერებ-ხანი ყარადაღს გადაიელიდნენ, სანამ ტფილისს მიახლოებულნი გიორგი და დათო გამოსძებნიდნენ საშუალებას თუ მცირე საღსრით როგორ შეეძინათ რაც შეიძლება მეტი საჭეროველი ნოსტელ ახალგაზრდა აზნაურთა ლაშქრისათვის, ამასობაში მეტეხი განუწყეეტლად

ლხინობდა. სიონის ზართა რეკით აცილებდნენ ახალდაქორწილებულთ გულშარისა და ამირინდოს, მარიამ ბარათაშვილის ასულსა და უმკროს ამილახვარს. ნეფე-დედოფალთა პატივსაცემად ლხინს ასპარეზობა მოსდევდა, ასპარეზობას კი—ნადირობა.

შადიმანის, ამილახვრისა და ბაგრატის გაერთიანებამ უფროც დაარწმუნა ბააკა, რომ ილარიონ ორბელიანი ამ სამი თავადის მოკლული უნდა ყოფილიყო, რათა თავიდან მოეშორებინათ თურქეთთან გაბმული ინტრიგების საშიშარი მოწმე. და ბააკამ გადასწყვიტა ფრთხილად შეემზადებინა მეფე, რომ შადიმანი სასახლიდან განეგდოთ. ხერხეულიძე, რა თქმა უნდა, ნამდვილ მიზეზს არ ამხელდა, და სწუხდა, რომ ლუარსაბი ძალზე გატაცებულია ნადირობით, რასაც შადიმანი გამალებით უნერგავსო.

— თავგადაკლული მონადირე ცუდი მმართველია,—დაუღალავად იმეორებდა ბააკა,—და ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ერთხელ, როცა გიორგი მეექვსე ხოხბებზე ნადირობიდან დაბრუნდა, თავის ტახტზე მიმტაცებელი დახვდა.

მეფე ხედებოდა იმ უფრო მნიშვნელოვან მიზეზს, რაც ფრთხილ ბააკას აიძულებდა სხვა საქმიანობა ენატრნა ლუარსაბისათვის. გულში თვით გიორგი X არ ენდობოდა შადიმანს, ბაგრამ რაკი იცოდა, მემკვიდრეს ძლიერ უყვარს თავისი აღმზრდელიო, გადასწყიტა მისი თავმოყვარეობა მოეშველებინა, სახელმწიფო საქმეებით თანდათან დაეინტერესებინა ლუარსაბი და, ამრიგად, შადიმანის განშორება ბუნებრივი გაეხადნა.

ლუარსაბის მკვირცხლი გონება სწრაფად ერკვეოდა რთულ საქმეებში და ამიტომ ის სავსებით გაიტაცა ახალმა გასართობმა.

შეშფოთებული შადიმანი ხედავდა, როგორ სუსტდებოდა მისი გავლენა ლუარსაბზე, და უკვე მოისაზრა შემდგომი ღონისძიებანი, ბაგრამ ერანის საელჩოს მოულოდნელმა მოსვლამ სულ დაფუშა ბააკას გეგმა.

და კვლავ გამოცოცხლდა ნარინჯისფერი ფრინველებით მოხატული დარბაზი. და სადღესასწაულოდ მორთული თავადობა და სამღვდელოება კვლავ შემოეჯარა ბაგრატოვანთა ტახტს, რომელზედაც გიორგი X იჯდა. მეფის ქულაჯაზე ბალთის მაგიერ დამცნეული იყო ერანული ოქროს ლომი, რომელსაც შაჰ აბაზის ელჩებისადმი მიეპყრო თავისი ბრილიანტის თვალი.

გიორგი X რომ სპარსელ ელჩთაგან უხე ძღვენს იღებდა, შეშფოთებას ძლივს მალავდა, გარნა ლუარსაბი, რომელიც გვერდს ეჯდა მამასა და ღიმილით ისმენდა ელჩთა ლიქნიანობას, სიამაყის გრძნობით ივსებოდა.

„...გული და თვალი მრისხანე შაჰ-აბაზისა მუდამ ღიაა ქართლის მეფისთვის, და ძლევამოსილ შაჰ-ინ-შაჰს მოწყალედ სწადია ურიგევი კავშირით განამტკიცოს მეგობრობა მეფეთა-მეფესთან... ერანა-

იდან ნათქვამია: „მეგობრობა გრწამდეს, გარნა საწინდარზე უარს ნუ იტყვიო“.

გიორგი მეფემ ყორჩიხანს გამოართვა უსტარი შაჰ აბაზისა, ზედ ბეჭედს ეამბორა და ძვირფასი იერლაყი შადიმანს გადასცა წასაკითხავად.

„ დიდებულო ძმაო ჩემო, მეფეე ქართლისა, ძეო სვიმონ პირველისა, სულითა და გულით გიგზავნი სამაგიერო ძღვენს, რაიცა წარვულე უღირსთა თურქთა, რომელთა ომში არა იციან პატიოსნება, ხოლო მშვიდობაში ვერაგნი არიან. მტერთა სარისხავად ფიცით ვამტკიცებ შენთან კავშირსა და შენკანაც ველი საამისო საბუთს. აღასრულე ნატვრა ჩემი და სამარადისო იყოს მეგობრობა უძლეველი შაჰ აბაზისა და მეფის გიორგისა.

ო, მუჰამედ! ო, ალი!

შაჰ აბაზი, მონა რვისა და ოთხისა“ [1]

შადიმანმა ზეიმით გადასცა წერილი საგინაშვილსა და ბარტომაც დინჯად ჩაუშვა იგი ჩუქურთმიან ყუთში.

გიორგი მეფემ გაიხარა შაჰ-ინ-შაჰის კარგად ყოფნითა და კეთილდღეობით, აღფრთოვანდა ერანის ლომის დიდი გონიერებითა და გულკეთილობით, დაარწმუნა წარჩინებული ხანები, მხადა ვარ ყოველგვარი საბუთი მივცე დიდებულ მოკავშირესო, ხოლო გულში შეშფოთებით ჰფიქრობდა: „რა განუზრახავს სისხლის მსმელ სპარსელს ჩემს წინააღმდეგ? ხომ არა შეუტყვია რა ჩემი ბეთანხმებისა რუსეთის ელჩებთან?“

— მეფეთ-მეფეო, ღირსი გაგვხადე შენის ყურადღებისა! შაჰ-ინ-შაჰის მიერ ნოთხოვნილი საბუთი პატივსა სდებს მასაც და შენცა.. დიდებული მეფენი მეგობრობას ოდითგანვე განამტკიცებენ ხოლმე ქორწინების კავშირითა...

— სახელითა ღვთისათა! ვინ გაბედავს უგულვებელჰყოს ესოდენ დიდი პატივი!.. გარნა გული ჩემი ასული თინათინ, და თვალის ჩინი ჩემი, ბატონიშვილი ლუარსაბ უასაკონი არიან, ხოლო ასულნი დიდებული შაჰ აბაზისა, მაღალმა ღმერთმა დღეგრძელ ჰყოს იგი, ქორწინებისათვის ჯერედ არ მოწიფულან,—წარმოსთქვა გიორგი X და მეტის შეშფოთებით გაიფიქრა: „განა უგუნურება არ იყო, რომ რუსთა საელჩოს ნება დავრთე ქართლში მოსვლისა?..“

— დიდებულთა შორის დიდებული შაჰ აბაზისთვის ჯერ ადრეა ზრუნვა თავის ასულთა გათხოვებისთვის. ერანის ლომი თვით სთხოვს ცოლად ქართლის მეფეს უფლისწულს თინათინს...

ერებ-ხანმა შეშფოთებით გადაჰხედა ღრმა დუმილით მოცულ ქართველ თავადებს.

---

[1] „მონა რვისა და ოთხისა“ — ასე აწერდა ხელს შაჰ აბაზი, აალის შთამომავალ თორმეტ იმამთა პატივისცემის ნიშნად.

გიორგი მეფეს სისხლი თავში აეკრა. უნებურად ხელი ხმლის ვადას დაიდო.

შადიმანმა მყის გაითვალისწინა უადგილო წყრომის შედეგი, ამიტომ სასახლის წესი დაარღვია და სწრაფად წარმოსთქვა:

— მეფეო, ზარმა უკვე სამჯერ დარეკა. იქნებ ინებოთ ბაასის შეწყვეტა, რათა მოვასვენოთ და დავაპუროთ ელჩნი, მრისხანეთა შორის უმრისხანესი შაჰ აბაზისა, ვინაიდან ნათქვამია: „სტუმარი ჯერ განაძღე, ხოლო შემდეგ ბაასით დაატკბეო.“

გიორგი მეფემ მადლობის თვალი შეავლო შადიმანს, რომელმაც თავიდან ააშორა საშიში აფეთქება, რაც ქართლს სისხლისღვრას უქადოდა.

გონს რომ მოვიდა, მადლობა გადაუხადა დიდი პატივისათვის, რაც ძლევამოსილმა შაჰმა დასდო, მაგრამ ამასთანავე სინანულიც გამოსთქვა: თინათინი დიდი ღვთის მოსავია და მონაზენად აღკვეთას აპირებსო.

ყორჩი-ხანმა მარცხენა ლოყაზე ლურჯი ნაიარავები მოისინჯა და ნელა წარმოსთქვა:

— ეგ სურვილი შაჰ აბაზმა უკვე უწყის, ვინაიდან მოსკოვის მეფე თავის ელჩთა პირით ერთ-ერთ მონასტერს სთავაზობდა ქართლის მეფის ასულს.

თავადებმა შეშფოთებით გახედეს ერთმანეთს. მეფეს შიშის კანკალი აუტყდა, ასე ეგონა, ტახტმა ქამანდივით წამიჭირა ყელშიო, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და წაიხიხინა:

— რუსეთის მეფის ელჩნი უფრო მნიშვნელოვანი საქმისთვის იყვნენ მოსულნი, მაგრამ, შაჰ აბაზისადმი ერთგულების გამო, ჩვენ პირდაპირი პასუხის გაცემას მოვერიდენით.

ერებ-ხანმა აღუთქვა: ამ სასიამოვნო ამბავს შაჰ აბაზს შევატყობინებო; იგი ირწმუნებოდა: საუცხოო ჰარამხანა და ერანელ სეფექალთა ბრწყინვალე საზოგადოება უფრო მეტ სიხარულს მიანიჭებს თინათინს, ვიდრე პირქუში მონასტერიო. შაჰი სპარსული ფუფუნებით გარემოიცავს მას, განთქმულ ბრძენთა ხელმძღვანელობით მეფის ასული აღმოსავლეთის მაღალ მოძღვრებათ ეზიარება და შემდეგ ძლევამოსილი შაჰ აბაზის მეუღლე გახდებაო.

გიორგი X, რომელიც ძლივს იკავებდა შიშსა და რისხვას, საუბარი სახვალიოდ გადასდო და საყვარელ სტუმრებს წინადადება მისცა, დრო ჭამა-სმასა და მოსვენებაში გაატარეთო.

— მესტუმრეთუხუცესი იზრუნებს ყოველგვარი სურვილის შესრულებისათვის, — დაურთო გიორგი მეფემ და იქნებ ამით მოიგოს კეთილშობილ ხანთა გული, რათა ისინი ხშირად ესტუმრებოდნენ ქართლის მეფეს.

მაგრამ ელჩებმა ძლივს მოასწრეს მადლობის გადახდა გულითადი მიღებისათვის და დარბაზიდან გასვლა, რომ ერთბაშად იფეთ-

ქა აღშფოთებამ: განა ჰარამხანა ქრისტიანი ქალისათვის უდიდესი განსაცდელი არ არის? განა ქართველი მეფის ასული შეეგუება ისეთ ქმარს, რომელსაც ცოლი ასობით ჰყავს? თავადნი ომით გასცემენ პასუხს გარყვნილი სპარსელის ამ დამამცირებელ მოთხოვნას!

— შაჰ აბაზის სურვილი ოჯახური საქმე არ არის,— გრგვინავდა გიორგი X,— სიხლის მსმელი შაჰი ქართლს ეპარება.

— ნებას არ მივცემთ! საჭიროა ერთბაშად მოეღოს ბოლო ვერაგულ განზრახვას,— ცხარობდა მირვან და ხმლის ვადას ხელს უჭერდა.— დე იომონ ჩვენთან, დეე კავშირი შეჰკრან, ხოლო ჩვენს ქალებს კი ხელს ნუ ახლებენ.

— და მერმე განა საქმე ქალებია? — შენიშნა ტფილელმა.— იქნებ ცბიერ სპარსელს სურს ქართლთან დაახლოებით კვლავ დაამციროს ჩვენი ეკლესია?

ბაგრატი განგებისი აღშფოთებით წამოიჭრა:

— კავშირი დავდოთ, სტამბოლი მოწადინებულია ამას... ეხლა ბევრი რამ შეგვიძლია მივიღოთ, თურქებს კვლავ ომი აქვთ ერანთან. ოსმალებისთვის ხელსაყრელია ქართლი თავის მხარეზე იყოლიონ... რისთვისღა უნდა მისცეთ მეფის ასული თინათინ?

— მე მგონია, შაჰი ამას არ დასჯერდება,— ნაღვლიანად წარმოსთქვა ზაზა ციციშვილმა,— მაგრამ თურქეთის ნახევარმთვარეს ნაკლებ ბასრი ბრჭყალები როდი აქვს, ვიდრე ერანის ლომს.

— მე სულ სხვა რამეს ვფიქრობ: ვინ ოხერმა აცნობა შაჰს რუსთა მეფის მაჰანკლობის შესახებ? — და ნუგზარმა მუქარით ააჩხარუნა ხმალი.

და უეცრად თავადებმა იქვნეულად გადახედეს ერთი-მეორეს და გულში შეშურდათ იმ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისა, რომელსაც შაჰ აბაზის უხვი ჯილდო მოელოდა.

— ერთი გაბედოს ქართლში შემოჭრა, მე პირველი შევებმები, დას კი არ მივცემ,— ჰყვიროდა აღშფოთებისაგან მთლად აცახცახებული ლუარსაბი,— ქალის დაცვა რაინდის პატიოსნების საქმეა.

თავადნი განგებ გადაჭარბებული აღფრთოვანებით იწონებდნენ ლუარსაბის რაინდობას. გიორგი მეფეს გული აუძგერდა სიხარულითა და სიამაყით: ლუარსაბი პირველად გამოსთქვამდა თავის აზრსა, და რა კეთილშობილება გამოსჭვიოდა მის მგრძნობიერ სიტყვებში.

ბაგრატმა სქელი ულვაშები გადაიგრიხა და დინჯად წარმოსთქვა:

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემი გულშარი გათხოვილია... ჰარამხანაში ყოფნას მის სიკვდილს ვაჯობინებდი...

— შენ რაღას იტყვი, შადიმან? — ჰკითხა გიორგი მეფემ. თავადებმა ერთმანეთს გადაჰხედეს..

— ჩვენ შორის ვინ არ დაღვრის სისხლს მეფისა, ქართლისა და ქართველი ქალისთვის? ბაგრამ გონებას ნუ დავკარგავთ, ბატონებო,

გავითვალისწინოთ რა მოჰყვება ჩვენს უარს. განა შეიძლება ვიმედოვნებდეთ, რომ მრისხანე დამპყრობი ბაღდადისა უწყინარად აიტანს შეურაცხყოფას? ურიგო არ იქნება გავიხსენოთ რა დაუჯდა საქართველოს რუსუდან დედოფლის უარი ჯელალ-ედინის ცოლობაზე. გავიხსენოთ აგრეთვე რა დღე დაადგა შაჰ აბაზმა ბაბილონსა და როგორ გადაუხადა შეურაცხმყოფელს -- ბექირქელი-ბაშს. აბა ვინ ინატრებს გახვეულ იქნას ხარის ტყავში, მსგავსად იმ ბაშისა, რომელიც თეშარაზე დასდეს და კურატივით ასუქებდნენ? ვის არ სმენია აუტანელი ტანჯვანი განუსჯელი ბექირქელისა, რომელიც მთელი ორი თვე იყო ამ ყოფაში, ვიდრე ბედმა არ არგუნა მსხვნელი ქვა, რაზედაც თავი ახალა და დაიჩეჩქვა... ვინ არ იცის, როგორ დასჯედა შაჰ აბაზმა დამარცხებული უზბეკეთის ხანი? ვინ არ უწყის იმ ბედკრულთა ამბავი, ვინც ცხვრებივით ჩანგლებზე იქნენ ჩამოკიდებულნი? და განა მთელი ქვეყნის სალაპარაკოდ არ არის ქცეული შაჰ აბაზის მიერ დაპყრობილი ქალაქებისა და სოფლების განადგურება და გადაწვა, ამოჟლეტა და დამონება? განა ამჟამად მზადა ვართ ერანის უძლეველ მბრძანებელთან საომრად?.. რასაკვირველია, კავთა კარგი თავშესაფარია, მეფის ოჯახი მუდამ უსაშიშროებაშია... მაგრამ მაჰმადიანთა მიერ გაჩაღებული ხანძრის შემდგომ ქართველ მეფეებს დამშვიდებით როდი უმეფნიათ...

თავადნი არ განძრეულან. გიორგი მეფე წამოიწია.

— რას გვირჩევ, შადიმან?

— განა გავკადნიერდე და ურჩიო მეფეს? შენ არა ერთგზის გამოგიჩენია მამაცობა და სიბრძნე, მგონია, ამჟამადაც მოახერხებ საკადრისი პასუხი გასცე შაჰს...

ამირინდომ და ბაგრატმა ულვაშებში ჩაიცინეს.

— მინდა მხოლოდ გამოვთქვა მცირე რამ მოსაზრება...—განაგრძობდა შადიმანი.—უნდა გვახსოვდეს: თურქეთი არ გვაპატიებს თავის უკანასკნელ სამარცხვინო დამარცხებას. მერმე შველა სად არის? კახეთი ჯერ კიდევ ვერ გამართულა წელში, ყაზახთა თარეშისაგან. ოდიშსა და გურიას შინაგანი უთანხმოება სწვავს და არა მგონია, რომ ისინი ერანს წინააღუდგნენ... აფხაზეთი? მთავარმა შარვაშიძემ უარი გვითხრა მოღალატე ორბელიანის გაცემაზე და, მგონია, დახმარებაზედაც უარს გვეტყვის. რუსეთი? შორს არის: ექვსთვეს უნდა იქნიოს ხმალი, სანამ დაკვრას მოახერხებდეს... შაჰი კი არ დაელოდება. იმერეთიღა დარჩა, მაგრამ თუნდაც მასთან ერთად შეგვიძლია განა გაუმკლავდეთ მძლავრ ერანს? ბრწყინვალე ბაგრატი თურქეთის კავშირს გვირჩევს, ამაზე შეიძლება ვიფიქროთ, ხოლო არა ახლა, როცა ქართლში იმყოფება ერანის მრისხანე მბრძანებლის საელჩო... ეხლა, ვოქვათ, ჩემო ხელმწიფევ, დასთანხმდი შაჰის წინადადებას... ნუთუ იგი მართლაც ასე ძლიერ სავალალოა? მეფის ასული თინა-

თინ სილამაზისა და ჭკუის მეოხებით შაჰის საყვარელი მეუღლე იქ-ნება. იდუმალი ხელით წარმართული თინათინ ქართლის აყვავებას შეუწყობს ხელს... ბედნიერი იქნება თუ არა თვით იგი? მარგალიტ-სა და აბრეშუმში ჩამჯდარი, მხიარული, წარჩინებული სპარსელი ქალებით გარშემოხვეული, სიმღერასა და ცეკვაში გართული, მოჟ-ღურტულე შადრევანთა შორის განა შეიძლება ნაღვლიანი იქნეს?

— შადიმან, შენ გავიწყდება ბოქლომი, სპარსული სამოთხის კარს რომ ჰკიდია,—მკვეთრად გააწყვეტინა ნუგზარმა.

— არა, არ მავიწყდება, მაგრამ...—შადიმანმა თვალი მოჭუტა,— უმჯობესია ბოქლომი იცავდეს ლამაზთა კარს, ვიდრე დილეგი, სადაც წაგებული ომის შემდეგ შეიძლება მოხვდეს ზოგიერთი ქართ-ველი თავადი.

თავადთა უმრავლესობას უკვე აღარავითარი ეჭვი არა ჰქონდა იმის შესახებ თუ ვინ გაუმჟღავნა შაჰს ქართლის გეგმა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა... და მართლაც, რად უნდა ჩავე-რიოთ ასეთ საქმეში? ერთიც ვნახოთ, შაჰმა გაიგო, ვინ იყო მისი წინააღმდეგი... და თვითეული მათგანი უკვე ხედავდა ერანის ლომის მრისხანების შედეგს: ციხე-კოშკების ნანგრევებსა და კვამლში გახ-ვეულ ბაღებსა და ვენახებს. და უკვე აღარავის აწუხებდა თინათინი-სა და თვით გიორგი X ბედი.

შადიმანი დაჟინებით ჩასცქეროდა თვალებში თავადებს. იგი უკ-ვე აღარ ეჭვობდა, რომ გაიმარჯვა მისმა გონივრულმა წინადადებამ.

გიორგი მეფე მიხვდა შადიმანის საზრიანობასა და თავადთა სუ-ლიერ განწყობილებას. მან ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი.

— მე მგონია, დიდებულო მეფეო,— წყნარად სთქვა შადიმანმა,— დადგა მოხერხებული ჟამი, რომ ბევრს დიდი ხნით დავუკარგოთ ხა-ლისი ჩვენი სტუმრობისა. შაჰი საზღვარზე გამოგზავნის გაძლიერე-ბულ საფარ ჯარს. ჩვენ გვაქვს შესაფერისი ციხე, იგი ამჟამად ცა-ლიერია. გარდა ამისა, კარგა ხანია მოგწონს მდიდარი კუთხე ლო-რე,—იგი ოდესღაც საქართველოს ეკუთვნოდა... შაჰი იძულებული იქნება დაუბრუნოს ქართლს მისი სამფლობელონი. ამას წინათ შაჰ აბაზმა არაბეთიდან მოიტანა აუარებელი ნადავლი, — ასი ზანდუკი მარტო ოქროს ჭურჭლეულობით აღსავსე, მეტეხის სასახლეს კი სწო-რედ სამი ზანდუკი ჭურჭელი აკლია. ჩვენ გვესაჭიროება აგრეთვე ფული უცხოელებთან ვაჭრობის გასაძლიერებლად და შაჰის მტრებ-თან საომრად,— ხუთი ათასი მოლაშქრის სრული აღჭურულობა... მე მგონია, ხალიჩებსა და სხვა ძვირფასეულობას სათვალავი არ ექნე-ბა,—შაჰ აბაზი არისტოკრატია და იცის რა ძღვენი უნდა გაეგზავ-ნოს სასძლოს მეფურ მშობლებს... დარწმუნებული ვარ, ელჩები რომ შენგან პასუხს წაიღებენ, შაჰს გაახარებენ და, როცა ისინი მეორედ გვეწვევიან შაჰის მიერ ხელმოწერილი იერლაყით ლორეს დაბრუ-

ნების შესახებ და აგრეთვე იმ ძღვნით, რაც შენ მიეერ იქნება ვა-ჰირობებული, მეფის ასული თინათინ უკვე მზად იქნება გასაჩუბავ-რებლად... უფრო ადრე ვერ მოვასწრებთ... საჭიროა მოეამზადოთ მორთულობა, შევარჩიოთ ამალა მეფის ასულისათვის ერანში ყოფ-ნისას... დიაღ, ადრე ვერას გზით ვერ მოვასწრებთ... არც გოლუნო-ვი უნდა დავივიწყოთ, მაგრამ, სანამ რუსეთის ელჩები მეორედ მო-ვიდოდნენ, ბეფის ასული გაიზრდება და სახითაც გამოიცვლება... თურქეთზედაც, როგორც ბრწყინვალე ბაგრატი გვირჩევს, შეიძლება ვიფიქროთ, როცა შაჰ აბაზის დაუპატიჟებელი საელჩო წავა.

თავადნი აღფრთოვანებით უსმენდნენ შადიმანს. პირველმა ილა-პარაკა ბაგრატმა, მის შემდეგ ყველა თავადი ცდილობდა მოეწონე-ბინა ბრძნული გეგმა. ლუარსაბი განრისხებული უცქერდა თავადებს. იგი ვერ ერკვეოდა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში და აღშფოთებ-ული იყო იმის გამო, თუ რა იოლად შესწირეს თავადებმა მსხვერპ-ლად პატარა თინათინი.

— მე რომ მეფე ვყოფილიყავი,— თვალების ბრიალითა და აღშ-ფოთებით წამოიძახა ლუარსაბმა,— მაშინ ვერავინ გაბედავდა ასე სწრა-ფად შეეცვალა გადაწყვეტილება! ეთქვათ, თქვენ მართალნი ხართ, მაგრამ თქვენი სიმართლე მელიის სიმართლეა და არა ლომისა... და შენც, შადიმან!.. მე არა მსურს ვაწყენინო მეფეს და ამიტომ სჯობს წავიდე.

სულშეხეთული ლუარსაბი დარბაზიდან გავარდა. მას ძლივს მიჰყვებოდნენ შეშინებულნი ქეშიკნი.

ნაცადი კარისკაცები ულვაშებში იცინოდნენ: ყოველი მეფე პო-ლიტიკის მონაა, და ყრმა მეფის ძის გაცხარებას ანგარიშს არავინ გაუწევს, გაიზრდება—დამშვიდდებაო.

მხოლოდ ნუგზარი არ აშორებდა თვალს შადიმანს. ერისთავი მიუხვდა განზრახვას ცბიერ კარისკაცს, რომელიც ქარიშხალმა შემთ-ხვევით აიტაცა პოლიტიკის მწვერვალზე. მაგრამ თანაც გაიფიქრა: ჩარხი მობრუნდაო, და რაკი სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნა არა სურდა, დუმილი ირჩია.

გიორგი მეფე მიხვდა, თინათინის ბედი გადაწყვეტილიაო, აუცი-ლებლობამ სიმშვიდე დაუბრუნა და წელში გაიმართა ზვიად თავად-თა ნებისყოფის წინაშე.

— შადიმანი მართალია, მეფის ასული თინათინ ერანს გაემგზავ-რება.

— მეფის ასულის კარისკაცნი,—საჩქაროდ დაურთო შადიმანმა,— მოახერხებენ ხშირად იარონ თბილისში ვითომ მარტო იმისათვის, რომ მშვენიერი თინათინის ამბავი შეატყობინონ მეფესა და დედო-ფალს, ნამდვილად კი იმისათვის, რომ საიდუმლო ცნობები მოიტა-ნონ ერანის მდგომარეობის შესახებ. რასაკვირველია, საამისო ხალხი ფრთხილად უნდა შევარჩიოთ...

— თავადნო, სიბრძნე მოითხოვს შემდგომი მოლაპარაკება ელჩებთან შადიმანს მივანდოთ: იგი კარგად იცნობს სპარსულ ზნე-ჩვეულებას.

ყველას როდი მოსწონებია საშიში მოწინააღმდეგის უეცარი ამაღლება, მაგრამ, რაკი მეფის გუნების ამბავი იცოდნენ, წინააღმდეგობას ვეღარ ბედავდნენ.

სასახლე თითქოს ღრმა ძილს მოუცავსო, მხოლოდ დედოფლის სადგომი მოგვაგონებდა გაღიზიანებულ სკას: შიკრიკნი ყოველ წუთს გარბი-გამორბოდნენ შადიმანსა, ბაკასა. ბარტომსა და ციხის უფროსთან. გიორგი მეფე თავის სადგომში ჩაიკეტა და მთელი დღე არავის უნახავს. შადიმანის გამარჯვების შემდეგ ბაკამ გადასწყვიტა გაიორკეცებინა სიფრთხილე და შეძლებისამებრ მეფეს არ მოსჩვენებოდა.

გიორგი საკაძე და დათო ქავთარაძე მესაჭურველე ამქრებს სწორედ უსტაბაშის არჩევნების დღეს ესტუმრნენ. კალოუბნის ტაძრის ახლოს მდებარე მოედანი გაჭედილი იყო მოხუცი და ახალგაზრდა ამქრებით. შუაგულს ფრიალებდა მესაჭურველე საამქროს დროშა, აბრაამის გამოხატულებითურთ, რომელსაც ძარღვიან ხელში დანა ულაპლაპებდა. აღელვებული სახეები, გაცხარებული კამათი და ცალკეულ ჯგუფთა ჩუმი ჩურჩული დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არჩევნებს.

და თუმცა ადრევე იყო გადაწყვეტილი აერჩიათ ბაადურ გოგილაძე, როგორც ყველასგან პატივცემული, გამოცდილი ოსტატი, და, რაც მთავარია, ისეთი კაცი, რომელიც მოახერხებს მეფის სასახლის მცირე თუ დიდ მსახურებთან — მელიქებთან, ნაცვლებთან და ასასებთან საქმის დაჭერას, მაგრამ, სანამ მას განუსაზღვრელ უფლებას მიანიჭებდნენ მთელი ხუთი წლით, ამქრებს სურდათ აურზაური, კამათი, თავიანთი სურვილის გამოთქმა.

ბოლოს, ჯგუფები გაერთიანდნენ.

გიორგი და დათო, რომელნიც საპატიო ადგილს დასვეს, ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს არჩევნებს.

ხმის უმრავლესობით ზეიმით აირჩიეს ბაადურ გოგილაძე და, თუმცა მისი დამტკიცებმა უსტაბაშის საპატიო თანამდებობაზე წინასწარვე იყო გადაწყვეტილი, მაგრამ რატომღაც უეცრად ყველას გაუკვირდა, გაეხარდა და იწყეს მილოცვა, თავიანთი სურვილის გამოთქმა. შემდეგ შეუდგნენ მისი ორი თანაშემწის: იგით ბაშისა (ძლიერი თავის) და ახსახკალის (თეთრი წვერისა) არჩევას.

მოედანზე, ჭადრის ქვეშ მწერალმა ამქარმა შეადგინა ოქმი სამი ოსტატის არჩევის შესახებ. ყველა ამქარი რიგრიგობით მიდიოდა მწერალთან და ძალზე წამოწითლებული, ოქმზე აღნიშნავდა ჯვარს, ეარსკვლავს, რაღაც რქისებურს, ხოლო ზოგიერთი სიამაყით ბღაჯნიდა თავის გვარს.

შემდეგ ოსტატნი და შეგირდნი ახალარჩეულ უსტაბაშთან მიდიოდნენ, ულოცავდნენ და, ჩვეულებისამებრ, მორჩილების ნიშნად ხელზე ეამბორებოდნენ. მხოლოდ მოხუცნი სამგზის გადაეხვეოდნენ ხოლმე არჩეულ უსტაბაშს, იგითბაშს და ასსახკალს.

გიორგი აკვირდებოდა მოხუც და ახალგაზრდა ამქართა სახეს და თავისთვის მოულოდნელად რაღაც თბილი და უბილავი კავშირი იგრძნო არამარტო მესაკურვლე ამქრებთან, არამედ სხვა საამქროებთანაც. ეს ხალხი ხომ ოსტატია სხვადასხვა ნაკეთობათა, რისი მასალაც გლეხთა შრომით მზადდება. ესენი გვაგრძნობინებენ ცხოვრების სწორ გზას. გიორგის თვალში ისინი უეცრად მთელი ამქვეყნიური სიმდიდრის ბატონ-პატრონებად დაისახნენ.

სააკაძე დიდი ყურადღებით და ღრმა პატივისცემით ადევნებდა თვალყურს ყოველივე იმას, რაც მოედანზე ხდებოდა. ბუნდოვანად მორიალე ფიქრები სულ უფრო გარკვეულ სახეს იღებდნენ. იგი მიხვდა, რომ წოდებათა ძალა ერთობაშია და სიამით გაიფიქრა:

„აზნაურთა კავშირი!"

და უკვე ნათლად ხედავდა თავისთავს მის მიერ შექმნილი კავშირის პირველ უსტაბაშად, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი უფლება, ფართო გეგმები აზნაურთა სამფლობელოების გადიდებისა და გლეხთა გადასახადის შემცირებისა, შესაძლებლობა მოითხოვოს ზუსტი სახელმწიფო კანონების დადგენა და ქართლის მთლიანი ჯარის შექმნა.

სააკაძემ მტკიცედ გადასწყვიტა მჟიდრო კავშირი დაემყარებინა ნოსტელ აზნაურებსა და ამქრებს შორის, რაც ასე წარმატებით დაიწყო იმ მომენტიდან, როცა სპარსელმა ვაჭრებმა ტფილისის მაიდანზე იწყეს აზნაურთა აბრეშუმის, მატყლისა და ნაკეთობათა შესყიდვა.

ფიქრებში გართული მეგობარი დათომ გამოაფხიზლა და მოაგონა, ამქართა ლხინის დაწყებამდე საჭიროა ახალ უსტაბაშთან შევთანხმდეთ საქმეზე მოსალაპარაკებლადო.

სააკაძე დარბაისლურად მივიდა უსტაბაშთან, თავაზიანად მიესალმა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

მაგრამ შეთანხმება ამჯერად ვერ მოხერხდა: ხმაურით გარს შემოეხვივნენ და წაიყვანეს ახსახკალისას, საიდანაც უკვე მოისმოდა ზურნის ხმა.

გაჩაღებულ ლხინში დარბაზის კარს მოადგა მთელს ქართლში განთქმული მესაზანდრე. თამადამ ყანწი ხელადას მიუჯახუნა. წითელი ღვინით აავსო და მესაზანდრეს მიაწოდა. მესაზანდრემ ყანწი გამოსცალა, ჭაღარა, სქელი ულვაშები მოიწმინდა, ოდნავ მოკუტული თვალი ამქრებს მოაელო, იყუჩეთო სთქვა, და დაიწყო:

— მთლად გადასარკულა ზღვა. მწვანე—ქვის მკლავზე ძევს, შავიც იქვე მოთავსებულა. მწვანეში მზე სატევარს ლესავს, შავში ვარსკვლავები ფსკერს უამბორებენ...

ზემოდან დაბურული მთები ფერადოვან წყლებისკენ მოილტვოდნენ, ძირს მარგალიტი ბანაობდა, ოქროს თევზები ზურგს ითბობდნენ, შუაგულში ფეტვი ხარობდა... ყველა კარგად იყო...

მთის მწვერვალზე მწყემსი მოღუღუნე სალამურით საძოვარს ამხიარულებდა. წყნარი ხალხი იყო... ცისფერი უყვარდა, საპურველს მხოლოდ მნოსთვის ატარებდა, სულ ცოტას მუშაობდა, ყოველივეს მზად იღებდა ღვთისაგან. მთის კალთები ნაყოფით იყო დახუნძლული. ვაზლი დამწიფდებოდა– მას ლეჩაქი მოჰქონდა ძღვნად, ატამი— ხავერდი თვალს ატკბობდა, ყურძენი– წკრიალა სიცილი გაისმოდა, ბროწეული—ცას წითელ წვენს აპკურებდა...

ყველაზე მაღალ მთის მწვერვალზე ღვთის მიერ საყვარელი განდეგილი ეკლესიას დარაჯობდა. ქვემოთ განდეგილს ყველანი დიდი პატივისცემით ეპყრობოდენ: ხალხი მასთან ადიოდა, რათა მისი წმინდა ბაგით სიმართლე ღვთისა მოესმინა. გარნა ეშმაკი კუდით აღიზიანებდა განდეგილს. ცის ფერი არ უყვარდა, წითელი ჩოხით გამოწყობილი დატანტალებდა, ხოლო ღამით აბრეშუმის სამოსით განდეგილს აცთუნებდა, კარს მოდგებოდა და ოქროს აფრქვევდა, ქალებსა სთავაზობდა... დიდხანს ითმენდა განდეგილი, მერმე ცდილობდა კეთილით განედევნა, მაგრამ ეშმაკი არ ყაბულობდა... მაშინ წმინდანმა ღმერთს ნებართვა გამოსთხოვა აბეზარი სტუმრის გასამასპინძლებლად... დიდი მარწუხი ცეცხლში გაახურა და მოუთმენლად ელოდებოდა კუდიანს. როგორც ყოველთვის, იგი ღამით მოვიდა, კარში თავი შეჰყო, კუდიც ჭუჭრუტანაში შეაძერინა... გაეხარდა წმინდანს, მარწუხით კუდი დაუჭირა. დამწვარი ბალნის სუნი რომ ადგა, ჰაერი გაჰკრა, ქვებმა რახუნი მორთეს. არ მოელოდა ასეთს რასმე ეშმაკი, მოჰყვა ხტუნაობას, კუდს შავი წყლიდან მწვანემდე ურტყამდა, ფლოქვებსა სცემდა, ჩოხას ფერი დაეკარგა, მას შემდეგ ნახშირს დაემსგავსა... სადაც ფლოქვი დაჰკრა, იქ ხვევები გაჩნდა. სადაც კუდით მთები გაჰყო, იქ ჭალება დაეფინა, სადაც ცრემლი დალვარა–ტბები შეეუბდა, სადაც ენით დაიწკლატუნა—ხრამებმა შიწა დასერეს... ახლა მთაში ზის, კუდი დაუმალავს, უფრო ენით აღიზიანებს, ადამიანს მოსვენებას არ აძლევს...

მთებმა თეთრი ნაბადი მოისხეს, მწყემსები სიცივემ გარეკა. ხალხი ზევით აღარ ადიოდა, შორი იყო... წმინდანმა კარგად იფიქრა, მხოლოდ ტყუილ-უბრალოდ დასწვა კუდი, ასეთი რამ ეშმაკს არ უყვარს. თუ ღვთის სიმართლე იცოდა, რატომ თავი არ გაუფუჭა? ეშმაკისთვის კუდი ყველაფერზე ძვირფასია... კუდიანმა წამალი უშოვნა, ეშმაკმა კუდი მოირჩინა, ხოლო ადამიანები სამუდამოდ გასთიშა: ვინც სად იყო, იქვე დარჩა. შიშით ხალხმა სატევარს იტაცა ხელი, მას შემდეგ ეს საქმე მან კარგად იცის... ცხენებზედაც შესხდნენ... და გააპენეს ამქრებთან, რათა ტიკები დაეცალათ...—მხიარულად

დაასრულა მესაზანდრემ. ტახტის ქვემოდან სათადარიგოდ დამალული ტიკპორა გამოათრია და ფამადის დახმარებით სუფრაზე დააგდო. ზურნა ხმამაღლა მიესალმა ტიკპორას, როშელიც ამქრებმა აიტაცეს. ერთი თვალის დახამხამებაში ტიკმა ოთხივე ფეხი მოჭკეცა...

მესაზანდრემ ერთბაშად დასცალა ყანწი, თავზე გადაიყლო, გუდა გაჰბერა და საკაძეს მიუბრუნდა:

— ახლა, აზნაურო, შენს პატივისაცემლად გიამბობ ჩვენი ტფილისის შესახებ ..—და დაწყერა...

ვით შევამკო ეს ქალაქი და თბილისის ვით ვსთქვა ქება,
აქ ზამთარი ბროლსა ჰმეტობს, ზაფხული კი ძვირფას ქვებსა.
აქ სარწყავის ბორბალია და იქ ტურფა ბაღის ჩრდილი,
ისმის წისქვილთ ხმაურობა, ღელავს მტკვარის ტალღა გრილი.

და სოფიის კენჭებითა აბანოში ელავს თაღი,
ნის აუზში ინებივრე თუ გინდა რომ იყო ლაღი;
ქართლის მტკიცე აგურითა ჩაუკირავთ მისი ბურჯი,
სარკეწელს დილით ოქრო ჰშვენის, საღამოთი ზეცა ლურჯი.

აბანოში შემოსული, ვით მყინვარის ხდება თოვლი,
პატარძალი განბანილი ვარდია თუ მთების ბრილი,
აქ დუქნებში ზერნა უკრავს და დუდუკი კვნესის ზოგჯერ,
ფართო გზებზე ხალხი მიდის, მოდენიან მწყეტსნი ჯოგჯს.

მოედნებზე დუქნებია, ღარდული და ქარვასლები,
იყიდება ტილო, ფარჩა, ხავერდი და ატლასები;
ქვით ნაშენი ტაძრებია, ლალადისი ლამე, დღისით
ხატების წინ შუქი ელავს და გალობა ტკბილი ისმის.

მღვდელი, ბერი, მონაზონი ვით აპრილში წვიმის ცვარი,
მაკრამ მეფის სალაროში ოქროს ფული მეტი არი,
მეფე იჯდა მეტეხს შინა ყელს უგდებდა ბულბულთ სტვენას
შორს გამოჩნდა უცებ ხანი მეფე აღარ მოასვენა.

ხანს მოსდევენ სარბაზები, წინ მოუძღვით სარდალთ კრება,
მეფე შეკრთა, თავადთ უხმობს, ბრძოლის ჟინი აღარ ჰქრება,
ქართლის ხალხი ფეხზე დადგა, მას დიდება ქებათ-ქება,
ხანი ბრაზობს, ქალაქს ირგვლივ რკინის სალტეთ შემოდგება

უთანასწორო ბრძოლაში სისხლი ღვარივით დიოდა,
ზოგი განგმირა ისარმა, და ზოგი შველა სჩიოდა,
თბილისს ხანძარი არბევდა, ურჯულო შემოდიოდა,
დარბეულ ციხე-ქალაქსა დასჩხაველა თავს მიკოტმა.

დაინგრა თუმცა ქვეყანა; მტერმა წაიღო ქონება,
ქართველი მაინც იბრძოდა, არ უფიქრია მონება,
შამულისათვის ბრძოლამა ყველას აუნთო გონება,
ადიდებულა მტკვარია ქართველთა გამოქროლება

გაუფრთხილდი, ხანო, ქართლსა, ხედავ აღსდგა კვლავ თბილისი,
ქონგურებმა შემორკალა ბაღები და გზები მისი,
სად წაეხვალ ქართლის გმირებს, ხანო, გმართებს მათი სისხლი;
უკვე მოვდევს შურის გება, ვერაფერი ეღარ გიხსნის.

მაშ კვლავ გაჩნდეს ნადიმობა, თასის ჟღერა სასიამო,
თქვას მგოსანმა ტკბილი ლექსი, რომ წყლულები დაგვიამოს,
მზევ, გაგვათბე და გვწყალობდე დედავ-ღვთისა-მარიამო,
რომ სთქვას მტერმა: ვაჟკაცები ქართლში კიდავ არიანო.

გიორგიმ ყურადღებით მოისმინა სიმღერა და ყანწი გაიესო:

— მეგობრებო, ამქრებო, ეს სიმღერა დიდი საქმეებისათვის მოვიწოდებს... სჯედეთ ხმალი, რომელსაც ვერცერთი ხანი ვერ გადაურჩება. ამზადეთ უნაგირი, რომელზედაც ვისხდებით გაცხარებულს ომში, ლესეთ ისარი, რომელიც მისწვდება ისპაჰანსა და სტამბოლს, აწვრთეთ ნალი, რომლის კვალიც დააჩნდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზებს, ჰკერეთ წაღა, რომლითაც მტერს გავსრისავთ...

მეფის წული ლუარსაბი თინათინის ოთახში იყო და დას ეალერსებოდა. ესაყვარლესი ძმის ყურადღებით გაკვირვებული და გახარებული თინათინ ოქროს გალიაში დამწყვდეულ ვარდისფერ ბროწნებს უჩვენებდა მას, უამბობდა თავის სიხარულსა თუ მწუხარებაზე და უეცრად დაიწყო ლაპარაკი საყვარელი ნესტანის ღირსებებზე, რომელსაც რატომღაც ყველა სჩაგრავდა. ეფერებოდა ძმასა და სთხოვდა დაეფარა საყვარელი მეგობარი. ლუარსაბი დააკვირდა ორბელიანის თერთმეტი წლის ასულის მუქ ოქროსფერ დალალებს და უცნაურად მწვანე თვალებს. ნათლად წარმოუდგა ობოლი თავადის ასულის მდგომარეობა. ლუარსაბს ყურადღება არ მიუქცევია იმ ხმებისთვის, რაც ორბელიანის უეცარი სიკვდილის შესახებ ვრცელდებოდა, მაგრამ პირველმა მწუხარებამ გააღვიძა სხვისი უბედურებისადმი თანაგრძნობა და დისადმი მთელემარე სიყვარული. მოესურვა თინათინის გახარება, და შეჰფიცა: ამიერიდან მე ვიქნები ნესტანის მფარველი, სანამ იგი არ გათხოვდებაო. თინათინმა აღტაცებით შემოჰკრა ტაში და ლუარსაბი აიძულა ნესტანის კოცნით განემტკიცებინა ფიცი. დარცხვენილმა გოგონამ ვარდისფერი ტუჩები გაუწოდა და ლუარსაბიც დიდი ზეიმით შეეხო მათ.

რას წარმოიდგენდა თინათინი, თუ რა უბედურებას გადაარჩინა ნესტანი...

ზაჰ აბაზის ელჩები შეშფოთებული არიან. მათ იციან, რომ უბრალოდ დროს გასატარებლად როდი ზის აქ საათზე მეტ ხანს შადიმანი და აფრქვევს მეევრმეტყველებასა და მხიარულებას. ვერცხლის სურა განუწყვეტლივ ავსებდა თასებს მშვენიერი ღვინით, საუცხოო

ლარნაკები საესე იყო სურნელოვანი ხილით. თავადის ძახილზე შემორბოდა მარდი მსახური. ელვისებურად გადაჰხედავდა შადიმანს, მაგრამ, რაკი საიდუმლო ნიშანს ვერა ხედავდა, სუფრაზე საესე სურასა სდგამდა და ცალიერი მიჰქონდა. მოტანილ სურას შადიმანი ყოველთვის პირველად თვითონ დაისხამდა და თასს ერთბაშად გამოსცლიდა იმის ნიშნად, რომ ღვინოში საწამლავი არ არისო.

ხანებს მოთმინება ეკარგებოდათ, მაგრამ, სპარსული დიპლომატიის წესისამებრ, პირველად მოწინააღმდეგისათვის უნდა ეთქმევინებინათ, ვინაიდან „ვინც პირველი დაიწყებს ლაპარაკს, მან უკვე წააგო;“ — და მოსაუბრეს სახიფათო ხაფანგებს უგებდნენ, ფეხქვეშ მოლიპულ ქვებს უფენდნენ და ადამისეულ უდაბურ ტყეებში შეჰყავდათ. გარნა შადიმანმა ხანებზე ნაკლებ როდი იცოდა სპარსული დიპლომატიის საშიშროებანი, მარჯვედ უპასუხებდა ყალთაბანდურ კითხვებს და თავის მხრივ მოსაუბრეებს მახვილ შუბებს აგებებდა.

— ყურძენი თვალის ნუგეშია, ყურძნის წვენი კი — ცხოვრების დამაამებელი. რუსეთის მეფისას თაფლის ღვინოს ასვენ, ხოლო ყუოანი საამისო ნებართვას მართლმორწმუნეებსაც აძლევს.

ერებ-ხანმა, რომელსაც დათრობა არა სურდა, იქედნურად სთქვა:

— მოწყალე ყურადღება მიაქციეთ აგრეთვე ყურანის სხვა ადგილს — „ძროხა“ და „ქალები,“ — იქ ღვინო აკრძალულია, ვინაიდან ნათქვამია: „ნადირობისას ბანგით დაუთრობელი წყურვილს ზემზემამდე* მიიტანს.“

შადიმანმა შესთავაზა, ზემზემის ნეტარების მოლოდინში ერანისა და ქართლის აყვავების სადღეგრძელო შეესვათო.

ყორჩი-ხანმა ნაზად შეახო ხელი ლურჯ ნაიარავებს მარცხენა ლოყაზე და ინაღვლა კეთილმოსურნე თავადის უმეცრება.

— ერანმა, — დაურთო მან, — შაჰ-ინ-შაჰის მეფობით უკვე მიაღწია სრულს აყვავებას, ხოლო თუ ქართლი ჩრდილოეთის ქვეყნებთან მოლაპარაკებას ირჩევს, მაშინ იგიც, უეჭველია, აყვავებას მიაღწევს...

შადიმანმა თასი ვერცხლის ლარნაკს შიაჯახუნა და მხიარულად წარმოსთქვა:

— მხოლოდ ლაპარაკი ქვეყანას არ გაამდიდრებს. იარაღის ჩხარუნი, ოქროს ჩხრიალი...

— ჩვენ ვიცით, უბრძნესო შადიმან, რომ თურქეთის ოქრო კვლავ ჩხრიალებს თქვენს ქისაში, მაგრამ განუწყვეტელი განხეთქილება გურჯისტანში რუსეთის მეფის სიმდიდრესაც კი გაანიავებს... გარნა დიდებული შაჰ აბაზი არ დაივიწყებს საყვარელ ქართლს...

---

* ზემზემი — არაბულად სახელია ჭისა მექის ტაძრის მახლობლად.

— ჩვენ ვამაყობთ დიდებულთა შორის დიდებული შაჰ-ინ-შაჰის მფარველობით, მაგრამ ქართველებს გადაწყვეტილი აქვთ თვითონ იზრუნონ საკუთარი თავისთვის.

ელჩები მიხვდნენ — ქართლელთა მდგომარეობა მტკიცეაო, და გადაწყვიტეს, ყოველგვარი საშუალებით მიეღწიათ შეთანხმებისათვის. ცბიერებაში დიდიხნის შეჯიბრების შემდგომ, ყორჩი-ხანმა ჰკითხა, მოგწონს თუ არა ძლევამოსილი მპყრობლის წინადადება?

შადიმანმა გულუბრყვილოდ მოიწონა უბრძნესი ხანების აზრი რუსთა მეფის შესახებ.

ყორჩი-ხანმა გაიღიმა და სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ რუსთა მეფის ღირსებანი ვერ ამოკლებენ მანძილს მოსკოვსა და ქართლს შორის, მექისე კი, ერთი არაბი პოეტის აზრით, საჭიროა როცა აბანოში ხარ, და არა ფლავის ჭამის დროს.

შადიმანმაც გამოსთქვა სინანული ესეოდენ მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების დავიწყების გამო: მართალია, გრძელწვერა ელჩები გვთავაზობდენ—ისარგებლეთ თერგის ნაპირას დაბანაკებული რუსთ მექისეებითო, მაგრამ ქართლმა თავისი უდარდელობით ხელი აიღო განზრახვაზე აქ დაეტოვებინა შაშხანიანი გამოცდილი მექისენი, ვინაიდან ქართლი ამჟამად სტკბება ფლავით და არა აბანოთი.

ხანებმა, რომელნიც ძლივს იკავებდენ ცოფს, კარგი მადა უსურვეს ქართლსა და მოიწადინეს გაეგოთ, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს საზეიმო განწყობილება შაჰის სურვილს ცოლად შეერთო მეფის ასული თინათინ.

შადიმანმა სიამით აღნიშნა ხანების საზრიანობა, ვინაიდან საზეიმო განწყობილების ერთად-ერთი წყარო ის არის, რომ დიდებული შაჰ-აბაზი მეგობრულად ეპყრობა ქართლსო. და ქართლმა მხოლოდ სტუმართმოყვარეობის წესის გამო არ აიღო ხელი ერთმორწმუნე რუსეთის მეგობრობაზე, მით უმეტეს, როცა ბევრს გთავაზობენ, სიფრთხილე ურიგო რამ როდი არისო.

— იქნებ კეთილშობილმა თავადმა გვითხრას, რით გადაიხდის ქართლი, მეფე გოდუნოვის ესოდენ უხვ დაპირებას?

შადიმანმა ცბიერად გაიღიმა და გულუბრყვილოდ მიუგო:

— რუსეთის მეფესა სურს თავისი ასული ქსენია ქართლის ტახტზე მჯდომარე იხილოს..

— სახელითა ალაჰისათა! ქსენია და არა თინათინ?!

— არა, ქსენია, კეთილშობილნო ხანნო, დაბეჯითებით ვიცი, რომ გოდუნოვის ასულს ქსენია ჰქვია. ჩვენმა ბრძენმა მეფემ წინადადება მისცა, მეფის ასული ტფილისს გამოგზავნეთო. ჩვენცა გვჩვევია ადრევე გავეცნოთ სადედოფლოს.

— ბისმალაჰ! მაშ, გიორგი მეფემ მეორე ცოლის შერთვა ინება?

შადიმანმა სინანული გამოსთქვა: ქრისტიანთა ღმერთს ალაჰს სიუხვე არ მოეპოვება, ამიტომ ქრისტიანთ არ შეუძლიათ ერთზე მეტი ცოლი იყოლიონ... და არც ძლევამოსილი რუსთა მეფე მოისურვებდა თორმეტი წლის ქალი მიეთხოვებინა ჩვენი მბრძანებლისთვის, რომელიც მეფის ასულს ქსენიას მამად შეჰფერისო.

ელჩებმა შეშფოთებით გადაჰხედეს ერთმანეთს. შადიმანი კი, თითქოს მათს შეშფოთებას ვერ ამჩნევსო, დამშვიდებული განაგრძობდა:

— დედოფალი მარიამი რომ კიდევაც გარდაცვლილიყო,—ღმერთმა ინებოს გიორგი X ძვირფასი სიცოცხლის დღეგრძელობა,—ნახევარი სამეფო უნდა გაგვეგზავნა ძღვნად ახალგაზრდა დედოფლის მოსაყვანად.

ხანები დიდი პატივისცემით მიაცქერდნენ ქართლელ კარისკაცს. ერეგ-ხანმა ყალიონის ბოლი გამოუშვა და დინჯად განაცხადა: ასეთ შემთხვევაში ვერცერთი მეფე სხვანაირად ვერ მოიქცევა.. გულუხვმა შაჰაბაზმა, რომელიც დარწმუნებულია, მეფე გიორგი კეთილგანწყობილ პასუხს მომცემსო, ჭეშმარიტად დიდებული ძღვენი დააბარა მეფის ოჯახისა და შაჰის მომხრე თავადებისთვის.

— ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა რომ არ მალაპარაკებდეს,—შენიშნა შადიმანმა,—მე წინადადებას მივცემდი სულგრძელ ხანებს: დეე მეფენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიუხვეში, ჩვენ კი ცხოვრების სიამეს მივეცნეთ, ვინაიდან ღვინით შეზავებული საუბარი უფრო დამატკბობელია.

ხანებმა თავაზიანად მოახსენეს, მზადა ვართ დავაკმაყოფილოთ კეთილშობილი თავადის ცნობისმოყვარეობაო, გარნა შადიმანმა საჩქაროდ დაურთო: ოცნებით უკვე წარმოდგენილი მაქვს ძლევამოსილი შაჰ აბაზის საუცხოო ურვათიო.

მას შემდეგ, რაც ხანები თავაზიანად მოითხოვდნენ, შადიმანი დასთანხმდა გაეზიარებინა მათთვის თავისი მიხვედრილობის ნაყოფი.

დიდი განცვიფრებით უსმენდნენ ელჩები შადიმანს: ქართველთა მოთხოვნა ყოველგვარ მოლოდინს სჭარბობდა. პირველი ერეგ-ხანი მოვიდა გონსა და გულცივად ჰკითხა: იქნებ კარგად ვერ გავიგონეთო? ხუთიათასი ქართლელის საჭურველი! გრძელწვერა თხებისაგან საზღვრების დასაცავად ხომ არ გესაჭიროებათო?

შადიმანმაც გაიკვირვა: რუსეთის ელჩი თავადი ტატიშჩევი უკვეთ სვამდა, ვიდრე ხანები, ოთხი ხელადის შემდეგაც კი გონება არა ღალატობდა... მე მხოლოდ საკუთარი აზრი გამოვთქვი, რაზედაც წინასწარ გაგაფრთხილეთ. გრძელწვერა თხებს გაცილებით უფრო ძლიერი ოცნება გააჩნდათ, მაგრამ ეს გარემოება აქ არავისა სწყენიაო.

ყორჩი-ხანმა წყნარად მოისვა ხელი ლილისფერ ნაიარავებზე და ცივი ხმით გააფრთხილა, რომ ერანიც არ არის ნაწყენი რუსთა მე-

ფის მდიდარი ოცნებით, თუმცა ისპაჰანისთვის უკვე ცნობილია გრძელწვერათა ზოგიერთი გეგმაო.

შადიმანი დააღონა ელჩთა არ საქებურმა აზრმა: ნუ თუ გავბედავდი და კეთილშობილ ხანებთან გავაბამდი საუბარს ჩემთვის უცნობ საგნებზეო?

ხანებმა მყის დაარწმუნეს თავადი: აღფრთოვანებული ვართ შენი დიდი ჭკუითო, და შემპარავი ღიმილით ჰკითხეს: ცნობილია თუ არა ქართლისთვის, რომ გოდუნოვი არც თუ კანონიერათ ჰფლობს რუსეთის ტახტსო.

შადიმანმა ელჩებს ურჩია: ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას ნუ მისცემთ, ვინაიდან ყოველი მეფე ოდნავ უხერხულად აბობღდება ხოლმე მაცთუნებელ ტახტზე, რომელიც ხშირად მამებისა და ძმების სისხლით არის შეღებილიო...

ერებ-ხანმა თვალი გაუსწორა შადიმანსა და სთხოვა: ჩემი ცნობისმოყვარეობაც დააცხრე და გამაგებინე, ვის აძლევს გოდუნოვი თავის ასულსო.

შადიმანმა დიდი გატაცებით დაუხატა ელჩებს გეგმა რუსეთის ძლევამოსილი მეფისა, რომელსაც სურდა ქართლის ტახტის მემკვიდრესთან შეეუღლებინა თავისი ასული.

— სარწმუნოება ერთია, მზითევი—უთვალავი, თვისი ასულის დასაცავადაც გოდუნოვი სტრელეცთა ჯარს პირდება, მაგრამ როცა ბევრს იძლევიან, სიფრთხილე ურიგო რამ როდია, ბრძენმა გიორგი მეფემ ლუარსაბის უასაკობა მოიმიზეზა და მოლაპარაკება ას ოთხმოცი დღით გადასდო: ამ ხნის განმავლობაში გამოირკვევა, რომელ მხარეს უფრო ხელსაყრელია ქართლისთვის თავისი ჰუნის მიბრუნება.

მდგომარეობა მეტად რთული იყო და ელჩებმა აღარ იცოდნენ, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო: თანხმობა თინათინისა, რომელიც შაჰს გოდუნოვის გეგმის საწინააღმდეგოდ სწადდა, თუ სხვა გზით ჩაშლა რუსთა მეფის განზრახვისა, რასაც მიზნად ჰქონდა გურჯისტანში ფეხის მოკიდება, რათა შემდეგ ვერაგულად მიჰპარვოდა ერანს.

ყორჩი-ხანს, რასაკვირველია, კრინტიც კი არ დაუძრავს შაჰ აბაზის გეგმაზე, ბორის გოდუნოვთან ერთად სტამბოლის წინააღმდეგ ბრძოლისა და ერან-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ. მან ქებით მოიხსენია სიფრთხილე ქართლის მეფისა, რომელსაც ეს საქმე შაჰ აბაზის დაუკითხავად არ გადაუწყვეტია. ერანის დიდი მპყრობელი, რა თქმა უნდა, არ ისურვებს დაუმოყვრდეს არამეფის გვარეულობის შთამომავალ გოდუნოვს. ქართლელებს მოუხდებათ არჩევანი... უბრძნესი თავადის შადიმანის ოცნება კი შაჰისაზე ნახევრით ნაკლები აღმოჩნდა, მაგრამ რაკი ქართული მეტს არ მოითხოვს, უზრდელობა იქნებოდა, რომ ელჩებს აბეზრობა გამოეჩინათ. მხოლოდ საჭურვლის შესახებ შაჰი რვა ათასზე შეჩერ-

დებოდა: სპარსელებს უყვართ ეს რიცხვი... იგი ხელს შეუწყობს თურქულ ნახევარმთვარეზე ერანის ლომის შემდგომ გამარჯვებათ. ხოლო დედოფლისათვის შაჰ-ინ-შაჰმა თვით აარჩია ინდური მანიაკი,—თითო მარგალიტი ნუშისოდენაა.

— ჩვენამდე მოაღწია,—ჩაურთო ერებ-ხანმა,—დედოფლის დიდი ხნის ნატვრამ. გიორგი. მეფემ ხომ სხვა ქალს მიართვა ასეთი საჩუქარი... ერანის ლომმა განიზრახა დედოფლის დამშვიდება... შენთვის, თავადო, განსაკუთრებით სასიამოვნო იქნება პირადად აცნობო დედოფალს ესა...

და ერებ-ხანი ვაჟკაცურად გაიმართა.

— არა ნაკლებ სიამეს მაგრძნობინებს, ძვირფასნო ხანნო, პირადად გადმოგცეთ მეფის გადაწყვეტილება: მას შემდეგ, რაც გამოგზავნით ურვათსა და სიგელს ლორეს შესახებ, განმტკიცებულს დიდი შაჰ აბაზის ფიცით, ხელწერილითა და ბეჭდის დასმით, მეფის ასული თინათინ მზად იქნება ისპაჰანს გასამგზავრებლად.

ხანებმა ხელები გაასავსავეს—ჩვენ სიამით ვვარაუდობდით, ისპაჰანს მეფის ასულითურთ დავბრუნდებითო.

შადიმანმა საქართველოს ჩვეულება დაიმოწმა, რომლის ძალითაც მაყრეში—საქორწილო ელჩები—ორჯერ მაინც უნდა მოვიდნენ, რათა შეზობელმა სახელმწიფოებმა აჩქარება წარტყვევნად არ ჩასთვალონო, საჭიროა აგრეთვე მზითევისა და ამალის მომზადება. ხოლო ხვალ, დასამშვიდებლად, ბარტომი კეთილშობილ ელჩებს გადასცემს იმის სიას, რაც შეპირებულია, ვინაიდან მეხსიერება სანდო არ არაარის: იგი ქალზე უფრო ხშირად ვვღალატობსო.

ერებ-ხანმა ჩიბუხი განზე გადასდო და შადიმანს ჰკითხა: შაჰის გამდიდრებას ხომ არ ფიქრობთ თინათინის ამალითო?

— შაჰის გამდიდრება მხოლოდ ზედმეტი ცოლით შეიძლება,—ამოოხერით მიუგო შადიმანმა,—მაგრამ იმედი მაქვს, სულგრძელი ლომი ერანისა ხელს არ შეუშლის ქართველ ქალებს. ხანდახან მოვიდნენ ხოლმე ქართლში, რათა პირადად აცნობონ მეტეხს თინათინის ამბავი.

ერებ-ხანმა რწმენა გამოსთქვა, შაჰი ამ ბუნებრივ სურვილს შეუსრულებს დედოფალ მარიამსო.

შადიმანმა ხანებს მიჰმართა, უკანასკნელი თასი შევსვათ საქორწილო მოლაპარაკების გათავების გამოო, და ელჩებს ურჩია: კარგად დაისვენეთ, ვინაიდან თქვენს პატივსაცემად დიდ ნადირობასა და ახალგაზრდა თავადთა ფარიკაობას ვაწყობთო.

— ტკბილად შეგერგოთ მოსვენება ქართლის მეფის პერს ქვეშ,—დაუმატა შადიმანმა და გამოეთხოვა.

ხანებმა მადლობა გადაუხადეს შადიმანს, რომელმაც მათ განუცხადა, სრულიად უშიშრად ბრძანდებოდეთო, მაგრამ გავიდა თუ არა

თავადი, ნაღვლიანად შეუდგნენ საქმის ვითარების განხილვასა და წუწუნს აურაცხელი ურვათის გამო. ხოლო რუსეთის მეფის განზრახვამ სულ გააქარწყლა იმედი მისი შემცირებისა, მით უმეტეს, რომ ცბიერმა შადიმანმა ნათლად გააგებინა: უკეთუ დაპირებულ ურვათს არ გაიღებო, თინათინს არ მოგცემენ და არც რუსეთთან კავშირს გასწყვეტენო.

— შაჰ აბაზი კმაყოფილი უნდა იქნეს,—დაამთავრა ყორჩი-ხანმა.

— კმაყოფილიო?—შეეკითხა ერებ-ხანი.—იცოდე, დანდობილო შრჩეველო: ყოველ მართლმორწმუნეს ურჩევნია თავი მუზარადში ეგულვებოდეს, ვიდრე შაჰის სასახლეში.

თავი ოცდამეოთხე

სამზადისი თინათინის გასამგზავრებლად დასასრულს უახლოვდებოდა. თინათინმა, რომელიც პირველ ხანებში მხოლოდ წიშს განიცდიდა ზეიადი შაჰის სახელის გაგონებაზე, შემდეგ, შადიმანის გავლენით, თავი ღვთის რჩეულად ჩასთვალა, რომელიც მსხვერპლად უნდა მიეტანათ სამშობლოსთვის, და მტკიცედ გადასწყვიტა თავი მოეწონებინა შაჰისათვის და ერთგული სამსახური გაეწია მრავალტანჯული საქართველოსათვის.

გიორგი მეფემ რომ თინათინს გუნების შეცვლა შეამჩნია, უფრო მეტი ნდობით განიმსჭვალა შადიმანისადმი, რომელიც უკვე სრულუფლებიან ბატონივით ბრძანებლობდა სასახლეში.

თინათინი ხარბად ეტანებოდა სინაზეს ლუარსაბისა და საყვარელი მეგობრის ნესტანისას, რომელიც გულწრფელ ცრემლსა ღვრიდა. ლუარსაბის ყურადღება ნესტანისადმი აწუხებდა ასტანს: ერთიც ენახოთ, ილარიონის გრძნეულობათა დაბრუნება მოითხოვაო.

— თითქოს ძირმაგარა�ო ცხვირზე,—უჩიოდა ასტანი დედას.

ნინომ გადასწყვიტა დაეფარა თავისი ქალი უსიამოვნებისაგან.

დედოფალმა ხელი ჩასჭიდა ნინოს იდეას, თინათინს ნუ განვაშორებთ თავის საყვარელ მეგობარ ქალსაო, მით უმეტეს, რომ შადიმანსაც არ მოსწონდა ლუარსაბის ყურადღება ნესტანისადმი.

წვეტიან კოშკის გარშემო შავი ხავერდის ნაჭრებივით არიალდნენ მერცხლები.

— კარგი ნიშანია,—ჩაიჩურჩულა ძიძამ და პირჯვარი გამოისახა.

გოგონა სწრაფად მიბრუნდა: ვიწრო კარში ფრთხილად მიძერებოდა დათო.

ნესტანის ნაზმა მშვენებამ და უმწეობამ ააღელვა დათო. იგი ნესტანს სახელოზე ეამბორა და მგრძნობიერად უთხრა:

— თავადის ასულო, მე ვნახე მაშაშენი... თავადი შორ მგზავრობას შეუდგა, ცისფერი ბშვიდობის ქვეყნისაკენ, და მე შეფიცე, ვიყო ერთგული ნესტან ორბელიანის ასულისა.

— კიდევ რა გადმოგცათ თავადმა? — შეშფოთებით ჰკითხა ძიძამ.

— შენი უმცროსი შვილი იესე... იგი უკვე აღარ ესაჭიროება თავადს...

დედაბერი გაფითრდა, დაბარბაცდა, ხელები უმწეოდ გაასავსავა. ნესტანი საშველად მივარდა. მაგრამ ძიძა მყის წელში გაიმართა, დათო განზე გაიყვანა და გაფითრებულმა და უცრემლომ მოისმინა დათოს ნაამბობი ორბელიანისა და თვისი ორი ვაჟის დაღუპვის შესახებ.

— ახლა განსაკუთრებული ყურადღება გმართებს, კეთილშობილო ქალო, საჭიროა ჰარამხანას გადავარჩინოთ ნესტანი... — დათო მკაფიოდ ლაპარაკობდა, ძიძა კი გულდასმით უსმენდა.

— ცრემლით დავუსველებ ლუარსაბს ფეხებს, თინათინს შევევეღრები და ნესტანს გადავარჩენ... გადაეცი იესეს, ჯერჯერობით შენთან იმუშაოს ამშაში... შემდეგ ფარულად შეუძლია მოვიდეს მეტეხში. არჩილი კარგი გულის პატრონია, ჩვენ მუდამ კარგად ვეპყრობოდა.

მზის მცხუნვარე სუნთქვა ოდნავ ათრთოლებდა მეტეხის ბაღის სპეტაკ ლეჩაქს. მწვანით შემოსილი აკაცია ღია ფანჯრისკენ იხრებოდა. მეფემ ანგარიშმიუცემლად მოსტეხა კენწალი, ხელში აათამაშა და თავადებს მიუბრუნდა.

— მაშასადამე, ოცდაერთი? დიაღ, დიაღ... ზურაბ ერისთავი ხომ არ დაგავიწყდათ? ღაზნელი, მუხრან-ბატონი, თურძანიძე... აბალგაზრდა ციციშვილი ამოშალეთ: სულელმა წასულის წინ ულვაშები შეიკრიჭა... დიაღ, დიაღ — მაშასადამე, ოცდაერთი?

— ოცდაერთი, დიდო ხელმწიფე, არავინ არ დაგვიწყნია, — მიუგო ბარტომმა.

— გავბედავ და მოგახსენებ, მეფეო, — კრძალვით დაიწყო რევაზმა, რომელიც ასტანის დავალებას ასრულებდა, — გავბედავ და მოგახსენებ, რომ არ ჩაგიწერია არცერთი მაღალაძე. თამაზმა კი ერანისათვის ულვაშები მხოლოდ გუშინ შეიღება ინით.

— მე მისთვის არ. ბიბ ხოვნია ინა- წაახდინე მეთქი... ოცდაორი კარგი რიცხვია, დიახ, დიახ... ჩასწერე, თავადო, გიორგი საკაძე.. საჭიროა ყურადღება მიექცეს გამოჩენილ აზნაურებს...

ნება მიბოძეთ, მეფეო, გაგიბედოთ, თავადები ხომ არ იწყენენ? საკაძემ მხოლოდ ამას წინათ გაიხადა უბრალო აზნაურის სამოსი.

— ეეჰ, შადიმან, ზოგჯერ უბრალო აზნაური წარჩინებულ თავადზე უკეთ აზროვნობს...

— კამათს ვერ გავბედავ, მეფეო,—გაიღიმა შადიმანმა და გულში გაივლო: „და ზოგჯერ მეფეზე უკეთაც", გარნა ხმამაღლა განაგრძო:— მოეწონება განა შაჰს მდაბიო ვინმე თინათინის ამალაში?

— მაშინ მეც უნდა ვიწყინო... განა შაჰი ჩემთან მხოლოდ მწყემსებს არა ჰგზავნის? არ მინდა შეურაცხყო შაჰის მრჩეველი ერებხანი, მან ბევრი გამარჯვება მოიპოვა, დიდი სარგებლობა მოუტანა ერანს, მაგრამ როცა მელაპარაკება ძლივს ვიკავებ სურვილს, რომ არა ვკითხო, რამდენი ცხვარია შენს ფარაში-ბეთქი. დიაღ, დიაღ... და ემირ გიუნე-ხანი? განა მან არ გააქცია მავრები, განა ის მწყემსის შვილი არ იყო, რომ ერევნის აღების შემდეგ, უბრალო სარბაზი* სახელგანთქმული მხედართმთავარი გახდა? კიდევ ბევრს დავასახელებდი, ძვირფასო შადიმან, საჭირო რომ იყოს, მაგრამ შენ, ალბათ, უკვე მიხვდი დიაღ, დიაღ... შაჰს მოსწონს, როცა მას ჰბაძავენ...

— მეფეო, ნება მიბოძე აღვფრთოვანდე შენი სიბრძნითა...

კარი უეცრად გაიღო და სხდომის დარბაზში შემოვარდა აღელვებული ლუარსაბ.

— მამავ, შენ მკვდრებზედაც შურს იძიებ. ვერ გამიგია მიზეზი ნესტან ორბელიანის ასულის მეტეხიდან განდევნისა და ჰარამხანაში გაგზავნისა.

გიორგი X ორბელიანის სიკვდილის შემდეგ სიბრალულიც კი იგრძნო გაძარცულ ნესტანისადმი, მაგრამ შვილის სიფიცხით აღშფოთებულმა მტკიცედ მიუგო: უკეთუ მეფის ასულს შეუძლია ცხოვრება ჰარამხანაში, მაშინ ეს სხვებისთვისაც არ არის სამარცხვინო.

შადიმანმა მოიწონა ლუარსაბის კეთილშობილება, მაგრამ მოაგონა თუ რაოდენ რასმე კარგავდა თინათინი, მოაგონა აგრეთვე დედოფლის სურვილი: თინათინი იმით მაინც უნდა ვანუგეშო, რომ თავის საყვარელ მეგობარ ქალს არ გავთიშო.

— თავი დამანებე, შადიმან, შენ სულაც ვერ იცნობ ჩემს დას. თინათინი ცრემლით ემუდარება მეფეს: ნესტანს ნუ დაღუპავო, და... იცოდე, შადიმან, ბევრს რასმე მე მალე არ ვივიწყებ.

გაჯავრებულმა გიორგი მეფემ ბარტომს ხელი ჰკრა, რის გამოც ამ უკანასკნელს ხელში გავარდა საწერ-კალამი. მეფემ ხრინწიანი ხმით ბრძანა, ჩენს გადაწყვეტილებას არ შეეცვლიო. ლუარსაბმა ვეღარ მოასწრო წინასწარ დამზადებული კადნიერი სიტყვების წარმოთქმა: ქეშიკი შემოვიდა, ჩაახეელა და მეფეს მოახსენა: წმინდა მამა ტრიფილიოსი მობრძანდა.

შადიმანმა სწრაფი თვალი შეავლო სახეშეწითლებულ ლუარსაბს:

„დიაღ,— გაიფიქრა შადიმანმა,— ქართლის მომავალ მეფეს ბევრი რამ უსწავლია ჩემგან".

---

* სარბაზი—ჯარისკაცი.

ტრიფილიოსი, ჩვეულებისამებრ, დინჯი ნაბიჯით შემოვიდა, დალოცა მეფე, ლუარსაბი, შემდეგ კი ყველა დამსწრე და ითხოვა: თათბირს ნუ შესწყვეტთო.

გიორგი მეფემ ფიცხად მიუგო: თათბირი უკვე დამთავრებულია და შენ, მამაო, სწორედ დროზე მოხველ, ვინაიდან მემკვიდრეს ეშმაკი აცთუნებს და ლუარსაბის მოძღვარი ვალდებულია ებრძოლოს ეშმაკის მანქანებას.

ტრიფილიოსმა წვერზე ხელი დაისვა და მორჩილებით განაცხადა: ნეტავ ყოველთვის დროზე მოვიდე ხოლმეო.

რასაკვირველია, არავის, გარდა შადიმანისა, აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ლუარსაბმა წინამძღვარს ბარათი მისწერა და სთხოვა: დაუყოვნებლივ ჩამოდი და მეარველობა გაუწიე პატარა ნესტანსაო.

ფიქრადაც არავის მოსვლია აგრეთვე, რომ ელიზბარი თავისი მალი ცხენით კავთიხევს გაექანა, რათა მოძღვრისთვის ბარათი გადაეცა და ეამბნა ორბელიანის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ. შორსმკვრეტელმა ტრიფილიოსმა, რა თქმა უნდა, უარი არ უთხოა მემკვიდრეს თხოვნაზე, და საქმეც, სიმართლე რომ ითქვას, მაინცა და მაინც საკეთილო არ იყო. რასაკვირველია, მეფე დასაძრახავი არ არის იმისათვის, რომ სურდა თავიდან მოეშორებინა მტრის ქალიშვილი, მაგრამ ქართლში მეფეები ძალზე ჩქარა იცვლებიან, ლუარსაბი კი წყენინებას კარგად იმახსოვრებს... და ტრიფილიოსმაც დაუყოვნებლივ მოაშურა ტფილისს.

შადიმანმა რომ მდგომარეობას ანგარიში გაუწია, მეფეს ხვეწნა დაუწყო: დაუთმე ლუარსაბის კეთილშობილურ სურვილსაო, მაგრამ გიორგი ჯიუტობდა და არავითარი საბუთის გაგონება არა სურდა.

ტრიფილიოსი დავაში არ ჩარეულა, მაგრამ, როცა მეფესთან მარტო დარჩა, მკვეთრად გაჰკიცხა მისი უსამართლობა. განა ქრისტე არ გვასწავლიდა მიუტევეთ მტრებსაო? პატარა ნესტანი კი ასულია მხოლოდ დალუპული მტრისა. ან იქნებ მეფესა სურს ეკლესიის გულის მოგება, როცა ქრისტიან ქალს მაჰმადიანებს აძლევს? რიღასთვის უნდა დავაძალოთ თუ კი ურწმუნონი არც კი მოითხოვენ.

კიდევ ბევრი რამ უთხრა ტრიფილიოსმა დარცხვენილ მეფეს, და დილით მთელი სასახლე ლაპარაკობდა ლუარსაბის გამარჯვებაზე და შურით უცქეროდა ნესტანს, რომელმაც მეფისაგან საჩუქრად მიიღო მცირე მამული. მალე იესე გადავიდა ამ მამულში, რომელსაც „პატარა ორბეთი“ დაერქვა და ერთგულად შეუდგა მეურვეობას, რადგან სურდა შესაფერი შემოსავალი უზრუნველეყო ნესტანისათვის.

დათომ ხმალი გასწმინდა, ახალი წაღები ჩაიცვა და ორბელიანისას წავიდა.

არავინ იცის, რაზე ელაპარაკა რევაზს დათო, გარნა მამუკა ირწმუნებოდა, რომ მას, მამუკას, თავადთან ასე მღელვარედ დრო

არასოდეს არ გაუტარებია. მეორე დღეს კი, მიუხედავად ნინოს სინინისა, მერაბის მუქარისა და ასტანის გულწასვლისა, ან შესაძლებელია, სწორედ ამიტომაც,—მამუკამ ორბეთს გაჰგზავნა რევაზის მეჩიბუხე და დაავალა: პატარა ორბეთს გაჰგზავნე ილარიონის საყვარელ მსახურთა სამი ოჯახი, ორასი ცხვარი, ექვსი ცხენი, ორი უღელი კამეჩი და სამი ძროხაო. მამუკამ შემთხვევით ისარგებლა და პატივცემულ აზნაურს, რომელიც უმჯობესია მუდამ მეგობრად გყავდეს, მარჯნის ბეჭედი უთავაზა.

ამ გვარად, ნესტანი, თუმც არა მდიდარი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი გახდა.

ასე გაუწიეს „ვეფხებმა“ პირველი სამსახური ორბელიანის ასულს, რომელიც შემდგომ პირველობას ეცილებოდა ყველას მეტეხ'ში.

ასე შეხვდა პირველად ლუარსაბი „ვეფხებს“, რომელთა სავალიც მომავალში არ ერთგზის გადახლართულა ლუარსაბ მეორის ცხოვრების გზასთან.

— როგორა ხარ, გიორგი? ამბობენ, ნოსტეში მდიდრდებაო.

სააკაძემ მადლობა გადაუხადა ყურადღებისათვის და გაკვირვებულ მეფეს უამბო იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც თავისი მეურნეობის ასაყვავებლად იხმარა.

მეფემ შეაქო ჭკუიანი აზნაური და სიცილით ჰკითხა: ძალიან ნაწყენი ხომ არ არიან ნოსტელნი, რომ მაღალაძეს არ ეკუთვნიანო?

სააკაძემ გულმხურვალედ დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა აზნაურს სურს დაირაზმოს მეფის გარშემო. ნიალვარივით მიეძალა გიორგის დიდი ხნის სანუკვარი ფიქრები. მეფის წინაშე გადაშალა დიდი შესაძლებლობანი. სააკაძეს ეგონა, თავადთა თვითნებობა მეფის უცოდნელობისაგან წარმოსდგებაო. რა თქმა უნდა, მეფემ არა იცის რა აზნაურთა მზარდი ძალის შესახებ: საკმაოა მეფემ მოისურვოს მხოლოდ ამ ძალის გამოყენება ქართლის გასაერთიანებლად და თავადები მყის ქედს მოიხრიან მეფის გადაწყვეტილების წინაშე.

და გიორგიმ მეფეს დაუსახა შესაძლებლობა თავადთა ძლიერებისათვის დაეპირისპირებინა ძლიერება აზნაურებისა, რომელთაც ხალხი გაჰყვებოდა. ნოსტელ აზნაურებზე უკეთ ხომ არავინ იცის ხალხის საჭიროებანი. მათზე უკეთ არავინ იცის, თუ რა ზიანს აყენებს ქართლს გაერთიანებული ლაშქრის უყოლობა. უკეთ არავინ იცის, თუ რა რკინის მარწუხებივით უჭერს ყელში ქართლს თავადთა მიერ შექმნილი მრავალგვარი ზღუდე, რომელიც ჰღობავს გზასა და რომელზე გასავლელადაც ხალხი უკანასკნელ ფარას იხდის.

განა თავადებს ძალუძთ ხალხის ერთიანი ნება-სურვილის გამკლავება? განა მეფის მთლიანი ხელისუფლება ქართლის კეთილდღეობა არ არის? ერთ სამეფოდ ქცეული ქართლი მაჰმადიანებს შეუშინდება? ბრძანე, მეფეო, და... ბევრი რამ სულ სხვანაირად იქნება...

სიცოცხლეს არ დავზოგავ შენთვის, ქართლისთვის, ღუარსაბისთვის, ერთს კი არა, უთვალავი სიცოცხლე მქონდეს, მაინც არ დავზოგავ!

ქართლის მეფე ერთხანს თავმომწონედ ისმენდა საკაძის ვნებიან სიტყვებს და, ბოლოს, ამოოხვრით წარმოსთქვა:

— ჯერ მაგისი დრო არ არის, გიორგი... გეტყვი, როცა დრო დადგება... ერანს განგებისად გგზავნი, ეცადე, მოეწონო შაჰს... ნახე, როგორ მეფობს, რა ჯარი ჰყავს, რა ურთიერთობაშია რუსეთთან, ყველაფერი ნახე... დიაღ, დიაღ; შენ გენდობი, გიორგი... თუ ერთგული იქნები, თავადობას გიბოძებ, ჯარის სარდლობას მოგანდობ... დიაღ, დიაღ, დიდ რამეზე ვფიქრობ. დავით აღმშენებლის დროს დიდებულებს სულ მოკლე ხელები ჰქონდათ, სურვილებიც მცირე, ახლა კი მთელს ქართლზე ხახა დაუღიათ... დიაღ, დიაღ, წადი, ქარგად დაუკვირდი ერანს, ყარაჯუღაის მაგალითს მიჰბაძე... დაბრუნდები და გებაასები...

გიორგი მეფე წამოდგა.

— მეფეო, კვლავ ერთი თხოვნა... ნოსტეში ერთი ქალიშვილია, ერთად ვიზრდებოდით... ნინათ მის თხოვას ვაპირებდი, ახლა კი, როგორც ჩემი მეფე მიბრძანებს.

მეფემ გიორგის თვალი მიაპყრო: რომ ჰყვარებოდა სხვანაირად მთხოვდაო. რა გაეწყობა, შემიძლია კიდევ ერთი სამსახური გავუწიო აზნაურს. დიაღ, დიაღ. უსიყვარულო ცოლი და უმარილო თევზი ერთნაირი გემოსია...

თავის ოხუნჯობაზე გაეღიმა და სერიოზულად სთქვა:

— არა, გიორგი, ჯერ დრო არ არის ცოლის შერთვისა... და ისიც გლეხის ქალზე არა ღირს... აი ნუგზარს უყვარხარ, სულ გეპატიჟება, მუხრან-ბატონიც მოწყალედ გეპყრობა, მოიცადე; თავადი გახდები და თავადის ქალს შეირთავ...

გიორგის თითქოს მძიმე ლოდი მოეშვა გულზედაო. ერთი წუთით აზრმა გაუელვა—უხეირო თხოვნა იყოო, მაგრამ ფიცხლად უკუაგდო სინანული: „საპირადოზე ფიქრის ნება არა მაქვს, მძიმე გზა მომელის... და რა მომელის? განა თვალის ჩინი არა მაქვს? მაშ, შეცდომა რისთვისღა ჩავიდინო?“

შეაღო თუ არა კარი საკაძემ, მეგობრები ათასგვარი კითხვებით მისცვივდნენ, მაგრამ გიორგი მტკიცედ სდუმდა. რად გიხმო მეფემ? გამომიცხადა თინათინის ამალაში ჩარიცხვა... საგანგებოდ დამავალა მეფის ასულის დაცვა... მერე საელჩოს თავი ვინ არის? რასაკვირველია, ნუგზარ ერისთავი ..

— დიაღ,—უეცრად გაფიცხდა გიორგი, — მეფეს ცოლის შერთვის ნებართვა ვთხოვე... უარი მითხრა... დათო, გთხოვ, გადასცე ნინოს... დრო არ არისო მითხრა, ცოლის შერთვისა, დიდი საქმისთვის მინდიხარო, ხოლო რა საქმეა, ამას დაბრუნების შემდეგ გეტყვიო...

მეგობრებმა ერთმანეთს გადაჰხედეს. დათომ თავისუფლად ამოისუნთქა: როგორც იქნა, გიორგის ხელი გაეხსნა, მეფის უარი მოსალოდნელი იყო. მწყემსის ქალისთვის როდი აუყვანია მეფეს საცოლად ამ სიმაღლეზე. მეგობრები ერთსულოვნად დაეთანხმნენ დათოს. მხოლოდ დიმიტრი უეცრად ვაუჯავრდა დაუთბეგს.

— ნენ რითა ხარ კმაყოფილი? ვინ იცის, იქნებ ნინო ათას თავადის ასულად ღირდეს, იქნებ მისი ერთი ცრემლი მთელი ქართლის ქვრივთა ტირილზე უფრო ძვირფასი იყოს, იქნებ... თქვენ ყველანი ვირები ხართ! დღენახევრის განმავლობაში არ გაბედოთ ჩემთვის ხმის გაცემა!

ქუდს ხელი დაავლო და ქუჩაში გავარდა. ძილგატეხილ გიორგის შუალამისას ესმოდა, როგორ დაეხეტებოდა ეზოში დიმიტრი.

მეფე დიდძალ განძს აგროვებდა თინათინის მდიდრული მზითევისათვის. ახალი ერთდროული გადასახადი მძიმე ტვირთად დააწვა კისერზე ქართლს: სოფლებიდან მოერეკებოდნენ ცხენებსა და აქლემებს, ვაჭრებისაგან მოითხრევდნენ აბრეშუმსა და ხავერდს, ამქრებისაგან კი—ფულს.

იცოდა მეფემ: მხოლოდ მდიდრული მზითევით, დიდებული ამალითა და ბრწყინვალე თავადთაგან შედგენილი საელჩოთი შესძლებდა იგი პატივისცემა გამოეწვია თინათინისადმი და საპატიო ადგილი უზრუნველეყო მისთვის შაჰ აბაზის კარზე...

ნუგზარი ვულმოდგინედ ემზადებოდა ერანს გასამგზავრებლად, არაგველი ამალა ბრწყინავდა ძვირფასი საჭურველით, ნაზი მაუდის და ხავერდის ჩაცმულობით. რუხ ცხენებზე მჯდომს ორმოცდაათ ახოვან მოლაშქრეს შვენოდა სიყრმე და ძალოვნება. ნუგზარმა მეტეხის მთავარ ეზოში უჩვენა მეფეს თავისი ამალა და უთხრა: დიდი ხანია მინდოდა მეამებინა შენთვის, მეფეო, ვინაიდან დიდად დავალებული ვარ განსვენებული მამიშენისაგან და აი, გთხოვ, თინათინისათვის საჩუქრად მიიღო აბრეშუმით დასაპალნებული ხუთი აქლემიო.

ხოლო სხვა თავადებსაც გადაეწყვიტნათ მთელი თავადური ბრწყინვალეებით წარსდგომოდნენ შაჰს და ამიტომ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელფართოობაში. მეტეხი აივსო მდიდრული საჩუქრებით, დიდებული ამალითა, აღკაზმული მოლაშქრეებით, საჭურველის ჩხარუნითა და ოქროსტარიანი აბრეშუმის დროშებით.

მეფე სიამით ათვალიერებდა დიდებულ ამალას.

მშვენიერი დარი იყო. ცისფერ სივრცეში ზეიმოვანად გაისმოდა სიონის ზართა რეკა. დამთავრდა საზეიმო პარაკლისი. საელჩომ და თავადთა ამალებმა რკალი შეჰკრეს საუცხოო ტახტრევანის გარშემო,

რომელიც აქლემზე იყო დადგმული. საკაძემ სასწრაფოდ გადასწია ტახტრევნის კალთა, თავად თურმანიძის მეულლემ ატატებული გამოიყვანა გონწასული თინათინ. დედოფლის ქვითინი მთელს მეტეხში ისმოდა. ცხენები რუხ ფილაქანზე აჭახუნდნენ.

ბაღის მიყრუებულ კუთხეში ლუარსაბი შუხას შემოხვევოდა და მწარედ ქვითინებდა.

ტფილისის გარემო მთები თანდათან უკან რჩებოდნენ. ლურჯ ნისლში გახვეული, დაღვრემილი სთვლემდა თეთრქუდიანი მყინვარი.

თავი ოცდამეხუთე

ხაერდის ბალიშზე დაეწყო შაჰ აბასს თვისი მძლავრი ხელები; მრგვალ სარკეში იხატებოდნენ ჯერ კიდევ სოველი, დაინული ფრჩხილები.

დალაქი მოწიწებით უსაპნავდა ყბებს. მოოქრულ სავარძელს უკან გაქვავებულიყვნენ ახოვანი სირიელი მამელუკები, რომელთაც ხელში ეკავათ ძვირფასი თვლებით მორთული სამოსი შაჰისა. ოქროს ხონჩზე გეელივით მოხვეულიყო ვარდისფერი, ბრილიანტით შემკული დოლბანდი.

შაჰ აბაზი ქართლის საელჩოს ელოდებოდა. იკი დიდი ხანი მისწვდა „შავი და თეთრი წიგნის“ საიდუმლოებას, მას უკვე აღარ აღელვებდნენ ის ლამაზმანები, რომლებიც დავლეთის ჰარამბანას ავსებდნენ. ერანისათვის ზრუნვა ჯემშიდის ფიალაში ერთმანეთს ურევდნენ კრიტელ ბანოვანთა ლურჯ თვალებს, ინდოელთა — წვრილ. სომეხთა,—მოგრძო, ეგვიპტელთა—უცნაურ, ჩერქეზთა—ვნებიან თვალებს, ხოლო თინათინის ნუშისებური თვალები ერანის ლომის გულისყურს ჩრდილოეთის საიდუმლოებისაკენ აპყრობდნენ და არა სამხრეთული ლხენისაკენ.

ოცდათხუთმეტ წელთაგან თვრამეტმა ხმლის ჩახაჩუხში განვლო.

. ოსმანთა, არაბთა, უზბეკთა და მავრთა ურდოები ერანის ლომის ურყევ ნებისყოფაზე იმსხვრეოდნენ და დიდებული ინდოეთი უკვე თრთოდა სპარსელ ყულის ჯართა ყიჟინის გაგონებაზე.

დიდმშვენიერება, რომლითაც ქართლის მეფემ თავისი ასული გაჰგზავნა, შაჰის თავმოყვარეობას უსალბუნებოდა; ერანის მბრძანებელი იმდენად თინათინისათვის არა ზრუნავდა, რამდენადაც იმისათვის. რომ მაღალ წოდებას და მაიდანზე შთაბეჭდილება მოეხდინა. ამიტომ თინათინს სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყო.

ისპაჰანი ხალებით, ფერადი შალებითა და ნაზი ქსოვილებით მოირთო, მეჩეთები ნაირფერად ბრწყინავდნენ.

ქალაქის კარებიდან მოკიდებული დავლეთ-ხანემდე ჩამწკრივებული იყო კოხტად გამოწყობილი ფარეში ანუ შაჰის პირადი ჯარი-

მჭიდრო რიგებს უკან უთვალავი ხალხი იდგა. ბანებზე ნაზი ჩადრები ფრიალებდნენ. ქუჩებში დაძვრებოდნენ ტკბილეულობისა და ცივი წყლის გამყიდველნი; მათი ყვირილი ხალხის გუგუნს ეზავებოდა.

დილიდანვე, პირველი ნამაზის შემდეგ, ქართლის საელჩოს შესახვედრად გაემგზავრნენ დიდებული ამალით გარშემორტყმული გამოჩენილი სანები. მათ ვერცხლის ზარების წკრიალითა და ერთმანეთის მიყოლებით მისდევდა შვიდი თეთრი აქლემი—შუთირ-ბაადი, ძვირფასად აღკაზმული და წითელი ხავერდის სამაგრავებით, ცისფერი შძივებით, ეჟვნებითა და ოქროსფერი ბაფთებით მორთული. მეოთხე აქლემს ედგა ძვირფასი აბრეშუმის ტახტრევანი. იქ იჯდა სეფეწული ზერამ, რომელსაც ქართლელთაგან უნდა მიეღო თავისი ძმის სასძლო.

დანარჩენ აქლემებზე ისხდნენ გამოჩენილი ხანთა ვაჟები, რომელთაც გარს ეხვივნენ ამალა და ქეშიკები.

ქალაქიდან ორი აღაჯის* მანძილზე შეხვდნენ ერთმანეთს ქარავნები: შაჰის ქალაქგარე სასახლეში ოდნავი შესვენების შემდეგ სეფეწულმა თეთრი, მოქარგული ჩადრი ჩამოაფარა თინათინს. საზეიმო წუთმა სამუდამოდ დააშორა თინათინი მთელს ქვეყნიერებას. იგი სეფეწულსა და თავად თურმანიძის მეუღლესთან ერთად მოოქრულ ტახტრევანში გადაჯდა და ქვითინი აუტყდა, მაგრამ დუდუკის ხმასა, აქლემთა ღრიალსა, ცხენთა ჭიხვინსა და მისალმების აღფრთოვანებულ ყიჟინაში მისი სასოწარკვეთილი კვნესა არავის ესმოდა.

სპარსელი დიდებულნი თეთრ აქლემთა ქარავანს შემოერტყნენ გარს. ისინი ქართველებს ეჯიბრებოდნენ ბრწყინვალებასა და თავაზიან ქცევაში.

ყარაჯუღაი-ხანი, რომელიც თავის ბერბერულ ულაყს ნუგზარის გვერდით მიაგელვებდა და მასთან ტკბილ მუსაიფში იყო გართული უეცრად დააინტერესა ბუმბერაზმა, უბრალოდ რომ იყო ჩაცმული. ერისთავმა სანაქებოდ დაუხასიათა საკაძე. ყარაჯუღაი-ხანი გულმოდგინედ დააკვირდა გიორგის.

მშვენიერმა და სათნოებიანმა თინათინმა ერთბაშად მოჰხიბლა თავისი ტოლი სეფექალები. კანონიერი ცოლები კი ყურდაცქვეტილნი უცქერდნენ ახალ მეტოქეს: მათ ვაჟი არა ჰყავდათ, ქართველ ქალს კი ვაჟის შეძენით შეეძლო დაეპყრო შაჰის გული. კანონიერი ცოლები ხასებს როდი სთვლიდნენ იქვნეულობის ღირსად... სხვადასხვა უცხო ქვეყნებში შეკრებილი კეკლუცები მეფის ასულნი როდი იყვნენ. თუმცა მათ ერანის მბრძანებელს ორი ვაჟი შესძინეს, რომელთაგან შაჰ აბაზმა პირველს ხოდაბენდ-მირზა დაარქვა, მეორეს კი—იმამყული-მირზა, მაგრამ რაკი იმედი ჰქონდა, ვაჟი კანონიერი ცოლისაგან მეყოლებაო, არც ერთი არ დაუნიშნავს ტახტის მემკვიდრედ.

---

* აღაჯი—დაახლოებით შვიდი კილომეტრი.

ერანში უკანონოდშობილი ბავშვები არ იყვნენ. თვით შაჰის სასახლეშიც, როცა კანონიერ ცოლთაგან ნაშობი მემკვიდრე არ არსებობდა, ტახტი ხასებისა და მხევლების ვაჟებსაც კი ერგებოდათ ხოლმე, ხოლო უკეთუ აქაც შაჰს ბედი არ გაუღიმებდა, მაშინ ტახტი შაჰის გვარეულობის ახლო ნათესავზე გადადიოდა. ამიტომ შაჰის ჰარამხანაში გამეფებული იყო ვერაგობა, სიძულვილი და საშინელი ურთიერთობა ყველასი და ყველას წინააღმდეგ, და გასაკვირველი როდია ჰარამხანის შეშფოთება ყოველი ახალი ქალის გამოჩენისას... თინათინი კი, ამასთან ერთად მეფის ასული და ასეთი დიდებით მოსილი, ორმაგად საშიშარი იყო: იგი შაჰის ტოლი იყო.

„მაგრამ, ჰფიქრობდნენ კანონიერი ცოლები, — უკეთუ ალაჰი არ ინებებს ვაჟი შეგვიძინოს, უმჯობესია მომავალი შაჰი მეფის ასულმა შობოს და არა მხევალმა, რომელიც, ეით მემკვიდრის დედა, ყველაზე გაბატონდებაო...“

და სერალმა თინათინი გარევნულად დიდი სიხარულით მიიღო, ვინაიდან ვისაც სიცოცხლე უღირს, იმას ყოველივე ისიც უნდა მოსწონდეს, რაც შაჰსა ნებავს...

ემირ-გიუნე-ხანი, მეჰმანდარისა და შაჰ აბაზის ამალის თანხლებით, ქართლის საელჩოს დავლეთხანეს ათვალიერებინებდა. აღფრთოვანებულნი და გაოცებულნი უცქეროდნენ ქართველნი შაჰის სასახლის ფუფუნებას, ყოველი ნახული სიზმარი, „ათას ერთი ღამის“ ზღაპარი ეგონათ.

სააკაძე განცვიფრებული უფრო იყო, ვიდრე აღტაცებული. მან ირონიულად გაიფიქრა: „რამდენი ბელი უნდა ჰქონდეს ყოველ სპარსელს, შაჰს რომ ასეთი სიმდიდრე მიუხვეჭოსო!“

ემირ-გიუნე-ხანი მეტად კმაყოფილი იყო, რომ გააოცა ქართლის საელჩო, და თავაზიანად მიპატიჟა შემდეგს დარბაზებში, სადაც საპატიო სტუმრებს შეძლოთ გასცნობოდნენ ერანის ბრწყინვალე ისტორიას.

მოოქრული კარი სწრაფად გაიღო და ქართლის საელჩო თამბაქხანეში შევიდა. ღრმა ნიშები მორთული იყო ჩუქურთმებითა და ფრესკებით. ცისფერ კედლებზე წარწერებით იყო სამარადისოდ აღბეჭდილი საგმირო საქმენი დარიუს ჰისტასპოსისა.*

გვერდის კედლებზე გამოსახული იყვნენ ნაირფერ სამოსიანი დიდებული სატრაპები, რომელნიც კილიკიურ ცხენებსა და ეთიოპურ სპილოს ძვალსა სძღვნიდნენ ეგვიპტის დამპყრობს არტაქსერქს III.

---

* დარიუსი ჰისტასპოსი (521—485 ჩვენ ერამდე) — აკადემელი მეფე ხუმენიდების გვარიდან.

მკვეელმა შავი კარები შეაღო და საელჩომ, რომელიც განგებ ხმამაღლა გამოსთქვამდა აღფრთოვანებას, დაათვალიერა დიდი და შცირე დარბაზნი, რომელნიც მოხატული იყვნენ ვარსკვლავებით, ფრინველებითა და ყვავილებით, ჰერი თითქოს მოლურჯო ნისლით იყო დაბურული. ვარაყიანი რელიეფებით იყო აღბეჭდილი საგმირო საქმენი მბრძანებლისა: აი შაჰს დაუღრჩია ლომი, მოუკლავს ფასკუნჯი, მიუღია მოხარკენი და მოუთოკავს ყალხზე შემდგარი მერანი.

უკანასკნელი დარბაზი, ფერადი სამკუთხიანი სარკეებით შემკული და თაღოვანი, ფერადისავე ფანჯრის მინებით გაშუქებული, „დექეს"—დახურულ ეზოს ეკვროდა.

ემირ-გიუნე-ხანმა ოდნავ აცალა, სანამ ქართლელნი საზღაპრო დარბაზის დიდებული ცქერით დასტკბებოდნენ, და მერმე თავაზიანად მიიპატიჟა დივან-ხანაში, სადაც საელჩო შაჰ აბაზს უნდა წარსდგომოდა. დივან-ხანაში რომ შევიდნენ, ქართლელებმა ახალი აღფრთოვნებით დაათვალიერეს ინდური რვაკუთხიანი მაგიდები, ვიწრო, მაღალზურგიანი სავარძლები, სპილოს ძვლით მოოქვილი მრგვალი კვარცხლბეკები.

საზეიმო დუმილში, მეჰმანდარმა ქართლის საელჩო შაჰის ტახტის წინ დააყენა ისე, რომ ყოველ მათგანს მიუჩინა ადრევე გათვალისწინებული თვისი ადგილი.

საარაკო ფუფუნებით გაკვირვებული, ქართლელი თავადნი მოწიწებით ელოდებოდნენ ამ ზღაპრული სიმდიდრეთა პატრონის დანახვას.

და როდესაც გამოჩნდა ჯმუხი შაჰი, რომელიც ტანადობით სპარსელ ქვეითს ჯარისკაცს მოგაგონებდა, ქართლელი თავადნი მყის პირქვე დაემხნენ.

შაჰი დინჯად აბრძანდა ტახტზე და ძლივს გაიმეტა მოწყალე სალამი. ნუგზარმა, როგორც საელჩოს თავმა, პირველმა ილაპარაკა. გიორგი X სახელით მან მადლობა გადაუხადა იმ დიდი პატივისათვის, რაც მეფის ასულს თინათინს დასდეს, და იმედი გამოსთქვა, ორივე ქვეყნისთვის ესოდენ სანუკვარი ნათესავური გრძნობა მარად უკვნობი ყოფილიყოსო. ამირინდო ირწმუნებოდა: მუდამ შენი ერთგული ქართლელი თავადნი მზად არიან ებრძოლონ საერთო მტერსაო, და სთხოვდა, შენს მაღალმოწყალე ყურადღებას ნუ მოგვაკლებო.

ილაპარაკა აგრეთვე მოხუცმა თავადმა დიასამიძემ, ერთგულების გრძნობანი დაჰფინა ზაზა ციციშვილმა, და მირვან მუხრან ბატონმაც, არა ერთი და ორი გონებამახვილური სიტყვა დახარჯა.

შაჰ-აბაზმა თვალით გაზომა დიდებული საელჩო, იმისი მდიდრული ჩაცმულობა, ძვირფასი აღჭურულობა და პატივცემით განიმსჭვალა.

---

* არტაქსერქს III (361 — 338 ჩვენ ერამდე) — სპარსეთის მეფე ახემენიდების გვარიდან.

„ასეთი ხალხი,—გაიფიქრა მან,—უმჯობესია, იარაღით კი არა, სხვა საშუალებით დაიპყრო“.

შაჰი რომ ქართველ თავადთა მოხდენილ სპარსულ სიტყვებს უსმენდა, ერთბაშად გამქვალავი თვალი საკაძეს მიაპყრო: ალი-ბაინდური მართალია, ეს ყველაზე უფრო გამომადგებაო.

მირვანმა მისალმების დასასრულს მოიხსენია ქართლის სიხარული მეფის გიორგი X სიბრძნის გამო, რომელსაც საყვარელ ერანთან კავშირი ერჩივნა ყოველთვის სხვა ქვეყნების მოყვრობას...

შაჰთან სადილობის შემდეგ საელჩო მისთვის განკუთვნილ ბინებში წავიდ-წამოვიდა დასასვენებლად და დასაძინებლად.

დილით ქართლის საელჩო კვლავ სარკოვან დარბაზში შეიკრიბა, სადაც მას ემირ-გიუნე-ხანი ელოდებოდა.

ჩვეულებრივი მისალმების შემდგომ საელჩო გაემართა მოჭიქული ‘მორენკეცით მოგებულს დახურულ ეზოში, რომელიც განკუთვნილი იყო უცხოელთათვის ძვირფასი უნაგირით შეკაზმულ ჯიშიან ცხენთა საჩვენებლად და აგრეთვე ძღვენთა მისაღებად და მისართმევად. შაჰ აბაზმა მოწყალეთ მოისმინა ქართლის საელჩოს მისალმებანი.

ერანის მბრძანებელი ხანთა დიდებული ამალითურთ გრილს, მოზაიკურ ნიშში მოთავსდა და თავმომწონედ უჩვენებდა განცვიფრებული ქართველ სტუმრებს სხვადასხვანაირ საუცხოო ნაკეთობათ: სპილოს ძვალს, ოქროულს, მინა-მინანქარს, მოზაიკას. ძვირფასი თვლებით სავსე ბროლის კოლოფნი, ეგვიპტური, არაბული და ინდური ნაკეთობანი შეჰერაზადის ლეგენდას აცოცხლებდნენ.

ბოლოს, ქართლის საელჩომაც გაჰბედა გაეკვირვებინა შაჰი თვისი ქვეყნის სიმდიდრით.

ქართლელთა ძვირფასი ძღვენი რომ დაათვალიერა, შაჰ აბაზი უკვე აღარ ეჭვობდა, რომ ქართლის სამეფო მტკიცე იყო და საბოლოოდ დარწმუნდა თვისი პოლიტიკის სისწორეს. ხანები რომ შაჰ აბაზისაგან ამა თუ იმ ნიუთს იღებდნენ დასაფასებლად. რაკი თავიანთ მბრძანებელს ნასიამოვნებს ხედავდნენ, გადაჭარბებულად ხარობდნენ და ქება-დიდებას ასხამდნენ ქართველთა გამოვნებას. ხანებისა და სასახლის ამალის შემდეგი მლიქვნელ მსახურთა ბრბო რომ საჩუქარს იღებდა, პირფერულად იკავებდა სიხარულსა და ჩურჩულით, ისე კი, რომ შაჰის მახვილ ყურს მისწვდომოდა, ადიდებდა ერანის მბრძანებელს, რომელმაც უცხო ქვეყნები ასეთი სამოთხისებური ძღვნის მოსატანად აღძრა.

დიასამიძემ საქართველოს წშიდათა-წშიდა—დავით აღმშენებლის ფარი მიართვა. ჭალარა დიასამიძე აკანკალებული ხმით სთხოვდა ერანის უძლეველ ლომს მიეღო ეს წმინდათა-წმინდა — „ფარი, რომელმაც ნანგრევებიდან ფენიქსებრ აღადგინა საქართველო,“ თავადის დაღარულ სახეზე მსხვილი ცრემლი მოგორავდა. კაცი, რომელსაც

თავის სიცოცხლეში მრავალი უბედურება ენახა მაჰმადიანთგან, ფარულ მტერსა სთხოვდა მიეღო ფარი, ვით ნიშანი იმისა, რომ ქართლის ბედი მას ებარებოდა.

შაჰ აბაზი გულში ზეიმობდა და თავს ისე აჩვენებდა, ვითომ დიდად ნაამები იყო. ქართლი ჩემთვის თითქოს ერად-ერთი ვაჟია, საყვარელი ცოლისაგან ნაშობი, და ვინ გაბედავს ხელი ახლოს ამ მშვენიერს მონათესავე ქვეყანასო.

უკანასკნელი ძღვენი, რომელიც ნუგზარ ერისთავმა მიართვა, ერანის დროშა იყო: წითელს ხავერდზე ოქრომკედითა და მარგალიტით ამოქარგული ლომი, ზურგზე რომ მზე ულაპლაპებდა, ხმალაღმართული შესცქეროდა ბრილიანტის ვარსკვლავს.

შაჰი წინასწარ სტკბებოდა იმ მითქმა-მოთქმით, რაც სწორედ დროზე ჩამოსულ უცხოელ ვაჭართა შორის ატყდებოდა: საჭიროა მაიდანს ეცნობოს საელჩოს დიდებულობისა და მის მიერ მორთმეული ძვირფასი ძღვნის შესახებ, რათა ვაჭრებმა თავიანთს ქვეყნებში ილაპარაკონ შაჰ აბაზის დიდებასა და ძლევამოსილებაზე.

მსახურთ ფეხაკრებით შემოიტანეს მდიდრული საჩუქრები და შაჰმა იწყო ქართველ თავადთა უხვად დაჯილდოება. ძვირფასი თვლებით შემკული სამოსი, დამასკური საპურველი, მოელვარე ბეჭედი ბრწყინავდა ქართველთა ხელში.

ახალგაზრდა ქართელმა თავადებმა, რომლებიც მთელს გზაში ალმაცერად უყურებდნენ „მდაბიოს“, თვითმაყოფილებით გადაჰხედეს ერთმანეთს განზე მდგომ საკაძეს. არაფერი არ მიუღია.

ემირ-გიუნე-ხანი მოწიწებით დაიხარა შაჰისკენ და, ბრძანებლის ღიმილი რომ დაიჭირა, მეჰმანდარს რაღაც ანიშნა.

თავადთა განსაცვიფრებლად, შაჰმა საკაძე მიიხმო.

— დიდი ხანია არ დავმტკბარვარ ასეთი ახოვანის ნახვით... მითხარ, გიორგი, ძეო საკაძისა, რა საჩუქარი უფრო გაგახარებდა?

საკაძემ ცალი მუხლი მოიდრიკა შაჰის წინაშე და წმინდა სპარსულით, მოკრძალებულათ მოასენა:

— დიდებულო შაჰ-ინ-შაჰ, ერანის მბრძანებლის ხელაგან მიღებული უბრალო აგურიც კი ფასდაუდებელ ბრილიანტად იქცევა, მაგრამ მე უფრო მეტიც მეღირსა: შენი ყურადღება.

შაჰმა ღიმილით მიუგო: „ძალიან კარგად ვიცი, თუ რისთვის არის ქართლის მეფე ასე კეთილგანწყობილი ახალგაზრდა აზნაურისადმი.“ გიორგი წარბშეუბოელად იდგა.

„საიდუმლოების დაცვა სცოდნიაო“,—გაიფიქრა შაჰმა, და მსუბუქი ირონიით მოისურვა გმირის დაჯილდოება წყეული ოსმალის დამარცხებისთვის.

რამდენიმე მეჯინიბემ ძლივს შემოიყვანა ეზოში არაბული ცხენი. ახოვან მამელუკს მოჰქონდა ძვირფასი უნაგირი, მეორეს ბრწყინვალე სამოსი სპარსელი რაინდისა.

შაჰს, რომელიც თვით ჩინებული მხედარი იყო, თვალი წარსტაცა საუცხოო პირუტყვმა.

— ეს ცხენი ბუხარის ამირამ გამომიგზავნა. ცხენს გადმოუგდია თვისი ბატონი და დასასჯელად განდევნილ იქნა. ამირა მწერს: „აქამომდე ვერც ერთ სულდგმულს ვერ გაუბედავს დიდი შაჰ აბაზის ურჩობა, თავხედი ცხენი, ალბათ, მხოლოდ შენი უნაგრისთვის არის გაჩენილი.“ მიიღე, ქართველო, ბრძენი მხედრის შესაფერისი ძღვენი.

საკაძე პირქვე დაემხო და მადლობა გადაუხადა.

გიორგიმ ნებართვა ითხოვა, ცხენთან მივიდა და ბრძანებლურად დაუსვა ხელი ფაფარზე. ულაყს თვალები დაუსისხლიანდა, თრთოდა, იტორებოდა, მაგრამ ყალხზე დადგომა ვეღარ მოახერხა: გიორგიმ ხელი ჩააელო ლაგამში. ხანმოკლე ჭიდილი – და გაოფლიანებული ცხენი ქედმოდრეკილი გაქვავდა.

მთელი ეზო გულაძგერებული ადევნებდა თვალს ორთა ბრძოლას. შაჰმა კმაყოფილება გამოსთქვა:

— ჭეშმარიტად აზნაური საკაძე საჩუქრის ღირსი აღმოჩნდა.

— დიდთა შორის უდიდესო შაჰ-ინ-შაჰ, უმალ კისერს მოვიტეხავ, ვიდრე ცხენს იმის ნებას მივცემ, რომ აზნაური საკაძე გადმოაგდოს. ნება მიბოძე, უძლიერესო, ახლავე შევკაზმო, დეე ერთბაშად დარწმუნდეს, რომ მე ამირა არა ვარ.

შაჰმა გადაიხარხარა, მახლობლებმაც მლიქვნელურად გაიზიარეს მბრძანებლის მხიარულება.

პაპუნამ დაბლა დაუკრა შაჰს თავი, მშვიდად მოჰკიდა ცხენს ლაგამში ხელი, მერე ქიშმიში ამოიღო და ათრთოლებულ ლაშთან მიუტანა. ცხენმა ჯერ ზიზღით დაიფრთქვინა, მაგრამ ოდნავი ყოყმანის შემდეგ პირი მოჰკიდა, მოწონების ნიშნად თავი დაიქნია და პაპუნას გაშლილ ხელისგულს წაეტანა. საკაძე უკანასკნელ მოსართავს უპერდა.

შაჰი სიცილით შეეკითხა პაპუნას: როგორ მიხვდი ქიშმიშით ცხენის გულის მოგებასო. პაპუნამაც სიამით გაუზიარა თავისი გამოცდილება: არცერთი მდიდარი არ შემხვედრია, რომ მუქთ ლუკმაზე უარი ეთქვას, ცხენი კი მათზე უპკეო როდია და ახლა ვარაუდობს რამდენი შეიძლება გამოვიცინცლო ამ სულელსაო. შაჰმა მხიარულად უბრძანა მეჰმანდარს: აზნაურს მისი საზრიანობის ღირსი სამოსი მიართვი და ჯიბეც ოქროთი აუვსე, რათა ცხენებისა და ვირების გულის მოგება აღარ გაუჭირდესო.

მხოლოდ ნაშუალამევს, როცა შაჰისას ლხინი გათავდა და პაპუნასთან მარტო დარჩა, გიორგიმ გასაქანი მისცა თავის მღელვარე სიხარულს. როცა, ოხუნჯ ერებ-ხანსა და მამაც ყორჩი-ხანს შუა მჯდომარემ, შაჰის ხელთაგან ღვინით სავსე ოქროს თასი მიიღო, გიორგი ერთბაშად ამაღლდა ისპაჰანის დიდებულთა თვალში, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა პატივი ეცათ მისთვის, და

სტუმრად ეპატიჟებოდნენ. გარნა მთავარი რამ ის იყო, რომ ნუგზარი ჰხარობდა.

პაპუნამ ყური მიუგდო მღელვარე სიტყვებსა და ამოიოხრა. გაახსენა გიორგის მისი ფიცი, თავადობას არ ვესწრაფოო, ვინაიდან ასეთი პატივი მაღლა ეწევა კაცს. საკაძე ცდილობდა განემარტა მეგობრისათვის, რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის მაღლა ასვლას, მაგრამ პაპუნა მოღუშული აფრთხილებდა: ბაბო ზარამ ტყუილ-უბრალოდ აგივსო თავი საშიში ფიქრებით. ბურუსში განა რას ეძებ?

— სიმართლეს, პაპუნა. და მივაღწევ კიდეც! თავადთა გვარეულობის ჭკნობადი რტოები რად უნდა უჩრდილავდნენ მზეს აზნაურთა გვარეულობის ახალგაზრდა ყლორტებს? მხოლოდ აზნაურებს შეუძლიათ ხმლით დაუბრუნონ საქართველოს ძლევამოსილება დავით აღმშენებლის, თამარ მეფის დროისა.

— ეჰ, გიორგი, ბარე, ორიოდე ხმალი დაბლაგვდება, სანამ აზნაურები თავადებს მზისაგან მოაცილებდნენ.

— არაფერია, პაპუნა, თავადები რით არიან ძლიერნი? მხოლოდ ხალხით. ჩვენ, აზნაურებმა, ხალხი ჩვენსკენ უნდა გადმოვიბიროთ. შერე რით უნდა გადმოვიბიროთ? პურით! უღელი უნდა მოვხადოთ. უნდა მოვაგონოთ, რომ ისინი ქართველები არიან. სიტყვით კი არა, საქმით უნდა შთანერგოთ ხალხს რწმენა აზნაურთა ძალისადმი. და აზნაურებმაც უნდა შეიგნონ: ხალხის დაცვა აზნაურთა ძალა-უფლების განმტკიცებაა.

— ეჰ, ჩემო კარგო, სადმე შორს გადამალე აგეთი აზრები, მაგით შეგიძლია სიზმარში იბურჭალო, ჯანმრთელობისათვის მარგებელია.

— ნუ გეშინია, ჩემო პაპუნა. ისედაც შორსა მაქვს გადამალული: მეფეებსა და თავადებს, სანამ ზედ არ წამოეგებიან, არაფერი ეცოდინებათ. უსაზღვრო ძალასა ვგრძნობ, პაპუნა, ვინ გაბედავს ჩემს შეჩერებას?

— მე გავბედავ!.. დაწექ და მცველებს ნუ აცთუნებ განჯაში ასტეპონ... ისე ღრიალებ, თითქოს თავადნი უკვე ენას გგლეჯავენ.

— გაიგე, პაპუნა, რომ ჩვენ უთვალავი ჯარი ვართ; ისინი კი— ერთი მუჭა და უმცირეს ძალას რად უნდა ვანებებდეთ პირველობას?

— ვინ ჩვენა? ნუ ბგონია, რუსუდან ერისთავის ასული ხალხს გაჰყვება ცოლად?

— რუსუდანიო? რა სთქვი, პაპუნა? პაპუნა, წენ სთქვი...

— ვთქვი, ვთქვი, პაპუნა და პაპუნა! სიმართლე ვთქვი: რუსუდანი მხოლოდ თავადს გაჰყვება ცოლად.

— რა შუაშია რუსუდანი? ძვირფასო პაპუნა, არ... არა მესმის რა...

— ძალიან კარგადაც გესმის! გეუბნები, იძინე-მეთქი, ნუ მალაპარაკებ.

— პაპუნა, გამიგონე... ერთი წუთით, პაპუნა...

— გიორგი, ალბათ, გინდა, რომ ხვალ ბაიასა ჰგავდე. ნადირობა დაგავიწყდა? პირველი ჯეირნისათვის შაჰმა ჯილდო დანიშნა, ან იქნებ გეპრიანება ყიზილბაშებს დაუთმო პირველობა. და განა დილაადრიან მაიდანზე არ უნდა გავიქცე ტანისამოსისთვის? მხოლოდ ეშმაკი თუ დამეხმარება შენი მოსარგი შარვლის შოვნაში. განა ყეყეჩმა ნოსტელებმა იზრუნეს თავიანთი ბატონისათვის? გაბღენძილნი დაბრძანდებიან... არა, პაპუნა მუდამ სულელი იყო, ძილსაც კი არ აცლიან, მაგრამ მან იცის უპატიეცემლობის წამალი.

მერმე საბანში გაეხვია და ხვრინვა მორთო. ანაოდ ეშუდარებოდა აღელვებული გიორგი ეთქვა, თუ როგორ მიხვდა პაპუნა იმ საიდუმლოებას, რომლის გამხელას თავისთავსაც კი ვერ უბედავდა. ამაოდ ანჯღრევდა მოურიდებლად—პაპუნა განაგრძობდა უდარდელად ხვრინვას, და განაწყენებ' გიორგი თავის ლოგინზე მიეგდო.

ხოლო გიორგის დიდ ხანს არ მოუხერხდა თავისი შეგობრის მაგალითისთვის მიებაძნა. მშვენივრად მიხვდა შაჰის ნართაულ სიტყვას. ნუ თუ ვინმე ჩასწვდა თრიალეთის ბრძოლის საიდუმლოებას? „ვეფხვთა რაზმმაც" კი არა იცის რა... მაშ ვინ შეატყობინა შაჰს? ნუ თუ სპარსელი ჯაშუშები გულშიც კი უძვრებიან ხალხს?.. მერმე რა სწადია შაჰს? დამასაჩუქრა ცხენით, რომელიც მთელ ქონებად ჰღირს, ძვირფასი სამოსით, ოქროთი გატენილი ქისებით, სუფრაზე პატივით გამომარჩია. რასაკვირველია, არა თავაზიანობის გამო, საამისოდ გიორგი საკაძე ერთობ მცირე ვინმეა, შაჰი კი—მეტად დიდი. საჭიროა სიფრთხილე... რუსუდანი მხოლოდ თავადს გაჰყვება... მგონი, მირვან მუხრან-ბატონი... მე კიდეეაც გავიგონე... რა ცხელა!.. ეს აბრეშუმის საბანი უთუოდ დამაღრჩობს, სპარსელები მეტად განაზებულნი არიან... რა სიმდიდრეო?.. ნუგზარი ძალიან კარგად შეპყრობა, რა უბაროდა, რომ შაჰმა ყურადღება მომაპყრო! ვინ არის ბრწყინვალე თავადებზე მაღალი? მთავრები? გმირები? სახალხო მხედართ-მთავრები? მეფე?.. არა, ასეთი ბალიში ჩემი თავისთვის არ არის გაჩენილი, ნაბადი უნდა გავიშალო, იმაზე უფრო მოვისვენებ. ნაბადი და სატეეარი კარგად სდარაჯობენ ძილს... იქნებ დიმიტრიმ შეირთოს ნინო, მუდამ მოსწონდა... ჰო, ხვალ პირველი ჯეირანი უნდა მოვჰკლა. ვისაც ხალხის მხედართმთავრობა სურს, მუდამ წინ უნდა იყოს... ნუგზარს რომ ვესტუმრო, ყველას საჩუქარი უნდა ვუყიდო... ზოგჯერ ერთი აცმა მარჯანი ბრილიანტის მანიაკზე უფრო ძვირფასია...

გრილმა განთიადმა რიკულიან აივანზე შეიხედა, რუხ ფანტელებიკით დაეკიდა და ამღვრეული თვალი ვიწრო ფანჯრებს მიაშტერა.

სააკაძემ ნადირობისათვის შაჰისაგან მსხვილ ალმასიანი ბეჭედი მიიღო, რომელსაც გარშემო სისხლისფერი იაგუნდები ესხდნენ.

ყარაჯუღაი-ხანმა შეჯიბრებაში სანაძლეო მოიგო და წესით დღესასწაულის მასპინძელი გახდა. შაჰი დიდებულებითა და ქართველი ელჩებითურთ მთელ ღამეს ყარაჯუღაი-ხანისას ლხინობდა.

გიორგი რომ ფანრიანი გამყოლითურთ შინ ბრუნდებოდა, გაკვირვებული სულ ემირ-გიუნე-ხანის გადაკრულ სიტყვებზე ფიქრობდა... ნაცნობმა ხმამ ფიქრი გააწყვეტინა. მიისედა და გაოცებით შესძახა:

— ალი-ბაინდურ! აქ რა გინდა, ან წვერი რა უყავ?

— ე, რა აჩქარებული ხარ, ჩემო კარგო. ალი-ბაინდური ვითომ რად არ უნდა ელტვოდეს შაჰის წყალობათა შადრევანს? ან როდის იყო, რომ რაინდები და ვაჭრები უარს ამბობდნენ ოქროზე?

ფანრის ყვითელი შუქი ალი-ბაინდურის სახეს დაეცა. ერთბაშად ეჭვით მოცულმა სააკაძემ ყური სცქვიტა: იქნებ შაჰმა ამისგან იცოდეს ყოველივე? ნუ თუ „ოქროს აქლემის“ დუქანში წამოვაყრანტალე რამ თრიალეთის საქმეზე? არა, ეს არ იქნებოდა. ალი ბაინდური ამქრისას ცხოვრობდა, სანდროს ბიძისას. პაპუნა ამბობს, მოლაშქრეთა შორის ხმა დადიოდაო... მაშ; ვინ არის ეს ბაინდური? ნუ თუ...

— შენ კი, ალი-ბაინდურ, ერთსა და იმავე დროს ვაჭარიცა ხარ და რაინდიცა?

— და მეგობარი ჩემი მეგობრებისა... რა არის, რომ სულ ხახამებისას დაიარები, წამო ჩემთან, ნამდვილი ერანი გაჩვენო. გნებავს გოგონები, გნებავს ბიჭები, სამოთხის ჰურიასაც კი ვიშოვნით... მაიდანზე ბევრს ლაპარაკობენ შაჰის ყურადღებაზე ქართლელი ბუმბერაზისადმი. ამბობენ, აქ რჩებაო, მე კი არა მგონია, რად უნდა დარჩე? შენს მეფესაც უყვარხარ, საიდუმლო დავალებას გაძლევს...

— მართალი ხარ, მეგობარო, მეფეს ვუყვარვარ, მაგრამ... საიდუმლო დავალების შესახებ საიდან იცი?

— ხომ ხედავ, ალი-ბაინდური ერთბაშად მიხვდა... გინდა, დაგეხმარო?

— მე მგონია, არა თუ ჭკუიანი ალი-ბაინდური, ყველაც მიხვდება, თუ კი ჩემი პაპუნა ყოველ დღე მაიდანზე იწანწალებს... სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არაფერი გამოდის, ხოლო თუ დამეხმარები, მითვე გადაგიხდი. დიაღ, გიორგი სააკაძეს არასოდეს არ დაავიწყდება მისთვის გაწეული სამსახური.

— მერწე მაიდანზე რას ეძებს ცბიერი პაპუნა?

— ეძებს? განა მე ვთქვი, ეძებს-მეთქი?.. ა, მგონი, ეს ჩემი სახლია,—გაპყოლი გაჩერდა,—ფანარმა კარს მიანათა. წაიყვა, მეგობარო, ჩემი გამყოლი, თქვენში ძალიან ბნელა...

— ეჰ, გიორგი, ნუ თუ ძილს აპირებ? ბნელი ღამე—მხიარული ღამე, წავიდეთ შირე-ხანაში, სწორედ დროა.

— ხვალ, ჩემო კარგო. ახლა ფეხზე ძლივს ვდგევარ, გარდა ამისა, პაპუნას, ალბათ, არა სძინავს. ხვალ მაიდანზე მელოდე, კუთხის ყავა-ხანაში, ყავას ყოველთვის იქა ვსვამ, მოხვალ?

— მეგონა, ქართველია-მეთქი, ღვინით გამასპინძლება მინდოდა.

— მე კი ვფიქრობდი, სპარსელია, ყავა უფრო უყვარს-მეთქი.

— კარგი, აგრე იყოს, ჯერ ყავა, მერმე კი ღვინო. ხვალ მოვალ... გამყოლი არ მინდა, ბნელში უკეთ ვხედავ, დეე დაბრუნდეს...

სააკაძემ პატარა ჭიშკარი შეაღო, მაგრამ მისწყდა თუ არა ფეხის ხმა, გამოილალა, მეძებარივით ჰაერი იყნოსა და მარჯვნით გაემართა. ქუჩა, მოსახვევი, კვლავ ქუჩა, ალი-ბაინდურმა ბნელ კედელზე სპილენძის ჩაქუჩი დაარახუნა, ჭიშკარი ჭრიალით გაიღო და სწრაფადვე მოიხურა. გიორგიმ სახლს შემოუარა და გულნაკლულად წარმოსთქვა: ყოველი სახლი ერთნაირია... მაგრამ კედელზე რომ ხმლით ნიშანი რამ გავაკეთო, მაშინ ნაცნობი გახდება...

დილით ალი-ბაინდურმა შაჰს ყოველივე დაწვრილებით მოახსენა საქართველოს საელჩოს შესახებ.

— დიდებულო შაჰ-ინ-შაჰ, ეჭვი არ არის, რომ ქართლის მეფემ ს

დღესასწაულის მეთაურმა, ახალგაზრდა ხანმა ხელი აიქნია: ხუთასმა მედოლემ ერთბაშად თორმეტჯერ დააგრგვინა, ახმაურდნენ ფლეიტები, და აგუგუნებული ხალხი შაჰ აბაზის გამოსვლას მიესალმა.

შაჰი შინაშინიდან გამოვიდა და დარბაისლურად ჩაბრძანდა მოოქრულ საავარძელში. სპარსელმა დიდებულებმა, საქართველოს საელჩომ და უცხოელმა ვაჭრებმა დაიკავეს ამ შემთხვევისათვის მათთვის საგანგებოდ აშენებული სადგომი შინაშინის გარშემო; შაჰს უკან საუცხოოდ მორთულნი ედგნენ: მთავარი საჟურისი, ოდნავ წელშიმოხრილი, პირადი მრჩეველი, სახეგაქვავებული მდივან-ბეგი, ქედმაღალი საიდუმლო მრჩეველი, მონათა ჯარის სასტიკი უფროსი და მლიქვნელი კარის კაცნი.

დატრიალდნენ მოცეკვავენი, ჭიანურთა ხმაზე აფრიალდა აბრეშუმის კაბები. ნახევრად შიშველი ძალოსნები მაღლა ისროდნენ მზეზე აბრჭყიალებულ სპილენძის გირებს. მტვერში მოხტუნავე ჯამბაზებს, თვალთმაქცებს, რომელნიც ლურსმნებს ყლაპავდნენ, გველის მოწთვინიერებლებსა და დერვიშებს თავს დაჩხარუნებდა ლითონის დროშები, რომლებზედაც არაბულად იყო წარწერილი ყურანიდან ამოღებული ლექსები. მედროშენი თავს იქებდნენ თავიანთი მკვრივი ძარღვებით და მაღლა აჰყავდათ ლითონის დროშათა რტოებზე მჯდომარე ბიჭები. ავადმყოფობისა და თვალნაცემისაგან განკურნების დროშებზე ეკიდა ნაჭრები, კრიალოსნები და უცნაური ფირფიტები.

შუაში შეიჭრნენ ჯავშანსა და ჩაფხუტში ჩამჯდარი ცხენოსნები. ცხენები მორთული იყვნენ სირაქლემის ფრთებითა და ზიზილპიპილებიანი ასალებით; ბრწყინავდა მარგალიტი, ფირუზი და მრავალი ძვირფასი თვალი; ფოლადის შუბები, ხმლები და ფარები ლურჯად ლაპლაპებდნენ.

ცხენთა გავაზე ხმალამოღებული იდგნენ მდიდრულად ჩაცმული ლამაზი ბიჭები. ხმლებზე წამოგებული ჰქონდათ ყვითელი კომში და წითელი ბროწეული.

მხედრებს მოჰყვებოდა სახუმარო ქარავანი, რომელიც გამოხატავდა მექაში თურქეთის სულთნის გამგზავრებას: „სულთანს“ წითელი მანტია ესხა, თავს ეხურა ტაკიმასხრული წითელი ფესი, ჭალარა წვერი მკერდს დაჰფენოდა! მას მოსდევდა სასაცილო სამოსით გამოწყობილი, „სულთნის ჰარამხანის“ უბადრუკი ამალა. ძლივს მობობღავდა ლატაკური, სახედრებგაბმული ტახტრევანი, შემდეგ—აქლემზე გადაკიდებული ქეჯავე, * დასაპალნებული სახედრები და აქლემები, ცხენოსანი მსახურნი, რომელთაც ხელში ეკავათ ყალიონის

* ქეჯავე—დახურული ჩასაჯდომი, რომელიც ცხენს, ჯორს ან აქლემს ორივე ჩხარზე არის გადაკიდებული.

ბუდეები, მეჩიბუხეები და მთელი წყება გამყოლთა, რომელთაც თეთრი ქეჩები ესხათ.

სასახლის მამელუკებმა შინაშინი მსელელობის შუაგულს გადაიტანეს.

პროცესია შაჰის წინაშე შესდგა, „სულთანმა“ დაბალი სალამი მისცა და აღფრთოვანებული ლექსით შეამკო დიდებული შაჰ-ინ-შაჰი.

ქარავანში შემოიკრნენ მომთვინიერებლები, რომელთაც ჯაკვით მოჰყავდათ წითელშარვლიანი მაიმუნები, დათვები, მღრინავი ვეფხები და მოღრიალე ლომები. მხეცებმა შაჰის პატივსაცემად რამდენიმე ძნელი ოინი გააკეთეს.

ქალის სამოსით გამოწყობილი, თმაგაშლილი მოცეკვავენი ძვლის ფირფიტებს ატკაცუნებდნენ და ზურნის ჭიჭყინში თაებრუდამსვევად ტრიალებდნენ, ხუმარები მანჭვა-გრეხვით უვარდებოდნენ ხალხს ფეხქვეშ, ნახევრადშიშველი დევრიშები სატევარს იცემდნენ, და აალის სახელით სისხლით იღებებოდა მათი კონკები. მომთვინიერებლებს გველები შემოეხვიათ და თავდავიწყებით ცეკვავდნენ დუდუკის ხმაზე.

შაჰი განუწყვეტლად აბნევდა წვრილ ფულს; ატყდებოდა ხოლმე ერთი ორომტრიალი.

წყლის მზიდველნი სწრაფად ავსებდნენ ცივი წყლით სპილენძისა და ვერცხლის ჯამებს და მიღებულ წვრილ ფულს ჯიბეში იყრიდნენ. ხალხში დაძვრებოდნენ ტკბილეულობისა და ხმელი ხილის გამყიდველნი.

ერასტი ალვის ხეს მიყრდნობოდა და სიბრალულით უცქერდა ამ ხალხს, მტვერში რომ შაჰის მიერ გაბნეულ ფარებს ეძებდა. მას მთელი ხელსახოცი გაევსო რახათ-ლუკუმით, მოხალული ნუშით და თვისი მაგარი კბილებით სწრაფად ტკვერდა. არც წყლის გამყიდველი დაუტოვებია უყურადღებოდ ერასტის. აი ახლაც, ნეტავ სად გაჰქრა ის წითური ეშმაკი? ერასტი აქეთ-იქით იხედებოდა და უეცრად შეეხეჩა ხარბ ცქერას. ახალგაზრდა სპარსელი წამოწითლდა და სწრაფად მიბრუნდა, მაგრამ ერასტიმ შეამჩნია მშიერის ნერწყვი. ახლო წარსულმა მტკივნეულად უჩქმიტა გულში. გაახსენდა, თუ პირველად როგორ გააძღო იგი საკაძემ ცხელი მწვადით. ვაჭარი მოიხმო და ტკბილი ცომი მეზობელს მიაწოდა. სპარსელი მტკიცედ სდუმდა. ერასტიმ სახელოს ჩამოსწია:

— სჭამე!

სპარსელმა ფრთხილად გაითავისუფლა დასაკერვლებული სახელო.

— სჭამე, გეუბნები!

ერასტიმ მუშტი დაარტყა ხეს.

სპარსელმა გაუბედავად აიღო ვარდისფერი ცომის გუნდა. ერასტიმ მოწონების ნიშნათ ხელსახოცი გაუწოდა.

— სჭამე, სანამ არ გაძღები.

ახლა წყლის მზიდავს დაუძახა და ოთხი ჯამი დაასხმევინა. კმაყოფილი ერასტი თვალს ადევნებდა, თუ რა გამალებით სჭამდა სპარსელი.

— რა გქვია? არ გესმის? შენი სახელი-მეთქი! მე ერასტი მქვია... შენ კი? ქერიმი? ეეჰ, ეეჰ, ქერიმ, ცუდი ბატონი გყოლია, ეს რა ტანისამოსი გაცვია დღესასწაულზე! სახეც გამხდარი გაქვს, მგონია. ფეხზედაც ვერა დგეხარ ხეირიანად? ფეხი აი ეს არის, გესმის?.. რაო, ხელები უფრო გტკივა? რატომ გტკივა? მოიცა, წყნარად ილაპარაკე, კარგად არ მესმის... რა ქვა? რაო? არც ჩემი გესმის. რატომაო? კარგად ვლაპარაკობ... შენი ბატონი შორს ცხოვრობს? ხანეში? ქვას ვაჭრობს? უხეირო საქონელია. ჩვენში ქვას არა ჰყიდულობენ, კავთიხევში, რამდენიც გინდა, წაიღე... წყალსაც მუქთად სვამენ... ქვისაგან ხელები გტკივა? მძიმე საქონელია... მაიდანზე ვაჭრობ? არა? მოიცადე... ხანეს აშენებ? ალი-ბაინდურ-ხანი შენი ბატონია?.. ნაცნობია, ჩვენსა იყო გუშინ... არ მიყვარს შენი ბატონი, ცუდი თვალით იხედება... რას ამბობ? ბატონი არა გყავს? არა მესმის რა... თუ ბატონი არა გყავს, მშიერი რად დაიარები?

ერასტის ოფლი სდიოდა და ცდილობდა ნიშნებით, დამტვრეული სპარსულით განეგრძო ბაასი. არანაკლებ შეშფოთებული სჩანდა ქერიმიც. ისინი სიყვარულით, მაგრამ უმწეოდ უცქეროდნენ ერთმანეთს. უეცრად ერასტი გამხიარულდა.

— ქერიმ, როცა დღესასწაული გათავდება, ჩემთან წამოხვალ. ჩემმა ბატონმა კარგად იცის სპარსული, აზნაურ პაპუნასაგან ისწავლა ბავშვობაში. ჩვენში, თბილისში სპარსული ისე გადის, როგორც ქართული, ძალიან ბევრი სპარსელი გვყავს, კარგად ცხოვრობენ... იქაც მაიდანზე ვაჭრობენ, მთელი ნახევარი უკავიათ. ქართველები დიდ გადასახადს იხდიან, სპარსელები კი—სულ ცოტას. რა გაეწყობა, ბევრის გადახდა არა სურთ. მოიცა, კიდევ წავიღოთ რახათ-ლუქუმი, ძალიან მიყვარს, მთელ დღესა ვჭამ.

ქერიმი გაფაციცებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ გადაიხადა ერასტიმ ვერცხლის აბაზი, რამდენი ხურდა მისცა ვაჭარმა, და წყნარად ამოიოხრა, რადგან მშიერი დედა გაახსენდა. ის იყო გაეტაცნა ნაღვლიან ფიქრებს: ალი-ბაინდურის სასახლის მშენებლობიდან აგერ ერთი კვირაა, რაც ურჩობისათვის დაითხოვეს და...

ერასტიმ სახელოში ჩაჰკიდა ხელი ქერიმს. გააფთრებული ჰაიდერები და ნაიმეთ-ულაჰები * პირისპირ იდგნენ და ხის ხმლებს

---

* ესენი იყვნენ მებრძოლნი, მსგავსად ქართველი მოკრივეებისა. ძველი ჩვეულებით, ყოველი დიდი სპარსული ქალაქი ორ ბანაკად იყოფოდა. ბრძოლა ზოგჯერ რამდენიმე დღეს გასტანდა. სატევრისა და ხმლის- მაგიერ, მებრძოლნი შეიარაღებული იყვნენ ხის ხმლებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად ბევრი დაჭრილი და მოკლულიც იყო ხოლმე.

არახუნებდნენ. პირველ რიგში მდგომი ბიუები სტვენითა და ყიჟინით აქეზებდნენ უფროსებს. მედროშეებს ეკავათ მაღალტარიანი დროშები, რომლებიც თაობიდან თაობაში გადადიოდა. ფერადი ბაფთები, შალის ნაგლეჯები და გახუნებული ნაჭრები აღნიშნავდნენ მოგებულ ბრძოლათა რაოდენობას. უეცრად ყველაფერი ერთმანეთში აირია. ხმლების ჩახუნი, ჭყივილი, გინება, მძაფრი კივილი, დასისხლიანებული ცხვირ-პირი... მაგრამ აი ფერაშ-ფაშის ბრძანებით ჩაფრებმა მათრახით გარეკეს მოძაბეზრებელი სანახაობა, და განთავისუფლებულ მოედანზე გამოვიდნენ მქევრმეტყველები და პოეტები, რომლებიც ჰარმონიული სიტყვებითა და მშვენიერი ლექსებით ამკობდნენ ერანის ლომს.

შაჰი უხვად აფრქვევდა „სწავლულებს“ თუმნიანებს.

მოედანზე შემოიყვანეს დამნაშავეთა ბრბო, ხოლო მათ შორის ხუმარა, რომელიც სულთანს წარმოადგენდა. შაჰმა ყველას მიანიჭა სიცოცხლე და თავისუფლება. აღფრთოვანებულმა ხალხმა შეწყალებულნი ზეიმით შესვა აქლემებზე და მოედნიდან გაიყვანა.

დღესასწაული გათავდა... აეთნენ ციისფერი ჩირაღდნები. ხალხის თავაწყვეტილს ღრიალში შაჰი დაელეთ-ხანესკენ გაემართა და თან ფიქრობდა: ხალხთან ერთად შევხვდი ყურბან-ბაირამსაო.

სააკაძემ შინ შეიარა, რათა შვინდისფერი ქულაჯა ჩაეცვა შაჰისას ლხინზე წასასვლელად, და ხანეში შეხვდა ქერიმს, რომელიც ფლაეს მიირთმევდა, ხოლო კუშკში * — ალი-ბაინდურს, რომელიც ყალიონს ეწეოდა.

ალი-ბაინდურმა სიტყვა ჩამოაგდო მხიარულ დღესასწაულზე, ბევრი იცინა „სულთნის ჰარამხანაზე“ და უეცრად ჰკითხა:

— რა ჰქენ, გიორგი, შეასრულე უკვე ქართლის საიდუმლო დავალება?

— დიაღ, დახე.

სააკაძემ ხანს უჩვენა წვრილი სატევარი, რომელიც ლამაზ ჯოხს უფრო ჰგავდა, ალი-ბაინდურმა რომ სპილოს ძვლის ტარის ჩუქურთმა დაათვალიერა, გაოცდა:

— რად უნდა მეფეს საიდუმლო სატევარი?

— იცი, მეგობარო, მეფეები ძალიან ეჭვიანები არიან, და აი ბაგრატოვანმა მიბრძანა მეპოვნა ისეთი ნივთი, რომელიც გარეგნულად ლამაზი, ხოლო შიგნით შხამიანი იქნებოდა. დეე სულელებმა იფიქრონ, რომ ქართლის მეფეს ხელში მომაკვდინებელი სატევარი კი არ უპირავს, ფარული მტრებისათვის, არამედ მშვენიერი ჯოხია.

ალი-ბაინდურმა წყენა დამალა და გაკვირვებით შეხედა სააკასეს.

---

* ყალიონის მოსაწევი ოთახი–პავილიონი (აქედან წარმოსდგა სიტყვა „კიოსკი“).

„ქართლში გამოჩენა, უნდა ითქკას, უსაშიშრო როდია,“—გაიფიქრა ალი-ბაინდურმა.

კიბეზე გიორგი გაოცებული შესდგა.

— სად მინახავს ეს თვალები? დიაღ, თვალები ავაზისა!

ქერიმი თვალის დაუხამხამებლად ძიშტერებოდა ალი-ბაინდურის ხავერდოვან ხურგს.

„ბოლოს და ბოლოს გავიგებ, რისთვის ვუნდივარ შაჰს,“—ჰფიქრობდა საკაძე, რომელიც ღამით მეჰმანდართან ერთად შაჰის სადგომისკენ მიდიოდა...

მან სიამით გაიხსენა, თუ რა მოხერხებულად მოაწყო ქერიმი ალი-ბაინდურის საქურველთმტვირთველად. ქერიმმა ერთგულება შეჰფიცა სულგრძელ აზნაურს და აღუთქვა: დაუღალავად ვადევნებ თვალს საძაგელ ხანსა და ერთგული ადამიანების მეშვეობით შეგატყობინებ ყოველივე ნახულსა და გაგონილსაო.

მაგრამ გიორგი კიდევ უფრო კმაყოფილი იყო, რომ სასურველად დაგვირგვინდა მისი ცდა შაჰის გულის მოსაგებად.

და ახლა, შაჰთან რომ საიდუმლო მიპატიჟებით მიდიოდა, მტკიცედ გადასწყვიტა შაჰის ნდობა მოეპოვებინა და უზრუნველეყო მისი დახმარება, რათა დაეკმაყოფილებინა წოდებრივი საჭიროებანი აზნაურებისა, რომლებიც, თავის მხრივ, ერთგული დასაყრდენი იქნებიან შაჰისა ქართლში ერანის ინტერესების დასაცავად მოახლოებული რუსეთის წინააღმდეგ.

მამელუკებმა უხმოდ დაიწიეს უკან.

ყარაჯულაი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საკაძეს, რომელიც აგერ უკვე ერთი საათია დახრილა შაჰის წინაშე, მაგრამ, გარდა მშვიდი მოკრძალებისა, მისი უცნაური სახე არაფერს გამოხატავდა.

— ძლევამოსილო მბრძანებელო, ყოველივე ისა, რაც ერანისათვის მავნებელია, ქართლისათვის დამღუპველია. აზნაურები სადარაჯოზე დგანან. ქართველთა და რუსთა თავადების მეგობრობა სარგებელს ვერ მოუტანს ქართველ ხალხს. მე ქედს ვიხრი ერანის ლომის მზისა წინაშე, დიდებული შაჰის სამსახური ჩემი ქვეყნის სამსახურს ნიშავს.

— არ დაივიწყო, გიორგი, თვალყური ადევნე თავადებს, ისინი პირადს სარგებლობაზე უფრო ჰფიქრობენ, ვიდრე ქართლის კეთილდღეობაზე; შენ კი, ჩემი დიდებული ძმის წყალობით ამაღლებული, მხოლოდ მას ეკუთვნი. მეფეს ეშინია მთავრებისა და ხშირად თავის საზიანოდ უთმობს მას... კინაღამ გოდუნოვს დაუმეგობრდა ჩემს საწინააღმდეგოდ. და სულთანიცა ცდილობს თავადთა მოსყიდვას... თვალყური ადევნე, გიორგი, ყველაფერს, ერანის მბრძანებელი არ დაგივიწყებს... სამფლობელოს გასაფართოებლად ოქროს, რამდენიც

გინდა, მოგცემ. ომი არცერთ რაინდს არ უნდა აშინებდეს, შენ კი არა მარტო ხმლის ხმარება გემარჯვება, არამედ მხედართმთავართა სუსტი გონების დამორჩილებაც...

— უძლეველო შაჰ-ინ-შაჰ,—გულმხურვალედ მიუგო სააკაძემ, რომელმაც არაერთხელ აუარა გვერდი გადაკრულად ნათქვამს,—შენგან დიდად ნაწყალობევი, მუდამ მსახური ვიქნები ერანის დიდი ბრძანებლისა, და თუ ალაჰმა ინება და კარგი ბრძოლა გვარგუნა ერანის მტრებთან, დაგიმტკიცებ, ღირსი ვარ თუ არა შენი ნდობისა... ხოლო უკეთუ თავადები ღალატს განიზრახავენ, მაშინ... შენ უფრო ახლოს იქნები ჩემთვის, ვიდრე ჩემი მეფე... ქართლისათვის საჭიროა შარავანდედი შენი მეფობისა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაშიც ნუ ჩასვენებულა მზე ერანისა და კეთილმყოფელი სხივებიმც დაუფენია საქართველოს აყვავებული ჭალებისათვის...

თავი ოცდამეექვსე

ტფილისს მიახლოვებული ქართლის საელჩოს ქარავანი საღამოულის სერებს მხიარული სიმღერით შეუდგა.

შაჰის მიერ გამართული მიღება, მდიდრული საჩუქრები და უზრუნველყოფილი მშვიდობიანობა ქართლს აყვავებას უქადდა... დაველეთ-ხანეს წარმოუდგენელი ფუფუნებითა და დიდებით გაკვირვებული, ხანების უნაზესი თავაზიანობით მოხიბლული, ხანეპისა, რომელნიც ასე სასტიკნი არიან ბრძოლაში, მარმარილოს სასახლეთა უცხო კაზმულობით აღტაცებული თავადები ქართული ციხე-დარბაზების უბრალოებაზე ნაღვლობდნენ და გადასწყვიტეს სპარსელთა მსგავსად მოწყობილიყვნენ.

თავადებს საგონებელში აგდებდა შაჰის მიერ სააკაძისადმი გამოჩენილი სიუხვე, და ისინი ალმაცერად უცქეროდნენ ხუთს დასაპალნებულ აქლემს. მაგრამ თავადები უფრო გაჰკვირდებოდნენ, უკეთუ სცოდნოდათ, თუ როგორ მალაედნენ პაპუნა და ერასტი ხალიჩებსა და ძვირფას სამოსთა შორის ოქროთი სავსე ტყავის ტომსიკებს.

მხოლოდ ნუგზარი იყო კმაყოფილი შაჰის არაჩვეულებრივი წყალობით, გარნა ცნობისმოყვარე თავადის კითხვამ გული ვერ გააღებინა საკაძეს. მაინც, როცა ამირინდომ შენიშნა, ნაჩუქარი ცხენი, ალბათ, კარგად გაიგნებს გზას ისპაჰანისაკენო, ნუგზარმა მკვეთრად მოუჭრა:

— მხედარი, რომელმაც მოახერხა მოსწონებოდა ორ მეფეს, თვით შესძლებს ღირსეული გზა მოუძებნოს თავის ცხენსა.

გიორგის გულში უჩქმიტა.

— მაშასადამე, ნუგზარი არ მძრახავს? მაგრამ... რად უნდა დამძრახოს. განა ცუდი სურვილია მაღალი მიზნისათვის გამოიყენო ერა-

ნის ძლიერება? განა უბრალო აზნაური არ დასცინის ორ მეფეს, რომლებიც ფიქრობენ საქართველოსთვის უცხო ზრახვების განსახორციელებელი იარაღი გაჰხადონ იგი?.. ხოლო მაინც საით მიისწრაფვის იგი, გიორგი სააკაძე?

სააკაძე თავს იტეხდა, რათა ამ რთულ საკითხებში გარკვეულიყო. პაპუნამ, როცა გიორგის ჩაფიქრება შეამჩნია, მხიარულად ჰკითხა: ეისთვის გინდა ის ვარდისფერი, მშვენიერ სახოვანი ფარჩაო? სააკაძე წამოწითლდა და სწრაფად მიაბრუნა ცხენი თავისი აქლემებისაკენ, რომლებსაც ერასტი სრულუფლებიან პატრონივით იცავდა და თვალს არ აშორებდა მდიდრულ საპალნეებს.

ვარდისფერი ფარჩაო? მაგრამ განა მიხაკისფერი აბრეშუმი და სპარსული შალი ცუდი საჩუქარია დედისათვის? ხოლო ერთი თოფი ფერადი ქსოვილი, ბაფთები და ფირუზიანი ოქროს სამაჯური ცუდი საჩუქარია პატარა თეკლესთვის? ვერცხლის ძაფით მოქარგული ქისა, ნაზი მაუდი საშარვლედ და რბილი ხავერდის საქულაჯედ ცუდი ძღვენია მამისთვის? ან განა რომელიმე მეგობარი დავიწყნია? აბა როგორ შეუძლია პაპუნას ამგვარი სიტყვების თქმა!

პაპუნა კმაყოფილი უკვრეტდა ასე მოულოდნელად გახელებულ გიორგის. მას მუდამ ახარებდა ახალგაზრდული მღელვარება თვისი ერთთან დინჯი მეგობრისა, ამიტომ სინდისის ქეჯნას არა ჭგრძნობდა და, თავის მხრივ, მოჰყვა საკუთარი საჩუქრების ქებას. რასაკვირველია, მარჯნის მძივები მხოლოდ თეკლეს ექნება, მოქარგული ტარსიკონის წუღები კი კავთისხევის ქარივით დაატრიალებს მას, მაგრამ არც სხვა „ხელიკები“ დარჩებიან გულნაკლულნი, თუმცა ისეთი უკეთო დედა, როგორც თვალეუეუნა ფატმანსა ჰყავს, თავადთა ციხედარბაზებშიც კი არ მოიძებნება... ნინოსთვის მას მიაქვს ცისფერი შალი... მის თმებს დაშვენდება. დათუნას კარგი რახათ-ლუხუმი უყვარს და მთელ ხელსახოცსაც მიიღებს.

მოსახვევში გამოჩნდა გალანჯულ ურემთა წყება. ქარავანი შესდგა. ძონძებში გახვეული მოხუცნი ნაღვლიანად მისდევდნენ ურმებს, თავჩაქინდრული ვაკაცნი მრისხანედ მიერეკებოდნენ კამეჩებს, გახუხულ ბარგი-ბარხანაში მიყუჟულიყვნენ ნამტირალევი ქალები. პაპუნა წინა ურემს მივარდა ამბის გასაგებად. თურმე შუა ქართლს ყაზახები „სტუმრებოდენ“ და მრავალი სოფელი არა მარტო ულუკმაპუროდ, არამედ უსახლკაროდაც დაეტოვებინათ. ამისი მიზეზი ყოფილიყო ვიღაც დამთხეეული, რომელიც კავთისხევის მიდამოებში შებმოდა იმ ავაზაკებს.

შეშფოთებული გიორგი, ნუგზარის ნებართვით, დაწინაურდა მთელი ლამის გააფთრებული ჭენების შემდეგ ცხენი ნოსტეს ნანგრევებში შეიჭრა. თავზარდაცემული იდგა გიორგი დიდი სახლის ნანგრევთა წინაშე. ქუჩები სასაფლაოსა ჰგავდა, მხოლოდ გაძვალტყავებული კატა კნაოდა ლოდთა შორის.

გიორგიმ კვნესა დაიხშო და ცხენი მიაბრუნა. ძველი სახლი ხელუხლებელი იდგა, საკომურში ნელა სდიოდა მიფუტული კვამლი. გიორგი წირთხლს მიეყრდნო: თითქმის ცარიელ ტახტხე ხელ-ფეხგაშლილს ეძინა თეკლეს. იქვე ჩამხობილიყო ნინო. დუმილი. ნინო წყნარად გამოვიდა. გიორგი უმწეოდ დაეშვა სკამლოგინხე ღობის ძირას. ცხენი ტორსა სცემდა და დამსახურებულ საკვებს ითხოვდა, გარნა მხედარს პირველად დაავიწყდა თავის ცხენი.

— გულს ნუ გაიტეხ, გიორგი... მეც უმამოდ დავრჩი...—ნინომ მწუხარედ უამბო ყოველივე, ქუჩაში გავიდა და ღობეს მიეფარა. გიორგიმ უაზროდ გააყოლა თვალი. თანდათანობით სიამაყის შეგნებამ მოიცვა იგი: მამა არ გაქცეულა, ყაზახებს შებმია და გმირულად დაღუპულა... საბრალო დედას ვეღარ აუტანია... გარნა შუადღემ სირცხვილი და იმედგაცრუება მოუტანა: მამაცობით როდი დაღუპულა მამა და ბევრიც დაუღუპავს, არამედ სიხარბით...

დაობლებული ნოსტელები საკაძის ძველ სახლში მოგროვდნენ, და აქ ნინოს ფრთხილი ნაამბობი, ნოსტელთა სიტყვით, საშინელებად იქცა.

თავად მაღალაძეთა მიერ მოსყიდული მამბეთ-ხანი, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად დასხმიათ თავს; ვერაფრის დაშალვა ვერ მოუსწრიათ. ყაზახები პირველად დათუნას ფხიზელ თვალს შეუნიშნავს და ყვირილით გაუფრთხილებია ნოსტე. ახალგაზრდობას ხელი უტაცნია იარაღისთვის და გზა მოუკრია ყაზახებისათვის, რათა ქალთა გაქცევა დაეფარათ. თურმე უნდოდათ საქი ნელი გადაელალნათ, მაგრამ შიოს ნება არ მიუცია, ჩემს ქონებასთან რა ხელი გაქვთო, ხალხი გინებით დიდ სახლში შეუყრია; თურმე გიეივით დაბორიალებდა ეზოში და სიკვდილს ემუქრებოდა ყველას, ვინც გაბედავდა და ბატონის ქონებას არ დაიცავდა. ამაოდ ემუდარებოდა მარო, ხალხს ტყვილ-უბრალოდ ნუ ჰღუპავო, ამაოდ სტიროდენ ქალები, გაუშვი ჩვენი ქმრებიო, შიო გამხეცდა, ვეება ხმალი იძრო და ჭიშკარი ჩაჭეტა. და მხოლოდ ნინოს მეოხებით, რომელმაც ძალით წაათრია ტყეში მარო და თეკლე ესენი ცოცხალი გადარჩნენ. ყაზახები საკაძის სახლში შეცვივდნენ. მამბეთ-ხანის პირველ ეკეს შიოს თავი გაუპო. გააფთრებულმა ყაზახებმა არა მარტო აჭეუწეს შიო და ყველა, ვინც ეზოში იყო, არამედ მთელი ნოსტეც დასწვეს და დაანგრიეს. საბრალო დათუნა შიოს გვერდით დაეცა. კაი კაცი იყო! შემდეგ რამდენიმე დღეს მშიერნი ვეყარეთ ტყეში. გარშემო ავაზაკები დაძრწოდნენ. ახალგაზრდობა მთა-მთა თვალადს გადავიდა მაშველის საპმობლად. ბავშვები მშიერნი იყვნენ, ლოდინი აღარ შეიძლებოდა, გადაეწყვიტეთ მახლობელი თავადისას მიეხულიყავით. მაღალაძიანთ კომკის გალავანთან მხოლოდ ნოსტელნი როდი შეყრილან, ყაზახებმა კიდევ რვა სოფელი დაარბიეს ხანის მოკლული ვა-

ჟისთვის შურის საძიებლად. თამაზ მაღალაძე გამოვიდა მსახურებითა და მოურავითურთ, ძალიან უხაროდათ. თამაზმა რჩეულები მოითხოვა მოსალაპარაკებლად და, როცა წარსდგნენ, თითო-თითოდ მოდითო, ბრძანა...

—თქვენ ვისნი ხართ?—ჰკითხა პირველთ.

-- თავად ამირეჯიბისა.

— მერმე რატომ თქვენს თავადთან არ მიდიხართ? შორს არის, მშვილები ხართ? თქვენა გგონიათ, მაღალაძიანთ მუქთი დუქანი აქვთ ვირებისათვის? დაიკარგენით აქედან, ამირეჯიბისანებს არ მივიღებ.

არც ხვეწნამ გასჭრა, არც ტირილმა.

— თქვენ კი? ქვლივიძისანი? ამას წინათ იმ ფიცხ აზნაურთან ჩხუბი მომივიდა... სულ იმასა ფიქრობს, თავადებზე მაღლა ვიფრინოო, შინ კი, ხალიჩების ნაცვლად, ფარდაგები უფენია. ვისაც სახელოვან მაღალაძესთან უნდა გადმოსვლა, ჭიშკარში შემოვიდეს, ახლავე ხორბალს მიიღებს, სტუმრად კი არავის მივიღებ.

რამდენიმე კაცმა ნაღვლიანად გადაანჯა მაღალაძიანთა ზღურბლს. სხვებიც წარუდგნენ თამაზს: ზოგიერთი საკუთრებად მიიღო, ზოგი კი, განაწამები, და ვისაც ლამაზი ქალი არა ჰყავდა, არ მიიღო, ვინც არ წავიდა, მაღალაძის მსახურებმა ჯოხით გარეკეს... ბეცია ენახე, ეშმაკსავით მწვანე ჩოხა ეცხვა და თამაზ რაღაცას ყურში ჩასჩურჩულებდა... თამაზი სულ იმის სურვილზე იქცეოდა.

— თქვენ ვილასი ხართ?

ჩვენ განგებ უკანასკნელთ გვკითხა.

—ნოსტელნი? ბრწყინვალე თავადის გიორგი სააკაძისა? ჰა, ჰა, ჰაა... ბატონმა რატომ თავის საგვარეულო კოშკში არ შეგიშვათ? კოშკი არა აქვსო? ერთი ამას დამიხედეთ, მე ეგ არა მცოდნია! ასეთი სახელოვანია და კოშკი კი არ გააჩნია...

აქ ნინომ მუშტი მოკუმშა და თამაზს შეუტია... ძალიან შეშინდნენ...

— მართალია, ჩვენს ბატონს ციხე არა აქვს,—დაუყვირა ნინომ,—სამაგიეროდ კეთილშობილი გული აქვს, თავად მაღალაძიანთ კი, გულის ნაცვლად, ფუნა უძევთ! თუ ძაღლთაპირი არ არის, აბა ადამიანთაგანი ვინ აიგდებს აბუჩად მშიერ ბავშვებს?

გვეგონა, ესაა ნინოს მოჰკლავსო, მაგრამ ის მამაძაღლი აენთო, ნინოს თვალს არ აშორებს, სულ სხვანაირი ხმით იწყო ლაპარაკი:

— მიყვარს გაბედული ქალიშვილები... რა გაეწყობა, შემოდით, ნოსტელნო, პურსაც მიიღებთ, თაეშესაფარსაც, მესეფედ გაგხდით...

— ხალხო, მოიცა! უმჯობესია შიმშილით დავიხოცნეთ, ვიდრე მაღალაძიანთ ვეკუთნოდეთ. თვალადს წავიდეთ, იქ დროებით მიგვიღებენ !— ჰყვიროდა ნინო.

შაგრამ ბევრმა იუარა:

— სანამ მიგვიღებდნენ, ბავშვები შიმშილით დაწყდებიან. სახლკარი დაგვიწვეს, მადლობა შიოს, სადღა ვიცხოვრებთ? თავისუფლება რაღად გვინდა, როცა სრულიად თავისუფალი დავრჩით.

— ვინც მემხრობა, წამოვიდეს, ვისაც არა სურს, დეე მაღალაძიანთ უღელი ათრიოს.

ნინომ ხელი მოჰკიდა თეკლესა და წასვლა დააპირა. აქ თამაზმა დაიძახა:

— ეი, ხალხო, მუქთად პურს გამოვიტან, ოღონდ ეგ ქალიშვილი დარჩეს, უმაგისოდ არავის არ მივიღებ.

ბევრი ეხვეწებოდა ნინოს დარჩი და შეურიგდიო, შიმშილისაგან გვიხსენიო. ზოგი იმუქრებოდა, ჟიშკარში ძალად შეგათრევთო, მაგრამ ნინომ პატარა სატევარი აშოიღო:

— ყელს გამოვიჭრი ვინც გაბედავს ხელი ახლოს სააკაძის საკუთრებას...

მაშინ თამაზმა ტკბილი საუბარი მორთო: არავის არ მივაწერთ ერთ კვირას მუქთათ გაპმევთ, შემდეგ ვინც დარჩენას არ ისურვებს, გაუშვებო. ნინომ უსმოდ მოჰკიდა ხელი მართასა და თეკლეს და ნოსტესკენ გაემართა. მაშინ ყველას შერცხვა და უკან გაჰყვნენ. მეორე დღეს თამაზის გამოგზავნილი ქალი მოვიდა, პურ-ღვინო მოიტანა და სულ ეხვეწებოდა. ნინომ ქალი გააგდო, არც პური და ღვინო მიიღო...

ნოსტეს რომ დაებრუნდით, ახალგაზრდობა უკვე იქ დაგვხვდა... მოკლულებს მარხავდნენ—ოცდათი კაცი იყო... ერთი სახლი გადარჩენილიყო, ცარიელი იყო, ზიოს ძველი სახლი... მარომ რომ დაჩეხილები დაინახა, იქვე დაეცა, გული მოსწყდა... დახოცილნი სამ ჭანდართან დამარხეს ერთად, რადგან გამოცნობა არ შეიძლებოდა... ქვათახევის მონასტერში, თვალადში დახმარებისათვის წავიდნენ. მონასტერმა, სულ ცოტა მოგვცა, გვითხრეს, ყველა სოფელს დავეხმარეთო, თვალადლებმა ოთხი ურემი პური და ათი ცხვარი გამოგზავნეს. გოგორიშვილმა ბევრი რამ გამოგზავნა, ივანე ქავთარაძესაც მოვაგონდით—ორი ურემი პური, ხუთი ცხვარი, ყველი და პური გამოგვიგზავნა. თავის გლეხთა შორის შეეგროვებინა. ივანეს ბედი მუდამ სწყალობდა, ყაზახებს მისთვის არაფერი წაურთმეიათ, თვალადელებმა მიუსწრეს. ჩვენი ურმები კი ავაზაკებმა ადრევე გაგზავნეს. ნოსტეში არც ერთი ურემი, არც ერთი ქათამი არ დაუტოვებიათ. ბევრი ქალი თან გაირეკეს... ივანეს თავისას უნდოდა წაეყვანა თეკლე. მაგრამ ნინომ არა ჰქნა:

— გიორგი რომ მოვა, ისე ალარ ინაღვლებსო.

კიდევ ბევრი რამ ილაპარაკეს თავდახრილმა გლეხებმა. გიორგი მიკრულივით იჯდა კარებთან. ზიზღით გაახსენდა, თუ როგორ სძულდათ იგი ერანში ქართლელ თავადებს. და ამ მოოკრულ უგნურებს აბარიათ ქართლელი ხალხის ბედი!

ითეკლე გიორგის ეჯდა მუხლზე და ქვითინებდა:

— ძმაო, ჩემო დიდო ძმაო, სადღა უნდა ვიცხოვროთ ახლა?

გიორგი შეკრთა, ზეწამოიჭრა, თავი უკან გადასწია, თითქოს სიმძიმე რამ მოიშორაო, და მტკიცედ სთქვა:

— კოშკში, ჩემო თეკლე, კოშკში ვიცხოვრებთ. და თქვენც ნუ სწუხართ, ერთი თვის შემდეგ მდიდარი იქნებით, ამას გიორგი საკაძე გეუბნებათ... მერმე... ვის უნდოდა მაღალაძესთან დარჩენა?

ნოსტელები სდუმდნენ.

— თუ არ მეტყვით, ახლავე ყველას განვათავისუფლებ, სადაც გინდათ, წადით.

— გიორგი, შეგვიბრალე, გონება დაკარგეთ, მერმე მოვეგეთ თავს.

— ცალკე დადექით, ვისაც მაღალაძესთან გსურდათ დარჩენა... ვინ ემუქრებოდა ნინოს ძალად იმ ძაღლისათვის მიცემას?

ათი კაცი გამოეყო სხვებსა და დანაშაულივით დაუწყო ქუდს სრესა. გიორგიმ ქისა ამოიღო.

— აქ ოცი თუმანია თვითეულს ორ ორი გერგება წაიღეთ და წადით. ქონება ახლა აღარავის აქვს; თავისუფლებას მიიღებს, მე მხდალები არ მესაჭიროება. ვისაც გიორგი საკაძესთან სურს ცხოვრება, სიკვდილის მუქარითაც კი არუნდა მიატოვოს იგი. ტყუილად ნუ მთხოვთ, ჩემს გადაწყვეტილებას არ შევცვლი. თქვენს შორის არცერთი მესეფე არ არის, ყველაზე მდიდარი იყავით...

— დრო არ არის, ძვირფასო გიორგი, ხალხისათვის ანგარიშის გასწორებისა, შიშვილისგან მოხდით ეგა,—შეამდგომლობდა განდევნილთათვის დიმიტრის პაპა.

გიორგი ის იყო ადგა. ერასტის დედამ საჩქაროდ მოამზადა საჭმელი, რასაც, უკვე სამი დღე იყო, უხვად უკზავნიდა დაუთბეგის მამა.

— ვიცი, პაპაჯან, დრო არ არის, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლება, დაქანებული ხე ერთბაშად უნდა მოსჭრა, რათა ბაღი დაავადებისაგან იხსნა... შენ, ძვირფასო პაპავ, დიმიტრისა ჰკითხე, როგორ მოიქცეოდა, და მაშინ დაგიჯერებ.

— დიმიტრი პირდაპირ მოჰკლავდა,—ამოიოხრა პაპამ,—შენ მართალი ხარ, დეე წავიდნენ. შესაძლოა ივანე ქავთარაძემ მიიღოს ისინი. მას ყოველთვის ბედი სწყალობდა. ჩვენმა მღვდელშა ოჯახითურთ მისას შეაფარა თავი... რად გაჩუმებულხარ?

— ივანე მიიღებს, დათო კი გააგდებს. ურჩიე, ქვათახევის მონასტერში წავიდნენ, იქ სჯობიან, ვიდრე თავადებისას.

— სჯობიაო? ერთს ხელში ჯვარი უჭირავთ, მეორეთი კი ფულს ითვლიან, ღმერთს ატყუებენ. ჰამით დასიენდნენ. უბედურებაში მყოფ ხალხს კი დახმარება არ აღმოუჩინეს... უმჯობესია კვლავ მეფესთან წავიდნენ... ეფიქრობ, თვალადში... შენ სიტყვას არ შესცელი, ჩემი დიმიტრიც არ გადასთქვამს... დეე თვალადს წავიდნენ...

ნოსტელები ჩურჩულებდნენ: გიორგიმ რა მოიფიქრაო? რაკი სთქვა, ერთი თვის შემდეგ გამდიდრებითო, მაშასადამე, ასე იქნება,—მტკიცედ სწამდათ ესა. გამხიარულდნენ და სახლების შეკეთებას შეუდგნენ. მაგრამ გიორგიმ უთხრათ:

— ერთი ზამთრისთვის შეაკეთეთ, შემდეგ ახალს ავაშენებთ.

ყოველ სიტყვას ისეთი გულისყურით ისმენდნენ, თითქოს ბავშვები არიანო.

სააკაძემ ახალგაზრდობა შეჰკრიბა და გამოუცხადა: ყოველ დღე მოედანზე ივარჯიშეთო.

— მალე ერთ საქმეს შეუდგებით.

მესამე დღეს პაპუნაც მოვიდა. რაკი ყოველივე შეეტყო, თბილისიდან რამდენიმე ურემი პური და სხვა სანოვაგე გამოეგზავნა. პაპუნა დიდხანს უვლიდა აქლემებსა და ცხენებს, თუმცა ერასტი უმისოდაც ჩინებულად ართმევდა თავს ამ საქმეს.

გიორგი სიყვარულით უცქერდა ფანჯარაში მეგობარს, რომელიც ახანგრძლივებდა მასთან შეხვედრის წუთს.

— საბრალო პაპუნა! რასაკვირველია, მისთვის ძნელია ამ სახლში შემოსვლა, სადაც ამდენი ხნის განმავლობაში ალერსიან მაროსა და შიოს ხვდებოდა ხოლმე.

მხოლოდ თეკლემ, რომელიც კისერზე ჩამოეკიდა პაპუნას, დაუკარგა მის სახეს მწუხრული იერი და ყოველი კუთხიდან მორბენილმა ბავშვებმაც ცალყბა ღიმილი მოჰგვარეს მის ჩალურჯებულ ტუჩებს.

— რას ჩამომეკიდეთ, თქვე „ხელიკებო", არაფერი არ მომბეზარია თქვენთვის, ტომრებში მხოლოდ ბზე არის ცხენებისათვის.

გიორგი შინიდან გამოვიდა და უხმოდ მოეხვია მეგობარს.

— დახე, გიორგი, „ხელიკები" დარწმუნებულნი არიან, პაპუნა ცალიერი ხურჯინით დაბრუნებას ვერ გაბედავდაო. რა გაეწყობა, ხარკი ახლავე უნდა გადავიხადო, სხვანაირად არ მომეშვებიან.

ცოტა ხნის შემდეგ ბავშვები მძივებით, ბაფთებითა და საყურეებით მორთულნი დარბოდნენ, შაქრის თუთიყუშებს წუწნიდნენ, დუდუკს უკრავდნენ, სამაჯურებს აწყარუნებდნენ.

გიორგი და პაპუნა ნაშუალამევამდე ჩურჩულებდნენ. და როცა ერასტის დედამ წუწუნით მოაგონათ, ნუთუ თავი არ გენაღვლებათ, სადაცაა, გათენდებაო, მათ კმაყოფილებით გაიღიმეს და მორჩილებით გაიშალეს ნაბდები.

გარეთ ფოთლები შეშფოთებით შრიალებდნენ, თითქოს ვიღაც ბნელს ბაღში დაეხეტებაო. გიორგიმ ყური მიუგდო ღამის ხმაურს, და უეცრად მისი გული არაჩვეულებრივმა სინაზემ და სიბრალულმა ალაესო. გაახსენდა თვისი წყნარი დედა, მისი განუწყვეტელი მზრუნველობა და უცვლელი გულკეთილობა ყოველი ადამიანისადმი. თავის

სიცოცხლეში პირველად იგრძნო მძაფრი ტკივილი, თითქოს ისარმა განწონაო. რაღაც მძიმე გორგალი ყელს მიებრჯინა. გიორგი წუნარად წამოდგა. მძინარე თეკლესთან მივიდა, ფრთხილად დახურა და გაშლილი კულულები დაუკოცნა.

შუადღისას პაპუნა რამდენიმე ნოსტელითურთ ტფილისს წავიდა. გიორგიმ ოთხი მოლაშქრე გამოარჩია, ფული მისცა და გორს გაჰგზავნა პურისა, პირუტყვისა და ფრინველის საყიდლად. კვლავ გაჩაღდა ცხოვრება. გამხნეებული გლეხები უკვე აღარ დაიარებოდნენ ხელდაქდობილნი: საჩქაროდ ამზადებდნენ ხე-ტყეს, სწემნდავდნენ ნანგრევებსა და ალაგებდნენ ქვას. რადგან თბილი შემოდგომა იყო, კარვებში დაბინავდნენ. ბოსტნებში ქალები აგროვებდნენ გადარჩენილ ბოსტნეულს. გიორგიმ ბრძანა: სახელდახელოდ დამზადებულ ფარდულებში დაალაგეთ და თანაბრად გაჰყავითო. ამჯერად არავინ ეწინააღმდეგობოდა, მაგრამ ბევრი ჰფიქრობდა: სამუდამოდ ეს უხერხულიაო.

დილიდან საღამომდე გიორგი ბაზრის მოედანზე წერთნიდა ახალგაზრდობას სამხედრო საქმეში.

პაპუნა დაბრუნდა და თან მოიტანა მესაჭურლე ამქრისაგან შეძენილი იარაღი. საკაძემ მოტანილი იარაღი და მორეკილი ცხენები მოლაშქრეთ დაურიგა და უბრძანა: ჩვენს აქ არყოფნაში ყოველღღე იმეცადინეთო.

წასვლის წინა დღეს საკაძე, პაპუნა და ერასტი ნოსტედან ღამით წავიდნენ და დილაადრიან შეუმჩნევლად დაბრუნდნენ. იმ დღეს ნოსტელები სიხარულით გულაფანცქალებულნი უამბობდნენ გიორგის ღვთის სამართლიანობაზე: წუხელ მაღალაძიანთ დასწვიათ იმ მატყლით გატენილი ბეღები, რომელიც ტფილისის მაიდანზე გასაგზავნად ჰქონიათ გამზადებულიო. მოხუცი მწყემსი იფიცებოდა: ორმოცდაათ ბარდანზე მეტი მატყლი ცეცხლმა შთანთქაო. ხალხი სოფლიდან გაქცეულა: ეშინია, თავადები დაგვხოცავენ, ცუდად რატომ იცავდითო. მწყემსი ამბობდა: ისპაჰანს გაქცეულან, დიდი ხანია ერთი სპარსელი ვაჭარი აცთუნებდათო.

საკაძემ თავის მაგიერ დიმიტრის პაპა დასტოვა და თვითონ კი პაპუნასა და ერასტისთან ერთად ტფილისს გაემგზავრა.

ერასტის მამა და დაი—ლამაზი ვარდისი, თავდადებული ერთგულებით ახალისებდნენ გიორგის მწუხრულ დღეებს; გულაჩუყებულმა გიორგიმ მთელი ოჯახი თავისას გადმოიყვანა, და მას თეკლეს მოვლა მიანდო.

გიორგი ცდილობდა მადლობა გადაეხადნა ნინოსათვის, მაგრამ რაკი ქალმა იცოდა მეფის აკრძალვის შესახებ, სრულიად არ ეკარებოდა საკაძეს. გიორგის მიერ გაგზავნილი საჩუქარი უკლებლივ დაუბრუნა.

— როგორც სხვები ცხოვრობენ, მეც ისე ვიქნები, — მიუგო ქალიშვილმა პაპუნას ხეეწნაზე, და მხოლოდ ცისფერი შალი მიიღო მისგან, რადგან მეგობრის ნაყიდი იყო.

„ასე სჯობს; ერთბაშად გათავდა.“—გაიფიქრა გიორგიმ.

ტფილისში შესვლისას ერასტიმ მხიარულად სთქვა:

— ბატონო, მგონია, მაღალაძეები კმაყოფილნი არიან სამაგიერო გამასპინძლებით...

თავი ოცდამეშვიდე

მოოქრული ქარქაში ჩხარუნით დაეცა სადაფის ვარსკვლავებს, მაგიდა შეირხა. თავადმა თურმანიძემ მოწიწებით დაიხია უკან, მეფემ მუშტები მოკუმშა და სწრაფად იწყო ბოლთის ცემა. ყაზახთა გამანადგურებელი თავდასხმა და გორელ მოლაშქრეთა დაგვიანებული შველა, კაი გუნებაზე ვერ დააყენებდა მეფეს.

შადიმანმა გადასწყვიტა ესარგებლნა ხელსაყრელი მ.ომენტით. წამოდგა და შეპარვით დაიწყო ლაპარაკი: აზნაურ საკაძეს ბედი სწყალობს. შაჰის საეჭვო გულუხვობის მეოხებით მას საშუალება მიეცა ყაზახთა შემოსევაზე არ ინაღვლოს.

მეფე, რომელმაც საელჩოს დაბრუნებისას იდუმალი საიმოვნებით მოუსმინა ნუგზარს საკაძის განდიდების შესახებ შაჰის სასახლეში, ახლა ნაღვლიანად ეთანხმებოდა შადიმანს: მეფის ამალის აზნაურისათვის შეუწყნარებელია ისეთი ქცევა, რომ ჩემს უნახავად შაჰის საჩუქრითურთ ნოსტეს წავიდაო.

ბაკამ წყნარად. შეაღო კარი და ფრთხილად იკითხა, მეფე ხომ არ ინებებს ახლახან მოსული აზნაურის საკაძის ნახვასაო.

გიორგი მეფე გაფიცხდა: დაწითლებულ თვალთა წინაშე წარმოუდგა არა თრიალეთის გამარჯვება, არამედ შაჰისეული დიდებული ცხენი, რომელიც ნოსტესკენ მიქენობდა.

ხერხეულიძემ სწრაფად გაიხურა კარი. „ეფხთა რაზმი,“ რომელიც მუდამ ბაკას ახლდა და რომელსაც იგი არსად არ უშვებდა მათი დაუცხრომელი ხასიათის გამო, ძალზე შეშფოთდა იმის გამო, რომ მათს მეგობარს მეფე გაურისხდა.

რამდენიმე ღამის შემდეგ ბაკამ მოხერხებული დრო იპოვნა და მეფეს მოაგონა შაჰის წყალობა საკაძისადმი. მან ფრთხილად შენიშნა, რომ შაჰი ვერ ითმენს იმათს უგულვებელყოფას, ვისაც თავისი წყალობა აღირსაო.

გაჯავრებულმა მეფემ ბრძანა, საკაძე მცირე მიღებაზე გამოცხადდესო.

მეფემ რომ თვალი მოაგლო ფირუზისფერ ატლასსა და სამკლაურს, რომელზედაც ვერცხლის ორი ხმალაღმართული ლომი იყო

გამოკვეთილი, ზიზღი ვეღარ დამალა და ოდნავ გასაგონად ჰკითხა:

— რით დაიმსახურა მოხერხებულმა აზნაურმა შაჰის ასეთი უხვი წყალობა?

სააკაძემ გულცივად შეხედა მეფეს და გაახსენა მის მიერვე ნაჩვენები მაგალითი, უბრალო აზნაური რომ განადიდა.

შადიმანი სავარძელზე გადაიხარა და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. კარისკაცმა მოიხსენია შაჰ აბაზის მიკერძება თავისთვის, გამოსადეგი მწყემსებისადმი და იკითხა: სხვა საჩუქართა შორის აზნაურისთვის ხომ არ შეუთავაზნია ოქროსმატყლიანი ფარა ისპაჰანშიო.

— მართალია, თავადი მიხვდა: შაჰმა შემომთავაზა ფარა, გარნა არა ისპაჰანური ცხვრებისა, არამედ ქართლური სახედრებისა.

გიორგიმ ყურადღებაც არ მიაქცია ასეთი თაეხედობით გაოცებულ თავადებსა და დაწვრილებით უამბო მეფეს იმ მიზეზის შესახებ, რამაც იგი, სააკაძე, აიძულა მეტეხის წესები დაერღვია.

— მე არა ვიცოდი რა, გიორგი, იმ უბედურების შესახებ, რაც შენ გწვევია. მითხარ, რამდენი საქონელი და ფული გესაჭიროება სახლკარის აღსადგენად. დიაღ, დიაღ ვერაფერი კარგი ხელობაა მეფეს ყურს უქედდე ყალბი ცნობებით.

სააკაძემ გაიფიქრა: შაჰი რომ არა მწყალობდეს, განა მეფე ასე მშვიდობიანად დამიწყებდა ლაპარაკსაო? მაგრამ სასწრაფოდ გადაუხადა მადლობა მეფეს, ასეთი გულკეთილობისათვის. შაჰის ნაჩუქარი სწორედ დროზე გამომადგა, ფული და საქონელი არ მესაჭიროება, მხოლოდ გთხოვ, ნება დამრთო სამაგიერო გადავუხადო ავაზაკებსაო.

მეფეს გაუკვირდა:

— ნუთუ აზნაური ომზე ფიქრობს?

— დიაღ, მეფეო, ყაზახურ ომზე... ჩემთან არ უბრძოლნიათ და, მგონია, სამაგიერო გამასპინძლება უარესი არ იქნება... გთხოვ, მეფეო, გაუშვი ასი თვალადელი და „ვეფხთა რაზმი."

ყველას გაეცინა. მეფემ წყრომით შეიკრა წარბი: ნუთუ აზნაური ვარაუდობდა, აუცილებელი დაღუპვის ნებართვას მივიღებო? გახა მასზე ადრე მეფეები ვერ ხვდებოდნენ, რომ საჭიროა მთებში ჯარის გაგზავნა? ან იქნებ მან არ იცოდეს, თუ რა მიუვალია ავაზაკთა კლდოვანი ბუდეები! ცოტა მამაცი ქართველი როდი დაღუპულა იმ ვიწრო ხეობებში. და მეფე აბალი მსხვერპლის გაღების ნებას არ დართავს. უმჯობესია ვიფიქროთ ჩვენი ჭალების დაცვაზე: ციხეებს მტაცებლები თავს არ ესხმიან... და უკვე დროა რუსეთისაგან ვესწავლოთ გოგრებზე შეშდგარი შაშხანების კეთება, თუჯის საბამთროები მტერს მეფის თვალის დასანახავადაც არ გააჭაჭანებენ.

მაგრამ საკაძემ ამაყად ასწია თავი. მან საბოლოოდ გადასწყვიტა შური ეძია, და თუ მეფე დახმარებაზე უარს იტყოდა, სულერთია მაინც წავიდოდა და მტაცებლებს სამუდამოდ დაუკარგავდა იოლი გამდიდრების შადას.

გიორგი X ამაყობდა თავისი შორსმჭვრეტელობით: მდაბიო მარტო იმიტომ კი არ აირჩია, რომ შაჰს მიჰბაძოს, არამედ იმიტომაც, რომ სურს საიმედო იარაღი იქონიოს თავადთა წინააღმდეგ.

და, მიუხედავად თავადთა სიცილისა და პროტესტისა, უეცრად დასთანხმდა საკაძის თხოვნას და, თუ გაიმარჯვებდა, თარხნობის სიგელს დაჰპირდა.

საღამოთი საკაძემ „ვეფხთა რაზმთან" ერთად ტფილისი დასტოვა.

სასახლეში დიდ ხანს დასცინოდნენ გიჟ აზნაურს, რომელიც ცდილობდა ერთი მუჭა რაზმელებით გაელაშქრნა ყაზახთა იალაღებზე.

ხოლო ნოსტეში არავინ არ იცინოდა და არც არავინ ჰკითხულობდა, რათ მოვიდნენ თვალადელები და ასე საჩქაროდ ახალგაზრდობა რად იარაღდებაო. არც ის გაჰკვირვებიათ, რომ ერთს მშვენიერ დილას გაიღვიძეს და გაიგეს, რომ საკაძე თავისი რაზმითურთ სადღაც წასულა. მხოლოდ ერასტის დედას გაუმჟღავნა გიორგიმ საიდუმლოება და დაავალა: ვინიცობაა დავმარცხდე, თეკლე გოგორიშვილისას გადაიყვანეო.

დაუცხრომელ ნოსტელებს ვერც ბულიანი დღეები აჩერებდნენ და ვერც სულის შემხუთველი ღამეები. გადახრუკული ველები განზე მოიტოვეს და ყომრალი მთის კალთებს მიადგნენ.

იალაღს ეძინა. გუშაგობდნენ მხოლოდ მხეცთა მსგავსნი, მუდამ მშიერი ქოფაკები. ძაღლის ტყავებში გახვეული ელიზბარი, გივი, მათარსი და ერასტი ღამის წყვდიადში გაჰქრნენ. მათ თან მიჰქონდათ ახალი ცხვრის ხორცის ნაჭრები, რომლებიც სპარსული საწამლავით იყო გაჟღენთილი.

შორეული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა—და კვლავ სიჩუმე გიორგიმ წყნარად დაუსტვინა—და უხმო აჩრდილნი იალაღს შეესივნენ.

განგაშის თავიდან ასაცილებლად, პირველ კარვებს დიდრონ ჯგუფებად შემოეხვივნენ. ქართლელნი ზოლიან კარვის ტილოებს ფრეწდნენ და მძინარეთ ესხმოდნენ თავს. ნამძინარევნი თავზარდაცემულნი ირიდებდნენ ხმალს, დაკრუჩნხული ხელები იარაღს ეჭიდებოდა, ისმოდა ხრინწიანი წყევა-კრულვა. მოკლე დარტყმა და სისხლი თქრიალით იღვრებოდა. გათოკილი, პირდაცობილი ქალები ფარდაგებზე ფართხალებდნენ.

იალაღი უკვე სისხლში სცურავდა, როცა გარეთ გამომხტარმა შამბეთ-ხანმა სტვენით ასტეხა განგაში. მაგრამ გაიელვა ელიზბა-

რის ხმალმა და ხანის მოკვეთილი თავი ქვის ფილებზე გაგორდა. მკვდარი ძაღლების ახლოს მათარსი და გივი ძლივს აკავებდნენ ხანის ასულს. დაუთბეგი გულგრილად უბორკავდა ხელებს.

მილეულმა მთვარემ აპრილ ღრუბლებში გამოიხედა. შეძრწუნებულმა ყაზახებმა ხმალი იშიშვლეს. სასტიკი შეტაკება მხოლოდ სიძულვილს ამძაფრებდა, გასისხლიანებული იარაღის ჩახაჩუხი რკალს ავიწროებდა. საბმულებზე მოუსვენრად ჭიხვინებდნენ ცხენები. იმათ, ვინც იალაღებიდან გასხლტომას ლამობდა, ჩასაფრებული ქართველნი ჰხოცავდნენ.

განთიადმა მუქ-ლურჯ სუდარში გაჰხვია ვიწრო შუკები და პატარა ეზოები, რომლებიც სავსე იყო მკვდარი ძაღლებითა და თავმოკვეთილი გვამებით.

ქალები ყრუდ ქვითინებდნენ.

მოლაშქრენი საჩქაროდ ჰკაზმავდნენ ცხენებს, მთელი წყება ურმები, ზანდუკებით, ხალიჩებით, საპურველით, ხორბლითა და დერგებით დატვირთულნი, ნელნელა ეშვებოდნენ ძირს. ხალიჩებითა და ბალიშებით დაფენილს ორ ურემზე დაპრილი ქართველები იწვნენ. დაუთბეგის რაზმი ურიცხვ ფარასა და მსხვილი რქიანი საქონლის ჯოგს მიერეკებოდა.

დილით, გაპარტახებულ იალაღს თავს დაყრანტალებდა ყვავ-ყორანი.

სააკაძემ გაკვირვებულ მოლაშქრეთ უბრძანა: შეკრული ქალები ურემზე დასვით და წინ გაუშვითო. ყაზახთა სისხლით შეღებილნი ქართველნი ცხენებს მოახტნენ. შუბებზე გულგრილად ჰქანაობდნენ გალურჯებული თავები, მეფისთვის რომ საჩუქრად მიჰქონდათ. მამბეთ-ხანის თავი ელიზბარმა თავის შუბზე წამოაგო.

დიმიტრის რაზმი, რომელიც გზას იცავდა, დაბინდებამდე საფარში იჯდა; როცა დაღამდა, თოთხმეტი ცხენი მარქაფად წამოიყვანა, ამდენივე თავი შემთხვევით ხელში ჩავარდნილ ყაზახთა შუბებს წამოაგო და ამხანაგების დასაწევნად გაჰქროლა.

უკანასკნელ გადასავალზე სააკაძემ განკარგულება გასცა: ქალები ჩამოსხით, ვისაც რომელი მოგეწონოს, წაიყვანეთ, ბავშვები იმერეთს გასასყიდად გამოჰყავით, მოხუცნი კი უკანვე გარეკეთო.

— მაშინ ურმებს რაღად ამძიმებდა ზედმეტი ტვირთით?—გაოცდნენ თვალადელნი.

— მინდოდა კამეჩები დამესინჯა,—საერთო ხარხარში გაიღიმა გიორგიმ,—ახლა კი უკანვე წაბობღდნენ და იალაღებს უამბონ, როგორი შურისძიება იცის შემოსევისათვის გიორგი სააკაძემ.

საერთო სიცილსა და უდიერ ხუმრობაში ყაზახი ქალები წივილ-კივილით იკრავდნენ გულში ატირებულ ბავშვებს.

პაპუნა მოღუშული მივიდა გიორგისთან და წყნარად მოაგონა, პატარა თეკლესთვის მიცემული ფიცი. საკაძე გაჯავრდა უადგილო გახსენების გამო.

— თეკლეს მომავალი აივაზაკების შებრალება არ უთხოვნია. სისუსტის გამოჩენა როდი ვარგა, მაგრამ... დეე გოგონები წაიყვანონ, ბიქებს კი არ მივცემ, უნდა გავყიდო: მტრები რად უნდა ვამრავლო?..

აღელვებული ერასტი გიორგის წამოეწია;

— ბატონო, გადავწყვიტეთ ხანის ასული ზუგზა წილუყრელად შენ მოგცეთ. წაიყვა, ძალიან ლამაზი და ავია. ისპაჰანში მოსწონთ, როცა ავია.

ერასტის თვალი ცბიერულმა ღიმილმა გააბრწყინა, საკაძემ გადაიხარხარა, ცულღუტს ზურგზე ხელი ჰკრა და ბრძანა: ზუგზა ცხენზე შესვითო.

დანარჩენი ქალები კი, მიუხედავად მათი ტირილისა და გინებისა, მოლაშქრეებმა წილისყრით ჩამოირიგეს. მხოლოდ დიმიტრი იფურთხებოდა: განა შეიძლება თუნდაც ერთხელ აკოცო მტრის ქალსაო?

დათომ, რომელიც ცხენზე სვამდა თავის ლამაზს, რამდენიმე შემთხვევა დაასახელა ისეთი, როცა მტრის ქალი უფრო გამოადგება კაცს, ვიდრე მეგობრისა... ამ ხუმრობას დიდხანს სულ სხვადასხვანაირი ვარიანტით იმეორებდნენ. გოგორიშვილმაც უარი სთქვა მომხიბვლელ ნადავლზე, თუმცა შესაფერისი ლამაზიც იყო, მაგრამ... არ სურდა დიმიტრის აზრის წინააღმდეგ წასულიყო.

დიდ ხანს არ დამცხრალა ხალხით გაჭედილი საბაზრო მოედანი.

— გიორგიმ სიმდიდრე აღგვითქვა და თავის სიტყვას მუდამ ასრულებს.

— ყოველ ღამე მესიზმრებოდა!—იძახდა ბრუციანი ყაფლო და საქოჩრეს უკოცნიდა თავის ამლაკ ძროხას.

— ბედნიერო, შენი დაგიბრუნდა, ჩემი ცხვრები კი ჯერ ვერუპოვნიათ.

— კაცი მუდამ უკმაყოფილოა: ორი ცხვარი ჰყავდა, ახლა კი ოცდაორი მიიღო და მაინც ნაღვლობს...

— შენ კი ერთი ფეხმოტეხილი კამეჩი და ერთნახევარი თხა გყავდა, ახლა უეცრად გამდიდრდი და რატომ არ ცეკავ?

— ქალებსაც არა უშავთ რა: ზოგიერთს სულ არაფერი გააჩნდა, ახლა სამ-სამ კაბას ერთად ჩაიცმენ...

— რის კაბაო? მოხუცმა ქეთევანმა ყაზახის თავი გამოითხოვა სახსოვრად და ბოსელზე მიაჭედა... ქალბატონივით დაბრძანდება.

— სინდისი არა აქვს. ყველას რომ თითო თავი აჩუქონ, ტფილისს რაღა წაიღონ?

— სინდისი ბევრს არ გააჩნია. აი ქეთომ წილს გარდა ერთი დერგი ყველი მიიღო და აბრეშუმის შარვალიც ირგო...

— სხვისი რად გშურს? ის ვინ იყო, რომ გუშინ ხალიჩა ძლივს მიათრია შინ?

— ხალიჩა მიათრიაო? საკუთარი მქონდა, იმ ძაღლებმა წამართვეს, შენ კი პირველად გეღირსა შენს სიცოცხლეში ეგ ვერცხლის სამაჯე...

— კარგია, გეყოფათ! ყველამ კარგად მიიღო, აბა ვინ დასჩაგრა გიორგიმ?

— დასჩაგრაო? უბე-ყურეები აავსო, ასეთი სიმდიდრე აბა ვის უნახავს?

— ზოგიერთს ყველაფერი როდი მოსწონს: დარიკოს ვაჟის დაქორწინება უნდოდა, წინათ ბიჭი თანახმა იყო, ახლა ყაზახი ქალი მოიყვანა, გაამაყდა: „ცოტა ხანს მოვიცდიო "

— რა თქმა უნდა, აჩქარება რა საჭიროა? ნოსტეში პირველად არიან ტყვე ქალები... მესეფის მაგივრად იმუშავებენ... და ღამითაც გამოდგებიან...

— სირცხვილი არა გაქვთ... ახალგაზრდები იცინით. ქალიშვილები კი სტირიან. შურთ...

სააკაძის ეზოში მოხუცნი რიალობდნენ, ახალგაზრდობა ხმაურობდა. რჩევას იძლეოდნენ, სიხარულით ლაპარაკობდნენ ახალ ბინებზე, ფარდულებზე, ხვნა-თესვაზე. აღფრთოვანებული იყვნენ სააკაძის გადაწყვეტილებით, ნოსტეს ქვითკირის გალავანი უნდა შემოვაკლო საგუშაგო კოშკებითა და სათოფურებით გამაგრებულიო. ქალებმაც კი იკისრეს ალიზის ზელა, და ტფილისიდან მოსული ოსტატების ხელმძღვანელობით მუშაობაც მალე გაჩაღდა.

დასაჩუქრებული თვალადელები ორ კვირაზე მეტ ხანს დარჩნენ ნოსტეში, მაგრამ ყაზახნი არ მოსულან. გიორგიმ ოცი მოლაშქრე განათავისუფლა მუშაობისაგან და სადარაჯო რაზმად გამოჰყო. პირველი ათეული შორეულ სერებზე დაბანაკდა, საიდანაც ფხიზელ თვალს ერთ აღაჯზე შეეძლო დაენახა მოახლოებული ყაზახნი. ყოველი ხუთი დღის შემდეგ ათეულები იცვლებოდნენ. ასეთი წესი შემოღებული იყო გალავნის აგებამდე: ერთი დღით ადრე რომ ყაზახთა მოახლოების ამბავს გაიგებდნენ, თვალადელთათვის შეტყობინება ძნელი აღარ იქნებოდა. ასეთივე წესი მტრების წინააღმდეგ დაამყარა „ვეფხვთა რაზმმაც", რათა სწრაფცხენოსანთა გაფრთხილებისთანავე ერთმანეთს დახმარებოდნენ.

სააკაძე რომ ტფილისს წასვლას ეპირებოდა, თავის მაგიერ დიმიტრი დასტოვა, და დიმიტრი ირწმუნებოდა: ვინც უნდა მობრძანდეს, გულნაკლული არ წავაო. ერთი რამ აწუხებდა დიმიტრის: შეამჩნია, როგორ გაილალა ნინო. ზუგზა რომ ნოსტეს მოსული ნახა.

ტფილისს გიორგის გამგზავრების წინა დღეს დიმიტრი დიდხანს ესაუბრა პაპას, მერმე ქუდი დაიხურა და ქუჩაში გავიდა.

ნინო ხის ტახტზე იჯდა. გამოგზავნილი ხალიჩები, ტანისამოსი და საქონელი უკანვე გაგზავნა. ვერც არჩეულთა ხვეწნამ გასჭრა და ვერც გინებამ.

სააკაძემ ნაღელიანად განაცხადა:

— ნინოსაგან მეტსაც არაფერს მოველოდი.

სააკაძის სახლში ლამაზი ყაზახი ქალის გამოჩენამ საბოლოოდ გასტეხა ნინო. მთელი დღეების განმავლობაში უძრაკად იჯდა და სივრცეს გასცქეროდა. მეზობელ ქალს რომ მისთვის არ ეზრუნა, საბრალო შიმშილით მოკვდებოდა.

— პოტივით სიბნელით სტკბები,— განგებ მხიარულად უთხრა დიმიტრიმ, შინ რომ შევიდა.

— ბნელში სჯობს, სინათლისა მეშინია... მამაც ბნელშია, მშურს... როცა კაცი ზედმეტია, უნდა წავიდეს.

— ეჰ, ნინო, ქვეყანაზე ზედმეტი არავინ არის, მტერიც კი საჭიროა. სხვანაირად რომ იყოს, დიმიტრი ვისღა ებრძოლოს? ხოლო შუბზე წამოგებული მტრის თავი განა მხედრის საუკეთესო სამკაული არ-არის?

— შესაძლოა, მტერი ჩემზე უფრო საჭირო იყოს... ზოგიერთს მტერი სტუმარივით შინ ჰყავს... თეკლეც აღარ დაიარება ჩემთან, გუშინ შეეხვდი, აცრემლებული გაიქცა. რა ატირებს? ახლა ხომ მხიარულია! მე კი, ვის უნდივარ?

— მე, ნინო! ნუ გეშინია, ვიცი, რომ გულში მხოლოდ გიორგი გყავს. ჩვენთვისაც, ყველასათვის გიორგი ძვირფასია, ისე მიყვარს, როგორც ხმალი. დიმიტრი, დათო, დაუთბეგი მხოლოდ მოლაშქრენი არიან, გიორგი კი მხედართმთავარია, მას გაფრთხილება უნდა, კნინი ცხოვრებისთვის როდი ცოცხლობს... შეხედე, ნოსტე განა წინანდულია? მონები იყვნენ, თავდახრის გამო კისერი სტკიოდათ, ახლა კი ვინ იხრის აქ თავსა? დიდი გზა აირჩია გიორგიმ... შეიძლება შენ გაგიმხილო... მეფესთან მიდის, ყაზახთა თავებში აზნაურთა კავშირის ნებართვა უნდა გამოითხოვოს. გესმის, ნინო, რა საქმეა მუქარა თავადებისათვის .. ხალხზე ჰფიქრობს, ასეთ კაცს მოვლა უნდა. რად უნდა შევაღონოთ მწუხარებით, ისედაც უმძიმს, ხოლო... ხანდახან ჭირვეულობს, უნდა მოვითმინოთ: ისიც ახალგაზრდაა.

ნინომ წყნარად გაიცინა: მეც მუდამ ასე ვფიქრობდი, ბავშვობიდანვე არა მწამდა ბედნიერება, ტყუილად კი არა ვთქვი უარი ფიცზე, ხოლო გიორგის დიდ გზაზე ჩემი აჩრდილიც კი არ დაეცემა.

— ნინო, გულის მობრუნება რომ შეიძლებოდეს, მაშინ შეგეხვეწებოდი. შენ ბევრი რამ არ იცი, შეიძლება, სიცოცხლეზე უფრო მესაჭიროებოდე. გეფიცები პაპას, ხმალს, თვალის ჩინს, როგორც

დას, ისე გეპატიჟები. მეუვარები, მოგივლი... არასოდეს... მხოლოდ ძმურ სიტყვებს გაიგონებ. წამოდი, ნინო, პაპა ისე გელოდება, როგორც მზესა! ერთად ვიყოთ... შენ ძლიერი ხარ, მწუხარება განქარდება, შეიძლება გამხიარულდე კიდეც.

— დიმიტრი, სუსტი ვარ ახლა... ფეხზე ვერა ვდგები, თავი შამძიმებს, მაგრამ უკვე მახარებს შენი მეგობრობა, მხოლოდ, საბრალო ძმაო ჩემო, ისეთმა, როგორიც შენა ხარ, მკვდარი გული რად უნდა მიიღოს?.. ნურც შენ ინაღვლებ, ერთად მოუაროთ პაპას.

— ნინო, მარგალიტო ნინო, სისარულით ფეხზე აღარა ვდგევარ, საკუთარი ხელით ბედნიერებას მივუტან პაპას.

ბედნიერებით აღსავსე დიმიტრიმ ხელში აიყვანა ნინო.

გიორგის, დათოს და როსტომის გამგზავრების წინა დღეს „ვეფხთა რაზმი" გიორგისას შეიკრიბა. უკვე პირველი მამლის ყივილი იყო, როცა აზნაურთა კავშირის შესახებ ცხარე კამათით გართულმა „ვეფხებმა" შეამჩნიეს, რომ დიმიტრი იქ არ იყო. უკანასკნელად მოსულმა გივიმ ხმამაღლა გადაიხარხარა.

— მე აქეთ მოვიჩქაროდი, დიმიტრი კი შინ მიიჩქაროდა. გიჟივით ჩამიქროლა, კინაღამ მდინარეში გადამაგდო, ცეცხლს აფრქვევდა პირიდან, ნინო ახუტებული მიჰყავდა. მხოლოდ სახე კი არ დამინახავს მისი—დიმიტრის მკერდში ჰქონდა ჩარგული.

და გივიმ, რომელიც არ იყო დაკვირვებული კაცი, კვლავ გადაიხარხარა. გიორგი გაფითრდა. დაუთბეგი გამალებული სრესდა თავის ქუდს. როსტომი უეცრად თავისი სატევრის ტარით დაინტერესდა. დათომ ჭიქა აიღო და ერთბაშად გადაჰკრა. გაჯავრებულმა ელიზბარმა ხელი ჰკრა ფერდში გივის. მათარსმა ფეხზე ფეხი დააჭირა ამ „ვირს". გივიმ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება იმას, რაც იქ ხდებოდა და დარცხვენილმა შინ წასვლა იჩქარა: გიორგი ხვალ ადრე უნდა ადგეს, ძნელი გზაა, დიდი ხანია წვიმა არა ყოფილა და მტვერია ამდგარიო...

მას მხარი დაუჭირეს და, გარეთ რომ გაცვივდნენ, გულუბრყვილო გივი კინაღამ მობეგვეს.

სააკაძე გულმოსული სცემდა ბოლთას, მერმე ხელი დააელო ხმალსა და დიმიტრისას გაიქცა. დაღმართზე დაუთბეგის ძლიერმა მარჯვენამ გიორგის მკლავი ჩაბღუჯა. და კვლავ შეკრთა გიორგი. კვლავ მოეჩვენა, თითქოს თავის ორეულს ხედავსო: თითქოს სრულიადაც არა ჰგავსო, მაგრამ რაღაცნაირად სრულებით მისებურია.

— გელოდებოდი, ვიცოდი, გონებას დაჰკარგავდი. დაუფიქრდი, რა გინდა ჰქნა? დღეს რომ დიმიტრის ზღურბლს გადააბიჯო, ხვალ ნინო ეკლესიაში უნდა წაიყვანო... აგრე არ იქნება, ქალიშვილი ქუდი როდია; როცა საჭიროა, დაიხურო, როცა გიშლის, მოიხადო... რა შენი საქმეა? უცხოა ახლა...

— მეც აგრე ვფიქრობდი— უცხოა-მეთქი, გარნა გული თავს არ უჯერის. მეფიცებოდა, მხოლოდ შენი ვიენებიო, და უეცრად სხვას გაჰყვა...

— შენ პირველმა უღალატე. დიმიტრის დიდი ხანია უყვარს, რად უშლი?

— შენ კი, დაუთბეგ, ასეთ ქალს დასთმობდი?

— მე? მე სხვა ვარ. მოლაშქრეებს შეუძლიათ, როგორც სურთ, მხედართმთავარი კი ისე უნდა მოიქცეს, როგორც საჭიროა.

საკაძე დაბარბაცდა. უეცრად გაიელვეს რუსუდანის მკაცრმა თვალებმა. „ნუ თუ ისიც საჭიროა?“ შეაკივნა. „მაშასადამე, ორივე მიყვარს?“ გიორგი უკან გაბრუნდა.

დაუთბეგმა უნდოდ გააყოლა თვალი უზარმაზარ აჩრდილს, გადაჭრით გაჰყვა უკან და ღამე მეგობრის სახლის შორი-ახლოს გაათია.

— შენ უკვე აქა ხარ?—გაიკვირვა დათომ, რომელიც მოადროდ მივიდა, რათა გიორგისა და დიმიტრის შორის ჩამოვარდნილი შუღლისათვის ბოლო მოეღო.

— ესაა მოვედი... მალე მიდიხართ? საჭიროა აჩქარება, როცა თვალი დაშორებულია, გულს ყინული ეკიდება... ცხვირა ალქაჯი, განა არ შეეძლო ერთი დღე კვლავ მოეცადნა!

— მგონია, განგებ ჰქნა, გიორვის აქ ყოფნისას, დიმიტრის არ უყვარს ჩუმათობა... გამარჯობა, გიორგი.—კარის ჭრიალზე სწრაფად მიბრუნდა დათო.—მალე წავალთ? ჰო და, ასე, შენ რაო, როსტომ, მაწონში იბანავე?

— შემოდით, მეგობრებო, წასვლამდე კიდევ მოვასწრებთ ღვინის გადაკვრას. ერასტი, თავი გაანებე მაგ ხურჯინს, მოიტა, რაც კი თბილისიდან საუკეთესო მოვეიტანია.

იგი მიხვდა, ღამე უდარაჯნიათო, და ლიმილით ჩამოათვალიერა მეგობართა შეშფოთებული სახენი.

პაპუნა საუზმისათვის ფუსფუსებდა, მეგობრები ამაოდ ცდილობდნენ ხუმრობას. კარი უეცრად გაიღო და ოთახში შემოვარდა გახარებული დიმიტრი. გივიმ შიშით ხმალს იტაცა ხელი.

— ა, დიმიტრი, გუშინ რატომ არ იყავი? დაჯექ, ღვინო დალიე.

გიორგიმ პირამდე აუვსო თასი და მიაწოდა. დიმიტრიმ სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— გუშინ არ შემეძლო, საქმე მქონდა... ე ღვინო სადაურია? დამისხი კიდევ... მოიცა, დოქი მომეცი, თორემ თასი წყურვილს ვერ მომიკლავს.

დიმიტრიმ დოქს დაავლო ხელი.

— ვიცი, მეგობარო, რა საქმეც არის... ქორწილი როდისა გაქვს?

დიმიტრიმ დოქი მაგიდაზე დაარახუნა. ტუჩზე უცნაურად აციალდა შერჩენილი წვეთი.

— რა ქორწილიო!? ხომ არ გაგიჟდი, გიორგი? ქორწილიო! განა ნინოს არ იცნობ? დასავით შევიყვანე შინ. არ ვარგა, როცა ქალიშვილი მარტოდ-მარტოა, რად უნდა დარჩეს უპატრონოდ? სულ ჩამოხვა... გუშინ დიდხანს ველაპარაკე, სანამ დავითანხმებდი... პაპამ დაძმური ფიცი სამაჯურებით განამტკიცა. დახე...

დიმიტრიმ სახელო გადაიწია და ამაყად უჩვენა ფართო ვერცხლის სამაჯური.

— პაპა ჩემი ცოლისთვის ინახავდა, მაგრამ... ახლა იცის, რომ ცოლს აღარასოდეს შევირთავ. დაუთბეგს არა სურს.—დაუმატა მან და ცალუბად გაიღიმა.

აზნაურები ღრმა თანაგრძნობით უცქერდნენ მეგობარს. გიორგი დიმიტრისთან მივიდა, მოეხვია და მაგრად ჩაჰკოცნა. დიმიტრიმ გაკვირვებით ასწია თავი და ირონიულად იკითხა: ყველას ურიგებს მეგობარი ზუგზას სინაზის ნარჩენებს, თუ მხოლოდ მე დამდო ასეთი განსაკუთრებული პატივიო.

გიორგიმ გაიღიმა: რაში მესაჭიროება ყაზახი ქალი, თვალითაც კი არ შემიხედნია ზუგზასთვის. დედოფლისთვის წამოვიყვანე საჩუქრად, დღეს ტფილისში მიმყავს. სავსებით ისპაჰანურია, ხანის ასული—მხევალი! დედოფალს ძალიან მოსწონს ესა, „ვეფხთა რაზმმა“ კი კუდიანის გული უნდა მოიგოს.

დიმიტრი სიხარულით შეიშმუშნა ტახტზე. ნათლად წარმოიდგინა, რა სიამოვნებას მიანიჭებდა ნინოს ეს ამბავი. რასაკვირველია, გიორგი ყოჩაღია, ყაზახი ქალი აქ ზედმეტია, რად უნდა „ვეფხთა“ მეთაურს უცხო ქალი? ხოლო დათო არ დაეთანხმა მეგობარსა და მართლა გაბრაზდა: ასეთი კეკლუცი ტყუილად დაიღუპება მეტეხშიო, ირწმუნებოდა იგი, ჩვენიანებიც ბევრია, ასე მცოდნოდა, ამშას წავიყვანდი. მართალია, ფატმანიც არ არის ურიგო, მხიარულობს, ცეკვავს, იმღერის და ზოგჯერ ეჭვიანობით თავში წულასაცა მცემს... ცალკე უნდა ვიყოლიო, მამის სახლში უხერხულია. იქ დები არიან... მაგრამ ზუგზა? რა სისხლი უნდა ჰქონდეს გიორგის, ასე გულგრილად რომ კეკლუცს იმეტებს?

გიორგის ზუგზას ენებიანი კოცნა და მუდარა გაახსენდა და წყნარად ამოიოხრა. მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს: ზუგზა ხანების ჩამომავალია და შეიძლებოდა ყაზახთა თვალსატყუარი გამხდარიყო. შესაძლოა ზუგზას სადმე საქმრო დარჩა, შესაძლოა მონათესავე იალაღები მოისურვებენ მამბეთ-ხანის ასულის დაბრუნებას... ნოსტეს მყუდროებისათვის უმჯობესია წავიყვანო, სისხლი კი მე უარესი როდი მაქვს, ვიდრე დათოს სჩქეფს, ხოლო თავმა უფრო მეტი უნდა ფიქროს...

ხალხით გაჭედილ ტფილისის მოედანზე ერთი ვაი-უშველებელი იყო. მაგრამ ეს ხალხი ფერად აბრეშუმეულს როდი ეტანებოდა, არც კრაველის ტყავეულს სინჯავდა, არც კალათებს ავსებდა სურნელოვანი ვაშლით, არც კამეჩის ტყავებს ახვევდა, არც სპილენძის ქვაბებს ატრიალებდა, არც ბანჯგვლიან ფაფახებს ათვალიერებდა და არც თუ დუმას სინჯავდა. ბნელი დუქნების კარები პირღიად გასცქეროდნენ მოჟივილხივილე მოედანს.

მოედანზე კი ერთი ორომტრიალი იყო.

ციხის მხრიდან ვიწრო ქუჩებით, ბანებით ჩამორბოდნენ მოქალაქენი და ამქარნი. ვერც ინდოეთის ქარავანები, ვერც რომის მისიონერები და ვერც თვით სპარსელი ჯამბაზები მიიზიდავდნენ ამდენ ხალხს, სალაყბოდან მაიდნისაკენ იძვროდა არაჩვეულებრივი მსვლელობა. მეზურნეთა წინ გრძელს ჭოკზე ირხეოდა მამლის ფრთებით მორთული თავი მაშბეთ-ხანისა, რომელსაც ამალად ეარს ეჭვია შავ ჭოკებზე წამოგებული ორასი ყაზახის თავი. მეზურნეები და მედოლეები გულდასმით უკრავდნენ. შულტები იჭაუებოდნენ და რიგ-რიგობით ხრინწიანი ხმით გაიძახოდნენ:

აი ასე უსწორდება ჩვენი დიდებული მეფე საზიზღარ ძაღლებს, რომელნიც ქართლის მიწა-წყალს სძარცვავენ.

ეჟვნიან აქლემზე, წითელ უნაგირზე იჯდა მწვანე და ვარდისფერ აბრეშუმში ჩამჯდარი და ოქროს მძივებით მორთული ზუგზა. მტკიცედ მოკუმული ტუჩები და დახრილი თვალები სილამაზეს სტაცებდა მის სახეს. აქლემს მოჰყვებოდა წითელწვერა შულტა.

— შეხეთ, ქართლელნო, როგორ სტკბება ჩვენი დედოფალთა დედოფლის მხევალი თეისი მამის ¡მამბეთ-ხანისა და მისი ამალის საამაყო მდგომარეობით?

მსვლელობას სასიხარულო შეძახილებითა და მოწონების სიცილით ეგებებოდნენ.

სააკაძის გაბედულმა ლაშქრობამ მეტეხი საგონებელში ჩააგდო. მეფე გაკვირვებული იყო.

მაშასადამე, მოუხელებელ ყაზახებთანაც შეიძლება ბრძოლა. და იგი ცნობისმოყვარეობით ჰკითხულობდა: რა შთაბეჭდილება მოახდინა მაიდანზე ნადავლითურთ სვლამ და კმაყოფილია თუ არა ხალხი ჩემი მამაცური მოქმედებითაო.

მარიამი აშკარად მოხარული იყო საჩუქრისა. ხანის ასულის მოახლედ ყოლას, სტამბოლის სულთნის ცოლთა მსგავსად, ვერც თუ აგრე ხშირად ეღირსები. იგი დიდი ხნიდან ოცნებობდა ამაზე და აბრეშუმეულით გამოწყობილი და ოქროს მანიაკით მორთულ ზუგ-

ზას კვეხნით უჩვენებდა ყველას, აიძულებდა ეცეკვნა და ნაღელიანი სიმღერები იმღერნა უქნარა კარისკაცთა გასართობად.

ამიტომ მეფემ და დედოფალმა ყურიც კი არ ათხოვეს მაღალაძიანთ საჩივარს ცეცხლის წაკიდების შესახებ: საბუთი არა გვაქვს,— ჯიუტად იმეორებდა გიორგი მეფე. სააკაძემ თვალი გაუსწორა მეფეს და მტკიცედ განაცხადა: ღვარძლიან თავადთა სურვილი, — გამაშაონ მეფის წინაშე, სრულიადაც არ მაკვირვებს. მე ხომ მეფის ბრძანებას ვასრულებდი და ისპაჰანში მხოლოდ და მხოლოდ გიორგი X სასარგებლოდ, მაშასადამე, თავადთა ინტერესების წინააღმდეგ ვმოქმედებდი. ახლა ქართლის მეფეს მოვახსენებ იმ ცნობებს, რაც ისპაჰანში ყოველგვარი საშუალებით შევკრიბე, და მეფეთ-მეფე დარწმუნდება, როგორ იცის გიორგი სააკაძემ თვისი მბრძანებლის სამსახურიო.

— მხოლოდ ქართლელთა საელჩოს მისვლისას გაისტუმრა რუსთა ელჩები ცბიერმა შაჰ აბაზმა. შაჰი სწორედ ვარაუდობდა, რომ ჩვენი თავადები მხოლოდ პირადი სარგებლობის მიზნით ეცდებიან მისი გულის მოგებას, და, მართლაც, ჩემო ხელმწიფევ, არცერთ მათგანს ქართლი არ გახსენებია, არცერთი არ ჩაფიქრებულა, თუ რად მოსულან ერანს რუსთა ელჩები, არ უკითხავთ, თუ რად არ გაამჟღავნა ტატიშჩევმა აქ, რომ გოდუნოვი ერთსა და იმავე დროს საელჩოს გზავნიდა შაჰ აბაზთანაც. ან კი როგორ უნდა გაემჟღავნებინა ეს ცბიერ რუს თავადს? შენ გაჯერებდა, შაჰთან კავშირი გასწყვიტე და ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი დასდეო, ხოლო ისპაჰანში რუსეთის ელჩებმა მტკიცე კავშირი შეჰკრეს შაჰ აბაზთან: ერთად ვიეაქროთ, ერთადვე ვიომოთ ერთმორწმუნე და არაერთმორწმუნე მტრების წინააღმდეგო. გამოდის, რომ კარგია, როცა ჩვენი ბრძენი მეფე არ დაუყვა რუსეთის ცთუნებას. ან ეს როგორ უნდა გავიგოთ? გოდუნოვს ჯერ არ დაუპყრიეართ, ჯერ გახვრეტილი ფარაც კი არ მოუცია, და ივერიის მეფედ კი იწოდება...

გიორგი მეფე ძალზე წამოწითლდა და ერთბაშად წინ წამოიწია, თითქოს კეფაში დაჰკრესო: გაიხსენა, რომ უკანასკნელ სიგელში, სრულიად უსაბუთოდ გოდუნოვს თვითონვე იხსენიებდა ივერიის მეფედ...

— და კიდევ შევიტყე. ჩემო ხელმწიფევ, რომ ეს რუსეთის საყვარელი ხერხია, ჯერ მოშაქრული სიტყვები: კავშირი დავდოთო, შემდეგ კი იარაღით ძალად შეერთება... უკვე მრავალი მეფე უტახტოდ დარჩა, უკვე ციმბირისა და ყირიმის მრავალ ხალხს დაედგა რუსეთის მძიმე უღელი. ან საჩუქრების საქმე როგორ იყო? ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ შაჰ აბაზის კავშირი გოდუნოვთან უფრო თანასწორთა კავშირად ითვლება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ღვინო არ გვაკლია, მაგრამ რად უნდა არაერთმორწმუნე შაჰს

ორასი ტიკი რუსული ღვინო, რათ უნდა ყველა შვიდი ძვალი თეკზის კბილისა? ჩვენთვის არავითარი საათი არ მოუტანიათ, შაჰს კი გოდუნოვმა ძვირფასი სარკეიანი საათი გაუგზავნა.

გაჯავრებულმა გიორგი მეფემ მუშტი დასთხლიშა სამფეხა მაგიდას, ზეწამოიჭრა, ანგარიშჭიუცემლად მხარში ხელი ჩაავლო სააკაძეს, გვერდით მოისვა და უბრძანა: მითხარ, კიდევ რა საჩუქარი გაუგზავნა გოდუნოვმა შაჰსაო.

სააკაძემ არა დააკლო რა და დაწვრილებით აუწერა ყველაფერი თანდათან გაფიცხებულ მეფეს და, თავის მხრივ, დაუმატა რაღაც ვერცხლის ფრინველი, რომელიც დღეში სამჯერ გამოხტება მოოქრული გალიიდან და წკრიალა სიმღერით ადიღებს შაჰს.

— კიდევ რა გაქვს სათქმელი?

— მთავარი რამ, ჩემო ხელმწიფევ, აზნაურთა ერთგულება შენდამი, ისინი თავიანთ ხმალსა და სიცოცხლეს შენ გთავაზობენ.

და სააკაძემ დაწვრილებით გადაუშალა მეფეს თავისი. გეგმა აზნაურთა კავშირის შექმნის შესახებ. აზნაურები სპარსული წესისამებრ მოაწყობენ თავიანთ რაზმებს და გაერთიანდებიან დროშით: „ერთგულება ქართლის მეფისადმი.“ ყოველ თვე აზნაურები შეიყრებიან საასპარეზოდ ნოსტეში. წელიწადში ერთხელ აზნაურთა ჯარი თბილისში შეიკრიბება მეფის მიერ დასათვალიერებლად. ომის, შინაურ განხეთქილებათა თუ ღალატის დროს კარგად გაწერთნილი ჯარი, რომელსაც საერთო ინტერესი აკავშირებს, ქართლის მეფის დროშის ქვეშ დადგება. მტკიცედ დარაზმული აზნაურები უფრო მეტ შიშს მოჰგვრიან მტერს, ვიდრე დაქსაქსული მცირე რაზმები.

— აზნაურთა კავშირი,—გულმხურვალედ დაასრულა სააკაძემ,— ტახტის დასაყრდენი იქნება და ასეთი ძალის შემწეობით მეფე თანდათან შეჰკვეცავს თავადთა ძალაუფლებას და საგვარეულო სამფლობელოს შეუმცირებს ჯერ სუსტებს, რაშიც ძლიერნი დაეხმარებიან, შემდეგ კი ძლიერთ, რაშიც დასუსტებულნი შეუწყობენ ხელს.

გიორგი მეფე იდუმალი აღფრთოვანებით უსმენდა თავის აზნაურს, მაგრამ ეშინოდა, აჩქარებით საქმე არ წავახდინოო, და აზნაურთა კავშირის დაარსების სრული თანხმობა რომ მისცა, უბრძანა: ჯარის პირველ დათვალიერებამდე ყველაფერი საიდუმლოდ შეინახეო. ერთი წელი საშინჯი იქნება და თუ განზრახული მოგიხერხდება, მაშინ... მომავლის გათვალისწინება საძნელო არ იქნებაო.

და მყისვე გაიფიქრა: „სრულიადაც საძნელო არ იქნება. დეე აზნაურნი დამეხმარონ თავადების მოდრეკაში, შემდეგ ჯერ ძლიერ აზნაურებს მოვსპობ, სუსტები კი თავიანთ თავს ამოიქამენ. შეცდომის განმეორება არ შეიძლება, ტახტი ყველასაგან შორს უნდა იყოს.“

რამდენიმე დღის შემდეგ სასახლეში ყველგან ჩურჩულებდნენ მეფის გულუხვობაზე, რომელმაც სააკაძეს თარხნობის სიგელი უბოძა

მეტეხის შიდა სადგომებში თავისუფლად შესვლისა, უბოძა აგრეთვე მამული ნოსტეს ახლოს და ერთი ქარავანი იარაღი მოთარეშეთა დასაშინებლად.

მეფის ბრძანებით საუკეთესო ოსტატნი გაემგზავრნენ ნოსტეს სააკაძის ციხე-დარბაზის ასაგებად.

შადიმანი თავს იმტვრევდა, მაგრამ მაინც ვერ მიმხვდარიყო: სააკაძე ორჯერ დიღხანს ესაუბრა მეფეს. მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, მათი საუბრის საიდუმლოება მაინც ვერ გაიგო. ნოსტელი ეშმაკები არათუ მეფის სადგომის კარს, არამედ ახლო-მახლო კუნჭულებსაც იცავდნენ. შადიმანი განსაკუთრებით შეაშფოთა იმ გარემოებამ, რომ მეფეს სურდა თავადობა ებოძებინა სააკაძისთვის. საჭიროა თავიდან ავიცდინოთ გამოუსწორებელი შეცდომაო.

და შადიმანიც ესაუბრება: მეფეო, შენი სურვილი, რომ სააკაძეს თავადობის ღირსება უბოძო, სრულიად სამართლიანია, აზნაური ღირსია ამისა, მაგრამ... თავადებიც შენს წყალობას ელიან... იქნებ იწყინონ, აზნაური დიდი ნადირობის გამართვამდე უხვად დააჯილდოვაო. ეგების, მოვიცადოთ? წყალობა სწორედ დროის შესაფერისი იქნება. სააკაძეს ბევრნი უჭერენ მხარს, აი, მაგალითად, ნუგზარი... მართლა, არაგვის ერისთავთა ქალები დიდი ხანია არ გვსტუმრებიან... შეიძლება ცალკე მოპატიჟება გავუგზავნოთ დედოფლის სახელით... გიორგი მეფე აპირებდა სიტყვა შეეწყვეტინებინა შადიმანისთვის — მეფეს თავადთა დასტური არ ესაჭიროებაო, მაგრამ რუსუდანზე ფიქრმა გული აუძგერა: კარგი იქნება მისი დასწრებით მეტი წყალობა გავცეო. ორი წელი იყო, რაც რუსუდანი ტფილისს არ სწვეოდა; ნუგზარი არაერთხელ ესტუმრა სასახლეს თავისი ოჯახითურთ, რუსუდანი კი სხვადასხვა საბაბით ანანურს რჩებოდა... დიაღ, დიაღ შადიმანი მართალია, დიდი ნადირობის გამართვამდე აჩქარება არა ღირს... რუსუდანი არ თხოვდება, რამდენი მაჭანკლობდა, მაგრამ ყველას უარს ეუბნება. დიაღ, დიაღ, აი, ოდიშის ბრწყინვალე თავადიც — ალექსანდრე, მასაც კი უარი ეთხრა... მაშასადამე, მართალია, რომ ჩემდამი გულგრილი არ არის. დიდ ნადირობამდე სამი თვე დარჩა, შადიმანი მას ცალკე დაპატიჟების ბარათს გაუგზავნის. ნაწყენი რომ იყოს, გათხოვდებოდა, მაშასადამე, იცდის...

აზნაურთა კავშირის მოწყობაში გამართულ სააკაძეს კიდეც გაეხარდა: შესაძლოა თავიდან ამცდეს საძულველი თავადის წოდების მიღებაო.

მაგრამ მარტო სააკაძე როდი აწუხებდა შადიმანს. ლუარსაბი უეცრად გაიზარდა, გაიმართა, თავაწეული დადიოდა და მისი ენებიანი თვალი კეკლუცებს ეძებდა. განსაკუთრებით აწუხებდა შადიმანს

ლუარსაბის აშკარა განწყობილება გაფურჩქნულ ნესტანისადმი. მეშკვიდრემ რომ კეთილშობილური გრძნობით ობლის ცოლად შერთვა განიზრახოს? ახალგაზრდობას სისულელე არ აკლია, და განა ნესტანი მოვალეობად არ ჩასთვლის მადლობა გადაუხადოს თვისი მამის მკვლელს? მართალია, სანამ გიორგი მეფე ცოცხალია, ასეთი შეუღლება წარმოუდგენელია. სანამ ცოცხალია! გამოდის, რომ შადიმანმა უნდა დაიცვას სიცოცხლე „მეფეთ-მეფისა.“ მაშასადამე, თავად შადიმანის დიდ გეგმას არღვევს წითური ენუტი, რომელსაც ნოსტელ მდაბიოთა ამალა ახლავს? ტყუილად ხომ არ დასტრიალებენ იგინი თავს ნესტანს, ტყუილად ხომ არ მოუტანა სააკაძემ ერანიდან საჩუქრები. სააკაძემ კარგად იცის აფხაზეთში მომხდარი ამბავი, მაგრამ ჯერ სდუმს, ელოდება... რა გაეწყობა, შესაძლოა ველარც კი მოესწროს... აუცილებელია მეტეხში გულშარის დაბრუნება, მხოლოდ მას შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მშვენიერ ნესტანს. ამირინდო მოვალეა გაიგოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამი საგვარეულოს კავშირისათვის იმას, რომ ლუარსაბი ხელში გვყავდეს... ასტანი ორბეთს წაიყვანს ნესტანს, იგი ხომ ერთად-ერთი ნათესავია მისი. ლუარსაბი წინააღმდეგი არ იქნება, გულშარი რომ ახლოს იქნეს. მარიამის დაშინებაც ძნელი არ არის, იგი ლუარსაბისათვის იმერეთის მეფის ასულ ელენეზე ოცნებობს, იქ უკვე თანახმანი არიან. დიაღ, დიაღ, როგორც უცბიერესი გიორგი ამბობს, დიდი ნადირობა ბევრს რასმე გადასწყვეტს. სანამ ნესტანი აქ არის, მეფეს შეუძლია მშვიდად იძინოს.

ოქროს პეპლები დაფართქალებდნენ პალმების ფოთლებზე, რომლებიც „ცამეტი სირიელი მამის უდაბნოს“ ოაზისში ჰხარობდა. საწიგნეთა შავს ჩარჩოებზე დახვეულიყვნენ მზით დასიცხული სადაფის ფოთლები.

— პირნათელო ბატონიშვილო, შენს ვერცხლისებრ წკრიალა სიცილს ვერ გაუძლებს ვერც სპილენძისა, და ვერც თვით ყინულის ზღუდე, მაგრამ როცა საბრძოლო საყვირის ხმა აღარ ისმის, საჭურველი ჟანგდება, და მხედარი ჟანგის გასაწმენდ საშუალებათა საძიებლად საუკუნეთა საიდუმლოებაში შესტოპავს ხოლმე.

— ბუნდოვანად ლაპარაკობ, გიორგი.

— რაკი იმის გაგება მწყუროდა, თუ წიგნის მცოდნე მხედარი რამდენად ძლიერია უცოდნელზე, მე ჯერ კიდევ ქვათახევის მონასტერში დავეწაფე ბაგრატოვანთა გვარეულობის გუჯართა წყაროს.

— მაშ, უკეთუ მებრძოლ აზნაურს ღმერთმა სახელოვანი შთამომავლობა არ აღირსა, მაშინ იგი პერგამენტის წყაროს შეეწეობით ცდილობს თავადთა სია ახალი გვარეულობით განაახლოს, რათა მათთან ერთად იმოგზაუროს!

— არა, ბატონიშვილო, ჩემი მეფის გულუხვობის წყალობით მე აზნაურის წოდებითაც დაუბრკოლებლად ვმოგზაურობ მაღალშობილთა გაპარტახებულ ფიქრებში, ხოლო უადგილო წარჩინება ზოგჯერ ნუგეშთა ქარავანს ამძიმებს...

— როგორ! შენი აზრით, წარჩინება ღირებულებას არ წარმოადგენს?

— მე, ბატონიშვილო, ღირებულებად ის მიმაჩნია, რაც მხოლოდ ხმლითა და ჭკუით არის მოპოებული, ხოლო რაც კაცს არ მოუქმედნია, იქ დამსახურებაც არ არის. განა ვეფხი დამნაშავეა, რომ ძაღლად არ შობილა?

ლუარსაბს სიცილი აუტყდა.

— ჩემო ბატონიშვილო, მე დიდი ხანია ვიცი, რაც საჭიროა, განსაკუთრებით ისა, რომ ქვეშევრდომნი მოვალენი არიან სიცოცხლე შესწირონ მეფეს...

— მოვალენი არიან აგრეთვე, რომ დედოფლებს ლამაზი ტყვე ქალები მოუყვანონ? იცი, გიორგი, შადიმანმა ღამით ჩემს საწოლ ოთახში შემოიყვანა ზუგზა... მაგრამ მე იგი გავუშვი, არ მიყვარს მტირალა ქალები... ცრემლებში რა სიყვარულია? განა მე მახინჯი ვარ, რომ სიყვარულს ვეძებდე?.. მითხარ, გიორგი, რად სტიროდა იგი?

სააკაძემ ყურადღებით ჩაათვალიერა ლუარსაბი. მოქნილი ტანი ჯერ კიდევ ოდნავ იხრებოდა, ამაყად აწეულ თავს ჯერ კიდევ ბავშვური ბრწყინვალე კულულები ამშვენებდა, დიდრონ თვალებში ბავშვური სიანცე ელავდა და მოღიმარე ბაგენი მიჯრილ თეთრ კბილებს ეშმაკურად აჩენდნენ, მაგრამ მკაფიოდ ნათქვამ სიტყვებში, მბრძანებლურ მიმოხვრაში უკვე მტკიცე ნებისყოფა გამოსჭვივოდა. სააკაძე ყველაზე უფრო რატომღაც მისმა ნატიფმა თითებმა გააოცეს. უეცრად შინაგანი ცახცახი აუტყდა, რაკი ალღოთი იგრძნო, რომ ქართლის ტახტის მემკვიდრეს საშინელი საფრთხე ემუქრებოდა მისგან, გიორგი სააკაძისგან, და, სიბრალულით მოცულმა, სასწრაფოდ მუხლი მოიყარა და ნაზად ეამბორა ლუარსაბის მშვენიერ ხელს.

— ნუ იწყენ, მშვენიერო ბატონიშვილო, ბევრი კეკლუცი მოხარული იქნება შენის ვნებისა, მაგრამ თუ სხვა რამ გასართობს მოისურვებ, ერთგული სააკაძე მოახერხებს მთათა წიაღშიც კი გიშოვნოს იგი.

— იცოდე, გიორგი,—ლუარსაბმა უკვე შეიკავა თავი და ცდილობდა გაექარწყლებინა `აშკარა წყენა,—მე ვიღებ შენს გულუხვ დაპირებას...

წიგნთსაცავის კარი უეცრად გაიღო და შადიმანმა დამცინავი თვალი დაარტყა სააკაძეს.

— ჩემო ბატონიშვილო, აზნაურს ახალი შარვალი ხომ არ უთხოვია შენთვის? ძალიან ბევრი უცვდება. შაჰს თაყვანი ეც, მეფეს

თაყვახი ეც, ტახტის მემკვიდრეს თავყვანი ეც... დიაღ, ძნელია მაღალშობილებისაკენ მისწრაფება.

— სცდები, თავადო, ძნელია სააკაძის ტანის შესაფერისი შარვლის შოვნა, ხოლო ტახტის მემკვიდრეს კი ზოგიერთ წარჩინებულთა მსგავსად, მე ვთხოვდი ნება დაერთო, რათა ღამით მისთვის კეკლუცი მიმეყვანა... ეს არცთუ იმდენად საპატიო საქმეა მხედრისათვის, მაგრამ სამაგიეროდ წარჩინებულთ მიმაახლოებს.

თავხედობით განცვიფრებული ლუარსაბი და შადიმანი გაშტერებით უცქერდნენ აზნაურს. პირველი ლუარსაბი გამოერკვა და მრისხანედ დააბრიალა თვალები.

— ნება დამირთავს, მაგრამ იცოდე, უკეთუ ის ლამაზი მაღალშობილების მიერ მოყვანილზე ცუდი ადმოჩნდა, მაშინ თავხედ მატყუარად ჩაგთვლი...

— ბატონიშვილის ნათქვამს აღარაფერს დავუმატებ, მაგრამ გახსოვდეს, რომ ის, რაც წარჩინებულთ მშვენივრად გაძოუდით, მდაბიოთა მხრივ საზიზღარია. წავიდეთ, ჩემო ბატონიშვილო, დედოფლის სამყოფელში ახალგაზრდობა შეკრებილა და გელოდება, თავხედმა აზნაურმა კი თავისუფლად იფიქროს იმაზე, რაც მოხდა.

ოქროს პეპელები საწიგნეთა შავი ხის ჩუქურთმებს დაფარფატებდნენ. ნელა იძროდნენ ღრმა აჩრდილები, ყრუდ მოისმოდა ეკლესიის ზართა შორეული რეკა. სააკაძე გამოფხიზლდა. დიაღ, ლუარსაბთან ხუმრობა საშიშია, შადიმანი კი ყველაზე უფრო უნდა გძულდეს. მაგრამ... დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვა აუცილებლად უნდა ავასრულო.

გიორგი საჩქაროდ გაემართა ბააკასთან და საღამოს, რაკი მეფის ნებართვა მიიღო დიდი ნადირობის მოწყობამდე თვითონ ედეევნებინა თვალყური ციხე-დარბაზის აგებისათვის, ნოსტეს მიაშურა.

თავადთა კოშკებში კედლებზე იხსნებოდა საგვარეულო ხმალი, იწმინდებოდა საჭურველი, იკერებოდა და იქარგებოდა სადღესასწაულო ტანისამოსი. დიდი ნადირობა მოასწავებდა არა მარტო მხეცებზე გამარჯვებას, არამედ ახალგაზრდობის შეშფოთებული გულზე გამარჯვებასაც.

თავადთა ოჯახები ყოველწლივ იკრიბებოდნენ ტფილისში. თოთხმეტ დღეს გაისმოდა სანადირო საყვირის ხმა. თამაშობანი და ასპარეზობანი თავდებოდა ყველიერის ლხინითა და მეფის წყალობათა გაცემით: ეძლეოდათ მამული, აზნაურობა, თავადობა და თავისუფლდებოდნენ დამნაშავენი, რათა მეფის ოჯახი წმინდა გულით შესდგომოდა მარხულობას.

და ამჟამადაც დიდმა ნადირობამ ქართლის ყოველგვარი სახელმწიფო ინტერესი დაჩრდილა. ფეოდალები მხოლოდ ერთს რამეზე ჰფიქრობდნენ, როგორ გამოეჩინათ თავი მეფისა და ერთმანეთის

წინაშე და დაეშინებინათ მოწინააღმდეგენი; ხელსაყრელად გაეთხოვებინათ თავიანთი ლამაზი თუ ულამაზო ქალიშვილები და თავი ექოთ ვაჟთა სიმამაცით. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მოესინჯათ ნიადაგი, ვინ გამოდგებოდა ამა თუ იმ კავშირისათვის, ვისთან განემტკიცებინათ ან ვისთან გაეწყვიტათ მეგობრობა, ვინ წაექეზებინათ პირადს მტერზე გადასაკიდებლად, ვინ მოესყიდათ და ვინ დაეცვათ შუღლისაგან.

გრგვინავდნენ საყვირნი. ჰიხვინებდნენ ტაიპნი. ბაზიერთა მკლავზე მოუთმენლად ფართქუნებდნენ ქორ-შავარდენნი.

გარნა ამ დიდს ნადირობაში მხოლოდ ორი ვინმე არ იზიარებდა მეტეხის ციხის სადღესასწაულო განწყობილებას: აზნაური გიორგი სააკაძე და თავადი შადიმან ბარათაშვილი უკვე გაფაციცებით უთვალთვალებდნენ ერთმანეთს.

აზნაურები ემზადებოდნენ.

დათო და როსტომი, სააკაძის ბრძანებით საჩქაროდ გაემგზავრნენ ნოსტეს. „ვეფხთა რაზმი" თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდა. გიორგი და დიმიტრი კი უეცრად შეიპყრო აზნაურთა მამულებში მოგზაურობის სურვილმა.

უწინარეს ყოვლისა გიორგი და დიმიტრი ქელივიძისას, ასლამაზისას და როსაბისს წავიდნენ. გაოცებით უსმენდნენ სააკაძეს გახარებული აზნაურები, ერთბაშადვე შეიგნეს სააკაძის გამარჯვების მნიშვნელობა, აზნაურთა კავშირს ერთგულება შეჰფიცეს და, თაეის მარივ, შუა ქართლში გაემგზავრენ აზნაურთა მოსამზრობლად.

მეფის სურვილმა აზნაურთა ჯარის შექმნის შესახებ იმედი გაუღვიძა იმ აზნაურთ, რომელთაც მიწა-წყლისა და საქონლის ნაკლებობა აწუხებდათ. მეფის მიერ დაპირებული შეღავათი და დახმარება დიდი რამ სატყუარი იყო.

და უეცრად, დიდ ნადირობამდე ერთი თვით ადრე ნოსტეს ეწვია ათასი მოლაშქრე, რომელთაც ოცი აზნაური მეთაურობდა. საბაზრო მოედანზე იმართებოდა არაჩვეულებრივი ჯირითი, ფარიკაობა, საომარი წყობა.

სააკაძისას გაცხარებული კამათი იმართებოდა ხოლმე. ირჩევდნენ აზნაურთა ჯარის მხედართმთავარს. სააკაძემ, რა თქმა უნდა, საიდუმლო მიზნის გაუმხელად, მკაფიოდ დაახასიათა კავშირის მნიშვნელობა და ხელსაყრელობა. თავადები უკვე დიდ ხანს ვეღარ იყოლიებენ ხალხს უღელქვეშ. საშინლად მოუხეული მტკვარი გაზაფხულის წყალდიდობისას, მაგრამ გაცილებით უფრო საშინლად აზავდება აზნაურობა და ერთიანად წალეკავს ყველაფერს, რაც კი თავისუფლების გზას უღობავს მას. მხოლოდ აზნაურებს ძალუძთ საქართველოს გამოგლეჯა თავადთა უძღებ ხელიდან. და მაშინ აკრიალდებიან ხის ჩარხები, ოქროს ტალღასავით წამოვა აბრეშუმი და ფერად ქსოვილებად იქცევა მატყ-

ლი. უდიდეს სიმაღლეზე აიყვანენ აზნაურნი ქართლსა და ახალი ხმლითა და ახალი ფარით გამოვა, რათა ორთა ბრძოლა გაუმარ-თოს სამთავიან გველაშაპს, რომელიც სამი გზით უახლოვდება საქართველოს.

სულგანაბული აზნაურები აღფრთოვანებით უსმენდნენ ახალგაზრ-და სააკაძეს. მათს წინაშე გადაიშალა ვრცელი ასპარეზი. მათ პირ-ველად შეიცნეს თავისი გაერთიანების ძალა.

და როდესაც აზნაურთა მსედართმთავრის არჩევანს შეუდგნენ, ყველამ ერთსულოვნად დაიძახა: გიორგი სააკაძე! აზნაურებმა იქვე შეჰფიცეს, საიდუმლოდ დაიცვათ კავშირიო, და სააკაძეს გადასცეს მოოქრული შუბი და ავაზის ტყავგადაკრული ფარი.

სააკაძემ არწივისებური თვალი მოავლო შეკრებილთ. მერმე სახე გაბრწყინვებულ ქვლივიძეს, ასლამაზსა და როსაბს გადაჰხედა, და გაახსენდა თუ როგორ ასწავლიდნენ ისინი აზნაურის წესებს ამ ცოტა ხნის წინათ, რომ ახლა არა თუ წინანდელ სიძულვილს, არამედ ერთ-გვარ მადლიერებასა გრძნობს მათდამი. და რატომღაც თვალწინ წარმოუდგა საეკლესიო მოედანი და აღელვებული მესაჭურველე ამქ-რები, რომლებიც უსტაბაშს ირჩევდნენ. მთელი წარსული, აწმყოს და მომავალთან შედარებით, სრულიად უმნიშვნელო რამედ ეჩვენა,

და საკუთარი ძალის შეგნებამ პატივმოყვარეობის სიამაყით აღავ-სო სააკაძის გული. წარბები შავ ფრთებივით ჩამოეხურა, განიერი მხრები გაიშალა, სახეს ზეიმოვანი სიმკაცრე მიეცა.

თავი ოცდამეცხრე

მეტეხის აღმართი კვლავ გაიპყრა მოფარდაგებული ურმებით, მოხმაურე მხედრებით, მოფუსფუსე მსახურებითა და ქეშიკებით. სა-სახლეში ჩვეულებისამებრ, პირველნი მოვიდნენ მაღალაძის მეუღლე ნინო და რევაზი ასტანითურთ. თავად მაღალაძეთ არ ეცალათ ფავ-ნელთან ჩამოვარდნილი განხეთქილების გამო. მოვიდნენ: ჯავახიშვი-ლი, ბრწყინვალე ბაგრატი, სვიმონი, ამილახვარი.

შადიმანმა კარგად ივარაუდა: ლუარსაბი გაოცებული იყო გულ-შარის სილამაზით, რომელიც გულგრილი არ დარჩენილა მშვენიერი მემკვიდრის ყურადღებისადმი. გარნა კეკლუცმა მარტო ლუარსაბი კი არა, ყველა თავადი ააღელვა. თვით ოდიშის მთავარი ალექსანდ-რეც კი, რომელიც ცოტა ხნის წინად რუსუდან ერისთავის ასულ-მა დაიწუნა, მოხიბლული იყო მისი მშვენებით. აღფრთოვანებული ახალგაზრდობა ერთსულოვნად ასხამდა ქება-დიდებას. ამირინდო დამცინავად ილიმებოდა: ამაყი გულშარი ფარულ სიყვარულს არავის აღირსებს, სხვა შემთხვევისათვის კი ხმალი კარგად მაქვს გალესი-ლი.

უკანასკნელნი მოვიდნენ ქსნისა და არაგვის ერისთავნი, ხოლო რუსუდანი კვლავ არ იყო. მეფემ მოიწყინა და უკვე ზიზღით ფიქრობდა მომავალს ნადირობაზე. მეფე ძლივს მალავდა წყენასა და განგებისი გულგრილობით შეეკითხა ქსნის ერისთავს: რა მიზეზია, რომ რუსუდან ასე დაჟინებით არა სურს მოსვლაო. შალვამ გულცივად ურჩია: ამის შესახებს დედოფალს ჰკითხეო. მეფეს თავზარი დაეცა: ნუ თუ მარიამმა რუსუდანს აგრძნობინა თვისი ეჭვიანობაო? დიაღ, დიაღ, რატომ ადრე ვერ მივხვდი? ამ საზიზღარმა მაღალაძეებმა მხოლოდ უსიამოვნობა უნდა მოგაყენონ... დიაღ, დიაღ, მარიამის საყვარელ შადიმანის გამო, ბააკასაც უსამართლოდ ვეპყრობი. რა საოცარი რამაა, არასოდეს შადიმანს არ ვენდობოდი და ახლა იგი მეტეხში პირველი კაცი შეიქნა.

შადიმანმა მყის შეატყო გიორგი მეფეს მარიამისა და მისდამი გულგრილობა. ვისი ოინია? სწორედ ახლა კი, განსაკუთრებით საპიროა მეფის გულის მოგება...

გიორგი მეფემ ნადირობის წინ თავადთა ბჭობა მოაწყო და დაჟინებით მოითხოვდა, რათა თავად მაღალაძეთა და ფავნელს ძალით თუ ნებით შეეწყვიტათ შუღლი. მერმე რისთვის გადაეკიდნენ ერთმანეთს? ღორისთვის, რომელმაც გაჰბედა და უბაჟოდ შევიდა ვენახში.

თავადებმა გაიღიმეს და ზრდილობიანად მოახსენეს:

— ძალით შეწყვეტა არ შეიძლება, ნებით კი—საქმეს არ უშველის.

მხოლოდ ამირინდომ, ბაგრატმა და შადიმანმა, რომელთაც სურდათ პირადი გამორჩენით ეამებინათ მეფისთვის, აღუთქვეს, ნადირობის დასასრულისას ბოლოს მოვუღებთ მათს განხეთქილებასო.

მიუხედავად მეფის ცუდი გუნებისა, ნადირობა დიდი ზარითა და ზეიმით გაიმართა. ლუარსაბი, რომელსაც გარს ეხვია მშვენიერთა დასწრებით აღელვებული ბრწყინვალე ამალა, დიდ სიმარჯვესა და უშიშრობას იჩენდა. იოლად სცნობდა მელიების და ტახების კვალს არანაკლებ აღტყინებული, ხანში შესული თავადები ტოლს არ უდებდნენ ახალგაზრდებს და ამიტომ მხეცებსაც არასოდეს არ განუცდიათ უმეტესი საფრთხე. ბუკთა ყვირილით, ბადროთა ცემის ზრიალითა და ისართა ზუზუნით გაოგნებული ნადირი ჩირგვებს, ხევებსა და გორაკებს ევლებოდა, მაგრამ ყველგან ამხედრებულსა და აყიჟინებულ მონადირეთ აწყდებოდა.

ნადირობამ ვერ გაანელა მეფის უგუნებობა. მხოლოდ იმ გარემოებამ მოჰგვარა ფარული სიხარული, რომ სამი თავადის მუქარის გამო მაღალაძემ და ფავნელმა ხმალი ჩააგეს და დამნაშავე ღორიც ზეიმით შუა გაიყვეს.

„ერთი განხეთქილება,—ფიქრობდა მეფე,—მეორეს წარმოშობს. სულელი რევაზი ასტანის დაჟინებით უკვე შეუდგა ლაშქრის მზადე-

ბას სიმამრის დასახმარებლად. ფაენელსაც ხომ მრავალი ნათესავი ჰყავს, აი ციხის უფროსიც გადაკრულად ლაპარაკობდა ძმისწულისათვის დახმარების გამოჩენაზე, მას სხვა თავადებიც აჰყვებიან, ხოლო ყიზილბაშნი მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ელოდებიან, რომ თავს დაესხნენ დაუძლურებულ მეფეს...

მეფე ოდნავ გამხიარულდა და თავაზიანად იკითხა: თავადებს სათხოვარი ხომ არა აქვთ რაო.

— მეფევ ბატონო,—დინჯად დაიწყო ბაგრატმა,—სამი თავადი: ბრწყინვალე ბაგრატ ქართელი, ამირინდო ამილახვარი და შადიმან ბარათაშვილი—მოგმართავს საერთო თხოვნით, რამაც დიდი სარგებლობა უნდა მოუტანოს ქართლს: ჩვენ გთხოვთ. ალაჩ-ყალის უდაბურ ადგილას, რომელიც მეფის აქლემთა საძოვარს წარმოადგენს... იქ ჩვენ ძლიერ სიმაგრეთ ავაგებთ ქართლის საზღვრების დასაცავად...

გიორგი მეფე გაოცდა. ალაჩ-ყალა ერანის საზღვარია, რომელსაც გარს აკრავს ნოყიერი საძოვრები და ვრცელი მინდვრები. მაშასადამე, სამს. ცბიერ თავადსა სურს საზღვრის ბატონ-პატრონი გახდეს?

— ვაი თუ ასეთი რამ სხვა თავადთ არ მოეწონოთ.

— ვისა, მეფეო? ერისთავებს? მათი სამფლობელონი ქართლის სულ სხვა კუთხეში მდებარეობენ. მუხრან-ბატონს? ციციშვილს? ისინი უფრო დაშორებულნიც არიან, ხოლო უკეთუ მოშურნენი გამოჩნდებიან, სამი .მძლავრი საგვარეულო შესძლებს საკადრისი პასუხის გაცემას...—ამირინდომ გაიღიმა.

— უერთგულეს თავადთათვის საზღვართა დაცვის მინდობა ხელსაყრელი საქმეა,—რბილად ჩაურთო შადიმანმა.—ჩვენ მიერ აგებული ქვითკირის კოშკები დააშინებს თავხედ მეზობლებს. და შენი ჯოგებისთვისაც ურიგო არ იქნება საიმედო დაცვა, მომთაბარენი მუდმივ უსიამოვნებას გვაყენებენ...

— დიდი ლაშქარი მუდამ მზადა გვყავს, სინჯონ და მოშურნენი ჩაერიონ ერთი ჩვენს საქმეებში... უალჩა-ყალოდ არ ვივარგებთ, ჩვენი მამული ბეტად ახლოსაა. ასეთს უბრალო რამეზე უარი არ უნდა გვითხრა,—პირქუშად დაამთავრა ამირინდომ.

გიორგი მეფე მიხვდა მუქარის ძალას, მაგრამ როგორ მოიქცეს? ინტრიგების, განხეთქილებათა ქსელში გაჰხვიოს ქართლი? საიდან იცის მეფემ, ვინ არის მისი მომხრე და ვინ მისი მოწინააღმდეგე? ბებერი მელა ბაგრატ დიდი ხანია ტახტს უთვალთვალებს, იქნებ განგებ ეძებდეს დავის ატეხას? მაშასადამე, ხალხს წაერთვას საძოვრები? მაგრამ განა ასეთ შემთხვევაში ხალხზე ფიქრობენ? იგი, რაც უნდა შეავიწროო, სდუმს, თავადები კი მყის ხმალს გაივლებენ ხელსა! ბაგრატი კვლავ აპრიალდა... დიაღ, დიაღ, ოსმალნი... დამცველი

ვინლა იქნება. უკეთუ სამი მძლავრი თავადი კოშკში შეიკეტება და მათ სხვებიც მიჰბაძავენ. დიაღ, დიაღ, იძულებული ვარ დაუთმო, იძულებული ვარ დროებით ამ ავაზაკებზე ვიყო დამოკიდებული. იქნებ აზნაურებმა მართლაც მოახერხონ მეფის დაცვა თავადთა მონობისაგან? ასე მარწმუნებდა საკაძე... მაგრამ სად გაჰქრა იგი? ნადირობას არ დასწრებია...

სამი თავადი მხიარული გამოვიდა მეფის სავანიდან. ბოლოს და ბოლოს ქართლის ბედი მათს ხელშია, ხოლო უკეთუ საზღვარს დაეუფლებიან, მაშინ არც ის იქნება საძნელო, რომ მეფე თურქეთთან კავშირზე დაიყოლიონ...

მალიმალ შემოჰქონდათ ტკბილეულობით სავსე ოქროს სინები. გუგუნებდა დაირა, ჩხაკუნებდა კამათელი და წყნარ სიცილს აყრუებდა ზუგზას ნაზი ხმა.

ეს ერთი ხანია ლურსაბს მოსწონს ქალთა საზოგადოებაში ყოფნა და მარიამი მცირე სავანეში აწყობს ხოლმე მშვენიერ თავადის სულთა კრებას. თავადთა მეუღლენი ნარდითა და ჭორებით გაერთიანენ, ახალგაზრდობა კი, ჩვეულებისამებრ, კუთხის ტახტზე მოეწყო. შუაში იჯდა ცისფერი ატლასის ქულაჯით, ყვითელი შარვლითა და ლურჯი წაღებით გამოწყობილი ლუარსაბ. მის გვერდით მუთაქას დაჰყრდნობოდნენ გულშარი და თამარ მუხრან-ბატონის ასული, გარემო კი—სხვა თავადის ასულნი და ახალგაზრდა თავადნი.

ლუარსაბი არც თუ ჭარბი მოკრძალებით გამოჰხატავდა თავის ყურადღებას მშვენიერთადმი. „ყმაწვილის“ სიანცეზე კეკლუცნი თავდაბლად იცინოდნენ. ასეთი ნირი შეითვისა ყველამ და... ახალგაზრდობაც გულახდილად იხარებდა.

დრო და დრო მარიამი ნარდის თამაშს შესწყვეტდა და ნაზად მიაცქერდებოდა თავის ვაჟს. იგი ღიმილით აქეზებდა ხოლმე უფროსთა მეთვალყურეობით საანცოდ. ხოლო თავადთა მეუღლენი არ იწონებდნენ მემკვიდრის სიანცეს და მხოლოდ შიში, ჩამორჩენილობა არ დაგვწამონო, იწვევდა მლიქვნელურ სიტყვებს:

— როდისღა უნდა იმხიარულო, თუ არ სიყმაწვილეში?

შადიმანის დაჟინებული რჩევით, მარიამი ყოველის გზით ცდილობდა განერინებინა ლუარსაბი სახელმწიფო საქმეთაგან, რომლებიც წელთა შემმოკლებელიაო. სამეფოსთვის ზრუნვა კი საჭირო არ არის, ვინაიდან უკეთუ მეფეს, ვინიცობაა, რაიმე შეემთხვევა, მემკვიდრის ასაკოვნობამდე თვით იმეფებს... მარიამმა ხელი დააქნია: მოცეკვავეთ დაირა ააგუგუნეს და... აფრიალდნენ აბრეშუმის კაბანი.

კარებში შესდგა შადიმანი. მას, ვით მემკვიდრის აღმზრდელს, უფლება ჰქონდა დაუპატიჟებლად შესულიყო დედოფლის სამყოფელში.

შადიმანმა ცეკვა მოიწონა და ჯავახიშვილის მეუღლის ფერხთით დაჯდა. ნაამებმა ქალბატონმა წუთით დაივიწყა სიმკაცრე და საყურადღებო თავადს ღიმილით მიართვა მოხალულნუშიანი ლარნაკი.

ზუგზა ნიავისებური მსუბუქი რხევით უელიდა რბილს ხალიჩაზე.

ქეშიკმა კარი შეაღო, ჩაახველა, დაბალი სალამი გადაიხადა და ლუარსაბისკენ მიბრუნდა. მემკვიდრის თვალი რომ იგრძნო, საჩქაროდ მოახსენა: აზნაური სააკაძე ძალიან გთხოვს, მიმიღეო. წარბშეკრულმა ლუარსაბმა შადიმანს გადაჰხედა. ზუგზამ ოდნავ შეჰკიეცა და ხალიჩაზე დაეშვა.

მემკვიდრემ ფიცხად უბრძანა, ხვალ მნახოსო.

ქეშიკი, რომელსაც სასახლეში საზრიანობის კარი სკოლა გაევლო, წელში მოიხარა:

— დიდო ბატონიშვილო, მე ვარწმუნებდი ჯიუტ აზნაურს, ხვალ მოდი-მეთქი, მაგრამ არ ნებავს... მოითხოვს, მაინცა და მაინც ახლავე მიიღოს დანაპირევეიო.

— დანაპირევეი?!—ლუარსაბმა უეცრად გადაიხარხარა,—შადიმან, გახსოვს?

შადიმანმა შეთქმულივით ჩაუკრა თავალი და ურჩია: უბრძანე თავხედ აზნაურს აქ შემოგგვაროს დანაპირევეიო. ლუარსაბი ძლივს იკავებდა სიცილს, ბრძანა, სააკაძე შემოიყვანეთო.

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილნი თავადთა ასულნი ეეედრებოდნენ, გვაცნობეთ თქვენი საიდუმლოო. ლუარსაბი უფროც გამხიარულდა: თავხედი ხომ აქ ქალის შემოყვანას ვერ გაბედავსო. მდგომარეობის სიმწვავე უფრო და უფრო ახელებდა ლუარსაბსა და გულშარს ეეაჭრებოდა: ერთს კოცნაში მოგყიდი საიდუმლოებასო. გულშარმაც სათანადო პასუხი გასცა: მე, რა თქმა უნდა, შემთხვევით ვისარგებლებდი და მემკვიდრის ხავერდოვან ბაგეთ შეეეხებოდი, მაგრამ მეშინია ნესტანის ბასრი კბილისა, რომელსაც შეუძლია უსაჭიროეს სამკაულს—ცხვირს გამომათხოვოსო.

საერთო სიცილში, სააკაძემ მშვიდად გაისწორა მარცხენა ხელში ნაჭერი ფუთა, დედოფლის წინაშე თავი დაჰხარა, შემდეგ სხვებსაც მიესალმა და მემკვიდრის წინაშე გაქვავდა. ლუარსაბი ოდნავ აიბნა და ჰკითხა: რით არის გამოწვეული შენი დაბინებული თხოვნაო.

— ბატონიშვილო, ზოგიერთი მიზეზით, უფრო ადრე ვერ მოვახერხე შენი ბრძანების შესრულება.

— და ახლა მოხვედი, რომ დედოფლისა და თავადთა ქალების თანდასწრებით მაცნობო შესრულება?—ციად გააწყვეტინა ლუარსაბმა.

— დიაღ, ბატონიშვილო. შოთა რუსთაველმა თამარ მეფის ფერხთა წინაშე დაასვენა „ვეფხის ტყაოსანი". მე მგოსანი არა ვარ, მე მონადირე გახლავარ მხოლოდ, გარნა ყოველი ადამიანი თვისი

უნარის მიხედვით იქცევა და ამიტომ მიიღე ჩემგან მშვენიერი დარეჯან.

შადიმანმა მრისხანე თვალი მიაპყრო სააკაძეს, მაგრამ გიორგიმ, თითქოს აქ არაფერიაო, ცალ მუხლზე დაიჩოქა და გაოცებულ ლუარსაბს გაუწოდა ბალიში, რომელზედაც ნაზად იზმორებოდა პატარა ავაზა. თავადის ასულნი წივილით გაიფანტნენ.

— მიიღე, ბატონიშვილო, ეს კეკლუცი შენი ერთგული მხედრისაგან:

„ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა, მართ ვითა სირისა.“

ლუარსაბი წამოწითლდა და ალერსი დაუწყო განაზებულ მხეცს.

— ძვირფასო გიორგი, შენი საჩუქარი გაკვეთილი იქნება ტახტის მემკვიდრისათვის, რათა ყოველ კაცს მისი უნარისამებრ მოსთხოვოს ხოლმე...

შადიმანი ძლივს იკავებდა თავს, მისი ხელი უნებურად ქამრისაკენ იწეოდა, სადაც ჩვეულებრივად ხმალი ეკიდა ხოლმე. თავადის ძეულლენი აბნეულნი უცქერდნენ ერთმანეთს.

სააკაძე ყურადღებით მიაცქერდა ლუარსაბს:

— ახლა კი ნება მიბოძე, ბატონიშვილო, წავიდე.

— არა, დარჩი ჩემთან ამ ერთ კვირას სალხინოდ. იმედი მაქვს, თავადის ასულნი, რომელნიც ასე კეთილგანწყობილნი არიან რაინდისადმი, ყურადღებას არ მოგაკლებენ...

ლუარსაბმა უეცრად გადაიხარხარა: ავაზა ტახტიდან ჩამოხტა, ნებიერად მიმოდირდა და კაბებს უყნოსავდა აწივლებულ თავადის ასულთ.

ზუგზა მუხლმოდრეკილი სთხოვდა ლუარსაბს; მე მომანდე ავაზის მოვლაო, მხეცი აიხუტა და ენებიანად დაუწყო კრცნა. მემკვიდრე ზუგზას დააშტერდა, მერმე თვალი უეცრად დარცხვენილ სააკაძეს გადაავლო.

— ახლა, მგონი, ვიცი თუ რათ სტიროდა ერთხელ ზუგზა, — სთქვა ლუარსაბმა,—ავაზა აიყვანა და აწივლებულ თავადის ასულთ გამოუდგა. ამაოდ ცდილობდა დედოფალი შეეყენებინა გაანცებული ლუარსაბი, და ხუმრობა, ალბათ, გულისწასვლით დამთავრდებოდა, შემოსულ თავად ჩიჯავაძეს რომ მეფის ბრძანება არ შეეტყობინებინა: სუფრაზე მობრძანდითო.

— შვილო, ავაზა ზუგზას გადაეცი, შენ კი, გიორგი, იმისათვის, რომ ძემკვიდრეს ასეთი სიამე განაცდევინე, ამ სადღესასწაულო კვირის განმავლობაში ჩემი სასახლის რაინდობას გწყალობ.

ორი დღის ლხინის შემდეგ რაინდთა ასპარეზობა დაიწყო. ასპარეზობაში გამარჯვებულს ერთი წლით ენიჭებოდა საბელწოდება „უძლეველისა“ და ჯილდოდ ეძლეოდა მოოქრული ყანწი.

წინა დღით ბააკამ საააკაძესა და დათოს უამბო, თუ როგორ ეცადა სამი თავადი და როგორ გამოსძალა მეფეს თანხმობა, რომ აღჩა-ყალა მათთვის ებოძებინა. საააკაძე უმცდარად მიხვდა ვერაგულ ანგგმას. ნუთუ ამ სამს მტაცებელს უნდა ჩაჰბარდეს ქართლის ბედი? მაგრამ როგორ ვერ ამჩნევს მეფე საფრთხეს, რასაც მას უშზადებენ? ბრწყინვალე აფთარს, ბაგრატს ხომ უფლება აქვს ტახტზე ასვლისა! იქნებ ახალი ღალატი მზადდება! მაშინ პირველს ლახვარს აზნაურთა კავშირსა და ხალხს ჩასცემენ.

საააკაძე საჯინაბოს ეზოში გავიდა და ხმამაღლა, რათა შინაყმათ გაეგონათ, ერასტის უბრძანა, ცხენი შეჰკაზმეო, პაპუნა დღესვე ჩუნდა გაემგზავროს ნოსტეს ახალი იასაულის მოქმედებათა შესამოწმებლად.

და გიორგი არჩილისას გაეშურა. დაჯდა და შაჰ აბაზისათვის გასაგზავნ საიდუმლო ეპისტოლეს მოფიქრებით დაუწყო წერა:

„დიდებულო შაჰ-ინ-შაჰ, ერანის ძლევამოსილო მბრძანებელო, ძეო ძზისა და მთვარისავ, შაჰ აბაზ. ნება მიბოძე თქვენს მეფურს ყურს ვასმინო ამბავი ბრწყინვალე ბაგრატ ქართლელისა და თავადთა ამირინდო ამილახვრისა და შადიმან ბარათაშვილისა, რომელნიც შენს საწინააღმდეგოს ზრახავენ.

ქოფაკთ ჩვენს კეთილ მეფეს გამოსძალეს სახასო აღჩა-ყალა და ეს უკეთური საქმე მათ, მგონი, სტამბოლის ცბიერ კარისკაც ახიზ-ფაშასთან საიდუმლო შეთანხმებით გააკეთეს. მან უკვე რამდენჯერმე ფარულად გადმოლახა საზღვარი ქართლისა. დიდებულო შაჰ-ინ-შაჰ, მგონია, თავადნი ცდილობენ ქართლი ერანს ჩამოაშორონ. ჩვენი მტრის სასარგებლოდ და არა სამეფო საძოვრების დასაცავად გაბმაგრებული აღჩა-ყალა იმის მომასწავებელი იქნება, რომ ქართლს მოაკლდეს ძლევამოსილი შაჰ-ინ-შაჰის მფარველობა... მეხლს ვიდრეკ უდიდებულესთა შორის უდიდებულესი, უძლეველი შაჰ აბაზის წინაშე და ერთგულებასა ვფიცავ ყმა გიორგი საააკაძე.

ქორონიკონსა 796

ეს ეპისტოლე რომ გადასცა, საააკაძემ პაპუნა გააფრთხილა:

— დღე და ღამ იფრინე ისპაჰანისაკენ, ერთი ცხენი რომ დაგივარდეს, მეორეს შეჯექ. ეპისტოლეც გადაეცი მხოლოდ შაჰ აბაზს, იმ ცბიერ სპარსელს, შაფურზედაც წამოუგია იგი შაითანს... ვინიცობაა, გზაში დაგიჭირონ, ეპისტოლე ჩაჰყლაპე და ასე სთქვი: ნოსტეს მშენებლობის დასაჩქარებლად თავისუფალ გლეხთა საძებრად წამოვედითქო.

პაპუნამ ეპისტოლე ჩამოართვა, ხელსახოცში გაჰხვია და ჩოხის უბეში ჩაიდო:

— კარგი, ძვირფასო, ვეტყვი—ეს ლავაშია მეთქი, და ვთხოვ ზემოდან ყველი დამიდონ, ღვინო კი პაპუნას მუდამ თან დააქვს და ათს დაუპატიჟებელ მეგობარსაც კი წააქცევს...

ტფილისის ასპარეზს ხელახლა მოაყარეს წითელი ქვიშა. სამეფო ტახტრევნის გარშემო, რომელიც ღია ცისფრად იყო შეღებილი, ამფითეატრი მაყურებლებით გაიკედა. მეფის ახლოს, ხალებით დაფენილ სკამლოგინზე მოთავსდნენ თავადნი თავიანთი ოჯახებითურთ და უმაღლესი სამღვდელოება. მათს უკან, პირველს რიგებში—საპატიო ტფილისელნი: მელიქები, ქეთხუდები, უსტაბაშები ყველა საამქროსი, ხოლო მათს შემდეგ მჭიდროდ ისხდნენ ვაჭარნი დიდნი და მცირენი, უცხო ქვეყნების სოვდაგარნი და ნაცვალნი. და ბოლოს, უკანასკნელ რიგებში, თითქმის ერთმანეთს ასხდნენ ამქარნი და მოქალაქენი. დანარჩენი მოქალაქენი—„უბრალო ხალხი",—ყურძნის მტევნებივით დაჰკიდებოდნენ ასპარეზის გალავანს. სამეფო ტახტრევანს იცავდნენ მეტეხის გუშაგნი, მეფის სავარძლის უკან ბააკამ მჭიდროდ ჩაამწკრივა ქეშიკთა რაზმი.

ოთხი გზით ასპარეზზე შეეოსელა იწყეს ჯავშან-ჩაჩქანში ჩამსხდარმა რაინდებმა.

სამეფო ბაქანზე მყოფ ლუარსაბს მუხლზე ეჯდა ავაზის ლეკვი, რომელიც ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა იქაურობას და ნაზ თათს უბეში უყოფდა ლუარსაბს, ტკბილეულის საძებრად. მეფის ახლოს იდგა კვერთხაღმართული ციხის უფროსი, მის გვერდით კი შუბიანი ქეშიკებით გარშემორტყმული ბააკა.

დაიწყო ასპარეზობა. სარბიელზე გამოვიდნენ თავადნი და მათნი საპურველთმტვირთველნი. ყოველი გასვლილას ციხის უფროსი აცხადებდა რაინდთა სახელსა და მეფის სურვილს ასპარეზობის წესის შესახებ.

ამირინდოს ჯირითობის შემდეგ, რომელმაც საერთო დაუცხრომელი აღფრთოვანება გამოიწვია, ბააკამ მეფეს მოახსენა ოცი აზნაურისა და მათი მოლაშქრეების თხოვნა: ნება გვიბოძე, აზნაურ საკაძის მეთაურობით სამხედრო თამაშობა გიჩვენოთო.

მეფემ სწრაფად შეავლო თვალი ხერხეულიძეს და ანიშნა, კარგიო.

დაწყებულმა სანახაობამ ასპარეზისადმი მიაპყრო ათასთა თვალი.

ალმოსავლეთის კარით პირველი შემოვიდა რაინდის საპურველით აღკაზნული ცხენოსანი საკაძე; ხელში ეჭირა ფარი, რომელზედაც ვერცხლის ვეფხვი ბრჭყვიალებდა. შაჰისეული მისი ცხენი მწყრალად აბრიალებდა თვალსა და მოუთმენლად ფრთქვენდა. მრისხანე ცხენოსანს მოსდევდა ორასი მოლაშქრე, რომლებიც მსუბუქი ჯავშნით, შვინდისფერი ქულაჯით და შავი წაღით იყვნენ გამოწყობილნი.

სააკაძემ მეფის წინაშე შეაყენა ცხენი და დაჰხარა ხმალი და ფარი. ორასმა მოლაშქრემაც მყის ერთბაშად დაუშვა შუბი და რაკალად დაეწყო.

სამხრეთის კარით შემოვიდნენ დანარჩენებიც. ჩაჩქან ჯავშანში ჩამჯდარმა ცხრამეტმა აზნაურმა, მსგავსად სააკაძისა, მეფის წინაშე დაჰხარა ფარი და ხმალი...

დათო და მისი ორმოცდაათი მოლაშქრე, რომლებიც ოქრომკედით მოქარგული ქულაჯებითა და ლურჯფუნჯიანი წალებით იყვნენ გამოწყობილნი, სარბიელის აღმოსავლეთის მხარეზე დადგა. ქვლივიძის მეთაურობით მოსულმა ორასმა მოლაშქრემ, რომლებიც ლურჯად იყვნენ ჩაცმულნი, სააკაძის პირდაპირ დაიკავა ადგილი. როსტომის რაზმი, რომელიც ნარინჯისფრად იყო გამოწყობილი, დიმიტრისა — ღია მწვანეთა და ყვითელი წალებით (ძისი პაპის დროინებით) გივისა — ღია მტრედისფერად და მიხაკისფერი წალებით, ფანუშისა — ღია რუხით, მათარისა — იისფრად, ელიზბარისა — ყვითლად, დაუთბეგისა — ლურჯად და მწვანე წალებით, ყველა წინასწარ ზუსტად განსაზღვრულ ადგილას დადგა. „ეეფხვთა რაზმს" ღია-წითელი დროშა ეფრიალებინა, რომლებზედაც გამოხატული იყო ვერცხლის ეფხი. დანარჩენი თერთმეტი აზნაური თავიანთი რაზმებითურთ დასავლეთის მხარეს დაეწყო.

ნოსტელთა მხედართმთავარი სააკაძე იყო, სხვათა კი — ქვლივიძე. მათ ზეიმით გამოაცხადეს თავიანთი ჯარის რაოდენობა: ქვლივიძემ — შვიდას ოცი მოლაშქრე, სააკაძემ — ოთხას ოთხმოცი. გადატეხილი შუბი მოლაშქრეებისა ნიშნავდა დაჭრას, გაგდებინებული — სიკვდილს. წართმეული — ტყვედ წაყვანას. აზნაურებისათვის: გადატეხილი ხმალი — მოკვეთილ თავს, გაგდებინებული — დაჭრასა და ტყვედ წაყვანას.

გაოცებული მაყურებლები სულგანაბული უცქერდნენ გაჩაღებულ ბრძოლას. ათეულებად დაყოფილი რაზმები ათისთავის მეთაურობით ცალ-ცალკე გამოდიოდნენ. ნოსტელნი ცდილობდნენ შემოეღლოთ მტრისათვის, მაგრამ ქვლივიძეს ყველაზე დაეყენებინა გუშაგნი და სამვიკი წამდაუწუმ უკრავდა.

მხედართმთავარნი ფხიზლად ადევნებდენ თვალყურს ბრძოლის მსვლელობას და ასპარეზზე წამდაუწუმ მოჰქროდნენ მათ მიერ გაგზავნილნი შიკრიკნი. „დახოცილნი და დაჭრილნი" გამარჯვებულის ბანაკში გაჰყავდათ. განუწყვეტლად ისმოდა ხმლის ჩახაჩუხი, შუბის ჯახუნი, ასპარეზს აყრუებდა საბრძოლო ყიჟინა, რომელიც მაყურებელთა ხმამაღალ შეძახილს უერთდებოდა.

და უკეთუ თავადთა სკამებზე აქა-იქ ძუნწად გაისმოდა შურიანი შენიშვნები, ვინაიდან თავადნი აღშფოთებულნი იყვნენ, რომ აზნაურებმა გაბედეს და თავიანთი საინტერესო აპარეხობით თავადებს გადაჭაარბეს, სამაგიეროდ, რამდენადაც ხალხი მეფის ბაქნის შოშო-

რებით იჯდა, მით უფრო ხმამაღლა გამოხატავდა თავის შთაბეჭდილებას. ჰაერში ისროდნენ ქუდებს, ფაფახებს, ფრიალებდა მრავალი ნაირფერი ხელსახოცი, ყურის წამღები ყიჟინა აღფრთოვანებულ შეძახილებს ეზავებოდა.

სადღაც ნაძლეობდნენ, სადღაც იფიცებოდნენ, სადღაც იგინებოდნენ. გალავანზე კიდეცა სცემდენ ერთმანეთს. ვილაც აღფრთოვანებული ყვირილით ჩამოვარდა ჭიშკარზე და თან დაიყოლია მისი მაწყევარი მეზობლები. ქარიშხლისაგან აფორიაქებულ მძლავრ მუხასავით ირხეოდა ხალხით დახუნძლული გალავანი. და ასასთა მჭიდრო რაზმი რომ არ ყოფილიყო, ასპარეზს აავსებდა ახალი ჯარი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა თავისი შეხედულებისათვის; არა, ეს აზნაური გაიმარჯვებს, და არა, ესაო.

ერთი საათის შემდეგ, რაც თამაშობის ვადად იყო დათქმული, საკაძემ განაცხადა:

— ტყვედ ჩაგვივარდა ორმოცდაათი, დაჭრილი და მოკლულია ასი.

ქვლივიძემ, რომელიც გულს არ იტეხდა, განაცხადა:

— ტყვედ წამოყვანილია ხუთი, დაჭრილი და მოკლულია ორმოცდაათი.

ხმაჩახლეჩილ მაყურებელთა მძაფრმა ყიჟინამ და ტაშმა დაჰფარა მხედართმთავართა სიტყვები. საკაძის წინადადებაზე დამნებდიო, ქვლივიძემ მიუგო: თავს დამარცხებულად არა ვთვლი, ვიდრე ხმალი ხელთ მიჭირავსო.

მაშინ საკაძემ ხმალი აღმართა და ორთა ბრძოლის წინადადება მისცა. ქვლივიძე სიხარულით დაეთანხმა.

მესაჭურვლეთა საამქროს უსტაბაშმა, ჰატივცემულმა ბაადურ გოგილაძემ ვეღარ მოითმინა და მთელი ასპარეზის გასაგონად დაიძახა:

— აზნაურნო! ხმალი მარჯვედ გეჭიროთ, არ შეარცხვინოთ ჩვენი საამქროს ნაკეთები იარაღი.

და გალავნის ყოველი მხრიდან დასტური მისცეს სხვა საამქროთა უსტაბაშებმა:

— ჰეი, გეყოფათ თამაშობა! მართლა სჩეხეთ.

— თქვენთვის ჩვენ საუკეთესო ფოლადი ვეჭედეთ!

— თუ ერთმანეთი გენაღვლებათ, მტერს მიეტიეთ!

ამქართა წამაქეზებელმა ყიჟინამ თავადებს შიშით აცეცებინა თვალები.

როცა რვა ნოსტელის მიერ დამარცხებული რვა ქვლივიძისანი ასპარეზიდან გავიდნენ, საკაძემ წინადადება მისცა ქვლივიძეს, როსაბსა და ასლამაზს, მარტო მე შემებითო. ქვლივიძეს გაეცინა:

— მეტად ხომ არ გათავხედებულა „ვეფხთა რაზმის“ წინამძღოლი?

— ასპარეზობა გვიჩვენებს,—მიუგო საკაძემ,—უნაგირზე აღიმართა და ფიცხლად მიეტია ქვლივიძეს.

რამდენიმე წუთი და, სამსავე აზნაურს ხმალი გავარდა ხელში. ქვლივიძემ უფრო მეტ ხანს გაუძლო, მაგრამ მისი ხმალიც მალე ქ�აზე დაეცა.

გამარჯვებულთა პატივსაცემად ასტყდა დაუცხრომელი ყიჟინა, ტაში, აფრიალდნენ ქუდები და ხელსახოცები.

საკაძემ სამხრულები გაისწორა და მეფის ბაქანთან ჩამოხდა.

— ნება მიბოძეთ, დიდებულო მეფევ, მოგახსენოთ: აზნაურთა ყველა მოლაშქრე თანაბრად გულადი და მარჯვეა, მაგრამ ნოსტელები ბავშვობიდანვე დაეუფლნენ უძლეველობის საიდუმლოებას, გარნა სხვა აზნაურთ, რომელნიც ცუდად ნაწრთობი ხმლის გამო დამარცხდნენ, შემდეგისათვის უფრო კარგად შეიარაღება დასჭირდებათ.

მეფემ შეაქო არაჩვეულებრივი სიმამაცე აზნაურთა, რომელნიც ღირსნი არიან საპატიო წოდებისა, და დაუმატა: სიამაყით ვფიქრობ ქართლის მტრებთან მომავალს ომზე. დარწმუნებული ვარ თავადები არ იწყენენ თუ პირველობის ყანწი საკაძეს ხვდება იმისათვის... რომ... დღევანდელი დღესასწაულის გამო ო	ი აზნაური შეაერთა. დიაღ, დიაღ, მე ძალზე კმაყოფილი ვარ და აზნაურთა ერთგულებასაც განსაკუთრებით აღენიშნავ...

— დიდებულო მეფევ, ჩვენი ერთად-ერთი სურვილი ის არის, რომ შენ გემსახუროთ,—წარმოსთქვა ქვლივიძემ.

შადიმანი უეცრად გაიმართა წელში:

— ნება მიბოძე, ბრძენო მეფევ, მოგახსენო, რომ ყანწი დანიშნულია თავადთა ასპარეზობისათვის. რასაკვირველია, საკაძე კარგი მხედარია, და აზნაურნი რომ წინასწარ არ შეთანხმებულიყვნენ, შეიძლებოდა საკაძე დიდ მხედართმთავრად მიგვეჩნია, რომელსაც წარსულს ომებში მრავალი გამარჯვება მოუპოვებია... დიაღ, დიდებულო მეფევ, დღევანდელი თამაშობა საგულისხმოა, თავადნი დარწმუნდნენ, თუ რა ფარულად ირაზმებიან ვიღაცის წინააღმდეგ აზნაურნი.

საკაძე ფიცხლავ მიბრუნდა შადიმანისკენ:

— დეე მართალი თავადი შადიმანი გამოვიდეს ხმლით ცბიერი აზნაურის საკაძის წინააღმდეგ, დეე ყველამ, ვინც ასე ჰფიქრობს, იშიშვლოს ხმალი! მე ერთს აღმიმართავს მახვილი ყველას წინააღმდეგ!—შადიმანს ზიზღით გაეცინა.

— თავად შადიმანს შეუძლია მხოლოდ თანასწორს ებრძოლოს. ერთი გოდორი ლობიო პატარა ალმასზე მუდამ იაფი ყოფილა.

თავადებმა ხმამაღალი სიცილით დაადასტურეს შადიმანის ოხუნჯობა.

სააკაძემ მეფეს მიმართა:

— ნება მიბოძე, დიდებულო მეფეე, მოგახსენო: მე მესმის თავად შადიმანის გაკვირვება, არცერთი მისი მეგობარი ხომ ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებდა და სამხედრო მამაცობისთვის მეფის მოწყალებას გამოითხოვდა. დეე მან და მისმა მეგობრებმა შეურაცხყოფად მიიღონ ჩემი სიტყვები და ხმალამოღებულნი გამობრძანდნენ აქა.

თავადთა მრისხანე ყიჟინა დაჰფარა ტფილისელთა სტვენამ, რითაც აზნაურებს აქეზებდნენ.

— შენი სურვილი კანონიერია... დიაღ, დიაღ, დეე ორთა ბრძოლამ გადასწყვიტოს თვითეულის უფლება.

— როგორ!? მეფესა ჰგონია, თავადნი ისე დამდაბლდებიან, რომ ჩხუბს აუტეხენ მდაბიოს? იცოდე...

სტვენამ და გამაყრუებელმა ყიჟინამ დაჰფარა შადიმანის სიტყვები. ასპარეზის გალავანი ძლივს იკავებდა მოზღვავებულ ხალხს: ეს-ეს არის ჩამოინგრევა და გაფიცხებული ბრბო თავადებს მიესევაო. შეშინებულმა გზირებმა ხმლებს გაიღლეს ხელი.

აზნაურები საბრძოლო წესით დაეწყნენ: ქეშიკებმა ზუბი აღმართეს, მოლაშქრენი შარად ჩამწკრივდნენ. სააკაძე შადიმანს მივარდა და მიაძახა: ლაჩარო! „შადიმანის მომხრე თავადებმა იარაღს გაიღლეს ხელი. მეფე ფარული სიამოვნებით უცქერდა ამ „ურთიერთ თავაზიანობას.“ შადიმანმა მყის ხმალი იშიშვლა.

გარნა ტყუილად როდი შეშფოთებულა დედოფალი შადიმანისთვის. იგი ფიცხლად წამოდგა და შადიმანსა და სააკაძეს შუა მანდილი ჩააგდო. ყველამ იარაღი დაჰყარა, ყიჟინაც შესწყდა.

— უგუნურნო! დაგავიწყდათ განა, ვის წინაშე ბედავთ ჩხუბსა?

მეფემ მტკიცედ შენიშნა, რომ აზნაურები სრულუფლებიან რაინდებად მიაჩნია და არასოდეს ხელს არ შეუშლის თავიანთი ღირსების დაცვაში...

— დიაღ, დიაღ, დეე ეს იყოს გაფრთხილება, ხოლო ყანწი პირველობისა დაელოდება მომავალს დიდ ნადირობაში გამარჯვებულს... დიაღ, დიაღ, იარაღი ჩააგეთ და საერთო ლხინით განვამტკიცოთ მშვიდობიანობა.

მეფემ შეუმჩნევლად ზიზღით გადაჰხედა მარიამს და გულნაკლული წამოდგა. გაფითრებულმა ლუარსაბმა მკლავი გაუყარა დედას.

ხალხი იშლებოდა და მომხდარ ამბებზე მსჯელობდა: გალავანს გადაღმა—ამაყი შეგნებით, „ჩვენმა გაიმარჯვეო,“ თავადთა რიგებში კი—გაბოროტებული შეშფოთებით. თავადებმა ბევრს რასმე გაუწიეს ანგარიში აზნაურთა სამხედრო თამაშობაში. მეფე ფიქრობდა: „პირველი დათვალიერება უკვე მოხდა, საჭიროა აზნაურთა ჯარი რამდენიმე ათას კაცამდე იქნას გადიდებული, მაშინ...“

შადიმანი მიხვდა, რომ მისი შიში უფრო ადრე გამართლდა, ვიდრე ვარაუდობდა. მან მტკიცედ გადასწყვიტა მოესპო საკაძე, მაგრამ საამისოდ უფრო მარჯვე იარაღი უნდა ამოერჩია, ვიდრე ისა, რასაც იგი თავადებთან ბრძოლაში ხმარობდა.

დარბაზში შემოვიდნენ აზნაურნი. საუცაოოდ გამოწყობილნი, მეტად თავაზიანნი, ისინი ცდილობდნენ მეგობრის გვერდით დამსხდარიყვნენ.

— გიორგი, ჩემს ახლოს დაჯექ.

თავადებმა ნუგზარს გადახედეს: კიდევ რომელი თავადი ითხრის თავის სამარესაო? აა, ხორეშანი აზნაურს ულიმის... მგონი, დათო ჰქვია! დახე! მუხრან-ბატონიც თავის გვერდით ისვამს გმირს. საიდანაა ეს ამოდენა ცხვირი?! ერთბაშად მთელი ნახევარი სუფრა დაიკავა... ერთი შეხედეთ, ლუარსაბმა საკაძეს სამეფო ყანწი გაუგზავნა! ეს უნდა დავიმახსოვროთ... რაღას უყურებს შადიმანი? განა იგი მეტეხში თავადთა ინტერესების დასაცავად არა ბრძანდება?.. დღეს მაღალაძეებიც კი არ გამოსულან. უსიამოვნება აქვთ. ხახძრის შემდეგ ეშინიათ საკაძისა, დარწმუნებულნი არიან თარეშისათვის გადაგვიხადაო... ყველამ იცის — თამაზმა განაზრახა ყაზახნი...

— გიორგი, შენი აქ დარჩენა არ შეიძლება, დროებით უნდა წახვიდე. ნუ წითლდები, ვიცი, არ გეშინია, მხოლოდ ბევრი რამ ზედმეტი კი ჩაიდინე... დეე თავადნი ოდნავ დასცხრნენ. დიდი ხანია მპირდები, გეწვევიო, ახლა უკვე დრო არის, და არც შენს სიამაყეს დააკლდება რამ: ნუგზარს ლაჩრები ვერ ესტუმრებიან...

— თავადო, ჩემთვის სასიხარულოა შენი პატიჟი! მაგრამ რაზედინიმე დღეს მოვიცდი... ახალ სამოსს შევიკერავ...

— ეჰ, გიორგი, ლოდინი რა საჭიროა? ჩემი ოჯახისათვის დახეული ქულაჯითაც კი სანატრელი ხარ. ხვალ ჩემთან ერთად წამოხვალ, მეჩქარება, ანანურში საქმე მაქვს.

ნუგზარი ხედავდა, რომ მეტეხში საკაძის დარჩენა საშიში იყო და ამიტომ გადასწყვიტა, ძალით წაეყვანა თვისი მოწონებული აზნაური.

მეორე დღეს, საღამოს, ნუგზარი და საკაძე ანანურისკენ მიაქანებდნენ. წასვლის წინ გიორგი მეფემ საკაძე იხმო და დიდხანს ესაუბრა. დაპირდა, ფარულად დავეხმარები აზნაურებსო, და მოიწონა ის ღონისძიებანი, რაც საკაძემ აზნაურთა კავშირის გასაფართოებლად იხმარა; აგრეთვე აღუთქვა: ფულითა და იარაღით დავეხმარები კავშირსაო, და ოდნავ დარცხვენილად უთხრა — თავადობის წოდებას ანანურიდან დაბრუნების შემდეგ გიბოძებო.

— ამჟამად თავადები გაჯავრებული არიან, დაცინვად მიიღებენ, შესაძლოა იარაღსაც მოჰკიდონ ხელი... საშიშია.

მეფეს, რასაკვირველია, არ გაუმხელია, რომ აზრი საფრთხის შესახებ შადიმანმა შთაუნერგა.

მთის ორწოხებში, სადაც ჰქუხს დაუცხრომელი არაგვი, პიტალო კლდეზე აღმართულა ანანურის ციხე, რომელიც „მტერთა დასაშინებლად და მოყვარეთა გასახარებლად“ აუგია ზვიად ფეოდალს, გიორგი ერისთავს.

თვისი საგვარეულოს განსადიდებლად არაგვის ერისთავმა ანანურს შემოარტყა ქვითკირის მაღალი გალავანი, კოშკებითა და სათოფურებითურთ, გამართა ჩინებული ასპარეზი, გააშენა ბაღები და ააგო მშვენიერი ტაძარი, სადაც თურმე დაღუპვა ეწერა ამაყ ფეოდალს...

ანანურის კარს ორი მხრით უახლოვდებოდნენ მხედრები.

რუსუდანი ნადირობიდან ბრუნდებოდა, და გახარებულმა ნუგზარმა ცხენი გააჩქარა.

სააკაძე შეკრთა, გულს რაღაც ცხელი ტალღა მიეკრა.

რუხი ჩოხა და ბანჯგვლიანი ფაფახი ზურაბს ამსგავსებდა რუსუდანს.

კარგი ნადირობით გახარებულმა რუსუდანმა თვისი ყაბარდული ნუგზარისკენ გამოაქანა, გადმოიხარა და მძლავრი მკლავები მამას მოჰხვია.

აბნეულმა სააკაძემ ძლივს წაილუღლუღა სალამი.

— როგორც იქნა, გიორგიმ ჩვენც მოგვაქცია ყურადღება. მესმა შენი მწუხარების ამბავი, მაგრამ დიდ-დიდმა გამარჯვებამ უნდა მოგანიჭოს ნუგეში... უკვე თავადი ხარ?

— ეჰ, რუსუდან, განა მეფე გაბედავს წინააღუდგეს ამილახვარს, ბაგრატსა და შადიმანს? თუმცა გიორგი თვით არის დამნაშავე... ნუ იწყენ, თავადობა რომ მიგეღო, ანანურის ციხისკენ არ გამოეშურებოდი. ძალად მოვიყვანე. იცი, მთელი თავადობა ხმალში გამოიწვია.

ნუგზარმა გადაიხარხარა. რუსუდანმა ირიბულად გადაჰხედა სააკაძეს და შინ მისვლამდე ხმა არ ამოუღია.

რუსუდანი მუდამ თავაზიანი და ალერსიანი იყო, მაგრამ, იჯროების გარდა, იშვიათად ჩნდებოდა. ნუგზარის დაწვრილებითმა ნაამბობმაც კი მეტეხის უკანასკნელი აფორიაქების შესახებ ვერ გამოიწვია რუსუდანის ცნობისმოყვარეობა სტუმრისადმი.

ტფილისიდან დაბრუნებული ქალბატონი ნატო გულმხურვალედ უამბობდა:

— თავადები ცოფსა ჰყრიან და აზნაურთა რაზმების დაშლას მოითხოვენ. თავადებზე ძლიერი არავინ შეიძლება იყოს, სახელმწიფოსათვის საზარალოაო... დედოფალიც შეშფოთებულია: „ასეთი რამის ნება რომ მივცეთ, მდაბიოს თავს გაუვაო“.. გარნა მეფე გაჯიუტდა: „დეე მოაწყონ რაზმები, დიდი ჯარი დიდ გამარჯვებას ნიშნავსო.“ აყალმაყალის შემდეგ ბაკამ სააკაძის დაკავება ითხოვა...

აზნაურმა დიმიტრიმ ცხვირ-პირი დაუმჟავა თამაზ მაღალაძეს, რა-ტომ ხმალში არ გამომყევიო. დედოფლისას ამბობდნენ: ნოსტელი ქალიშვილის გულისთვის გაცხარდა აზნაურიო. მეფე აქაც გულგრი-ლი დარჩა: რაკი თამაზს ორჯა ბრძოლა არ სურდა, ქალიშვილი კი შეურაცხყო, მაშასადამე, აზნაური მართალიაო. მაღალაძენი დაემუქრ-ნენ, დიმიტრის სახლ-კარს ნაცრად ვაქცევთო. ალბათ, კიდევაც ასრულებენ... ამ მუქარის შემდეგ აზნაურს კვლავ ჩხუბი სწადდა, ბაა-კამ ძლივს გაისტუმრა ნოსტეს. თავადი ამბობს, არასოდეს იმდენი საზრუნავი არა მქონია, რამდენიც ამ ნოსტელებმა გამიჩინესო. მარ-ტო ერთი სააკაძე თვალებს კეფაში გამომასხამსო...

ნუგზარი ხარხარებდა, რუსუდანი კი სდუმდა.

აღფრთოვანებული ზურაბი ძლიერ დაუმეგობრდა სააკაძეს და ყველაფერში თავის მოუსვენარ მეგობარს ჰბაძავდა.

სააკაძე შუაღამემდე დაეხეტებოდა ანანურის ბნელ ქუჩებში. ცდი-ლობდა და ვერ გარკვეულიყო ათასგვარ ფიქრებსა და გრძნობაში. კვლავ და კვლავ არაჩვეულებრივი ძალით იზიდავდა ნინო. ჰგრძნობ-და მისი სხეულის სურნელებას—ნოსტეს ბაღების სურნელებას, მისი ნორჩი ტუჩების სინაზეს, ოქროსფერი თმის მიმზიდველობას. სისხლი საფეთქლებს ეძალებოდა, გული მტკივნეულად უძგერდა. ძლივს იკა-ვებდა თავსა. ერთად-ერთი სურვილი დაუფლებოდა: ცხენს მოჰხტო-მოდა და ნინოსკენ გაქანებულიყო, უკუეგდო აწმყო და დაევიწყები-ნა წარსული. მიფრინავს ცხენი მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზე, მტრე-დისფერ ნისლში იძირებიან ქართლის მთები. მოსახვევი და... წერ-წეტი ჭადრის ძირას დგას ნინო.

სიხარულით გაუწვდია ორივე ხელი და თვალი—ორი ლურჯი ტბა ცხენოსნისთვის მიუპყრია. გიორგიც მოეხვევა და ტუჩი ტუჩს ეძებს ათრ-თოლებული... მაგრამ რად მოუკუმავს ბაგენი ასე მტკიცედ, ხელები რად გასცივებია?.. რუსუდანი! მოუდრეკელი, ვით სალი კლდე, რუ-სუდანი! იქნებ მთის მთელმა სიამაყემ, გაუტეხლობამ მასში იჩინა თავი? ძლიერებით, ძალა-უფლებით მოსილი რუსუდან... ნინო, მარ-გალიტი ნინო!.. „ოქრო და მარგალიტი ხშირად ძირს მიათრევს ადამიანს“... მაღლა კი რაღა ეწევა? ძლიერება! რუსუდანი მაღლა მიმიწევს... „მოლაშქრეთ შეუძლიათ ისე მოიქცნენ, როგორც სურთ, მხედართმთავარი კი ისე უნდა მოიქცეს, როგორც საჭიროა“... რუ-სუდან! ზეაფრენილი არწივის ფრთათა შხუილი გამოხმობასავით ჩასწვ-და სააკაძის გულს. წყნარად შემოუარა კოშკს. ფერადს ვიწრო ფანჯარაში ოდნავ ბეუტავდა ღამის კანდელი. რუსუდანს ეძინა იქა...

მზემ ტყეთა ტყვეობას თავი დააღწია და კოშკზე გუშაგივით აღი-მართა.

იელვა გალესილმა დანამ, ცხვარმა ოდნავ გაიბღალვა და თბილი სისხლი სოხანეს შეერთო. აფუსფუსდნენ მზარეულთა ხელქვეითნი,

გაჩაღდა ცეცხლი და აშიშინდნენ ,სპილენძის ვეება ქვაბები. დიდრონი კალათები მწვანილითა და სხვადასხვანაირი საკაზმით აივსო. უფროსი მზარეული თავის მოვალეობას შეუდგა.

თაღოვან დარბაზში ვიწრო სუფრები ჩაამწკრივეს. ბეშტგადაკრულ სარკმელებში მზემ შემოიქვრიტა და მტვრის ზოლები აათამაშა. ჩქარი თითები აბრეშუმის ცისარტყელას ხლართავენ. ნაირფერი ძაფები ქარგაზე ჰქმნიან ცისფერ ნაზ ყვავილებს, მწვანე ჩიტებს, მარგალიტის პეპლებს, ვერცხლის ნაკადულებს, დაკლაკნილ გველთა ოქროვან ჯავშანს.

ქორივით დასცქერის თავს მსახურ ქალებს ქალბატონის გამდელი.

თავლებში მეჯინიბენი გულდასმით იურვებენ ცხენებს. ქუჩაში მწყემსები მიერეკებიან უთვალავს ჯოგსა და ფარას. მძიმე დოლაბნი სისინით ღეჭავს ხორბალს. აქაფებული არაგვი მატყლის გორებსა რეცხავს, ბნელს ფარდულებში გამალებით სწეწავენ სხვადასხვა ფერის მატყლს, მიყუჩებულ სადგომებში კი ძველის-ძველი იარაღი და მძიმე ხალიჩები სდარაჯობენ მფლობელთა ზვიად ძილს.

მაგრამ, აჰა, უეცრად აფორიაქდა მთელი ციხე-დარბაზი. კიბეებზე არბიან და ჩამორბიან მხევლები, მსახურები, მუქთამჭამელები. ახრიალდა ჯამ-ჭურჭელი. ფართოდ გაიღო კარი და შემობრძანდნენ მფლობელნი.

ნუგზარმა კმაყოფილებით გადაჰხედა „თავის ოჯახს".

— სუფრას ადამიანები ამშვენებენ.

სულ ბოლოს, მარჯვნით, ჩამწკრივებულიყვნენ შავი თავსაკრავიანი დედაბრები; მათი გამოხუნებული თვალი მოწიწებით მიშტერებოდა ვერცხლის ჭურჭლეულობას. მათს აქეთ კი, ქალბატონისკენ, მწვანე და შვინდისფერი თავსაკრავებით, ფირუზის ქინძისთავებით მორთულნი, აზნაურთა და თავადთა მეუღლენი.

სუფრის მარცხენა მხარეს იდგნენ უბრალო ჩოხით გამოწყობილი მამაკაცები, შუა სუფრასთან—უკვე ვერცხლის მასრიანები, ნუგზარის ახლოს კი,—ბუზმენტებით მოქარგული, ფერადი ჩოხები ბრწყინავდნენ.

ესენი იყვნენ ნატოს უთვალავი ნათესავები, გაღარიბებული თავადები, ფათერაკის მაძიებელი რაინდები, ერისთავის აზნაურები ოჯახებითურთ, მესუფრიები, მწირნი, უფროსი მსახურნი და ყველა ისინი, ვისაც უდარდელი ცხოვრება სურდა, და ამის გამო არაგვის მფლობელის ამალას ამრავლებდა.

მარჯვე მსახურნი ნუგზარს მოართმევდნენ საესე ხონჩებს. მერიქიფენი სწრაფად ასხამდნენ ღვინოს, ზურგს უკან მდგომნი მსახურნი მყის ასრულებდნენ ბატონთა თვით უმცირეს სურვილს...

ქალბატონი ზოგჯერ „ღვთის საამებელ საქმეს" აკეთებდა: ინახულებდა ხოლმე სნეულთ, ესწრებოდა პანაშვიდებს, თუ „მოიცლი-

და“, ჯალაბსაც დაჰხედავდა, „როგორ მუშაობსო“ და მისი ამალაც მლიქვნელურათ აქებდა ქალბატონის გულკეთილობას.

ხუგზარიც ხახდახან, ნადირობათა და ასპარეზობათა შორის, პირველ ვაჟებს უნათლავდა გლეხებს, ლოცავდა ახალჯვარდაწერილთ და მუქთა მჭამელები გულაჩვილებით ჰღვრიდნენ ცრემლს. უფრო ხშირად კი მოურავის, ნაცვლისა და იასულის თანხლებით შემოივლიდა ხოლმე მახლობელსა და შორეულ სოფლებს და მტკიცე ხელით ჰმართავდა თავის ვრცელ საჭფლობელოს.

დიდრონ ბეღლებში გროვდებოდა აუარებელი მატყლი და ტყავეულობა. ასეულთა ხელი ამხადებდა ქართულს სახიან ქსოვილებს, ნაზ მაუდსა და ძვირფას ხალიჩას.

სარდაფები ეღარ იტევდნენ ერბო-კარაქით, ყველითა და თაფლით სავსე დერგებს.

გარნა ნუგზარს ეზიზღებოდა ვაჭრობა. ზვიადს თავადს, რომელიც თავს მეფის დარად სთვლიდა, ვერც კი წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ისე დამცირება, რომ მაიდნის ვაჭრის მსგავსად, საქონელი ბაზარში გაეტანა.

მხოლოდ მთავარი მოურავი, რომელსაც ფარულად ხელმძღვანელობდა ქალბატონი ნატო, ანანურის ბაზრობაზე ქარავნებს უცვლიდა ხოლმე ტფილისელსა და უცხოელ ვაჭრებს. ცხენებს, აქლემებს, საჭურველს, ღვინოს, ხავერდსა, ტკბილეულობას, იშვიათ ჭურჭლეულობასა და ძვირფას ნაკეთობას მატყლსა, ტყავსა და სანოვაგეში უცვლიდა.

სააკაძეს აოცებდა ანანურის უზარმაზარი დოვლათი. იგი ყურადღებით აკვირდებოდა ფეოდალური სამთავროს ცხოვრებას. გადასწყვიტა შეესწავლა ის საფუძვლები, რომელთა წინააღმდეგ უკვე ოდნავ აღმართა თავისი მახვილი. „უკეთუ მტრის დამარცხება გწადია, უნდა შეისწავლო მისი ძალა და უძლურება“.

გიორგი განცვიფრებული იყო იმ მკვეთრი განსხვავებით, რაც ციხე-დარბაზსა და ჩვეულებრივ სახლთა შორის არსებობდა: მერმე ვინ იტყვის, რომ ნუგზარი ყველაზე კეთილშობილი არ არის თავადთა შორის? მაშინ შადიმანისას, მაღალაძისას და ამილახვრისას როგორღა ცხოვრობენ? ნუთუ თავიანთი წარჩინებულობითა და სიმდიდრით დაბრმავებული ამაყი თავადები ვერა ჰხედავენ იმ უფსკრულს; საითაც მათ დამშეული ხალხი მიაქანებს? ხალხს კი რომ მართებულად მოეპყრო, მაშინ იგი ერთი-ორად მეტს იმუშავებს და ერთი-ხუთად უფრო საამურად იცხოვრებს.

სააკაძე ერთი დაბალი ქოხის წინ შესდგა. ღობეზე კონკები შრებოდა. წაბლის ქვეშ უგემურად ღეჭავდა გამხმარ ფოთოლს ფერდებ-ჩავარდნილი, ოქროსფერი კვიცი. გიორგიმ ალერსით გადაუსვა ხელი გამხმარ ზურგზე. კვიცმა დიდრონი შავი თვალები მიაპყრო, გაე-

ხახუნა და ხელები დაუყნოსა. გაახსენდა თავისი შორეული ბავშვობა და ასეთივე ოქროსფერი კვიცი—თვისი ადრიანი ყმაწვილობის მეგობარი.

„ცხენს გაუფრთხილდი, ცხენს გაუფრთხილდი!"—ესმის გიორგის ბებო ზარას ხმა.

გიორგი შეკრთა: მის წინ ვიღაც სახეგამხდარი ქალი იდგა. ქისაში წვრილი ფული ამოიღო და საჩქაროდ გაუწოდა.

— ცხენს მოუარე! რად არის აგრე გამხდარი?

— თვით გამხდარი ვართ, არათუ ცხენი,—გაუბედავად მიუგო ქალმა და ფული აკანკალებული ხელით ჩვარში გაჰხვია.—გმადლობ, ბატონო, კარგად აბა როგორ ვიქნებით, ხვედრი ჩვენი ძალზე მცირეა. დაბინდებამდე ციხე-დარბაზისათვის ვმუშაობთ. ზაფხული გავა და ზამთარი ჯარას აამუშავებს, თავადის მთელ ჯალაბს ვაცმევთ და ვახურავთ, თავადსა სურს, რომ ყველა მისიანი მდიდრულად იყოს ჩაცმული, ხოლო რამდენადაც ყველას უფრო მდიდრულად აცვია, იმდენადვე გლეხი უფრო ჩამოგლეჯილი დაიარება...

— ბატონო, ეკლესია ჯერ არ გაუღიათ, მეც ველოდები.—სააკაძემ ნაბიჯს უკლო. ტაძრის ზღურბლთან მოხუცი მოკუნტულიყო. გაცვეთილ ქუდში ჭაღარა თმა სჩანდა, მომწვანო ხავსში ბუნდად კიაფობდა თვალის გუგა, გამხმარი ხელები უმწეოდ დაჭიდებოდა.

— თავადმა ნუგზარმა ახალი ტაძარი ააგო, მაგრამ მე აქა ვარ ნაჩვევი. ყოველ აღდგომას ერთ კენჭს ვაგდებ ხოლმე დოქში. ამას წინათ დავთვალე—ას ორი აღდგომაა, რაც ტაძარი აშენდა. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავ, თმა შავი მქონდა, ცხენზე მარჯვედ ვიჯექ...ამაყი იყო თავადი გიორგი, სიამაყემ დაღუპა... ღმერთს როდი უყვარს მეტად ამაყი. ამ ტაძარში კვამლით გაიგუდნენ, აქვე არიან დამარხულნი.

მოხუცმა გამხმარი ხელი მოუსვა ქამთა ვითარებისაგან დაღრღნილ ფილაქანს.

— თავადი მისი, მეუღლე, ბავშვებიც, ნათესავებიც, მსახურნიც... ყველანი აქ მარხიან. მხოლოდ მე ვზივარ ზემოთ, თუმცა მესეფე ვიყავ...

მოხუცმა რაღაც ხრინწიანად ჩაიცინა და სიამოვნებით განაგრძო:

— ხანჯალ-ხანი გორის მიწა-წყლის ბატონი იყო. ისიც ამაყი იყო... მუსულმანი იყო და შეეძლო ამაყი ყოფილიყო, სულერთია ღმერთი ყურადღებას არ აქცევდა... უნდოდა ყველა თავადი მოედრიკა. მაგრამ როგორ მოდრეკ? ომში რომ მიდიან, კაცზე მეტად წაღას უფრთხილდებიან... ხანჯალ-ხანს, ღვინის მაგიერ, ყავა უყვარდა, ყავას რომ

შეექცეოდა, ცბიერება მოიგონა. ყველა თავადს შიკრიკი გაუგზავნა: დვალეთზე გავილაშქროთ. გაეხარდათ თავადებს.

დვალები მდიდარი ხალხია, საქონელიც ბევრი ჰყავთ, იარაღიც მრავალი აქვთ. ყველაზე ძლიერნი თავიანთი რაზმებიღერთ ციხეში წავიდნენ. მხოლოდ ყველამ კარგად იცოდა: ქსნის ერისთავი შანშე გამჭრიახი თვალის პატრონი იყო; ერისთავის დროშა ზუსტად გამოხატავდა მის ხასიათს: ვეფხის კლანჭებში აფთარი ფართხალებდა. გორს რომ მოვიდა, ხანჯალ-ხანს მიუხვდა ცბიერებას და გიორგი არაგველს წინადადება მისცა, ერთად გავიქცეთო, მაშინ ხანი სხვა თავადების ხელისხლებასაც ვერ გაბედავსო. მაგრამ ამაყი იყო ჩემი ბატონი. სხვამ ჭკუით როგორ მაჯობაო? თვისტომის უსაფუძვლო შიშზე სიცილი აუტყდა, გაქცევაც არ ინდომა... მაშინ შანშემ ხანს უთხრა: „მინდა, ვაჟი სალაშქროდ წამოვიყვანო, აქეე ქსნის კოშკი არის... ჩემი ლაშქარი აქ დარჩეს, მე კი ხვალვე დავბრუნდებიო“.

გაეხარდა ხანჯალ-ხანს: ერთი თავადიც სიცოცხლეს გამოესალმებაო, და სიამოვნებით გაუშვა.

გარნა, ერთის მაგიერ, ათასი ვაჟი მოიყვანა, მეხივით დაატყდა თავს ხანის ჯარს. ხანჯალ-ხანი გაქცევამ გადაარჩინა, თავადები კი — შანშეს ხმალმა.

არაგველმა გიორგიმ გულში ბოროტება ჩაიდო: შანშე დიდებით შეიმოსა, მე კი ზიზღით მიცქერისო. ჩხუბის მიზეზს ეძებდა. ვინც ეძებს, ყოველთვის იპოვნის.

შანშეს ძმა ისე დიდი კაცი იყო, ყველა იცნობდა. კახეთის მეფის თეიმურაზ I ძმისწული ჰყავდა ცოლად. კახეთში სტუმრად იყო და იქიდან შინ ბრუნდებოდა. გიორგი არაგველი ქორივით დანავარდობდა, რაზმით თავს დაესხა. იესე გაიქცა, ცოლ-შვილი კი ტყვედ მოიყვანეს ანანურს... დიდი ამბავი იყო.

ოცი წლის განმავლობაში ბრაზი აღრჩობდა შანშეს, და გადასწყვიტა, სისხლით წარეხოცა ნათესავის მეორე ღალატი. რომელმა ქართველმა არ იცის, რომ, როცა თავადები ჩხუბობენ, გლეხს სახლი ეწვის...

ხანი იმ არემარეში დაეხეტებოდა თავისი ურდოთურთ, შანშემ წინადადება მისცა: ერთად დავესხათ ანანურს თავსაო.

დიდხანს ვუმკლავდებოდით, მამაცი იყო თავადი გიორგი. იქნებ შანშე და ხანი ხელცალიერნიც წარსულიყვნენ ანანურიდან, გიორგის რომ სათოფურიდან შანშესთვის დაცინვა არ დაეწყო. გაბრაზდა შანშე: ვეფხი და აფთარი ციხეს მიუსია და ანანური გასტეხა.

ცოცხალი აღარავინ დაუტოვებიათ, ურდოს ასეთი რამ არ ეხერხება, ეკლესიაში ერთი ძველი კუბო ვიპოვნე, მკვდარი თავადი ამოვაგდე, შიგ ჩავწექ და თავადის ხმალიც გვერდი მოვიდე. გიორგი არაგველი ოჯახითურთ ამ ტაძარში შეიკეტა. გარეთ სულ ცეცხლი

გიზგიზებდა, იწვოდა სახლები, ბაღები... ყველა კვამლმა გაგუდა. მეზობელმა თავადებმა დამარხეს ყველანი, წვანან აი... თავადი, მისი მეუღლე, შვილები, ნათესავები, მსახურნიც,—ყველანი აქ არიან, მხოლოდ მე დავრჩი ზევით, თუმცა მესეფე ვიყავ...

შემდეგ ანანურს თავადი ჭარმეულიj და თექთურმანიძე დაეპატრონენ, ბაზალეთსაც დაეუფლნენ, სანამ ნუგზარის პაპამ, ვანათელმა აზნაურმა არ ამოხოცა ისიხი და სამფლობელო არ წაართვა... ფიცხი კაცი იყო... კვლავ ბევრი სისხლი დაიღვარა, ვიდრე მამაცი ნუგზარი მფლობელი გახდებოდა...

გიორგი კოშკისკენ გაემართა და გზაში სულ მთიელთა ულმობელ დამპყრობზე ფიქრობდა. ყურში ნაღვლიანად გაისმოდა მთიელთა სიმღერა:

სისხლის წვიმების დროსაო,
ნუგზარ ერისთვის დროსაო...

სააკაძე უეცრად შესდგა. უცნაურმა აზრმა განაცვიფრა: სრულიად უცნობ ქვეყანაში ხომ არ მოვხვდიო? მიმოიხედა: თითქოს ულრანი ტყე კი არა, ზურმუხტოვანი ხავერდი დაჰფენოდა იქაურობას. და ამ ფუფუნებას ჩაუხშავს ცხოვრების ხმაური. აქ გამეფებული იყო კარჩაკეტილი, დრომოჭმული წესი და ვერავინ ვერ ბედავდა ბატონის გამგებლობაში ჩარევას. აქ იმართებოდა საკუთარი ომები, აქ მისდევდნენ საკუთარ პოლიტიკასა და ხელ-ფეხს უბორკავდნენ საქართველოს.

— ქართლია ესა თუ არა?—უეცრად ხმამაღლა ჰკითხა თავის თავს შეძრწუნებულმა სააკაძემ.

დიდი საღდგომო ბაზრობა. სალტიანი ზანდუკები მალე აივსება ახალ-ახალი სიმდიდრით, რაც უფრო განამტკიცებს გვარეულობის ძლიერებას.

როგორ იქნება არ მხიარულობდე? და გლეხები, რომელთა თვალწინაც იძრება მათი მძიმე შრომის ნაყოფი, უფრო მაგრად უკრავენ თავს ცალიერ ქისას და ჯირითობენ, ცეკვავენ.

როგორ შეიძლება არ მხიარულობდე? და დარბაზს, ერი რომელმაც თავისი დასწრებით მოწყალედ გააბედნიერა კეთილი ხალხი, რბილი ხალებით დაფენილ მაღლობზე წამოჯდა.

სააკაძე სკამზე დაჯდა, რუსუდანმა სწრაფად მიიხედა.

უფროდაუფრო აკვირვებდა ეს უცნაური აზნაური. ამაყი, გულჩახვეული, მძლავრად იზიდავდა თავისკენ. ტყუილად როდი უყვარს მამას და ტყუილად როდი ეშინიათ იმათ, ვინც გარს ახვევია.

ნატო თავისი ქალის გულჩახვეულობას უჩიოდა: უსიხარულო ახალგაზრდობა რა ახალგაზრდობა არისო? დიაღ, რუსუდანს ცხენის ჭენება, ირმებზე ნადირობა უფრო უყვარს, ვიდრე რბილ ხალიჩებზე ცეკვა. იგი გადაჭრილ უარს ეუბნებოდა მისი შერთვის მსურველთ და მტკიცედ ახსოვდა მამისათვის ნათქვამი: მხოლოდ გათხოვების შემდგომ გადავაბიჯებ მეტეხის ზღურბლსა, სადაც სუსტი ხასიათის მეფემ და

უჭკუო დედოფალმა შეურაცხყოფა მომაყენესო. და აი გულიანი რუსუდანი მღელვარებას განიცდის აზნაურის სიახლოვის გამო და კიდევაც ჰგონია: როცა წავა, დარბაზი უფრო ჩამობნელდებაო.

— თავადის ასულო, ხალხი გიყვარს?

— არასოდეს მაგაზე არ დავფიქრებულვარ... ვნახულობ ხოლმე, როცა ავად ხდებიან ან კვდებიან.

— მაშასადამე, მხოლოდ მკვდრებს აქცევ ყურადღებას? უმჯობესია ცოცხლები ინახულო.

რუსუდანმა ირიბულად შეავლო თვალი უცნაურ აზნაურს. „ცოცხლები ინახულეო? მერმე სად ცხოვრობენ ეგ ცოცხლები? რა საინტერესოა ეგა? უცნაურია, რად დამცხა ასე უეცრად? გიორგისაც სცხელა, თვალები მილულვია. გიორგის! მეფესაც გიორგი ჰქვია, მხოლოდ მისი თვალებისაგან არაოდეს არ დამცხომია. როგორ ჰბედავს ასე შემოხედვას? ვინ არის? მეფე? მეფე... რაზე მინდოდა მეფიქრნა? მეფე... და რითიმე ჰგავს ამ აზნაურს? ახლა კარგია ზემოთ ყოფნა... როცა მთაში ქარია, ცა ირხევა... ცოცხლები ინახულეო... იქნებ, გულში იმიტომ ვერავინ იკიდებს ფეხს, რომ გარშემო სულ მკვდრები არიან?.. მამა მოჯირითეს მიშტერებია... თუ მოჯირითემ კბილით ფაფახი აიღო, მთაზე ავალ, თუ ვერა... აიღო...“

ნუგზარმა გაკვირვებით გადახედა რუსუდანს. დაიღალა? რა მოხდენილად ჯირითობს ვიღაცაა, კოშკში უნდა წავიყვანო...

— თავადის ასულო, ნება მიბოძე გაგაცილო...

ორი გაქაფული ცხენი დაცალიერებულ ანანურში მიჰქრის. რუხი ნისლი ჰფარავს ქუჩებს, რუხი ნისლი მისდევს ცხენებს. აღმართი ასდევს მწვერვალებს. რუსუდანი აქ სჭედდა თავის სურვილებს. ქვის კიბე... „თუ მოჯირითემ კბილით ფაფახი აიღო... ზევით ქვის ფაფახია... გიორგიც მარჯვე მოჯირითეა, შეუძლია კბილით აიღოს. რატომ ბნელა-მეთქი, ვფიქრობ? ყოველთვის ნათელია, ახლა კი ბნელა...“

— რა ცხელი ხელები აქვს თავადის ასულს... მწვერვალიდან უფრო შორს ჰხედავ, მწვერვალზე თვალი ბედნიერებას ეძებს... ქარი აქ უფრო ძლიერია .. მარტო ქარი? იქნებ სურვილიც უფრო ძლიერია? რუსუდან, რუსუდან! პირველი ნახვისთანავე გულში ჩამივარდა,.. სხვა მიყვარდა, დიდ ხანს ასე მეგონა, ბავშვობიდანვე აბრეშუმის ძაფში ვიყავი გახლართული, მაგრამ აღიგზნო ცეცხლი და— აბრეშუმისაგან ფერფლიღა დარჩა... რუსუდანი გიორგისთვის არის გაჩენილი. მე, რასაკვირველია, მეფე არა ვარ!.. შეკრთი? მხარზე დამენდე, რუსუდან, უკეთ გაიგონებ...

— შენ გამოგიტყდები, დიდი აზრები მაქვს... შაჰ აბაზს სურდა მოვესყიდე, გულიანად მეცინებოდა. ქართლი მიყვარს, ყოველი ქვა ბავშვივით ძვირფასია, ქვად იქცა ქართლელი ხალხი. რუსუდან,

ჩემო რუსუდან! ახლა მე აზნაურთა მხედართმთავარი ვარ. მაგრამ ხალხი მაღლა მიმიწევს, ფეხთქვეშ დიდ გზას მიშლის... შეჩერებას ვერ ვბედავ, ქვა მინდა გავაცოცხლო. მეფესა ჰგონია, ბაგრატიდებისათვის ცდილობსო. ორმა მეფემ ხმლით გამომარჩია, ორ მეფეს დავცინი, მეც ხმლით გამოვარჩიე ისინი... საქმე გვიჩვენებს, ვის უფრო ძლიერი ხელი აქვს. მალე გავხდები თავადი, მეტეხს დაუახლოვდები. ჩემი თავისთვის როდი მიხარია, ჩემთვის სულერთია, ძლიერი რუსუდანისთვისაც, ალბათ, სულერთია. მინდა, ქართლის საქმეების, თავადთა გადაწყვეტილების შესახებ ვიცოდე რამე. დაიხსომე: ხალხი ციხე-დარბაზთა წინააღმდეგ ამხედრდება. ერთმა ხარბმა ხელმა რად უნდა მოღუნოს წელში ათასნი, მღვდლებმა კი ეკლესიებში მორჩილება იქადაგონ?

— გიორგი, გიორგი, გამიშვი... რას ლაპარაკობ? გაგონებისაც კი მეშინია. როგორ ჰბედავ ეკლესიის ხელისხლებას? რა განგიზრახავს? თავადები შეიტყობენ—ხმლით დაიღუპები, მეფე შეიტყობს—ჯურღმულში ჩაგალპობს. გამიშვი, სული მეხუთება, გული მიმდის...

— სააკაძეს ვერსად გაექცევა, მტკიცედ იცის დაპერა, რაც კი დაუპყრია. ტყუილუბრალოდ როდი გამიმეღავნებია ჩემი აზრი, უნდა იცოდე, რა კაცს უყვარხარ... ვინ გიყვარს? რამ შეგაშინა? ნუ მიძალიანდები. ახლა მთებმა შეგვაერთეს—მტკიცე გვირგვინია, ბედს ერთად შევეგებებით. ვინ იცის, იქნებ მომავალში იამაყო, რომ დედოფალი კი არა, სააკაძის ცოლი გახდი. ნუ გეშინია... გესმის, მთები რას ამბობენ? ოო, რა მხრები აქვს ჩემს რუსუდანს, რა ძლიერია ჩემი რუსუდანი! გკოცნი მანამ, სანამ წყურვილს არ მოვიკლავ...

— გიორგი, ჩემო გიორგი... ა, ა... გამიშვი, გული მეწვის, გამიშვი, სული მეხუთება... მეხუ...თე...ბა...

ციხე-დარბაზი შეშფოთებულია: რუსუდანი ავადაა, ორი დღეა, თავის სადგომიდან არ გამოდის, ხან იცინის, ხან სტირის. რუსუდანი სტირის?

ვის უნახავს რუსუდანის ცრემლი?!

გადია ირწმუნება, ბაზარში გასთვალესო. გადია ორ დღე და ღამეს რუსუდანის ფერხთით იჯდა, ავი თვალისაგან ულოცავდა. მხარზე მარილი გადააყარა, ნაწნავი თბილი ცვილით დაუწება, მარჯვენა ფეხის ცერზე წითელი ძაფი შეაბა, სწყევლიდა მოშურნე თვალსა, წარბებზე აღათი დაადო.

რუსუდანმა გადაიხარხარა:

— არა, თვალი ძალიან კარგი აქვს, ცრემლი კი სიხარულის გამო არის. რუსუდანი ყინულისა იყო, ახლა მზე იგრძნო... რაო? აზნაური პირქუშად დადის? ეს სიყვარულის გამოა...

ნუგზარი გაოცებული უსმენდა: რუსუდანს უყვარს, უგიორგოდ ცხოვრება არ შეუძლია.

შფოთავდა წინათ ნუგზარი: რუსუდანი უკვე თვრამეტი წლისაა და გულის მაგიერ ყინული უძევს... არ შეჰფერის ნუგზარ ერისთავის ქალს გაუთხოვარი დარჩენა. რა საჭიროა ასეთი სირცხვილი? თავადებს არად აგდებდა, ბრწყინვალე ალექსანდრეს უარი უთხრა... ვინ შეიყვარა? სტუმრად მოვიდა და ქალიშვილის გულში ქურდივით შეიპარა. ან იქნებ დიდი ხანია უყვარს? იქნებ ზურაბისთვის უყვარს? ალბათ, ზურაბისათვის, თორემ აბა ყველას უარს რად ეტყოდა? ცუდი ვიფიქრე გიორგიზე, ვაჟი გადამირჩინა... მერე რა ვაჟი გადამირჩინა!.. განა ზარმაცი ბაადურ ერისთავი დროშას დაიცავდა? ზურაბი! კიდევ ვისა ჰყავს ასეთი ზურაბი?.. აზნაური... არაუწავს რა, პაპაჩემიც ჯერ აზნაური იყო, მაგრამ მეფე ტყვეობიდან იხსნა. ვანათის ციხე აიღო... გიორგიმ თავადობა უნდა მიიღოს, თავისი ხასიათით კი ბევრს მოკრძალებულს გახდის... თუ კი რუსუდანს უყვარს, რა ნება მაქვს ბედნიერება წავართვა? სხვა აზნაურს თავხედობისათვის მოვკლავდი, გიორგი კი... დეე მთელმა საქართველომ დაინახოს, როგორი მადლობის გადახდაც იცის მძლავრმა ნუგზარ ერისთავმა: ვაჟისათვის ქალიშვილს აძლევს...

ახმაურდა, აგუგუნდა ციხე-დარბაზი:

— ვაიმე, ვაიმე, ეს რა მოხდა, რატომ ვერ ვხედავდით?

— მე შევამჩნიე.

— შენა? ჰა,—ჰა, ჰა!.. მერე რად სდუმდი?

— მეც აგრე მეგონა, აბა მთელ თვეს სტუმრად რად იყო?

— სტუმრობა ერთ წელიწადსაც შეიძლება, მაგისთანეებს კარგად ვიცნობ.

— ძალიან ლამაზი არ არის. დიდია მხოლოდ, საშიშარია, როცა შეეხვდები, მეშინია ხოლმე.

— ნუ გეშინია, შენ არ წაგიყვანს.

— ჰა, ჰა, ჰა!..

— გესმით ქალებო, თავადმა ორი მამული მისცა მზითვად.

— ვაიმე, ვაიმე!

— ათასი ოჯახი!

— ამბობენ, მეფე ქორწილში ეწვევაო.

— უჰ, უჰ, რა ქორწილი იქნება, ყველა საჩუქარს მივიღებთ.

თავადის მეუღლე აბნეულია, თავადის მეუღლე გაჯავრებულია. როგორ მოხდა, რატომ რუსუდანი არ შემეკითხა? ბრწყინვალე თავადს უარი უთხრა, აზნაურს კი თვალს არ აშორებს... იქნებ მან თილისმა იცის? ფალავანდიანთა გვარი ათასი წელია არსებობს, ერისთავები ქრისტეს შობამდე ცხოვრობდნენ, მთავრის ქალიშვილი

კი უცნობ აზნაურს მიჰყვება... ნუგზარი ამბობს, ვაჟი გადამირჩინაო... ვაჟი გადაარჩინა?—სხვანაირად შეიძლება გადაეუხადოთ... დაგვცინებენ... ნუგზარი ამბობს, ვერ გაბედავენო... პირში ვერ გაბედავენ... რუსუდანი ბრმასავითაა, მისთვის გიორგი ყველაზე ჭკუიანია. ნუგზარი ამბობს, გიორგი თავადობას მოელისო, მეფეს უყვარსო... დეე ჯერ თავადობა მიიღოს, მერე დაქორწინდეს, თორემ ისე არა მსურს... თავს მოვიკლავ და ნებას არ მიეცემ...

— ქალბატონო, ქალბატონო, ბაღდადელი ვაჭრები მოვიდნენ. დიდი ქარავანი მოსულა ტფილისს. გზაში ქორწილის აძბავი შეუტყვიათ და ხეთი აქლემი აქეთ გამოუგზავნიათ.

ფართო აივანზე ქალები შეყრილიყვნენ და ხარბად ათვალიერებდნენ ოქრომკედით, ვერცხლით ნაქარგს, ძვირფასი თვლებით შემკულ აბრეშუმეულს, ნაჭედ სამაჯურებს, საყურეებს, ბეჭდებს, ქინძისთავებს, ინდურ და არაბულ სამკლაურებს, ნელსაცხებლითა და ვარდისწყლით სავსე ვერცხლის, ბროლისა და მინანქრის ჭინჭილებს. აღმოსავლური ფუფუნების ნივთები ათრობდა ქალებს. აღმოსავლეთის მაიდანთა საეაჭრო საიდუმლოების სკოლაგავლილი ვაჭრები დიდ ხანს არ მოსდომიან აღფრთოვანებული ქალბატონის შეცდენას; და ფასიც პირიანი აღმოჩნდა. ქალბატონის მიერ არჩეულ ფუფუნების საგნებში ოცი ლამაზი ბიჭი უნდა მიეცათ არაუხნესი თორმეტის წლისა.

— ფაშის სასახლეში მოსამსახურეებად. მდიდრული საცმელი, გემრიელი სასმელ-საჭმელი ექნებათ.

ნატოს თითქოს არ ესმოდა, თუ რა საზიზღარი იყო ასეთი გაცვლა-გამოცვლა.

ნუგზარმა წარბი შეიკრა. ნატომ მოურავს უბრძანა, მესეფეთა შორის ამოარჩიე ეგ ბიჭებიო. ნუგზარმა ხელი ჩაიქნია და დაუმატა მხოლოდ:

— თითოეულ ოჯახიდან მხოლოდ მესამე წაიყვანე.

მეორე დღეს, დაბანილი, ახალი ტანისამოსით პირველად გამოწყობილი ბიჭები შეშინებული იდგნენ რიკულთან. ვაჭრობა განახლდა. ნატო ძლივს მალავდა აღფრთოვანებას, როცა მშვენიერ ქსოვილებს ირჩევდა. უეცრად აივანზე კივილითა და ტანისამოსის ფრეწვით შემოვარდა შეუხარებისაგან გათამამებული ქალი და ფერხთ ჩაუვარდა ნუგზარს.

— როგორ გაბედე, დამთხვეულო კატავ, განა მე ბატონ-პატრონი არა ვარ ჩემი ქონებისა? ან იქნებ კეთილი არა ვარ, იქნებ უკანასკნელი მიმყავს? დანარჩენები ცოტანი არიან, ან იქნებ სასჯელი გენატრება?

— ჩემი ერთადერთი არჩილი წაიყვანეს, ღვთის გულისათვის, ბევედრები, თავადო!—თავგამეტებით ჰკიოდა ქალი და თავს ახლიდა ნუგზარის წალას.

— როგორ თუ ერთადერთი? ვინ გაბედა ჩემი ბრძანების გადასვლა?

— ბატონო,—დაურცხვენლად განაცხადა მოურავმა,—ვაჟი იმიტომ წავართვით, რომ დამესაჯა: ეგ ქალი ზარმაცია, ძალიან ცუდად მუშაობს. არა ერთხელ გამიფრთხილებია. ბიჭი კი მეტად ლამაზია, მასში ბევრი რამის აღება შეიძლება... უბადრუკ მხეკალს უნდა უხაროდეს, რომ ღირსი გახდა თავისი სულელი ნაშიერი ქალბატონის სასიამოვნოდ გასცეს.

— ტყუილს ამბობს, როგორც სხვა, მეც ბევრს ვმუშაობ... ავადა ვარ, პირიდან სისხლი მდის... მთელ ღამეებს ვათევ და ისე ვიმუშავებ, ოღონდ ვაჟი დამიბრუნეთ!

— სიტყვას არ გადავალ, წაიყვანე, რაკი ერთი გყავს.

გაფითრებულმა მოურავმა სიძულვილით აღსავსე თვალი გააყოლა გაქცეულ მესეფეთ და შემდეგ ვაჭრებს გადაჰხედა: წუხელ დიდი ფეშქეში მიიღო და ვაჭრები სახლებში ჩამოატარა, რათა საუკეთესო საქონელი აერჩიათ.

ხანში შესულმა თურქმა წყნარად ამოიღო თეთრ ტილოში გახვეული ქსოვილი და მოხიბლულ ნატოს წინაშე სტამბოლის ზღვა გადაიშალა. ო, ო, იგი დიდი ხანია ოცნებობდა ზურმუხტის კაბაზე, რომელიც ვერცხლის ძაფით არის ნაქარგი.

ვაჭრებმა დამსწრეებს აღფრთოვანებული შეძახილი შეაწყვეტინეს. განა ქართლს ასეთი რამ უნახავს როდისმე? ვერცხლის ტალღები სულთნის თვალსაც კი ხიბლავდნენ. არაბეთის ხალიფის ზურმუხტს ჩრდილი ადგება ზურმუხტოვანი ქსოვილისაგან. მისი ფასი კი აი ის ბიჭი არის, რომელიც წელან წაიყვანეს.

ნუგზარს ძალიან სურდა ეჩვენებინა მთიელებისათვის წართმეული ზურმუხტი, რომელიც უმწიფარი კაკლისოდენა იყო, მაგრამ გონს მოვიდა და ვაჭრებს უბრძანა, ანანურიდან გამეცალეთო.

ვაჭრებმა დამშვიდებით დაიწყეს ფართლის შეკვრა: მათ აქ ვისიმე შეცდენა კი არა სურდათ, ტფილისს მიჰქონდათ დედოფლისათვის.

ქალბატონი ძალზე წაპოწითლდა. თვალწინ წარმოუდგა მეფე, თავადები, თავადის მეუღლენი. აი შას აცვია ეს საოცნებო ქსოვილი, სასახლე აღფრთოვანებულია, დედოფალი შურით იღრჩვება... მოურავის ცოლმა წაპოისლოკინა:

— უმჯობესია დაიწვას, ვიდრე სხვის ტანზე დავინახოთ.

ყველა მუქთამჭამლები და მოსამსახურენი ქვითინებდნენ, იმანჭებოდნენ, მწუსარებით მოსთქვამდნენ, ისე კი, რომ ქალბატონმა დაგვინახოსო: განა ერისთავთა გვირგვინი უკვე აღარა ბრწყინავს? რად უნდა დაუთმოს ქალბატონმა?

— ცხოვრებაც კი არა ღირს, თუ კი ვილაც უბადრუკი მესეფისათვის ქალბატონს მოაკლდება მთელს ქართლში საუკეთესო სამოსი.

ქალბატონმა ორი ბიჭი შესთავაზა, ვაჭრებმა ათზედაც კი თავაზიანი უარი უთხრეს. ის ბიჭი სულთნისათვის უნდოდათ ძღვნად მიერთმიათ. ბედნიერი ცხოვრება მოელის ლამაზ საჭურველთმტვირთველს... დედამისს ჭკუა როდი აქვს: იგი მტერია თავისი ვაჟისა.

ქალბატონი წელში გაიმართა და რისხვა დაატეხა თავს ნუგზარს. რაო, თავადი უარს ამბობს? მაშასადამე, მონა ყველაზე ძვირფასია? ნატო ვერ გადაიტანს ანანურის დაცინვას: მესეფეებმა გაიმარჯვეს, მესეფეები ერისთავის მეუღლეზე უფრო ძლიერი არიანო! არა, ამის თქმას ვერავინ გაბედავს! დეე უჩემოდ დააქორწინონ რუსუდანი, ნატო ტყუილუბრალოდ კი არ ინახავს საწამლავს.

დარცხვენილი ნუგზარი აივანს მოშორდა.

ნატომ ამაყად გადაიძრო ლეჩაქი. მოურავმა სასწრაფო განკარგულება გასცა და აღებმიცემაც გათავდა. ნატომ მხარზე გადაიგდო ქსოვილი და სტკბებოდა მისი ვერცხლისფერ-მწვანე ლივლივით...

გონებადაკარგული ქალი კი კვლავ ქალბატონის ფერხთა წინაშე დახოხავდა.

— თავადს არ შეუძლია სიტყვის გარდათქმა, თავადმა აჩუქა მას ბავშვი... ქალბატონი სასტიკი ვერ გახდება. დედას შეიბრალებს და არ წაართმევს ერთადერთ ვაჟს.

ვაჭრებმა ნასყიდ ბიჭებს, ნიშნად საკუთრებისა, გულგრილად შეაბეს ხელზე ყვითელი ხელსახოცები. წივილ-კივილზე საჩქაროდ მოირბინეს ნუგზარმა და სააკაძემ და გაკვირვებულნი შესდგნენ. იატაკზე რაღაც შავი ნაკრი ეგდო. გაფითრებული გიორგი დაიხარა. მკვდარ ქალს დაჰხედა და გაშტერებული თვალი წასულ ვაჭრებს გააყოლა.

— გაათრიეთ ეს გიჟი!—ნატო ქსოვილს დასცქეროდა და მისი მშვენებით სტკბებოდა

— მკვდრები გიჟები აღარ არიან. იაფად დაგიჯდათ, ქალბატონო, ეგ ქსოვილი...

სააკაძე მყის დადუმდა: ნატომ სიძულვილით სავსე თვალი მიაპყრო მას.

ეუჩის მოსახვევში მოქვითინე ქალებით გარშემოხვეული რაღაცას ხელით ანიშნებდა ერასტი. სააკაძეს რომ თვალი მოჰკრა, ერასტი შუკაში დაიმალა. ცხრამეტი ქალი ფერხთ ჩაუვარდა გიორგის, მეოცეს უკვე აღარ ესაჭიროებოდა სიბრალული.

— ბატონო, ბატონო, შეგვიბრალე, დაგვიბრუნე ჩვენი ბავშვები. შენი სულის საცხონებლად დაგვიბრუნე.

— მღვდელთან წადით, ქალებო... ვაჭრები დღეს მიდიან. მღვდელი დაგიფარავთ, ბავშვების გაყიდვა ქრისტიანული საქციელი არ არის.

— ვიყავით, ბატონო,—ცრემლები ალტობდა გიორგის წაღას,— მღვდელი გაგვიჯავრდა, გვითხრა თავადი კეთილშობილურად მოიქ-

ცა, მესამე წაიყვანა, ნება კი აქვს, როგორც უნდა, ისე გაჰყიდის მესეფესაო... ბატონო, განა დედას მესამე ჰყავს?.. ყველა ერთნაირად საჭიროა, როგორც ხელის თითები.

— აბა რა უნდა გიყოთ?

— შენა? შენ დიდი ბატონი ბრძანდები, თუ მოისურვებ, შესძლებ. მოისურვე—და ღარიბი მესეფე ნოსტეში მდიდარი გლეხი გახდა, ქალბატონი რუსუდანიც გათვალული იყო, შენ გადაარჩინე, პირს ვარდი აუყვავდა, თხოვდება... ბატონო, შენ ყველაფერი შეგიძლია. მღვდელი ამბობს, თავადი გულკეთილიაო... სხვა თავადისთვის რომ მიეყიდნა, შეიძლებოდა როდისმე გვენახა, მაგრამ მაჰმადიანებს მიჰყიდეს... გულკეთილი საიდგანლაა?

— კარგი, შინ წადით და ელოდეთ, მხოლოდ ენას კბილი დაუჭირეთ.

,კმაყოფილი სააკაძე სასწრაფოდ მოშორდა. მიზანი მიღწეულია, მას ენდობიან... ტყუილუბრალოდ როდი ურიგებია ფული და თანაგრძნობა.

კუთხეში ერასტი გამოხტა:

— ბატონო, ცხენები ახლავ შევკაზმო?

გიორგიმ მაცდურად მოხუჭულ თვალებში შეხედა და გაეცინა: დაბინდებისას შეჰკაზმე, ჩანჩურავ.

და უეცრად ასეთმა აზრმა გაუელვა: მარტო თანაგრძნობა კი არ მამოქმედებს, არამედ იმის სურვილიც, რომ არაგვის სამთავროს თვით შორეულ სოფლებშიც კი გულუხვისა და სულგრძელის სახელი გავითქვა. ეს აზნაურთა კავშირს გამოადგება.

ციხე-დარბაზში ჭექა-ქუხილი იყო: რუსუდანის სამყოფელში ნატო მეხსა სტყორცნიდა,—ნებას არ მოგცემ აბეზარი ნოსტელის ცოლი გახდე, მე მოვახერხებ ამ ქორწილის ჩაშლას, მეტეხში წავალო...

— მაშინ მეც საშუალებას მოვძებნი,—ამბობდა რუსუდანი,—ერთი გაბედონ და ხელი ახლონ ჩემს ამორჩეულს, მტრებად გადამეკიდებიან. რუსუდანს არ აღელვებს ძვირფასი თვლებით მორთული კაბები და სამკაულები, გლეხის უბრალო კაბით ივლის და გულს კი არ უღალატებს...

მამაცმა და უშიშარმა ნუგზარმა ბრძოლის ველი მიატოვა და გაიქცა.

საკუთარ სახლში შეთქმულობაა: ქალიშვილი მდაბიოში სცვლის დედას. ზურაბი თურმე სირცხვილით თვალს ვერ უსწორებს სააკაძეს. სულელი ბაადურიც კი დედის წინააღმდეგია. ამას წინათ ომი გვქონდა თურქთა წინააღმდეგ. ომი! მაშასადამე, ვაჭრობა არ შეიძლება? განა სულ ერთი არ არის, მატყლს მისცემ თუ მესეფეს? ციხე-დარბაზის ბატონი კი დამწუხრებული დაიარება...

— საით, გიორგი?

— ცხენი მინდა გავატარო, ხვალ დილაადრიან ტფილისს მივდივარ. უკვე დროა.

— თუ წასვლა მართლაც გადაგიწყვეტნია, ერთად წავიდეთ. მეფესთან საქმე მაქვს. ჩემი მეუღლისაგან ნურა გეწყინება რა, ძალიან ამაყია... მე სიტყვა გავტეხე. მეშინოდა, თავს მოიწამლავს მეთქი. მოურავი უკვე დავსაჯე, შორეულ სოფელში გავაგდე ოჯახითურთ, სანწუხაროა, რომ მსახურობას ვერ წავართმევ, რადგან მე არ მიმინიჭებია... მგონია, ნატო მოითხოვს მის პატიებას. ერთხელ რომ ვაპატიო, ახალი მოურავისთვის ცუდი მაგალითი იქნება, მაგრამ ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი კამეჩიც ვერ დააკავებს... სჯობს ხვალ დილით უეცრად წავიდე, სანამ დაებრუნდებოდე, გადაავიწყდება.

— შენ მართალი ხარ, კეთილშობილო ნუგზარ. მითხარ, ძალიან ხომ არ ინანებდი, რომ მგლებს თანაგრძნობა გამოეჩინათ გასახრწნელად წაყვანილ ქართველ ბავშვებისადმი?

— რაინდული განზრახვა ჰქონიათ იმ მგლებსა, მაგრამ ხმალი კი კარგად უნდა გასწმინდო: სახიფათო დროა, არ ვარგა ხმალზე ჟანგის შენარჩუნება... თუ ეგ მოხდება, დაბრუნებულთ თავისუფლებას მივცემ სასწაულებრივი გადარჩენის აღსანიშნავად.

ნუგზარმა ჩაიხითხითა.

— სასწაული მრწამს, თავადო, თორემ აბა როგორ ავხსნა არაჩვეულებრივი რუსუდანის სიყვარული უსახელო აზნაურისადმი?... თუ გვიან დავბრუნდე, უბრძანე ჭიშკარი გამიღონ...

— აივანსდაკიდებული სუროს მწვანე ფაფარი დარხეულ წყვდიადში ლივლივებს. ჰქრებიან გაფითრებული ვარსკვლავები. პირქუში თხრილები ჯერ კიდევ მძინარე კედლებს მისწოლიან. მხოლოდ შორეულ ნისლიდან მოისმის მბიარული გუგუნი...

— გიორგი, მაშ მგლებმა მაინც დაგლიჯეს ვაჭრები?

ნუგზარმა მოჭუტული თვალი მიაპყრო მოურავს.

— იქრებ მგლებმა კი არა, თავადო, ვეფხმა დაჰგლიჯა, მაგრამ ეს საქმეს როდი სცვლის.

— სანდრო, გახსოვდეს, რომ ვაჭრები ვეფხმა დაგლიჯა, თორემ უამისოდ ჩემი პატივცემული სტუმარი მარტო ბავშვებს ვერ იპოვნიდა ტყეში.

საკაძემ კუთხის კოშკს თვალი მოავლო და ცხენს მოახტა.

მასთან არჩილმა მიირბინა:

— დიდო ბატონო, წამიყვანე თან. ახლა თავისუფალი ვარ როგორც ერასტი, მოლაშქრე ვიქნები. ჩემი დედის სახსოვრად წამიყვანე.

გიორგიმ კითხვის თვალი მიაპყრო წარბშეკრულ ნუგზარს, რომელმაც პირი იბრუნა.

„ვისაც ერთხელ სიტყვა გაუტეხნია, ნდობაზე ფიქრის ნება არა აქვს,“—გაახსენდა ნუგზარს.

მან განგებისად გაიკვირვა კითხვა: განა ბავშვი თავისუფალი არ არის? გიორგის შეუძლია სხვებიც წაიყვანოს...

ერასტიმ სასწრაფოდ უკან შემოისვა არჩილი.

საკაძე მათრახით დაემუქრა ერასტის.

მალე დანარჩენი ცხრამეტი ახალგაზრდა მესეფეც ნოსტეში გაჩნდა და ერასტის მეთაურობით სწავლობდა ძნელ მეცნიერებას—ვიწრო ბილიკებით მტრის ზურგში გაცოცებას.

ანანურს რომ გასცდნენ, ერასტიმ საკაძეს გადაჰხედა და ნუგზარის შეუმჩნევლად ცხენი ტყისკენ შეაბრუნა.

და რამდენიმე ხნის შემდეგ ნოსტეს მივიდნენ ერასტი და არჩილი, რომელთაც თან მიიყვანეს თურქ ვაჭრებისათვის წართმეული მდიდარი ქარავანი.

თავი ოცდამეთერთმეტე

მცირე დარბაზს დიდი გამოცოცხლება ეტყობოდა. ჩვეულ კარისკაცთა გარდა, ესწრებოდნენ: ამირინდო, სვიმონი, ნუგზარი და საკაძე. მეფემ მალე გამოისყიდა დანაშაული აზნაურის წინაშე და ხელი მოაწერა თარხნობის სიგელს, რომლის ძალითაც საკაძეს უფლება ენიჭებოდა მცირე თათბირზე დასწრებისა.

ჩვეულებრივი მისალმებისა, შაჰის ბეჭდის ამბორისა და ერანის მბრძანებლის ჯანმრთელობის ამბის გამოკითხვის შემდეგ შაჰის ელჩმა ყაბლი-ხანმა კრებას დაბალი სალამი მისცა და საელჩო სკამზე დაჯდა, ბარტომმა კი გრაგნილი გაშალა:

„დიდებულო ძმაო ჩემო, მეფევ ქართლისა, სვიმონის ძევ გიორგი, არ იჩრდილების თვალისმომჭრელი მზე ერანის ლომისა და უხვად აფრქვევს ოქროვან სინათლეს მის გარშემო მოციალე ვარსკვლავთ. მწამს მოწყალება ალაჰისა: იერლაყი ერანის ბრძანებლისა ქართლის ბრძენთა ბრძენ მეფეს კარგად მყოფს მიუსწრებს.

ესმა ყურსა ჩემსა, თითქოს ალჩა-ყალა მთავართათვის გადაგეცეს. იქნებ კარგად ვერ მოვკარ ყური? მე როდი მსურს უთანხმოება რამ ჩამოვაგდო ჩემს გულუბრ ძმასთან, გარნა მეფეს შორსმჭვრეტელობა ჰმართებს... სანამ იმ ციხეს ქართლის მეფე ჰფლობდა, ერანის ლომი საიმედო მოკავშირეს ენდობოდა და არ დავობდა. მაგრამ რაკი ციხე შენ ალარ გინდა, მაშინ უნდა მოგაგონო: ალჩა-ყალა დაფუძნებულია თურქმენ ეკუფ-ხანის მიერ და უფლების ძალით ერანს ეკუთვნის და არა შენს მთავართ.

და ქართლისათვის ზედმეტ ციხეს ნამდვილი პატრონი დაისაკუთრებს. არ შეიძლება ქვეშევრდომთ უფლება მიეცეთ სახელმწიფოს

კეთილდღეობის განსაკარგულებლად... ეგების ჩემს წინააღმდეგ ზრახ-ვიდნენ რასმე დიდებულნი. უსუსურნი მუდამ უშიშრად ეტანებიან ცეცხლსა...

აღჩა-ყალაში მომთაბარე ბორჩალუს ვასახლებ, ხოლო ციხეში შე-დის ალი-ბაინდურ-ხანი ჯარითურთ. ქართლის ლაშქარმა მშვიდობი-ანად დასტოეოს აღჩა-ყალა და აქლემთა საძოვარიც განათავისუფ-ლოს. ბორჩალუ ველური ტომია, კარგად ვერ არჩევს, რა არის თვი-სი და რა სხვისი. ნურც შეგხვედრია უსიამოვნება.

მრწამს წყალობა აალისა: პასუხი არას აევნებს ჩემი დიდებული ძმის კარგად ყოფნას.

ალაჰი ჰფარვიდეს შაჰ აბაზს.
მონა რვისა და ოთხისა."

გაოცებული გიორგი X ნაღვლიანად სდუმდა. მესტუმრეთუხუცეს-მა თავაზიანად მიიწვია ყაბლი-ხანი: დიდი ნამგზავრი ბრძანდები და მოისვენეო.

— ვინ გაგვცა?—გაისმა დარბაზში.

ამირინდოს ზრდილობაც კი დაავიწყდა და ხმალი ააჩხარუნა. ბაგრატმა აკანკალებული ხელი საკინძეს იტაცა.

— მეფის სურვილისამებრ საზღვრის გამაგრებისა, მთავართა ლაშქრის გაერთიანებისა და იქ მიყვანის შემდეგ სპარსელი ასეთი თავხედური წერილის გამოგზავნას ვეღარ გაბედავდა.

ქველი წერეთელი მწუხარებით აქსევდა თავსა:

— ასეთი ხელსაყრელი საზღვრისა და ამოდენა მიწა-წყლის და-კარგვა!..

შადიმანმა გესლიანად იკითხა: ვისთვის არის ღალატი სასარგებ-ლო. რომელ ქოფაკს მოესურვა, რომ უმჯობესია აღჩა-ყალა სპარსუ-ლი ციხე იყოს და არა ქართულიო?

ბაგრატი და სიმონი ერთმანეთს არ აცლიდნენ და მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ მოსძებნონ მოღალატე და გახურებული შანთით გა-მოსტეხონო. დიდებულებმა სიამით დაუჭირეს მხარი. დაბეზღება არავისთვის საეჭვო არ იყო. ტრიუმვირატი, რომელიც სამეფოს სა-ხელს ეფარებოდა, ის იყო შეუდგა თავის სიმაგრეთა აგებას და გა-დასწყვიტა დამთავრებამდე არ გაემეღავნებია მეფის ნაბოძერის ამ-ბავი.

მეფემ გესლიანად მოიხსენია ეს ნაგვიანევი აღშფოთება. საჭიროა უფრო ფხიზლად ადევნონ თვალი საზღვარს-გადმომსვლელთ. ახლა საზრუნავი ეს არის: როგორ დავიცვათ ველურ ბორჩალუსგან მო-საზღვრე სოფლები. მაგრამ... რად სდუმს დღეს მამაცი ნუგზარი? ნუგზარი შეკრთა. აღმოცენებულმა ეჭვიანობამ მისი თვალი საკაძის გაქვავებულ სახეს მიაპყრო. „არასოდეს პაპუნას არ იშორებდა, ანა-ნურს კი არ წაიყვანა".

ნუგზარმა დიდი პატივისცემით გადახედა სააკაძესა და ამაყად სთქვა:

— ღალატია თუ შურისძიება, შორსმჭვრეტელი სპარსელი კი ორიოდე დიდებულს არ ჩააბარებს ორი სახელმწიფოს ბედს... არ უნდა ეცადო ისეთი საჩუქრის მიღებას, რომელიც მრისხანე მეზობლებს საჩხუბრად გამოიწვევს.

— მეფეს რომ ალჩა-ყალა მამაცი ნუგზარისთვის ებოძებინა, მაშინ თავადი სულ სხვანაირად დაიწყებდა ლაპარაკს,—კბილთა ღრჭიალით სთქვა ამირინდომ.

— არაგვის სამთავრო საკმაოდ ვრცელია, ხოლო უკეთუ მისი განვრცობის სურვილი წარმოიშვა, ნუგზარი ამჯობინებდა კელავ მთიელთათვის მიემართნა და არა მეფისათვის.

გაბრაზებულმა ამირინდომ ხმალი იშიშვლა. მისმა მომხრე თავადებმაც მყის იარაღს გაიღლეს ხელი. სააკაძე მხარში ამოუდგა ნუგზარს, რომელიც დინჯად იურვებდა მძიმე ხმლის ვადას.

შადიმანმა ნაღვლიანად გაიფიქრა ჩაფუშულ გეგმაზე.

ლუარსაბის მრისხანე შეძახილმა გონს მოიყვანა თავადნი:

— მამავ, ვინ ბედავს ასე თავის დავიწყებას? განა მეფის აქ ყოფნა თავშეკავებას არ მოითხოვს? ან იქნებ თავხედები ფიქრობენ, მეფის მახვილი თავადისაზე უფრო ბლაგვიაო?

გიორგი მეფემ სიყვარულით შეჰხედა შვილის აღგზნებულ სახეს. დიდებულნი დაიბნენ. რა პასუხი უნდა გასცენ მეკვიდრის თავხედობას?

— დიდებულნო, თქვენი აღშფოთება გასაგებია, შაჰ აბაზი ასე უტიფრად ჯერ არასოდეს არ მოქცეულა, მაგრამ... ერანთან ომი შეუძლებელია. საჭიროა თავი დავიცვათ ბორჩალუსაგან.

— ნება მიბოძე, დიდებულო მეფეე, მოგახსენო.

სააკაძემ თავი დაჰხარა.

— თუმც აზრის გამოსათქმელად ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ შენი მამაცობა თავმდაბლობას იწვევს. სთქვი.

— ბერდუჯს ყურყუტის ფონი აქვს. ფონი რომ გავაღრმავოთ და ჩვენს მბარეზე სიმაგრეები ავაგოთ თხრილებიანი, განა მაშინ ბორჩალუ გაჰბედავს საზღვრის გადმოლახვას და ხალხის ძარცვას? და უკეთუ გადმოლახავს, მაშინ მეფეთ-მეფესა ვთხოვდი ნება დაერთო ბრალო აზნაურის სააკაძისთვის ელაპარაკნა მათთან.

— რა გაეწყობა, შენ ერთხელ უკვე ყაზახთა მაგალითიო დაამტკიცე, რომ შეგიძლია ლაპარაკი, დიაღ, დიაღ... შაჰის პასუხს დასწერს შადიმანი. შენ კი, გიორგი, დაუყონებლივ გაემგზავრე ბერდუჯისაკენ აზნაურთა რაზმებითურთ. კალატოზნიც მალე წამოვლენ... დიაღ... შაჰი არ დააყოვნებს, ურდო უკვე ისწრაფვის საძოვრებისაკენ, ვისწრაფოთ ჩვენც.

— ნება მიბოძე, მეფეე, მოგახსენოთ: ლაშქარს მეთაურად აუცილებლად გამოცდილი მხედართმთავარი უნდა ჰყავდეს. რასაკვირველია, სააკაძე კარგად გაართმევს საქმეს თავს, მაგრამ უფროსად უთუოდ თავადი უნდა იყოს... შაჰი გვაფრთხილებს: აღჩა-ყალაში ხანი მოდისო.

— დიდო მეფეე, თავადი შადიმანი მართალია, უფროსად თავადი უნდა იქნეს...—სააკაძე თვალში უცქერდა მეფეს.

— დიაღ, დიაღ, გიორგი, შენ დიდი ხანია დაიმსახურე...—შადიმანი წელში მოიხარა:

— ნება მიბოძე, დიდებულო მეფეე, ერთი კიდევ მოგახსენო: სააკაძე, ალბათ, მოისურვებს ცოტა ხანს დარჩეს მამაც ნუგზართან... შესაძლოა, თბილისში მათ საერთო საქმეები ჰქონდეს, რაკი მშვენიერმა რუსუდანმა თვისი სიყვარულის ღირსი გახადა სააკაძე.

შადიმანი, თითქოს მეფის წამოჭირხლებული სახე არც კი შეუნიშნავსო, თავაზიანად დაიხარა ნუგზარისაკენ:

— ნება მიბოძე, დიდადპატივცემულო თავადო, მოგილოცო. ბოლოსდაბოლოს მშვენიერმა რუსუდანმა ღირსეული ქმარი იშოვნა, შენ კი—სიძე...

— გმადლობ, უბრძნესო შადიმან, მართლაც, ჩემმა ქალმა საუკეთესო ვაჟკაცი აირჩია, და თუმცა ზრდილობა მოითხოვს, რათა მეფემ პირველმა გაიგოს და მომილოცოს... მაგრამ თავად შადიმან ბარათაშვილის შიკრიკი, ალბათ, ჩვენზე უფრო სწრაფია. მე და გიორგი იმისთვის მოვედით, რომ მეფეს მოვახსენოთ, მაგრამ შაჰის ელჩმა ხელი შეკვიშალა, შენ კი, თავადო, როგორც ყოველთვის, დროზე გვილოცავ... იქნებ ახლა მაინც დაგვრთო ნება მოვახსენოთ მეფეს?

— გემუდარები, მამაცო ნუგზარ, მაპატიო, დარწმუნებული ვიყავ, რომ შენ უკვე გაახარე ამ ამბით მეფე...

გიორგი მეფე ტახტზე გასწორდა. გაცოფებული ეპვიანობა მის ხელს ბაგრატოვანთა ხმლისაკენ ეზიდებოდა, მაგრამ დროზე მოაგონდა მრისხანე არაგვის ერისთავი.

— ძვირფასო ნუგზარ, მომილოცნია, და შენთვისაც, გიორგი... ვწუხვარ, რომ ბერდუჯის საქმე ნებას არ მაძლევს ახლავე მოვაწყო ლხინი, მაგრამ გიორგის დაბრუნების შემდეგ, ძვირფასო ნუგზარ, სამი დღის ლხინს გავმართავ მშვენიერი რუსუდანის პატივსაცემად... დიაღ, დიაღ, იმედი მაქვს, შენი ოჯახობა მაშინ მაინც გვეწვევა..

— გმადლობ, სულგრძელო მეფეე, გარნა პირველი ლხინი ერისთავის ასულისა და ოსმალეთის უკანასკნელი ომის გმირის პატივსაცემად ანანურის ციხე-დარბაზში გაიმართება. იმედია, მეფე უარს არ ეტყვის არაგვის ერისთავს.

— ნუ ვიკამათებთ, ძვირფასო ნუგზარ... დიაღ, დიაღ. მე მუდამ მოხარული ვარ ვეწვიო ტახტის ერთგულ დიდებულთ... დიაღ,

დიაღ, მაგრამ ახლა გიორგიმ შემომთავაზა მისი მონაწილეობა საზღვრის გამაგრებაში. დამიკმაყოფილებია მისი თხოვნა, ხოლო უფროსად თავადი ციციშვილი დამინიშნავს... დიაღ, დიაღ, გიორგი კი დაბრუნების შემდეგ დაჯილდოებული იქნება, დიაღ, დიაღ, დაჯილდოებული იქნება... ყველაფრისათვის...

მეფე დინჯად წამოდგა და აჩქარებით გაიარა დარბაზი და მხოლოდ თავის სამყოფელში მისცა სადინარი მრისხანებას. „როგორ, საზიზღარმა მოტყუებით მოიპოვა ნდობა და, მეფის ყურადღების წყალობით, მოიტაცა ჩემი სამეფოს უძვირფასესი განძი! რა თქმა უნდა, შადიმანი მართალია. აზნაურთა კავშირი მდაბიოს მიერ შექმნილია პირადი განდიდებისათვის... დიაღ, დიაღ, ალბათ, უამბო. უთუოდ ყველას უამბო. დიაღ, დიაღ, ისეთმა ამაყმა მდაბიო შეიყვარა... შეიყვარა? იქნებ გამოსაჯავრებლად გასცვალა მეფე აზნაურში? ნუგზარი კმაყოფილი ვერ იქნება,ხოლო ქალბატონი ნატო?... მე საქმეს გავუჩენ თავხედ აზნაურს. მალე ვეღარ იხილავს დანიშნულს. ერანს გავგზავნი... თინათინს ძღვენს წაუღებს... მერმე იქ დარჩება, სანამ შადიმანი არ გამოიწვევს... აზნაურები, ძაღლებივით უნდა გავრეკო... ნუგზარს შეუძლია გადაიბიროს ისინი. საშიშარი კავშირია... ამბობენ, თავადნი შეშფოთებულნი არიან აზნაურთა გაერთიანებითო. მეც უნდა ვშიშობდე. ალბათ, ღალატს მიმზადებენ. იქნებ საჭიროა ჯურღმულში ჩავყარო?... არა, საშიშია. ნუგზარი შეურაცხყოფას არ მოითმენს... საჯაროდ განაცხადა, ძვირფასი რამ განძი ვიპოვნეო... ბააკა... ბააკაც აზნაურთა მომხრეა, თუმცა სიფრთხილისა გამო ჩემთვის არაფერი უთქვამს... დიაღ, დიაღ, ბააკა მეტად ფრთხილია. დღეს კინაღამ მდაბიოს თავადობა არ ვუბოძე... რა თქმა უნდა, სანამ თავადის წოდებას არ მიიღებს, ნატო ქორწინებას არ დასთანხმდება...“

ნუგზარი და გიორგი მყისვე მიხვდნენ მეფის უკმაყოფილებას. ტყუილად როდი შეუწყვეტია სიტყვა თავადის წოდების მიცემაზე. ნუგზარი ცდებოდა: მეფე არჩევანით იყო უკმაყოფილო, ხოლო გიორგი, რომელიც ერთბაშად მიუხვდა მეფეს უკმაყოფილების მიზეზს, აღშფოთებული იყო: დასთანხმდება თუ არა ქალბატონი ნატო ჩვენს ქორწილს, მე რომ თავადის წოდება ვერ მივიღოო? უნდა დასთანხმდეს. ქალიშვილის ღირსება პატივმოყვარეობაზე უფრო ძვირფასია...

ცისფერ ბურუსში გახვეულან თბილისის ტაძართა გუმბათები. ღია ფანჯარაში ნორჩი ფოთლები მოსჩანან. სამი ირმის ნუკრი ნოყიერ ბალახსა ჭკორტნის. თეთრაღგაპენტილ ვაშლის ხეს მინანქრის პეპელები დაფრთქიალებენ.

სააკაძემ ხმაურით შეაღო კარი. დათომ, როსტომმა და დაუთ-ბეგმა აღშფოთებით მოისმინეს შადიმანის ცბიერების ამბავი. მაგრამ პაპუნამ უდარდელად სთქვა:

— ყოჩაღ, შადიმან, თავი ტყუილ-უბრალოდ როდი აბია. რად ესაჭიროება ვეფხს მგლების მეგობრობა?

მეფე ცალეზადია, ვით პონტოს ზღვა, მაგრამ გიორგი სააკაძე ქარიშხალში გამოატარებს ერისთავის ასულს.

აზნაურთა გაკვირვებამ პაპუნას გულიანი სიცილი მოჰგვარა. თასები აავსო და „ვეფხებს“ შესთავაზა, სულ დასცალეთო. გიორგიმ აზნაურებს უამბო ანანურის შესახებ, სინაზით მოიგონა უკანასკნელი საღამო, რუსუდანის ფიცი და თეთრი ჩრდილი განთიადისას, ვიწრო ფანჯარაში რომ მოსჩანდა...

მერმე უეცრად წარბი შეიკრა.

— მეგობრებო, ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ. მეფეს კარგად ვიცნობ, შურისძიება იცის. მოიგონეთ ცისფერ ვარსკვლავთა მანიაკი. აზნაურთა კავშირი საფრთხეშია. დაუთბეგ, და შენც როსტომ გააფრთხილე ყველანი. ამიერიდან საიდუმლო ყოფაში გადავდივართ. თვალის ასახვევად ორი თვის განმავლობაში არ შევიკრიბებით საიდუმლოდ დაიცავით აგრეთვე ჩვენი რაზმებისა და იარაღის რაოდენობა. ნუ გაამჟღავნებთ იმათ სახელს, ვინც კავშირშია. ელიზბარ, აცნობე ქვლივიძეს, როსაბსა და ასლამაზს, მათ იციან, თუ როგორ მოიქცნენ. მთავარი კი სისწრაფეა, მუდამ გახსოვდეთ ესა. ისწრაფეთ მტერზე გამარჯვება. დათო მე გამომყვება, ყველაფერია მოსალოდნელი. თუ მეფე ჯურღმულს მიმზადებს, შენ ანანურისკენ გაეშურე, პაპუნა კი ერანისაკენ. დაუთბეგ, წადი და ნახე, რა მდგომარეობაშია ნოსტეს ციხე-დარბაზი. დააჩქარონ. პაპუნა ამბობს, გალავანი თითქმის დამთავრებულიაო. საჭიროა, კუთხის კოშკებში გუშაგი ჩაყენო. პატარა არჩილი თეკლესას გადაიყვანონ.

მხოლოდ ერთმა შადიმანმა დააფასა სათანადოდ სააკაძე: ასეთი ვინმე შუა გზაზე არ შესდგებაო. სააკაძე ნუგზარზე უფრო საშიშარია, არწმუნებდა შადიმანი ამირინდოს, მდაბიო თავადებს ვერასოდეს ვერ მოურიგდება. მისი სული მიწაზეა.

სააკაძემ, დათუნამ და პაპუნამ მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს თავისუფლად, როცა ზაზა ციციშვილი ხუთასი მოლაშქრით, კალატოზთა ამქრითა და ახლო-მახლო სოფლის გლეხებითურთ ციხის ასაგებად გაემართა. გზაში პაპუნამ და გიორგიმ მდინარის უდაბურ ნაპირას შეისვენეს. პაპუნამ უკმაყოფილოდ სთქვა:

— შაჰს გაეხარდა. თურმე დიდი ხანია სურდა ამ ხელსაყრელი ადგილის დაუფლება, მხოლოდ შემთხვევას ეძებდა... სპარსელმა უხვი ჯილდო აუგითქვა ერთგულებისათვის... ოქროთი სავსე ტომსიკები

ნოსტეს მივიტანე. გარდა ამისა, შაჰმა თეკლეს ძღვნად გამოუგზავნა ფირუზისა და ალმასის სამაჯური, მარგალიტის მანიაკი, ოქროს ფინჯნები და აბრეშუმის მოსასხამი. ყველაფერი ნოსტეს ციბის საიდუმლო სარდაფში დავმალე. ნოსტეში ორ დღეს დავრჩი. ყველას ასე ვეუბნებოდი, ანანურში ავადმყოფობის გამო არ წავყევი მეთქი... ეს კარგი ვერ არის, გიორგი, შაჰი რომ თავის სამსახურში გთვლის...

— ეჰ, ძვირფასო პაპუნა, როგორც უნდოდეს, ისე ჩამთვალოს. იცი, რას მოხმარდება ეს სპარსული ოქრო?

— რა თქმა უნდა, არა ღვინოს... აღჩა-ყალა სულერთია დაკარგულია.

— მართალია, პაპუნა, აღჩა-ყალის დაკარგვა სამწუხაროა, მაგრამ... მოვა დრო და უკანვე დავიბრუნებთ. დიდებულნი კი ეკლესიისა და ტახტის სახელით სამუდამოდ შეიმტკიცებდნენ.

— უმჯობესია საკუთარ თავზე უფრო იფიქრო, გიორგი, ვიდრე დიდებულებზე... საშიშ ბრძოლას ეწევი... ახლა კიდევ ნუგზარი პაპუნას კისერზე შეასვი. ომი იქნება! ბავშვი ხომ არა ხარ? ეშმაკთან ფერხულში ჩაები. ხოლო თუ სიტყვა ამაზე მიდგა, პირდაპირ გეტყვი, რასაც ვფიქრობ... ხალხისათვის ბრძოლა გსურს, თავადებთან კი ავანჩავანობ. რატომ აშკარად არ იწვევ ბრძოლაში? მთელი ხალხი შენ გამოგყვება! ჯერ კიდევ დრო არის გზა აირჩიო, ანანურის ქორწილის შემდეგ კი გვიან იქნება.

საკაძე ნაღვლიანად დააცქერდა აჩქროლებულ მდინარეს.

— პაპუნა, შენ ყველაზე უფრო ახლო მეგობარი ხარ ჩემი და ამიტომ უნდა გაიგო. აშკარად რომ ვიარო, ვერასოდეს მიზანს ვერ მივაღწევ. ვინ მომცემს ამის ნებას? შაჰი, რუსთა მეფე, სულთანიც კი საქმეში ჩვენს მეფესა და დიდებულებს დაუჭერს მხარს.

აზნაურები მხოლოდ თავადებისთვის არიან საშიშარნი. ასეთ ბრძოლას შაჰი სიამოვნებით დაეხმარება. შემდეგ კი ვნახოთ...

პაპუნამ ხელი ჩაიქნია და ტიკჭორა მიითრია.

თავი ოცდამეთორმეტე

მწველი კულულები, სურნელოვანი ხელები, თვალთა მოციმციმე ვარსკვლავები... და გაბრუებულმა დათომ თვითონაც არ იცის, ცოლად სურს ხორეშანი თუ არა, გარნა ნაკრძალი თავადის ასულის კოცნა რომ სურს, ეს კი მტკიცედ იცის, თორემ აზნაურულ კისერს საფრთხეში არ ჩააგდებდა და კოშკის ვიწრო ფანჯარაში არ შეძვრებოდა. მაგრამ... ხორეშანის განსაცვიფრებლად, შეყვარებულმა დააყურა და უეცრად ისევ გარეთ გავარდა.

ცოტა ხნის შემდეგ დათო ღიმილით გამოტყდა: შევცდი, თაგვის ჩუჩუნი მეტოქის ფრთხილი ფეხის ხმად მიეიღეო.

აზნაურის იქვნეულობით ნასიამოვნებმა ხორეშანმა მოგონება გაუზიარა: გასაღები ამ მიტოვებული კოშკისა, რომელიც ასე მოხერხებულია საიდუმლო პაემნისათვის, ერთი წლის წინათ გარე გალავნის ძირას მაყვლის ბუჩქშია ნაპოვნი და, ძიძის რჩევით, საიდუმლოდ ინახება, როგორც ბედნიერების მომტანი. ახლა აშკარაა, თუ რა ბედნიერებაა ესა: დახუთულ კოშკში ელოდებოდე საყვარლის მოსვლას, რომელიც თაგვებზე უშიშრად ნადირობსო...

საღამოს კი დათო ირწმუნებოდა:

— ძვირფასო ბააკა, შემთხვევით მოხდა, ნაცნობი ფეხის ხმა შემომესმა... შადიმანი ცბიერებას წაღაში მალავს. დიდი ხანია ვაკვირდები—კოშკის კედელში გაძვრა, მაშასადამე, იქ ფარული ხვრელია, რომელიც დედოფლის სადგომისაკენ მიდის...

— დათო, გიბრძანებ კოშკს ახლოს არ გაეკარო... რად მიძვრებოდი? გეცინება? სულერთია, დღეს კოშკის ფანჯარა ამოიქოლება გასაღები კი ყოველგვარ მნიშვნელობას დაჰკარგავს.

— გეფიცები, შენი ნებართვის გარეშე კოშკში აღარ შევალ, ოღონდ ფანჯარას ხელს ხუ ახლებ, ვიღაცას სწამს, გასაღები ბედნიერების მომასწავებელიაო... დიაღ, ორბელიანს იმ გასაღებმა ბედნიერება მოუტანა... მაგრამ გესლიანი თავადი ვერ მოახერხებს აქედან ნესტანის გაგდებას, ურჩევნია ნუ მაიძულებს გულახდილი ვიყო...

ბააკამ გაიფიქრა: „თარხნობის სიგელი, მეტეხში თავისუფლად შესვლის უფლება, შეყვარებულის კოცნის უფლება...“ ხელი ჩაიქნია და საყვარელი მოლაშქრე თავისას დააბინავა. ასე უფრო უშიშარიაო.

დათო ხორეშანის მხურვალე ბაგეს დაეწაფა.

ლამაზი აზნაურით დიდი ხნიდან მოხიბლული ხორეშანი წაბლის ხეს მიყრდნობოდა, იცინოდა და ოდნავ იგერიებდა გახელებულ შეყვარებულს, თანაც ახალ ამბებს უამბობდა.

და დათომ გაიგო ამბავი ორ ჰურიას—გულშარსა და ნესტანს შორის ლუარსაბის გულისათვის გაჩაღებულ ომის შესახებ, გაიგო, თუ რა ყურადღებას აქცევს მემკვიდრე არაჩვეულებრივ ნესტანს, რომელიც თვისი ოქროსფერი თმითა და ზურმუხტოვანი თვალებით ავაზას მოგვაგონებს... ისიც გაიგო, რომ თავადი ღაზნელი აღშფოთებულია რუსუდანის არჩევანით:

— მირჩევნია ხორეშანი მკვდარი ენახო, ვიდრე აზნაურს გაჰყვესო...

დათომ გულში ჩაიკრა ხორეშანი, ფიცი მისცა და გამალებით უკოცნიდა ცბიერად მოღიმარე ბაგეს.

შადიმანი ძალზე შეშფოთებულია. რუსუდანის დაკარგვის საშიშროება მეფეს ენერგიულსა ხდიდა. მარიამი შეიძლება მონასტერში მოხვდეს, რუსუდანი კი... სიყვარული? რომელი ქალი გასცვლის

ტახტს აზნაურის ლოგინში? მაშასადამე, დავაჩქარო სააკაძის ქორწინება? მაგრამ, სანამ თავადობა არ უბოძებიათ, ნატო არ დასთანხმდება, დათმობა კი შეუძლებელია...

შადიმანმა გულდასმით მიუგდო ყური თავადთა კამათს.

— მდაბიოებს რომ ნება მივცეთ, მთელ ქართლს აამტუტებენ... მაიდანზე აზნაურთა საქონელი თავადებისას ეჯიბრება, ხალხს აჯანყებენ, სამუშაოდ აღარავისა სცალია. ნოსტე სავსეა გაქცეულებით, სტოვებენ კარმიდამოს, ოჯახს და აზნაურთა მხედართმთავრისას ეძიებენ თავადთაგან ხსნას.

— საჭიროა მოქმედება, დაყოვნება საშიშია... ქაჩიბაძეს სამი ოჯახი გაექცა—დაკავება ვერ შესძლო.

— მეფესთან უნდა ვიჩივლოთ, მან უნდა აუკრძალოს სააკაძეს გაქცეულთა მიღება...

— ეგეთი კანონი არ არსებობს. თვითონ უნდა ვიმოქმედოთ, ხალხი დავაშინოთ: დაქერილებს უღელი შევადგათ, მერმე აღარასოდეს არ გაიცქევიან.

— სააკაძის დაოკება ადვილია, მაგრამ ნუგზარის გადაკიდება ვის ენატრება?

— იქნებ მაღალაძენი წავაქეზოთ, დიდი ხანია მტრობა აქვს... მერაბი ჰფიცავდა...

— მერაბი ჰფიცავდა, მისი მესეფე კი სააკაძისას მირბოდა.

— ორმოცი აზნაური შეერთდა... მეფეს ახალი კანონი უნდა გამოვთხოვოთ: ზედმეტი მიწა ჩამოართვას აზნაურებს და მაშინ ხალხი ეეღარსად გაიქცევა.

— მთავარი რამ მიწაა. ჯერჯერობით საშიში არა არის რა: რამდენი შეუძლია მიიღონ? ასი, ორასი ოჯახი, სამწუხარო ეს როდია... ხალხი ჰფიქრობს; უკვე შესაძლოა თავადებს ცუდი დღე დაადგეთო. ნუღარ დავაყოვნებთ, მეფე ერთს თავადზეა გაჯავრებული, სხვებს კი გულკეთილობას არ მოაკლებს. უნდა ვისარგებლოთ...

მეფის დღეობაზე მოსულთა შორის მხოლოდ რუსუდანი არ იყო. ბრაზი მატულობდა:

— დიაღ, დიაღ, სანამ მაპანკლებს არ გავგზავნი, არ მოვა, ამპარტავნობით უბრალო აზნაურს მიჰყვება... უბრალოსა? დიაღ, დიაღ, მარიამი მე არ მესაჭიროება, არასოდეს საჭირო არა ყოფილა...

თვალწინ წარმოუდგა რუსუდანის თეთრი კაბა, არაგვი, ზართა რეკა. გიორგი მეფემ ხმალი მოიხსნა და მიაგდო, ერთბაშად დასცალა ყანწი და მჯიღით გაალო ფანჯარა... ქეშიკმა მესამეჯერ გაახსენა გაუბედავად დიდებულთა თხოვნა. გიორგი მეფეს გაეხარდა, ვინმეზე გულის ბუხარს ამოვიყრიო და, შემოვიდნენ თუ არა თავადნი, მრისხანედ შეუტია:

— აზნაურები ხალხს აჯანყებენ? ვინ ჰბედავს ხალხის განმკარგულებლობას? თავადებს ვანდობ აზნაურების მოთოკვას. შეგიძლიათ ყველანი მოსპოთ... დიაღ, დიაღ, მხედართმთავარი პირველი მიუგდეთ მგლებს, ის არის მეთაური, დანარჩენნი... დიაღ, დიაღ, მოჰკალით მხედართმთავარი და ხალხი სამუდამოდ დაწყნარდება... ნოსტე თქვენთვის მომიცია...

დიდებულნი განცვიფრდნენ, რადგან არ მოელოდნენ ასეთ გამარჯვებას... მხედართმთავარი მოკლათ და ნუგზარი ხმას არ ამოიღებს?

— ახლა არ შეიძლება სააკაძის ხელის ხლება, ნუგზარი გვერდითა ჰყავს, მხედართმთავრის დრო უფრო გვიან დადგება... აშკარად კი საჭიროა მიწა-წყალი წაერთვას აზნაურთ, მაშინ ხალხი ველარსად გაიქცევა.

— მიწა წაერთვას და დიდებულთ გადაეცეს? ყველაფერი დიდებულთ მიეცეს! დიდებულნი რომ კედელზე დაკიდებული იარაღის ჩამოღებას ვერა ჰბედავენ? არაფერსაც არ წავართმევ, თვით აუტეხეთ ომი. მე უკვე გითხარით მამული თქვენი იქნება-მეთქი. ვიცი, გეშინიათ სააკაძისა, სანამ ცოცხალია, თქვენი საქმე ცუდად არის ნუგზარი ხელთ იგდო, ქსნის ერისთავი, მუხრან-ბატონი, ყველა მუეში ჰყავს გამომწყვდეული, შადიმანის მეგობრები კი ელოდებიან? დიაღ, დიაღ, თქვენ მიჩვეული ბრძანდებით მხოლოდ მეფისგან მიიღოთ ხოლმე...

თავადნი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ასეთი ომის არახელსაყრელობა. ხალხი რომ აზნაურებს მიემხროს, ქართლი სისხლში ჩაიღრჩობა. მსახურთ შეიძლება ვენდოთ, მაგრამ მამაცობა აქ საშიშია: ხალხს დაგვიჟლეტენ და მერმე ვინლა იმუშავებს? თავადებს ისედაც ცოტა გლეხი ჰყავთ, მონებს ჰყიდულობენ, მესეფეთ ფასი მოემატათ... გამოსავალი ერთადერთია —კანონით მამული ჩამოვართვათ.

ხოლო გიორგი მეფე მრისხანებდა. შადიმანი მიუხვდა მეფეს გუნებას: სისხლის ღვრით სურს რუსუდანი უდროო ქვრივი გახადოსო. არა, დრო არ არის აზნაურებთან ბრძოლისა: სააკაძის სიცოცხლე ტახტია მარიამისა, მარიამის ტახტი კი ძალაუფლებაა შადიმანისა... გველმა თავადმა მარჯვედ მოაწყო უკანდახევა და მეფისა და დიდებულთა თათბირი უნაყოფოდ დასრულდა.

ბააკა მოტრიალდა:

— საიდან გავიგე? მეტეხის მცველთა უფროსმა ყველაფერი იცის, უხილავი ყურები ასხია. მან იცის არა მარტო დღევანდელი თათბირის შესახებ შადიმანისას, არამარტო სპარსელ ელჩთა განზრახვა თბილისიდან გაიტანონ თინათინის წერილი. დიაღ, შადიმანი ძლიერია სჯობს აზნაურმა დასტოვოს მეტეხი. რაო? ფრთხილი გაეხდიო?

იმიტომ მიძერები ხვრელში? აზნაურისათვის სიფრთხილეა საჭირო, გაიგებს ლაზნელი და, ხომ იცი, ამაყი თავადია... ხოლო უკეთუ დათოსა სურს, რომ რუსუდანი მისი შეგობრის ცოლი გახდეს, მტკიცედ დაიცვას მრგვალი კოშკის საიდუმლოება...

დათო დილიდანვე ცუდ გუნებაზეა. ხორეშანის ბროწეულისფერ ბაგეთა გარდა აზნაურს შეტეხში მოვალეობა აკავებდა.

შადიმანმა გადასწყვიტა თინათინთან გაგზავნოს ნესტანი, რაგრამ აზნაურმა გააუქმა გველი თავადის გადაწყვეტილება და ახლა მრისხანედ ჰფიქრობს, თუ როგორ ჩასცეს უკანასკნელი ლახვარი.

ბაიაც მოლუშული იყო: კვლავ ეს მცირე თათბირი... მშვილდი მეტად დაეშ�ულია, საით გაფრინდება ისარი... ცუდად გათავდება საქმე. რაო? მეფის თათბირს თვალი გადავავლოო? უფლება მაქვსო? ეჰ, შეგობარო... კარგი. წაგიყვან და კარზე მცველად დაგაყენებ.

შადიმანმა ფრთხილად გაასწორა ლიმონის მოკეცილი ფოთოლი. ხავერდის ნაჭერი იშოვნა და ფოთლებს მტვერი მოსწმინდა. ლიმონიანი კასრი მარჯვნივ მისწია, მერმე ოდნავ მარცხნით მოსწია, მეჩიბუხეს დოქი გამოართვა და უხვად მორწყო. საყვარელი მცენარის მოვლას ანდომებდა ხოლმე იგი მცირე მოცალეობას. უეცრად წარბი შეიკრა, ფართო ნაბიჯით მიუახლოვდა ჰადრაკის მაგიდას და მეფის მცველი შავი მხედრები გადასწია.

მერმე თეთრი ეტლი დასძრა, გამბმარი თითები რვაკუთხოვან მოკრიალებულ მაგიდაზე აათამაშა და ტახტზე დაეშვა.

უკანასკნელმა ამბებმა სულ აურიეს დავთარი. „გახსნა შეუძლებელია, უნდა გაიკვეთოს... აზნაურთათვის მიწის ჩამორთმევის ამბავი დროებით მარცხად უნდა მივიჩნიოთ და უფრო მნიშვნელოვან საქმეს მოვკიდოთ ხელი. გახელებული შეყვარებული დავაჯერე, რომ მეტეხში ნესტანის დარჩენა უშიშარი არ არის-მეთქი ლუარსაბისთვის. ნესტანის გაგდება ასტანისას, გურიაში ან ოდიშში გაგზავნა... ადვილი სათქმელია—გაგზავნა! ლუარსაბმა ერთხელ ამის ნება არ მოგვცა და შემდეგ, შეუძლებელია იმერეთში, განსაკუთრებით კი გურიაში გაგზავნა. გასცდება თუ არა საზღვარს, დიდებულნი მყისვე გამოამჟღავნებენ ორბელიანის მკვლელობას. უეცველად გამოეკრმაგებიან, მოითხოვენ ქონების დაბრუნებას. დიაღ, უმჯობესია ისპაჰანს გაიგზავნოს, როგორც წინათ იყო გადაწყვეტილი. ვაჭარნი ნესტანში კაი ურვათს გაიღებენ, ყარაჯულაი-ხანის ვაჟისთვის წაიყვანენ. შეიძლება...“

შადიმანი წამოდგა, ხმალი შემოირტყა, თეთრი ეტლით შავი მხედარი მოჰკლა, და ქეშიკი იხმო.

მცირე თათბირზე მხოლოდ მახლობელნი შეიყარნენ. ზოგიერთი მოსაზრებით მოწვეულ იქმნა მარიამიც.

ციხის უფროსმა თათბირს მოახსენა გიორგი X დღეობის წესრიგი: დილით წირვა, შემდეგ გლახაკთა განკითხვა, მთხოვნელთა მიღება, შემდეგ დიდებულთა ცოლებისათვის ეგვიპტურ ნელსაცხებელთა მიძღვნა, მერმე ძღვენთა მიღება, მცირე სუფრა, რაინდთა ასპარეზობა და სამ დღეს ლხინი შადრევანთან.

მალე გადასწყდა არ გაეყიდნათ სადედოფლო მამულში მოყვანილი აბრეშუმი, სანამ დიდი ქვეყნების ვაჭარნი არ ჩამოვიდოდნენ.

ნაკლები ხალისით დააკმაყოფილეს მაშა ესტატეს შუამდგომლობა „მაღალ კართან" აიგოს ტაძარი.

შადიმანმა მოახსენა ციციშვილის თხოვნა, რომ ყურყუტის ფონზე გაეგზავნათ გორელთა მეორე რაზმეული, გიორგი მეფე უეცრად გაფიცხდა:

— გლეხებსა და ამქრებს თავადთა საქმის კეთების ნება მისცა, მდივან-ბეგები გახადა, ახლა კიდევ მოლაშქრეებთაგან სამხედრო საბჭო სურს შეჰქმნას?

შადიმანის ჯაშუშთ განუწყვეტლივად მოჰქონდათ მეფესთან ამბავი სააკაძის თვითნებური მოქმედებისა ყურყუტის ფონზე.

სააკაძემ მართლაც ისარგებლა იმ გარემოებით, რომ იქ მრავალმა სათავადო გლეხმა და ამქარმა მოიყარა თავი და, ბორჩალოელთა ალაგმვის საბაბით, სახალხო სასამართლო შეჰქმნა.

გიორგიმ იცოდა, რომ ეს გაბედული საქციელი იყო, მაგრამ როდისმე ხომ უნდა დაეწყო. მან დაარწმუნა ციციშვილი, რომ ბორჩალოელთათვის მხოლოდ ამრიგად ანგარიშის გასწორება არ'გაამწვავებს' ურთიერთობას' ალი-ბაინდურთან, რომელიც შაჰ აბაზის მიერ ალჩა-ყალის მმართველად იყო დანიშნული. მაგრამ ფარულად კი სააკაძეს სულ სხვა რამ განზრახვა ჰქონდა: გლეხები შინ დაბრუნდებიან და ხალხთან აზნაურების დამოკიდებულებაზე ლაპარაკით გამოაფხიზლებენ მიძინებულ აზრს, ამქრები ამ ამბავს მთელ მაიდანს მოჰფენენ, აზნაურები კი ძალაუფლების გემოს გაიგებენო. ფეოდალებისათვის პირველი დაკვრა სააკაძემ სწორედ ივარაუდა.

გარნა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რათა ბოლო მოეღებოდა ერანის აგრესიულ მოქმედებას, საქართველოს აღმოსავლეთ კუთხეებს რომ ემუქრებოდა და სააკაძემაც ბრძნულ პოლიტიკას მიჰმართა. უხვი ძღვნის მირთმევით დაარწმუნა ალი-ბაინდურ-ხანი გულდამშვიდებით მოპყრობოდა ქართლელთა მიერ ბორჩალუს წინააღმდეგ ნახმარ ღონისძიებათ.

ამგვარი მოქმედებით სააკაძემ სულ მალე ააგო ახალ ალჩა-ყალის სიმაგრენი და განამტკიცა ქართლის საზღვარი, მაგრამ წვრილმან ვნებათაგან შეპყრობილი გიორგი X ყოველივე ამაში მხოლოდ სააკაძის თვითხელმწიფებას ხედავდა.

და ბარტომს უბრძანა, თინათინის წერილი წაიკითხეო.

დედოფალმა ცხვირსახოცი ამოიღო...

,,...ჩემი დიდი მეუღლე შაჰ აბაზი ძალიან კარგად მეპყრობა, მაგრამ მაინც მოწყენილი ვარ, რადგან ვერ ვხედავ ჩემს საყვარელ მეგობარს ნესტანს. ძალიანა გთხოვთ, გამოუშვათ ჩემთან სტუმრად"...

გაკვირვებულმა ლუარსაბმა დამსწრეთ გადაჰხედა.

— უცნაურია, წერილი მეც მივიღე და... ნესტანის შესახებ... „ჩემო ნაზო ძმაო, ნესტანს მოუარე, როცა ობოლი ქალის ხვედრზე ვფიქრობ, გული მტკივა. დეე შენთან აღიზარდოს და საყვარელ კაცს მისთხოვდეს".

— შვილო, ყველას ერთნაირად ხომ ვერ მისწერს. მეფემ უკვე გადასწყვიტა, უარით არ აწყენინოს თინათინს. მარტოდ მარტო, უნათესაოდ ცხოვრობს.

— ბარტომ, მიჩვენე წერილი. ვიცი თინათინი ასე ვერ მოსწერდა... სტუმრადაო? მერმე ვის უნახავს სპარსული ჰარაჩხანიდან დაბრუნებული ლამაზი ქალი?

— გამოდის, ძვირფასო ლუარსაბ, შენ გატყუებენ. განა ნესტანი შენი საკუთრებაა? – დაცინვით ჰკითხა გიორგი მეფემ.

— მამავ, ნესტანი დაჩაგრულია შენ მიერ, არა გამეგება რა უსამართლო სიმკაცრისა. განა თავადის ასული უპატიურად ვეპყრობა ან ავს გინატრის? მე თინათინს აღვუთქვი ნესტანს დასავით მოვუვლი-მეთქი.

— ნება მიბოძე მოგახსენო, ბატონიშვილო, რომ შენი ასაკი არ შეეფერება მფარველის მდგომარეობას. სასახლეში ამბობენ მტრის ქალმა მემკვიდრე მოხიბლაო. ვთქვათ, სიცრუეა, მაგრამ ნესტანი დროებით უნდა მოშორდეს სამშობლოს.

— შადიმან, ამ საქმეში შენ მუდამ ჩემი წინააღმდეგი ხარ. ბროლს ვერავინ მოხიბლავს, მე მხოლოდ ვეხუმრები ყველას... თუ ეს ცუდია, დედოფალი რად მაძლევს ნებას?

— დედოფალი? დიაღ, დიაღ, თვისი სისუსტით ბევრი რამის ნებას იძლევა, ნესტანი კი...

— ერანს არ წავა...

— გონს მოდი, ჩემო დიდებულო მოწაფეე, მეფეს ელაპარაკები! შეხე, ნესტანი ჯერ არ გაზრდილა და მეტეხში უკვე შფოთსა სთესს. დიაღ, გადათქმა ახლა უკვე გვიანღაა, მეფემ ასე ინება და ეაპარნი ისპაჰანს მიიყვანენ ნესტანს.

სსს... შშშ... უჰ, ფუ... სსს...

ყველამ გაკვირვებით მიიხედა.

კართან მდგომ დათოს სახელო გადაეწია და მარცხენა ხელზე გულმოდგინედ იწმენდდა სამაჯურს. აზნაური გაკვირვებულთა ცქერას ვერ ამჩნევდა, ხელს ატრიალებდა, იკმუხნებოდა, ცხვირსახოცს ჰფერთხავდა, გამალებული უბერავდა სულსა და ძვირფასი თვლების მოკედილობას აკვირდებოდა.

დედოფალს გული წაუვიდა, კრიალოსანი ხელთ გაუვარდა.

გაოცებულმა გიორგი მეფემ თვალი დათოს მიასო... სად უნახავს ეს სამაჯური? დიაღ, დიაღ, ჩემი ნაჩუქარია... მარიამისთვის... მარიამ... ასე რად ჩაშავდა ერთბაშად? როგორ ჩაუვარდა სამაჯური ხელში ნოსტელ აზნაურს? ნუთუ მარიამისაგან მიიღო?

ციხის უფროსი პირველი მოვიდა გონს.

— აზნაურო, ალბათ, შეშლილხარ, რომ მეფესთან ცხენივით იურ-ვები.

— ვინ მოგცა ეს სამაჯური?—თავდავიწყებით შეჰყვირა გიორ-გი მეფემ.

ციხის უფროსმა სასწრაფოდ გაიხსენა, რომ სამაჯური დედოფალ-მა აჩუქა თრიალეთის გამარჯვების მახარობელ აზნაურს.

— დიაღ, დიდებულო მეფეე, პირველად იგი დედოფლისაგან მივიღე, მეორედ კი... სამაჯური თილისმა აღმოჩნდა...

— თავხედო აზნაურო, პირდაპირ სთქვი: თორემ ჯურღმულში დალპები.

— დიდებულო მეფეე, მე უკვე ვთქვი: სამაჯური თილისმაა და... შეუძლია უვნებლად გაიყვანოს კაცი ჯურღმულიდან. მეტეხის ჯურღ-მულიდანაც კი.

გიორგი მეფე აკანკალდა, ნიშნის მოგებით გადაჰხედა ცოცხალ-მკვდარ მარიამს, გაფითრებულ ბაკას. ჩამოათვალიერა გაკვირვებული დარბაზი და თვალი ლუარსაბზე შეაჩერა.

— აზნაურო, სთქვი, ყველაფერი სთქვი, თავადი გახდები, არ იტყვი და შანთი გათქმევინებს!

შადიმანმა რაღაც წასჩურჩულა ქეშიკსა და ესეც გველივით გას-რიალდა. შემდეგ ჩურჩულითვე მოაგონა მეფეს ლუარსაბის იქ ყოფნა...

— აზნაურმა, ალბათ, ცუდი რამ იცის დედოფალზე, სულ მთლად მიმკვდარებულია...

ლუარსაბმა რომ მბრძანება მოისმინა, მხრები აიჩეჩა და სწრაფად გავიდა. გაოგნებულმა მარიამმა დამსწრენი ჩამოათვალიერა... შადი-მანმა გამცაო... და ყრუდ დაიკვნესა:

— ბაკა, ბაკა...

ხერხეულიძემ მძიმედ დაადო მხარზე ხელი დათოს:

— აზნაურო, შენ უპატიურად მოიქეცი მეფის წინაშე... გუშაგო, კოშკში ჩაჰკეტეთ უგუნური და არავინ მიაკაროთ...

— ჩემს გარდა, ვინ ჰბედავს ბრძანების გაცემას?—დაიქუხა გიორ-გი მეფემ.

გახსნილი კედლებიდან, გაცოცხლებული ფრესკოებიდან, ნიშებიდან ელვისებური სისწრაფით გამოცვივდნენ ხმალამოღებული, ახოვანი ქეშიკები და დარბაზში რკალად ჩამწკრივდნენ.

— დიდებულო მეფეე, სპარსეთის ელჩები ორ საათზე მეტია გელოდებიან, ძალიან ეჩქარებათ, გთხოვენ, მიგვიღოსო, — ქეშიკთა რკალში, შეიჭრა შადიმანის ქეშიკი.

— თუნდ ორ წელიწადს იცადონ... სთქვი, აზნაურო...

— მეფეე, ელჩები უნდა გაეუშვათ, შაჰ აბაზს შეუძლია შეურაცყოფად მიიღოს, აზნაურს ჯერჯერობით კოშკში დავამწყვდევ...

— მეფეთ-მეფეე, უკეთუ თავადი ხერხეულიძე მეთვალყურეობს, აზნაური ვერსად გაიქცევა... სპარსეთის ელჩთა დაყოვნება საშიშარია...

შადიმანი მთლად მეფისკენ დაიხარა:

— ხვალ წარჩინებულ მოწმეებთან დაკითხავთ... დედოფალი მონასტერში უნდა წავიდეს... ცნობები მაქვს: რუსუდანს მან აუკრძალა მეტეხში მოსვლა, საჯაროდ დაამცირა შენდამი ყურადღებისათვის... თავადის ასული დიდხანს ავადმყოფობდა, ახლა გადასწყვიტა, შენს გამოსაჯავრებლად საკაძეს გაჰყვეს, თუმცა ყოველთვის ამბობდა: გიორგი მეფისთვის სიცოცხლესაც კი არ დავიშურებო. ხვალ დიდებულთა თანდასწრებით გამოვარკვევთ დედოფლის საქციელს, დეე ნუგზარმა თავის ასულს უამბოს.

— შადიმან, პირველ დიდებულს გაგხდი... დიაღ, დიაღ, ადრევე უნდა მოგთათბირებოდი. ბააკა, კარგად ჩაჰკეტე აზნაური, ხვალ დავკითხავთ... დედოფალი სამლოცველოში გაიყვანე... მცველი მიუყენე...

დათო შემოსულ ბააკას შეეგება, მაგრამ მან გულცივად იბრუნა პირი:

— შენ დაპატიმრებული ხარ, აზნაურო, და... ცუდადაც ხარ დაპატიმრებული... რატომ არ მომეთათბირე?..

დათო გონს მოვიდა, ნაცნობი სადგომი ჩამოათვალიერა.

— შენ დაპატიმრებული ხარ, აზნაურო, და... ცუდადაც ხარ დაპატიმრებული, — ნაღვლიანად გაიმეორა ბააკამ.

დათომ მხრები აიჩეჩა და მეტეხის მცველთა უფროსს გადასცა თავისი იარაღი. მერმე შეეკითხა: იცი, თუ არა, რომ მეფემ ნება დართო აზნაურებს ჩამოართვან მამული, მოჭკლან აზნაურთა მბედართმთავარი და რომ აზნაურმა დათომ გადასწყვიტა დაასწროს შადიმანის განზრახვას და მოსპოს გველი თავადი, აგრეთვე „მბედართმთავარიო“. საიდან გავიგე? მეტეხის მცველთა უფროსი თათბირს ესწრებოდაო...

ბააკამ უნებური ღიმილი დამალა, პირი იბრუნა და ნაღვლიანად დაჰკიდა თავი: მე ყოველთვის პატიოსნად ვასრულებდი მოვალეობას, მაგრამ ამის უმძიმეს მდგომარეობაში არასოდეს არ ვყოფილვარ. ძალიან დაგიახლოვდი, საკუთარი ვაჟიც კი შენზე უფრო არ მეყვარებოდა, მაგრამ მარიამი სიკვდილამდე დედოფალად დარჩებაო.

დათოს გაუკვირდა: მე არ მსურდა დედოფლის გაცემა, ჯურღმულს შადიმანისათვის ვამზადებდი, თავისუფლება და ორბელიანის სიკვდილი მხოლოდ ამ უკანასკნელს ესაჭიროებოდა. სამაჯური სიხარულით დედოფალმა მაჩუქა, შადიმანმა კი ცბიერებით მომტაცა... ასეთი ძლიერი მცველი რად დაგიყენებია? განა მე შემიძლია სადმე გავიქცეო?

— ბევრი რამ არ გესმის, ჩემო კარგო... ცუდი სამსახური გინდა გაუწიო საკაძეს...

— ვიცი, ხორეშანმა მიამბო. გგონია, რუსუდანი უღალატებს? საკაძეს ვერ იცნობ: ვის სულსაც დაეუფლება, მთელ სიცოცხლეში მისი იქნება... გთხოვ, გაუშვი მცველები, უხერხულია ხალხის შეწუხება...

— დათო, ჩემ სიცოცხლეში პირველად არის, რომ საჭირო სიტყვა ვერ მითქვამს. იცოდე, დღეს ბედისწერამ მახვილი იშიშვლა. აქ შენს სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის. მეფის სადგომსაც ფარული მცველები მიეუჩინე. ვნახოთ, ვისი ბედისწერაა... ხოლო თუ მშვიდობიანი დილა გაგითენდა, მეფეს უკვე ვეღარაფერს უამბობ. მოვალეობას ყოველთვის ვასრულებ, რაგინდ მძიმე მდგომარეობაშიც უნდა ვიყო... დილით ჯალათი ენას ამოგაცლის.

დათოს სიკვდილის ფერი დაედო. გაახსენდა ახოვანი კიაზო, დამანჭულ ბაგეთა გაუგებარი ბლუკუნი და მის ხუჭუჭ თმაში გაჩრილი ხიწვი. მძიმედ მდუმარებდნენ. დათო კედლისკენ მიბრუნდა, ხორასნული სატევარი შეიხსნა, სახელოში დამალა და მოღუშული ბაკას წინ გაჩერდა.

— კეთილო მეგობარო, გმადლობ გაფრთხილებისათვის, მაგრამ იქნებ ღამემ მშვიდობიანად არ ჩაიაროს... ხოლო თუ... მძიმე მოვალეობას აგაცდენ... დათო თვითონ განიგმირავს გულს, შერცხვენის ნებას არავის მისცემს... ამისრულე უკანასკნელი სათხოვარი, შადიმანთთან შემიშვი, სალაპარაკო მაქვს...

— რაო?! ძვირფასო დათო, ასე კიდევ იმედი მაქვს, შადიმანიდან კი მკვდარს გამოგიტანენ, ასეთ შემთხვევას თავადი არ გაუშვებს.

— ცდები, ბაკა, შადიმანი მეტად ჭკუიანია. მეგობრის გადარჩენა თუ გინდა, თავადის სადგომში დამაძინე.

— შადიმანი რად გინდა?

— უკეთუ დილით ხორეშანი დავკარგე, მინდა აზნაურთა კავშირს სამსახური გავუწიო. მხოლოდ მარტო, უმცველოდ წავალ.

ასე დამშვიდებული მარტო დარჩენილიც კი არ ყოფილა შადიმანი. შუბლი დანაოჭებოდა, წარბთა გასაყარზე ღრმა ღარი გავლებოდა, ჩქარა სიარულის გამო მოელილი წვერი უცანცარებდა.

შადიმანმა თვალი დახუჭა და კვლავ გაახილა—სიზმარში ხომ არა ვარო? ან იქნებ მწვავე ფიქრებმა ოცნება გამიხელესო? მაგრამ არა, მის წინაშე ცოცხალი უგუნური იდგა.

დათომ დინჯად ჰკითხა, ხომ არაფინ გვისმენსო.

შადიმანმა გადაიხარხარა.

— ილაპარაკე, აზნაურო, დღეს რაღაც კარგად გამოგიდის, ხოლო უკეთუ ვინმე გვისმენს, გველმა თავადმა იცის პირის ახვევა...

— ეს შენც კარგად გამოგიდის, აფხაზეთში მინახავს...

— და გგონია, რომ მეტის არაფრის დანახვა არ მოგიხდება?

— თუ მგონია, ეს გველი თავადის დაუხმარებლად იქნება,— გულუბრყვილოდ მიუგო დათომ,—ბააკა არ მიშვებდა, მე დავაჯერე: შენთან უფრო უვნებელი ვიქნები, ვიდრე ბააკას მიერ დაყენებულ მცველებთან.

შადიმანი თვალს არ აშორებდა დათოს: საიდან აქვს ამდენი ჭკუა? დიაღ, საქმე ცუდათაა, უკეთუ აზნაურები ბევრ ფიქრს დაიწყებენო.

— უწინარეს, მინდა გაგაფრთხილო, აზნაურთა მამულებზე ნუ სწუხარ, სულერთია, თავადებს არ დავანებებთ, ხოლო თუ ეცდებით, საქმე ცუდად წაგივათ, თავადებზე უარესად როდი ვიცით ჩვენი მამულის დაცვა.

— უკეთუ ასეთი ძლიერნი ხართ, სალაპარაკოდ რაღად მოსულხარ?

— ლაპარაკი აუცილებელია... მელებივით რად უნდა ვიორკვალოთ, უმჯობესია ერთბაშად გამოვაჩინოთ ვეფხის კბილი. მაშ, ასე, თავადო, დიდებულთ აუკრძალავ ამ წლის დამლევამდე აზნაურებისათვის მეფის წინაშე თავს ნუ შეიწუხებენ. ვადა დიდი არ არის, შეიძლება მოითმინოთ, ეს წელიწადი კი ჩვენთვის საჭიროა: გავმაგრდებით და მაშინ ვილაპარაკოთ.

— ერთ რამეს ვფიქრობ: სულელი ხარ, თუ მე გგონივარ სულელი?—გაოცდა შადიმანი.

— მაგას რომ ეფიქრობდე, აშკარად არ ვიტყოდი; ხოლო თვით რომ სულელი ვიყო, ასეთ რამეს ვერ მოვიგონებდი... ამიტომაც უნდა მოვრიგდეთ... ვიცი შენი ზრახვანი! ჩემიც გაიგე... უკეთუ დღეს მომკლავენ, ხვალ მეფეს ყველაფერი ეცოდინება. ორბელიანმა დასტოვა გზის დაწვრილებითი აღწერილობა დედოფლის სამლოცველოდან აფხაზეთამდე... როგორ გგონია, ორბელიანმა უმწეოდ დასტოვა თვისი საყვარელი ქალი? ეს ამბავი კიდევ თერმეტმა აზნაურმა იცის. მე მომკლავ და მეფე შეიტყობს, სხვებსაც მოკლავ და საიმედო კაცთან წერილი გვაქვს შენახული. რასაკვირველია, შეიძლება მეფეც მოკვდეს, მაგრამ... ლუარსაბისათვისაც ბევრი რამ სასიამოვნო არ იქნება... ასე, შადიმან, ერთ წელიწადს აზნაურებისათვის ნუ შესწუხ

დები: ნესტანი, გახსოვდეს, გათხოვებამდე მეტეხში ცოცხალი დარჩება და არა მკვდარი... დანარჩენი კი შენი საქმეა, არცერთი მეფისათვის და არცერთი თავადისთვის ხალხს მაინც და მაინც დიდად არ უმწუხრნია.

— აზნაურო, გესმის, რასაც ამბობ?

— თავადო, შენ ჰფიქრობ, მე კი ვლაპარაკობ, მაგრამ...

დათომ ჭადრაკის დაფაზე შავი მხედარი გადასვა.

— ჩემს ცხენსაც კი არაფერი ეცოდინება ჩვენი საუბრისა.

— თავადი რომ გაგხადო, დიდი მამულიც მიიღო, მოგვემხრობი?

— არა, არ მინდა ასმეერთე საზრუნავი გაგიჩინო.

— მაშასადამე, ჩვენ შორის ომია?

— ერთი წლის შემდეგ, თავადო... წავალ, ბააკა მელოდება... ამალამ ერთი-სამად გაძლიერებული მცველი უნდა მიუჩინოს მეფეს... გისურვებ წარმატებით დაამთავრო „ასი საზრუვანის“ თამაში.

შადიმანი დიდ ხანს გაშტერებულივით იდგა, ვერ დაეძლია გაოცება და უნებური აღფრთოვანება.

მალე ციხის მცველთა უფროსთან გაეშურა, სადაც დიდებულნი მეფის დღეობის გამო გასამართავ რაინდთა ასპარეზობაზე თათბირობდნენ, მაგრამ ფიქრი მისი წიგნთსაცავისკენ ილტვოდა, სადაც შადიმანი ოდესმე გამალებით სწავლობდა სპარსულ ხელთნაწერებს.

შუაღამისას „ცამეტ სირიელ მამათა უდაბნოს“ მეთოთხმეტე აჩრდილი შეკმატა.

დილით გიორგი X მკვდარი ნახეს თავის საწოლზე. ჩალურჯებულ ბაგეზე სისხლიანი დუჟი შესდედებოდა...

თავი ოცდამეცამეტე

ჰგუგუნებდნენ ზარები. მეფის ლაშქარი მტკიცედ ჩამწკრივებულიყო ერანის და თურქეთის საზღვრიდან მეტეხის ციხის გალავნამდე.

ბაგრატისა და ამირინდოს კოშკებს საკაძეს აზნაურთა რაზმები შემოარტყა.

შადიმანმა არა თუ აასრულა დაპირება—ერთ წელიწადს არ ვდევნო აზნაურნიო, არამედ გიორგი X დაკრძალვისა და ლუარსაბ II გვირგვინის კურთხევის განმავლობაში საკაძეს მიანდო საშიში გზების დაცვა, რაკი დარწმუნებული იყო, რომ ეს საუკეთესო საშუალება იქნებოდა იმ შემთხვევისათვის, თუ დიდებულნი გადატრიალების მოხდენას განიზრახავდნენ.

ჰგუგუნებდნენ ზარები. განუწყვეტელი რეკა სხვადასხვანაირი ხმით ქვითინს ეზავებოდა. შავ კუბოს თავს დასტიროდა შავად ჩაცმული, თმაგაშლილი ასორმოცი მოტირალი ქალი.

შავი ხავერდით გამოწყობილი, თმაგაშლილი, სასთუმალთან ამაყად იდგა მარიამი. დარბაისლურად ჩამწკრივებულიყვნენ დიდებულნი. ჩურჩულებდნენ დიუფალნი.

— ცხირეთული უსვამს ქარბად. გული მოუწყვეტია.

— ცუდი ამბავი გაუგია...

ჩურჩულებდნენ ლურჯს ლაქებზე, რაც ინდური საწამლავის ნიშანი იყო; ჩურჩულებდნენ ბევრ რამეზე და იქით-აქეთ იხედებოდნენ.

კვნესა მთელ ქართლს მოსდებოდა. გიორგი X ბევრ მეფეს ვერა სჯობდა, მაგრამ ხალხი მიჩვეული იყო და ეშინოდა უცნობი ცვლილებისა.

ჰგუგუნებდნენ ზარები და გიორგი X საუკეთესო ქვეყანაში ისტუმრებდნენ. ჰგუგუნებდნენ ზარები და მხიარულად ეგებებოდნენ ლუარსაბ II, რომელიც ჯარის მფარველობით მშვიდობით ავიდა ბაგრატოვანთა ტახტზე.

მარიამმა ერთბაშად დაივიწყა ბააკას ფასდაუდებელი ამაგი და გიორგი მეფის დაკრძალვის მეორე დღესვე უსაყვედურა გაუფრთხილებლობა, და აღშფოთებით განდევნა მეტეხიდან თავხედი მდაბიო დათო. არანაკლები სიმკაცრით სურდა მოპყრობოდა სააკაძესაც, მაგრამ შადიმანისთვის სრულიად მოულოდნელად, ლუარსაბის ჯიუტობას შეხვდა. დიდებულთა საჩივარმაც ვერა უშველა რა. რაკი ბააკას ფრთხილი რჩევა ახსოვდა, ახალგაზრდა მეფემ ის იკმარა, რომ სააკაძეს მოსთხოვა, შესწყვიტე გაქცეულ გლეხთა შევრდომება და თავადებთან უთანასწორო ბრძოლაში ნუ ებძვებიო.

— მაგრამ, დიდებულო მეფეე,—თავს იმართლებდა სააკაძე,— განა მე ვიწვევ? დეე დიდებულთ გამონახონ საშუალება მათი შეკავებისა... რატომ სახასონი არ გარბიან?

სააკაძეს არ გაუმხელია, რომ აზნაურთა კავშირმა დაადგინა— არას გზით არ მიეღოთ სახასონი.

— გიორგი, განსვენებული მამა ჩემი მეტად აფასებდა უკანასკნელი ომის გმირს. მეც მსურს კარგი განწყობილება მქონდეს შენთან, მაგრან ბაგრატოვანთა ტახტის ერთგულ თავადისადმი განუწყვეტელ მტრობას შეუძლია დიდებულთაც კი ავნოს. ეცადე, როგორმე შეურიგდე შადიმანს... ქალს როდის ირთავ?

— მალე მინდოდა, რუსუდანიც უარს არ არის, გარნა ქალბატონი ნატო ელოდება, სანამ თავადი გავხდებოდე... განსვენებული მეფე გიორგი დიდი ხანია მპირდებოდა...

ლუარსაბმა დაირცხვინა: უკვე ვაბობდი, მაგრამ შადიმანი და დედოფალი მაჯერებდნენ, ახლა დრო არ არის სააკაძისადი მტრულად განწყობილ დიდებულთა უსიამოვნება გამოვიწვიოთო. დედოფალმა ლვარძლიანად დაურთო: „რუსუდანი სულ თვრამეტის წლისაა, ცოტა კიდევ მოიცადოს“.

ლუარსაბი ბუნდოვანად ხვდებოდა რუსუდანისადმი სიძულვილის მიზეზსა და ერიდებოდა ამ საჩოთირო საკითხზე ლაპარაკს.

— არის მიზეზი, გიორგი, თუ რატომ არ შემიძლია ამჟამად შევასრულო მამის დანაპირები, მაგრამ გაძლევ სიტყვას პირველი შემთხვევისთანავე...

სააკაძე მიხვდა, სჯობს დროებით მოვშორდე ტფილისსაო. შადიმანის გულცივობა, დედოფლის ამ'ყარა უგულვებელყოფა, ლუარსაბის გულგრილობა კაის არას მოასწავებდა. მეფესა სთხოვა, ნოსტეს გამიშვი, მამულს მივხედოო, ნებართვა მიიღო და ტფილისიდან წავიდა.

მწვანეში ჩაფლულ სოფელს ამაყად დაჰყურებდა ქვითკირის მაღალი გალავნით შემოზღუდული ციხე-დარბაზი აზნაურ სააკაძისა. ბაზრის მოედანზე გამართული იყო ახალი ასპარეზი. ციხის გარშემო აღმართულიყვნენ, მშვენიერ აივნიანი, ორსართულიანი სახლები. საზოგადო ფარდულებში, შალსართავ, საფეიქრო სახელოსნოებში მხიარული ხმები გაისმოდა. აქ ყველას ეძლეოდა საშუალება გაეფართოებინა თავისი შემოსავალი, აქ უკვე აღარავის ეშინოდა თავდასხმა-თარეშისა.

თვით ნოსტესაც გარს ერტყა მაღალი ქვითკირის კედელი საგუშაგო კოშკებითურთ. მამულის გაფართოება რაზმთა რიცხვის გადიდებას მოითხოვდა, მაგრამ მეტეხის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ გამოქცეულ გლეხებს ფარულად იღებდნენ და ისიც თავადთა შორეულ სამფლობელოებიდან, ხოლო სახასოებს არაფითარ შემთხვევაში კარს არ უღებდნენ.

ხალხის მოზღვავებამ აიძულა სააკაძე ნოსტეს გალავნის გარეთ გაეშენებინა ახალ-დაბა. სამფლობელოს გაფართოება არ გამოჰპარვია დიდებულთა ყურადღებისა ფხიზელ თვალს და მეტეხში კვლავ გახშირდა საჩივარი. გარნა შადიმანს ახსოვდა ორბელიანის წერილი და არ ჩქარობდა აზნაურებისთვის ანგარიშის გასწორებას. სააკაძეც ისწრაფოდა გამოეყენებია ეს ერთი წელიწადი. ყოველნაირად იყენებდა შაჰ აბაზისეულ ოქროს, აგერებდა, აღუთქვამდა და ამგვარად იმხრობდა მცირემამულიან აზნაურობას. აზნაურები რომ ერთმანეთს ეცნობოდნენ და უახლოვდებოდნენ, სულ უფრო განიცდიდნენ მძლავრი წინამძღოლის გავლენას.

მყუდრო ნაშუადღევი იყო. ნოსტე ოდნავ შეყვითლებულ მცენარეულობაში ჩაფლულიყო. შორეულ ყანებში მთავრდებოდა საშემოდგომო სამუშაური. შუკებში ერთხმოვანად ჭრიალებდნენ სურნელოვანი თივით დატვირთული ურმები.

ღობეებზე გადმოხრილიყვნენ მწიფე ხილით დახუნძლული ტოტები. წითელ, ღია-ყვითელი ვაშლს, მსხალსა და კომშს მცხუნარე მზისთვის

საკოცნელად მიეშვირათ დრეკადი ლოყები. ჩრდილში იდგა ენაბით, ატმითა და ქლიავით სავსე კალათები. მათს გარშემო დაფუსფუსებდნენ ცბიერულად თვალმოჭრუტული გოქები, თავიანთს ბლაგე დრუნჩს კალათებში სჩრიდნენ და დავარდნილ ხილისთვის ერთმანეთს ეჭიდებოდნენ. ვენახებში ყვითლად და შავად ჰღუოდა მწიფე ყურძენი. ჰაერი გაჟღენთილი იყო ქართული მიწაწყლის ტკბილი სურნელებით.

მიწყნარებულ ქუჩაში ნელა მიდიოდა გიორგი. საკინძე გაეხსნა და მთელი მკერდით ისუნთქავდა ბაღთა არომატს.

ტფილისში, პოლიტიკური ორომტრიალით გატაცებულს, თითქოს სრულიად დავიწყნოდა ნოსტე და მისი ყოველდღიური ფუსფუსი, მაგრამ საკმაო იყო ფეხი შეედგა მშობლიურ სოფელში, რომ ახალი ძალით ეგრძნო განუყოელი კავშირი ამ მარად ახალგაზრდა, მარად უტკნობ სანუკვარ კუთხესთან.

გზაჯვარედინზე შესდგა და ღიმილით აჰხედა ნაცნობ კაკლის ხეს, დაიხარა, ქვა აიღო და ბავშვური სიანცით ესროლა; კენწეროდან ზრიალით წამოვიდა ნაჭიანი კაკალი. ყველაზე დიდი აირჩია, გასტეხა და სიამით შესჭამა, ჯერ კიდევ თეთრი ნიგოზი. ნაჭით გასვრილი ხელი ხუჭუჭ თმაზე შეიწმინდა, და შალსართავ სახელოსნოსაკენ გაუხვია.

ერთბაშად შესწყდა მყუდროება. ზუზუნებდნენ ხის ჩარხები. ისმოდა ქალთა ხმამაღალი ლაპარაკი და მხიარული სიცილი. გიორგიმაც რაღაცას გაუცინა და ნათელ ბეღელში შევიდა.

გიორგის ერასტის მამა შეეგება:

— აი, ბატონო, წელს ხუთ ჯარას ერთი ბორბლით ვაბრუნებთ, გაისად მგონი, ათიც ავაბრუნოთ. არცერთი ქალი ჯარას ფეხით აღარ აბრუნებს. ნახე, როგორ მოვაწყე.

გიორგიმ დაათვალიერა ხის ჩარხები; მოხუცთან ერთად შეიარა მეორე სადგომში, სადაც ბრმა ცხენები ატრიალებდნენ დიდ ბორბალს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა ხის ხუთი შალსართავი ჩარხი.

მოხუცმა ღრმააზროვანი თვალი მიაპყრო გიორგის:

— შენი წყალობით, ბატონო, ტფილისის მაიდანზე ვიყავი, ვნახე სპარსული ქარვასლა, კარგად ისვენებენ სპარსელები აივანზე, სულ მუდამ სუფთა ჰაერს სუნთქავენ. ყველაფერი კარგად დავათვალიერე, ახლა ვფიქრობ; ძალიან დახუთული ჰაერია იმ ფარდულში, სადაც მატყლსა სჩეჩავენ. ცუდი ჰაერით დიდძალი ხალხი ხდება ავად. შენი ნებართვით, ბატონო, მეც მინდა იმისთანა საქმე გავაკეთო. დეე ხალხი სუფთა ჰაერსა სუნთქავდეს.

გიორგი მოხუცის შთაგონებულ სახეს დააკვირდა და გაიფიქრა: „რა ნიჭია ხალხში დამალული და რამდენი მესეფე დაიღუპა, ალ-

ბათ, მონობის უღელში". მოხუცს ალერსით დაუცაცუნა მხარზე ხელი:

— გააკეთე ყოველივე, რასაც კი მოიფიქრებ. ამ ბორბლისთვის კი შენა და მთელი შენი ოჯახი მსახურებში გადამიყვანია.

ესა სთქვა და საჩქაროდ გარეთ გავიდა, რადგან სურდა მორიდებოდა განცვიფრებული მოხუცის მადლობას.

კვირა დილას ნოსტელები საეკლესიო მოედანზე შეიკრიბნენ, რომლის შუაგულს გამართული იყო დიდი ფარდული. მაღალ სკამზე ამაყად წამომჯდარიყო დიმიტრის პაპა. მის წინ მწყობრად ელაგა: ატლასის, ხავერდის, აბრეშუმის, და ფარჩის თოფები, ბაღდადური ტარსიკონი. არანაკლებ სიამაყეს ჰგრძნობდა ერასტიც, რომელიც პაპას ხელს უწყობდა მეტად რთულ საქმეში: ნოსტელ ქალიშვილთა შორის სამართლიანად უნდა გაენაწილებინათ სამზითოდ ანანურის ახლოს ამოხოცილ ბაღდადელ ვაჭართა დიდძალი ძვირფასი საქონელი.

პაპუნა, რომელიც ყველა ნოსტელ ქალიშვილს „ხვლიკთა" ასაკიდანვე იცნობდა, ამ საინტერესო სანახაობაზე შეკრებილ ყველა „ვეფხთა" საერთო მოწონებით, ხმამაღლა დაუძახებდა ხოლმე პაპას, თუ რომელ ქალიშვილს რა ფერის ქსოვილი დაშვენდება, ან რამდენი დასჭირდება, მოსართავადო.

პაპა თვალსა ჭუტავდა, ვაჭრობდა, მერმე სასძლოს დედას მიიხმობდა და გახარებულ ქალს აბარებდა ძვირფას ქსოვილთა ფარდებს.

პაპუნა თვალს უშვრებოდა ახარხარებულ „ვეფხებსა" და დინჯად არწმუნებდა გაჯავრებულ პაპას, რომ ზოგიერთ ქალიშვილს ორი ალაბი მთლად შემოსავს, ზოგს კი ათი ალაბიც მარტო ზურგს. ვერ დაუფარავსო.

დაუთბეგის დედამ, რომელიც გიორგის სტუმრად ეწვია და ყველა ნოსტელი მეგობარი მირანდასა და როსტომის ქორწილზე მიიპატიჟა, გიორგის სახელო მოსწია და გარეთ გაიხმო.

— მინდა მოგელაპარაკო,— უთხრა მან და ეკლესიის გალავანთან მიდგმულ სკამლოგინზე ჩამოჯდა.—უბედურ კიაზოს ოჯახზე მინდა გელაპარაკო. მოხუცი მერაბი დარდით მოკვდა, კიაზო სრულიად გადაიკარგა. მაშინ რომ მოხელე მოჰკლა, მას უკან აღარსად გამოჩენილა. საყანე მიწები სარეველამ გადავლო, ბოქაული კი არ იბარებდა, სანამ მერაბი არ გარდაიცვალა... ყველანი ერიდებოდნენ, ხოლო როცა მერაბს მარხავდნენ, უეცრად მოაპენა ჯავშანში ჩამჯდარმა ვიღაც ხევსურმა. დიდ ხანს იდგა და უცქერდა, როგორ სცივოდა მიწა სამარეში. როცა მიიხედეს, იქ უკვე აღარავინ იყო, მხოლოდ იმ ადგილას ერთი ვერცხლის ფული ეგდო. ყველა შიშმა შეიპყრო, როგორ შეიძლებოდა ხევსური ცხენიანად ფულად ქცეული-

ყო. ხელიც არავის უხლია... მხოლოდ კიაზოს დედამ აიღო, ძალიან ლარიბია... მას შემდეგ უფრო გაუჭირდა; ორი ცხვარი ჰყავდა, ორივე ერთ ღამეს დაეკარგა... საბრალო დედაბერი ისე მოსთქვამდა, რომ მთელმა ეზოთმა ყური ბამბით დაიცო. უფროსი ქალიშვილი გაიზარდა, არავინ არ თხოულობდა, ერთმა მესეფემ შეირთო, მაგრამ ქალი ძეობას გადაჰყვა.

მას შემდეგ კიაზოს დედას შინ არავინ უშვებს, ზოგიერთი ჯოხზე წამოგებულ პურს გარედან აძლევს. უმცროსი ქალიშვილი კი, ჩემო გიორგი, უკვე დიდი გაიზარდა, ძალიან ლამაზია, დარეჯანი ჰქვია, გარეთ სულ არ გამოდის, ეშინია. აი, გიორგი, ერთმა თავადმა გააფურთხა და მთელი ოჯახი კი დაიღუპა, მერმე რა მდიდარნი, რა ამაყნი იყვნენ!..—ქალმა ოდნავ იყუჩა, გიორგის თვალი ალმაცერად შეავლო და კიდევ უფრო წყნარად დაურთო: – იქნებ მოუხერხო რამ, გიორგი?

ააკაძემ დიდი პატივისცემით შეხედა წარბშეკრულს, დარბაისელ გოგორიშვილის მეუღლეს. მიხვდა, რომ თვით არც ისე მდიდარი გოგორიშვილები დახმარებას უწევენ უბედურ ოჯახსო, და ხმამაღლა მიუგო:

— ორივეს ნოსტეში წამოვიყვან!..—და ერასტის გასძახა:—პაპას უთხარ, კიდევ ერთი ქალიშვილისათვის გადასდოს ორმაგი სამზითვო...

ნოსტეში დიდი ხმაურობაა. მოდიან ყველა „ვეფხნი“ თავიანთი ოჯახებითურთ. ურმები მწვანითა და ყვავილებით არის მორთული. ურმების გვერდით მოდიან მეზურნეები და, რაც ძალა და ღონე აქვთ, უკრავენ. ურმებზე მსხდომარე გამოწყობილი ქალები დაირას აგუგუნებენ. ნოხებით მორთულს ურემზე ამაყად ზის მირანდა, ორივე მხარეს „ვეფხები“ ცეკვავენ. ერასტის თაბახი დაუდგამს თავზე და ყველას ბაღდადურ ტკბილეულობას ურიგებს. პაპუნას იღლიაში ტიკპორა ამოუჩრია და ყველას ძალით ასმევს ღვინოს...

ააკაძის დაჟინებით, როსტომისა და დაუთბეგის დის მირანდას ქორწილი ნოსტეს ციხე-დარბაზში გადაიხადეს. ერთ კვირას ხმაურობდნენ „ვეფხები.“ მთელი ნოსტე ერთი კვირის განმავლობაში სვამდა, ცეკვავდა და იმღეროდა.

მხოლოდ ერთმა წუთმა ჩააშავებნელა დღესასწაული: იმ დროს, როცა დათომ და დიმიტრიმ ეკლესიის კარებში ხმლები გადააჯვარედინეს და მირანდა და როსტომი გაატარეს, უეცრად მირანდას ფეხებში დაეცა ალისფერი ბაფთით შეკრული მთის ყვავილები. მირანდამ მყის აიხედა. ეკლესიის კარების პირდაპირ იდგა ცხენზე მჯდომარე, მთლად ჯავშანში ჩამჯდარი ხევსური.

მირანდამ შეჰკივლა და, გაფითრებული, როსტომის მხარს დაეყრდნო.

პაპუნა თავის ტიკჭორიანად ხევსურისკენ გაემართა, მაგრამ მხედარმა ცხენი ფიცხლად მიაბრუნა და გააჭენა.

მირანდას დედა, შეშინებული, პირჯვარს იწერდა. დათო კი ქალების შიშს დასცინოდა და ჰკითხულობდა: რატომ არ შეიძლება, რომ რაინდმა ასეთ შემთხვევაში მშვენიერ ქართველ ქალს ყვავილები ესროლოსო...

მეგობრის ქორწილის აღსანიშნავად საკაძემ ყველა ახალგაზრდა ნოსტელი მესეფე გლეხად აქცია, ხოლო დიმიტრის პაპის მიერ ეზოთის ნაცვლისაგან ათ არშინ ხავერდად და ერთ ტიკჭორა ღვინოდ გამოსყიდული კიაზოს დედა და დაჲ დარეჯანი ვრცელ სადგომში დააბინავა, კარმიდამო მისცა და შემწედ ერთი გამოქცეული მესეფე მიუჩინა.

ქვლივიძე, რომელმაც ქორწილში ყველა დაათრო, კმაყოფილებით იგრეხდა ულვაშს, აქებდა აზნაურ საკაძის კეთილშობილებასა და გულუხვობას და ერთი მუჭა წვრილი ფული თვითონაც კი გადაუყარა ღვინით დასიებულ მეზურნეებს...

როდესაც ქორწილი გათავდა და ნოსტე ჩვეულებრივს კალაპოტში ჩადგა, საკაძემ, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, დათოს გადასცა წერილი ნუგზარისადმი და ცალკეც რუსუდანისადმი.

...„რუსუდან, მხოლოდ შენი ნების წინაშე მოვიდრეკ თავსა, ხოლო თავადი, სანამ შადიმანი ცოცხალია, ალბათ, ვერ გავხდები...“

საელჩოსათვის დიდებულობის მისანიჭებლად, დათოს თან ახლდა ათი მოლაშქრე და ორი მსახური. ზედაზნის მონასტერს რომ გასცდა, იგი დუშეთს ჩავიდა და, რადგან ცხენებს უფრთხილდებოდა, ღამე არაგვის ერისთავთა კოშკში გაათია.

განთიადისას დათომ არაგვის ხეობას მიაღწია, რომელიც მთლად ალისფერი ყაყაჩოებით იყო მოფენილი. თუმცა დათომ კარგად იცოდა ნუგზარის სიმდიდრის ამბავი, მაგრამ ანანურს რომ მიუახლოვდა, გაოცებული იყო არაგვის ერისთავის სამკვიდროს დიდებულობით. მხოლოდ ახლა მიხვდა იგი, თუ რა გამარჯვება მოიპოვა გიორგიმ ამ მფლობელის გულის მოგებით.

— ერთიც ვნახოთ, რუსუდანმა გადაიფიქრა! ახლა ნუგზარი ჩვენთვის საჭიროა, ხოლო თუ რუსუდანი ნოსტეს არ წამოვიდა, თავადები აზნაურების კავშირს აღარ მოერიდებიან. კარგია, თუ მხოლოდ მიწა-წყლისა და სახლკარის წართმევას დასჯერდნენ, მაგრამ, ვაი, თუ თავიც წავაგოთ.

შეშფოთებულმა დათომ უფრო ენერგიულად დააბრახუნა ჭიშკარს, ვიდრე სტუმარს შეეფერებოდა.

ისარივით გაიმართა რუსუდანი, როცა სტუმრის სახელი გაიგონა. ნუგზარმა ღიმილით ურჩია, ცოტა ხანს მოიცადე, სანამ აზნაური ნაგზურ ტანისამოსს გამოიცვლიდესო. მაგრამ მარტო რუსუდანი

როდი აუღელვებია ელჩის მისვლას. ნატო ლეჩაქის სათუთ ქსოვილს ჰგლეჯდა.

— თვითონ არ მოვიდა, ნუთუ ჯერ კიდევ თავადი არ არის? მაშინ... ნატო კარებს მივარდა.

სასახლის მომცრო ეზოში დათომ თავადის ასულს ძღვენი გადასცა: რუსუდანი სიამაყით ათვალიერებდა თოვლივით თეთრ ცხენს, რომელსაც შავი ტარსიკონის უნაგირი ედგა: მხოლოდ გიორგის შეეძლო ასეთი ძღვნის გამოგზავნა თავისი სასძლოსათვის.

ქალბატონი ნატო აღშფოთებას აპირებდა მაგრამ უეცრად მორბილდა. დათომ მას თავდახრით გადასცა ნახი ვერცხლისფერი ქსოვილი, რომელიც მოქარგული იყო ღია ვარდისფერი პეპელებით, და რასაკვირველია, არ გაუმხელია, რომ პაპუნა ერანს იყო წასული საგანგებოდ ამ ძვირფასი ქსოვილისა და სხვა საჩუქრებისათვის.

ნუგზარს ძლიერ მოეწონა ფირუზით მორთული თეთრი წაღები, ზურაბს—დამასკური ხმალი, ბაადურს—დათვზე სანადირო სატევარი. მაგრამ შორსმჭვრეტელ გიორგის არც რუსუდანის ძიძა დავიწყებოდა და დათომ აღფრთოვანებულ მოხუცს მოხდენილად მოასხა მხრებზე თავრიზული აბრეშუმის შალი.

ნუგზარმა შეაქო გიორგის გემოვნება, და მთელი დარბაზიც აღფრთოვანებული იყო. ღამით თავადი და ელჩი ოთახში ჩაიკეტნენ. წერილმა თავადი გააფიცხა. როგორ, არაგვის ერისთავს შეურაცხჰყოფენ? თავადის ასულის არჩეულს არ აღირსეს დამსახურებული თავადობა? მაშინ დეე გაიხსენონ ნუგზარის მამაცობა! იგი უჩვენებს მეტეხს, თუ რამდენი მეგობარი ჰყავს ერისთავს, იგი გაახსენებს, თუ როგორ ომობს ნუგზარი. იგი ნაცარტუტად აქცევს მეტეხის გალავანს, რომელიც არაერთხელ დაუცავს არაგვის ერისთავთა ხმალს.

დიდხანს შფოთავდა განაწყენებული თავადი. ტყუილუბრალოდ ცდილობდა დათო დაეჯერებინა თავადი, რომ შადიმანის შერისძიება მხოლოდ საკაძისადმი არის მიმართულიო. ნუგზარი ყურს არ უგდებდა და საკუთარი ბრაზით ფიცხდებოდა.

მამისა და დათოს საიდუმლო საუბრით შეშფოთებულმა რუსუდანმა დილაადრიან სტუმრის სადგომში ძიძა გაჰგზავნა.

— მე თქვენს მიპატიჟებას ველოდებოდი, მშვენიერო რუსუდან, თქვენთვის გამოტანებული მაქვს გიორგის საიდუმლო ბარათი და სათქმელიცა მაქვს.

წერილი რომ წაიკითხა, რუსუდანი მრისხანების გამო გაფითრდა. მტკიცედ შეეკრა მოშვილდული წარბები. აი თურმე როგორი ყოფილა დედოფლის შერისძიება! ნუთუ იგი ჰფიქრობს, რომ რუსუდანი ნებას მისცემს, ვისმე, დასცინონ?

რუსუდანი მტკიცედ მიმოდიოდა ხალიჩაზე.

დათომ ამოიოხრა და გაიფიქრა: „არეარგა, როცა ქალი ფეხს მტკიცედ ადგამს. ნინო აჩრდილივით დასცურავს... მაგრამ ნინოს არ შეუძლია დედოფლებთან ბრძოლა,“ და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— თავადის ასულო, დედოფალი მანიაკისათვის დაგცინის: დეე რუსუდანმა იცადოს, სანამ საკაძე თავადი გახდებოდესო. ჰგონია, რომ შენ აზნაურს არ დაუკავშირებ შენს ბედს.

დათო პირდაპირ უცქეროდა რუსუდანს და უეცრად შეშინებულმა კარისკენ დაიხია. ასე ეგონა, ქვითკირის კედლები შეირყა, მეხი გავარდა და ფანჯარამ ზრიალი დაიწყოო.

მაგრამ არა, ეს რუსუდანი ხარხარებდა.

„ვფიცავ, შევირთო მხოლოდ ის ქალი, რომელსაც ჩიტის ხმა ექნება,“ — გულში გაიელო გაოცებულმა დათომ.

— წყეული კუდიანი,—თვალის ბრიალით აბმობდა რუსუდანი,— როგორ ჰბედავს იფიქროს, თითქოს ჩემი ბედი მის ხელთ არის? სანამ მეფე ცოცხალი იყო, ჩემს წინაშე თრთოდა, ქმარი მოსწამლა და ახლა ჩემზე სურს გაბატონება?.. ერთი ნახოს, რა მორჩილება ვიცი, ერთი ნახოს...

— თავადის ასულო, ცუდი რამ არ იფიქრო, თავს დავდებ, უკეთუ ომს განიზრახავ, მაგრამ... მომისმინე, თავადის ასულო... დედოფალს ბევრი მომხრე ჰყავს. ყველა თავისთვის ცდილობს, გამტყუნება არ შეიძლება... მამაც ნუგზარს ეჭვადაც კი არ მოსდის, უმჯობესია ფრთხილად იყო... გიორგიმ ყოველივე იცის, მაგრამ არასოდეს არ გაიხსენებს. ძალიან უყვარხარ, მთელი გულით უყვარხარ... მეფემაც გაჯავრების გამო არ უბოძა თავადობა... ნუ გამიჯავრდები, თავადის ასულო. მე ასე უნდა ვილაპარაკო. გიორგი ჭართლს ესაჭიროება, აზნაურებს ესაჭიროებათ. დიდი, საშინელი ზრახვები აქვს გიორგის... იგი ჩვენია და, თუ შენც ჩვენი გახდები, წვრილმანი შფოთი დაგავიწყდება. გიორგი თავადი გახდება, მაგრამ... ვფიქრობ, თავადობას დედოფლისგან კი არ მიიღებს... თვით დაიპყრობს. ამით უნდა ამაყობდე.

— გმადლობ, ძვირფასო დათო.

და რუსუდანმა ხელი გაუწოდა. დათომ დაიჩოქა, დიდი პოწიწებით ეამბორა აცახცახებულ, გაცივებულ თითებს, მაგრამ უნებურად გაიფიქრა: „სჯობს, როცა ქალს პატარა ხელი აქვს.“

— გმადლობ, მეგობარო, კარგად ჰქენი, რომ შემაჩერე... მე გიორგი მესაჭიროება და არა მისი თავადობა, დედისათვის ველოდებოდი... გადაეცი გიორგის, რომ ქორწილი ერთი თვის შემდეგ იქნება, გამოეშუროს აქ და თან წამოიყვანოს თეკლე და მეგობრები. უთხარ, რუსუდანმა მხოლოდ ერთხელ იცის სიყვარული და ყოველივეს მასთან გაიზიარებს, რაც ბედისწერას ურგუნია. მამას დავიყოლიებ, დავა არ აუტეხოს მეტეხს, შურს შემდეგ ვიძიებთ.

რუსუდანმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— რუსუდან არაგვის ერისთავის ასულისა და აზნაურ გიორგი სააკაძის ქორწილი დიდ ხანს არ დაავიწყდებათ მეფისა და დიდებულთა ციხე-დარბაზებს. თქვენთან გადმოვდივარ, დათო...

დაჯდა და შეუპოვარ შუბლზე წყნარად გადაისვა ხელი. დათო მორიდებული ათვალიერებდა რუსუდანის გაქვავებულ სახეს... „ასეთი ქალი მხოლოდ დედოფალი, ან გიორგი სააკაძის ცოლი უნდა იყოს,"—გაიფიქრა მან და იქვე გამოუტყდა თავისთავს: რუსუდანი ერთადერთი ქალია, რომლის შეყვარებასაც მე ვერ შევძლებდიო.

თავი ოცდამეთოთხმეტე

დარბაზობის სისადავე, შედარებითი ხელმისაწვდომობა, თათბირთა გულღიაობა და თავისებური პატრიარქალობა გიორგი X-სთან ერთად ჩაბარდა წარსულს.

შადიმანი სპარსელ შაჰთა სასახლის ფუფუნებას ჰბაძავდა და მკვეთრად შესცვალა სასახლის ცხოვრება. რაკი ლუარსაბს ბავშვობიდანვე შთაუნერგა ბრწყინვალების, აღმოსავლური ფუფუნებისა და ცერემონიებისადმი სიყვარული, მან ადვილად მოახერხა, რომ კარისკაცთა თანამდებობანი უფრო ბრწყინვალე გვარეულობათათვის ჩაებარებინა. მხოლოდ მეტეხის მცველთა უფროსობა, თანამდებობა, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა, ძველებურადვე თავადს ბაკა ხერხეულიძეს შერჩა, შადიმანმა გულდასმით შეარჩია ახალი ამალა.

ლუარსაბმა ახალგაზრდა დიდებულთათვის განსაკუთრებული მორთულობა შემოიღო: ვარდებს ალმასის ქინძისთავებით ივცნევდნენ. ფაფახებზე ძვირფასი თვლები ბრწყინავდა, მკერდზე კი—მონისტო. მისი მიბაძულობით, ახალგაზრდა დიდებულები მარჯვენა ხელის ნეკზე ბრილიანტის ბეჭედს ატარებდნენ, რამაც ახალგაზრდა არისტოკრატთა შორის ერთგვარი შეჯიბრება გამოიწვია.

სასასლე ხელახლა შეღებეს ფირუზნარევ თეთრად, და ლუარსაბის მსახურებმაც სასახლის ფერს შეუხამეს თავიანთი ტანსაცმლის ფერი. ლუარსაბის სამყოფელი ქერმანშაჰის აბრეშუმის ხალებით იყო მორთული. კედლებზე გაცოცხლდა ერანის, ინდოეთისა და არაბეთის ფერწერა. ქვათახევის მხატვრები განუწყვეტლად ამშვენებდნენ კედლებს ფრესკოებით.

ლუარსაბის სადილობის დროს საზანდრით იუწყებოდნენ, სამყოფელიდან მის გამობრძანებას—სპილენძის დაფის ცემით. ძილის დროს კი—სალამურით, რის შემდეგაც დარბაზში ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ ბედავდა. შადიმანის მტკიცე ხელით აღფრთოვანებულმა ლუარსაბმა სიამით მიანდო შადიმანს სამეფო საქმეთა მოსაწყენი ტვირთი.

მხოლოდ ხელისმოწერა, ბაიკას ფრთხილი რჩევით, თავისთვის დაინარჩუნა: რა საპიროა ქვეშევრდომთ ეკვი აღვუძრათ მეფის ნამდვილ სურვილთა შესახებო.

ამ ღონისძიებით ბაიკას იმედი ჰქონდა, რომ ოდნავ მაინც შეამცირებდა შადიმანის უსაზღვრო ხელისუფლებას.

გამშვენიერებულმა მარიამმა, რომელიც საესებით შადიმანს ემორჩილებოდა. ბევრი რამ შესცვალა მეტეხის ჩვეულებაში. ყოველ კვირას, მგლოვიაროპის გამო, მხოლოდ მცირე ლხინი იმართებოდა და მეტწილად ახალგაზრდობას იწვევდნენ. დედოფლის ჭირვეულობით თავადის ასულნი ოქროს თავსაკრავს იკეთებდნენ, რომელიც ძვირფასი თვლებით იყო მორთული: თვალები უკეთ მოსჩანანო. აბრეშუვიალდნენ ჭრელი კაბები და ბაღდადური მარგალიტით მოქარგული ხავერდის ქოშები. მოცეკვავენი აღმოსავლურ მანიაკებს აწკარუნებდნენ. ნადირობა, ასპარეზობა, შეჯიბრება—ყოველივე ეს იმისთვის იმართებოდა, რომ ლუარსაბი ქართლის დახლართული საქმეებისთვის მოერიდებინათ.

კარისკაცები მიხვდნენ შადიმანის განზრახვას, ახალგაზრდა მეფეს კი ფიქრისათვის დრო არა ჰქონდა. დიდებულთა მეუღლენი, ერთი მხრით, იმისგამო, რომ დედოფლისთვის ეამებინათ, უმთავრესად კი პატივმოყვარეობის გამო, მაინცადამაინც მკაცრად არ ეპყრობოდნენ ლამაზ მეფეს. ჭკუიანი, ხუმარა, თავაზიანი და მარჯვე მეფე იოლად იპყრობდა ამაყ არისტოკრატ ქალთა გულს, მაგრამ არა ნაკლებ ჩქარა უგრილდებოდა გული იოლი გამარჯვებისადმი. მხოლოდ ორი ლამაზი განუყრელად იტაცებდა ლუარსაბის ოცნებას. ერთი იყო პოეტების მიერ ხოტბაშესხმული, მომხიბვლელი გულშარი... ბატონობის მოყვარულმა გულშარმა გადასწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, პირველობა მოეპოვებინა მეტეხში. გულშარის მუდმივი ცქერის ნატერამ ლუარსაბს უსამართლობა ჩაადენინა და მეტეხის ციხისთავად ამირინდო ამილახვარი დაანიშვნინა. ნაწყენმა ღაზნელმა არ ისურვა მხოლოდ მრჩევლად დარჩენა და ხორეშანიანად თავის მამულში გადასახლდა.

მეორე იყო ნესტანი: ის მარტო არაჩვეულებრივი სილამაზით როდი იზიდავდა მეფეს, მის დიდ ჭკუასა და თინათინის ანდერძს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისდამი ლუარსაბის უცვლელი სინაზისათვის.

ეს ორი ამაყი მშვენიერი იოლ გამარჯვებას არ სჯერდებოდა და ცდილობდა საესებით დაეპყრო მეფის ცვალებადი გული.

ლუარსაბს ამოდ აღელვებდა მოქიშპეთა ურთიერთ სიძულვილი. და, რა-კი დარწმუნებული არ იყო, რომ ორივე უყვარდა, იგი ერთობოდა და თავისი ცვალებადობით განგებ ამწვავებდა მათს მტრობას.

ბრძოლის შედეგით დაინტერესებული სასახლე მოუთმენლად ელოდებოდა დასასრულს. მაგრამ ლუარსაბი მხიარულობდა, მხოლოდ სადღაც, მისი სულის მალულ კუნჭულში, სთელემდა წმინდა ხატება სასახლის ინტრიგებით შეურყვნელი. „გარნაო, ფიქრობდა ლუარსაბი,—მეფეებს არ უწერიათ, რომ ისინი უანგაროდ უყვარდეთ“.

ქართლის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი შადიმანი სულ მთლად ჩაეფლო სახელმწიფო საქმეებში. მისი მტკიცე მარჯვენით საქართველოს ყველა სამეფომ და სამთავრომ სამხედრო კავშირი შეჰკრა. ქართველ მეფეთა და მთავართა ბრწყინვალე კრება ძველ სატახტო მცხეთაში მოხდა. და სვეტიცხოველი კვლავ გაჩირაღდნდა უთვალავი სანთლით. ბაგრატოვანთა ოთხსვეტიანი თეთრი ტახტი, რომელსაც წერწეტი კოშკი ამშვენებდა ზეაღმართული მაღალი ჯვრით, იისფერი ხავერდითა და მუქი ოქრომკედით იყო მორთული. მის გვერდით იდგა კათალიკოსის პირქუში ქვის ტახტი, ღრმა ნიში ქვისავე დასაჯდომებით, ბლაგვი კონუსისებრი თაღითა და მუქი ფერის ფრესკოებით. კათალიკოსის ოქრომკედის შესამოსელი ალმასის ჯვრებით იყო გაბრწყინვებული.

ოდიშის მებრძოლმა მთავარმა მანუჩარ დადიანმა, კახთ ბატონმა თეიმურაზმა, რომელსაც არ სწამდა მეგობრობა, მამია იერიელმა და აფხაზეთის მთავარმა შარვაშიძემ ქედი მოიხარეს შადიმანის საბუთებისა და ლუარსაბის მომხიბველლობის წინაშე.

და, აჰა, აკვნესდა ორმაგად დახარკული დვალეთი. აუტანელი გადასახადით სული ხდებოდა შუა ქართლს, მძიმე უღელ ქვეშ ჰგმინავდნენ გაოგნებული სოფლები. იმის გამო, რომ უცხოელ ვაჭრებს ათასგვარი შეღავათი მიენიჭათ, მთელი ვაჭრობა ტფილისის მაიდნებზე იყო თავმოყრილი. დარბაისელი მელიქნი ძლიეს ახერხებდნენ ყველა სავაჭრო წესის დაცვას და არცერთი სამეფო ფარა არ გამოეპარებოდა ნაცვალთა მომსვეტ ხელს.

და ათასთა წახრილი კისერი, ათი ათასთა გამრჯელი ხელი, ვაჭართა მარდი ალაბი და ზარაფხანის გამალებული ჭედა სიმდიდრით ავსებდა მეფის ხაზინას. არასოდეს ასე მომგებიანად არ აკაკუნებულან ამქართა რიგების ჩაქუჩნი, არასოდეს ეკლესიას არ მიუღია ამდენი უხვი შესაწირავი და ამიტომაც ამბიონიდან ისმოდა მბურავალე ქადაგება და მოწოდება: დაემორჩილეთ ბრძენ მმართველს, ბრწყინვალე შადიმან ბარათაშვილსო.

საიდუმლო თათბირებზე არასოდეს ასე ყურადღებით არ უსმენია შადიმანს არქიეპისკოპოზ თეოდოსისთვის და აზნაურ ელიშერისთვის რომლებიც ბატონიშვილ ქაიხოსროსთან ერთად ორი წლის შემდეგ დაბრუნდნენ მოსკოვიდან.

შადიმანი ჩაფიქრდა: უფერული სიკვდილი ბორის გოდუნოვისა, დამშეული ქალაქები, გლეხთა გაქცევა უდაბურ ადგილებში, უცნობი

მეფის დიმიტრის მოკვლა, ტრამალის მცხოვრებთა აჯანყება, არა სანდო ვასილ შუისკის მეფობა, სავაჭრო გზებზე ძარცვა, მდაბიოთა ომი ბოლოტნიკოვის მეთაურობით—და მან მტკიცედ გადასწყვიტა ზურგი ებრუნებინა ერთმორწმუნე მოსკოვისათვის.

შაჰ აბაზს არასოდეს არ მიუღია ქართლიდან ფარსულ ენაზე ასე ოსტატურად დაწერილი დიპლომატიური ეპისტოლე, და მისთვის ძღვნად გაგზავნილი მშვენიერი ფარი, რომელიც მოქედილი იყო თამარ მეფის ოქროს ღერბით, პოლიტიკურ ხიდად გაიდო ისპაჰანსა და ტფილისს შუა.

სამეფო სასწორზე შადიმანის მძიმე საწონთა გადაძლევამ იმედი გაუცრუა ლუარსაბისადმი მტრულად განწყობილ დიდებულთ და გააცუდა ბატონიშვილ ბაგრატის მრავალი წლის სამზადისი ქართლის ტახტის მისატაცებლად.

იმედგაცრუებულმა ბაგრატმა და ამირინდომ გადასწყვიტეს, დროებით შერიგებოდნენ მდგომარეობას. ბაგრატი ფარულად ცდილობდა დამეგობრებოდა მუხრან-ბატონს, ხოლო ამირინდო სულ იმის ფიქრში იყო, სასახლეში როგორ განვდიდდეო.

გუგუნებდა დაფი, წკრიალებდა ცხენთა აღკაზმულობა, ლაპლაპებდა საჭურველი, ციალებდნენ ძვირფასნი თვალნი, ფრიალებდა ნაირნაირი აბრეშუმი, ბრწყინავდა იშვიათი ბეწვეული, ელავდა ლითონის ფარი, გველივით დახვეულიყო დოლმანი, და ფართოდ გაღებულ ანანურის ჭიშკარში ნაკადულივით მიედინებოდა წარმტაცად მორთული ხალხი.

პირველნი მობრძანდნენ ბატონიშვილნი ბაგრატ და სვიმონ. ქართლის ტახტის ზვიად მაძიებელთ თან ახლდათ ძვირფასი ძღვენი და დიდებული ამალა.

დიდებულთა ციხე-დარბაზნი მეტად გაკვირვებულნი იყვნენ რუსუდანის ქორწინებით. მხოლოდ სამი თვე გასულიყო მეფის გარდაცვალებიდან, თავაზიანობა კი მოითხოვდა სულ მცირე ექვს თვეს მაინც მოეცადნათ გარნა ნუგზარის შეურაცხყოფა ვერავის ვერ გაებედნა, მით უმეტეს, რომ დიდებულნი გააოცა ანანურს კახთბატონის, იმერეთის მეფისა და გურიის მთავრის სტუმრობამ. როგორღა უნდა მოიქცეს ახლა ლუარსაბი, უკეთ, როგორ უნდა მოიქცნენ მარიამი და შადიმანი? ყველა სხვა საზრუნავს მნიშვნელობა დაეკარგა. ყოველს ციხე-დარბაზში მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რა გაბედულად გამოიწვია ნუგზარმა მეტეხი... მაშასადამე, ნუგზარს სურს მეფის გადაკიდება? მაგრამ რატომ? ქალს უბრალო აზნაურს აძლევს. მზითვად აძლევს უზარმაზარ მამულს, ცხენთა რემას, უთვალაე ჯოგს, მთელ ქარავან სამოსსა და ძვირფასეულობას, სუთას კომლ ყმას. ხელმწიფის შვილი შეეძლო დაესიძებინა, ქალი კი უბრალო აზნაურს გაატანა. უყვარს? რად შეიყვარა?

თავისი ძმის ზურაბისათვის? კი, მაგრამ ამაყ ნატოს რაღა უხარია? არა, აქ რაღაც საიდუმლოებაა! საკაძემ შაჰ აბაზისაგან ძვირფასი ძღვენი მიიღო, თვით ყარაჯუღაი-ხანი მოდის თურმე ქორწილზე, დიდებული ამალითურთ. ყარაჯუღაი-ხანი, ერანის პირველი ხანი მოდის აზნაურის ქორწილზე? არა, აქ რაღაც იმალება, საჭიროა სიფრთხილე, საჭიროა დიდებულად ვეწვიო ნუგზარს. იქნებ საიდუმლო კავშირი შეჰკრა ერანთან? ასე საჩქაროდ ტყუილად კი არ სწვევია ანანურს მანუარ დადიანი! მას ომი აქვს, ომის ველიდან იქ გაქანებულა, მაშასადამე, ნუგზარს დახმარება აღუთქვამს. კახეთის მეფე კი? მარიამის ნათესავია და მგლოვიარებას კი არ იცავს... რა მოხდა?

ასეთმა მდგომარეობამ დიდებულნი აიძულა უგულვებელეყოთ სიფრთხილე და დაერღვიათ სასახლის მგლოვიარება. ქსნის ერისთავი, დიდი ათაბეგი, მუხრან-ბატონი, აფხაზეთის მთავრის უფროსი ვაჟი,—ყველანი ანანურს გაეშურნენ და რასაკვირველია, დანარჩენ თავადთ რა ეკითხებიათ, იწყენს თუ არა ლუარსაბი სამეფო კარის მგლოვიარებისადმი უყურადღებობას.

ანანურის ერცელი სადგომები, ხალიჩებითა და აბრეშუმეულით მორთულნი, საპატიო სტუმრებს ელოდნენ. ზედმეტი ხალხისაგან განთავისუფლებული სასახლეც აგრეთვე მორთულია მეფეთა და მაღალი ამალის მისაღებად.

ამაყმა ნატომ რომ დაინახა, თუ რა ყურადღებით ეპყრობოდნენ საკაძეს მეფენი და ყარაჯუღაი-ხანი, იგი თითქმის შეურიგდა სასიძოს უბრალოებას. გიორგისა, რუსუდანისა და მის ნათესავთათვის შაჰ აბაზის მიერ გამოგზავნილმა ძვირფასმა ძღვენმა ბევრი გააოცა და იძულებული გახადა ყურადღებით დაჰკვირვებოდა გიორგი საკაძის პიროვნებას.

მეტეხს დაწვრილებით აცნობებდნენ ანანურის ამბებს. შადიმანი გააკვირვა ფუფუნებამ, გააოცა ქორწილში ყარაჯუღაი-ხანის წვევამ და ქართლის მმართველი ღრმად ჩაფიქრდა მომავალს. აშკარა იყო—ნუგზარი მარტო ქორწილს როდი იხდიდა. შეურაცხყოფილი ერისთავი მეტეხს იწვევს, მაგრამ მეტეხი გამოწვევას არ მიიღებს. მთელი გავლენიანი ქართლი ნუგზარისას არის, მაშასადამე, საჭიროა ომში მონაწილეობის მიღება, მაგრამ როგორ? საბედნიეროდ, მარიამსა და ლუარსაბს უსიამოვნო წვევისაგან ათავისუფლებს, მაშასადამე, შადიმანი უნდა ეწვიოს პირველ დღეს მაინც.

მარიამი, გახელებული ნუგზარის ზვიადობით, იმით, რომ შურისძიება არ მოუხერხდა, ომს იმუქრებოდა.

შადიმანმა ჩაიცინა:

— ბაგრატსაც დიდი იმედი აქვს მაგისი. არ შეიძლება ეომო იმ დიდებულს, რომელიც ღირსი გახდა ქართველი მეფეებისა და ერანის

პირველი ხანის წვეისა. დედოფალმა წერილობით უნდა მიულოცოს და ძღვენიც გაუგზავნოს.

მარიამს ზრდილობა დაავიწყდა და მოჰყვა ტირილს, საყვედურებსა და წუწუნს. უკეთუ მამაკაცები ლაჩრები არიან და ეშინიათ თავადისა, რომელმაც მეფის ოჯახი შეურაცხყო, მაშინ თვით დედოფალი აუტეხს ომს. ნენ ხომ თამარ მეფის ძალა-უფლებას მპირდებოდი? ახლა რად მაიძულებ დამცირებას? არასოდეს! მოვკვდები და რუსუდანს არ გავახარებ.

შადიმანმა წარბი შეიკრა და მტკიცედ მიუგო: უკეთუ ქართლის უბედურება არ გინდა, გარემოებას უნდა დაემორჩილო. შეგიძლია წერილი არ გაუგზავნო, მაგრამ ძღვენი და მილოცვა კი აუცილებელია.

ლუარსაბი, პირიქით, თავს უხერხულად ჰგრძნობდა. ახლა სწორედ დროა დანაშაული გამოვისყიდო და ქორწილში თავადობის სიგელი გავუგზავნო სააკაძეს. აი სამართლიანი ბაკაც მირჩევს, თვით შადიმანიც კი სდუმსო. მაგრამ დედოფალმა განაცხადა: უკეთუ ლუარსაბი ჩემი სურვილის წინააღმდეგ წავა, ინდურ საწამლავს დაელევო. გულწრფელად ნაწყენმა ლუარსაბმა მეგობრული წერილი გაუგზავნა ნუგზარსა და თან ბოდიშს იხდიდა, მგლოვიარება ნებას არ მაძლევს ქორწილს დავესწრო, მაგრამ, იმედია, რუსუდანი მობრძანდება მეტეხში, სადაც მასა და გიორგის საპატიო ადგილი ელოდებაო.

ეს წერილი და ძღვენი ნუგზარს შადიმანმა მიართვა, რომლის მისვლამაც დიდად გააოცა ყველანი. მართალია, თავადი მხოლოდ ერთი დღით ეწვიათ: მგლოვიარება ნებას არ მაძლევს დავაყოვნო მამაც ნუგზარისასაო, მაგრამ ეს ერთი დღეც მხოლოდ ნუგზარისა და მისი ოჯახის ქება-დიდებაში გაატარა.

ნატო ზეიმობდა, ზურაბს დიდა აამა ლუარსაბის გულწრფელმა წერილმა, მხოლოდ რუსუდანს არ უღირსებია შადიმანისათვის არცერთი შენიშვნა, არცერთი ღიმილი.

„ნამდვილი ქანდაკება,—ჰფიქრობდა შადიმანი.—ორმაგი სიამოვნება მოელის დიდებულთ, თუმცა, თუმცა...“

თავადმა საკაძეს გადახედა და უნებლიედ შეკრთა.

აბრეშუმის ხალიჩებზე, ფუმფულა ბალიშებზე იჯდა საკაძე, მის გვერდით კი—რუსუდანი. თეთრი ატლასი ამშვენებდა ახოვან გიორგის, მკერდზე ძვირფასი თვლები უბრწყინავდა. სპარსულ თეთრ თაჯაზე, რომელიც შაჰ აბაზს გამოეგზავნა საქორწილოდ, ბრილიანტის ვარსკვლავი ციმციმებდა.

შადიმანი მძაფრმა ეჭვმა შეიპყრო:

„რატომ წინათ ვერ მივხვდი? განა ნუგზარი ჩვეულებრივს აზნაურს მისცემდა თავის ქალს? მაშასადამე, საკაძე შაჰს მიეყიდა? აღჩა-ყალა!..—შადიმანი კინაღამ შეხტა.—დიდებული ციხე-დარბაზი

ნოსტეში. ოქრო სად იშოვნა? გიორგი X ამდენს ვერ მისცემდა. აღჩა-ყალა გაუყიდნია!..—შადიმანი თავისსავე ფიქრებში იხლართებოდა.—მაგრამ საბუთი სად არის? ასპარეზობის შემდეგ ნუგზარს გაჰყვა. ნუგზარმა იცის ყოველივე... რა თავაზიანად ეპყრობა ყარაჯუღაი-ხანს...ო, საპიროა ორმაგი სიფრთხილე... კარგია, რომ ქორწილში მოვედი... ნუგზარი კმაყოფილია, ლუარსაბის მტრობა არა აქვს, მის წინააღმდეგ არ გამოვა. დედოფლის წინააღმდეგ? არც იმისა. რუსუდანს არაფერი უამბნია, დედოფალზე უფრო ჭკუიანია... კარგი ვქენ, რომ ქორწილში მოვედი: ვნახე, როგორ ეკავა გვირგვინი ბატონიშვილ სვიმონს რუსუდანის თავზე... ეგერ ბებერი ცბიერი ღაზნელი კვლავ ბაადურს აწონებს თავის ქალს. ამბობენ, ხორეშანი, რაც მეტეხიდან წავიდა, ნაკლებს ამაყობსო. ეს ვინ დაუსვამს გვერდით რუსუდანს? რა ჯანდაბაა, თვალიც კი დამიბნელდა. ვინ უნდა იყოს? გულშარის რომ დაენახა, შეშფოთებული ერთბაშად ლუარსაბის საწოლისაკენ გაექანებოდა... ვინ არის? სააკაძის და? სამმაგი სიამოვნება მოელით დიდებულთ... კარგია, რომ მეტეხში არ მიესვლება. ჩემი მეგობარი დათო ქავთარაძე კი ხორეშანთან ცეკვავს. ე, ე, იცოდე, ცუდ მაგალითს გაძლევს რუსუდანი, მაგრამ... ნუგზარის მომხრეთ სულითა და გულით ვისურვებდი მეორე აზნაურიც დაექორწინებინოთ... კარგია, ქორწილში რომ მოვედი, ბევრი რამ სასარგებლო ვნახე,"—შეშფოთებით ჰფიქრობდა შადიმანი, განთიადისას რომ ანანურს სტოვებდა.

კიდევ ერთი ცხენოსანი წავიდა ისე, რომ ერთი კვირის ლხინის გათავებას აღარ მოუცადა: დიმიტრი ნოსტეს მიიჩქაროდა, რათა ნინო, წმინდა ნინოს მონასტერში გაეცილებინა.

თავი ოცდამეთხუთმეტე

შვიდას ოცდაათმა დღემ განვლო აღფრთოვანებულ იმედებსა და სასოწარკვეთილებაში.

აგუგუნდა ღორორტოტო და ათასისთავმა საკაძემ ხმალი აღმართა, ასისთავებმა ლაშქარი დააწყეს და ათისთავები რაზმეულებს ჩაუდგნენ. მოზარდთაგან შემდგარი მზვერავი რაზმები, ასისთავის, ერასტის მეთაურობით, ტყეს მოედვნენ, ხიდან ხეზე ხტოდნენ, ფორთხავდნენ, ცოცავდნენ და დაბალის ხმით მოახსენებდნენ ათასისთავს „მტრის" მოძრაობის შესახებ.

ასისთავებმა ხმალი იშიშვლეს, კოლონებმა შუბები აღმართეს, დაიყვნენ, დიდი ნაბიჯით შემოუარეს ტყესა და რკალი შემოარტყეს.

დაჰკრეს დაფი. ხეებზე შაშვებივით ისტვინეს მზვერავებმა და მინდორზე ყიჟინით გამოიჭრა ცხენოსანი ჯარი, რომელსაც შუბოსნები შეეგებნენ.

მტრის ცხენოსანი ჯარის მოგერიება, ერანული სტრატეგიის წესით, დამთავრდა. ათასისთავმა საკაძემ კვლავ აღმართა ხმალი და ლაშქარი სიმღერით გაემართა ნოსტესკენ.

ნოსტეში ჰქრის დიდი ქარი
ჰარიალალე.
ბუკი გვიხმობს, დაჰკრეს ზარი
თარიჰალალე.

დე თბილისის კარის ახლოს
ჰარიალალე,
მოცეკვავე მელა ვნახოთ
თარიჰალალე.

ჩვენი ჯარი—გმირთა ჯარი,
ჰარიალალე,
აზნაურთა გაჰკვეთს ხმალი
თარიჰალალე.

საბრძოლველად მტერთან გვგზავნის
ჰარიალალე,
თვით გიორგი და ნუგზარი
თარიჰალალე.

დაინთება ბრძოლის ალი
ჰარიალალე,
აზნაურთა გასჭრის ხმალი
თარიჰალალე.

ათი თავზე ხელაღებული ასისთავი, განუყრელი „ვეფხი“, რომელთაც მეთაურობდა მრისხანე ათასისთავი, ნოსტეს ციხისკენ გაემართა სიმღერით.

საკაძის გული სიამაყით აივსო: როგორც იქნა, ნოსტეში ათასი უშიშარი მეომარია, მაგრამ მხოლოდ ლაშქრით როდი ამაყობდა გიორგი, ნოსტეში ახალი ხიდი ააგეს, ქუჩები მოკირწყლულია, აშენდა ახალი სახლები და მხოლოდ მდინარის ნაპირას წინანდულადვე ჰგდია დიდი, საყვარელი ძელი და საკაძის ძველი სახლიც, ვით წარსულის ძეგლი, ხელუხლებელია. სადაც წინათ მესეფეთა დახუთული უბანი იყო, იქ გაიმართა საზოგადოებრივი ერბო-კარაქსადღეები სახელოსნო, — ნოსტეს ახალი საწარმო, რომელსაც გულმხურვალედ პატრონობდა საკაძე, და შალსაქსოვი ქარხანა, სადაც ერასტის მამის, მოხუც გორგასლის მეთვალყურეობით უკვე ოცდაათი ხის ჩარხი მუშაობდა. საკაძის ბრძანებით, ნოსტეს დიდ ბაზარზე მხოლოდ ზედმეტ პურს, მატყლს და პირუტყვს ჰყიდდნენ.

ნახევრად ბნელ საფეიქროებში წმინდა შალი მზადდებოდა. საძოვრებზე მსუქანი ცხვრის ფარა სძოვდა. აშენდა ხის ახალი ფარდულები,

რომლებიც სავსე იყო წმინდა, გაჩეჩილი და დახარისხებული მატყლით. აქ ბავშვებსაც კი შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი წილი შეემუშაებინათ.

ერბო-კარაქი ნოსტეში სულ უფროდაუფრო იზიდავდა უცხოელ ეაჭრებს. მატყლი — საჭურველსა, ცხენებსა, უნაგირებსა, ვერცხლის ნაკეთობათა, ჭურჭელსა და მორთულობაში იცვლებოდა. ნოსტეში ფარულად იკრიბებოდა აზნაურთა ყრილობა, ახმაურებული ბაზრობა ასპარეზობით, ჯირითობითა და სამხედრო თამაშობით მთავრდებოდა. ღოროტოტოს მრისხანე ყვირილსა და დაფის გუგუნში, ლაშქართა სამხედრო ყიჟინაში სწრაფად განვლო ორმა წელმა.

ნოსტეს ციხე-დარბაზი ნამდვილი სიმაგრეა. მიწისქვეშა ხვრელი დიდგორის მთებში გადის. გაყვანილია ფარული არხი და მიწისქვეშა ვრცელი სადგომები ომის შემთხვევაში ნოსტელებისა და მათი ქონების დასამალავად. ყოველივე ბრძოლისათვის კეთდებოდა და არა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. საკაძის მოთხოვნით, კავშირში შემავალმა ყველა აზნაურმა რაზმთა ერთნაირი წყობა შემოიღო.

მხოლოდ დიმიტრი და მისი პაპა დარჩნენ ნოსტეში და ციხეში დასახლდნენ. ისინი ეხმარებოდნენ საკაძეს მისი ფართო ზრახვების განხორციელებაში და მის მაგიერობას ეწეოდნენ გიორგის იქ არყოფნის დროს. პაპა სიამაყით ამბობდა:

— რად უნდა წავიდე? აქ საჭირო ვარ და საქმეც საინტერესოა. მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, არ მინდა ბუხართან ვიჯდე და ნაცარსა ვიჩხრეკავდე.

დიმიტრიმ უხმოდ, მაგრამ მძაფრად განიცადა მონასტერში ნინოს წასვლა. რუსუდანმა პაპას ჩააბარა მეთვალყურეობა პატარა პაატას აღმზრდელებისადმი, და ამ გარემოებამ მეტიდრო მეგობრობა წარმოშვა რუსუდანსა და დიმიტრის შორის.

რუსუდანმა ერთბაშად აუღო ალღო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ნოსტეში და სულ მოკლე ხანში საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

მხოლოდ თეკლეა თავდაჭერილი მისდამი, რადგანაც გულში ძვირფას ნინოს ნაღვლობს; და თუმცა პაატას დაბადებამ სინაზის გრძნობა აღუძრა რუსუდანისადმი, თეკლე მაინც ფარულად განაგრძობდა წმინდა ნინოს მონასტერში - სიარულს, სადაც ნინო იყო აღკვეთილი, და იქიდან დაბრუნების შემდეგ მუდამ ავადმყოფი იწვა.

სიბრალულისაგანო,— გამოუტყდა იგი პაპუნას.

როცა ათი თვის შემდეგ არაგვის ერისთავები ნოსტეს ეწვივნენ, ძალიან გაოცებულნი იყვნენ იქ მომხდარი ცვლილებით. ციკი, თავშეკავებული რუსუდანი გაიფურჩნა, გამშვენიერდა, მკვირცხლი და მხიარული შეიქნა და თვალს არ აშორებდა გიორგის, ხოლო პაწია პაატას სინაზით იკრავდა გულში.

საყვარელი ქალის ბედნიერებით გახარებული ნუგზარი უფრო დაუმეგობრდა საიკაძეს და შეჰფიცა ყოველი მტრისაგან დაგიცავო. ასეთივე ერთგულების ფიცი მისცა ზურაბმაც.

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა გიორგის: მეტეხმა დაივიწყა იგი-რუსუდანმა რომ ქმარს შეშფოთება შეამჩნია, გადასწყვიტა ემოქმედნა და, პირმშოს დაბადების აღსანიშნავად, ქვათახევის მონასტერს უხვი ძღვენი გაუგზავნა, თანაც მოძღვარ ტრიფილიოსს სთხოვა, ნოსტეს მობრძანდი და პაატა დამილოცეო.

შემდეგ მოძღვარი ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ნოსტეს, რასაც სერიოზული შედეგი მოჰყვა.

რუსუდანის სილამაზითა და დიდი ჭკუით, აგრეთვე ნუგზარის გულუხვობით მოხიბლულმა ტრფილიოსმა გადასწყვიტა იერიში მიეტანა ლუარსაბზე... სამი თვის შემდეგ საიკაძესა და რუსუდანს მეფის დაპატიჟება მოუვიდათ, ირმის ნადირობაზე მეწვიეთო.

სანამ საიკაძე აზნაურთა კავშირს ამაგრებდა, ლუარსაბი კი ლამაზთა გულს იპყრობდა, შადიმანი სტამბოლის საიდუმლო ელჩის სელიმ ბეგის გულს ჰხიბლავდა: თურქეთისთვის საჭიროა ქართლის კავშირი. დაუსრულებელი ომი შაჰ აბაზთან სტამბოლის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. სტამბოლს ხომ ხელსაყრელი ზღვა უკავია. ამისთვის ლუარსაბმა ქართლზე უნდა გაატაროს თურქთა ჯარი. ხალიფაშა დაიკავებს არდებილს, ჯუფას, ეძგერება თავრიზსა, ბოლოს აღსტაფით ერევანში შეიჭრებაო...

შადიმანმა კარგად იცოდა, თუ რამდენად სახიფათო იყო ერანის გადაკიდება: სტამბოლი რომ დამარცხდეს? განა ამით არ ისარგებლებს შაჰ აბაზი, რათა სრულიად მოსპოს ქართლი? რასაკვირველია, ისარგებლებს. მაგრამ ამჯერად ნაკლებ მოსალოდნელია სტამბოლის დამარცხება. ხალილ-ფაშა გამოჩენილი მხედართმთავარია, ბაღდადი შაჰ აბაზს წაართვა... ათი ათასი რჩეული ენგიჩარი მოჰყავს, გარდა ამისა, ბოსფორის ასი ათასი ცხენოსანი და ორმოცი ათასი ქურთი.. არზრუმიდან ყარსზე და ლორეზე დაიძვრის გამოცდილი მხედართმთავარი ხოსრო-ფაშა. კაპუდონ-ფაშა, ქართლის ჯართან ერთად, საზღვარს დაიცავს და ხელს შეუშლის, რომ სპარსეთის ჯარი აზერბაიჯანით არ შემოიჭრას. თუ სტამბოლმა გაიმარჯვა, ქართლი ვრცელ სამფლობელოს მიიღებს ოლთისიდან მოკიდებული აღსტაფამდე, რომ არ ვილაპარაკოთ ისეთ მცირე სარგებლობაზე, როგორიცაა აღჩა-ყალა, საბარათიანოს მიწაწყლის, სანაინით, მდიდარი ტყეებით, მდინარეებითა და ციხეებითურთ. ყოველივე ეს მეტად გააფართოებს ქართლის სამფლობელოს, გააუხვებს ქვეყანას, თავადებს საქონლითა და ხალხით გაამდიდრებს.

ამ მოსაზრებათა გარდა, იყო კიდევ სხვაც, არანაკლებ მნიშვნელოვანი: ანანურის ქორწილი ბევრს მოწმობს იმის შესახებ, რომ

შესაძლებელია აფხაზეთი, გურია, იმერეთი და კახეთიც კი ქართლის საქმეებში ჩაერიონ. არც ყარაჯულაი-ხანის მოსვლა უნდა დავივიწყოთ... ვინ იცის, იქნებ ქართველთა სამეფოებმა გამოიყენონ ნუგზარის ძლიერება, საკაძის გავლენა და გაიყონ. ან კიდევ, ვინ იცის, იქნებ მეფის აზნაურები ჰფიქრობენ გამოიყენონ ქართველთა მეფეები, რათა აჯანყება მოაწყონ დიდებულთა წინააღმდეგ. ვინ იცის იქნება თვით მეფემაც მოისურვოს ისარგებლოს შემთხვევით და, შაჰ აბაზის მსგავსად, განთავისუფლდეს დიდებულთაგან, ამასთანავე ხალხის ნება-სურვილი მოიმიზეზოს და თავი თვითმპყრობელად გამოაცხადოს. ლუარსაბისაგან ასეთი რამ მოსალოდნელია... სამღვდელოება? იგი ძლიერს გაჰყვება...

რაღა მოუვიდა დიდებულთ საგვარეულოს, მთავართა ძლიერებასა და ხელისუფლებას, მეფის ტახტის ბრწყინვალებას? ნუთუ ქვეყანა მდაბიოთ უნდა ჩავუგდოთ ხელში? ნუთუ ქართლს იაფი ქეჩა მოვასხათ? განა ასეთი ქვეყნის მეფე მწყემსს არა ჰგავს? არა! სანამ თავადი შადიმან ბარათაშვილი ცოცხალია, ასეთი სამარცხვინო რამ არ მოხდება, უცხოელები ვერ დასცინებენ მდაბიოთა ქვეყანას... დიდებულნი და მეფე არიან ქართლის ბატონ-პატრონნი და არა მეფე და აზნაურები... თურქეთთან კავშირი გაამდიდრებს დიდებულთ, დიდ მამულთა გარდა, აღთქმულია დიდძალი ოქრო, და მაშინ თურქთა დახმარებით შესაძლებელი იქნება სამეფო აზნაურთა გარეკა, მათი მიწების დიდებულთა შორის განაწილება, მათი მეთაურების ამოჟლეტა და გამდიდრებულ ქართლში მშვიდობიანობის დამყარება.

ერანში თავადთა ყოფა ძალიან ცუდია. შაჰ აბაზმა მოსპო ხანების უმრავლესობა და უარს არ რტყვის ქართლშიაც გაიმეოროს ეს სეირი-შაჰი აზნაურების მომხრეა. ტყვილად კი არ აძლევენ უპირატესობას სპარსელი ვაჭრები აზნაურების საქონელს. ხოლო რამდენი თუმანი მიიღო სააკაძემ ნოსტურ მატყლში?... იქნებ მარტო მატყლს კი არ იძლეოდეს სპარსულ ოქროში? ქარავნები ხშირად დადიან ისპაჰანს... დიაღ, საჭიროა კარგად ჩავუფიქრდე ამას... უმჯობესია ვარდან ბრძენი გავაყოლო უკან. ასლამაზი საამისოდ არ გამოდგება, სამეფო აზნაურებს მიესყიდა. ვარდანმა კი ოსმალეთში ერთხელ კარგად იმოგზაურა.

შაჰისთვის ხელსაყრელია აზნაურთა ძალები, მათ დიდი სამფლობელოები არ გააჩნიათ, მეფის წინაშე გავლენა არა აქვთ. შაჰს ყველაზე უფრო სტამბოლის ჩარევისა ეშინია... ყველაფერი კარგად გივარაუდნია, ძვირფასო შაჰ აბაზ, მაგრამ ერთი რამ დაგვიწყნია. დიდებულთა გატეხა არც აგრე ადვილია... დიაღ, სანამ სამეფო აზნაურებს მთელი ქართლი არ მოუწამლავთ, საჭიროა მათი შეზღუდვა და... შეძლების და გვარად მათი ამოჟლეტაც.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გამოვარკვიო, აზნაურთა რა საქონელი მიდის ისპაჰანს. ამ გზით არის სწორედ საჭირო კისერი მოვუგრიხო სააკაძეს... დიდი ეჭვები მაქვს, მაგრამ სანამ იგი არ გამომიმჟღავნებია, საშიშია ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი... ქსნის ერისთავი შალვა და მუხრან-ბატონი მამაცი ნუგზარის მოკავშირეები არიან,—მათი გადაკიდება არ ვარგა, მეტად ძლიერნი არიან... ბაგრატისა და ამირინდოს იმედი არ უნდა ვიქონიო, თუმცა ნათესავებიც არიან. წყნარად არიან, სანამ შემთხვევა არ მიეცემათ შადიმანს ულალატონ...

ლუარსაბმაც დაიწყო ფიქრი და მრავალ მეფეზე გაცილებით უკეთაც ჰფიქრობს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ყოველის გზით ვეცადო მის გადაბირებას სტამბოლის მხარეს. თურქეთთან კავშირის ხელსაყრელობის დამტკიცება ორი გზით შეიძლება: მოვხიბლო მეფე მისი მძლავრი ხელის მეოხებით ქართლის აყვავების სურათით და გავაშაო სააკაძე, როგორც შაჰის ფარული ჯაშუში და ჩვენი ქვეყნის მოღალატე, რომელიც ქართლზე თავდასხმას ამზადებს.

დიაღ, სელიმ-ბეგს ერთხელ კიდევ მოუხდება მოსვლა. ერთბაშად არ შეიძლება, სახიფათო საქმეა. ლუარსაბიც ფრთხილად უნდა მოვამზადო, შაჰ აბაზის ერთგულია, დის გულისათვის შიშობს. დიდებულთ აზნაურებისა ისე ეშინიათ, როგორც ვეფხისა... მუხრან-ბატონსა და ქსნის ერისთავს ეჭვი უნდა შთაეუნერგო სააკაძის შესახებ. თვითვე შეშინდებიან, ისინიც თავადები არიან, მაშინ ლუარსაბი ვეღარ გაბედავს ყველა მძლავრი თავადის წინააღმდეგ წასვლას. დიაღ, შადიმანი დიდ საქმეს იწყებს, ვნახოთ, ვინ გაბედავს მის წინააღმდეგობას...“

რუსუდანმა მეფის მიპატიჟებაზე ავადმყოფობა მოიმიზეზა:

— მეტეხში ფეხსაც არ დავდგამ, სანამ მარიამი ცოცხალია,— გამოუტყდა იგი ტრიფილიოსს.

რაკი მათი ურთიერთ სიძულვილის მიზეზი იცოდა, მოძღვარმა აღარ დაიჟინა. სააკაძე დიმიტრის, ჰაპუნას, ერასტისა და ასი მოლაშქრის თანხლებით თბილისს გაემართა.

გამგზავრების წინ სააკაძემ განგებისი სიმკაცრით ჰკითხრა ერასტის, ამ ბოლო დროს სად დაიკარგეო.

ერასტიმ ცბიერად გაიღიმა:

— დარეჯანთან, ჩემო ბატონო. ძალიან ლამაზია, თანაც ავია, როცა ვკოცნი, მცემს.

— აი, შე უძღებო თავადო! ქორწილი როდის არის?

— როცა შენ მიბრძანებ, ჩემო ბატონო, დარეჯანი, ვიცი, თანახმაა, აგრეთვე მამაც, იგი ამბობს: „ჭკუიანი დედა ოჯახის სიმდიდრეა, ლამაზი ცოლი კი ცხოვრების სამკაულიაო...“

მეტეხში მომხდარმა ცვლილებამ გააოცა გიორგი, თითქოს იქ არასოდეს არა ყოფილაო. მას აკვირვებდა დიდი ფუფუნება და მიუწვდომლობა. სასახლეში ცხოვრება, გარდა დიდებულთა და უმაღლეს სამღვდელო პირთა, წვეულების დროს არავის არ შეეძლო. სტუმართათვის შადიმანმა მეტეხის ახლოს ააგო დიდი სახლი, მაგრამ ბევრი დიდებული თვითონ იშენებდა და იწყობდა საკუთარ სახლს. გიორგის დაბრუნებით გულწრფელად გახარებული ბააკა დათოს იქ არ ყოფნაზე სწუხდა.

— არაფერია, თავადო, შადიმანთან ომი ჯერ არ გათავებულა. ჯერ კიდევ არავინ იცის, ვინ გაიმარჯვებს, საჭიროა თვალი აუხილოთ ლუარსაბს.

— მეგობარო, ვე შენ გონიერ კაცად გთვლი. გაიხსენე, დათოსაც სურდა, თვალი აეხილა გიორგი X-სათვის, მაგრამ ამან თვალი სამუდამოდ დახუჭა.

— ნუ სწუხარ, თავადო, სააკაძე უფრო კეთილგონიერია. დათო ახალგაზრდა იყო, ფიცხი, ახლა კი მანაც ბევრი რამ ისწავლა, ფრთხილი გახდა.

— დიაღ, ვიცი, რა ფრთხილიცაა, —გადაიხარხარა ბააკამ,—ხორეშანს გათხოვება ვერ მოესწრო, რომ იგი უკვე ფანჯარაში შეძვრა. ხორეშანი ფარული ხვრელით გაიპარა. თავადმა ვერ გაიგო, თუ ვინ იყო, თორემ უთუოდ მოჰკლავდა, თურმანიძე სასტიკი მოხუცია.

— ე, ძვირფასო ბააკა, მაშასადამე, ამ ამბის დასასრული არა გცოდნია. დათო ფანჯარაში უკვე აღარ ძვრება, ფარული ხვრელით შედის.

ბააკა ხმამაღლა ხარხარებდა.

— აგრე მოუხდება იმ დაჟანგებულ სატევარს, განა შეიძლება ორმოცდაათი წლისამ ცეცხლი შეირთოს?

— ხორეშანი ამბობს: რაკი საყვარელს არ მიმცეს, მოხუცს განგებ გავყე, რათა დათოს გული დამეპყროო. გულადი ქალია. ხშირად დაიარება რუსუდანთან, მეგობრები არიან... მაშ შენ ამბობ, ძნელია მეფეს ნახვაო? გამოდის, რომ იგი ტყვეა შადიმანისა.

— შადიმანი მოხერხებულად ქსელავს, მეფე ვერ ამჩნევს. ნადირობაზე გაახსენე მეფეს თავი. გარშემო შადიმანის მსახურნი ახვევიან, ჩემი მცველებიც თავისი კაცებით უნდოდა შეეცვალა. მე ლუარსაბს საიდუმლოდ გადავუკარი სიტყვა, თუ რა საფრთხე იმალება ამაში-მეთქი. შადიმანი ძლიერ ჯავრობდა, მაგრამ ლუარსაბმა უთხრა: „სასახლის მცველებს არ გამოვცვლი, მემკვიდრეობითია. როგორც მამა-პაპანი იქცეოდნენ, სამუდამოდ ისე დარჩება.“ უმადური დედოფალიც მოითხოვდა მცველთა გამოცვლას. ჩემი გაგდებაც სურდათ. ბევრი რამ ვიცი დედოფლის შესახებ, არასასიამოვნო რამეა... ფრთხილად იყავ, გიორგი, ხერხეულიძის მოსპობა ძნელია, აზნაურს

კი არ მოერიდებიან. დააკვირდი შადიმანის მუშაობას: ქართლში მხოლოდ კენესა გაისმის, ხალხი სიცილს გადაეჩვია, მეფისთვის თქმას კი ვერავინ ბედავს, იციან, არ დაუჯერებს და მტრად ჩასთვლის ყველას, ვინც შადიმანზე ცუდს ეტყვის.

— გმადლობ, ბააკა, შენ საუკეთესო მეგობარი ხარ ჩვენი... შენს რჩევას მტკიცედ დავიხსომებ.

სამ დღეს დაჰყო სააკაძემ თბილისს, საკუთარ სახლში, რომელიც ნუგზარმა მისთვის იყიდა, მაგრამ, როგორც ბააკამ უწინასწარმეტყველა, მეფემ იგი არ მიიღო. მეფის მახლობელმა კარისკაცმა, ბატონიშვილმა ვახტანგმა ანუცხადა:

— მეფეს არა სცალია და ნადირობამდე არავის მიიღებსო.

სასახლის მიუწვდომლობამ ის გამოიწვია, რომ დიდებულნი მეტეხის გარეთ ხვდებოდნენ ერთმანეთს, საღამოობით კი მუხრან-ბატონის ძვირფასად მორთულ სახლში იკრიბებოდნენ, რომელსაც ხუმრობით პატარა მეტეხი დაერქვა.

მარიამმა რომ ეს გაიგო, მეტად გაჯავრდა: იგი ვარაუდობდა, დიდებულთა ოჯახები ყოველის გზით ეცდებიან ნებართვა მიიღონ ჩემს მცირე მიღებაზე დასწრებისაო, მაგრამ, მუხრან-ბატონის სტუმართმოყვარეობის გამო, დიდებულები იქ იკრიბებოდნენ, და მარიამის სამყოფელი თითქმის ცალიერი იყო.

მარიამმა მუქარას მიჰყო ხელი, მაგრამ შადიმანმა დაცინვით გაახსენა: შეუძლებელია მუხრან-ბატონს აუკრძალო არა თუ სტუმრები მიიღოს, არამედ თვითონაც სტუმრად იაროსო.

მუხრან-ბატონის მხიარულ ოჯახში სააკაძეს ერთბაშად მიაქციეს ყურადღება. ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მის მდიდრულ ჩაცმულობას. ორმა განვლილმა წელმა ვერავის დაავიწყა რუსუდანის უცნაური გათხოვება, რის შემდეგაც ახალგაზარდაწერილი ერთხელაც არ უნახავთ მეტეხი. სააკაძეს გარს შემოეხვივნენ და ეკითხებოდნენ, რა მიზეზია, რომ რუსუდანი არ გახლავთო. გიორგი ირწმუნებოდა, რუსუდანს პირმშოს სიყვარული აკავებს, ხოლო განცდილმა სიხარულმა უფრო დაამშვენა იგიო. დიდებულთა მეუღლენი მოწონების ნიშნად იცინოდნენ სააკაძის აღფრთოვანებაზე.

სააკაძე სწრაფად შეეგება შემოსულ ხორეშანს. ხორეშანს ნება ჰქონდა მეტეხში თავისუფლად შესვლისა და სიამოვნებით უზიარებდა ახალ ამბებს.

— რაო, მეფეს არა სცალიაო? ჰა, ჰა, ჰა!.. (ეიაღ, რა თქმა უნდა, არა სცალია. მეტეხში ნამდვილი ომია. ნესტანს ძალა ელევა, მთელი მეტეხი იწვის მისი თმის ალში. გულშარმა იცის, რომ ლუარსაბს ყველაზე უფრო ეს ოქროვანი ალი მოსწონს და, ნესტანი რომ არ ფრთხილობდეს, კარგა ხანია შეაკრეჭდა მის დიდებულ ნაწნავებს. უკვე ორჯერ დაიჭირეს ნესტანის ოთახში გულშარის მოგზავ-

ნილი ქალები, რომელთაც მაკრატელი მხად ჰქონდათ... როგორ სცემეს! ამბობენ, სულ დაჟეჟილი წავიდნენო. ლუარსაბი მთელ დღეს ხარხარებდა, ძალიან მოეწონა. ნესტანიც არ გახლავთ მტრედი. გულშარი მორთულობით იქებს თავს. ერთი მწვანე მარგალიტით მოქარგული კაბა ლუარსაბს ძალიან მოეწონა. მთელი დარბაზი აქებდა ამ კაბას. გუშინ გულშარს სურდა ჩაეცვა იგი, მაგრამ კაბა... ვთქვათ, თაფლით არ იყო გასვრილი... გულშარი ცოფმა შეიპყრო. კინალამ დახოცა თავისი ფარეშები, ჩემს ბინას ცუდათ იცავთო, ქალები იფიცებიან, ნესტანის ძიძა კუდიანია, ფუტკრად იქცა და შეუმჩნეველად შემოფრინდაო... დედოფალი? რასაკვირველია, ეზიზღება ნესტანი. აგრეთვე შადიმანსაც. დიდი ხანია მოჰკლავდნენ, მაგრამ ლუარსაბმა დაიფიცა ნესტანს რომ რამე მოუვიდეს, მთელ სასახლეს გავრეკავო. ნესტანის ნახვა რად გინდა, გიორგი? დიდი საქმე გაქვს? კარგი, ვეტყვი... ნუგეშინია, ვიცი, ვერავინ გაიგებს... დათო რად არ მოიყვანე? გინდა, ლუარსაბს მოვაგონო მის შესახებ? ჯერ ადრეა? შეიძლება მოვიცადოთ. დახე, ბატონიშვილი სიმონი მობრძანდა. პირველად ვხედავ აქა, სურს თავადების გული მოიგოს. სულ იმის ცდაშია, გაიგოს—რბილი საჯდომია თუ არა ქართლის ტახტი...

თავი ოცდამეთექვსმეტე

ქართლი ფერ-უმარილს იცხებს. აივნები შეღებილია იაფფასიანი ვარდისფერი, მტრედისფერი და ყვითელი საღებავით. ღობეები, ქუჩები, მოედნები და ხიდები შეკეთებულ-დასუფთავებულია, ბანებზე ფარდაგებია დაკიდებული, რიკულებზე კი—ჭრელი ქსოვილები. დაბალ კარებში დათვის ტყავები აგია.

მდინარეთა წყლებში იხატებიან მოკაზმული ქალაქები და სოფლები.

სახლებში ჩხუბი ხვეწნა და ტირილია: გამოაქვთ წართმეული ქონება.

ბაზრებში ყვირილი, გინება და მუქარა: ნაცვლები და ასასები სხვის ცხენებს ჰკაზმავენ, სხვათა ცხვრებს ჰკლავენ, სხვათა ყველს ამარილებენ, სხვათა ფრინველსა სწვავენ და სხვათა პურს აცხობენ.

შიშით მოცულ ქუჩებში დაძრწიან ხმაჩახლეჩილი ასასები და გაისმის შოლტის ტყლაშუნი.

ქართლი ფერ-უმარილს იცხებს. საჩქაროდ ემზადება, რათა სიხარულით შეხვდეს მეფეს.

ხალხის მოუთმენლობაზე მოახსენებენ ასასები თავის ტფილისელ უფროსს, იგი თავის მხრით—სამეფო ნადირობის გამგეს, სამეფო ნადირობის გამგე—ციხის თავს, ციხის თავი—შადიმანს, შადიმანი კი—მეფეს.

მეფე ჩქარობს. მოლარეთუხუცესს უბრძანეს, ქისები გაავსეო. მოლარეთუხუცესი მელიქებს მოუწოდებს, მელიქები—ნაცვლებს, ნაცვლები—ამქართა, მამასახლისებს და ხარკის მკრეფელთ: ქისები სავსეა.

ლუარსაბი იჩქარის, რათა წინაპართა ჩვეულება აღასრულოს და გაეცნოს თავის სამეფოს. შადიმანი სხვადასხვა საბაბით აყოვნებს მოგზაურობას. მან მოახერხა და მეტეხის ბრწყინვალებით დაარწმუნა ლუარსაბი, ქვეყანა ჰყვავისო, მაგრამ სამეფოში მოგზაურობა კი სულ სხვა საქმეა.

ბაკაას ფრთხილი რჩევით, ლუარსაბმა მოგზაურობა გაზაფხულისთვის დანიშნა. შადიმანმა ქალაქად და სოფლად ერთგული კაცები დაჰგზავნა.

მაისში დაიწყო ლუარსაბ მეორის საზეიმო მოგზაურობა. ლუარსაბი დიდი პატივისცემით უგდებდა ყურს ერთგული ბაკაას საიდუმლო რჩევას და თავის მხლებლებად მიიწვია. არაგვისა და ქსნის ერისთავები, მუხრან-ბატონი, სააკაძე და მრავალი ბრწყინვალე გვარეულობა. ხოლო შადიმანის სურვილით კი—ბატონიშვილი სვიმონი და ბაგრატი, ჯავახიშვილი, რევაზ ორბელიანი, მაღალაძე და შადიმანის სხვა მომხრეები.

დედოფალი მარიამ მეტეხში დარჩა სამეფოს მმართველად.

გულშარმა თავისი საუცხოო მორთულობითა და მრავალი ამალით ჩაჩრდილა მთელი ქართლის ლამაზები. ტყუილუბრალოდ ცდილობდა მეტოქეობას მეფის ნაჩუქარ ოქროსფერ ულაყზე ამპარტავნულად მჯდომარე ნესტანი.

უძლეველმა გულშარმა მოსყიდვით შეიტყო ლუარსაბის ქულაჯის ფერი და მარგალიტებით მორთული ოოლოსფერი კაბა ჩაიცვა.

ლუარსაბი თეთრ ტაიჭს მიაგელვებდა. მეფეს ამშვენებდა ზურმუხტებით მორთული თეთრი წაღები, თეთრი ფაფახი, რომელზედაც ზურმუხტისავე ვარსკვლავი ბრწყინავდა, ძველებური, ოქროთი ნაქედი ხმალი და ძვირფასი ბრილიანტი ნეკზე.

მეფის ამალა გამოწყობილი იყო თეთრად, ვარდისფრად და ცისფრად.

ყოველი მათგანი თვალს აცეცებდა და ცდილობდა შეუმჩნევლად მიახლოვებოდა მეფეს.

წინ, მეოთხედ ვერსზე, მიდიოდნენ საომარი წესით დაწყობილი ქეშიკები, მათ მიჰყვებოდნენ თეთრადჩაცმული მოლაშქრენი და ბაკაას მიერ შერჩეულ ერთგულ მცველთა რაზმი.

ლუარსაბი, რომელსაც გარს ეხვივნენ დიდებულნი და მთავარნი თავიანთი ოჯახებითურთ, მხიარულობდა, ოხუნჯობდა. იგი სიამოვნებით ჰფიქრობდა კეთილ ქართლში მხიარულ მოგზაურობაზე. ბრწყინვალე ქარავნის ბოლოს იძვროდნენ მრავალრიცხოვანი რაზმები ციციშვილის მეთაურობით. მსახურნი ბარგით დატვირთული აქლემებითა და ცხენებით ადრევე გაემგზავრნენ.

სააკაძე ნუ?ზარისა და ზურაბის გვერდით მიდიოდა. ერასტი კი — ქეშიკთა შორის.

შესვენება მოხდა გაზაფხულის ყვავილთა თვალწარმტაც ხალიჩაზე. რაზმებით გარშემოტყმულ ტყეში გაშალეს ჭრელი კარვები.

ლუარსაბმა საიდუმლო მიპატიჟება მიიღო და ტყეში შეეიდა.

დიდი მუხის ქვეშ გულშარი ელოდებოდა. აღფრთოვანებული მეფე ღრუბელს შესცქეროდა, რომელიც ოქროს ვარსკვლავებს არხევდა, და ალერსით ჰკითხა: რად ასე იდუმალ შემომიტყუა ტყის ფერიამ იმედთა სამეფოშიო.

— იმედი, მეფეე, მუდამ ტყეში კი არა, ზოგჯერ ასპარეზზედაც ჰხარობს.

— ასპარეზზე იმედი ჰხარობს, გულშარის ახლოს კი—სურვილი.

— დამცინი, მეფეე?

— არა, ვტკბები!—ლუარსაბმა მძლავრად მიიზიდა თავადის მეუღლე.

— გართობა როდია ტყიური ხილი!—გულშარი გაუსხლტა და შეშფოთებით მიმოიხედა.—მითხარი,—მეფეე, ვის აირჩევ ასპარეზობის მარგალიტად?

ლუარსაბმა იშვნეულად შეჰხედა. მოგზავნილია ქმრისაგან, რომელსაც სურს საჯაროდ გაითქვას სახელი, როგორც მეფის მეგობარმაო... ცოტა დუმილის შემდეგ მიუგო:

— მაგაზე ჯერ არ მიფიქრია... რასაკვირველია, გულით შენ მინდიხარ, მაგრამ... აშკარა უპირატესობა შეიძლება ამირინდოს არ მოეწონოს.

— რას ამბობ, მეფეე! მას ძალიანა სურს...—მაგრამ უეცრადვე დაურთო:—რომელი ქვეშევრდომი ისურვებს სხვანაირად?

ლუარსაბს გაეღიმა: საბედნიეროდ, ქალის სილამაზე ყოველთვის როდია მისი ჭკუის თანაბარი, თორემ მამაკაცები სულ დაიღუპებოდნენო, და ხმამაღლა მიუგო:

— ვიცი, ყოველი ქვეშევრდომი ცდილობს აამოს მეფეს, მაგრამ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება როდი ვარგა... ასპარეზობამდე შორსაა, მშვენიერო გულშარი, ღამე კი სულ ახლოსაა... აბა? კვლავ სდუმხარ?

— შრიალი მომესმა...

და მართლაც, სააკაძე უნებლიედ წამოედო ჯირკსა და სწრაფად მიიმალა ტყეში, თანაც გაგონილზე ფიქრობდა: „ლუარსაბი არც ისეთი ბლაგვი ხმალია, როგორც დიდებულნი ჰფიქრობენ. რაინდის ღირსებას აფასებს და მეტად თავგასულთ არ დაინდობს.“ ასეთმა აღმოჩენამ ძალიან გაახარა სააკაძე. რა თქმა უნდა, გულშარი იყიდის მეტე ხში პირველობის უფლებას, მაგრამ მეფე ახალგაზრდაა, ენებანი უფრო მალე ჰქრებიან, ვიდრე გულშარს ჰგონია...

გარნა სააკაძე მალე დარწმუნდა, რომ არათუ თავადები და გულშარი, არამედ თვითონ იგიც მეფეს ვერ იცნობდა.

ლუარსაბის საზეიმო მოგზაურობის ძთელს გზაზე წინასწარ გაფრთხილებული სოფლები, სადაც მეფე ჩერდებოდა, არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდნენ. თბილისელი ასასები და ადგილობრივი ხარკის მკრეფელნი თვითეულ ოჯახს ბეგარას ადებდნენ მეფისა და მისი ამალის სუფრისათვის, სანამ ისინი ამა თუ იმ სოფელში დარჩებოდნენ.

და აი საეკლესიო მოედანზე მოერეკებოდნენ რქიანი საქონლის ჯოგს. მოათრევდნენ ზამთრისათვის გადანახული თაფლის, ყველისა, და ერბო-კარაქის დერგებს. მოჰქონდათ ხორბლით სავსე ტომრები, ღვინიანი ტიკები, ხილიანი კალათები. შეგროვებული სანოვაგიდან და საქონლიდან წესიერად გამოიყოფოდა მეთერთმეტე ნაწილი ციხისათავის ამირინდოსთვის და მდივანბეგისთვის, რომლის მოვალეობასაც ამჟამად შადიმანი ასრულებდა. მათ მიერ გზაში გაწეული მძიმე შრომის კანონიერი შემოსავალი მსახურთ ამირინდოს და შადიმანის კოშკებში მიჰქონდათ.

მეფის სტუმრობის მთელი ხნის განმავლობაში ყველა ვალდებული იყო მეფეს ჰხლებოდა, ოჯრის დროს შორი-ახლოს მჯდარიყო და შაირით, ზმით, სიმღერითა და ცეკვით გაემხიარულებინა დიდი სტუმარი.

ლუარსაბი აღფრთოვანებულია: მამა-პაპათა პატრიარქალური ჩვეულება მის მიერ სრულდება და მეფისა და ხალხის შეხვედრა ქართველთა ურყევ ერთობას ამტკიცებს.

დღისით მეფეს სადღესასწაულოდ გამოწყობილი, აუარებელი ხალხი აცილებდა. ხოლო ღამით წინ მირბოდნენ გლეხები და ჩირაღდნებით ანათებდნენ საზეიმო გზას.

და მეფ ს წასვლის შემდეგ სოფელი კალიის შემოსევით განადგურებულ ყანას ემსგავსებოდა.

მიუხედავად გულშარის სილამაზისა და ნესტანის მომხიბლველობისა, მიუხედავად ასეულ სხვა კეკლუცთა ხარბი თვალისა, ლუარსაბმა მაინც შეამჩნია გლეხთა უხეირო ღიმილი, მათი უცნაური სიხარული და მათი დედაკაცების მორიდებული თვალი.

და მხოლოდ მეფის გულითადობა ანელებდა ხალხის გაბოროტებას.

მოსახვევებში, გზაჯვარედინებზე ლუარსაბი ქალებს ეკითხებოდა მათი დაქანცულობის მიზეზს, გარნა შეშინებული ქალები მეფეს მადლობას ეუბნებოდნენ გულკეთილობისათვის, გამხდარნი კი „ღვთის ნებით“ ვართო.

მეფე ფულს არიგებდა და ჰპირდებოდა: კანონი უნდა გამოვცე, რომლის ძალითაც სასტიკად დაისჯება ის მამაკაცი, ვინც ქალის

ღაწვთა წამოწითლებას ვერ მოახერხებსო. ქალები მორცხვად იფარებდნენ. ტუჩზე ხელსა და წყნარად იცინოდნენ მეფის ოხუნჯობაზე.

შადიმანმა გადასწყვიტა, გაეჭარწყლებინა ცუდი შთაბეჭდილება და მეფის სავალზე სანდო კაცები დაგზავნა სათანადო ბრძანებით.

ჭალაში ლუარსაბი კინალამ ცხენზე გადავარდა შეუკავებელი სიცილის გამო. ხარხარებდნენ დიდებულნი, ჭყიოდნენ დიდებულთა მეუღლენი. იღრიჭებოდნენ ქეშიკნი და მეჩიბუხენი, ხითხითებდნენ შუბოსნები და ჭიხვინებდნენ ცხენები... წითელი საღებავით მოთხუპნული ქალები და ბავშვები ტრაგიკულად შესცქეროდნენ ცხიარულ ქარავანს, შადიმანი ტუჩებს იკვნეტდა, მიუხვედრელი ქარავანი კი სიცილით ჰკვდებოდა ჭალელთა უხიაგი ჩვეულების გამო.

ღამის სათევზე, გაჩაღებულ კოცონთა პირას, სმასა და ლხინში გიორგიმ დრო იხელთა და ნესტანს წასჩურჩულა შადიმანის გონებამახვილობის შესახებ. მეფის გულგრილობით დანაღვლიანებულ ნესტანს გაეხარდა: შემთხვევა მეძლევა კუდიანის ნათესავს ვუჩქმიტოვო.

საკაძემ შემთხვევით როდი არგუნა თვისი არჩევანი ნესტანს. მან შეამჩნია, რომ ზურაბ ერისთავი მოხიბლული იყო ნესტანითა და გადასწყვიტა მათი შეუღლებით ზურაბი მეტეხში ნეყვანა და ამით შეესუსტებინა ამილახვრისა და შადიმანის გავლენა მეფეზე.

გორში მეფის სტუმრობა დიდებული ასპარეზობით დამთავრდა.

დილიდან დაბინდებამდე ზურნა-დუდუკი არ სწყდებოდა. ციხის კარებიდან მთავარ ქუჩამდე ჩამწკრივებულიყვნენ საპატიო ამქარნი და მოქალაქენი და გაოცებულნი უცქეროდნენ ქართლის მეფის დიდებულ სანახაობას. არანაკლები გაოცება გამოიწვია მდიდრული მორთულობითა და მრავალრიცხოვან მსახურთა ჩაცმულობით დიდებულთათვის განკუთვნილმა უზარმაზარმა შენობამ.

საკაძე და მისი საყვარელი ზურაბი ერთი მდიდარი ვაჭრისას დაბინავდნენ. ერთხელ, ღამით, გიორგიმ შეყვარებულს ურჩია: კი ნუ ოხრავ, არამედ იმოქმედე, ეგეთი წარჩინებული მამაკაცის წინაშე რომელი გული არ ათრთოლდებაო? გაოცებული ზურაბი უეცრად წამოიჭრა: საიდან იცი ჩემი გულის დარდიო. საკაძემ ჩაიცინა: განა ძნელი გამოსაცნობია საით იბრუნებს პირს უთავოზო მოსაუბრეო?

გორელებთან ერთად ლხინობს ლუარსაბი ციხის ზღუდეზე, რომელსაც იცავს თამარ მეფის ფარი. ფერხულში ჩაბმულან უტეხი მეომრები. წინწილების წკრიალზე მიმოჰკრიან ტანადი გორელი ქალები.

გუგუნებს სიმღერა, თითქოს ციხის ზღუდე ზრიალებსო. სახალხო მომღერალთ გამოეყო ლურჯთვალა ჭაბუკი, ხუჭუჭი თავი გაიქნია, ჩანგი ააღუღუნა და გმირული სიმღერა დაამღერა.

მშვენიერი, შეწყობილი სიმღერით მოხიბლული საკაძე ძირს, ბაღებში ჩაფლულ გორს დასცქეროდა. ათვალიერებდა მიხვეულმოხვეულ ვიწრო ქუჩებს, პატარა სახლებს, დანისლული ლიახვის ლუშტალღებს. ცისფერ ჰაერში უძრავად სთვლემდნენ ვაშლის გამჭვირვალე რტოები.

ხმლის მჭრელობას იკვეხნიდნენ ულვაშა გორელნი, ჯაჟვის ჯავშანს იქებდნენ ისინი, არაბთათვის რომ წაერთმიათ. უსმენდა ლუარსაბი გორელთა სამხედრო სიმღერებსა და ტკბილად იღიმებოდა...

სამეფო ბაღს მზემ ოქროს სხივები დააყარა. მოქურუშებულ ტბის პირას შავი გედები სდუმდნენ.

მეფე ისვენებდა და ვრცელი ეზო ლუარსაბის სადგომიდან შორეულ საჯინიბომდე მოწყნარებული იყო.

აღელვებული ნესტანი სურნელოვან ფანჩატურში დაბორიალებდა: დიაღ, ცხადია ასპარეზობაზე გულშარი მეფის რჩეული იქნება. ტყუილად კი არ უშველა ლუარსაბმა კლდეზე ასვლა. ამირინდოს რაღაც საჩქარო საქმე გაუჩნდა მახლობელ სოფელში ეს შემთხვევითი როდია... გულშარი მარტო დარჩა...

ნესტანი სწრაფად შეეგება სააკაძეს.

— გიორგი, მოიგონე რაიმე საშუალება, რომ გულშარი ასპარეზობაზე მეფის გვერდით არ იჯდეს?

— მოვიგონე საშუალება, რომ ორბელიანის ასულს დავეხმარო ღირსეულად დააღწიოს თავი უთანასწორო ორთაბრძოლას. არ დაგიმალავ, თავადის ასულო, მარტო სილამაზით როდი მოსწონხართ. შენმა მახვილმა გონებამ მოხიბლა ჩემზე უფრო ღირსეული კაცი... მაგრამ ვილაპარაკოთ ასპარეზობაზე... .

— ჯერ მითხარ, ვინ მოგგზავნა?

— ზურაბ ერისთავს უყვარხარ.

ისტერიულმა ხარხარმა გააყრუა ფანჩატური. ნესტანი ხარხარებდა, სანამ ხმა არ ჩაუწყდა. და თან გაბოროტებული იძახდა: რამდენ მახინჯს უყვარს კიდევ ნესტანი? ან შეიძლება ნუგზარს კიდევ გამოუჩნდეს მეორე ბაადური, ან იქნებ ახლა ყველა ტლანქმა დათვმა ლამაზი უნდა შეიყვაროს? დიდ ხანს ხარხარებდა ნესტანი და ბოლოს ყურადღება მიაქცია სააკაძეს, რომელიც დამშვიდებით ჰფურცლავდა მშვენიერ ვარდს. იქნებ ხუმრობდესო,—გაიფიქრა თავადის ასულმა.

— არა, თავადის ასულო, არ მეხერხება სხვის გულის დაცინვა. მრავალი ავი სიტყვა დახარჯე, რაც შენ არ შეგეფერება... აქ მარტონი ვართ. მოიღე მოწყალება და მოუსმინე გულახდილ მეგობარს, რომელსაც სურს უბედურებას გადაარჩინოს თავადის ასული ნესტან. დეე ჩემი სიტყვები მწარე იყოს, გარნა როდისმე გაიგებ, რომ ასე ლაპარაკი მხოლოდ ერთგულ მეგობარს შეეძლო. ვიცი, საითკენაც

მიფრინავ, ნესტან, მაგრამ ფრთხილად! ჰხედავ, რამდენი ხმალი აღმართულა შენი ჰაეროვანი ფრთების შესაკვეცად!.. ნუთუ დედოფალი დასთანხმდება ასეთ შეუღლებას? ნუთუ დიდებულნი შეიწყნარებენ, რომ ქართლის მეფე ასე არახელსაყრელად დაქორწინდეს? ახლა შადიმანის ძალაუფლება? კარგად დააკვირდი გულშარს: აბა ამილახვრის მეუღლეს ვინ შეედრება საშუალებათა გამოძებნაში? და განა დედოფალი, შადიმანი, მთელი მეტეხი გულშარის მომხრე არ არის? აბა სად შეუძლია მშვენიერს პატარა ნესტანს გვირგვინოსან და უგვირგვინო ვეფხებთან ბრძოლა!.. ან იქნებ ორბელიანის ასული ?ციერე რამ ადგილმა დააკმაყოფილა მეფესთან? ასეთ რამეს სიამოვნებით შეიწყნარებენ...

— სცდები, გიორგი, დედოფალი ალერსიანად მეპყრობა და ლუარსაბიც სავსებით დამშვიდებული არ არის... მაშინ, რად არ უნდა მქონდეს იმედი?

— ნება მიბოძე, თავადის ასულო, მოგახსენო. რად იწყინე ზურაბის სიყვარული? განა ერისთავები მეფის დარი მფლობელები არ არიან? განა ერისთავების სიმდიდრეს თვით დიდებულნიც კი არ ეხარებიან? აბა ვინ გაბედავს ქედი არ მოიხაროს ნუგზარის რძლის წინაშე? ნუ სწუხარ, გიორგი საკაძე ჰფიცავს, რომ ზურაბი იქნება ერისთავთა ?ემკვიდრე და არა ბაადური. დაფიქრდი, განა ამაზე უკეთესი შემთხვევა იქნება, რომ მეტეხიდან პატივით წახვიდე, სანამ უბრალოდ არ გაუგდიხართ?... დარწმუნებული ვარ, რომ გულშარის ერთერთი აუცილებელი პირობა ის იქნება, რომ მეტეხიდან ორბელიანის ასული განდევნონ.

გაჯავრებულმა ნესტანმა შროშანას ყვავილი გასთელა და კარისკენ გაემართა. გახელებულ ოცნებაში გულშარი უკვე მისი ხელით დამხრჩვალი ეგდო.

საკაძემ ხელი სტაცა და სკამლოგინზე დასვა. ნესტანს სული ეხუთებოდა.

— მზად ვარ სული ეშმაკს მივცე, ოღონდ იმ გველს სამაგიერო ვუზღო.

— რა საჭიროა ღვთის საწინააღმდეგო საქციელი? ჩემი რჩევა დაიჯერე და შურნაძიები იქნები. მშვენივრად ვიცი, რომ თავადის ასული ნესტანი არ შეარცხვენს თავის მეუღლეს, თორემ ნებას არ მივცემდი ზურაბის რაინდული გული უღირსს კუთნებოდა... როცა მეფე ზურაბისადმი სიყვარულის შესახებ გაიგებს, თავმოყვარეობა გაეღვიძება. მერწმუნე, ასეთი მოულოდნელობა გულშარზე გაჯავრებას გამოიწვევს და, რათა შენი გული მოიგოს და ერისთავებისადმი კარგი განწყობილებაც გამოიჩინოს, მეფე ასპარეზობის მარგალიტად ზურაბის სასძლოს აირჩევს.

— ო, შეიძლება განა ასეთი რამ მოხდეს? მეფის აშკარა გულგრილობა გულშარს გულს მოუკლავს. ო, გიორგი, გიორგი, ყველაფერს

დავთანხმდები, თუ სიტყვას მომცემ, რომ ნესტანი და არა გულშარი დაიკავებს ადგილს მეფის გვერდით.

— სიტყვას გაძლევ, ნესტან, რომ ერისთავის მომხრენი ისარგებლებენ წემთხვევით, რათა შადიმანს უკბინონ, და მეფეს შთაგონებენ, თუ რანაირად აღნიშნოს ნუგზარის საყვარელი ვაჟის დაქორწინება. შემდეგში კი ერისთავის მეუღლე მეტეხში დიდ ადგილს დაიკავებს. ლუარსაბს იდუმალი იმედი ექნება ნესტანის გული მოიგოს და ამიტომ ზურაბს სამეფოს საბჭოს წევრს გახდის, ხოლო ერისთავის მეუღლეს დიდი შესაძლებლობანი მიეცემა. გულშარის საწინააღმდეგოდ. ნესტანი მეტეხში სათავეში ჩაუდგება ერისთავისა და მუხრან-ბატონის პარტიას. განა სამეფოს საქმენი არა გხიბლავენ? ნუთუ შენი ქკუისა და ხასიათის პატრონი მცირე რამ ინტრიგებით უნდა დაკმაყოფილდეს?

— კმარა, გიორგი! არასოდეს არ დავივიწყებ შენ მიერ გაწეულ სამსახურს. დაბინდული თვალი ამეხილა. დიაღ, მეტი რამ მინდა. სიცოცხლეს არ დავიშურებ ერისთავების ინტერესებისათვის. და ვინ იცის, იქნენ მამის მკვლელობისთვისაც შური ვიძიო. დათო ოღესმე სიჩუმეს დაარღვევს და მკვლელსაც დაასახელებს... გადაეცი ზურაბს, ნესტანი თანახმაა და შენზეა დამოკიდებული სიყვარული მოიპოვოთქო...

დიდ ხანს იჯდა ფიქრებში გართული ასე უეცრად განდიდებული ნესტანი: როგორ შემეძლო მშვიდად მელოდნა, სანამ გულშარი თავის მეტოქეს მეტეხიდან გააძევებდა? და განა საქმე აქეთკენ არ იყო მიმართული? მაგრამ ვინ გაბედავს ალმაცერად გადახედოს ერისთავის მეუღლეს?

თვალგაბრწყინვებული ნესტანი კარებისკენ გაემართა და მოულოდნელად შეჰკივლა. ლუარსაბი რამდენიმე წუთს აკვირდებოდა გაფითრებული სახის უცნაურ თამაშს და თვალმოქუტულმა ალერსით ჰკითხა:

— რამდენი ხანია მას აქეთ. რაც მეფის დამატყვევებელი ნესტანი გოლიათს ალერსის ნებას აძლევს.

— გულშარმა მოგიტანა სიტყვა?

— არა, ზუგზამ... თავადის მეუღლეზე არა ნაკლებ იქვნეულია. და დიდი ხანია უყვარს გიორგი. გირჩევ, ფრთხილად იყო, ძალიან ფიცხი ქალია...

— ასე ულირსად რად მეხუმრება დღეს დიდებული მეფე?—და ნესტანი ამაყად გაიმართა.—სააკაძემ საქმროსაგან სალამი გადმომცა...

— საქმროსაგანო?!... რომელი გულადი ჰბედავს ცეცხლს ხელი ახლოს?

განაწყენებული ლუარსაბი ცდილობდა მხიარულებით დაეფარა გულმოსულობა. ნესტანმა უსიამოვნება შეამჩნია და გული სიხარუ-

ლით აუთრთოლდა. შურის ძიების გრძნობამ მთელი არსებით შეიპყრო.

— ჩემო ხელმწიფევ, ნესტანი შეიძლება იყოს ცოლი მხოლოდ ცეცხლის, წყლისა და მახვილის უშიშარი დამპყრობისა.

— კარგი ნათქვამია, ქართლში ბევრია ეგეთი რაინდი, მაგრამ...— ლუარსაბმა უხიაგად გაიცინა.—მინდა ვიცოდე სახელი იმ თავხედისა, ვინც ჩემი მგზავრობის გაუსიამოვნება გაჰბედა.

— ზურაბ ერისთავი...

მიუხედავად იმისა, რომ ლუარსაბი საკმაოდ ხაცადი იყო, გაკვირვება ძლივს დაჰფარა და მოწიწების ნიშნად თავი დაჰხარა.

— ყველა რაინდთა შორის იგი ყველაზე ღირსია მშვენიერი ნესტანისა... ბედნიერი ვარ, რადგან ყველაზე უფრო საყვარელნი დიდებულნი მეტეხს დაუახლოვდებიან... ჩემი ნესტანი, რა თქმა უნდა, არ მოისურვებს სასახლის მიტოვებას?—შეპარვით ჰკითხა ლუარსაბმა. ჩამავალი მზის სხივთაგან განბანილი, არასოდეს თავადის ასული ასეთი მომხიბვლელი არა ყოფილა და ლუარსაბსაც ძალზე სურდა ოდნავ დაეყოვნებინა მაცდუნებელი ლამაზი.

იდუმალ აღფრთოვანებულმა ნესტანმა განგებ თამვდაბლად წაიჩურჩულა:

— უკეთუ სულგრძელი მეფე ინებებს მახლობელთა შორის იყოლიოს ერისთავი, მაშინ ბედნიერად ჩავთვლი ჩემ თავს აღარ მივატოვო მეტეხი და აღფრთოვანებულმა ვუცქირო, თუ წლითი-წლობით რა ბრძენი და მშვენიერი ხდება ჩემი მეფე.

მშვენიერის ლიქნმა წამოაწითლა ლუარსაბი და მან ალერსით ჰკითხა: რითი გსურს აღვნიშნო ეს სასიხარულო ამბავი, დღეს ყველაფერი შენს განკარგულებაშია.

— ქვეშევრდომთათვის ყველაზე სასიხარულო მეფის ყურადღებაა. ჩივილი არ შემიძლია—პატარა თინათინის თხოვნა ყოველთვის ყურადღებით სრულდებოდა, ხოლო ერთადერთი ჩემი სურვილი ის არის, მომავალშიც უცვლელი დამოკიდებულება დავიმსახურო.

დიდებულნი ბაღში შეკრებილიყვნენ და თვალს ადევნებდნენ ნესტანთან მოსეირნე მეფესა და ბრაზისაგან გაყვითლებულ გულშარს; კიდევ უფრო გააკვირვა ყველანი ხერხეულიძემ, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა: სავსებით საბრძოლოდ აღჭურვილი მობრძანდა მამაცი ნუგზარ ერისთავი. ლუარსაბმა ღიმილით გადაჰხედა ნესტანს და კარისკენ გაეშართა. გულშარი ბრაზით იღრჩობოდა. გიშრის კრიალოსანს გახურებულ ხელში ათამაშებდა და გულში მრისხანედ იძახდა: ვერა, ყვითელი ჭინკა ვერ გასტეხს გულშარის სიმძლავრეს. გულშარმა იცის უკანასკნელი საშუალება... ვნახოთ

ხვალ ვინ დაჩრდილავს გორს თვისი მორთულობისა და ძვირფასეულობის მშვენებით.

არა ნაკლები გამოცოცხლებაა ნუგზარის სახლშიც. ხმამაღალმა შეძახილმა ნარდი გააგდებინა ხელში ქალბატონ ნატოს. იგი სწრაფად გავარდა მეზობელ ოთახში და კარებშივე გაქვავდა.

ზურაბი გიჟივით ტრიალებდა ხალიჩაზე და ხან გიორგის ეკიდებოდა კისერზე, ხან კი შიშველ ხმალს იქნევდა. ნატო გაჯავრდა: მავნე სულებთან მებრძოლი ამირანი ხომ არ გგონია თავიო, ან იქნებ გსურს გაიგო დედაშენს თუჯის ყურები ხომ არ ასხიაო? აბორიალებულმა ზურაბმა კოცნით ჩააჩუმა მობუზღუნე დედა: მართლაც ვიბრძოდი და გავიმარჯე, გარნა არა მავნე სულზე, არამედ ამაყ ნესტანზე. მამა დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს მეფესთანა!

ნატომ ხელი ჩაიქნია და ნუგზარის გასაღვიძებლად გაემართა. ერისთავთ უკვე დაკარგული ჰქონდათ იმედი საყვარელი შვილის დაქორწინებისა, რადგან იგი მტკიცე უარს ეუბნებოდა ყველა სარძლოს. მიუხედავად სიხარულისა, ნუგზარს მაინც გაუკვირდა: რა საჭიროა ასეთი აჩქარება? შეიძლება ფრთხილად გამოვიკითხოთ, რადგან თავადის ასულზე რაღაც ხმები დადისო... ნატო გაჯავრდა: როგორც იქნა, ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა და ზურაბს გრძნობა აღუძრა, ახლა კი განა საჭიროა დაყოვნებით გამოვცადოთ ღვთის მოწყალებაო?

ნუგზარის გამგზავრების შემდეგ ნატომ გიორგი მოიწვია, რომელსაც, მისი აზრით, კარგი გემოვნება ჰქონდა, და სთხოვა: დამეხმარე ნესტანისათვის გასაგზავნ საჩუქართა შერჩევაშიო. ზურაბის ძიძა სწუხდა: არ ვიცი რა კაბა ეცმევა თავადის ასულს, რომ იმის მიხედვით აგვერჩია მორთულობაცო. ნატო წუთით დაფიქრდა. ოდნავ შეყოყმანდა და მერმე უეცრად განზე გაიხმო ძიძა.

ტახტზე მჯდომი ლუარსაბი ღიმილით უსმენდა ერისთავს, რომელიც იკვიანად ათვალიერებდა მეფეს. ნუგზარს ვერ დაეძლია გაუბედაობა, რომელნიც გამოწვეული იყო იმ არასასიამოვნო ხმებით, რაც ნესტანისა და მეფის შესახებ დადიოდა, და გადასწყვიტა: მეფეს რომ ოდნავი დაცინვა შეეამჩნიო, მირჩევნია ზურაბი მოკვდეს, ვიდრე საგვარეულო შევარცხვინოო. ლუარსაბი მიუხვდა გუხებას:

— დიდად პატივცემულმა, ქველმა ნუგზარმა პატივი დამდო და მამაცი ზურაბისათვის ცოლად მთხოვს ნესტანს. თავადის ასული ჩემთვის ძვირფასია თინათინისადმი სიყვარულის გამო და წმინდად

ვასრულებ აღთქმას — ღირსეულ ქმარს ჩავაბარო ნესტანი. მტკიცედ მჯერა, რომ ნესტანი და ზურაბი არასოდეს არ ინანებენ წმინდა ქორწინებით შეერთებას... შენ კი შემიძლია დაგარწმუნო: ნესტანი სწორედ ის ქალია, რომელზედაც მამაცი ნუგზარი ოცნებობს თავისი ვაჟისათვის...

ერისთავმა დაირცხვინა: ყრმა მეფე მიხვდა და უწყინარად აუხვია გვერდი უსიამოვნო ეჭვსო.

მიუხედავად მრავალი ხრიკისა, საიდუმლოება არ გამჟღავნებულა. გულშარის ნაზ კეკლუცობაზე ლუარსაბი ქარაგმულად სულ იმას ეუბნებოდა, რომ მოსალოდნელია თავაზიანი საქციელი ჩავიდიონოო. შადიმანი იმ დროს იქ არ იყო. მისმა მეჩიბუხემ შეატყობინა და იგიც სწორედ იმ დროს მოფრინდა, როცა ერისთავი უკვე სასახლიდან წავიდა. მეფე მტკიცედ სდუმდა და მისმა ბრძანებამ – ხვალ დარბაზი შეჰკრიბეთო, უფრო გააღვივა ცნობისმოყვარება.

ლუარსაბს ის იყო გაეღვიძა და გაკვირვებული ათვალიერებდა ატლასის საბანზე ამოქარგულ თხის რქებს, ხერხეულიძემ ფრთხილად შეაღო კარი:

— თავადი მუხრან-ბატონი გთხოვს მიმიღოსო.

ლუარსაბმა მხიარულად იკითხა: ნეტავ ერისთავის მეგობრობის გამო თვითონაც ხომ არ სურს ვაჟი დააქორწინოსო? უნდა მივიღო, დიდი ამაყი ვინმეა, ერთიც ვნახო, ომი ამიტეხოსო.

— კაცს ეგონება, მამაცო გურამ, ქართლს მტერი მოსდგომიაო. თვით არა გძინავს და მე საწოლში მამყოფებ,—სიცილით შეხვდა ლუარსაბი მუხრან-ბატონს.

— ვაპატიე, ბრწყინვალე მეფევ, მაგრამ, რაკი ზოგიერთი კარისკაცის ამბავი ვიცი—მთელ დღეს თვალს არ გაშორებენ, გადავწყვიტე ცბიერებაში ვაჯობო მოშურნეთ, ხოლო რაც შეეხება მუხრან-ბატონის მტრებს, ყოველთვის შევძლებ ღირსეულად დავხვდე მათ და ეს გარემოება დეე ძილს ნუ უფრთხობდეს ქართლის მეფეს...

— რა გნებავს, ჩემო თავადო,—ალერსით ჰკითხა ლუარსაბმა, რაკი იცოდა, რომ მუხრან-ბატონი გულღია კაცი იყო.

— წყალობა ჩემი მეგობრის ნუგზარისათვის... ალბათ, არ იცი, ერისთავს სურდა გურიის მთავრის ასული მარიამი შეერთო ზურაბისათვის, მაგრამ სიყვარულმა ჩაფუშა თავადის განზრახვა. რასაკვირველია, ნესტანი ბევრ თავადის ასულს სჯობია, მაგრამ ავი ენანი ირწმუნებიან, მეტეხში სიბრალულის გამო შეივრდომესო. ეს მეტად სამძიმოა ამაყი ნუგზარისათვის...

— დედოფალი იზრუნებს ნესტანის მზითევისათვის...

— მზითევი? განა ნუგზარს სიმდიდრე ესაჭიროება? მეფეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ნესტანი სამოწყალოდ კი არა, მაღალი წარმოშობის უფლების ძალით ცხოვრობდა სასახლეში...

— მერე რით უნდა დავამტკიცო?

— აბა მე როგორ შემიძლია ვასწავლო მეფესა და ქართლის პირველ რაინდს თუ როგორ უნდა ქვეშევრდომისადმი კეთილგანწყობილების გამოჩენა...

ლუარსაბი დიდიხანია მიხვედრილი იყო ძველი არისტოკრატის გულნადებს, მაგრამ განაგრძობდა თავადის დიპლომატიით გართობას.

— კარგი, მოვიფიქრებ, იმედი მაქვს სასიამოვნოს რასმე მოვიგონებ თავადის ასულისათვის.

მუხრან-ბატონი დაეინებით დააცქერდა მეფეს: წავჩურჩულო? მაგრამ მეფეთ არ უყვართ, როცა მათ მიუხვედრობას ამხელენ, და ხშირად საწინააღმდეგოს სჩადიან.

მდუმარე ლუარსაბი ღიმილით ათვალიერებდა ჭერს, სადაც მწვანე მინდორში რქიანი ირმები სძოვდნენ.

მუხრან-ბატონი წამოდგა და მეფეს კარგი გუნება უსურვა.

ლუარსაბმა შეამჩნია დიდებულის ფარული წყენა... რასაკვირველია, არა ღირს მძლავრი მუხრან-ბატონისა და ერისთავის გაღიზიანება... მერე გულშარი? მაგრამ განა მეფეს შეჰფერის ქალის სათამაშო იყოს? თავადის მეუღლეს საწყენი არაფერი აქვს. განა ზრდილობის გამო არ მივაქცევ ყურადღებას სხვის საცოლეს და არა შეყვარებულს? ...დიაღ, მაგრამ შადიმანი გულშარის არჩევაზე ოცნებობს. მტერთა ზეიმი დაამწუხრებს ერთგულ შადიმანს, რომელიც დაუღალავად ზრუნავს ქართლის კეთილდღეობისათვის. როგორ მოეიქცე?

ლუარსაბმა ფიცხად შემოჰკრა ვერცხლის ბურთს. რას არ გაიღებდა ლუარსაბი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ასპარეზობისა და მტრულად განწყობილ თავადთა ქიშპობის თავიდან აცილება...

სასახლის მეორე ნახევარში დიდი ენებათღელვა იყო. გულშარი მორთულობასა და ძვირფასეულობას ათვალიერებდა და გულღვარძლიანად ფიქრობდა ნესტანზე, რომელიც ამაოდ ცდილობდა დედოფლის მცირე საჩუქრებით გამოეჩინა თავი: კარგია, რომ ჭკუიანმა დედოფალმა დაიყოლია ლუარსაბი, ჭორების თავიდან ასაცილებლად ნესტანს ნურაფერს აჩუქებო... დიაღ, დღეს დაინახავენ თუ რამდენი მარგალიტითა და ბრილიანტით შეიმკო თავი ამილახვრის მეუღლემ, გულშარმა. ვინ გაბედავს ეჭვი შეიტანოს მეფის არჩევანში?

ნესტანი, რომელსაც ძიძა ოქროს თმებს უვარცხნიდა, თავის უბრალო მორთულობაზე სწუხდა, მაგრამ უეცრად გაიღო კარი და შემოვიდა ზურაბის ძიძა ხუთი მოახლითურთ, რომელთაც ნესტანის წინ ზანდუკი დასდგეს.

ნესტანს თვალი გაუცეცდა: მის წინაშე გადაიშალა ვერცხლის ტალღებით აფერადებული სტამბოლის ზღვა. რა უცნაურად ციმციმებს ზურმუხტნარევი ვერცხლი. ო, ო! მარგალიტითა და საყვარელი ზურმუხტებით მორთული გამქვირვალე ქსოვილი! ყოველად წმიდაო მარიამ! მანიაკი, რომელიც ოდესღაც გიორგი მეფემ უძღვნა რუსუდანს! საიდან გაიგო ზურაბმა, რომ ნესტანს მოსწონს მარგალიტით ნაოპი აბრეშუმის ქოშები? რამდენი სარდიონის ქვა, იაგუნდის ბეჭედი, რამდენი სიბრძნით აღსავსე ლაღი, რამდენი უცნაური საფირონი! და ეს ოქროს თავსაკრი, რომელზედაც ბრილიანტის ვარსკვლავი ციმციმებს, და მეჩითის გადმობრუნებული გუმბათის მსგავსი სპარსული საყურე! ნესტანი აღფრთოვანებას ვერ მალავდა და სიამაყით აღსავსე ძიძა ზურაბისა კი მოუთხრობდა, თუ რა აურაცხელი სიმდიდრე ელის ნესტანს ანანურში. სიყვარულით გახელებული თავადი ნესტანისათვის მიწის წიაღში მოიპოვებს საუკეთესო სამკაულს, ოღონდ მშვენიერმა ასულმა თავისი ზურმუხტოვანი თვალი მიაპყროს ზურაბს.

ნესტანმა, მადლობის ნიშნად, პატარა ხანჯლით შეიჭრა ოქროსფერი კულული და იგი წითელ ვარდს შეასკვნა: დეე ამ ყვავილმა გააგებინოს ზურაბს ნესტანის გრძნობაო.

დანიშნულ დროს დარბაზი აივსო თვალწარმტაცად მორთულ დიდებულებითა და დიუფლებით. მოქიშპე გვარეულობანი ალმაცერად ათვალიერებდნენ ერთმანეთს. რა მოუვიდათ დღეს ერისთავსა და მუხრან-ბატონს? რა საზეიმო შესახედაობა აქვთ! როგორ სასიძოსავით არის გამოწყობილი ზურაბი ზურმუხტისფერი ქულაჯითა და ზურმუხტით მორთული წაღებით? ბაადურს კი, შეხედეთ, თითქოს მეორე ვაჟიაო, უბრალო ლურჯი ხავერდი აცვია!..

— გულშარს თავი ისე უჭირავს, თითქოს მეფემ პირველობა აღუთქვაო.

— ალბათ, აღუთქვა. არავინ იცის, სად გაითია ღამე ამირინდომ...

წყნარი სიცილი, თავშეკავებული ჩურჩული, მაგრამ ორივე მოქიშპე მხარე ცდილობდა დაემალა შეშფოთება.

ვერაფერს ამჩნევდა მხოლოდ ზურაბი. იგი ხარბად შესცქეროდა კარს, რომელსაც მცველები ჰყავდა მიყენებული.

გულშარი, რომელსაც მწიფე ატმის ფერი კაბა ეცვა, მარგალიტებით მორთული, ხოლო ქამრად მარგალიტისავე გრეხილი ერტყა, „ათას ერთი ღამის“ ჰურიასა ჰგავდა. მამაკაცები თვალს ხუჭავდნენ, ვით კაშკაშა მზის შემხედვარენი. ხოლო გულშარი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა აღფრთოვანებულ მაცქერალთ და ზემოდან, ამაყად ათვალიერებდა დარბაზს: ნუთუ ყვითელმა ქინკამ ქუა იხმარა და

ავად გახდა? ცუდი ხერხი როდია დამარცხების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ როგორ გაბედა იმის ფიქრი, რომ მეფე მას მისცემდა უპირატესობას?

ხერხეულიძემ ხმამაღლა განაცხადა, მეფე მობრძანდებაო. მოღიმარე ლუარსაბს აღფრთოვანებული შეძახილებით მიეგებნენ. მკვეთრ, ჩქარ ნაბიჯზე კარისკაცთ მეფის უგუნებობა შეიცნეს. შადიმანმა, ამირინდომ, სვიმონმა და ბატონიშვილმა ვახტანგმა, მეფის ახლოს დაიკავეს ადგილი. მეფემ ხერხეულიძეს ანიშნა და იგიც საჩქაროდ გაემართა კარისკენ. ლუარსაბმა დარბაზი ჩამოათვალიერა და გულშარს მიაშტერდა. ასეთი ჯერ არასოდეს არ უნახავს იგი. „რასაკვირველია, არა ღირს შადიმანის წყენინება... მაგრამ მე ერთხელ უკვე ვაწყენინე ერისთავს, საკაძე აზნაური დაქორწინდა... მუხრან-ბატონი მთხოვს პატივი დავდო ნუგზარის თავმოყვარეობას... გულშარი არა მთხოვს...“ გუნება უფრო გაუფუჭდა მეფეს.

ქეშიკებმა ფართოდ გააღეს კარი. ნესტანი, თითქოს ზღვის ლაღი ტალღაო, ნარნარით მოდიოდა ვარდისფერ ხალიჩაზე ნატო ერისთავისა და მარიამ მუხრან-ბატონის თანხლებით.

მგონი, ცის ჩამომხობაც კი უფრო მეტ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. აღფრთოვანებული გუგუნით შეხვდნენ ფერნაცვალ თავადის ასულს. გულშარმა ძლივს შეიკავა კივილი. საკაძემ უსიამოვნოდ შეიკრა წარბი. იგი ცრუმორწმუნე არ იყო, მაგრამ ნესტანს არჩილის დედის სისხლით შესვრილი კაბა ეცვა და მკერდზედაც რუსუდანის მიერ უარყოფილი მანიაკი უბრწყინავდა.

დამსწრეთა აღფრთოვანებამ და გულშარის საშინელებამ მეშვიდეცაზე აიტაცეს ნესტანი. ‚მოხიბლული ლუარსაბი თვალს ვერ აშორებდა ზღაპრულ ნესტანს. ძლივს მოაშორა თვალი და ზეიმით წარმოსთქვა:

— კეთილშობილნო. თავადნო და აზნაურნო, ჩვენი მოგზაურობა სასიხარულო ამბით აღინიშნა. მამაცი ნუგზარ ერისთავის გულადმა ვაჟმა, რომელსაც დიდად აფასებდა განსვენებული მამაჩემი და აგრეთვე ვაფასებ და მიყვარს მეც, მოისურვა შეუღლებოდა დედოფალ მარიამის აღზრდილს, ორბელიანის ასულს, მშვენიერ ნესტანს, და მეც, მეფე ლუარსაბ მეორე მფარველი თავადის ასულისა, სიხარულით ვრთავ ამის ნებას, მოშიახლოვდი, კეთილშობილო თავადო ზურაბ, ძეო ნუგზარისაო!

მხურვალე შეძახილმა, მოწონების ყიჟინამ დაარღვია სიჩუმე. ზურაბი მივიდა და კი არ დაიჩოქა, არამედ მეფის წინაშე დაეცა ცალ მუხლზე. შეყვარებული სასიძოს მღელვარებით გაღიმებულმა ლუარსაბმა, ჩვეულებისამებრ, მხარზე შეახო ხელი და, როცა ზურაბი წამოდგა, ნესტანს ხელი გამოართვა და ზურაბის მძლავრ ხელში ჩასდო.

ლუარსაბს თვალი დარჩა ნესტანის კულულით შესკვნილ წითელ ვარდზე, რომელიც ზურაბს ზურმუხტის ვარსკვლავით ჰქონდა დამცნეული. მაგრამ იკვნეულობამ წარბიც კი ვერ შეარხევინა, და ზეიმით დაამთავრა.

— დეე წმინდა ეკლესიამ აკურთხოს თქვენი კავშირი.—თავში გაუელვა: გულშარი პირველობას მიიღებსო.

ნესტანმა მყის შეამჩნია უსიამოვნება და შეშფოთებული ადევნებდა თვალს მეფეს. მხოლოდ ზურაბის მძლავრმა ხელმოჭერამ მოიყვანა იგი გონს. უცნაურია ქალის გული: ნესტანმა სიხარულით გაუღიმა და სიამაყით შეჰხედა თვალში საქმროს. პირველმა მეფემ მიუღოცა, ნესტანს შუბლზე ეამბორა, ზურაბს კი ტუჩზე აკოცა. გულშარმა სწორედ შეაფასა მდგომარეობა და მილოცვათა ფუსფუსში მეფეს წასჩურჩულა:

— თუ ამაღამ სიცხე იქნა, ალბათ, გათენებამდე ვერ დავიძინებ...

სისხლი მცხუნარე შადრევანივით მიეკრა თავში ლუარსაბს: როგორც იქნა! მეფე რად უნდა იყოს აზნაურ დათოზე უფრო სულელი?

— მშვენიერო გულშარ,—ტუჩმოკუმით წასჩურჩულა ლუარსაბმა, სიცხე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება...

ლუარსაბმა ალერსით მოუცაცუნა შადიმანს მხარზე ხელი. ნესტანმა, რომელმაც კარგად იცოდა მეფის ხასიათი, მყისვე აუღო ალღო მდგომარეობას. მტკივნეულად აწრიალდა აზრი...

მილოცვა დამთავრდა, მეფემ დამსწრენი საღამოს ლხინზე მიიწვია დიდებულთა პატივსაცემად. მოწყალე ლხინით სურდა მას მოეშაქრა ასპარეზობის მწარე აბი.

ასპარეზის ახლოს გორის მელიქებმა, ნაცვლებმა და უსტაბაშებმა მწვანე რტოებისა და ყვავილების დიდი ფანჩატური გააკეთეს, მის გვერდით კი—სპარსული ვარდების ბუჩქებისაგან—პატარა ოთახი მეფის მოსასვენებლად. ქალაქის უხუცესებმა მეფე და მისი ამალა მიიწვიეს, ასპარეზობის წინ პატივი დაგვდეთო.

საზანდრითა და ყიჟინით შეხვდა ხალხი მეფის მიერ ამ „პატივის დადებას“. ბევრი ვერცხლის სერა დაიცალა და აივსო. მეფე მალე ადგა და, რათა საშუალება მიეცა საასპარეზოდ მომზადებულიყვნენ, სპარსულ ვარდთა ოთახში შევიდა.

შადიმანმა საჩქაროდ გასცა უკანასკნელი განკარგულებანი.

ლუარსაბი ფანჯრიდან გასცქეროდა მოედანზე გაჩაღებულ სამზადისს და ხმაურობაზე უეცრად მობრუნდა: კედელზე მიყრდნობილი, იდგა ნესტანი.

ასეთი გაბედულებით გაკვირვებული ლუარსაბი ერთხანს ელოდებოდა. ნესტანმა ყურადღება არ მიაქცია მეფის მდუმარებას და დაცინვით ჰკითხა:

— უცქერი, მეფეო, შესაფერისი საღებავით გაალამაზა დღეს შადიმანმა შენი ხალხი თუ არა?

— რას ამბობ, ნესტან? შადიმანი ხალხს ღებავს? მერე რისთვის?

— მისთვის, რომ მეფის თვალი გაახაროს, ქართლის აყვავებით. გახსოვს, მოგზაურობის დასაწყისში შენ დაღონებული იყავი ხალხის ცუდი ჯანმრთელობით და შადიმანმა, ამირინდოს რჩევით, წინდაწინ გაგზავნა ერთგული მხატვრები ქალების შესაფერავად... გახსოვს, რა მხიარულად ხარხარებდი ჭალაში.

ნესტანი ხელში ათამაშებდა ცისფერი მანიაკის თვლებს. ლუარსაბი წამოჭირხლდა. ნიკაპი აუცახცახდა, ხელი ხმლის ვადას ეძებდა. თავში საშინელმა აზრმა გაუელვა: როგორ, დიდ ბაგრატოვანთა შთამომავალი სულელი გახადო და მოხერხებულ ტყუილზე აცინო? ნუთუ მე ბავშვივით ტყვედ ჩაუვარდი ბატონობის მოყვარულ შადიმანს? დიაღ, დიაღ, ამირინდო და გულშარი მატყუებდნენ და დასცინოდნენ ჩემს სისულელეს.

ლუარსაბმა ფანჯარაში შეამჩნია ამირინდო, გულშარი და შადიმანი, რომელიც თავაზიანად უამბორებდა გულშარის სარტყელს, გაფიცხებული ლუარსაბი კარებისკენ გაბრუნდა.

— მეფევ, ჩემო ხელმწიფევ,—მოულოდნელი სინაზით წამოიძახა ნესტანმა,—მაპატიე, მინდოდა მხოლოდ გამეცინებინე!..

— რა თქმა უნდა, გამაცინე მხოლოდ,—ცივად მიახალა ლუარსაბმა,—მომწონს, როცა ასე მაცინებენ.

ხმალი ააჩხარუნა, უეცრად კარებში გამოჩნდა და ისეთი ხმით, როგორიც ჯერ მისგან არავის სმენია, დაიყვირა:

— დაიწყეთ ასპარეზობა!

მერმე ყურადღებაც კი არ მიაქცია კარისკაცთა გაოცებასა და გორელთა აღფრთოვანებულ შეძახილს, სწრაფად გაემართა ასპარეზისაკენ და გამზადებულ ქორედზე დაჯდა. გაბრაზებით გადაჰხედა მის გვერდით მდგარ სავარძელს, რომელიც რჩეულისთვის იყო განკუთვნილი.

კარისკაცნი სასწრაფოდ იკავებდნენ თავიანთ ადგილებს. მეფის უცნაური საქციელით შეშფოთებულმა შადიმანმა, რომელიც მოწესის მოვალეობას ასრულებდა, განაცხადა:

— მეფეთ-მეფე, ქართლის პირველი რაინდი, ჩვენი წინაპრების ჩვეულებისამებრ, ირჩევს ასპარეზობის მარგალიტს გამარჯვებულისათვის გვირგვინის დასადგმელად... ღირსჰყავ, მეფეო, შენი დიდი ყურადღებით რჩეული ასპარეზობისა.

მთელი ასპარეზი სულგანაბული ელოდა.

შადიმანის ხმაში ლუარსაბს მხოლოდ ტრადიციის დაცვა მოესმა. რა თქმა უნდა, მეფე ვერ გაჰბედავს ყური არ უგდოს ქვეყნის მმართველს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მეფის საქციელს. ლუარ-

საბს ბრაზი აღრჩობდა. ეჩვენებოდა, თითქოს ყველა ქალი მეტისმეტად მოკრძალებულია, მხოლოდ ერთადერთი გულშარია მოურიდებელიო. ნესტანი კი თავდახრილი ნაღვლიანი იდგა. დიაღ... დიაღ, ლუარსაბმა იცის მადლობის გადახდა... წამოდგა და წყნარად სთქვა:

— ქართლის ყველა მშვენიერი ღირსია არჩევანისა, და, მათ რომ მოესურვებინათ დახმარებოდნენ მეფეს ამ ძნელ წუთს და ერთ ვარდად გადაქცეულიყვნენ, მე სიამოვნებით დავიმცნევდი მკერდზე ამ მშვენიერ ყვავილს.—ხმამაღალმა სიცილმა და აღფრთოვანების შეძახილმა გააწყვეტინა სიტყვა მოღიმარე მეფეს.—მაგრამ, სამწუხაროდ, იძულებული ვარ სურვილს ფრთა შევაკვეცო და სამართლიანად ვარგუნო არჩევანი იმ თავადის ასულს, ვისაც დღეს ჩვენ ყველას გვსურს სიამოვნება ვაგრძნობინოთ... ვირჩევ ორბელიანის ასულს, ზურაბ ერისთავის სასძლოს, ნესტანს.

წუთით მთელი ასპარეზი გაქვავდა, იმდენად დარწმუნებული იყო, რომ არჩეულ იქნებოდა გულშარი, რომელიც ახლა მთელ ნებისყოფას იკრეფდა, რათა არ წაქცეულიყო.

გაფითრებულმა შადიმანმა თავაზიანად მიჰგვარა აცახცახებული ნესტანი. ლუარსაბმა რაინდულად მიაწოდა მარგალიტის ვარდი.

გახარებული ერისთავნი და მეგობრები აღფრთოვანებული იყვნენ ნესტანის გრაციით. ქალმა თავი დაჰხარა მეფის წინაშე, მარგალიტს აკოცა, მერე სასწრაფოდ დაიმცნია ვარდი მკერდზე, ლუარსაბს გამოწვდილი ხელი ჩამოართვა და, საერთო ტაშისცემასა და საზანდრის ხმებში, მსუბუქად ავიდა ქორედზე და სავარძელში ჩაჯდა.

ძნელია იმ მღელვარების აღწერა, რაც მეფის მოულოდნელმა მრისხანებამ გამოიწვია. ლუარსაბი ამჩნევდა ანთებულ თვალებსა და ხმლის გამომწვევ ჩხარუნს და შადიმანის თხოვნაზე, უბრძანე, ასპარეზობა დაიწყოონო, მრისხანედ წარმოსთქვა:

— წინაპართა ჩვეულებით, ასპარეზობამ სიმარჯვე უნდა გამოაჩინოს. მე, პირველ რაინდად წოდებული, შუბში ვიწვევ დამსწრეთ.

მთელს ასპარეზზე გუგუნი გაისმა, მაგრამ არავინ არ უპასუხა.

— როგორ, ჩემთან შებმა არავის არა სურს?

— მეფეთ-მეფეო, ყოველი რაინდი უდიდეს პატივად მიიღებს შენთან შემბას, მაგრამ ვინ დასთანხმდება წინასწარვე გადაწყვეტილ დამარცხებას?—შეპარვით მიუგო შადიმანმა, რომელიც შეშფოთებული იყო მეფის უგუნებობით.

გარნა ლუარსაბი მრისხანედ მოითხოვდა გამოწვევის მიღებას. მან გაიხსენა ასპარეზობაში განთქმული მრავალი რაინდი და მოიგონა აგრეთვე წესები ასპარეზობისა, რომელნიც ყველა რაინდს ათანაბრებენ. ცოლის შეურაცხყოფით აღშფოთებულმა ამირინდომ ითხოვა, მე დამდე ეგ მაღალი პატივიო.

— თანახმა ვარ! ჯავშანი და ცხენი!—საჭურველთმტვირთველნი დაფაცურდნენ ბრძანების შესასრულებლად. გაკვირვებული შადიმანი ცდილობდა დაეყოლიებინა ლუარსაბი ბოლოს გამოსულიყო, ვინაიდანო, ეუბნებოდა იგი, მეფის შემდეგ ვინლა ისურვებს ასპარეზობის ცქერასო.

ლუარსაბმა გადაიხარხარა: განა მეფე ყველაზე წინ არ უნდა იყოს? და შადიმანიც ნუ იჩენს იმაზე მეტს მზრუნველობას, რაც მისთვის ნებადართულია!

გაოცებული შადიმანი გონს ვერ მოსულიყო: უთუოდ აქ ერისთავის ხელი ურევია. ტყუილად კი არ შემძვრალა დღეს, დილით, მეფის სამყოფელში ბებერი მელა, მუხრან-ბატონი. მაგრამ შემდეგ ხომ ლუარსაბი ასე მხიარული და თავაზიანი იყო. მაშასადამე, სადილზე მოხდა ესა?.. ვნახოთ, ყველაფერი გამოირკვევა. შადიმანისთვის არ არსებობს სიძნელენი და დაბრკოლებანი.

ლუარსაბმა მეტისმეტი აჩქარებით ჩაიცვა ჯავშანი და დაიხურა ჩაჩქანი. ნესტანმა ხანჯლით თმის გრძელი ნაწკეპი შეიკრა და მარჯვენა მკლავზე შეაბა მეფეს.

ლუარსაბი ცხენს მოახტა და ბლაგვბუნიკიანი საასპარეზო შუბი აიღო. მთლად ლითონში ჩამჯდარი ამირინდო მოუთმენლად იკვნეტდა ტუჩებს.

— გახსოვდეს, ამირინდო, თუ განგებ დაგითმია, საჯაროდ ლაჩრად გამოგაცხადებ.

ამირინდო გაფითრდა, შუბი აღმართა და ლუარსაბს შეუტია. სულგანაბული ადევნებდნენ თვალს ორთა ბრძოლას, რომელსაც ჩვეულებრივი ასპარეზობისათვის მეტად საბრძოლო ხასიათი ჰქონდა. „გულშარის დამარცხება შენელებულ იქნება მხოლოდ ჩემი გამარჯვებით“,—ჰფიქრობდა ამირინდო.

„რა თქმა უნდა, - ფიქრობდა ლუარსაბი,—გამოწვევა შეეძლო მიეღო მხოლოდ შეურაცხყოფილ ამირინდოს, რომელიც უძლეველია შუბოსნობაში...“

მარდი ლუარსაბი მარჯვედ იგერიებდა მოწინააღმდეგის გააფთრებულ თავდასხმას. უკვე ახლოვდებოდა დრო, როდესაც წესით შებმა „ფრედ“ უნდა გამოცხადებულიყო..

„ეს რა ამბავია?—ჰფიქრობდა ლუარსაბი.—მშვენიერმა ქალმა მკლავზე ოქროვანი თმა შემაბა და მე კი შუბს ისე ვხმარობ, როგორც დედაბერი წინდის ჩხირს“.

ამირინდო მოიხარა და გადამწყვეტი დაკვრისათვის ემზადებოდა,—ხელში გაგდებული შუბი გამარჯვებად ითვლებოდა.

ლუარსაბმა თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერა გაუგია რარ, უკან დაიხია და ცხენი შეაყენა. გახარებული ამირინდო აღმართული შუბით, ჭენებით მიეკრა გაქვავებულ მხედარს, მაგრამ ლუარსაბმა სწო-

რედ ამ წუთით ისარგებლა, საოცარი სიმარჯვით აუგდო შუბი მოწინააღმდეგეს და ისეთი ძალით სცა მკერდში მოვარდნილ ამირინდოს, რომ იგი მოულოდნელად ცხენზე ჩამოვარდა, დაეცა და შუბი გადაუტყდა. ასეთი ბოლო სრულ დამარცხებად ითვლებოდა.

დიდ ხანს არ დაწყნარებულა აღფრთოვანებული ყიჟინა, გაცხარებული ტაშის ცემა და საზანდართა გამარჯვების ხმა.

ლუარსაბი ჩამოხდა, ჩაჩქანი მოიხადა, ხუჭუჭა თავი შეაქნია და დამარცხებულს ხელი გაუწოდა. ამირინდოს გააფთრებული სახე რომ ნახა, ლუარსაბმა ცელქურად გულში გაიცინა: „სანაძლეოს დავდებ, თუ გულშარმა დღეს რითიმე დააჯილდოოს უხერხული მეუღლე."

საერთო ტაშის ცემაში ლუარსაბმა ჯაჭვანი გაიხადა და ნესტანის სარტყელს ეამბორა, ათრთოლებულმა ნესტანმა კი დაფნის გვირგვინი დაადო თავს გამარჯვებულს.

შადიმანმა მსურველნი გამოიწვია, მიჰბაძეთ მეფის არაჩვეულებრივ მაგალითსაო. ასპარეზობა დაიწყო, მაგრამ ვერც ორთა ბრძოლამ, ვერც ბადროს ტყორცნამ და ვერც ჯირითმა ვერავინ დააინტერესა. მეფის საქციელმა ბევრი რამ შთააგონა აღელვებულ დიდებულთ. სიხარული და შეშფოთება ისადგურებდა სხვადასხვა პარტიის გულში.

— მეფეე,—აღელვებით წასჩურჩულა ნესტანმა,—ასე მგონია, პირველად გხედავ: ალბათ, ამასვე ჰფიქრობენ სხვებიც, მაგრამ მხოლოდ ერთი კაცი იცნობს მთელს ასპარეზზე ქართლის მეფეს.

— ვინ?—მყისვე ჰკითხა ლუარსაბმა.

— გიორგი სააკაძე...

ლუარსაბმა უცნაირად ჩაიცინა: აი, თურმე, საიდან წამოსულა ისარი!.. მან სათანადოდ შეაფასა გიორგის გონიერული პოლიტიკა. ხალხში თვალით მოსძებნა იგი და მერმე ხერხეულიძე იხმო. ქულაჯაზე დამცნეული მარგალიტის ქინძისთავი მოიხსნა და ხერხეულიძეს წყნარად უთხრა:

— გადაეცი ეს სააკაძესა და უთხარ: მეფის ქინძისთავი მოურავისაზე ნაკლებ როდი სჩხვლეტსთქო. გადაეცი აგრეთვე, რომ დღეს უთუოდ დაესწროს ლხინს, ხოლო მოწყენილი რუსუდანის ნახვას ხვალაც მოესწრობა.

ნესტანი დაიბნა. მას ფიქრადაც არ მოსდიოდა ასეთი უმადურობით გადაეხადნა ერთგული მეგობრისათვის, რომლის წყალობითაც იგი დღეს მტრებზე ზეიმობდა.

ხერხეულიძისაგან რომ საჩუქარი მიიღო და განდევნის ამბავიც შეიტყო, სააკაძე შეუმჩნევლად გაილალა. უმცდარად მიხვდა ყოველივეს: თავმოყვარე ლუარსაბი ნაწყენი იყო იმის გამო, რომ სააკაძემ ყველაფერი იცოდა.

მაგრამ ამჟამად გიორგის ის უფრო ახარებდა, რომ ასე მოხერხებულად შეიყვანა ზურაბი მეტეხში. ეს საშუალებას აძლევდა აზნაურებს გამოეყენებინათ ნესტანის მტრული განწყობილება შადიმანისა და მისი მომხრეებისადმი. სააკაძემ გადასწყვიტა, წყენა არ მიეყენებინა ერისთაველებისათვის და ყოველივე დაუმალა მათ. მერმე საჩქარო საქმე მოიმიზეზა და ლხინის შემდეგ, დილაადრიან, ნოსტეს გაეშურა.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

ამშის ყრილობაზე მსჯელობა იყო აზნაურების საძძიმო მდგომარეობაზე. შადიმანის ახალი მზაკვრული კანონი, რომლის მიხედვითაც სახნავ მიწის სარგებლობისათვის მოსავლისა, ხოლო საძოვრების სარგებლობისათვის საქონლის ერთი ნაწილი უნდა გადაეხადნათ, უმთავრესად, მცირემიწიან აზნაურობას აწუხებდა. მოსალოდნელი იყო, რომ აზნაურთა მამული და მეურნეობა თავადებს ჩავარდნოდათ ხელში. მოსალოდნელი იყო აგრეთვე, რომ აზნაურთა მეტი წილის დასახმარებლად გლეხობაზე ახალი აუტანელი გადასახადი უნდა შეწერილიყო.

თავადები მგლებივით დაესივნენ შადიმანის კანონით გაღატაკებულ აზნაურთა ქონებას და ჩალის ფასად იძენდნენ მიწა-წყალს, საქონელსა და გლეხებს.

არც მსხვილი აზნაურთა მამულები იყვნენ კაი მდგომარეობაში.

ყველაზე უფრო საშიში ის იყო, რომ აზნაურთა წოდების წინააღმდეგ მიმართული განზრახვა შადიმანისა ადვილად ხორციელდებოდა. ორმაგი უღლის ქვეშ გაწამებული გლეხობა გაბოროტებული იყო, ამიტომ ივი სიამოვნებით გადადიოდა დიდებულთა ძიწა-წყალზე: იქ თავადები მაინც კარგად სვამენო.

სააკაძე დიდი ხნიდანვე იდუმალი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს შადიმანის მოქმედებას. და ახლა მან გადაჭრით განაცხადა:

— ხალხის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, ხალხი აზნაურთა ძალაა, სხვა იარაღი მას არ გააჩნია. ეს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს... უნდა მოვძებნოთ საშუალება ხალხის გულის მოგებისა.

აზნაურები ეთანხმებოდნენ, თუმცა თვითეული ფიქრობდა: ხალხს რომ სისუსტე აჩვენო, ესეც საშიშიაო.

არა ნაკლებ შემაშფოთებელი იყო ცნობა ელიზბარ თათქარიძისა; რომელიც აზნაურთა ყრილობის მიერ დანიშნული იყო თურქეთის საზღვრისათვის თვალყურის სადევნებლად. თათქარიძემ ყრილობას მოახსენა, საზღვარი ფარულად გადმოლახა დიდმა ქარავანმაო. პაპუნაც, რომელიც ხშირი სტუმარი იყო არჩილისა მეტეხში, ყრილობას მოუთხრობდა შადიმანის საიდუმლო თათბირის შესახებ უცხოლ ვაჭრებთან.

არც როსტომის ცნობა იყო გასახარელი. იგი ამბობდა: ვიღაც ბნელი პიროვნებანი მაიდანზე ვაპრებს სახასო აზნაურთა წინააღმდეგ ამხედრებენო.

შეშფოთებულმა აზნაურებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ქვლივიძის მოთხოვნას. გიორგიმაო, მოითხოვდნენ ისინი, ყოველი საშუალებით უნდა იმოქმედოს ნუგზარ ერისთავესა და მუხრან-ბატონზე, რათა მეფეს გააუქმებინონ შადიმანის მიერ გამოცემული გამანადგურებელი კანონიო.

სააკაძემ გულში გაიცინა: ჯერ კიდევ დიდ ხანს ვერ გავუგებთ ერთმანეთს, როგორც რიგიაო. მაგრამ ყრილობას მაინც დაჰპირდა, დიდებულთ ვინახულებო.

ყრილობამ კავშირში მიიღო დვალეთელი ათი აზნაური და დაეთანხმა სააკაძის მოსაზრებას, რომ საჭიროა აზნაურთა რაზმები სპარსულ წესზე მოეწყოსო, მაგრამ გადაჭრით უარჰყო იმავე სააკაძის წინადადება, რომ მესეფენი აზნაურთა მამულებში აზატ გლეხებთან გათანასწორებულიყვნენ უფლებით. სამაგისო დრო არ არის, რა საჭიროა თავადთა გაღიზიანება და გლეხთა გაბოროტებაო. უარჰყვეს აგრეთვე როსაბის წინადადება, აზნაურთა კავშირში აზნაურ ედიშერის მიღების შესახებ, რადგან იგი შადიმანის მოგზავნილიაო.

ყრილობამ დათო, ქვლივიძე და როსტომი სააკაძის თანაშემწეებად აირჩია ერანის, თურქეთისა და მთიელ ტომთა საქმეებში.

აზნაურებმა კვლავ ხმალზე შეჰფიცეს ერთმანეთს ერთგულება და ფრთხილად წავიდ-წამოვიდნენ.

გიორგიმ ქვის ვიწრო კიბით აირბინა კოშკის მრგვალ ბაქანზე და მთლად მწვანე ბალებში ჩაფლულ ნოსტეს გადახედა.

გაახსენდა ყაზახთა შემოსევა და გული ამაყად აუჩქროლდა: „ნოსტეში უკვე აღარავინ სტირის...“

ქსნის ერისთავები და მუხრან-ბატონიც კი, რომელთაც სძულდათ შადიმანი და მისი მომხრენი, ჰფიქრობდნენ, რომ მამაც ნუგზარის სიძეს უფლება აქვს მეფის დიდი ყურადღება მიიპყროსო. და უკეთუ მოწინააღმდეგენი ღირსეულ რაინდს ამაღლების გზას უბშავენ, საჭიროა ბრძოლაო, და ამიტომ დახმარება აღუთქვეს გიორგის დიდებულთა წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში.

სააკაძე არ ამჟღავნებდა აზნაურთა კავშირის ნამდვილ მიზანს და არ ცდილობდა გაუგებრობიდან გამოეყვანა ნუგზარი და ზურაბი: საქმის წარმატებისათვის საჭიროა მძლავრ თავადთა ძალით ვისარგებლოო... ვიღაცამ ნაზად დაუძახა, გიორგი მიბრუნდა: მის წინ იდგა მშვენიერი თეკლე და ღიმილით ეუბნებოდა:

— დილით მოსული ხორეშანი გელოდება, თბილისს იჩქარის..

გიორგიმ და გადაჰკოცნა და რუსუდანის მშვენიერ სამყოფელში გაეშურა.

პაატა და ავთანდილი ყიყინით, ხოლო ხორეშანი ხარხარით შეევებნენ გიორგის.

— ...ძალიან მიყვარს ბავშვები... მე რატომ არა მყავს? ჩემი თავადი მოხუცია, დათო კი დამთხვეულია, ვისგან უნდა მყავდეს?... ახალი ამბავიო? დიდი ამბებია: გულშარი მეტეხს დაბრუნდა, კუდს აქიცინებს, მთავრებიც კი მასზე არიან დამოკიდებულნი... როგორ მოხდა? შადიმანს ნესტანის გავლენისა შეეშინდა. თვითონ გაეშურა არშას და გულშარი დაიყოლია მოსვლაზე... ახლა გულშარი მტკიცედ დაეუფლა ლუარსაბს. ნესტანი? რასაკვირველია, იბრძვის, გარნა ქალი, რომელიც საკუთარ ქმარზეა შეყვარებული, ცუდი მოწინააღმდეგეა, ნესტანი კი თვალს არ აშორებს ზურაბს. ლუარსაბს ასეთი რამ არ უყვარს. რაო? პირიქით, მეფე ძალიან ყურადღებით ეპყრობა და ზურაბს არც ერთ ბჭობაზე არ იკლებს... მეტეხში ეშინიათ თავადისა, ძალიან ამაყი დიდებულია... შადიმანი? სულ ცოფსა ჰყრის, მხოლოდ კი არ იმჩნევს. ქართლში მოგზაურობის შემდეგ ლუარსაბი ძალიან გამოიცვალა, სახელმწიფო საქმეები აინტერესებს, შადიმანი ფრთხილად მოქმედებს, მეფის თანხმობა აქვს ყველაფერზე, მაგრამ თავისებურად კი აკეთებს. თუმცა საღებავის ამბავი შადიმანს კარგად ახსოვს. რა საღებავისა?.. არც ეს იცი? არ ვარგა, გიორგი, მეტეხში უნდა დაბრუნდე... რაო? არა, არა, დიდი ხნის ამბავია... ლუარსაბმა ქართლში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ შადიმანს ხუთი კალათა წითელი საღებავი მიართვა იმისათვის, რომ თავადს ქალების დაფერუმარულება უყვარს... სასახლეში ამ საჩუქარმა ყველა გააკვირვა, მაგრამ საოცრად აღელვებულმა შადიმანმა მყისვე ნაღვლიანად წაისისინა: როცა დაუფასებელი სამსახურისათვის იძულებული ხარ ყაყაჩოსავით გაწითლდე, მაშინ მეფის საჩუქარი მზესავით მოქმედებსო. ამბობენ, ლუარსაბმა ბოდიში მოიხადაო... მარიამი? რა დროსია სხვის საქმეებზე ფიქრი. შადიმანი მას ყინულით უმასპინძლდება... მიატოვა? არა, ჯერ მუქარით იკავებს. ჯიბრზე ნესტანი დაიახლოვა, ერთად ზრუნავენ ლუარსაბის დაქორწინებისათვის. გულშარი? გაცოფებულია, ყოველი გზით წინააღმდეგობას უწევს. შადიმანი? ისიც წინააღმდეგია. იმერეთის მეფისწულს ელოდა. იქ დიდი ხანია თანახმანი არიან. ლუარსაბი, რა თქმა უნდა, შადიმანს უგდებს ყურს, გულშარზე შეყვარებულია, არ ეჩქარება. მხიარულობენო? მეტეხში მოწყენილობა არ უყვართ. აშუღები ტკბილი სიმღერებით ამკობენ მშვენიერ გულშარს, არც მესტვირეები აკლებენ ქებას... რატომ ნესტანმა ვერ მოიგონაო? ალბათ, დაუგვიანდა, მის კრძალულებაში ეპვის შეტანა არ შეიძლება... მეტეხში ორივე პარტია დანასისხლად არიან... ლუარსაბი თვალთმაქ-

�obs. ამირინდო და ზურაბი? სძულთ ერთმანეთი... მეტეხში დიდი მხიარულობაა.

მხიარული ხორეშანის წასვლის შემდეგ გიორგი დიდ ხანს დასეირნობდა გრილს ბაღში.

გაახსენდა ნესტანის ქორწილი, ანანურს ლუარსაბის მოსვლა დიდებული ამალითურთ, საჩუქრები, თავაზიანობა, გარნა... უდიდესი გულგრილობა მეფისა მისდამი: სამი დღის განმავლობაში სამი სიტყვაც კი არ გაუმეტებია მისთვის. რუსუდანისადმიც მეტად გულცივი იყო, მხოლოდ დაცინვით ჰკითხა: ღვთისთვის აღთქმა ხომ არ მიგიცია მეტეხში ფეხი არ დავადგაო?

მეტეხი ძალზე გამოცოცხლებულია. გულშარის შიკრიკი და შულტანი მთელს ქართლში აშუღებსა და მესტვირეებს ეპატიჟებოდნენ მგოსანთა შეჯიბრებაზე.

არაჩვეულებრივმა დღესასწაულმა კარისკაცთა აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ საქმე სულ უბრალო რამ იყო: გულშარმა, რომელსაც მთელი საქართველო ქება-დიდებას ასხამდა, გაიგო, რომ „ბრწყინვალე ნესტანის“ შესახებ ლექსი შეუთხზავთო.

პირველობის დაკარგვის შიშით, გულშარმა დიდი ჯილდო დანიშნა ქალის სილამაზის შესახებ წარმოთქმული საუკეთესო ლექსისათვის.

რა თქმა უნდაო,—ჰფიქრობდა იგი,—ასეთ გარემოებაში მგოსნები მხოლოდ მე შემამკობენ, და თავმოყვარე ლუარსაბიც, ბოლოს და ბოლოს, გულს აიცრუებს ნესტანზეო.

ერთი თვის შემდეგ მეფე თვალადს უნდა წასულიყო. და ამრიგად, აშუღთა შეჯიბრება უკანასკნელი გასართობი იქნებოდა ზამთრის თვეებში.

მსუბუქი ქსოვილებით მორთულ, ფართო აივანზე განლაგებულიყო ლუარსაბის სასახლე. დიუფალთაგან გარშემორტყმული მარიამი მეფისგვერდით იჯდა, ხოლო გარშემო—ქართლის მშვენიერნი და ქედმაღალი დიდებულნი. მესტვირენი და აშუღნი ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ ხალიჩებით დაფენილ სკამლოგინებზე.

ციხისთავი გამოიძახებდა ხოლმე და ყოველი მათგანი თავის შაირსა და ლექსს ამბობდა. გულშარი როდი შემცდარა. მხოლოდ მას უმღეროდნენ მგოსნები და ამილახვრის მშვენიერი მეუღლე მეწვიდე ცაზე აჰყაედათ. ატლასის ცისფერ ბალიშზე მიწოლილმა ნესტანმა დაცინვით წასჩურჩულა ხორეშანს, ამ მომაბეზრებელ მოლაქლაქეთა სისულელის შესახებ.

მეტეხის კარებში რაღაც დაობა ატყდა.

მოლაშქრე შუბით უხშავდა გზას ვიღაც მოხუცს.

ბააკა მივიდა.

— ცუდად აცვია, ასეთი ვინმე მეფეს როგორ ვაჩვენოთ?—ჯავრობდა დარაჯი.

ბააკამ მოხუცს ურჩია, სუფთა ტანისამოსი ჩაიცვიო, მაგრამ მოხუცმა მტკიცე უარი უთხრა:

— როგორც მიცხოვრია, მეფესაც ისე ვეჩვენები. სამგოსნოდ მოვედი და არა ჩოხის საჩვენებლად...

ბააკა მეფეს ეახლა... მეფემ გამომწვევად გადაჰხედა შადიმანს, რომელსაც არ უყვარდა მათხოვარნი, და ღიმილით სთქვა:

— შემოუშვით, მგოსანს სიმღერით აფასებენ.

მაგრამ მგოსანი აშკარა სიცილით მიიღეს. მან სალამი მისცა მხოლოდ ლუარსაბს და ხალიჩაზე დაჯდა. ერთბაშად ატირდა ჭიანური და აკანკალებული ხმაც საშინელ დროებაზე ამეტყველდა: დეე მეფემ თვალი მიაპყროს ქართლის საზღვარს, კარგად გალესოს ხმალი, მხედრებმა შეჰკაზმონ ცხენები, აჰა, მთები დაბნელებულა მტერთა დროშებით, ქარიშხლის ღრუბლებივით მოიგრაგნებიან ურწმუნონი და თვალსა სთხრიან ქართლს... დეე, მეფემ კარგად გალესოს ხმალი...

ლუარსაბი გაკვირვებული უსმენდა მოხუცის ქადაგს: ის-ის იყო მხედართმთავრებმა იარალიმ და ზაქარიამ მოახსენეს, ქართლის საზღვრებზე სრული სიწყნარეაო.

გულშარი გაფიცხდა:

— განა მოხუცმა არ იცის, თუ რაზე მღერიან დღესა?

მოხუცი გულშარს დააშტერდა და წყნარად წარმოსთქვა:

— უკეთუ მშვენიერი ქალები მეფეს უფარავენ იმ საშიშროებას, რაც ქართლს მოელის, და მხოლოდ სილამაზეზე მღერიან, მაშინ ჩემს თვალს მხოლოდ ერთი ვინმე უნახავს ასეთი... სწორედ ისე, როგორც ახლა, ცას ცისფერი სამოსი ამშვენებდა, მხოლოდ მზე შავ ზღვაში ჩავარდა, შავი ზღვა კი ქალწულის თვალებში მოთავსდა, მზემ ფსკერი ვერ იპოვნა და შავ ცეცხლად აჩუხჩუხებდა... ცა გაჯავრდა, მეორე მზე დასვა სანათებლად, მეორეც ზღვაში ჩავარდა, და, ამგვარად, ასი მზე მოთავსდა ქალწულის თვალში, მხოლოდ ერთი, უკანასკნელი დარჩა ცაზე... როცა თვალი ოდნავ მოხუჭულია, კიდევ არაფერი, წამწამები ჩრდილს აყენებენ, ხოლო როცა თვალი სულ ღიაა, შეხედვა არ შეიძლება, მზესავითა სჭრის თვალსა...

მაშინ განთიადმა სთქვა: „წავიდე, ვნახო მზე რად გაექცა ცასაო“. ნახა და ქალწულის ბაგეზე დარჩა. მაშინ მარგალიტმა სთქვა: „უფრო ლამაზი ვიქნები, თუ წითელი ფერის ახლოს დავრჩებიო. მხოლოდ ესაა, ბაგე მეტად პაწიაა... მიჯრილობის გამო მარგალიტი უფრო ბრწყინავს...“

მაშინ მთვარემ სთქვა: „თუ მზენი ზღვაში ჩაცვივდნენ, მაშინ მე გავანათებ ზღვასაო“,—და ქალწულის შუბლზე შერჩა.

მაშინ ვარსკვლავებმა წამოიძახეს: „ცაში მოწყენილობაა, მუდამ მთვარის ახლოს ვცხოვრობდითო“,—და ქალწულის წამწამებს დაე-

კიდნენ. მაშინ დაისმა იწყინა: „თუ ყველანი გაიქცნენ, მე რადღა დამტოვესო“,—და ახლა ქალწულის ღაწვებზეა ანთებული.

მაშინ ქარიშხალი გაჯავრდა: „მე რად დამივიწყეთო.“ ღამეს ერთი ფრთა მოსწყვიტა, ელვაც თან წამოიღო და ამნაირად ქალწულის თავზე დაესვენა.

მაშინ ფრინველნიც შეიყარნენ და თავიანთი ხმა იმ ქალს შესთავაზეს... ხოლოდ მტრედმა სხვების შეუმჩნევლად თავის ხმის მაგიერ კდემამოსილება მიუძღვნა.

მაშინ ყვავილებიც შეიკრიბნენ და თავიანთი სურნელება მას მიანიჭეს.

შეიკრიბნენ აგრეთვე ნიამორებიც და თავიანთი მოქნილობა მას აჩუქეს.

ვნახოთ მხეცნიც შეგროვდნენ, მაგრამ ლომმა დაიღრიალა: „ჩემს გარდა, ვინ ბედავს მშვენიერს საჩუქარი შესთავაზოსო?“ და ქალწულს თავისი გული მიუძღვნა.

ახლა, როდესაც ქალწული იცინის, ხენი იფურჩქნებიან, როცა მოწყენილია, წვიმს, როცა დადის, ბალახი ხარობს,—ჰგონია, პეპელამ ფრთა შემახოო.

მხოლოდ ესაა, რომ, როცა ბევრი რამ ერთად არის, მუდამ სახიფათოა. შაი მზეები თავისკენ ფტყუებენ, ხოლო ზღვას არ უყვარს, როცა მის ფსკერს ეძებენ. განთიადიც შეშფოთებულია, სისხლი სჩქეფს, მარგალიტს სისხლი უყვარს, სისხლი თავის ადგილს ეძებს, ადგილმა კი მოელი დედამიწა დაიპყრო...

— ეჰ, მოხუცო, შენ საუკეთესო მგოსანი ხარ და დაფნის გვირგვინიც სამართლიანად შენ გეკუთვნის.

ლუარსაბმა მხიარული თვალი მოაელო დამსწრეთ. გულშარმა მეფეს მხარი დაუჭირა და შეფრფინვით იკითხა სახელი არაჩვეულებრივი მშვენიერისა. მოხუცი დიდხანს სდუმდა და გულშარის დაჟინებაზე, ბოლოს, მიუგო:

— რა საჭიროა სახელის ცოდნა?... ბედი კარს გააღებს, ბედის მოტყუება ძალიან ძნელია...

გაჯავრებულმა გულშარმა მოხუცს სიცრუე დასწამა.

არანაკლებ დაინტერესებულმა ლუარსაბმა მოხუცს დამსახურებული ჯილდო აღუთქვა და თვითონაც მოსთხოვა ლამაზის სახელის გამომჟღავნება.

მოხუცი წამოდგა, გულშარს მიაშტერდა, მერმე ნელა ჩამოათვალიერა დამსწრენი და თვალი ლუარსაბს მიაპყრო.

— მეფეო, შესაძლოა, მალე ნახო იგი... უფრო მალეც, ვიდრე მეგობარი გისურვებდა. მის სახელს ნუ მკითხავ, ჩემი კი დაიხსომე: ბადრი მქვია. თუ ჩემი დაჯილდოვება გსურს, უბრძანე, რომ სიკვდილის შემდეგ იქ დამმარხონ, სადაც მკვდარს მიპოვნიან...

ბადრიმ ფრთხილად აიღო თვისი ჭიანური და სალამის მიუცემლად წავიდა.

აივანზე ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ლუარსაბმა პირველმა დაარღვია სიჩუმე:

— რაკი იმ მშვენიერის შეხვედრა მიწინასწარმეტყველეს, რომელმაც ცას საუკეთესო მორთულობა მოსტაცა, რა საჭიროა მწუხარება და მხიარულობის დავიწყება!

აღშფოთებული გულშარი ჰფიცავდა: ცბიერი მოხუცი გურიელის გრძელცხვირა ასულის მოსყიდულია, ტყუილუბრალოდ როდი არ უხსენებია ცხვირიო.

ნესტანმა მოაგონა:

— ის მშვენიერი ქართლში ცხოვრობსო.

შეხედვას რომ მოკვლა შესძლებოდა, ნესტანი, ალბათ, მოხუცზე ადრე მოკვდებოდა, მაგრამ მეტოქე ქალებს ბრძოლის იარაღად მხოლოდ მკვახე სიტყვები და თავაზიანობის ფარხმალი დარჩენოდათ. მხცოვანი დიდებულნიც კი მხოლოდ ახლა მიხვდნენ სიტყვიერი ასპარეზობის მნიშვნელობას. შადიმანმა რომ გამხიარულებული ლუარსაბი ნახა, გაფითრებულ ზურაბსა და აბირინდოს გადაჰხედა და კეთილგონივრულად მოაგონა იქ მყოფი მგოსნები...

წყნარი განთიადი შეშფოთებულმა რეკამ შეარყია, ერთბაშად აგუგუნდნენ თბილისის ყველა ზარნი. შულტათა ყვირილით გაღვიძებული მოქალაქენი ქუჩებში გამოცვივდნენ და შემინებულნი უცქეროდნენ მთებზე ანთებულ საგუშაგო კოცონებს.

ჯერ კიდევ ღამით მეტეხს მოფრინდნენ მსწრაფმსრბოლნი, და უდარდელმა სასახლემ საშინელი ამბავი გაიგო.

მთელი მეტეხი იარაღის ჩხარუნმა მოიცო. შეიყარა სამხედრო საბჭო. სწრაფად გაუდგნენ გზას რაზმები. ზაქარია და იარალი ელვისებური სისწრაფით გაემართნენ მანგლისისაკენ.

ქართლმა იარაღს იტაცა ხელი, მაგრამ ხელსაყრელი დრო უკვე წასული იყო.

ფეოდალები, რომლებიც თავიანთ პირადი სარგებლობის მიხედვით მოქმედებდნენ, როდი ცდილობდნენ სახელმწიფოს საერთო დაცვას, და ქართლი კვლავ სტამბოლის უსასტიკესი თავდასხმის მსხვერპლი გახადეს.

ცხოვრებას მოწყვეტილი და მოოქრულ ნაჭუჭში მომწყვდეული სასახლე ლხინით, ნადირობითა და ასპარეზობით იყო გართული, აღსავსე იყო სხვადასხვა მოწინააღმდეგე პარტიის ინტრიგებით და ამჯერადაც უძლური იყო თავიდან აეცილებინა მტრის შემოსევა.

შადიმანის მიერ დასახული სამხედრო კავშირის დადების დაგვიანებით აღშფოთებული სტამბოლი ცდილობდა ქართლის დაპყრობით მოესპო ერანის გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზე.

აჰმედ სულთნის სახელგანთქმული მხედართმთავარი, ყირიმის ხანი, დელი-მაჰმადი, რომელსაც კარგად ახსოვდა თრიალეთის დამარცხება, ფრთხილად მოქმედებდა.

იგი ბაღდადის დაპყრობის შემდეგ თურქეთს ბრუნდებოდა და თან მოჰყავდა დატვირთული ქარავნები, ტყვეები და ცხენთა რემა. ხანი ლამ-ლამობით იძვროდა, დღისით კი ხშირ ლიშხნარში იმალებოდა. მხოლოდ კველთის მახლობლად შენიშნეს იგი საგუშაგო კოშკებმა.

იარალისა და ზაქარიას მოწინავე რაზმებმა მოასწრეს უღელტეხილების გამაგრება, მაგრამ ძილის დროს გარშემორტყმულ იქნენ და განადგურდნენ დელი-მაჰმად-ხანის ფიცხი შემოტევით. გააფთრებულ ბრძოლაში სახელგანთქმული მხედართმთავრები იარალი და ზაქარია, რომელთაც არაერთი გამარჯვება მოეპოვებინათ, თავიანთ ხმლებზე აეგნენ.

თათართა ჯარმა გამაგრებული ხევები გაარღვია და გაშიშვლებულ ქართლს მოედო.

მანგლისი და კველთა რომ დაიპყრეს, თათრები დიდებულთა სამფლობელოებს შეესივნენ და ფეოდალები არა თუ მოკლებულნი იყვნენ საშუალებას მეფისთვის დახმარება აღმოეჩინათ, არამედ თვითონაც ძლივს გადარჩნენ მიუვალ ციხე-სიმაგრეებში შემალვით... შიშით მოცულმა ხალხმა სოფლები სარბევად მიატოვა და მიუვალ ტყეებში გაიხიზნა.

სამეფოს განადგურებამ ლუარსაბი აიძულა მახლობლებითურთ სასწრაფოდ დაეტოვებინა უკვე დაცარიელებული ტფილისი და ერთაწმინდაზე გაელით ცხირეთის ციხისთვის შეეფარებინა თავი.

ციხის მაღალი კოშკიდან გასცქეროდა სასოწარკვეთილი ლუარსაბი შორეულ საგუშაგო კოშკების აგიზგიზებულ კოცონებს. მაგრამ მასთან საშველად არ ისწრაფვოდნენ რაზმები, არ ფრიალებდნენ დროშები, არ გუგუნებდა ბრძოლის ყიჟინა. მეფე დავიწყებულ იქნა და, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ გულს სირცხვილი სწვავდა. ქართლი მტრის ანაბარად არის მიტოვებული. პირველმავე ომმა იგი კარისკაცებით და ერთი მუჭა მოლაშქრეებითურთ უშიშარ თავშესაფარში შერეკა. ზურაბი, რომელიც ტფილისიდან ანანურისკენ გაეშურა, არ ბრუნდებოდა. სხვა ციხეებთან კავშირის დაჭერა შეუძლებელი იყო, ყველანი მოწყვეტილნი იყვნენ ერთმანეთს.

საიდუმლო მსწრაფმსრბოლთ საშინელი ამბები მოჰქონდათ. პირველად დაიბნა შადიმანი. პირველად შეიკრა ჯიუტი წარბები და უმწეოდ ივლებდა ხმალზე ხელს ამირინდო.

ნოსტეში დიდი ორომტრიალია. აზნაურთა კავშირი მხოლოდ ერთ საათს ბჭობდა. „ვეფხებმა“—დაუთბეგმა, გივიმ, ფანუშმა, ელიზ-

ბარმა და მათარსმა თავიანთი რაზმები საკაძეს ჩააბარეს და თვითონ ღამის წყვდიადში გაჰქრნენ.

იდუმალის ხმით გადასძახოდნენ ერთმანეთს შაშვები, ოდნავ წკარუნებდა გაუფრთხილებლად შერხეული მოსართავი ცხენისა: ნოსტეში იკრიბებოდნენ აზნაურთა დანარჩენი რაზმები.

გაქაფულ ცხენებზე სწრაფად ჩამომხდარი შიკრიკნი თათართა მოძრაობის შესახებ იტყობინებოდნენ.

საკაძემ ბნელი ღამით ისარგებლა და აზნაურთა ორი ათასი მოლაშქრე ცხირეთის სასახლისკენ წაიყვანა. და განთიადისას აღმოსავლეთის მხრით დაშვებულ ხიდზე უეცრად წარუდგა განცვიფრებულ ლუარსაბს.

დელი-მაჰმად-ხანის მოულოდნელმა შეყოვნებამ გაამხნევა ქართლი და ხალხმა შორეულ სოფლებში იწყო თავის მოყრა.

კველთაში თათართა მზვერავმა რაზმმა ჭიანურიანი მოხუცი შეიპყრო. აღთქმული ჯილდოთი მოხიბლულმა მოხუცმა მაჰმად-ხანი საიდუმლო ბილიკებით ცხირეთის ციხისაკენ წაიყვანა... გაუტეხელ დუმილში გადასერეს თათრის ურდოებმა მთათა მიხვეულ-მოხვეული ბილიკები, ეკლიანი ლიშხნარები, ვიწრო ხევები, შემოუარეს ერთაწმინდას, გადავლეს გოსტიბის მთები, დაეშვნენ აფთართა ჭალაში, მაგრამ მხრებშეკრული მოხუცი კი კვლავ და კვლავ განაგრძობდა უკანმოუხედავად სვლას, სანამ გააფთრებულმა მაჰმად-ხანმა ქვენადრის გზა არ იცნო.

— ბედის წერა გსურს მოატყუო?—დაცინვით მიუბრუნდა მოხუცი.—მუდამ უკეთონი იყავით. განა სახალხო მგოსანი თავის ხალხს უღალატებს?

დელი-მაჰმად-ხანის ოცათასკაციანი ჯარი მყის შემობრუნდა ჭალისაკენ, თავმოკვეთილი მოხუცი კი გატეხილი ჭიანურითურთ ცივ კლდეზე დარჩა.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შესძლო მაჰმად-ხანმა თავისი განაწამები ჯარის განლაგება ახალქალაქის გარშემო.

ლუარსაბი და მთელი სასახლე ციხის კოშკებიდან შიშით უცქერდნენ ერთაწმინდის ჭალას, რომელიც, თითქოს სისხლის ტალღებს დაუფარავსო, გაჭედილი იყო წითელი ჩალმებით. შეკრებილი საბჭო სდუმდა. უგონოდ ისხდნენ დიდებულნი, მწუხარედ დაეხარა თავი ლუარსაბს.

— მაშ ქართლი საძარცვად გავიმეტოთ?

წამოდგა მდუმარე საკაძე...

— მეფეე, გთხოვ შვიდი საათის დრო მომცე და სულთნებს ასის წლის განმავლობაშიც კი არ დაავიწყდებათ ქართლისათვის თავმოხვეული ომი.

ლუარსაბმა შადიმანს გადახედა, სხვა კარისკაცნიც ჩამოათვალიერა და მარმარილოს ქანდაკებასავით აღმართულ სააკაძისკენ მიიწია.

— გიორგი, გიორგი, უმაღლესი სარდლის უფლებას განიჭებ და შეფე ლუარსაბიც მუდამ შენთან იქნება...

სააკაძემ ცხირეთის ციხე საჩქაროდ დასტოვა და კაეთისხევისაკენ გაეშურა.

ისარივით დაჰქროდა დადუმებულ ქართლში „ვეფხთა რაზმი“ და ხალხს მოუწოდებდა, სააკაძის დროშისქვეშ დადექითო. აღფრთოვანებული გლეხები ნოსტეს მიეშურებოდნენ ტყეებიდან, ქვაბულებიდან, საგუშაგო კოშკებიდან და შორეული სოფლებიდან:

— სააკაძე გვიხმობს! ჩვენი სააკაძე გვეძახის!

— იჩქარეთ, ხალხნო! სააკაძე გამარჯვებას გვიქადის!

— იგი თავის სიტყვას მუდამ ასრულებს!

— გორში ჩემი ვაჟი გამოისყიდა!

— მე კი ქალიშვილი გამომისყიდა, ნოსტეში ახლა მსახურია.

— მცხეთაში მე გადასახადისაგან გამათავისუფლა.

— ეზოთში ყველას ძროხის სამკურნალო მალამო დაურიგა!

— ჩემი ვაჟი ვაჭრებს გადაარჩინა ანანურში.

— მე ხერთვისში ცხვრები მაჩუქა!

— ისწრაფეთ, ხალხნო! სააკაძე გვიხმობს!

— სააკაძე გამარჯვებას გვიქადის, მუდამ სიტყვის აღმსრულებელია!..

და ყველა შორეული თუ ახლობელი სოფლის გლეხები, რომელთაც სააკაძე მრავალი წლის განმავლობაში დახმარებას უწევდა, აქებდნენ სააკაძის გულუხვობას. სააკაძის ვარაუდი ხალხის მადლიერობის შესახებ სწორი აღმოჩნდა. საერთო ყიჟინაში: „ჩვენი სააკაძე მოგვიწოდებსო!“—ახალგაზრდანი, მოხუცნი და მოზარდნიც კი იარაღს ისხამდნენ, დაბლაგვებულ ხმლებს ლესავდნენ, კეტებს ამზადებდნენ და ნოსტეს მიეშურებოდნენ, ამასთანავე გზადაგზა სხვა სოფლებსაც თან იყოლიებდნენ. ქალებიც კი დედაბრების ამარა სტოვებდნენ ბავშვებსა და, სატევრით შეიარაღებულნი, სააკაძის აღთქმის კოშკისაკენ მიეშურებოდნენ.

ნოსტეში როსტომი და დიმიტრი საჩქაროდ აიარაღებდნენ გლეხებს ამქრების მიერ ტფილისიდან აქლემებით მოტანილი საჭურველით, ცხენებზე სვამდნენ ახალგაზრდობას და შორსმოსავლელი გზებით და გამოცდილ აზნაურთა ან მოლაშქრეთა მეთაურობით კავთისხევის ტყეში გზავნიდნენ.

რუსუდანმა ფარული გზებით ანანურს სანდო კაცები გაგზავნა და ნუგზარს შეუთვალა გიორგი გთხოვს, დაუყოვნებლივ სურამისაკენ დასძარ ჯარი და გააფრთხილე აგრეთვე მუხრან-ბატონი და

შალვა ერისთავი, რომ მეფეს გადაწყვეტილი აქვს სურამის ველზე გაუმართოს თათრებს ბრძოლაო.

საკაძის იდუმალი შიკრიკნი მეფის სახელით ციციშვილისა და ჯავახიშვილის ციხეებსაც ესტუმრნენ და უშიშარი გზებიც ასწავლეს...

ერასტი და ოცი მზვერავი, რომელნიც ბაღდადელ ვაჭრებს წაართვეს ანანურში, გველივით დასრიალებდნენ ტყეებში და თათართა ურდოს ზურგში სახალხო ლაშქარს აგროვებდნენ. ქართლი აზვაედა. თავის ნებაზე მიშვებულმა ხალხმა სიამაყით მოჰკიდა მძლავრი ხელი თავისი ქვეყნის დაცვას. შიკრიკთა მიერ გაფრთხილებული ფეოდალები ფარული გზებით ისწრაფოდნენ ცხირეთის ჭალისაკენ.

გარნა გარეგნულად ქართლი მიმკვდარებული იყო. ფხიზელ დუმილში მისწყდა ყოველგვარი ჩამიჩუმი, მხოლოდ ღამღამობით შრიალებდა ბალახი, მხოლოდ უხმოდ იხრებოდა ტბისპირას ატეხილი ლერწამი, მხოლოდ წყნარად გასძახოდნენ "მაშვნი ერთმანეთს...

გამარჯვებული წინსვლით ძოტყუებული და მყუდროებით მიძინებული მაჰმად-ხანი ცხირეთის ციხის ახლოს დაბანაკდა მრავალრიცხოვანი ჯარითურთ. კავთისხევის უღრან ტყეში დამალული რეაათასი შეიარაღებული ქვეითი და ცხენოსანი საბრძოლო ყიჟინით შეეგება საკაძეს. ყოველ წუთს მოდიოდნენ ახალ-ახალი რაზმები, რომელთაც გუთანი ხმალზე შეეცვალათ.

საკაძემ ქვლივიძე და ათი აზნაური რაზმთა შესადგენად და გასაგზავნად დასტოვა, თვითონ კი როსტომისა და დიმიტრის რაზმებითურთ სწრაფად გაემართა ცხირეთისაკენ და საღამოს შვიდ საათზე თავისი ჯარით სასოწარკვეთილი ცხირეთის ციხის კედლებთან დააბანაკა.

გახარებულ მეფესა და კარისკაცებს საკაძემ დაუსახა გენიალური სტრატეგიული გეგმა, რომელიც საქართველოს მატიანეში უკვდავყოფილია „ტაშისკარის ბრძოლის" სახელით, და რისთვისაც გიორგი საკაძეს ხალხმა დიდი მოურავის სახელწოდება მიანიჭა.

აზნაურთა მოძრაობის მეთაურის მიერ დასახული გეგმა დაპირისპირებულ იქნა ფეოდალური წესით ომის წარმოებისადმი.

განთიადისას ხმალამოწვდილმა საკაძემ ლაშქარს მოაგონა ხალხის ნება და ნებაყოფლობითი სახალხო ჯარის ღირსებანი. მოლაშქრენი აღფრთოვანებული ყიჟინით შეხვდნენ სარდლის სიტყვებს, მოუთმენლად იქნევდნენ ხმლებსა და ბრძოლის დაწყებას ჩქარობდნენ. შადიმანსა და კარისკაცთა პროტესტებმა ვერ შეაყენეს ლუარსაბი, და მის გამოჩენას ბატონიშვილ ქაიხოსროს, თავადების, ზაზა ციციშვილის, ქაჩიბაძის, ღაზნელისა და ლიპარიტის თანხლებით ლაშქარი აღტაცებული შეძახილებით შეხვდა.

საკაძემ სამად გაჰყო ჯარი. მეფეს დათო და როსტომი მიუჩინა და უბრძანა, თვალის ჩინივით გაუფრთხილდით მეფეს, რადგან

ბრძოლაში მეფის დალუპვა ცრუ შიშს უნერგავს ჯარსა და არევდა-რევას იწვევსო.

ლუარსაბმა მარჯვენა ფრთის სარდლობა იკისრა, რომელიც განმტკიცებული იყო აზნაურთა კავშირის რაზმებით.

ზაზა ციციშვილი მარცხენა ფრთას მეთაურობდა, ცენტრს კი დიმიტრისთან ერთად სააკაძე უძღოდა.

ჯარი მწყობრ კოლონებად დაიძრა ცხირეთის ჭალისაკენ და მხოლოდ სოფელ ნიაბთან იქნა შემჩნეული განცვიფრებული დელი-მაჰმად-ხანის მიერ.

ასტყდა თურქული დოლის ცემა. აღიმართა ნახევარმთვარითა და ცხენის ძუით მორთული თუღები. ფლანგიდან გამოიჭრა ხმალ-აღმართული თათართა ცხენოსანი ჯარი. ცალთვალა ხანმა ხმალი დაიქნია და თათრები მკვიდრო რაზმებად წინ გამოექანენ. რაზმის წინ მოაჭენებდა ნაქირი, რომელსაც მწვანე დროშა ეკავა. დელი-მაჰ-მად-ხანმა ცხენი ყალხზე შეაყენა.

სცემდა დოლი, გუგუნებდა დაფი, ფრთქვინამდნენ ცხენები, შავ-ბედითად ლაპლაპებდნენ ხმლები. სააკაძე მტრის ჯარის შუაგულში შეიჭრა...

სააკაძის ვარაუდი სწორი გამოდგა: მოულოდნელმა თავდასხმამ აბნეულობა გამოიწვია. თურქთა მოწინავე რაზმები სააკაძის მძლავრ-მა შეტევამ გასთელა, გაალქაჯებული დიმიტრი მარჯვედ იქნევდა ხმალსა და საბარათიანოს რაზმს უძღოდა. არანაკლებ გააფთრებით იბრძოდა მარცხენა და მარჯვენა ფრთა. ლუარსაბი და დათო, რომ-ლებიც ბევრით ჰგავდნენ ერთმანეთს, მარჯვედ იყენებდნენ ცხენო-სან ჯარს, ხან მუშტივით შეჰკრავდნენ მას, ხანაც ცალკე რგოლე-ბად განაბნევდნენ. დასისხლიანებულ ცხენზე მჯდომი აზნაური და მეფე იტაცებდნენ ბრძოლით მთვრალს თავიანთ ჯარს.

კეთილგონიერი როსტომი, რაკი სააკაძის ბრძანება ახსოვდა, ლუარსაბს ერთ ნაბიჯზედაც კი არ შორდებოდა. იგი ფრთხილად ადევნებდა თვალს თურქთა იატაგანებს და მტკიცე მკლავით არა-ერთხელ გადაუჭრია გზა ერთობ გაბედული მტრისთვის.

გივი, რომელსაც თავისი რაზმითურთ ბრძოლაში დააგვიანდა, გააფთრებული შეიჭრა ქვლივიძის რაზმეულში და მეტად გაკვირვე-ბული დარჩა, როდესაც კეფაში ხმლის ტარი იგრძნო და გაჯავრებუ-ლი აზნაურის ბოლქვა ულვაშები შენიშნა.

თათართა მემარცხენე ჯარს მეთაურობდა მაღალი, ლურჯთვალა ხანი. რაღაც მომჯადოებელი იყო მის ნელ მოძრაობაში. იგი გულ-გრილად უახლოვდებოდა ქართველებს თავისი ცხენოსანი ჯარითა და ზანტად იქნევდა ხმალს, თითქოს ბუზებს იგერიებსო. მისი რჩეუ-ლი რაზმი, რომელსაც სარკინოზებისაგან შეეთვისებინა მარჯვე დარტ-ყმის ხელოვნება, დაუბრკოლებლად მოიწევდა წინ ქართლის მთა-ვარი ჯარისკენ.

სააკაძემ უნებურად მიაპყრო თვალი ამ ხანსა და შეუმცდარად მიუხვდა განზრახვას: მას ლუარსაბის დატყვევება სწადდა. გიორგიმ ზაზა ციციშვილს უჩვენა ქართლის მწკრივების გამანადგურებელი ხანი და უბრძანა, რადაც უნდა დაჯდეს, იმ საშიშ მამაცს თავი უნდა მოჰკვეთოო.

ზაზა სააკაძის ბრძანების ასასრულებლად გაექანა.

ხანმა დინჯად მოაბრუნა მისკენ ცხენი, მაგრამ ზაზამ მოულოდნელად ყალხზე შეაყენა თავისი ცხენი, ელვისებური სისწრაფით მოუქნია ხმალი და ხანის მოკვეთილი თავი ჰაერშივე დაიჭირა. მერმე დიდი გაჭირვებით გაიკაფა გზა მტრის მჭიდრო რიგებში და, მთლად გასისხლიანებულმა, ლუარსაბის ფერხთა წინაშე დააგდო თვისი ნადავლი.

უფროსს მოკლებული თათართა მარცხენა ფრთა, მიუხედავად მათი რიცხვობრივი უპირატესობისა, შედრკა და უკუიქცა, ამასთანავე თან გაიყოლია დანარჩენებიც.

დელი-მაჰმად-ხანს იმედი ჰქონდა საბოლოო გამარჯვებისა, ანგარიში გაუწია შექმნილ მდგომარეობას და წინასწარმეტყველის წმინდა ათასეულს უბრძანა, უკუქცეულნი შეაჩერე და გორისაკენ დაიხიეო.

სააკაძემ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია ლუარსაბს, რომელსაც სურდა მტრის დადევნება, და თან გაახსენა მისთვის ნაბოძები უფლება მხედართმთავრისა.

მეფის მიერ მოწვეულ სახელდახელო სამხედრო თათბირზე სააკაძე უკანასკნელი მივიდა.

მან თვითონ დააყენა გუშაგნი, განკარგულება გასცა დასვენებისა და საქმლის შესახებ, რომელიც გულად გლეხ ქალებს მოეტანათ; ბრძანა, შეაგროვეთ თათრების მიერ მიტოვებული მთელი იარაღი და ზედმეტი ცხენები ერთაწმინდას გაგზავნეთო.

დაბრუნებულ ერასტის დაავალა, კავთისხევს გასწი და დანარჩენ „ვეფხებს“ ჩემი ბრძანება გადაეციო.

გაკვირვებული მეფის, თავადებისა და აზნაურების შეკითხვაზე სააკაძემ დაწვრილებით განმარტა შემდგომი გეგმა. თათრები ამჟამად ისწრაფვიან თაეიანთი ჯარის მეორე ნაწილს შეუერთდნენ, მაგრამ ჩემ მიერ გაგზავნილი აზნაურთა რაზმები ხიდებს აშლიან და, ამრიგად სურამის ველისაკენ გარეკავენ მტერს. ყველა თავადს შიკრიკი გაეგზავნა, მთელს ქართლში ერთგული აზნაურები ხალხის ლაშქარს ჰკრებენ. მთელი ტყეები დაფარულია იდუმალი ხაფანგებით.

გაფრთხილებული ნუგზარი და ზურაბ ერისთავი გზას მოუჭრიან თათართა ჯარის იმ მეორე ნაწილს. ქსნის ერისთავი და მუხრანბატონი მარჯვენა მხრით შემოუვლიან, ხოლო ამილახვარი, რევაზ

ორბელიანი, ქველი წერეთელი და ლაზნელი მარცხენა ფრთას გადაუკრიან. ჯავახიშვილის, თურმანიძის, ირაკლი ამირეჯიბისა და მაღალაძის რაზმები ზურგში მოექცევიან. ამრიგად, დელი-მაჰმადხანი მომაკვდინებელ რკალში მოექცევა. განთიადისას მეფე, თვით იგი, სააკაძე, და ციციშვილი მოვლურს გააკეთებენ და სწორედ დროზე მიუსწრებენ ციცაბო მთებში მომწყვდეულ თურქებს და ამოსწყვეტენო.

ლუარსაბი აღფრთოვანებით, თავადნი თრთოლვით, ხოლო აზნაურნი მოწიწებითა და აღტყინებული სიხარულით უცქერდნენ მრისხანე მოურავს.

თათართა ჯარი გორისაკენ იძეროდა და ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა მდიდარ სოფლებს და ციხე-დარბაზებს, მაგრამ მტკვარს რომ მიადგა და აშლილი ხიდები ნახა, იძულებული გახდა ტაშის-კარის ვიწრო გასასვლელისაკენ დაეხია.

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ ქართველთა ჯარი დოესის ჭალით ახალდაბისკენ გაემართა.

დოესის უღელტეხილზე გამართულ თათბირზე გადასწყდა, არ დადევნებოდნენ მტერს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არამედ ფონს გასულიყვნენ, შემოევლოთ თათართათვის, შეერთებოდნენ ზუაქართლიდან მომავალ მაშველ ჯარსა, სურამთან გამაგრებულიყვნენ. ამრიგად, თურქეთის საზღვრისაკენ მიმავალი ერთადერთი და მთავარი შესასვლელი ხეობაში ჩაკეტილი იქნებოდა.

მტკვრის ნაპირას ქართლელთა რაზმებს ხალხური ლაშქარი შეხვდა.

დაგლეჯილი ჩოხები, აბურძგნული თმა-წვერით, გაალმასებული, თვალები, ალესილი ხმლები მოწმობდნენ მკაცრი ნახიდურლების ვაჟკაცობას.

აქ იყვნენ: ჩასხმული ატენელები, ტანწვრილი, ლაღი ურბნელები, ახოვანი, წითელწვერა საბარათიანოელები და მარდი სომხითრები.

საქართველოს ყოველი კუთხიდან არმაზის იდუმალი ნანგრევებიდან, მჭუხარე არაგვის ნაპირებიდან, უფლისციხის ქვაბულებიდან, ძველისძველი მცხეთიდან და ხევში მომწყვდეულ სადგერიდან სურამის ველისაკენ ისწრაფვოდა სახალხო ლაშქარი.

ლუარსაბი განცვიფრებული უცქერდა ცოცხალ ქართლს, ესენი უკვე ის მონა-მორჩილი აჩრდილები აღარ იყვნენ, რომლებიც ამას წინათ ჩირაღდნებით უნათებდნენ გზას. ესენი უკვე აღარ იყვნენ ის სტუმართმოყვარე სოფლელები, რომლებიც უხეიროდ იღიმებოდნენ და ფერუმარილით შეთხუპნულ ცოლებსა და დედებს უჩვენებდნენ.

მრისხანე, ცოცხალი ქართლი თვალს უსწორებდა განებიერებულ მეფეს.

ადიდებულმა მტკვარმა ვერ შეაჩერა გალომგულებული ლაშქარი. ჰპრიდნენ ხეებს, ამზადებდნენ ძელებსა და ღვლეპებით ჰკრავდნენ

ტივებს. ტივებით, ნავტიკებით, ფიცრებითა და ძელებით გადიოდნენ მდინარეს. აქაფებულ ტალღებში შეჰყავდათ აპიხვინებული ცხენები.

ახალამოსული მზე სატევრებსა და ხმლებზე ლაპლაპებდა. ლაშქარმა ყიჟინითა და გამარჯვების შეძახილებით გადალახა ადიდებული მტკვარი, გაუსწრო თათართა ჯარს, რომელიც შუაქართლის საზღვრისკენ ისწრაფვოდა, და სურამის ველზე გავიდა.

ნუგზარმა და ზურაბმა თათართა მიწინავე ნაწილი დაამარცხეს და ლუარსაბს გამარჯვების ყიჟინით შეეგებნენ.

მარჯვე მსწრაფმსრბოლებმა ამბავი მოიტანეს მოურავის გეგმის შესრულების შესახებ: ქსნის ერისთავის, მუსრან-ბატონის, ამილახვრისა და სხვა თავადთა ჯარები რკალივით შემოერტყნენ თათართა ურდოებს და საშუალება არ მისცეს მთავარ ძალებს შეერთებოდნენო.

დელი-მაჰმად-ხანმა რომ ქართველთა მანევრი შენიშნა, თავისი ჯარი მტკვრის პირას დააწყო, ღრმა სანგრები გასთხარა სურამის მხრით და მაშველ ჯარს ელოდებოდა.

მხედართმთავართა თათბირმა გადასწყვიტა, სავსებით მინდობიდა გიორგი საკაძეს.

გიორგიმ განაცხადა: მთავარი მიზანი ის არის, რომ მაჰმად-ხანი ვაიძულოთ მალე დაიწყოს ომიო. ამიტომ თათრებს უკანდასახევი გზა მოუჭრა და შალვა ერისთავის ჯარი კორტანეთის მაღლობებთან დაბანაკა. დანარჩენი ჯარი კი ისე იყო განლაგებული, რომ ბრძოლაში თანდათანობით შეეყვანა და მტერთა რიგებში მღელვარება და აბნეულობა გამოეწვია.

ცენტრში საკაძემ სანგრები გამართა, მოწინავე ნაწილი გაშალა, გამოიწვია თხუთმეტი ნოსტელი, რომელთაც შესწავლილი ჰქონდათ რუსული შაშხანის სროლა და უბრძანა, თათრის რიგებს სროლა აუტეხეთო.

ასეთმა ხერხმა და მოსალოდნელი მაშველი ჯარის მოუსვლელობამ მეტად შეაშფოთა მაჰმად-ხანი, რომელმაც ველარ მოითმინა და ღია ველზე გამოიყვანა თავისი ჯარი.

— აი უგუნური!—უნებურად წამოიძახა დიმიტრიმ და თავისი რაზმითურთ მტერს ეკვეთა. მარჯვენა ფრთიდან დაიძრა ლუარსაბი გააფთრებით იბრძოდნენ რაზმები.

საკაძე ნოსტელთა რაზმითურთ სოლივით შეიჭრა თათართა ურდოს შუაგულში და საშუალება არ მისცა მაჰმად-ხანს გამოესწორებინა თავისი ფრთების საბრძოლო ხაზი. გიორგი ამასთანავე თვალს არ აშორებდა ქართველთა ჯარს და წუთი-წუთზე თავადებსა და აზნაურებს ჰგზავნიდა ახალი ბრძანებით.

ღრიალი, ყიჟინა, შუბების, ხმლების და სატევრებისა ჩხარუნი და ისართა ზუზუნი, ცხენთა ჭიხვინი... მაგრამ ამან როდი გასტეხა ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ უშიშარი მაჰმად-ხანი.

მარცხენა ფრთიდან ატეხილ ნიაღვარივით მოდიოდნენ ნუგზარისა და ზურაბის ახალი რაზმები. სისხლიან ნისლში მაჰმად-ხანს ეს რაზმები უთვალაკ ჯარად მოეჩვენა, და მხოლოდ მარდ ცხენს შეეძლო გადაერჩინა ხანი და მისი ჯარის ერთი მესამედი. ქვეითებმა იარაღი დაჰყარეს და ახლო-მახლო ტყეებში შეიმალნენ. ყოველი მათგანი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ჰფიქრობდა. ციცაბო მთებში მოჰქროდა როსაბი და თან მოჰყავდა თვალადელთა ასეულები. შებრალების მუდარა მხოლოდ აფიცხებდა ქართლელებს. მრავალი ასეული თავი გაჰგორდა სურამის ველის მცსუნვარე მიწაზე.

და აი, გამოჩნდნენ თათართა ახალი ძალები, რომელთაც უკან მოსდევდნენ მუხრან-ბატონი, ამილახვარი, მაღალაძე და ქველი წერეთელი. მოულოდნელმა სანახაობამ თავზარი დასცა მაჰმად-ხანს. ქართლელები გააფთრებული ყიჟინით ეკვეთნენ თათრებს. და მოხდა დაუჯერებელი რამ: დელი-მაჰმად-ხანის მრავალ ათასოვანი ჯარი დამარცხებულ იქნა სახალხო ლაშქრის მიერ. თათართა მხედართმთავარი ქართლში ისე მოდიოდა, რომ წარმოდგენაც კი არა ჰქონდა სააკაძის ახალ სტრატეგიაზე. ქართლელნი ულმობლად სდევნიდნენ გაქცეულთ. ცხენები სისხლიან ტალახში ეფლობოდნენ, სისხლის გუბეებში ლაპლაპებდა მზის სხივი, ტანისამოსი, ხელები, პირისახე, ცხენებიც კი მტრის სისხლით იყვნენ მოსვრილნი.

ეს იყო ხალხის შურისძიება მრავალსაუკუნოვანი ტირანიისათვის.

ბრძოლის ველიდან უკანასკნელი დაბრუნდნენ ლუარსაბი და სააკაძე „ვეფხთა რაზმითა“ და თვალადელთა ასეულებითურთ. თვითეულს მოლაშქრეს რამდენიმე ცხენი მოჰყავდა.

გამარჯვებულთ ჩირაღდნებითა და აღფრთოვანებული შეძახილებით შეეგებნენ. ამ წუთს თითქოს ყოველი საზღვარი წაიშალაო მათშორის. უმაგალითო ბრძოლით მთვრალი ქართლელნი ერთმანეთს გაფიცხებული ტუჩით უამბორებდნენ. ერთმანეთს ეხვეოდნენ მტრულად განწყობილი თავადებიც კი.

— ვაშა, ვაშა, მეფე ლუარსაბს!

— ვაშა, დიდ მოურავს—გიორგი სააკაძეს!

ლუარსაბი სიხარულით გადაეხვია სააკაძეს. ბეჭედი მოიძრო და სააკაძისთვის თითზე უნდოდა წამოეგო, მაგრამ გოლიათის ხელი არავის ხელს არა ჰგავდა ქართლში.

მნახველთ სიცილი აუტყდათ. სააკაძემ ბეჭედი გამოართვა, აკოცა და ხმლის ვადაზე შეისკვნა.

— დეე მეფის საჩუქარი მუდამ მაგონებდეს სურამის ბრძოლას.

გამარჯვებულთ დაღლილობა დაავიწყდათ და შუაღამემდე ზეიმობდნენ. ბანაკში ლუარსაბის კარავთან აღმართული იყო ათასი მოკვეთილი თავის გორა. და ამ გორის ირგვლივ ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ ქართლელნი.

მეორე დღეს მტრის ძებნას მოუნდეენ, მაგრამ გადარჩენილნი უკვე საზღვარს გადასულიყვნენ. მხოლოდ ზოგიერთი გულადი ქალი რამდენიმე დღის განმავლობაში ტყეებში პოულობდა მიმალულ თათრებს, და, ნიშნად შერცხვენისა და ჭკუის სწავლებისა, რათა კვლავ აქეთ აღარ ექნათ პირი, აშიშვლებდნენ და ისე ჰგზავნიდნენ თურქეთის საზღვრისაკენ.

ერთმა თათარმა, ნიშნად მადლობისა, რომ ტანისამოსი დაუბრუნეს, ქალებს უთხრა: ის წყეული მოხუცი რომ არ ყოფილიყო, რომელმაც გოსტიბის მთებში შეგვიყვანა, ქართველები ვერ გაიმარჯვებდნენ. მოხუცს, რა თქმა უნდა, თავი მოკვეთესო.

ერასტის მზვერავი რაზმი გოსტიბის მთებში გაემგზავრა. რამდენიმე დღის შემდეგ ერასტიმ იცნო თავმოკვეთილი მოხუცი, — ეს იყო ქართლში კარგად ცნობილი მესტვირე ბადრი, რომელიც გამჭრიახობისათვის დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

ლუარსაბს მოაგონდა უცნაური მოხუცის ანდერძი და ბრძანა; გოსტიბის მაღლობზე დაკრძალეთ, ძეგლად ნიში ააგეთ და კარებზე ასე წააწერეთო: „წარმავალ ცხოვრებაში არ გავცელი სამარადისო სიცოცხლეს, არ გაეხდები მეფისა და სამშობლოს მოღალატე.“

შუაღამემდე ითვლიდნენ ნადავლს. მაჰმად-ხანის მიერ სპარსეთის ომიდან წამოღებულ ნადავლს: ვერცხლით სავსე ტომსიკებს, ოქროს სხვადასხვა ხელოვნურ ნაკეთობას, ვერცხლისა და ოქროს ხმლებს, სატევრებს, შუბებს, აუარებელ შეკაზმულ ცხენს. სააკაძის რჩევით ამ დღესვე მაჰ აბაზს საჩუქრად გაუგზავნეს: მაჰმად-ხანისათვის წართმეული ტყვე-სპარსელები, თათართა სამიათასი თავი, რომლებიც შუბებზე იყო წამოგებული, თავმოკვეთილი ლურჯთვალა ხანის ცხენი ოქროს რახტითა და ხმლითურთ, რომელიც ძვირფასი თვლებით იყო შემკული, და ათასი ხელშუბი.

ეს იყო პოლიტიკური ნართაული ქართლის ძლიერების შესახებ. საძულველი მტრის დამარცხებით გახარებულმა შაჰ აბაზმა სწორედ ასე გაიგო ამ საჩუქრის მნიშვნელობა. იგი ერთხელ კიდევ დარწმუნდა თვისი არჩევნის სისწორეს და გადასწყვიტა მჭიდროდ დაკავშირებოდა სააკაძეს.

ხალხიც მიხვდა თვისი ნება-სურვილის მნიშვნელობას და იწამა დიდი მოურავის უძლეველობა.

უთვალავმა ნადავლმა გაამდიდრა მეფე, დიდებულნი და აზნაურებიც კი. მაგრამ სააკაძემ მეფესა სთხოვა: ჩემი წილი მოხალისე მოლაშქრეთ გაუყავიო. სააკაძის დაჟინებული რჩევით, მოლაშქრეთა შინდაბრუნებისას მეფემ განაცხადა: ამ ომის ყველა მონაწილე ერთის წლით თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგანო.

დიდებულთ იცოდნენ, თუ რა აუარებელი სახსარი დახარჯა სააკაძემ ამ ომში და უკვირდათ მისი უანგარობა.

ლუარსაბმა განსაკუთრებულად დააჯილდოვა „ვეფხვთა რაზმი“ და თავის ამალაში ჩარიცხა დათო და როსტომი, რომელთაც მეტეხში თავისუფლად შესვლის უფლება მიანიჭა, დანარჩენ აზნაურებს კი სამეფო ჯარის უფროსთა სახელწოდება მიანიჭა და შეპირდა: თქვენი მამულის გაფართოებაზე ვიფიქრებო.

აღფრთოვანებულმა ლუარსაბმა აქვე უბოძა სააკაძეს თავადობა და თბილისის, დვალეთისა და ცხინვალის მოურავად დანიშნა იგი, ამასთანავე დაუდასტურა თანხმობის სიგელი მეტეხში თავისუფლად შესვლისა. ლუარსაბს სურდა განსაკუთრებით აღენიშნა მადლიერება გმირისადმი და ამიტომ ისურვა ნოსტეში გადაეხადნა სურამის გამარჯვების დღესასწაული.

ნაამებმა საკაძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა მეფეს და ყველა დიდებულნი და აზნაურნი ნოსტეში მიიწვია მეფის ლხინზე.

ასევე დაჰპატიჟა საკაძემ ქართლის შორეული და მახლობელი სოფლების გლეხებიც.

თავი ოცდამეთვრამეტე

მიჰქრიან ფრთხილი ქეშიკები და ყოველ ბუჩქს ათვალიერებენ: სადმე სტამბოლელის სატევარი, ისპაჰანელის შუბი და ან რუსული შაშხანა ხომ არ დაუმიზნებიათ მოურავისთვისო.

მაგრამ სრულიად მიწყნარებულა მწვანე მიდამო, მშვიდად დასცქერის ზემოდან ლურჯი ცა, უსაშიშროა მიხვეულ-მოხვეული ბილიკი.

მიაპენებენ მხიარული მხედრები, დარბაისლურად იგრეხს ულვაშს შალვა ერისთავი, ამაყად ილიმება ნუგზარ ერისთავი.

გარნა, მიუხედავად ამ საერთო ზეიმისა და მყუდროებისა, უტყუარად სჭვრეტს საკაძის გამჭრიახი თვალი მოშავალი ბრძოლების სისხლიან ქარიშხალს... „ცხენს გაუფრთხილდი,“ —ესმის გიორგის იდუმალი ხმა. მტკივნეულად იგონებს წარსულს გიორგი...

აზნაურები იარაღის ჩხარუნით, აზნაურთა ქალები ტანისამოსის შრიალით, მოლაშქრენი, ახალი ჩოხებით გამოწყობილი გლეხები, გლეხთა ქალები, რომელთაც ქამარზე პატარა ხანჯალი ჰკიდიათ, ფართოდ გაღებულ სტუმართმოყვარულ ჭიშკარში შედიან.

საბაზრო მოედანზე სუფრებია გაშლილი, ჰკლავენ ცხვრებს, ფრინველს, ამზადებენ ტკბილეულობას, ღვინით ავსებენ დოქებს, მოაქვთ საავე ტიკები.

სტუმართმოყვარეობის გარდა, საკაძეს იმედი ჰქონდა, რომ შორეული გლეხების ნალაპარაკევი შთაბეჭდილებას მოახდენდა. იმედი ჰქონდა, რომ ზოგიერთი გულადი ქალიშვილი ნოსტეში დარჩებოდა

და მოლაშქრენიც მონატრული იქნებოდნენ თავიანთი სოფელი ნოსტეს მსგავსად მოწყობილი ენახათ.

თბილისიდან თავიანთი ზურნით მოვიდნენ მხიარული მესაქურველ ამქრები.

მთელი დღე ჭამა-სმა, სიმღერა და ცეკვა არ შეწყვეტილა. ნოსტე მორთული იყო ფერადი ქსოვილებით, ხალიჩებითა და ყვავილებით. მეფეს ელოდნენ.

რუსუდანი აღფრთოვანებით ჰფიქრობდა: გიორგი ოდესლაც დამპირდა — „შესაძლოა ჩემით კიდეც იამაყოო...“ მეფე პირველი მოდის მასთან, არა, კი არ მოდის, გიორგიმ აიძულა მოსულიყო...

ხორეშანი რუსუდანს ეხმარებოდა და თან ჰფიქრობდა, რა სიამეს მიანიჭებს დედოფალ მარიამს ლუარსაბის სტუმრობა ნოსტეშიო.

მთავარი ჭიშკარიდან კოშკამდე გზა მოფენილია სურნელოვანი ყვავილებითა და მწვანე რტოებით. გზის იქით-აქეთ მხარეს ცოცხალი კედელი ირხევა. სერებზე, ბანებზე, ყველგან გამოწყობილი ხალხია. აუარებელი ყვავილი, დაირა, საზანდარი, ზურნა.

სიმღერითა და იარაღის ჩხარუნით მიეგებნენ ლუარსაბს. მეფის წინ დაფისა და დაირის გუგუნში ცეკვით მოდიოდა ახალგაზრდობა.

დათოსა და როსტომს სადავით მოჰყავდათ ლუარსაბის ცხენი, დიმიტრის — ნესტანის ცხენი, ელიზბარს — გულშარისა, ყველა კარისკაცისა და თავადის ასულის ცხენი ახალგაზრდა აზნაურებს მოჰყავდათ.

მეფეს აღფრთოვანებული შეძახილებით ეგებებოდნენ და ყვავილებს უფენდნენ.

ლუარსაბს უნებურად გაახსენდა შარშანდელი მოგზაურობა ქართლში და შეუჩნევლად მიიხედა შადიმანისაკენ, რომელიც თავაზიანად იღიმებოდა.

მუხრან-ბატონი, ამილახვარი, ციციშვილი, ჯავახიშვილი, ბააკა ხერხეულიძე, ზურაბ ერისთავი, ბატონიშვილი სვიმონი, მთავრები და დიდი ამალა, რომელიც ლუარსაბს ეხვია გარს, სიამოვნებას გამოსთქვამდნენ ასეთი შეხვედრის გამო.

აზნაურთა მორთული ქალებითა და ნოსტელი ლამაზი ქალიშვილებით გარსშემოხვეულნი რუსუდანი, თეკლე და ხორეშანი ციხედარბაზის კარებში ელოდნენ. ჭიშკრის მარჯვენა მხარეს ნუგზარი იდგა, მის გვერდით — წინამძღვარი ტრიფილიოს, შალვა და აზნაურები. თეკლეს, რომელსაც შავი ნაწნავები კოჭებამდე ჩასდევდა, ხელში თეთრი ვარდები ეკავა; მისი შემხედვარე მამაკაცები თვალსა სჭუტავდნენ, ვით მზის დანახვისას.

მახლობელი აზნაურებითა და მოხუცი გლეხებით გარშემოხვეული საკაძე ჭიშკარგარეთ იდგა.

ალაპლაპდა მცველთა შუბი, აგუგუნდა დაფდაფი და სააკაძე გაეშურა მეფისაკენ, რათა ცხენზე ჩამოხდომა ეშველნა. მოზეიმე ნაკადი ჭიშკარს შევიდა. აღფრთოვანებული შეძახილები, სასიხარულო მისალმებანი. ლუარსაბი სააკაძეს გადაეხვია და სურვილი გამოსთქვა გმირის ციხე-დარბაზის ნახვისა. მან თავაზიანად დაჰხარა თავი რუსუდანის წინაშე და აფრიალებული სარტყლის მარგალიტის ყვავილებს ეამბორა.

— მეფევ, მოიღე მოწყალება, ჩემი და თეკლე მოგესალმება.

თეკლემ დაიჩოქა და ლუარსაბს ფერხთა წიხაშე დააფრქვია სპეტაკი ვარდები და თან ნაზად წარმოსთქვა:

— სიხარულის ია და ვარდი ჰფენია შენი ამ ქვეყნიური ცხოვრების გრძელ გზას. რა სიხარულით იესება გული ხალხისა, რომელსაც ესოდენ მშვენიერი მეფე ჰყავს.

ნაამებმა ლუარსაბმა ერთერთი თავისი საუკეთესო ღიმილი მოიშველია, დაიხარა და თეკლეს ადგომა უშველა. მას სურდა ხორეშანს მიბრუნებოდა, მაგრამ შეხედა თუ არა გამართულ თეკლეს, ერთბაშად გაქვავდა: „ესაა მოხუცის მიერ ჩემთვის ხაწინასწარმეტყველები, მაგრამ ათასჯერ უფრო მშვენიერია...“ შორით მოესმა სააკაძის ხმა, რომელიც აზნაურებს აცნობდა. ვინა? დიაღ, მოხუცი ნოსტელთა გლეხების სახელით მიესალმება. შადიმანმა რაღაც გამოართვა. კიდევ ერთი მოდის, ლაპარაკობს... აა, ნუგზარი, შალვა, ყველანი აქ არიან... ხორეშანი, როგორც ყოველთვის მბიარულია. აზნაური უყვარს... რა წამწამები აქვს თეკლეს! მოდი, ვტაცო ხელი, ცხენზე შევისვა და გავაქანო?

უკვე მიწყნარდა სასიხარულო შეძახილი, უკვე დაიხარჯა მრავალი თავაზიანი სიტყვა, უკვე დაჰკოცნეს რუსუდანი თაეადის ქალებმა. უკვე მესამეჯერ გაიმეორა გაკვირვებულმა გიორგიმ მიპატიჟება. გაბედნიერებულ დარბაზში მობრძანდითო. ძლივს ბოაშორა ლუარსაბმა თვალი თეკლეს. მისი ხმა ბევრს ერთობ წკრიალა, ერთობ გულწრფელი ეჩვენა.

— მიხარია შენი ოჯახის ნახვა, გიორგი, უფრო ადრეც იყო საჭირო მოგენახა საშუალება, რათა დაგეყოლებინა ამაყი რუსუდანი... მეტეხისთვის დიდი დანაკლისია მისი იქ არ ყოფნა...

ლუარსაბი ერთხელ კიდევ დაიხარა რუსუდანის წინაშე და მსუბუქად შეუდგა კიბის საფეხურებს. ამალა წყნარად ჩურჩულებდა, მხოლოდ საქმით გართულმა გიორგიმ ვერ შეამჩნია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა თეკლემ მეფეზე. ყველაზე უფრო ჰღელავდნენ გულშარი და ნესტანი, რომლებიც ალღოთი ხვდებოდნენ ამ შეხვედრის მნიშვნელობას. სხვადასხვარიგად ამუშავდა ფიქრი. „ასე რომ მცოდნოდა, დიდი ხანია ვესტუმრებოდი რუსუდანს,—ჰფიქრობდა ნესტანი,—უცნაურია, ჩემს ქორწილზედაც კი არ მოიყვანეს თეკლე ანა-

ნურს.“ კიდევ ორი ვინმე დაინტერესდა ამ ამბით. განუყრელ მეგობართა სქელი ულვაშები წვეტიან კბილებს ჰფარავდნენ...

— მგონი, ვიპოვნე საშუალება ჩამოვაშორო ლუარსაბი?—წაისისინა შადიმანმა.

— ჩამოაშორო?—გაოცდა ამირინდო.—მას შემდეგ, რაც ცბიერმა მდაბიომ ასეთი დაუფასებელი ამაგი დასდო ქართლს?

— ეჰ, მეგობარო, რად ღირს ამაგი, როცა იგი უკვე დადებულია.— წყნარად ჩაიხითხითა შადიმანმა.—რა თქმა უნდა, მეფე ახლა დიდად მადლიერია, მაგრამ მშვენიერ თეკლეს ცოტა დრო სჭირია. ერთი შეხედვა და—აღფრთოვანებული ახალგაზრდობა ცეცხლივით აგიზგიზდება. როცა გულს ცეცხლი უკიდია, საშუალებაზე აღარ ფიქრობენ... ბევრი რამ შეიძლება მოხდეს... გესმის? საკაძე კი ამაყია, ვერ მოითმენს დის შეურაცხყოფას და... მაშინ იძულებული ვიქნებით განვაგდოთ მდაბიო, რომელსაც „შურისძიება სწყურია. მეფის უსაშიროება ყველა გრძნობაზე მაღალია... მაგალითად, კავთის ციხე დიდი ხანია არ შემოწმებულა, საჭიროა დიდი მოურავის გამოცდილი თვალი, შემდეგ კი... დიაღ, უბედური შემთხვევა ქართლში იშვიათი მოვლენა როდია.

— აღფრთოვანებული ვარ, უბრძნესო შადიმან, მე კი ნაღვლიანად ვფიქრობდი: რამდენი ხნით დაისაკუთრებს მეფის გულს საშიში მდაბიო მეთქი?.. მხოლოდ აი...—მას უეცრად გაახსენდა გულშარი და დარცხვენილი გაჩუმდა. შადიმანმა ცბიერი თვალი მოპუტა.

— საჭიროა გავაფრთხილო გულშარი. ჩვენი მომხრეების ინტერესებისათვის თეკლე მოწვეულ უნდა იქნას სასახლეში. გულშარს შესაშფოთებელი არაფერი აქვს. შადიმანი მოახერხებს დროზე გაუშვას უსიამოვნო სტუმარი.

ლხინი დიდ დარბაზში იყო გამართული. ისმოდა მირვან მუხრანბატონის მიერ წართქმული სადღეგრძელოები, თათართა ლტოლვის ამბები, მამაც რაინდთა გაბედული და ხუმრობა ლიქნი მეფის უშიშრობის შესახებ.

მეფის პირდაპირ, ნესტანის გვერდით, თავდახრილი იჯდა თეკლე. „დიაღ, ყვითელი კუდიანი უკვე მოქმედებს,—ჰფიქრობდა შადიმანი.—ჭრწმუნებს... ან, შესაძლოა, მართლაც ვერ აშორებდეს თვალს ამ ჯერ არ ნახულ მშვენებას... რა თქმა უნდა, გულშარს ქალთა შორის ცოტა მეგობარი ჰყავს. განგებ შეაქო „ანგელოზი,“ ან იქნებ მეფის მღელვარება შენიშნა... აბა როგორ არ შენიშნავდა, რომ თვალი ანთებული აქვს...“

„მოვწამლავ,“—ჰფიქრობდა გაფითრებული გულშარი.

— არ შეიძლია, ქალბატონო, სირცხვილით თავბრუ მეხვევა.— თეკლე კარებისაკენ გაილალა.

ლუარსაბმა ნერვიულად ჩასჭიდა ხელი ხელში შადიმანს. თავადი წამოდგა:

— ჩვენი მეფე მეტად ნასიამოვნებია მშვენიერი რუსუდანისა და უძლეველი გიორგის მასპინძლობით, მგონია, აგრეთვე ერთგულ დიდებულთა საამო სიტყვებით. იქნებ, მეფევ, ინებებდით ოდნავ ბაღში გასეირნებას?

— თუმცა ჩემი ჭკუის სწავლების დრომ დიდიხანია განელო, მაგრამ სიამით ვემორჩილები სასარგებლო რჩევას.

ლუარსაბი არხეინად წამოდგა.

— გამაცილე, ძვირფასო შადიმან.

სააკაძეს, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა უმიზეზო წასვლა, მაგრამ ჭეშმარიტებაც სრულიად არ იცოდა.

— ძვირფასო შადიმან. მე თავბრუდასხმული ვარ, თითქოს გულს ცეცხლი მოედოო.

— ეჰ, ახალგაზრდობის ბრალია! თავს რად იწუხებ, პირნათელო მეფევ? მშვენიერი ბაღში მოსძებნე და შეხვედრაც გიკარნახებს, თუ როგორ მოიქცე... ცოტა ხანს აქ ვიქნები, მერმე სუფრას დავბრუნდები და ვეცდები მოქეიფენი გავართო. ამასობაში აჩქროლებულ სისხლსაც დააცხრობ...

შადიმანი სწრაფად მიიმალა. ლუარსაბი ნერვულად მიმოდიოდა ხეივნებში და უეცრად თვალი მოჰკრა ხესმიყრდნობილ თეკლეს: ქალს უმწეოდ დაეხარა თავი და უმწეოდვე დაეშვა ხელები. ლუარსაბს სული ეხუთებოდა, უცნაური სიამის გორგალი ყელს ებჯინებოდა.

შიშმა მოიცვა თეკლე, მეფის შეხედვამ ააფორიაქა ჩვეულებრივი ცხოვრება. ქალი ძრწოლვით ადევნებდა თვალს თავის ფიქრთა რიალს: მაშასადამე, ყველაფერს ბოლო მოეღო? მერმე რაღა იქნება, წმინდა ნინოს მონასტერი? არა, არა. სიცოცხლე! სიყვარული? და განა შესაძლებელია ვისმე სხვას შევწირო სიცოცხლე? ვაიმე, ფიქრიც კი როგორ შემიძლია ამაზე?

თეკლემ უმწეოდ გაიშვირა ხელები და შიშით შეაცქერდა თვალებში ლუარსაბს.

— თეკლე, ჩემო თეკლე, მე ბედმა მარგუნა შენი თავი,—ტკბილმწვავე ტანჯვა სიტყვას უწყვეტდა, მძაფრი სურვილი თავბრუს ახვევდა, ეგონა ფეხქვეშ მიწა მეცლებაო,—მითხარი რამე, თეკლე, მიამბე შენი სურვილების შესახებ.

— შენ მეტად მოწყალე ხარ ჩემდამი, მეფეო... ჩემი სურვილი ფუჭსავატია, ვით ქარი... მე მინახავს პეპელა, მოხიბლული რომ სანთელს ელტვოდა...

ლუარსაბს სრულიად დაავიწყდა, თუ ვინ არის, ან სად არის. სავსებით მოიხიბლა. უსმენდა საკვირველი ხმის მუსიკას და გაოცებული იყო უცდომელი გულის სისპეტაკით.

თეკლეს სინამდვილე დავიწყებოდა, აღფრთოვანებული შესცქროდა თვალებში ლუარსაბს და უნებურად აგონდებოდა ერანიდან გიორგის მიერ მოტანილი ფაიფურის ლარნაკი, რომელზედაც გამოხატული იყო საზღაპრო პრინცი. და თითქოს ამ დახატულ პრინცს ესაუბრებაო, მან ახლა იწყო საუბარი ლუარსაბთან, ტყეში ნახულის ჭრელი გველის შესახებ, მის მიერ მოშინაურებული გარეული კატის კნუტის შესახებ, ვარსკვლავების შესახებ, ცაზე რომ ერთმანეთის დაჭერას ლამობენ, დამცინავ მთვარის შესახებ, ფანჯარაში რომ იჭყიტება ხოლმე და მოქარგულ ვეფხის შესახებ, გიორგის რომ ჰგავს, აგრეთვე ხრამის პირას ობლად მდგომ გარეულ ვარდის ბუჩქზე, სადაც მზის ჩასვლისას უყვარდა ხოლმე ყოფნა.

ლუარსაბი სულ უფრო ემორჩილებოდა მის ჯადოს და ვერ ახერხებდა აეხსნა თავისი მოკრძალება. თეკლეს შეხებასაც კი ვერ ჰბედავდა და ნაზი თითები მისი მხოლოდ შეშფოთებით ჰგლეჯდა ბალახს.

თეკლე უეცრად წამოიპრა: შეაშინა დახატული პრინცის უეცრად მოქუფრულმა ცქერამ.

ლუარსაბი შეძრწუნდა. ესაა მოჩვენება გაჰქრება, სამუდამოდ გაჰქრებაო, სწრაფად მივარდა თეკლეს, მძლავრი მკლავები მოხვია და გულში ჩაიხუტა. ტუჩებმა უნებურად მოსძებნეს ერთმანეთი.

წუთი? საათი? საუკუნე? გული იწვოდა. უეცრად რაღაცამ უჩხვლიტა: ძმა! თეკლე გაუსხლტა და ლიშხნარში მიიმალა. დაბარბაცებული ლუარსაბი ხეს მიეყრდნო.

მეფის დაყოვნებით გაკვირვებული გიორგი ბაღში გავიდა. შორიახლოს ლანდივით ჩაუქროლა გონებადაკარგულმა თეკლემ.

საკაძემ შეშფოთებული თვალი გააყოლა დას და მერმე ნაღვლიანად გადაჰხედა აღელვებულ ლუარსაბს, გიორგი უმცდარად მიხვდა რაც მოხდა და ყრუ ხმით ჰკითხა:

— ჩემო ხელმწიფევ, შადიმანი ამბობს: მეფეს დარბაზში ცხელაო... ხომ არ მიბრძანებთ ბაღში გამოვიტანო სუფრა?

ლუარსაბი სწრაფად მოეხვია და გადაჰკოცნა გაკვირვებული გიორგი, ის იყო უნდა ეთქვა სანუკვარი სიტყვა, მაგრამ თავში გაუელვა: „დედა! შადიმანი! გულშარი!“—და ლუარსაბმა მღელვარებით მიუგო:

— ეს დღე ყველაზე სასიხარულო დღეა ჩემთვის, და ეს სიხარული შენმა ოჯახმა მომანიჭა.

ამ დროს შადიმანიც მოვიდა და მეფესა ჰკითხა: დაისვენე თუ არა, ან როგორი იყო შენი გასეირნებაო.

გიორგის გააჟრჟოლა: აქ რაიმე შეთქმულობა ხომ არ არის?..

— დიაღ, გიორგი, დარბაზში ცხელა, აქ მოვილხინოთ. თუმც აღელვებული ვარ, მაგრამ ეს როდი მავიწყებს, რომ სტუმრადა ვარ დიდი მოურავისას, რომელმაც იხსნა ქართლი და მეფე.

ოდნავ დამშვიდებულმა გიორგიმ ლუარსაბი ბაღში გააცილა.

მინდორი წაბლის ხეებსა და ჭადრებქვეშ სპარსული ხალებით -არის დაფენილი. გარშემო მუთაქები და ბალიშებია. ხესთან სდგას ერთადერთი სავარძელი და რვაკუთხიანი პატარა სუფრა. ლუარსაბი სავარძელში ჩაჯდა. ოქროს ხონჩით სასწრაფოდ მოართვეს ღვინით სავსე ოქროს სურა და ლარნაკებითაც ხილი და ტკბილეულობა. ოქროს თასსე ბრწყინავდა შოთა რუსთველის შაირი: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

ლუარსაბი გულღიად ოხუნჯობდა. მეფის ფერხთით მჯდომარე შადიმანი მხარს უჭერდა გამხიარულებულ ლუარსაბს, და ყურადღებით ათვალიერებდა ოქროს ჭურჭელს, რომელსაც ისპაჰანის კვალი აჩნდა. ვარდისფერი აჩრდილები ლილისფერ ნისლში იცარებოდნენ, ბინდბუნდად მოსჩანდა შორეული მთები, გრილი სიო ტოტებში შრიალებდა. მხიარული სტუმრები გარს შემოეხვეოდნენ მეფეს. კვლავ გაჩაღდა ლხინი.

მძლავრია ომის აგრიგალება,
მაგრამ თავადთა
ლხინი მეტია.

ნაზი გულნარას შავმა თვალებმა,
შეიტკბო ჭადრის შრო, ბრწყინვალება,
მაგრამ სარდალის ტრფობა მეტია;
ღვინისთვის სული წაუწყმედია.

ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
ტკბილო,
ღვინის ეშხითა, ღვინის ჯადოთი
შენ შემაყვარე ამ სიმთა
კილო.

თავზე დანათის ქართლსა ლაჟვარდი,
ზეცა ანკარა,
ხან ღრუბლიანი.
ხან იცის ჰანგის ტკბილი ნავარდი,
ხანდახან კვნესის,
სწუხს ნაღვლიანი.

მინდორს მოეჯარნენ ნოსტელნი და შორეული სოფლებიდან მოსული გლეხკაცობა.

ლუარსაბის ოხუნჯობა საერთო აღფრთოვანებას იწვევდა. მხოლოდ ბააკა არ იცინოდა. მეტეხის მცველთა უფროსმა ჩვეულებისამებრ დააყენა ქეშიკნი მინდვრის გარშემო და ფრთხილად ადევნებდა თვალყურს მოელენათა განვითარებას...

ლუარსაბი ცდილობდა თავის გართობას, მაგრამ თეკლეს ხატება მუდამ თვალწინ ედგა.

— ჩემო შადიმან,—გაისმა აღელვებული ჩურჩული,—უმისოდ ბნელა...

შადიმანი წამოდგა და ღვინით სავსე თასი აიღო.

— მეგობარო გიორგი, მეფე სვამს მშვენიერი რუსუდანის სადღეგრძელოს.

ეს გადაკრული თქმა იყო,—მეფესა სურს ამ ლხინზე ქალებიც ესწრებოდნენო, სტუმრები წამოდგნენ და ხმამაღალი შეძახილებით უსურვეს დღეგრძელობა ქალბატონ რუსუდანს. გიორგიმ ყველას წინაშე თავი დაჰხარა და პაპუნა გაგზავნა რუსუდანთან.

სტუმრებით გარსშემოხვეული რუსუდანი ლუარსაბთან მივიდა, მიესალმა და მხლებლებითურთ მამაკაცთა პირდაპირ ხალიჩებზე დაჯდა.

ლუარსაბი უფროც აღელდა: ქალთა შორის თეკლე არ იყო. შადიმანმა ჩაიცინა და ჩუმად შეაქო რუსუდანის შორსმჭვრეტელობა.... მძლავრი თითები ხუმარის მხარს ჩაეჭდო.

— ამ წუთს აქ უნდა იყოს!

— ფრთხილად, ჩემო ბრწყინვალე ხელმწიფევ, აჩქროლებული სისხლი ცუდი მრჩეველია.

ხოლო ლუარსაბი დაჟინებით განაგრძობდა ვით ბავშვობისას: აქ უნდა იყო მეთქი!

შადიმანმა კვლავ აღმართა სავსე ფიალა:

— ძვირფასო გიორგი, გამიგონია, მზიან დღესავით ნათელი და მთვარიან ღამესავით მშვენიერი თეკლე, კარგად ცეკვავსო, იქნებ მშვენიერმა ისურვოს მეფის თვალის დატკბობა?...

სააკაძემ სიტყვა ბანზე ააგდო და ნოსტელ ქალიშვილებზე დაიწყო ლაპარაკი. ლუარსაბმა ალერსიანად ჯაიღიმა: განა შეიძლება ქალები მოვაკლოთ სიამეს რაინდთა აღფრთოვანებით დასტკბნენ? და მართლაც ახალგაზრდა ნოსტელმა ქალებმა ცეკვითა და თავიანთი მშვენებით საერთო აღფრთოვანება გამოიწვიეს.

ლუარსაბი სულ უფრო ჰკარგავდა გონებას და შადიმანს ემუდარებოდა, რადაც უნდა დაგიჯდეს თეკლე აქ უნდა მოიყვანოო. გარნა ვერც კარისკაცის ნაცადმა ოინებმა და ვერც მაცდურმა ლიქნმა ვერ შეარყია გიორგის მტკიცე გადაწყვეტილება,—და კვლავ აღარ ვაჩვენოო.

ლუარსაბი მიხვდა და უეცრად წამოდგა. მხიარული, შესაძლოა, მეტად მოუთმენელი ხმით წამოსთქვა:

— გიორგი, ვთხოვ მშვენიერ თეკლეს, დამდოს პატივი.

გარშემო ყრუ გუგუნი გაისმა:

— განა მეტად დიდი პატივი არ დასდეს სააკაძეს?

— როგორ მოიხარა მეფის წინაშე და როგორ გაეშურა დარბაზისაკენ...

— და რუსუდანი მუდამ ამაყი ყოფილა, ახლი კი...

— ნესტანი გახარებულია, გულშარი ფითრსა ჰგავს...

— კვლავ აფორიაქდება მეტეხი...
— ახლა მეფისათვის სამი შეეჯიბრება ერთმანეთს...
— არა, ნესტანი ნათესავს დაუთმობს, ხელსაყრელია...
— გულშარმა საშუალება იცის...
— ეგეთი საშუალება ყოველმა ქალმა იცის...
— იჰ—იჰ—იჰი—... ამ ნატომ ყოველთვის უნდა გაგაცინოს...

სააკაძეს ათრთოლებული თეკლე მოჰყავს. ნაზად დაუკრა საზანდარმა. გაუბედავად გაიშალა ნატიფი მკლავები, ყვავილთ ფერი დაჰკარგეს. აკაცუნდა სიმები და—მიწყნარებულ არეში ფრინველივით გაინავარდა ორმა არსებამ. თეკლე, თითქოს ულმობელ ბედისწერას გაურბისო, თითქმის არ ეხებოდა მოჯადოებულ ხალიჩას. ლუარსაბი გონებასა ჰკარგავდა და ქორივით დაფრიალებდა თავს.

ყველანი სულგანაბულნი უცქერდნენ უცნაურ ცეკვას. და არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ რა ძვირად დაუჯდებოდა ქართლს ეს ცეკვა.

აი სულ უფროდაუფრო ახლოს ეკვრიან ერთმანეთს. თეკლეს ესმის მცხუნვარე სუნთქვა... ამოგორდა მწველი მზე, თვალი დაუბნელა, თავბრუ დაასხა, დაბარბაცა და თეკლე უხმო მუდარით დაემხო მეფის ფერხთა წინ. ყოველივე შთაინთქა, გაჰქრა და, ოჰ ბედნიერებავ, ისინი მარტონი არიან. ლუარსაბი გიჟივით დააცხრა საყვარელ არსებას...

ერთი წუთი. მხოლოდ ერთი თვალის დახამხამება, ყველასაც კი არ შეუნიშნავს. რუსუდანი მივარდა და ცოცხალმკვდარი თეკლე ამ სიტყვებით გამოსტაცა:

— როცა მეფე ესოდენ ყურადღებას აქცევს უბრალო ქალიშვილს, გული ამდენს ვერ აიტანს...

— რუსუდან,—ძლივგასაგონად წარმოსთქვა ლუარსაბმა,—მოუარე თეკლეს, საკუთარ თვალისჩინზე უფრო გაუფრთხილდი...

რუსუდანმა შიშით შეავლო თვალი და თეკლე თითქმის ხელით წაიყვანა. ბაკა წყნარად მიუახლოვდა და ხმალს ხელი გაივლო. სააკაძემ მოქურუხებული თვალი გააყოლა წასულთ, მაგრამ მყისვე თავი შეიკავა და მეფის წინაშე ბოდიში მოიხადა დის ულონობისათვის. წყნარად, მხოლოდ გიორგის გასაგონად გაისმა ხმა:

— მენდე, გიორგი... შემდეგ მოვილაპარაკოთ...—და ხმამაღლა დაურთო:—ახლა კი შეგიძლია დაათრო შენი მეფე და რაც გინდა, უყო.

იარაღზე ხელდადებული დიდებულნი დაძაბული ელოდნენ და გაკვირვებულნი ლუარსაბთან ერთად მოწყვეტილად დაეშვნენ ბალიშებზე. და კვლავ ასისინდნენ მოწამლული ისრები:

— მეფეს ხელს უკოცნის, დისთვის მადლობას უხდის, საჯაროდ გადაეხვია...

— მდაბიოებს არ ებოდიშებიან...

— ზოგჯერ, გულშარ, ქალბატონებსაც არ ებოდიშებიან,

-- ხორეშანმა ეს ძალიან კარგად იცის. ზოგიერთ ქალს აზნაურები ბუზებივით მიუძვრებიან ფანჯარაში...

— სიყვარულით ჰბედავენ. ხოლო ზოგიერთებთან უტიფრად აშკარად შედიან. ქმრებიც კმაყოფილნი არიან, ხარკს იღებენ...

— მართალია, ბევრნი ასე განდიდებულან...

— ჰი,-ჰი-ჰი-ჰიი.., ამ ნატომ ყოველთვის უნდა გაგაცინოს...

მხოლოდ ჭკუიანმა ნესტანმა შეაფასა უმცდარად მდგომარეობა და ხმამაღლა სთქვა: თუმცა მშვენიერზე უმშვენიერესი მეფის სიახლოე უფრო გამოცდილებსაც აუბნევს გონებას, მაგრამ მაინც წავალ და დავამშვიდებ ჩემს სპეტაკ ვარდს... ლუარსაბმა სწრაფად შეავლო ნესტანს თვალი და გაიფიქრა: „თუ ნესტანი ჩაერია, მაშინ მალე ვნახავ ჩემს ძვირფასს... შესაძლოა ამაღამაც“... დიდებულთ გადაჰხედა. გულშარი! და უეცრად თეკლესათვის შიშმა მოიცვა...

შუალამემდე გაგრძელდა ლამპიონებითა და მთვარით გაჩირაღდნებული ლხინი, გარნა შუალამისას, ყველას გასაოცებლადა, ლუარსაბმა განაცხადა ცხირეთს უნდა წავიდეო.

— ეშინია ჩრდილი არ მიაყენოს თეკლეს,—სწორედ ივარაუდა მირვანმა.

საკაძემ მეფეს გაახსენა,—აკი შემპირდი ორ დღეს უნდა ვილხინოო... ლუარსაბმა ალერსიანად გაიღიმა: მართალია, დაგპირდი, მაგრამ მინდა ღამის გასეირნებით ოდნავ გამოვაფხიზლო მთვრალი დიდებულებიო...

თუმცა მეფე ნასვამი იყო, მაგრამ მაინც მარდად მოახტა ცხენსა და თავაზიანად სთხოვა გულშარს, ჩემი თანამგზაერი იყავიო.

— ეშინია, არა სურს აქ დასტოვოს გველი,—წასჩურჩულა ზურაბს ხორეშანმა.

მეფის გადაკრული სიტყვა გაიგეს და, მიუხედავად იმისა, რომ თავიცა და ფეხიც საკმაოდ დამძიმებული ჰქონდათ, თავადნი სასწრაფოდ შესხდნენ ცხენებზე.

ააკაძე „ვეფხვთა რაზმით“ და აზნაურებითურთ მეფეს გაჰყვა და ჩირაღდნებით გზას უნათებდა... თუ კი ნასვამ მეფეს შეუძლია ოთხ საათს ცხენით სიარული „ვეფხვებისთვის“ რვა საათისაც საძნელო არ იქნებაო...

ციხედარბაზში დარჩნენ: ნესტანი, ქსნის ერისთავები, ნუგზარი და ხორეშანი.

განთიადმა მტრედისფრად შეღება ცისკიდური. თეკლე იმ ჰადრის ქვეშაა, სადაც რამდენიმე საათის წინათ მოისმინა მეფის მხურვალე გულნადები. ახლა რაღა იქნება?.. ზვიად დიდებულთა წინაშე მეფეს ფერხთ ჩაუვარდე და სიყვარულს ემუდარო?.. ღმერთო ჩემო,

როგორ მიცქერდა გიორგი... ტყუილად მარწმუნებს კეთილი ნესტანი, მეფისთვის ეს მხოლოდ საამო იყოო. მერე რად წავიდა? ორ დღეს აპირებდა სტუმრობას. როგორ ვრთავდით მის საწოლ ოთახს, რამდენი ყვავილი მოვიტანე!.. მზეც გაჯავრებულია, არა სურს ამოსვლა! ძმა! ჩემი დიდი ძმა დაბრუნდა. ღმერთო, ღმერთო, რა იქნება, რა იქნება!

მაგრამ არაფერიც არ იყო. სადილზე, როცა რუსუდანმა ძალით შემოიყვანა ათრთოლებული ქალი, გიორგი მხიარულად უპასუხებდა ხორეშანს, რომელიც გესლიანად დასცინოდა გულშარსა და შადიმანს. ყველას გუშინდელი ლხინი აინტერესებდა და თეკლეს ყურადღებას არავინ აქცევდა, პაპუნაც კი. თეკლემ მსუბუქად ამოისუნთქა. იგი ვერ ხედებოდა, რომ ჩუმად იყვნენ შეთანხმებულნი, დავზოგოთო.

მეორე დღეს ციხედარბაზში დარჩა მხოლოდ რუსუდანი და თეკლე, გიორგი და სხვები მეფის გასაცილებლად წავიდნენ.

წასვლის წინ ნესტანი დიდხანს ეჩურჩულა თეკლესა და დაიყოლია ლუარსაბისათვის შავი თმის კულულით შესკვნილი წითელი ვარდი გაეგზავნა...

წყნარად გადიოდნენ დღენი. არ ისმოდა ცხენის ფეხის ხმა, არ მოჰქროდა მიჯნური, არ უკოცნიდა გაციებულ ხელებს... მხოლოდ ვარსკვლავნი კაშკაშებდნენ, მხოლოდ ცრემლი ციმციმებდა წამწამებზე და მხოლოდ ბნელი ღამე სთესავდა ეჭვებს...

თავი ოცდამეცხრამეტე

ტფილისის სავაჭრო კარები ფართოდ არის გაღებული. დამტვერიანებულ აქლემებს მარდად ხდიან საპალნეებს. ხალხით გაჭედილ დუქნებში გაცხარებული კამათი, ფიცი და აურზაურია, ჩხრიალებს ოქრო, წკრიალებს თასები. და ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ურტყამენ ჩაქუჩს ამქრები, უფრო სწრაფად ტრიალებს ადლი, უფრო ლაღად ირხევა სასწორი.

ყველა შემხვდური მოწიწებით აძლევს სალამს დიდ მოურავს, რომელსაც გოლიათური ტანადობითა სცნობს.

ლუარსაბი ითვალისწინებდა თეკლესათვის გააფთრებულ ბრძოლის აუცილებლობას და ამიტომ საკაძე სამეფო დროშის ჯარის სარდლად დანიშნა. წინაალმდეგობის გაუწევლად მოხდა აგრეთვე საკაძის დანიშვნა სამეფო საბჭოს წევრად; სურამის ბრძოლამდე უმაღლეს სამეფო საბჭოს დასწრება მხოლოდ დიდებულთ შეეძლოთ.

საკაძემ ერთბაშადვე გამოიჩინა დაუცხრომელი ხასიათი. ლუარსაბი და საბჭო დაარწმუნა, ვისარგებლოთ მტრის განადგურებით და გავწმინდოთ ქართლის ის მიწა-წყალი, რომელიც სულთანმა მუ-

.რადმა წარგვტაცაო. ეს მადლიანი კუთხე გაამდიდრებს სახელმწიფოს, ჯოგი და სხვა ქონება ქართლს დარჩება და სულთნის ქოფაკები ისევე წავლენ, როგორც მოსულანო.

ასეთი საბუთების წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო და, რადგან ლუარსაბს სურდა განემტკიცებინა მოურავის გავლენა მეფის კარზე ამიტომ ეს საქმე სააკაძეს მიანდო.

სამი დაუცხრომელი თვე გაატარა სააკაძის რაზმმა აყვავებულ ჭალებსა და ხევებში.

შაჰ აბაზთან განუწყვეტელი ომით გართულ სტამბოლს ფიქრადაც არ მოსდიოდა დახმარება გაეწია ერთმორწმუნეთათვის, გარდა ამისა, ქართლის გულის მოგება და მასთან კავშირის ;დადებაც სურდა. და ნადავლით დატვირთული ქარავნები, ;უთვალავი ფარა და აურაცხელი ცხენთა რემა ტფილისისაკენ იძვროდა.

ნოყიერმა ;იწა-წყალმა მადა გაუღვიძა დიდებულთ. გარნა სააკაძე, გარდა ზურაბისა და მუხრან-ბატონისა არცერთ ფეოდალს არ აწუხებდა შემოერთებული კუთხის მზრუნველობით. სამეფო თათბირზე სააკაძემ მოხერხებულად გაიხსენა ძველისძველი ჩვეულება, რომ დაპყრობილ ქონებას მხოლოდ ომის მონაწილენი იყოფენო, და გარდა ამისა, დიდი სახსარი დასჭირდება ახალ ციხეთა აგებას, რადგან რად ღირს დაპყრობილი, უკეთუ ვერ შეინარჩუნებო.

გიორგის ვარაუდი სწორი გამოდგა. ასეთმა საბუთმა იარაღი დააყრევინა დიდებულთ. შადიმანმა ძვირფასი საჩუქრები და ცხენთა რემა მიიღო და, რაკი აშკარად ხედავდა სამეფო ხაზინა გამდიდრდაო, უნებურად სდუმდა. გარნა დიდებულთ ვერ მოითმინეს თავიანთი უფლების შეკვეცა და კვლავ გამძაფრდა სიძულვილი თავხედი მოურავისადმი.

მეტეხის პოზიციებზედაც სამ თვეს გრძელდებოდა ბრძოლა...

ლუარსაბი მკვეთრად გამოიცვალა. მოსწყინდა იოლი გამარჯვებანი და სამეფო საქმეებს მოჰკიდა ხელი; მისი მტკიცე ნებისყოფა და ნათელი გონება უსიამოვნოდ აკვირვებდა დიდებულთ. აშკარად გაგულგრილდა გულშარისადმი და არა ჰფარავდა თავის განწყობილებას ნესტანისადმი, რომელმაც არ დააყოვნა და საჯაროდ იზეიმა თავისი მეტოქის დამარცხება.

ტყუილუბრალოდ ცდილობდა გულშარი ლხინით, ასპარეზობით, ნაცადი კეკლუცობით, ძვირფასეულობითა და მორთულობით კვლავ მოეპოვებია დაკარგული გავლენა. თეკლეს ხატება სავსებით დაეუფლა ლუარსაბის გულს.

სწორედ ამ გაცხარებული ფარიკაობის დროს საიდუმლო დავალებით მეტეხს ეწვია ხორეშანი.

რუსუდანს აწუხებდა უხერხული მდგომარეობა: შეუძლებელი იყო მეტეხს არ სწვეოდა და თეკლეც თან არ წაეყვანა მას შემდეგ, რაც მეფე ეწვია. ხოლო წარსულიყო დედოფლის მიუწვეველად — თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა. ხორეშანთან დიდიხნის თათბირის შემდეგ შემუშავებულ იქნა გეგმა...

მიუხედავად შადიმანის მტრობისა, ხორეშანი თავისი გაბედული, მხიარული ხასიათითა და გულღიაობით დიდი უფლებით სარგებლობდა მეტეხში.

აი ახლაც, კარგი მუჯლუგუნი უთავაზა კისერში ფართოდ მოღიმარე ქეშიკსა და დაუბრკოლებლად გადააბიჯა აკრძალულ ზღურბლს.

— თეკლეს ვუფრთხილდები... შენი სურვილისამებრ, თვალს არ ვაშორებ. ბევრი საეჭვო მგზავრი ქალი, მორჩილი მოდის, მაგრამ ციხედარბაზში არ ეუშვებ... მეშინია, ჯიბეში საწამლავი აქვთ...

ლუარსაბი დააფიქრა რუსუდანის წერილმა: თუ კი ნოსტეში საჭიროა თეკლეს ფხიზლად ვადევნო თვალყური, როგორ შეიძლება ჩემი მოსვლა მეტეხს, სანამ გულშარი მანდ არისო? მართალია ნესტანიც: გადია რომ არ ჰფარველობდეს, დიდი ხანია მოჰკლავდნენ მეტეხში. ნესტანის ორი ერთგული ფარეში გულშარმა მოაწამლვინა... ლუარსაბს გააჟროლა. შიში და სურვილი თეკლეს ნახვისა ერთმანეთს ებრძოდა მის გულში. ხორეშანი პოლიტიკას არ მისდევდა და აშკარად უთხრა ყველაფერი, რაც რუსუდანის წერილში მოხსენებული არ იყო.

— თუ გსურს, ძვირფასო ლუარსაბ, უეჭველად ნახო აქ თეკლე, აუცილებელია დაპატიჟება. ასეთ საქმეში დედოფლის სურვილის წინააღმდეგ მოქმედება არ ვარგა.

მხოლოდ ახლა მიხვდა ლუარსაბი მთელი სიცხადით, თუ რამდენად შეუძლებელი იყო საყვარელი ქალის მოსვლა: დედას რომ თეკლეს მოპატიჟება ვთხოვო, — ეს იმას ნიშნავს, რომ უდროოდ გამოვამჟღავნო ჩემი საიდუმლო გადაწყვეტილებაო. გაიფიქრა მან და მერე დედოფალი მოისურვებს განა? გულშარი არ დაანებებს... ან იქნებ, პირიქით, დაიყოლიოს კიდეც?.. არა, არა, თეკლესათვის აუცილებელია უსაშიშრობა და არც რუსუდანმა უნდა დასტოვოს ნოსტე. უნდა ვთხოვო ზრდილობიანად, გადასდოს მოსვლა. ლუარსაბმა ხორეშანის წინაშე ისეთი გულახდილობით, როგორითაც კი მხოლოდ ხორეშანთან შეიძლებოდა ლაპარაკი, გამოსთქვა თავისი შიში. და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ რუსუდანის იდუმალი სურვილი შესრულებულ იქნა...

ლუარსაბმა თავაზიანი პასუხი გაუგზავნა რუსუდანს და ხორეშანმაც, რაკი დავალებული დიპლომატიური მისია შეასრულა, ორ დღეს იხმაურა მეტეხში და ნოსტეს გაბრუნდა. დაბრკოლებამ უფრო გააახელა ლუარსაბის სურვილი. და ნესტანი სტუმრად წავიდა ნოსტეს...

ლუარსაბმა უეცრად მოისურვა თვალადში წასვლა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ნესტანი და პირშებურული თეკლე იესეს თანხლებით სასეირნოდ წავიდნენ. თეკლემ მხოლოდ გვიან, დაბურულ ხევში, დანგრეული ნი'ფის მახლობლად გაიგო მოსალოდნელი პაემნის შესახებ. იესე საგუშაგოზე იდგა და სამი წამოსადავებული ცხენი ეკავა.

გაისმა გამალებული თქარათქური ცხენისა და იესემ ძლივს მოასწრო მეფის ცხენის სადავით შეკავება.

ლუარსაბი გულაფანცქალებული გაეშურა ათრთოლებულ თეკლესკენ. სიტყვა ვერ დაეძრათ. მოხიბლულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. გული გამალებით სძგერდა, ფიქრი სადღაც შორს იტაცებდა და უსაზღვროებაში ანანავებდა...

წყნარად შეირხა თბილი ბინდბუნდის განუკვრეტელი ფარდა. ნაადრევი ვარსკვლავი ოქროს ცრემლივით გაკრთა. მიჯნურნი შესცქეროდნენ ნესტანს, რომელიც მოურიდებლად ანჯღრევდა მათ.

— ღვთის გულისათვის, მეფეე! საფრთხეში ნუ გვაგდებ, განა არ გესმის ბუკის ხმა! ორი საათია აქა ხარ.

— ქართლის ტახტს დავთმობდი, ოღონდ სამუდამოდ სატრფოსთან დარჩენის ნება მოეცათ.

ლუარსაბმა ყურადღება არ მიაქცია ნესტანს, თეკლესაკენ დაიხარა და წყნარი ხმით უთხრა:

ნეტავი რადმე გადამაქცია,
მაქცია ბროლის ელვარე თასად,
სვამდე ამ ბროლით სადღეგრძელოსა,
და ჩემკენ ხრიდე ხუჭუჭა თავსა.

ანდა სათითე ვიყო ოქროსი,
რომ გავიხარო შენი შეხებით,
ან მაყვლის ბუჩქად გადამაქცია,
რომ დაგიკაწრო კობტა ფეხები.

ვიყო მაგ კავის ერთი ღერი და
დილის სხივივით ნემსში გავება,
ან როგორც ფერფლი დავეცე წამწამს,
ვით ვარდის სუნთქვის მონიავება.

ანდა ალისფერ ვარდად მაქცია,
გადავეფინო მაგ ლამაზ ღაწვებს,
ან აბრეშუმის გავხდე პერანგი
ბროლის გულმკერდზე მსუბუქად დავწვე.
ან ვიყო შენი სურვილი რამე,
უტკბესი ტანჯვა-გულში რომ იწვის,
და ან შენ ჩრდილად გადამაქცია
განშორება, რომ აროდეს იცის.

ნესტანი სასოწარკვეთილი ემუდარებოდა:

— მეფეე, აი ძაღლის ყეფისა და ცხენის ფეხის ხმა ისმის, გემუდარები, შეიბრალე ჩვენი პატიოსნება...—ლუარსაბმა ხელი შეუშვა თეკლეს.

— მელოდე, თეკლე...—თეკლემ შავი თვალები შეანათა.

— მთელ სიცოცხლეში შენ გელოდები.

წამიერი პაემნის შემდეგ ნაღველი არა შორდებოდა ლუარსაბს. ძლიერ იკავებდა თავს, რომ ნოსტეში არ გაქანებულიყო, და წყნარად აყვედრიდა ნესტანს, მოთმინება აღარ მყოფნისო. და ნესტანმაც გადასწყვიტა...

— მშვენიერო ნესტან, ვფიქრობ, რომ მარტო მოურავის ნახვას არ გამოუწვევია შენი სტუმრობა.

ნესტანი გიორგის მიერ ნაჩუქარ მანიაკს ათამაშებდა ხელში და იღიმებოდა.

— რა თქმა უნდა, არა მარტო მაგას... მინდოდა მოგთათბირებოდი, მაგრამ ჯერ მიდი, ნახე, ხომ არავინ გვაყურებს.—შემდეგ ნესტანმა საყვედურით მიმართა მეგობარს: თეკლე მოწყენილობით დადარდიანებულია. მთელი სამხედრო ძალა-უფლება ჩვენი ქვეყნისა მოურავის ხელშია, და კი მონაზონივით დამწუხრებულია... გული სიყვარულს ელის, ახალგაზრდობა მხიარულებას მოითხოვს და განა ლამაზი დის ჩვენება საამაყო არ არის? მე გადავსწყვიტე გავართო თეკლე, და რუსუდანიც ხომ დიდი ხანია არ ყოფილა ანანურს. მინდა დიდი ნადირობა მოვაწყო და თუ ოჯახობითურთ არ მეწვევი, ჩემი მეგობარი აღარ იქნები.

— ძვირფასო ნესტან, რა საჭიროა გარწმუნო შენი ერთგული ვარ მეთქი, ჩემთვის შენ ღვიძლი შვილი ხარ, ზურაბი კი—საყვარელი ვაჟი. მე შთავუნერგე მას მამაცობა, შეგაერთეთ თქვენ, და სიცოცხლეზე უფრო დაკავშირებული ვართ ერთმანეთთან. მაგრამ ხომ არ დაასახელებდი, კიდევ ვინა გსურს დაჰპატიჟო?..

— ო, გიორგი, რასაკვირველია, მთელი სასახლე!—განგებ უდარდელად წამოიძახა ნესტანმა,—მაგრამ დამშვიდებული იყავ: ერთი და იგივე აღარ განმეორდება...—გიორგი ყოყმახობდა, შეუძლებელი იყო უარით ნესტანის შეურაცხყოფა. და რუსუდანი და თეკლეც, მართალია, მოწყენილად ცხოვრობენ. მაგრამ ვინ იქნება იქა?.. მგონი, ლუარსაბი გონს მოვიდა, აღარაფერს ამბობს, მაგრამ, ერთიც ვნახოთ, კვლავ აიწყვიტა! შესაძლებელია განა ხელმეორედ გადავიტანო შეურაცხყოფა?..

ნესტანმა რომ ყოყმანი შეამჩნია, უფრო დაჟინებით დაუწყო თხოვნა: თეკლე ჩემს ოთახში იცხოვრებს, რუსუდანი შვილებიანად დიდ სიხარულს მიანიჭებს ნუგზარს, „ვეფხები“ მეფესთან ინადირებენო... და საკაძე დასთანხმდა.

— დათვებზე ნადირობა! ორი კვირის განმავლობაში თეკლეს ცქერა! საიდუმლო შესასელელი შენს სადგომში... ო, ჩემო ნესტან, რით გადაგიხადო?..

— მეფეე, შენ, მგონი უმთავრესი რამ დაგავიწყდა,—იცინოდა ნესტანი.

— მთავარი ის არის, რომ ვნახო თეკლე, ვკოცნო მისი მარჯნის ტუჩები და ვუცქირო ნათელ თვალებში! ნესტან, ნესტან! სიყვარული დიდი ტანჯვაა!

— შემდეგ რაღა იქნება, ჩემო ხელმწიფეე?

— შემდეგ? ვერ ხვდები?.. მაგრამ იმედი მაქვს გულშარი ანანურში არ იქნება!

— არა, მეფეე, იგი უარს იტყვის...

მეფის მოულოდნელი თავაზიანობით გაკვირვებული ნუგზარი საჩქაროდ ემზადებოდა სტუმართა მისაღებად. ალბათ, ნესტანმა, გულშარის საზიანოდ, დაიყოლია ლუარსაბი. რა გაეწყობა, ეს ცუდი არ არის. მეფე უკვე მეორეჯერ მოდის სტუმრად,—სიამაყით ჰფიქრობდა ნუგზარი.—მუხრანშიც კი მხოლოდ ერთხელ იყო... ალბათ, შადიმანის მეგობრები ბრაზით დასქდებიან. თუმცა მათ არა სცალიათ, სურამის ბრძოლის ნადაული ვერას გზით ვერ გაუყვიათ... გიორგიმ ომი მოიგო, ტურები კი ნადავლს იყოფენ... კარგია, ტურები გამახსენდა... რატომ აქნამდე არ გავჯორე უფროსი ქაჩიბაძე? შემპირდა თურქთა მიერ დაყრილ იარაღს შუა გაგიყოფო და მთლად კი თვითონ გაზიდა ურმებით... ჰგონია, ცუდი მეხსიერება მაქვს. ჭკუიანია რაღა! ინით შეღებილ ულვაშს ატარებს და ჰგონია, შაჰი უკვე მოვინადირეო.

ნატოს სიამაყით მოსვენება აღარა ჰქონდა: ნესტანმა გაამართლა ის იმედი, რასაც ოდესმე რუსუდანისგან მოველოდითო.

და სანამ თავადნი ანანურს ისწრაფვოდნენ სანადიროდ, საა კაძე ჩქარობდა თურქთაგან განთავისუფლებულ მიწა-წყალზე სახასო გლეხები დაესახლებინა. მხოლოდ „ვეფხებისთვის“ ცნობილი გზით დიდებულთა სასახლეებში ვრცელდებოდა ხმა, რომ ხიზნები ორმაგად მიიღებენ მიწასა და საქონელს და მათ სამი წლის განმავლობაში გადასახადი არ შეეწერებაო. აფორიაქებული გლეხები სტიქიონურად სტოვებდნენ თავადთა შეჩვეულ ადგილებს და მრავლად ილტვოდნენ თავისუფალ განაპირა კუთხეებისკენ.

გაცოფებული ფეოდალები მეტეხს გაეშურნენ და მოითხოვდნენ, ბოლო მოეღოს შრომისმოყვარე გლეხთა ლტოლვასაო.

ლუარსაბმა საუკუნეებით განმტკიცებული კანონი დაიმოწმა, რომელიც ჯერ არცერთ მეფეს არ დაურღვევია. ფეოდალებმა შადიმანს მიმართეს და, თუმცა მოურავის მოქმედება ქვეყნის გასამდიდრებლად იყო მიმართული, „რკინის ხელი“ ძალზე შეშფოთებული

იყო სააკაძის პოპულარობითა და სიფიცხით. შადიმანმა დაიწყო ძიება საშუალებისა თუ როგორ ჩამოეშორებინა მეფისთვის სააკაძე. ანანურის სადირობამ ძალზე გაახარა შადიმანი, რადგან აუცილებლად მიაჩნდა საიდუმლო თათბირი მოკავშირე დიდებულებთან, მეფის ნებართვა მიიღო და სამის დღით თავის სასახლეში გაემგზავრა, თანაც ერთგულნი შიკრიკნი დაჰგზავნა თანამოაზრე თავადებთან. ამირინდომაც მოახერხა არ წასულიყო ანანურს. მოსისხარ მტრებთან... ნესტანი მოხერხებულად შეეხო გულშარის თავმოყვარეობას და უკანასკნელი მიიპატიჟა იგი. გაჯავრებულმა მშვენიერმა გესლიანად შენიშნა: დიდი ხანია ვოცნებობდი თავისუფლება ‘ამენიჭებინა ლუარსაბისათვის დათვთა საზოგადოებაში დამტკბარიყო, მე კი არწივის ბუდეებს ვამჯობინებ. ნესტანმა ვითომ უსაყვედურა საღამოს დედოფალს, არა გსურს ერისთავები გაახაროო. დედოფალი აიბნა: მხოლოდ დილით მიეეცი სიტყვა გულშარს, მაგრამ ზამთარში უეჭველად უბრალოდ ვეწვევი ანანურსაო.

თავისი პოლიტიკით კმაყოფილმა ნესტანმა გულიანად იცინა, ლუარსაბთან ერთად იქენეული გულშარის მიუხვედრობაზე, და ანანურს გაეშურა სტუმართა მიღების სამზადისისათვის.

სააკაძე გაკვირვებულია. შადიმანი, რომელიც მეფეს თავის საკუთრებასავით უფრთხილდება, უეცრად სამი დღით უშვებს ანანურს ლუარსაბს. და თუმცა შადიმანის სასახლის მიახლოება ძალიან ძნელი იყო, ბრმა მათხოვარმა. რომელსაც არჩილი გამყოლად ახლდა, ღამე გაითია ერთი ღვთისმოსავი დედაბრისას.

ამრიგად, სააკაძემ უკვე ლხინის დროს იცოდა სახელი ყველა თავადისა, რომელიც შადიმანთან თათბირობდა.

ერისთავთა საამოდ, ლუარსაბი მეტად მხიარული იყო... ნესტანის სამყოფი ანანურის სასახლეში საუცხოოდ მორთული იყო შეყვარებული ზურაბის მიერ. მაგრამ ნესტანმა ქმრის საწოლში მოწყობა ისურვა, თავისი კი თეკლეს დაუთმო.

ნესტანის უცნაურ სურვილს დაჰყვნენ და მეფისთვის საწოლი ციხის კოშკში მორთეს... ძალიან უყვარს მთების ცქერა, კოშკიდან კი მშვენიერი სანახაობა იშლება თვალწინაო. მაგრამ აღმოსაელური ფუფუნებით მორთული საწოლი კი არ ჰხიბლავდა ლუარსაბს, არამედ ფარული კარი, რომელიც კოშკის მრგვალ კედელში იყო დატანებული. თუმცა თეკლე ადრევე იყო გაფრთხილებული ნესტანისაგან, მაგრამ პირველ ღამეს, როცა ბროლის კანდელის შუქზე ხალიჩა შეირხა, უნებური კივილი აღმოხდა. მხოლოდ მიყუჩებული ღამე იყო მოწმე შეყვარებულთა საამო ჩურჩულისა. ლუარსაბი ჰფიქრობდა: ორი კვირის განმავლობაში საყვარელი არსების ცქერამ ‘ხიბლავ სიზმარივით განელოო: დღისით ნადირობა და ლხინი ამოკლებდა დროს და სიხარულის წუთს ააბლოვებდა, მაგრამ ნებადართულზე მეტხანს დარჩენა უხერხული იყო.

გიორგი სავსებით დამშვიდდა. მეფე ძალზე თავაზიანი იყო ყველასთან და უპირატესობას არავის აძლევდა. მაშინაც კი, როცა ლუარსაბმა საკუთარი ხელით ჩასცა სატევარი დათეს გულში და ტყავი თეკლეს ფეხთი წინაშე ამ სიტყვებით დააგდო: „მიირთვი, თეკლე, და გახსოვდეს: მე ვიცი, გული სადაც იმყოფებაო,"—გიორგი მაშინაც კი ვერ მიხვდა მოახლეებულ ამბებს. წასვლის წინა დღეს ლუარსაბი საიდუმლოდ ეთათბირა ნესტანს.

— უნდა დამეხმარო თავიდან მოვიშოროთ გულშარი. არ შემიძლია საფრთხეში ჩავაგდო თეკლე...

— შადიმანი და ამირინდო მტკიცედ არიან დაკავშირებულნი, სამ დღეს ერთად თათბირობდნენ.

— თათბირობდნენ? რაზე?—ლუარსაბმა ეჭვიანად სცქვიტა ყური.

მაგრამ რაკი ნესტანს ახსოვდა, თუ რა „სამსახური" გაუწია ერთხელ გიორგის, საკაძის სახელი არ უხსენებია, სამაგიეროდ დაასახელა ყველა ის თავადი, ვინც გულშარის მოხაწილეობით შადიმანის სასახლეში თაობირობდა. მეო,—სთქვა ნესტანმა,—რა თქმა უნდა, საეჭვოდ მომეჩვენა შადიმანის იქ არ ყოფნა და შენი ერთგულებისათვის გავგზავნე სანდო კაცი... ამით შეიძლება ამირინდოს ვაწყენინოთ და გულშარიც ერთხელ კიდევ გულნაკლული დარჩება... ხომ იმან მიიტყუა მარიამ დედოფალიც იმ საეჭვო თათბირზეო...

თავი მეორმოცე

შადიმანმა კვლავ გაშალა გრაგნილი, ყურადღებით გადაიკითხა ამქრებისათვის მომზადებული კანონი—ხაფანგი, მაგრამ ზედ ლუარსაბის ხელწერა არ იყო.

მმართველმა პირველად განიცადა დამარცხება: ლუარსაბმა არ დაამტკიცა ამქრებზე გაწერილი ახალი გადასახადი... სახსარი სასახლის შესანახავად? განა მოურავმა ამას წინათ არ ააკსო სამეფო ხაზინა? და გარდა ამისა... სანდო კაცები უნდა დავგზავნო სახასო მამულების შემოსავლის შესამოწმებლად. რატომღაც თავადები მდიდრდებიან, მეფე კი ღარიბდებაო.

შადიმანი აღელვებულია. ჩაგვასმინეს? მაგრამ ვინ ჩასწვდა ქართლის მთავარი მმართველის ზრახვას? მეფის სასახლის ბრწყინვალება და ფუფუნება, საიდუმლო ძღვენი სტამბოლისათვის... ათაბაგთან კავშირი... გულშარის მფლანგველობა, დედოფლის გაუმაძღრობა... კიდევ რაღაი? პოლიტიკა, ჯაშუშნი ყველა ქვეყანაში, ელჩები, საჩუქრები, მოწყალება მძლავრ დიდებულთ... არცერთ კარისკაცს არა სურს პირადი საპიროებისათვის თვითონ გასწიოს ხარჯი... სასახლის დასავლეთ ნაწილში უფრო მეტი უსიამოვნებაა: ლუარსაბის გულგრილობა, მტერთა ზეიმი... გულშარი დედოფალთან გაიქცა...

დედოფლის ყოველ ალერსიან კითხვაზე ლუარსაბი მტკიცედ სდუმდა.

ნესტანმა ერთხელ იესე გაგზავნა თეკლეს ამბის შესატყობად და აი მის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი—ფერხთა ბალიში, რომელიც შეყვარებულის ხელს გაუკეთებია. ლუარსაბი თვალს ვერ აშორებდა ზედ ამოქარგულ მარგალიტის არწივს და სიხარულით ფიქრობდა, თეკლეს მშვენიერი თითები სწორედ აი ამ ადგილს ეხებოდაო. გახარებული ლუარსაბი დედოფალთან გაეშურა.

— ცოლს ირთავ? კარგა ხანია დროა. ვინ მოგხიბლა: იმერეთის მეფის ასულმა?

ლუარსაბმა მიჯნური დაასახელა.

მარიამმა ჯერ ვერა გაიგო რა. თეკლე საკაძის ასულის რამდენჯერმე განმეორებული სახელი, როგორც იქნა, ჩასწვდა მის შეგნებას. მარიამი სდუმდა, თვალგაშტერებულს სახე გაფითრებოდა.

ლუარსაბმა ნარის უხმო და კარი გაიბრახუნა.

შვილის გულციობით გაოცებულმა მარიამმა შადიმანი მოიწვია. კარისკაცი იცინოდა: საქართველოს მეფენი დიდებულთა საიდუმლო თათბირის უდასტუროდ ცოლს არ ირთავენ... სამწუხარო უფრო ის არის, რომ მუდამ ალერსიანი ეაჟი ასე უცნაურად გამოიცვალაო.

დედოფალი ლუარსაბთან გაეშურა. მართალია, ხუმრობას ვერ მიგიხვდი, მაგრამ რად ჯავრობო?

ლუარსაბმა გულციად ურჩია: სახუმროდ ნუ ხდი სიყვარულს, რომელიც ტახტის თანასწორფასოვანიაო.

დედოფალი გაჯავრდა: სად უნახავს ლუარსაბს უბრალო აზნარის ქალზე დაქორწინებული მეფე? თუ ასეთი ვინმე მოგწონს, განა სხვა საშუალება არ არის დაიახლოო?

ლუარსაბმა ფიცხად გააწყვეტინა: დედასაც კი არ მივცემ ნებას საცოლო შეურაცხყოსო.

— საცოლო? და განა დიდებულთ უკვე დაგრთეს ქორწინების ნება?

— მაგისთვის არა ვზრუნავ. დიდებულნი და მახლობელნიც კი ჩემს ნებართვას არ მოითხოვენ, როცა ფარულად იკრიბებიან თავიანთი საქმეების მოსაგვარებლად...

დედოფალი გაფითრდა: ვისგან გაიგოო? ლუარსაბი თვალს არ აშორებდა დედის ათრთოლებულ ხელს, კრიალოსანს რომ ათამაშებდა. „ვთქვა,—ჰფიქრობდა მარიამი,—მაშასადამე, საკუთარა თავი გავცეო.“

— ხომ ხედავ, თქვენს საქმეებში არ ვერევი, ცხადია, იმ მოსაზრებით, რომ არც თქვენ მოგცეთ საბაბი ჩემს საქმეებში ჩარევისა...

სასახლეში ისეთი მყუდროება ჩამოვარდა, რომელიც ქარიშხლის მომასწავებელი იყო. ლუარსაბმა ვითომ გულგრილად ჰკითხა ბაკას:

წინანდულად დარწმუნებული ხარ თუ არა მეტეხის მცველთა ერთგულებასო? მეტეხის მცველთა უფროსმა ყურები სცქვიტა: იმ წამსვე ფარულად შეამოწმა მცველნი, ერთგული კაცებით შეავსო ქეშიკთა რაზმი და, ჩვეულებრივს გარდა, საიდუმლო საგუშაგოებიც მოაწყო.

თათბირზე დასასწრებლად მოსულ ააკაძეს ლუარსაბმა წასჩურჩულა:

— მოსძებნე საბაბი და ტფილისის ახლოს იყოლიე ტახტის ერთგული ჯარი.

უახლოეს თათბირზე, რომელიც შადიმანის მიერ იყო მოწვეული ერანს საელჩოს გასაგზავნად, ააკაძემ თხოვნით მიმართა მეფეს: კეთილი ინებე და დაათვალიერე ჯარი, რომელიც სპარსული წესისაებრ არის გაწვრთნილიო. ეს თხოვნა არავის არ მოსჩვენებია უცნაურად, თვით შორსმპვრეტელი შადიმანიც კი შეცდომაში შეიყვანა ლუარსაბის უდარდელმა პასუხმა: თუმცა საესებით ვენდობი მოურავს, მაგრამ სიხარულით დავათვალიერებ მხედართმთავარის ნასაქმარს დიდებულებთან ერთადო.

— როდის ჰფიქრობ აღლუმის მოწყობას? ორი კვირის შემდეგ? ძვირფასი შადიმანი ეცდება საამისოდ მოიწვიოს დიდებულნი.

გიორგი ერთხელ კიდევ დარწმუნდა ოცდა სამი წლის მეფის ცბიერებასა და სიმარჯვეს. ლუარსაბს არავისთვის, ბააკასთვისაც კი არ გაუმხელია თვისი განზრახვა.

ააკაძის განდიდების დღიდან ზურაბი მუდამ ჯარში იყო და დიდი მოურავის ტაქტიკას სწავლობდა. საყვარელმა მოწაფემ სავსებით შეითვისა დიდი მხედართმთავარის სტრატეგიის სირთულე. მრავალი წლის შემდეგ ააკაძემ მწარედ ინანა ესა...

მოურავის განზრახვით შეშფოთებულმა ზურაბმა „ვეფხებითურთ“ ისე განალაგა რაზმები, რომ სწრაფად შემორტყმოდა მეტეხს.

აღლუმის წინ შადიმანმა, ლუარსაბის სურვილისამებრ, დიდებულნი საელჩო დარბაზში შეჰკრიბა. ბარტომი მდივნებითურთ ტახტის უკან დადგა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ლუარსაბი წამოდგა.

— მე არ მსურს დავარღვიო საუკუნეებრივი ჩვეულება, პირიქით, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია საკუთარი განზრახვა გავუზიარო დიდებულთ...

უკანასკნელი სიტყვები მოწონების ხმამაღალმა შეძახილმა დაჰფარა: ქორწინება? მეფე დიდებულთ ანდობს სასძლოს ამორჩევას?

— არა, დიდებულნო, მომავალი დედოფალი მე თვითონ ვიპოვე და თქვენგან აღფრთოვანებას ველი.

— დიდებულნი დიდი ხანია აღფრთოვანებული არიან საყვარელი მეფის სიბრძნით... ხუთუ იმერეთის ან ქართლის მეფის ასულია? ეარა? მაშ ვინ?

— არა, დიდებულნო, მე ვირთავ მშვენიერთა შორის უმშვენიერესს, ვისი ჭკუა და სილამაზე ღირსია ჩემთან ერთად მეფობ ისა... მომავალი დედოფალი არის საკაძის ასული თეკლე, და იმ გმირისა, რომელმაც სურამის ველზე დაღუპვისაგან იხსნა ქართლი...

დარბაზი გაქვავდა. შადიმანსაც კი ჩაუწყდა ხმა.

დიდებულთა ასეთმა ყოფამ როდი გააკვირვა ლუარსაბი. მან ფარულად გადაჰხედა გაფითრებულ საკაძეს.

წამოდგა სულშეხუთული ბაგრატი:

— მეფეო, შენს გემოვნებაში არავის ეჭვი არ შესდის, მაგრამ... მეფის ქორწინება სამეფოს ქორწინებაა. ამიტომ არჩევანი უცვლელად ეკუთვნით მეფის საგვარეულოს უხუცესთ...

— ასეთი რამ არცერთ მეფეს არ ჩაუდენია ბაგრატოვანთა საგვარეულოდან,—ძლივს წაიხიხინა ამილახვარმა.

აღშფოთებული დიდებულნი მეფეს ურჩევდნენ, უარი სთქვიო.

— განა ქართლის მეფეს სურს სასაცილო გახდეს არამარტო საქართველოში, არამედ მთელს სამუსლიმანოშიც?— იძახდა სვიმონი.

— ვნახოთ, ვინ გაბედავს დასცინოს ლუარსაბ მეორეს.

და ხმალი მუქარით შეირხა. დიდებულნი ძლივს იკავებდნენ სიბრაზეს. ბააკა კარებისკენ გაილალა. მტკიცე ზღუდესავით აღიმართნენ მცველნი, ქეშიკნი წყნარად მიუახლოვდნენ ტახტს.

ამაოდ ემუდარებოდა შადიმანი დიდებულთ: დინჯად განვიხილოთ ეს დიდი საქმეო, გარნა მათ ერთმანეთისა არა ესმოდათ რა და ისე ისროდნენ მუდარისა თუ მუქარის სიტყვებს.

საკაძე ბოლოს, გონს მოვიდა. ხმლის ვადა ჩაბღუჯა. უმაგალითო განდიდება, ქართლის დედოფლის ძმა!.. შემდეგ კი?.. საშინელი უფსკრული, რომელიც შთანთქავს ყოველ მის განზრახვას და ნაკეთებს, მეგობრებს, თანამოაზრეებს, უთვალავ გლეხობას, დას... განა თავადნი დასცხრებიან? ასეთ საქციელს მეფეს როდი აპატიებენ ხოლმე. მაშასადამე, დავიწყოთ სისხლისმღვრელი შეღლი? და ლუარსაბის ვნება რომ გაცივდეს? მაშინ? მონასტერი? არა, სიკვდილი, სიკვდილი და დაღუპვა სანახევროდ უკვე გაკეთებულ საქმეს... ყველაფერი შეეწიროს მეფის ცვალებად ვნებას? არა! დეე საშინელი სიყვარულის ნანგრევებში დაღუპოს მხოლოდ ერთი... ანდა... არ ახლა უნდა განადგურდეს დიდებულთა ხელისუფლება...—უეცრად ყველამ ხმლის ვადას დაიდო ხელი...

— დიდებულო მეფეთ-მეფეო! შენ მიერ დადებულ პატივს სიტყვით ვერ გამოვთქვამ, დეე მოურავის სიტყვის მაგიერობა მისმაგე

ხმალმა გასწიოს... მაგრამ, დიდებულო ხელმწიფევ, მაპატიე გამბედაობა: შენი კეთილშობილი სურვილის შესრულება შეუძლებელია. დიდებულნი მართალნი არიან! დაფიქრდი, მეფეო, უთანხმოებაზე, შუღლზე! არ გაპატიებენ დიდებულნი... ომში მოწყალედ მისმენდი, და განა მოურავი კეთილ გონიერებით არ განირჩეოდა? ვთქვათ თეკლე მშვენიერია, მაგრამ განა მეფეთ უფლება აქვთ გულის კარნახს გაეტაცინონ? უარჰყავ, მეფეო, ქართლის გულისთვის შესწირე მსხვერპლად ცვალებადი სიყვარული...

გაოცებულნი უსმენდნენ დიდებულნი დიდ მოურავს.

ამირინდომ შადიმანს წასჩურჩულა:

— ცბიერი მდაბიო,—და ხმამაღლა დაურთო:—განა სააკაძე წინასწარ არ ყოფილა მომზადებული უმაგალითო საჩუქრის მისაღებად?

— არა, და მე ვერავის ვხედავ, რომელსაც შეეძლოს დაიკვეხნოს მეფის ნდობა „სამძიმო საქმეში",—დაცინვით მიახალა გიორგიმ.

და, მართლაც, გაბოროტების გარდა, შადიმანი მწვავე დამცირებასაც განიცდიდა: „რკინის ხელი" გააცურეს, როგორც ბავშვი. და მერე ვინ? მისმავე მოწაფემ.

— მეფე გულახდილი არ იყო, რაკი დიდებულთა თანხმობა არ ეიმედებოდა.

— დიდებულთ თანხმობაო?! განა ვალდებული ვარ თქვენი თანხმობა ვითხოვო?! განა ეს საქციელი მეფეთა თავაზიანობა არ არის? განა დიდებულნი მეფის სურვილის საწინააღმდეგოდ იმას არა სჩადიან, რაც მოეპრიანებათ? მაშ, როგორ ჰბედავთ მეფეს შენიშვნა მისცეთ მის პირად საქმეში? დიპლომატიაო? მაგრამ განა იმერეთისა თუ კახეთის მეფის ასულის შერთვა დამღუპველი არ იქნება ქართლისათვის? განა ჩემი ნათესავების განუწყვეტელი მოთხოვნა ჩავერიო შინაურს შუღლსა, დავასა და ომში ხელს არ უშლის სამეფოს აყვავებას? და რატომ მხოლოდ მე უნდა გავხდე მთელს ქართლში სულელი და შთავარდე მოუსვენარ მეზობელთა მონობაში. და რატომ მირვან მუხრან-ბატონმა, მიუხედავად მამიას მტკიცე სურვილისა, არ შეირთო გურიელის ასული?

— რატომ? განა ახალი ამბავია, თუ ვინ უნდა აირჩიოს მეფემ?

— ლუარსაბ მეორე დაქორწინდება ისე, როგორც მასა სურს, და დაამტკიცებს მეფის ხელისუფლების ძლიერებას... შენ კი გიორგი, ერთი რამ დაგავიწყდა: მე შემიძლია კაცი განვადიდო და დავამცირო კიდეც... როგორ გაჰბედე ისე მელაპარაკო როგორც უგუნურ ჭაბუკს? ან იქნებ მონიჭებულმა ძალაუფლებამ გონება დაგაკარგვინა? მაშ, იცოდე: ის, რასაც ლუარსაბ მეორემ თვალი დაადგა, უკვე სხვას აღარავის ეკუთვნის... დიდებულთ გავახსენებ იმ დროს, როცა მეფენი გვირგვინს მრავალთა დაუხმარებლად ატარებდნენ...

ვისაც, მომავალი დედოფალი არ მოსწონს, შეუძლია მეტეხიდან მიბრძანდეს. არ მეშინია! თქვენ-თქვენს სასახლეებში წახვალთ? ომში დახმარებას არ გამიწევთ? შემებრძოლებით? არ მეშინია! თვით რაინდი ვარ და მოვახერხებ ბაგრატოვანთა ღირსების დაცვას... წავიდეს, ვინც წინააღმდეგია: აშკარად მინდა ვიცოდე, რამდენი მეგობარი მყავს...

ლუარსაბი წამოდგა და ამაყად გაიარა ახმაურებული დარბაზი...

— დაამცირო მეფის ღირსება!

— დაემუქრო დიდებულთ!

— არა, ამის ნებას არ მივცემთ!

— იარაღი ავისხათ!

— ასეთ მეფეს ძალით უნდა ასწავლო ჭკუა!

— იარაღი ავისხათ!

ჩუმად, ჩუმად, ბატონიშვილი ბაგრატი ლაპარაკობს!..

ლუარსაბმა ფანჯარა გააღო. ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია... ერთიც ვნახოთ. გადასწყვიტონ, კავთის ციხეში მოვათავსოთო? ლუარსაბი შეკრთა, ხმალს ხელი გაივლო და საიდუმლო კარისკენ გაეშურა.

— ვნახოთ, ჩემი ჯარი მეტეხის ზღუდეებთან სდგას, მოვახტე ცხენსა და... თავისუფლების ნება მივცე მოლაშქრეთ... მაგრამ გიორგიც მათთან არის, ნუთუ მიღალატა? არა! ეს შეუძლებელია, მაგრამ თუ?.. მაშინ მე ერთი გავილაშქრებ ყველას წინააღმდეგ და ვნახოთ, შემიძლია თუ არა მეფობა.

— ჩუმად, ჩუმად, ბატონიშვილი ბაგრატი ლაპარაკობს...

საითგანღაც სანდრო შემოძვრა:

— ბატონო, კარებში ქალბატონი გელოდება, სიტყვა აქვს...

ამირინდო საჩქაროდ გავიდა.

— დედოფალმა გამომგზავნა, გააფრთხილე ყველანი... ლუარსაბს გაუგია შადიმანისას მომხდარი თათბირის ამბავი, ყველას სახელი იცის... იმიტომ შეჰყარა ჯარი... ზურაბი მეტეხის გალავანთან დგას...

ამირინდო კვლავ დარბაზში დაბრუნდა.

— წყნარად, წყნარად, მამაცი ნუგზარი ლაპარაკობს!...

— კმარა ლაპარაკი! ნუგზარი სიტყვით ვერ გაგვაკვირვებს, საჭიროა მოქმედება!

ამირინდომ სახელო ჩამოსწია სიმამრს:

— თავადო, დააცხრე უადგილო რისხვა... ხაფანგში ვართ, გააფრთხილე სვიმონი...

შადიმანი დაბარბაცდა, აი როგორი ყოფილა თურმე ლუარსაბ მეორე.

— დავუთმოთ! ყველაფერში დავუთმოთ! თორემ ცოტა ხნის შემდეგ ყველანი ჯურღმულში ვიქნებით...

— მუხრან-ბატონი და ერისთავები კი ჩვენს გულზე ივლიან,— წაიჩურჩულა ამირინდომ.—გესმის, ნუგზარი რას ლაპარაკობ?

— არც მე ვიტყვი უარესად — გააფრთხილე ჩვენიანები. ბრძოლა ამჟამად წაგებულია, მაგრამ ეს დასაწყისია მხოლოდ, ბოლო კი ჩვენია...

— თუ ასე ვიხმაურეთ, დინჯ გადაწყვეტილებას ვერ მოვახერხებთ, ხოლო შემდეგ... გიორგი, შენი მამაცობა ცნობილია, დიდებულებმა უნდა დააჯასონ იგი, მაგრამ... უმჯობესი იქნება თუ უშენოდ განვიხილავთ...

სააკაძე კარისკენ გაემართა. ბააკა ოდნავ დაიხარა:

— მეგობარო...

— უკვე გავეცი განკარგულება, მეფე დაფს შემოჰკრავს და ჭიშკარიც გაიღება.

— დროა ვიცნობდეთ მეფეს, გადაწყვეტილებას არ შესცვლის. რა უნდა ვქნათ? ციხე-კოშკებს შევაფაროთ თავი? ხომ გაიგონეთ, მეფეს არ ეშინია... მეტად ძლიერია, ამჟამად ჯარს უყვარს... მგონია, შაჰ აბაზი მხარს უჭერს... დავიწყოთ ომი საკუთარი მეფის წინააღმდეგ? მერე რა სასახელოა ასეთი ომი? შემდგომ... წინდაწინვე გეტყვით, შაჰი არ მოგვცემს იმის ნებას, რომ მეფის ღირსება დამცირდეს. თუმცა მე არ მომწონს ეს უთანასწორო ქორწინება, მაგრამ მეფის წინააღმდეგ არ გავხდები. არც ზოგიერთი მძლავრი თავადი გახდება წინააღმდეგი...

ლუარსაბი გაფაციცებით უგდებდა ყურს. რბილი ხალიჩა მის ნერვიულ ნაბიჯს აყრუებდა. მტკიცედ გადაეწყვიტა დაეცვა თვისი ბედნიერების უფლება და უფლება დამოუკიდებელი მეფის სახელწოდებისა.

— წყნარად, წყნარად, შადიმანი ლაპარაკობს...

ლუარსაბმა მიიხედა.

მის წინ გაფითრებული ნესტანი იდგა... იქნება ზურაბმა?..

— მაპატიე, მეფევ, სითამამე, მაგრამ რატომ არ იღონებ რასმე? განა დიდებულთა ყიჟინა სასახლეს არ აზანზარებს? განა აფთარნი კეთილს რასმე იზრახავენ!

— ყველაფერი გავითვალისწინე... მე დავუმტკიცებ საქართველოს, რომ ღირსი ვარ ბაგრატოვანთა ხმლის ტარებისა.

— მაგისი ეჭვი ვის შეუძლია? მაგრამ შენ ერთი ხარ ყველას წინააღმდეგ! მეფევ, ახლა ისინი შენს ხელთ არიან...

ლუარსაბმა ბიჯი წარდგა, ყურადღებით დააკვირდა ნესტანის ანთებულ თვალებს.

— სთქვი... ვინ მოგგზავნა?

— მოურავმა... ნუ დაჰკარგავ ძვირფას დროს, ცოტა ხნის შემდეგ იქნებ გვიანღა იქნეს...

— გვიან იქნესო, ნესტან?

— მეფევ! მეფევ! ამჟამად ყველაფერი შენს ხელთ არის, შეგიძლია სამუდამოდ განთავისუფლდე დიდებულთა მეთვალყურეობისა-

ვან... ახლა შეიძლება დიდი რამ მოხდეს. ვალავანს გარეთ ერთგული რაზმები დგანან, მოურავი და ზურაბი გელოდებიან... შემოჰკარ მბოლოდ სპილენძის დაფს, ჭიშკარი გაიღება და ვერცერთი მტრულად განწყობილი დიდებული აქედან ველარ გავა. ხელთ იგდებ მათს მამულს. გააერთიანებ დაქუცმაცებულ ქართლსა და მოსდრეკ დიდებულთ... მეფეე, ჩემო მეფეე, ნუ აყოვნებ, თეკლეს სახელით გემუდარები...

— რას ამბობ? მერე თეკლეს ეყვარება მოღალატე?

— არა მოღალატე, არამედ მბრძანებელი, ასეთი შემთხვევა აღარ განმეორდება... გემუდარები, დაჰკარ დაფს, ფანჯარას ფართოთ გავაღებ... თვითონ რომ შემეძლოს. აი, ჩაქუჩი, გამომართვი, მეფეე, ძალიან მსუბუქია, ყოველ დღე დაფის ცემით არ მოუწოდებ ხოლმე მსახურთ... გამომართვი, მეფეე, საკმაო მხოლოდ ხელი აღმართო...

— დიაღ, დიაღ, საჭიროა გადავწყვიტო. თავიდან ავიცილებ განხეთქილებას, შუღლს, შურისძიებას, ურჩთ დილეგში ჩავყრი და დიდი მოურავის ფარს ამოვეფარები...

— ოჰ, მეფეე, ქარიშხალი მოდის! ჩაქუჩი! რკინის ჩაქუჩი! მისი გუგუნი მთელ ქართლს მოედება...

ლუარსაბმა მოკრუნჩხული ხელი ჩასჭიდა მოოქრულ ტარს.

— ერთი შემოვკრა, აქ შემოიკრება მოურავი და... მე მარტო დავრჩები... დიაღ, დიაღ, ახლა დავარტყამ ქართლის ციხე-კოშკთა მფლობელებს... პირსისხლიანი ლუარსაბ მეორე... მოღალატე, რომელმაც დიდებულნი მოიტყუა... ჯარის დასათვალიერებლად, თორემ ისინი ულაშქროდ არ მოვიდოდნენ... მაგრამ მაშინ თეკლე ჩემი იქნება, თეკლე ჩემი ბედნიერება, სიცოცხლე და დიდება!... დედა! დიაღ, იგი შადიმანის მომხრეა... შადიმანი პირველი უნდა მოკვდეს... მოკვდეს... ყველა და ერთბაშად გათავდეს... როგორც დიდმა შაჰ აბაზმა—პირში ჩავცე ხმალი პირველ მრჩეველს? ასე დაიღუპა მურშიდ-ყული-ხანი, რომელმაც ტახტზე აიყვანა შაჰ აბაზი, ასე ერთბაშად დაიღუპება ჩემი მოძღვარიც და მე დიდი ლუარსაბი გავხდები...

ყველაფერს ბოლო მოეღება... რა დამიმძიმდა ეს ხელი?...

— ჩქარა, ჩქარა მეფეე, — ეუბნეოდა აქოშინებული ნესტანი, — ოჰ. უკვე აღმართა ხელი. ო, ჩემო მეფეე! აი, აი, დაფი... სად იცქირები, მეფეე? ო, ო, ო... ხელი კვლავ დაეშვა. ყველანი დავიღუპეთ! აქეთ მოდიან!

ნესტანი კედელს აეკრა.

მსუბუქი ნაბიჯით შემოვიდა მხიარული შადიმანი.

— უძლეველო მეფეე, მე, მამაცმა ნუგზარმა და ამირინდომ მოვახერხეთ დაგვემოკლებინა დამთხვეულ დიდებულთა ენა და ხელი...

უნდა აპატიო... ძველთაგანვე მიჩვეული არიან სხვის საქმეებშიც ჩარევას... დროა იცოდნენ: შადიმანი სუსტი ნების ყოფის მეფეს ვერ აღზრდიდა...

— შადიმან, ძვირფასო შადიმან...

ლუარსაბი მთლად ცახცახებდა, მუხლთ ეკვეთებოდა, საფეთქლებზე სოველი თმა მიჰკროდა, აღელვებული გადაეხვია შადიმანს და გადაჰკოცნა. განცდილი უეცრად გაქარწყლდა... ყველაფერი ძველებურადვე დარჩა: კარგად, მხიარულად, ძმათა სისხლის დაუღვრელად... „შადიმანი მართალია, არ შეიძლება გაჯავრება, უძველეს დროიდან მიჩვეულან... ეს მოსალოდნელიც იყო, რუსთა მეფის ასულზე ხომ არ ვიწერ ჯვარს“.

შადიმანი მიშტერებოდა ლუარსაბს, მისი ქულაჯის მოგლეჯილ საკინძეს, მერმე ჩაქუჩს შესედა და თვალი კედელზე მიკრულს გაფითრებულ ნესტანს დაადგა... დიაღ, დავუთმოთ, ყველაფერში დავუთმოთ, გადავარჩინოთ დიდებულთა ძალაუფლება, მაგრამ უკანასკნელი ნაბიჯი კი ჩვენს ხელშია...

— მეფევ, ჩაქუჩი დაგვარდნია, ხომ არ ინებებდი განკარგულებების გაცემას ჯარის დასათვალიერებლად?

— მართალი ხარ, ძვირფასო შადიმან... აი ნესტანიც თხოულობს აღლუმზე ქალთა დასწრებას... კარგი, ნესტან, მოგანიჭებ მაგ სიამეს, რათა საყვარელი ზურაბი საბრძოლველად აღჭურვილი იხილო.

ნესტანი ამაყად გაიმართა წელში:

— მე მინახავს საყვარელი ზურაბი საბრძოლოდ აღჭურვილი, როცა თავადი და მასთან მთელი ქართლიც ტაშისკარისკენ გაეშურა მოურავის ძახილზე...

თავის ოთახში ნესტანი დაუძლურებული დაეცა ხალიჩაზე... ყველაფერი გათავდა, ყველაფერი დაიღუპა! ო, რა გეგმა ჰქონდა გიორგის! მოწინააღმდეგეთა მოსპობა, მტრულად განწყობილი დიდებულთა ძალაუფლების მოსპობა, მხოლოდ მეფე, ერისთავი, მუხრან ბატონი და ციციშვილი... იგი, ნესტანი. პირველი დიუფალი სასახლეში, პირველი დედოფლის შემდგომ... ზურაბი შადიმანის ნაცვლად... ნესტანმა გახურებულ თავში იტაცა ხელი...—ყოველი მეფე სუსტია, განა ლუარსაბმა იცის, რა დაჰკარგა? შადიმანის კალთას ისე ჩაბღაუჭებია, ვით ბავშვი დედის კაბის ბოლოს...—მისი ფიქრი თანდათან შეშფოთებული ხდებოდა...—მეფე შადიმანს ყველაფერს უამბობს ან თვითონ დაიწყებს შურისძიებას. შეთქმულება, თუნდაც მეფის ინტერესებისათვის... მაშინ რაღა იქნება? განდევნა? ანანური... სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვო მეტეხს, სადაც აღვიზარდე, სადაც ყოველი ქვა ძვირფასია ჩემთვის. დეე ანანური ერისთავთა სამფლობელოს ქალაქი იყოს, მაგრამ განა იქ ცხოვრება სდუღს? განა იქ ბრძოლა არის პირველობისათვის? არა, არა! ოღონდ მეტეხი არ დავტოვო...—

შეკრთა. კარი წყნარად გაიღო და შემოვიდა ახალგაზრდა ბატონიშვილი ქაიხოსრო, რომელსაც ხელები თეთრი ვარდებით ჰქონდა სავსე.

ქალბატონო, მეფე მიესალმება მშვენიერ ნესტანს და სთხოვს ნიშნად პატივისცემისა მიიღოს ეს ვარდები...

ღრმა ამოოხვრა. ნესტანმა მხიარულად შეირხია ოქროსფერი კულულები: კვლავ ყოველივე ძველებურადაა—მხიარულად, იოლად, საპირო არ არის ფიქრი... ყოველივე ძველებურადვე დარჩა: სისხლის დაულვრელად, განუდევნელად, კვლავ მეტეხის ბრწყინვალე ორომტრიალში ვიქნები...

თავი ორმოცდამეერთე

ჯერ წყნარად, ყრუდ დადიოდა გზებსა, ქალაქებსა და სოფლებში შავბნელი ხმა. უცნობი ადამიანები უცნაურად იქით-აქეთ იხედებოდნენ და საშინელ სიტყვებს ჩურჩულებდნენ. პირველ ხანებში მოჩურჩულეთ გაურბოდნენ, მაგრამ შემდეგ შეშინებულნი უგდებდნენ ყურს.

მაიდნებზე შავბნელი მოხუცნი დაძრწოდნენ:

— ხალხო, ილოცე მეფისთვის, ქართლისთვის, დიდი უბედურება მოგველის.

ქალარა თმაგაშლილ, ცბიერ დედაბრებს წირპლიანი, ცრემლიანი თვალი ზეცისკენ აღეპყროთ, ჩაშავებული ფრჩხილებით ქერცლიან მკერდს იხოკავდნენ და საბრალოდ მოსთქვამდნენ. ქადაგთა გარშემო ხალხი იკრიბებოდა:

— ვაიმე, ვაიმე! აღარ იბრწყინვებს ცა, ღრუბელი გადაეფარა, კუდიანმა ღოჯები გადმოჰყარა, თვალი დააბრიალა, კუდი მოიქნია და რისხვისაგან ზანზარებს ბრუტსაბძელა! ვაიმე, ვაიმე. ბანჯგვლიანი ქაჯი კლდეებში დაბორიალებს, ხელში ნაჯახი ულაპლაპებს, პირში—ალმასის კბილები... ვაიმე, ვაიმე! დედამიწას კუდიანის მსახურნი მოჰფენიან, ჩვენს პირნათელ მეფეს სიყვარულის წამალი დაალევინეს. ხალხო, ხალხო! ილოცე ჩვენი წმინდა მეფე-ანგელოზისათვის!

ტაძრებსა და მონასტრებს უცნობი ხალხი უხვ შესაწირავს სწირავდა, რათა მეფის ჯანმრთელობისათვის პარაკლისი გადაეხადათ. უდროო ზართა რეკა მოუსვენარ ცნობისმოყვარეობას აღიზიანებდა. ხალხის გულში შიში ისადგურებდა.

ქართლი ყრუდ გმინავდა.

დუქნებში უცნობი ხალხი უხვად უმასპინძლდებოდა ყველა მსურველს. გაისმოდა მუქარა საყვარელი მეფის მტრებისადმი:

— ხალხი კუდიანს ნებას არ მისცემს დაეუფლოს მეფის კეთილ გულს. ხალხი კუდიანის ოინებს ბოლოს მოუღებს...

გზისპირა დუქნებში დამთხვეული მესტვირენი გუდას ბერავდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ, გაბოროტებული ჭინკების ამბავი ისმინეთო.

საშინელი სიტყვები თანდათან ეროცელდება, უკვე ხმამაღლად მოსთქვამენ ქალები, უკვე ხმლებს ლესავენ მამაკაცები, უკვე აღარ სწყდება ზართა რეკა. ხალხით გაჭედილ ეკლესიებში მლოცველნი ცრემლით ალტობენ ხატებსა და ზეცას შესთხოვენ დაიფაროს მეფე მოახლოებული საფრთხისაგან.

მცხეთის გარშემო სოფლები განსაკუთრებით შეშფოთებულია. პირველ სატახტო მცხეთას უეცრად თვით წაეკიდა ცეცხლი, სასხორში მთელი ფარა დაიკარგა, ნიჩბისში სამი ძუძუთა ბავშვი აკვანში ჩაულრჩიათ, ძეგვში ქალს კუდიანი სამტყუპი დაჰბადებია, ნიაბში კი ახალწლის წინ დღეს საეკლესიო კედელი გაბზარულა...

მაგრამ ვინ არის, რომ ღამით ცხენის თქარუნით სოფელს ძილს უფრთხობს? ვისი ცხენები ფრთქვინავენ დაძაბულ წყვდიადში?

გლეხები პირჯვარს იწერენ, როცა ღამე ცხენის ფეხის ხმა მოესმით.

ბოროტად ხითხითებს შავჩაბალახიანი:

— რამდენი სოფელი დავიარეთ და ერთი კაციც კი არ გამოსულა ღამე გარეთ, რომ გაეგო, ვინ აშინებს ხალხს, ვინ არის, რომ ცეცხლს აჩენსო.

— ეშინიათ! ღამე კარგია, ღამით საიდუმლო არ გამომჟღავნდება. იცინის სანდრო.

და მიჰქრიან ცხენოსნები უფრო შორს და აშფოთებენ ჩვეულებრივს დღესა და ღამეს.

გლეხები დამწვარ ეკლესიას უცქერენ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან:

— ცუდად ელაპარაკობდით შავჩაბალახიანებზე, მან კი ფული შესწირა ეკლესიის შესაკეთებლად.

— ერთის თვით შეუკვეთა პარაკლისი მეფის სადღეგრძელოდ.

— მღვდელსაც სამი მარჩილი აჩუქა.

— და სანდრო კი, კეთილი ქეთოს ძმისწული, როგორ სწუხდა მეფისათვის!..

— ხალხო, ხალხო! მხურვალედ ვევედროთ ღმერთს!

— ღმერთს! აუცილებლად, მაგრამ ეშმაკსაც...

— რას ამბობ, მესტვირე? განა შეიძლება ეგენი ერთად დავაყენოთ?

— ახალ წლის მოსალოცად მოსულხარ. სტუმარი ჩვენთვის სასიბარულოა.

— მესტვირეო, შენ ჭკუა გვიჩვენე, ხოლო ღვთის გვერდით ეშმაკის ხსენება საშიშია.

— რატომ ეშმაკის გვერდით? ღმერთმა თავისი ადგილი ძალიან კარგად იცის.

ტფილისის ამქართა საყვარელმა მესტვირემ ყანწი დასცალა. ვერცხლისფერი ულვაშები სახელოთი შეიმშრალა და დამსწრეთ მოკუტული თვალი მიაპყრო.

— დღესასწაულზე რატომ არ მხიარულობთ? რატომ ყველაფერს უჯერით? სჯობს, მხიარული ეშმაკის ამბავი მოისმინოთ, შემდეგ გუდას საცეკვაოდ გავბერავ.

ხალხი გარს შემოერტყა უცნაური ამბების მთხრობელს.

— ქართველნო, ხალხი წინათ უფრო ახლო იყო ცასთან, ბედნიერი დრო იყო ქვებისა და ხეებისთვისაც. იმათაც სიარული იცოდნენ, ხალხს ელაპარაკებოდნენ, მეგობრულად ცხოვრობდნენ. კაცს ვაშლი მოუნდებოდა და ხე თვითონ მივიდოდა მასთან, შეირხეოდა და ვაშლი პირდაპირ ხელსახოცში ჩაუვარდებოდა. თუ ვისმე ოქრო და ვერცხლი დასჭირდებოდა, ქვებისაგან თავისუფლად იღებდა.

კარგად ცხოვრობდნენ, უზრუნველად, ხე და ქვები ადამიანისათვის მუშაობდნენ, კაციც კეთილი გულით ეპყრობოდა მათ, გარნა ეშმაკი კუდს იფხანს, არ უყვარს, როცა მშვიდობიანობაა. თვალს ძილი არ ეკარება, ყური მოითელა. შეშინდა ეშმაკი და ღმერთთან გაიქცა. ღმერთს საუცხოო სასახლე აქვს. ჭერზე ვარსკვლავები ოქროს მტევნებივით დაკიდებულა, კედლებზე ფერადი თევზები დასცურავენ, იატაკზე ვარდის ხალები ჭფენია, ტახტზე ღვინითა და ტკბილეულობით სავსე ხონჩებია, ფანჯრებზე თავაზიანი ფრინველები საზანდრის მაგიერ ჰგალობენ, მთვარის მაყალზე არც მწვადი იწვის და არც შამფური.

ბაღიც აქვს, მაგრამ მალავს, ბაშლის ხეს უფრთხილდება.

ბოსლებში ცისფერ კამეჩებს ინახავს, საჯინიბოებში სამთვალა რაშებს ზრდის. ყანაც აქვს, მარანიც, დიდი მეურნეობა გააჩნია. მესეფეებს ფრთები ასხიათ, არ მოსწონს ღმერთს, როცა სასმელსაჭმელს ზანტად მიართმევენ ხოლმე.

მხოლოდ ეშმაკი არ შეუშვა სასახლეში, ეშინოდა: ქურდს რა უნდაო? ბნელი ღამეა... ეშმაკი სასახლეს გარედან თვალს უბრიალებს, კუდს ფრინველებს უქნევს და ასე ეუბნება: დიდებულო ღმერთო, შენ ყველაფერი კარგად გაგირიგებია, მხოლოდ ერთი რამ დაგვიწყნია... ნება მომეცი, ბატონო, კარგი საქმე განმიზრახავს...

— შენი სიამოვნებისათვის თუ განგიზრახავს. შენი ხასიათის ამბავი დიდი ხანია კარგად ვიცი... მაგრამ არა მსურს ზედმეტი ლაპარაკი ვისმინო შენგან ჩემი უსამართლობის შესახებ, წადი და ჰქმენ რაც შეგიძლია.

ძალიან გახარებული გადმოხტა ციდან ეშმაკი, ხოლო ერთს თავაზიან ფრინველს ბოლო მოჰგლიჯა... იქით-აქეთ ეცა და სწორედ

ქვათა დიდ კრებას წააწყდა: მეფეს ირჩევდნენ, იმ დროს ქვებს სინიდისი ჰქონდათ: სანამ არ აირჩევდნენ, თვითონ როდი ეძალებოდნენ... დიდხანს იდავეს, იყვირეს, პირველად წაიჩხუბნენ, მაგრამ ისევ მალე დაწყნარდნენ. ოქროს ქვა ქვის ტახტზე აცოცდა უკვე, მაგრამ ეშმაკს უეცრად სიცილი აუტყდა:

— არ ვიცი, ბატონო, ჭკუა სადა გაქვთ: ოქროს ქვა იმიტომ აირჩიეთ, რომ ლამაზად ბრწყინავს, ის კი არ იცით, თუ რა თილისმა ძალა აქვს კაცსა. ცოტა მოითმინეთ, ბატონო...

ეშმაკმა კუდი მოიქნია — ბზე, წივა და ხე დიდ ოთახში შევარდნენ; ეშმაკმა კაჟი და რკინა აიღო; ერთმანეთს სამჯერ დაახალა; ნაპერწკლები გაცვივდა, რასაკვირველია, სახლშიდაც შევარდა; და ალი ერთბაშად ატკაცანდა.

ქვებს ძალიან გაუკვირდა, ხალხიც მოცვივდა. ცეცხლის ენა ტყეს მისწვდა, ყანასაც მოედო და ბაღსაც, როცა უფრო შორს გავრცელდა, ხალხმა შემწვარი ნადირი და ხილი იპოვნა. გასინჯეს და სიამით პირი ვეღარ მოაშორეს. მაშინ თვითეულმა შინ წაიღო ნაკვერჩხალი, რათა საკმელი მოემზადებინა... პურიც გამოაცხეს... ცეცხლი უფრო შორს წავიდა, უკვე ნახევარი დედამიწა მოიცვა. შეშინდა ღმერთი. ეშმაკი მოიხმო და მრისხანედ ეკითხება:

— ეს რა ჰქენი? რა უბედურება მოიგონე? რად გამიფუჭე საყვარელი ფრინველი?

ეშმაკს გაეცინა, კუდი მოილოკა:

— ტყუილაუბრალოდ მიჯავრდები, ღმერთო, განა ხალხი არ გავაბედნიერე? შეხე, როგორ უყვარს ცეცხლი, უფრთხილდებიან, ღამით არა სძინავთ, არ ჩაგვიქრესო.

ღმერთი უფრო განრისხდა.

— ძალიან კარგად ვხედავ, მაგრამ ეს მათი უბედურებაა. ახლა შიშისა და ჩემდამი პატივისცემის ჩასაგონებლად უფრო ძლიერი ცეცხლი უნდა გავაჩინო.

აქ ღმერთმა ხელი სტაცა თევზსა და ელვად ისროლა ძირს, კამეჩი აიღო და მეხად გადმოაგდო. პირველად ათი კაცი მოკლა, ეშმაკმა ყურები სცქვიტა და შინ გაიქცა, ხოლო ერთ თავაზიან ფრინველს კიდევ მოსტაცა ბოლოს ერთი ფრთა.

მაგრამ ღმერთი ამით არ დაწყნარდა და სასტიკად დასაჯა ცეცხლის დამნაშავენი. ქვასა და ხეს სამუდამოდ დაეკარგა თავისი უფლება. სიარული და ჭამა აღარ შეუძლიათ, არც ლაპარაკი...

ხოლო ეშმაკმა კარგად მოისაზრა. აბა რა სასიამოვნოა უმი მწვადის ჭამა? მთვარის მაყალა არა გვაქვს, უბრალო ყურძენიც კი ჭერზე არ იზრდება... ტყუილუბრალოდ გადმოვარდა ციდან თევზი და ცისფერი კამეჩი. ცეცხლისათვის ხალხი მზად არის იბრძოლოს...

მესტვირემ ეშმაკურად ჩაიქნია თვალი.

შავჩაბალახიანმა ცხენი შეაყენა, ნაბადი გადაიხსნა.

— სისულელეებით ართობ ხალხს, დარბაისელ ფრინველთათვის მწუხარების ნაცვლად, უმჯობესია ეს მარჩილი გამომართვი და გვიამბე იმ უთავაზო მელების შესახებ, მეფის სასახლეში რომ დაძვრებიან, ილოცე აგრეთვე ჩვენი პირნათელი მეფისათვის. განა არ იცი, რაზე უნდა ჰფიქრობდეს ამჟამად ხალხი?

მესტვირე დაკვირვებით მიაცქერდა შავჩაბალახიანს. „სააკაძე მართალია,—ჰფიქრობდა იგი,—დიდებულნი ხალხს აშინებენ. ცუდ რამეზე აქეზებენ. რა გაეწყობა, მესტვირემაც იცის საშუალება თუ როგორ დააბლაგვოს ქოფაკთა ისარი.“

და მესტვირე კვლავ გაუდგა გზას, ბერავდა მხიარულ გუდასა და საქორწილო წვეულებას წინასწარმეტყველობდა.

გარნა გლეხები შიშით იხედებიან უკან და ცუდი რამ უფრო სჯერათ:

— ვაი ჩვენ, ახლა რალა მოგველის?!

ჰორი ფართოვდებოდა, დარბოდა, დაფრინავდა: რა თქმა უნდა, მეფეს წამალი დაალევინეს. ტყუილ-უბრალოდ არ უნახავს „რკინის ხელის“ მეჩიბუხეს მეტეხის მარანში მოცეკვავე ეშმაკუნები, ხოლო ვერცხლოვან კოშკზე სამი დღის განმავლობაში აბუზული ჰოტი მჯდარა.

უკვე აშკარად გუგუნებდნენ სოფლები, უკვე შეშფოთებას აღარ მალავდნენ ქალაქები. და არა მარტო ქართლში, არამედ ქართველთა ყველა სამეფოსა და სამთავროში ძლიერდებოდა აღშფოთება მეფის არჩევანის გამო.

სულ უფრო მოუსვენარი ხდებოდა ხალხი მეტეხიდან ლუარსაბის გამოსვლისას: პირქვე ემხობოდნენ, ცხენის ფეხებს უკოცნიდნენ. ემუდარებოდნენ: ფრთხილად იყავ, ერიდებოდე ხალხის აღშფოთებას, გაურბოდე უმაგალითო საქმესო. აშკარად არავინ არაფერს ამბობდა, მაგრამ ლუარსაბი გრძნობდა მუქარას, და მატულობდა შიში საყვარელი ქალისათვის.

„მაგრამ რადა? ხალხი გახარებული უნდა იყოს, უაზნოთაგან ვირთავ ქალს. მაშ, რად მოუცავს ტფილისი გოდებას?!.“

შადიმანი გადაკვრით ლაპარაკობდა ხალხის მზარდ უკმაყოფილებაზე და ბაკას ურჩევდა, მცველნი გააძლიერეო.

მეტეხში შიში მიიპარებოდა, კარისკაცნი წყნარად უამბობდნენ ერთმანეთს გაგონილ ამბებს. ბევრი დიუფალი სხვადასხვა საბაბით მეფის სასახლეს სტოვებდა.

ლუარსაბი ჩაფიქრდა.—და ერთხელ, ღამით, ბაკამ ფარულად შეიყვანა დათო მეფის საწოლ ოთახში... ცოტა ხნის შემდეგ ნაბადმოსხმული ცხენოსანი ქვათახევის მონასტერში მიაქროლებდა.

მოძღვარმა ტრიფილიოსმა, რასაკვირველია, ძალიან კარგად იცის ქართლის ყოფა, მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, თუ ვის უნდა უმადლოდეს ლუარსაბი ხალხის ასეთ „სინაზეს.“

გარნა უკეთუ შადიმანი ამ გზით ცდილობდა ხელი აეღებინებინა მეფისთვის უთანასწორო ქორწინებაზე, ბატონიშვილი ბაგრატი და თავადი ამილახვარი უარს როდი იტყოდნენ ამ შემთხვევით ესარგებლათ და ტახტი ხელში ჩაეგდოთ.

წინამძღვარ ტრიფილიოსს არაფრად ეპრიანებოდა ძუნწი და სასტიკი ბაგრატ. გარდა ამისა, ბაგრატს მიდრეკილება ჰქონდა შიომღვიმის მონასტრისადმი, რომელიც დიდი ხანია ებრძოდა ტრიფილიოსს ქართლის საქმეებში გავლენის მოსაპოვებლად. მაშასადამე, გავლენა და ძალა ქვათახევისა ლუარსაბ მეფესთან ერთად უნდა დაეცეს. შეშფოთებული ტრიფილიოსი მოუთმენლად ელოდებოდა იმ წუთს, როცა მეფე გაიხსენებდა მას. და აი სრულიად „მოულოდნელად“ მეტეხს ეწვია წინამძღვარი ტრიფილიოსი.

შადიმანმა ყური სცქვიტა, მაგრამ, ყველაზე მაღლა მონასტრის კეთილდღეობა იდგა. და ბერმა არ დააყოვნა, რათა ლუარსაბისათვის გამოეთხოვნა ,იმ დიდი ტყის შეწირვა, რაც საჭირო იყო მონასტრის მეურნეობის გასაფართოებლად.

ბერის სითამამემ დიდებულნიც კი გააკვირვა. ის ტყე განთქმული იყო ირმებითა და დიდ შემოსავალს აძლევდა მეფის ხაზინას... ლუარსაბი მიხვდა თუ რა პირობით აღმოუჩენდა დახმარებას სულიერი მამა. მეფემ განგებ დამალა სიხარული და ვითომ უსიამოვნებაც კი გამოსთქვა, და მოტყუებულმა კარისკაცობამ ხელი აღარ შეუშალა მათს საიდუმლო ბაასს.

მეორე დღეს მეფემ საბჭოში განაცხადა: უხერხულია მონასტრის თხოვნაზე უარის თქმა და მამა ტრიფილიოსის თხოვნას დაქორწინების შემდეგ შევასრულებო.

თათბირმა ქათოლიკოსისას მთელ დღეს გასტანა. ქათოლიკოსს საჭიროდ მიაჩნდა მხარი დაეჭირა სამეფო ტახტზე უკვე მჯდომისათვის და არა იმათთვის, ვინც ამაზე ოცნებობდა. ეპისკოპოსები არქიეპიზკოპოსები და მიტროპოლიტები სწორედ ისე ჰფიქრობდნენ, როგორც ქათოლიკოსი, ამიტომ მღვდელთმთავართა კრებამ ქათოლიკოსის ლოცვა-კურთხევა გამოითხოვა და სასწრაფოდ დაიშალა.

შეშფოთებაში განვლო ზამთარმა, ხმაურით დაიწყო გაზაფხული.

პირველად ,ქვათახევის მონასტერს უნდა დაერეკა. ამიტომ ტფილისიდან დაბრუნებულმა ტრიფილიოსმა ასის წლის ბერი დაიბარა და უბრძანა: წმინდა ეკლესიის გულისათვის სიზმარი უნდა ნახოო. მეორე დღეს მოხუცი სენაკიდან გამოძვრა, ხელში თეთრი ფრთა ეჭირა. და აკანკალებული ხმით მონასტერს ამცნო წყალობა, რისი ღირსიც იგი მთავარანგელოზ მიქელის მეშვეობით გახდა...

სასწრაფო ზარმა ქვათახეევში ბიიზიდა მორჩილი სამწყსო. საკმევლის ლურჯს ნისლში გახვეულმა მოხუცმა თვალი და სპეტაკი ფრთა ზეაღმართა და „სხივოსანი“ სიზმარი გაიმეორა.

მონასტრის რეკას ხმა მისცეს ქართლის სხვა ტაძრებშაც.

მიტროპოლიტებმა, არქიეპისკოპოსებმა და ეპისკოპოსებმა სასწრაფოდ მოიწვიეს მღვდლები და უბრძანეს: სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეთ და მგრძნობიარე ქადაგებით აუწყეთ სამწყსოს კეთილმორწმუნე მოხუცის სასწაულებრივი სიზმარი და ამის ნიშნად მთავარანგელოზ მიქელის მიერ დატოვებული სპეტაკი ფრთაო.

მარტის ქარმა მთელს ქართლს მოჰფინა წმიდა მონასტრის სასწაულის ამბავი. საზეიმოდ გუგუნებდნენ ზარები. ეკლესიები ავრცელებდნენ ამბავს ღვთის მოწყალების შესახებ:

„და რქვა უფალმან ღმერთმან მთავარანგელოზს მიქელს: დაეშვი ცოდვილს დედამიწაზე და ჩეი სურვილი ამცნე ყველაზე კეთილმორწმუნე მოხუცს. და იყო ესე. მიჰფრინავს ჩაფიქრებული წმიდა მთავარანგელოზი მიქელ მძინარე ქართლში, და უფრო მკაფიოდ კაშკაშებენ ცის მნათობნი. მიჰფრინავს მთავარანგელოზი მიქელ ქართლის ტაძართა ზედა, მიჰფრინავს და კეთილმორწმუნე მოხუცთა სენაკებში იპვრიტება. და სწუხს მთავარანგელოზი მიქელ, რაკი ღირსეული ვერ უპოვნია, და დამწუხრებული გეზს მიმართავს ქვათახევის წმიდა მონასტრისაკენ. და ეღირსა ასწლოვანი მოხუცი. სძინავს და თითქოს არცა სძინავსო. საკანი - კეთილსურნელებით აღივსო და ესმის მოხუცს ვერცხლისებრ წკრიალა ხმა: „აღსდეგ მოხუცო, ვინც ღირსი გახდი ღვთის წყალობისა, გამომაძრე ფრთა, ვიდოდე და ხალხს აუწყებდე ღვთის ნებას. იხარებდეს ქრისტიანენი, ღმერთმა აკურთხა წმინდა ქორწინება ლუარსაბ მეფისა, ვინაიდან იგი ცოლად ირთავს ცის რჩეულს, დას დიდი მოურავისას, რომელმაც ქართლი ურწმუნო მაჰმადიანთა ზეიმისაგან იხსნა. და ღვთის სურვილის ნიშანი ის იყოს, რომ ქორწინება მეფისა ქვათახევის ღვთისმშობლის წმიდა მონასტერში მოხდეს. და დეე ღვთივკურთხეულმა უმანკო თეკლემ უშიშრად გადააბიჯოს ზღურბლსა, რომელიც არცერთს ქალს, სიკვდილის შიშის გამო, ორასი წლის განმავლობაში არ გადაუბიჯებია. და იყოს კურთხევა ღვთისა მეფესა და დედოფალსა ზედა.“

დიდებულნი მიხვდნენ: ეკლესია მეფის მხარეზე გადავიდა და ამის წინააღმდეგ თვით საპურველიც უმწეო არისო.

შადიმანთან ჭიდილში ტრიფილიოსმა გაიმარჯვა, და ლუარსაბმაც, მიუხედავად არისტოკრატიის ყრუ უკმაყოფილებისა და შეშინებულ ქართლელთა აბნეულობისა, ჯვარი დაიწერა.

ქვათახევის მისაქციელიდან, თვალადის ციხის ზღუდეებიდან მონასტრის ჭიშკრამდე მთელი მიდამო ხალხით არის გაჭედილი. გე-

გონება, არა მარტო საქართველოს მეფეებს, არა მარტო დიდებულთ, არამედ მთელ ქართლს ქალაქი და სოფელი მიუტოვებია და აქ მოსულა, ამ აკრძალულ ზღურბლთან, რომელიც მეფის რჩეულმა უნდა გადალახოს.

— მაგრამ რად არის ფერმკრთალი დიდი მოურავი?

— ოო, მან რაზმები შემოარტყა მონასტერს.

— მამაჩემი ტფილისიდან დაბრუნდა და ამბობს: იქ არავის უშვებენ, ერისთავის ჯარი კარებს სდარაჯობსო.

— მცხეთასაც სდარაჯობენ.

— გორსაც.

— მოურავმა კარგად იცის თავისი საქმე, შეიძლება მტერი მოულოდნელად დაესხას თავს.

— მტერსაც შეუძლია და დიდებულთაც... გამიგონია: ერთხელ კახეთში, ბაკურ მეფის დროს, მეფე სანადიროდ წასულა, ხოლო დაბრუნებისას ტახტზე სხვა უნახავს მჯდარი...

— ჩუმად, თავი ხომ არ მოგძულებია? ვერა ხედავ, ასასი როგორ აბრიალებს თვალებს.

— ხალხო, მთელი ხეობა დაკავებულია, თვალადელებს ხმალი ამოუწვდიათ...

— ჩუმად, ჩუმად...

ცოცხალი ტალღები ალივლივდნენ. ბაკა დათოსკენ დაიხარა:

— ყველაფერი მზადაა, თავადო, ნუ გეშინია, ერთიც კი ვერ წავა აქედან ცოცხალი, უკეთუ ავს განიზრახავს...

— როგორ მოგწონს, თავადო, მოხუცის სიზმარი?

— ჩუმად, თამაზ, ეპვის დრო არ არის...

— იცი, გიორგი. წინათ ვფიქრობდი: ყველაზე უფრო საძნელო საკუთარი კამეჩების მოვლა არის მეთქი, ახლა კი ვხედავ საიოლო საქმე როდი ყოფილა საკუთარი დიდოფლის ყოლა.

— საკუთარი მეფე უფრო საშიშია, პაპუნა.

— ქალებო, ერთიც ვნახოთ, მონაზნები გაცოცხლდნენ და თეკლე დააღრჩეს?

— ვაიმე, ალბათ, გაცოცხლდებიან... გაიქეცით, გაიქეცით ქალებო!

— მონაზნები ჯაჭვებს აჩხარუნებენ...

— ჩუმად,ქალებო, მონაზნები ღვთის ნებას უნდა დაემორჩილნენ...

— ხალხო, მოხუცი დარეჯანი ამბობს, ღმერთმა ვერ მოასწრო მონაზნების გაფრთხილებაო...

ხალხი ძრწოლამ შეიპყრო, ცახცახებდა, ერთმანეთს ეკვროდა, მამაკაცებიც კი მოუსვენრად იშმუშნებოდნენ.

შეირხა ჩაბნელებული ტყე. თითქოს მუქარით დაიძრა ხევი, ნისლის ბინდბუნდში ტოტებივით იძვროდნენ აღმართული ხელები.

— მოდის! მოდის! ვაიმე!.. ვაი ჩვენ!..

ბრწყინვალე ამალით გარშემორტყმულნი დიდებულნი მოკაზმული ცხენებით მონასტრისკენ იძვროდნენ.

აბრეშუმეულსა, მარგალიტსა და ზურმუხტში ჩამჯდარი მუხრანბატონი, ერისთავი და ციციშვილი თეკლეს შემოხვევენ გარს, ბამბის ქულასავით რომ გაყინულიყო თეთრს ცხენზე, რომელიც ტარსიკონითა და ფირუზით იყო მორთული. მირვანი მარჯვედ ჩამოხტა და „სამოთხისებურ ჩვენებას“ ჩამოხტომა უშველა. რუსუდანმა და ნესტანმა მკლავი გაუყარეს თეკლეს.

ხალხის უამრავი თვალი ხარბად დააშტერდა მათ. ჭიშკარი უეცრად გაიღო. ერთბაშად წამოიჭრა ქორი და ფრთების ტყლაშუნით მცხუნვარე ცის სივრცეში დაიკარგა. ხალხს ოხერა აღმოხდა, შეირხა და მუხლებზე დაეცა. გაფითრებულმა რუსუდანმა ხელი გაინთავისუფლა და კედელს მიეყრდნო.

— პაატა, ავთანდილ! არა, მე არ შემიძლია მომაკვდინებელ ზღურბლს გადავაბიჯო.

ნესტანმა კვნესით დაიხია უკან.

გაფითრებულმა თეკლემ უაზროდ აღმართა თვალი, არც ერთი ქალი არ მივიდა საშველად მასთან.

— უკეთუ სიკვდილი მომელის, მაშასადამე, ღმერთს არა სდომებია ჩემი ბედნიერება, ხოლო ულუარსაბოდ სიცოცხლე არ მინდა.— თეკლე წელში გაიმართა. მირვანმა ხელი გაუწოდა და „განწირული“ გაბედულად წაიყვანა ჭიშკრისაკენ.

რუსუდანი კედელთან ჩაიკეცა. დაფის გუგუნი, საზანდრის ხმა ათიათასმა კვნესამ გააყრუა. უმწეოდ იკრუნჩხებოდა სალოცავად აღმართული მრავალი ხელი.

— ოდესმე სამაგიერო სამსახურს გავუწევ მირვანს,—დაუთბეგს წასჩურჩულა გაფითრებულმა სააკაძემ.

— მოდის, მოდის!

— მშვენიერია, ვით სიცოცხლე, მეფე ლუარსაბ!

— ოო, ოო, მარტო იგია ვარდისფერი, თვალებში ელვა უბრწყინავს!..

— ღმერთს გეფიცები, უფრო განათლდა!..

— ბედნიერება! ბედნიერება!

— ბედნიერება დეე ქვათახევის ღვთისმშობელმა მოგვანიჭოს!

— ბედნიერება წმინდა გიორგიმ მოგვანიჭოს!

— და წმინდა ევსტატემ!

— სიცოცხლეს არ დავიშურებ შენი ღიმილისათვის!

საზანდრებმა დასტური მისცეს ათასთა და ათასთა ნატვრას.

მოღიმარე ლუარსაბმა სადავე მიანება და კახეთის, იმერეთის მეფეების და აფხაზეთის, ოდიშის, გურიის მთავრებით, ბატონიშვილე-

ბით, ბრწყინვალე თავადებით გარშემოხვეული სწრაფად შევიდა ტაძარში. მას მიჰყვნენ თავადნი, აზნაურნი, მრავალრიცხოვანი ამალა, ქეშიკნი, პირადი რაზმები. ბაკაძემ, საკაძემ და „ვეფხებმა“ რკალი შეჰკრეს.

უდიდესი სივრცე სულგანაბული ელოდებოდა. წყნარად წკარუნებდა შუბთა ბუნიკი, მსუბუქად ჰახუნებდა ცხენთა ნალი.

შიშით აღსავსე მრავალი თვალი ჭიშკარს მიშტერებია...

ატყდა ზარის რეკა, ჭიშკარში წინამძღვარი ტრიფილიოსი გამოჩნდა:

— ხალხო, ჩვენი სხივოსანი მეფე ლუარსაბი მეორე, ჯვარს იწერს მშვენიერს საკაძის ასულს თეკლეზე. ქვათახევის წმინდა ღვთისმშობელი ჰფარავიდეს მეფის ქორწინებას.

დაძაბული მყუდროება დაარღვია ზურნის ჭიჭყინმა, ხმალთა წკრიალმა, საზანდრისა და დაირის გუგუნმა, სიმღერამ, კვნესამ, ტირილმა, სიცილმა და ხარხარმა. სადღაც გაჰქრა შიში...

ლუარსაბს მიჰყავდა გაზაფხულის მზესავით პირმცინარე თეკლე...

ახმაურებულს ხევში, ვარდისფრად აყვავებულს ტყეში ცხენით მიმქროლავი ლუარსაბ აღელვებული ეუბნებოდა თეკლეს:

— გახსოვდეს, სულო, ლუარსაბის სიტყვები: სიცოცხლეს არ დავიშურებ ქართლისათვის, შენთვის.

თეკლემ გრძნობით აღსავსე თვალი მიაპყრო, ხავერდოვან წამწამებზე ცრემლები აუციმციმდა. ლუარსაბს მყისვე დაავიწყდა ნათქვამი, გარშემო მყოფნი და მთელი სამყარო.

თავი ორმოცდამეორე

გათავდა მხიარული ლხინი, რომელმაც ორ კვირას გასტანა. დაყვავილდა შროშანი. თვალადის შადრევანთა ვერცხლისებურ წინწკლებში ლუარსაბი მხოლოდ თეკლეს თვალთა გიშრის მზეს ამჩნევდა. არა თუ სამყარო, არამედ საკუთარი სამეფოც კი დავიწყებოდა.

შადიმანს თითქმის უხაროდა ყოველივე, რაც მოხდა. მეფე ძლივს ჰფარავდა მოწყენილობასა და მოუთმენლობას შადიმანის დაწვრილებითი მოხსენების დროს; მხოლოდ შადიმანს ჰქონდა უფლება მიუპატიჟებლად მისულიყო მეფესთან თვალადს. ლუარსაბი ემუდარებოდა: ძვირფას დროს ნუ მართმევ ამქრებისათვის, მაიდნისათვის, საზღვრებისათვის, ახლა ხომ ყველგან თითქმის სიწყნარეა. შენ თვითონ იცი, რა ღმჯობესია ქართლის აყვავებისათვისო. და მმართველმაც სიამით გადასწყვიტა: მართლაც, აღარ შევაწუხებ სიყვარულის განცხრომაში მყოფ მეფესო, და მოხერხებულად მიუტანდა ხოლმე მეფეს ხელმოსაწერად გამართულ სიგელ-გუჯრებს.

თეკლეს მშვენიერებით განცვიფრებული კარისკაცი ჰფიქრობდა, ალბათ, ერთ წელზე ადრე ლუარსაბი გონს ვერ მოვა, მერმე კი სრულიადაც გადაავიწყდება საშეფოს საქმეების გაძღოლაო.

და თანდათან იკარებოდა ლუარსაბის მიერ სურამის ველზე ხალხისათვის მინიჭებული სხვადასხვა შეღავათი. გლეხები მძიმე უღელქვეშ ჰგმინავდნენ, მაიდანი დატვირთული იყო აუტანელი გადასახადებით, აზნაურთა მეურნეობას კი მმართველის რკინის მარჯვენა ავიწროვებდა.

ტახტის აზნაურები სულ უფრო დაჟინებით სთხოვდნენ გიორგის, ჩვენი ინტერესები დაიცავიო.

სააკაძე ანანურს გაემგზავრა და ზურაბსა და ნუგზართან ხანგრძლივი ბაასის შემდეგ ნესტანი თვალადს ესტუმრა.

მეფის დაუპატიჟებლად საზაფხულო სააახლეში მისვლა უზრდელობად იყო მიჩნეული, მაგრამ ლუარსაბი არავის ჰპატიჟობდა, და ნესტანის მისვლამ კარისკაცნი გააკვირვა.

ნესტანი ოხრავდა: არ მინდოდა მეფის შეწუხება, მაგრამ ქალბატონი ნატო ღელავდა—აქამდე მეფე-დედოფლისათვის საქორწინო ძღვენი არ მიგვირთმევიაო, და ახლა ნატო გთხოვთ მიიღოთ მისგან ინდოეთისა და ერანის ძვირფასეულობით დატვირთული თეთრი აქლემებიო.

თეკლეს სიხარულით ოდნავ გაკვირვებულმა ლუარსაბმა თავაზიანად სთხოვა ნესტანს, თვალადში დარჩიო.

მხოლოდ ახლა მიხვდა ნესტანი, თუ რა ცეცხლი დაენთო მეფის გულში ნაზ თეკლეს. მეფე მთვრალივით დაიარებოდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა საყვარელ არსებას, თითქოს საკუთარი ბედნიერება არა სჯერაო. და სიყვარულის ამაღელვებელი ჩურჩული ლოყებს უვარდისფერებდა თეკლეს.

გულისხმიერი, დიდი ჭკუისა და გულღია ხასიათის მქონე თეკლე მეფეს უცხო სამყაროდან მოსული ეგონა. როცა მის სიმღერას, ნაამბობს უსმენდა, ან თვალს არ აშორებდა მის ვარდისფერ თითებს, ჩანგის სიმებს რომ აწკრიალებდნენ, ლუარსაბს უკვირდა, როგორ შემეძლო ამდენ ხანს „უმზეოდ“ ცხოვრებაო.

ნესტანმა ერთბაშად შეაფასა თავისი მდგომარეობა. მეფეს მხოლოდ მაშინ ეჩვენებოდა, როცა მისი ნახვა სურდათ, მხოლოდ მაშინ ლაპარაკობდა, როცა სიამით უსმენდნენ, გასეირნებას სთავაზობდა, როცა მეფესა სურდა, ნოსტეში მიდიოდა, როცა ლუარსაბს განსაკუთრებით უნდოდა თეკლესთან მარტო დარჩენა. ასეთი საქციელის გამო თვალადში ნესტანის ყოფნა შეყვარებულთათვის თითქმის აუცილებელი შეიქნა.

ნესტანი ჭკვიანად იქცეოდა: სიცილისა და ხუმრობის დროს აღფრთოვანებული უამბობდა მეფეს, თუ როგორ აღმერთებდა მას

ხალხი, რომელიც მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა საყვარელი მეფე სამეფოს საქმეებს დაუბრუნდება.

ლუარსაბმა მხრები აიჩეჩა. და განა ახლა იგი არ მართავს სახელმწიფოს ერთგული მმართველის მეშვეობით? ნესტანმა ფრთხილად შენიშნა: შადიმანის თვით უბრწყინვალესი მმართველობაც კი მეფის მაგიერობას ვერ იზამს, მით უმეტეს კეთილი და სამართლიანი ლუარსაბის მაგიერობასო.

ლიქნს უკვალოდ არ ჩაუვლია და ლუარსაბმა იწყო ფიქრი ტფილისს დაბრუნებაზე.

საკაძეს სულ უფრო აწუხებდა შადიმანის მოქმედება. ამიტომ პაპუნა, რომელიც მეტეხის სასახლეში თავისი ნათესავის არჩილის სანახავად მივიდა, უეცრად ციებით გახდა ავად და მთელი თვის განმავლობაში ლოგინს არ მოშორებია. ავადმყოფს უცნაურობა რამ დასჩემდა: სტუმრები უყვარდა და სასახლის მსახურნიც მთელ დღეებს ატარებდნენ ავადმყოფისას და ახალი ამბებით ართობდნენ მას. რა კი სიცხე ჰქონდა, ტუჩზე ღვინის თასს არ იშორებდა და მნახველთაც გულუხვად უმასპინძლდებოდა. არჩილი ყოველთვის ატყობინებდა პაპუნას სასახლეში მოსულთა შესახებ, ხოლო უფრო საინტერესო სტუმრების დასანახავად ავადმყოფი მზის გულზე გამოჰყავდათ ხოლმე.

ასე დაათვალიერეს ვაჭრები, რომელნიც ქართული მდიდრული ტანისამოსით იყვნენ გამოწყობილნი და რომელთაც ვარდან ბრძენი და ამილახვრის მსახურნი ახლდნენ.

საღამოს პაპუნამ განსაკუთრებული გულუხვი მასპინძლობა გამოიჩინა. გამბიარულებული მსახურნი იკვეხნიდენ, ძალიან დაახლოებულნი ვართ ჩვენს ბატონებთანო, და დაწვრილებით უამბობდნენ ყველაფერს, რაც იყო და რაც არ იყო.

გახურებულს კამათში შადიმანის ახალგაზრდა მეჯინიბე აღფრთოვანებული იყო იმ სიმარჯვით, რომელიც თავადმა შადიმანმა გამოიჩინა ოსმალეთის ვაჭრებთან გამართული სავაჭრო მოლაპარაკების დროს. გარნა უმცროსი ქეშიკი ეჭვს გამოსთქვამდა თურქეთიდან მოსულთა ვაჭრული უნარიანობის შესახებ: მათი საქციელი და თავადი შადიმანისა და ამილახვარისათვის მირთმეული ძღვენი ხანების გულუხვობას უფრო მოგვაგონებსო. გაჩაღებულს კამათში გამოირკვა, რომ ის ხალხი ვაჭრები კი არა, სტამბოლელი ფაშები არიანო, მაგრამ პაპუნას სწორად ამ დროს მოუვიდა ციების შეტევა და უგონოდ ჰბოდავდა: იმ ვაჭრებს ამ წყეული ავადმყოფობის წამალი ხომ არ მოუტანიათო.

„მაშასადამე, — ჰფიქრობდა პაპუნა, — გიორგი არ შეცდარა. შადიმანის მომხრენი კვლავ მოლაპარაკებას აწარმოებენ თურქეთთან". ორი დღის შემდეგ პაპუნა გამომრთელდა და საჩქაროდ მოემზადა

წასასვლელად, რათა თავიდან აეცილებინა ავადმყოფობის ახალი შეტევა.

რამდენიმე დღის შემდეგ პაპუნამ, რომელსაც ჩოხის უბეში ჩაკერებული ჰქონდა წერილი შაჰ აბაზისადმი, შავი ხევი გაიარა და ისპაჰანის გზისკენ გადაუხვია.

პირველ ხანებში გიორგი ეძებდა საბაბს ლუარსაბის სანახავად, მაგრამ დაუპატიჟებლად მისვლა იმის ნიშანი იქნებოდა, რომ საშუალება მიეცა დაცინვისათვის—ეს უზრდელი მდგომარეობა, როგორც მას ეძახდნენ, დის ბედნიერებით სარგებლობსო.

ნესტანს სანუგეშო ცნობები მოჰქონდა ტფილისში მეფის მალე დაბრუნების შესახებ, მაგრამ ლუარსაბის დაბრუნება ხომ არ ემთხვეოდა სტამბოლის საელჩოს აშკარად მოსვლასო?

შადიმანის განზრახვის გამოცნობა ძნელი არ არის: შაჰ აბაზი მხარს უჭერს მეფეს, სტამბოლი კი—თავადებს. თურქეთი ჯარს ერანის საზღვარზე მიიყვანს, ბორჩალუს ამოსწყვეტს და აღჩა-ყალას სამ თავადს მისცემს, ამრიგად, ბოლოსდაბოლოს, განხორციელდება შადიმანის დიდი ხნის განზრახვა მცირემიწიან აზნაურთა და სახასო გლეხთა ხარჯზე ახალი მამულებით გააძლიერებს დიდ ფეოდალებს და საზღვრის დაკავების გზით „რკინის ხელს“ დაუმორჩილებს ქართლის ბედს. „ჯარი?—ფიქრობდა გიორგი.—მართალია, სამეფო ჯარი ხალხის ხელშია... მაგრამ ერთხელ მეფემ უკვე დაამტკიცა, რომ დიდებულთა წინააღმდეგ არ წავა... მაშასადამე, სისხლისმღვრელი შინაური უთანხმოება? ამისი იმედი ხომ არა აქვს სწორედ სტამბოლს? არა, აქ შადიმანის წესისამებრ უნდა ვიმოქმედო“...

„ვეფხებს“, ალბათ, მობეზრდათ უმოქმედობა და სანადიროდ გაემართნენ. მთელი თვის განმავლობაში დაეხეტებოდნენ აზნაურები თურქეთის საზღვრის ახლოს. მაგრამ ნადირი არსად სჩანდა... გულუბრყვილო გივიმ უკვე გამოსთქვა აზრი: ტყეილ-უბრალოდ ნუ ვხარჯავთ დროს ამ ხეებზე ჯდომით, როგორც შროშნები, და ნუ ვტანჯავთ ცხენებს ბნელ გამოქვაბულებშიო. დიმიტრიმ კი წინადადება მისცა ამხანაგებს: მოდი მოწყენილობის განსაქარვებლად თურქეთის საზღვრისპირა სოფელში ერთი აურზაური ავტეხოთო, მაგრამ დაუთბეგმა, რომელიც ნადირობის ხელმძღვანელად იყო დანიშნული, ბრძანება გასცა: ხეებს არ მოშორდეთ, თუნდაც ამისათვის „ვეფხები“, მართლაც, შროშნებად იქცნენო.—რაკი გიორგი ნადირს ელის, ნადირიც უთუოდ უნდა გამოჩნდესო.

და სექტემბრის დამდეგს აზიზ-ფაშამ, რომელსაც ფიქრადაც კი არ მოსდიოდა „ვეფხების“ იქ ყოფნა, ორი ახალგაზრდა თურქისა და ოთხი ქეშიკის თანხლებით აკრძალული საზღვარი გადმოლახა...

დიმიტრი კინალამ სიხარულით ხიდგან ჩამოვარდა. „ვეფხებმა“ სული განაბეს და თავიანთ ოთხფეხი მოძმეთა მაგალითისამებრ, ტოტეგში გაწოლილნი ელოდებოდნენ, სანამ მთელმა რაზმმა მათს ახლოს ხეებქვეშ არ გაიარა.

ცხენებმა იფრთქვინეს და გაფრთხნენ. მტაცებლებივით ისკუპეს ხეებიდან „ვეფხებმა“. მიამატად მოლიმარე გივი ფაშას დაახტა მხრებზე, ხელები გაუკრა სტუმარს, რომელსაც ქართველი თავადის ტანისამოსი ეცვა.

დიმიტრიმ მაგრად ჩაბღუჯა თურქი ქეშიკი.

ელიზბარი არც თუ ძლიერ თავაზიანად უტენიდა ფაშას პირში ჩვარს.

როსტომმა და მათარსმა ცხენების ფლოქებზე ნაბადი შემოახვიეს. გაუტეხელ დუმილში გაუდგნენ გზას „ვეფხვები“, რომელთაც კარგად ახსოვდათ გიორგის ბრძანება: ცოცხალი და უვნებელი მოიყვანეთ დატყვევებულნი სამხურის გამოქვაბულშიო, სადაც მათ ერთ თვეზე მეტი იყო რაც ერასტი ელოდებოდა.

გახარებული ვაექანა მზვერავთა უფროსი ნოსტესკენ.

სიამისაგან სუნთქვა შეხუთული ერასტის ნაამბობი რომ მოისმინა, სააკაძემ თან გაიყოლა პაპუნა, რომელიც მხოლოდ წინა დღით დაბრუნდა ისპაჰანიდან შაჰ აბაზის პასუხითურთ, და საკვირაო ბაზარში გავიდა. ჩვეულებისამებრ მაიდანზე ბევრი საეკვო ვაჭარი დახეტიალებდა და ნაირნაირ საქონელს სთავაზობდა ხალხს.

სააკაძე ხმამაღლა ელაპარაკებოდა ერასტის მამას, რომელიც მატყლის საჩეჩ ახალ სახელოსნოს აშენებდა.

ნოსტეში ყველა შეურიგდა იმ გარემოებას, რომ სააკაძე ვერ ითმენდა ზანტად მუშაობას. „დასვენება ადრეაო“,— განუწყვეტლად იმეორებდა გიორგი. და ნოსტელები ვერ ასწრებდნენ საზაფხულო სამუშაოთა დამთავრებას, რომ საზამთრო სამუშევარი უკვე კარს იყო მომდგარი, და გიორგის გარკვეული გეგმის მიხედვით, სჭრიდნენ და ამზადებდნენ ხე-ტყეს, სთლიდნენ ქვას ნოსტეს მახლობლად სოფელ პაატას ასაშენებლად, აკეთებდნენ გზასა და ხიდებს ქარავანთა იოლად მიმოსვლისათვის.

ერასტის მამა ერთს ბიჭს უსაყვედურებდა ცუდ მუშაობას.

გიორგიმ მიიხედა:

— შენ ამას წინად არ გაგათავისუფლე მესეფეობიდან და გლეხი არ გაგხადე? ამრიგად ამართლებ ჩემს ნდობას? იქნებ მოწყენილობასა გრძნობ, შემიძლია სამსახური გაგიწიო და კვლავ მესეფედ გადაგიყვანო.

ბიჭი გაფითრდა და ემუდარებოდა: ნება მიბოძე მუშაობით გავამართლო შენი ნდობაო.

გიორგი უკვე დიდიხანია ვეღარ გრძნობდა, რომ კეთილდღეობის ალმატების ცდაში იგი ხშირად მიმართავდა ხოლმე სხვა აზნაურთა მეთოდს. მართალია, ღრმად სწამდა, რომ მისი კეთილდღეობა გლეხთა კეთილდღეობასაც გააუმჯობესებდა. მხოლოდ ზოგჯერ გაიხსენებდა ხოლმე პაპუნას გაფრთხილებას: „თავადი არასოდეს არ მოიქცევა ისე, როგორც გლეხი". იგი სულ უფრო უფიქრდებოდა ხოლმე იმ გარემოებას, რომ სახნავი მიწა საკმაო აღარ იყო, ვინაიდან თანდათან მატულობდა გამოქცეულ გლეხთა რიცხვი, და ამიტომ მეტის ენერგიით შეუდგა ზეთსახდელი წარმოების განვითარებას.

კვირაობით გლეხები ნოსტურას პირას იკრიბებოდნენ, ჩამოჯდებოდნენ თავიანთ საყვარელ ძელზე, საბიჯგებს ჩამოეყრდნობოდნენ და დასუსტებული თვალით გასცქეროდნენ ნაცნობ სურათს: მდინარეს, სადაც ბავშვობისას ბანაობდნენ, მინდორს, რომელსაც მთელი თავისი ძალა შესწირეს, ხიდს, რომელსაც კიდევ აჩნდა მათი ანცობის კვალი.

თავს იქნევდნენ და წყნარად ამბობდნენ: საიდან გაიგო გიორგიმ, რომ ასე სჯობიაო? კარგად ცხოვრობს ნოსტეში ხალხი, კარგია, როცა თავადი შენიანია, მაგრამ უკეთესია, როცა მიწაც შენია.

გიორგიმ ერასტის მამასთან ერთად დაათვალიერა ბეღლები. ხელით გასინჯა ოქროსფერი მატყლი, მოიწონა ერასტის მამის განზრახვა, მატყლის ნარჩენებიდან განსაკუთრებული ძაფი უნდა დავამზადოო, და თავისი გადაწყვეტილებაც აცნობა მოხუცს: ნოსტეს ყველა მატყლსართავი სახელოსნოს უფროსად უნდა დაგნიშნოო, ხოლო რადგან მოხუცის ოჯახს ახალი წევრი—ერასტის ცოლი, კიაზოს და დარეჯანი შეემატა, ამიტომ საკაძემ დიდი ქვითკირის სახლი აჩუქა მათ.

სასახლეში რომ დაბრუნდა, საკაძე წყნარად მოელაპარაკა შეშფოთებულ რუსუდანს და გვირაბში ჩავიდა, სადაც ორი ცხენითურთ უკვე ელოდა ერასტი.

ვიწრო გამოქვაბულიდან ისინი უეცრად ტყეში გაჩნდნენ. ხესთან პაპუნა ელოდებოდათ.

რა თქმა უნდა, დაკითხვამ ვერაფერი გამოარკვია. აზიზ-ფაშა აღშფოთდა: არავითარი ომი არ არის, მე სასეირნოდ გამოვედი და შემთხვევით გადმოვცდი საზღვარს; და უკეთუ საკაძე, რომელიც ერთბაშად ვიცან, თავხედ აზნაურებს არ უბრძანებს საზღვრამდე მიაცილონ თურქი ფაშა, მაშინ, ალბათ, მეფე ლუარსაბი თვითნებობისათვის მადლობას არ ეტყვის მოურავსო.

საკაძემ დიდი სინანული გამოსთქვა გაუგებრობის გამო, რომელიც, ალბათ, მხიარული ფაშის უცნაურმა ტანისამოსმა გამოიწვია. რასაკვირველია, ფაშას საზღვრამდე მიაცილებენ...

მოხდა მცირე თათბირი „ვეფხებთან“ და მიღებულ იქნა სწრაფი გადაწყვეტილება: შეპყრობილნი უნაგირებზე დააკარით, ტუჩი აუკარით, ღამე იარეთ, დღე კი ხევებსა და ტყეში დაიშალეთო...

საკაძე ცხენს მოახტა და ერასტისთან ერთად იმავე გზით დაბრუნდა თავის სასახლეში.

შადიმანი გაკვირვებული იყო. მისი ვარაუდით აზიზ-ფაშა უკვე უნდა დაბრუნებულიყო სტამბოლიდან და თან მოეტანა ქართლისა და თურქეთის კავშირის დაზუსტებული პირობები. ოთარმა და სანდრომ, იმ ფარულ დარაჯთა უფროსებად დანიშნული, რომლებიც საზღვრამდე იყვნენ ჩამწკრივებულნი, ფაშის შეპყრობის სამი საათის შემდეგ შადიმანს მოახსენეს: ახლომახლო ტყეებსა და სასაზღვრო მდინარის ნაპირებზე სრული სიწყნარეაო.

აზიზ-ფაშის მოსვლის მაგიერ ოქტომბერში ამბავი მოვიდა: მეფე საჩქაროდ ბრუნდება ტფილისშიო.

შადიმანმა ცუდი რამ იგუმანა: მხოლოდ ერთი კვირა გავიდა მასშემდეგ, რაც თვალადში ვიყავ, ლუარსაბი უგუნებოდ ლაპარაკობდა ტფილისს დაბრუნების შესახებ საშობოდაც კი და ახლა რა მოხდა? ვიღაცამ გავლენა მოახდინა შეყვარებულ მეფეზე. ნესტანმა ხომ არა? მაგრამ იგი ხომ აგერ ორი თვეა უძრავად ზის თვალადში. უძრავად? ნოსტეში სიარული? არა. ნესტანს ქედი არ მოუხრია. ამ წითურ გველს საკაძესთან მეგობრობა კი არა, ბატონობის წყურვილი აკავშირებს. იგი ოცნებობს პირველობაზე, სამეფოს საქმეებში გავლენაზე, ხოლო „მტრედს“ მეფის სარეცელს უთმობს. ასეთმა მსჯელობამ შადიმანი უფრო რთულ აზრებამდე მიიყვანა: ნუ თუ საკაძე ხვდება სტამბოლის მოლაპარაკებას? თუ ასეა, საჭიროა აჩქარება. ძღვენი და მტკიცე კავშირის დაპირება იოლად ააღებინებს ხელს მოხიბლულ ლუარსაბს ერანის ძვირად ღირებულ მეგობრობაზე. რთულ საქმეში, — იმის გამოანგარიშებაში გართული მეფე, თუ რამდენი მზე შთანთქმულა მშვენიერი თეკლეს თვალებში, თავს არ შეიწუხებს შადიმანის მოხერხებული მოხსენების გარჩევით და იოლად გაებმება სამი დიდებულის მიერ დაგებულ ხაფანგში.

ტფილისმა მეფე-დედოფალს საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ეკლესიის ზართა რეკასა და მაიდნის ზეიმში თეკლემ გადააბიჯა მეტეხის სასახლის ზღურბლს, რომელიც შემდეგში ასე ტრაგიკულად დასტოვა...

— როგორ! — განცვიფრდა ლუარსაბი. — შაჰის ელჩმა მთელი ქართლი გაიარა და თვალადს მოვიდა, ბრძენმა მმართველმა კი სრულიად არაფერი იცის ამის შესახებ? მაშასადამე, ემირ-გიუნე-ხანისა

და აღა-ხანის მალე მოსვლის გამო მეფის საჩქაროდ დაბრუნებაც საიდუმლოებას წარმოადგენს ქართლის პირველი დიდებულისათვის?!

შადიმანი თითქოს გაქვავდა: შაჰ აბაზმა იცის სტამბოლის მოლაპარაკების შესახებ და ამიტომ ქართლის მმართველს ფარულად ელჩი გაუგზავნია თვალადს... ვინ გამიწია ეს სამსახური? ამას მაინც გავიგებ, თუნდ ნახევარი სამეფოს ამოჟლეტა დამჭირდეს. ჯერჯერობით კი ზოგი რამ სიამოვნება უნდა ვაგრძნობინო დედოფალს...

უკეთუ თავადებმა, რომელნიც კმაყოფილი იყვნენ შადიმანის მეშვეობით მიღებული მრავალი შეღავათითა და წყალობით, დროებით დაივიწყეს ის შეურაცხყოფა, რაც მეფის დაქორწინებამ მიაყენათ, ახლა, როცა ხედავდნენ თეკლეს მშვენიერებით აღტაცებულ ტფილისს, როცა ისმენდნენ ქება-დიდებას მშვენიერი და კეთილი დედოფლისადმი, თავადები შეშფოთდნენ.

ოდნავ შესამჩნევი ზიზღი მარიამისა, მსუბუქი სიცილი შადიმანისა, და სასახლე ქედმაღლურად, ჭარბი თავაზიანობით შეეგება მდაბიო ქალს... მაგრამ ყოველივე ამ ცბიერებას აქარწყლებდა სრული გულგრილობა თეკლესი, რომელიც ყოველგვარი ინტრიგის გარეშე იზრდებოდა. მას ფიქრადაც არ მოსდიოდა ის სიძულვილი, რაც თავაზიანობის ნიღაბით იყო დაფარული, უსმენდა და უცქერდა მხოლოდ ლუარსაბს და სრულიად არ ერეოდა კარისკაცთა მოფუსფუსე ცხოვრებაში. თეკლე მთელ დღეებს ატარებდა თაეის სამყოფელში და ჩანგს უკრავდა, თუ ლუარსაბი შინ არ იყო, ხოლო მისი ალერსით თვრებოდა, როცა იგი შინ იყო.

ასეთ განმარტოებას მის უსაზღვრო ამპარტავანებას აწერდნენ. და მატულობდა გულშარისა და მარიამის მიერ გაღვივებული ზიზღი.

შეტაკება უეცრად მოხდა. თეკლემ რომ ზუგზა მარიამის მონის საბრალო ყოფაში ნახა, შეებრალა ხანის ასული და ლუარსაბს სთხოვა: თავისუფლება მიანიჭე ყაზახ ქალს და აულში დაბრუნების ნება დართეო.

მარიამი საშინლად აღშფოთდა: მე ჯერ კიდევ დედოფალი ვარ, არავის ნებას არ მივცემ ჩემი საკუთრების განკარგულებისას და დაუპატიჟებელ ქომაგს მის შესაფერ ადგილს მიეუჩენო. ლუარსაბმა ხელი ჩაიქნია და საჩქაროდ გავიდა დედის სადგომიდან. გარნა მტრობის საბაბი უკვე ნაპოვნი იყო, და მარიამი ფარულად ყოველნაირად დასცინოდა თეკლეს. უყურადღებოდ არც ზუგზა დარჩა და, უკეთუ აქამდე მარიამი თავმდაბლური ზიზღით უცქერდა ყაზახ ქალს, ახლა თეკლეს გამოქომაგებამ ტანჯვად გადააქცია მისი ცხოვრება. ასეთ ყოფას შედეგად ის მოჰყვა, რომ ზუგზამ საშინელი სიძულვილი შთაინერგა გულში მარიამისადმი, თეკლე კი უსაზღვროდ შეუყვარდა.

თეკლე ყურადღებას არ აქცევდა დიდებულთ და სიკეთითა და ყურადღებით ეპყრობოდა არა მარტო ზუგზას, არამედ ყველა მსა-

ხურს, განურჩევლად იმისა, მარიამისა იყვნენ ისინი, გულშარის, შადიმანისა თუ ნესტანისა.

ასეთმა მოქცევამ სიყვარული და ერთგულება გამოიწვია მსახურთა მხრივ. თვით გულშარის ფარეშნიც კი ჩუმად სდებდნენ ფიცს: უმალ თავს მოვიკლავთ, ვიდრე დედოფლის წინააღმდეგ ჩავიდენთ რასმესო. თეკლეს მსახურთა მხიარული ოთახი განუწყვეტლად იზიდავდა სასახლის მსახურთ: ქალიშვილებს, მეჩიბუხეებს, საპურველმტვირთელთა და ქეშიკთ. „ნოსტელთა კუთხეში“ განუწყვეტლად გაისმოდა სიმღერა, საკრავთა ხმა და მოლხენა. გაცოფებული მარიამი და გულშარი უკვე აღარ ჰფარავდნენ მტრობას. შეშფოთებულმა ნესტანმა ნოსტეში წერილი გაგზავნა და სრულიად მოულოდნელად, ლუარსაბის სასიამოვნოდ, სასახლეს რუსუდანი და ხორეშანი ეწვივნენ.

რუსუდანმა მალე უჩვენა ყველას, რომ დედოფალი აქ მოურავის და არის, ორ დედოფალს კი ტახტი ვერ გაუძლებს. ყოფილი დედოფლები თვითონ უბრალოდ უნდა დაიჩრდილონ, და საამისო განკარგულებას არ უნდა ელოდნენო.

მარიამი იქაურობას იკლებდა: ხრიალებდა ხონჩა-სინები, მსახურნი ლოყადაწითლებულნი დარბოდნენ... მეტეხი ცეცხლისმფრქვევ მთასა ჰგავდა.

— ვერ გამიგია, ძვირფასო ხორეშან, თეკლე ანგელოზზე უფრო მშვიდია, ფრთასაც კი არავის შეახებს...

— ვინც ეშმაკთან ყოფნას არის მიჩვეული, ღმერთთან ყოველთვის მოიწყენს. დააშინე, მეფეო, ახალგაზრდა ქალბატონები და ხნიერნი გაიგებენ საქმე რას შეეხება...

— მართალი ხარ, ხორეშან, მაგრამ დედა როგორ დავამშვიდო?

— ეგ საქმე რუსუდანს მიანდე. ერთნაირი საშუალება იციან ერთმანეთის წინააღმდეგ.

ლუარსაბი დაკვირვებით მიაცქერდა სიცოცხლითსავსე ქალბატონს და უეცრად ჰკითხა: როგორ არის შენი აზნაური?

— გმადლობთ, ჯერჯერობით ეუყვარვარ...

აღფრთოვანებულმა ლუარსაბმა გადაიხარხარა:

— გინდა თავადი გავხადო?

— ახლა სულერთია... არა ღირს! ტყუილ-უბრალოდ სისხლი მოვუწამლოთ შადიმანს... გარდა ამისა... ქალისათვის უმჯობესია, როცა მისი შეყვარებულის გარშემო ცოტა მოშურნე გველი სისინებს...

— აღფრთოვანებული ვარ შენით, ძვირფასო ხორეშან...

— მე კი შენით, ჩემო სხივოსანო მეფეო. მუდამ ასე ვფიქრობდი: ვერც ერთი მეფე ვერ შეგედრება-მეთქი.

ხორეშანი მიხვდა: რუსუდანმა წესიერება დაამყარა, მაღალაძის მეუღლე ნინოც კი მოიხარა. თუმცა თეკლეს წინაშე ქედის მოხრის საბაბს ეს ქალბატონი დიდი ხანია ეძებდა. მისი აზრით, ცოცხალი კატა ყოველთვის სჯობს მკვდარ ვეფხვს. აქ კიდევ, გარდა ამისა, ასტანი ყოველი საშუალებით ცდილობდა ნესტანის დანათესავებას. რევაზსა და მამუკაზე ლაპარაკი კი ზედმეტია: ისინი აშკარად გადავიდნენ მდაბიო ქალის მხარეს. „ვეფხებთანაც“ კი გააბეს მეგობრობა.

გულშარმა პირველმა შეამჩნია ცვლილება და, მოარული სენი რომ მთელს სასახლეს არ მოსდებოდა, გახარებული მაღალაძიანი აშკარად განდევნა.

ლუარსაბმა წასაქეზებლად რევაზი მაშინვე თავის პირადს ამალაში ჩარიცხა და ასტანს სასახლეში დარჩენა შესთავაზა.

დედოფალი ჩვეულებისამებრ ავად გახდა. გულშარმა ჩვეულებრივად სამ ფარეშს დაუწითლა ყბები. გარნა ასეთმა გარემოებამ ბევრი დააფიქრა:

— საჭირო იყო ძველ დედოფალს ამაზე ადრევე ეფიქრნა...

— რა თქმა უნდა, მოწყენილი მეფე სჯობია მხიარულ თავადს...

— გიორგი მეფე ახლა არც ისე მოხუცი იქნებოდა...

— და მდაბიო ქალისათვისაც ადგილის დათმობა აღარ მოუხდებოდა...

— მე ყოველთვის ვამბობდი: მაღალაძიანთ ცბიერებას ვერავინ შეეცილება მეთქი...

— მათ ყველაზე ადრე იციან, საით იბრუნონ პირი.

— ეგ ჯერ კიდევ ვინ იცის, პირველნი ზოგჯერ უფრო ადრეც ჰკარგავენ ჭკუას...

— განა შადიშანი მტრედსა ჰგავს?..

— მტრედს არა, მაგრამ შეყვარებულსაც ნაკლებად ჰგავს...

— მუდამ ერთ გვერდზე წოლა მოსაბეზრებელია...

— ჰა-ჰა-ჰაა...

— ჰი-ჰი-ჰიი... ნატომ ყოველთვის უნდა გაგაცინოს.

ლუარსაბს თითქმის გაეხარდა ერანის ელჩთა მოსვლა. მთელი დღეების განმავლობაში საღმერთებელი ცოლის ოთახში ჯდომა მეფეს არ შეეფერება, ხოლო სასახლის დანარჩენ დარბაზებში მოწყენილობა და ინტრიგები უხუთავდა სულს.

„იქნებ შაჰს უთანხმოება სურდეს? რა გაეწყობა, სჯობს საომარ ველზე ბრძოლა, ვიდრე საკუთარ სასახლეში. აი გიორგიც მოვიდა, როგორც იქნა, მუდამ მშვიდადა ვარ, როცა მოურავი ახლოს არის. უცნაურია, მამა ტრიფილიოსს მოსვლა არა ჰსურდა და მაინც მოვიდა. ქალბატონ რუსუდანთან დიდ ხანს საუბრობდა, ამბობენ, ოდნავ შეყვარებულიაო... როგორც სჩანს, სამონაზნო ტანისამოსი სისხლს არ აცხრობს... გიორგი უნდა ამაყობდეს—ძლიერნი ეხვევიან

გარს რუსუდანს. და კიდევ ვინ? აჰ, ჰო... დედა მენანება მაგრამ მისივე ბრალია...“

გარნა რამდენადაც ელჩთა მიერ მოტანილი ძღვენი მატულობდა, ლუარსაბი იმდენადვე გაკვირვებას ეძლეოდა, შადიმანი და ამირინდო კი თანდათან შეშფოთებულნი ხდებოდნენ.

ტრიფილიოსმა წუთით გაუსწორა თვალი გიორგის და მერმე შადიმანს გადაჰხედა...

ემირ-გიუნე-ხანმა ჯერ თავაზიანი სალამი მისცა მეფეს და მერმე რაყამი მიართვა. ზეზემდგომი ლუარსაბი ბეჟედს ეამბორა, და პერგამენტი ბარტომს გადასცა. რაყამის კითხვის დროს ლუარსაბს გაკვირვება ეუფლებოდა და თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა...

„...საქორწინო ძღვენი მიიღე ნიშნად ჩემი სიყვარულისა და შენდამი კეთილგანწყობილებისა, ძლევამოსილო ძმაო ჩემო და ძმაო საყვარელის ჩემი მეუღლისა, ვინც ამას წინათ შემძინა ვაჟი სეფი-მირზა, რომელიც ძძლავრი ერანის ტახტის მემკვიდრედ დავნიშნე. აზიზ-ფაშა, ისპაჰანის საუკეთესო მჭედლების მიერ დაჭედილი, რათა უფრო იოლად იაროს უცხო ქვეყნებში, მაინც არ გამოტყდა... იქნებ ქართლის მეფემ სამუშაო გაუჩინოს თავის მჭედლებს? დაჭედილი ფეხი ზოგჯერ ენას აუდგამს ხოლმე კაცსა... და მაშინ გავიგებთ თუ ფარულად რისთვის დაიარებოდა ქართლში სულთნის მუსტეშარი * და ივლისსა და სექტემბერში კვლავ რად აღეძრა სურვილი ერანისადმი მეგობრულად განწყობილი ქართლის ნახვისა.

აღფრთოვანებული ვარ შენის ჭკუითა და სიმარჯვით. უვნებელი და უშიშარი აზიზ-ფაშის შეპყრობა დიდი საქმეა! სხვათა შორის, დამისახელე ის ერთგული კაცები, რომელთაც ასე მარჯვედ შეასრულეს შენი დავალება და აღჩა-ყალას მშვიდობიანად მოიყვანეს აზიზ-ფაშა და სულთნის ხუთი ქოფაკი, რომელნიც ქართველ თავადებივით იყვნენ ჩაცმულნი. მე ჩემს მრჩეველებს, ყარაჯუღაი-ხანსა და აღა-ხანს დავავალე დააჯილდოონ ისინი სიმარჯვისათვის და გთხოვონ, არ დასაჯო იმისათვის, რომ ყურყუტის ფონის გასვლისას შენი უსტარი წყალში ჩავარდნიათ და დაჰკარგვიათ. თუმცა შენი უსტარის დაკარგვის გამო ძლიერ ვწუხვარ, რადგან ვერ გავიგე აზრები მეფის ლუარსაბისა, მაგრამ შენგან გამოგზავნილმა ძღვენმა, რომელიც ალი-ბაინდურ-ხანმა უვნებლად მომიყვანა, დიდი სიამოვნება მომანიჭა. უკეთუ მომავალშიც ასე იმოქმედებ საერთო მტრის წინააღმდეგ, ჩემი მეგობრობა და სიყვარული შენდამი არასოდეს არ გაჰქრება...“

შაჰის მადლობა და თავაზიანობა გახურებულ შანთივით ჩაერჭო ტვინში ლუარსაბს. თვალი აღმართა: ვისი თავხედობაა ესაო? გარნა იქ მყოფთა სახეზე მხოლოდ გაკვირვება იხატებოდა.

* მუსტეშარი—თურქი უზენაესი მოხელე, მრჩეველი.

შეძრწუნებულ შადიმანს რატომლაც გაახსენდა, რომ დილით სხვა ქულაჯის ჩაცმა სურდა.

ამირინდოს ეჭვი შეეპარა თავისი მუხლების სიმაგრეში.

პირდაღებული ბაკა დარბაზის ჭერს ათვალიერებდა და ცდილობდა სადმე აბლაბუდა ეპოვნა, ოღონდ თვალი როგორმე მოეშორებინა საკაძისთვის... მაგრამ გიორგი თავაზიანად და აღფრთოვანებითაც კი ათვალიერებდა ლუარსაბს.

„რაო, ნუ თუ მას სერიოზულად სჯერა ჩემი თანამონაწილეობა?“—ფიქრობდა ლუარსაბი.

მხოლოდ ტრიფილიოსი იღიმებოდა, ხელს ისვამდა მშვენიერს წვერზე და, დასტურის ნიშნად, მეფეს თავს უქნევდა.

„მგონია, მთლად ჩავეფლო. ამ სპარსულ-ქართულ ჭაობში,—ფიქრობდა ლუარსაბი.—კარგია, რომ დრო დადგა სუფრაზე მივიწვიო ელჩები. საბრალო შადიმანი, ალბათ, ზაფრანით მოიწამლა. მხოლოდ ერთი რევაზია ბედნიერი, მისი ტვინი, ალბათ, ერთი თვის შემდეგ თუ გაიგებს ყოველივე ამას... თუმცა, სპარსულ მალამოს არც ამირინდო დაუმშვენებია... დათოს უნდა მივანდო გამოირკვიოს, რომელმა მზარეულმა დაამზადა ეს მშვენიერი საჭმელი. უნდა გამოვტყდე, ცუდად როდი მოუსაზრებია, მაგრამ ჩემდა გაუფრთხილებლად ჩემი ქვაბი რად იხმარა? საბრალო შადიმანს ენა დაბმია, აღა-ხანი კი, თითქოს განგებაო, მოთაფლული ენით ელაპარაკება.“

მწვავე მდგომარეობათა დიდი მოყვარული ლუარსაბი უეცრად გამხიარულდა და, რაკი სათანადო საბაბი იპოვნა, გადაიხარხარა და ემირ-გიუნე-ხანი შეაქო ორხუნჯობისათვის, რომლითაც მან აზიზ-ფაშის უკმაყოფილება ასწერა ისპაჰანში მისთვის გამართული მიღებით.

ამ ამბავმა ყველა სხვა ინტერესი დაჩრდილა და გაამძაფრა სურვილი საკაძის მოსპობისა, რადაც უნდა დამჯდარიყო. თუმცა არავითარი საბუთი არა ჰქონდათ, მაგრამ შადიმანსა და ამირინდოს ერთ წუთსაც კი არ შეჰპარვიათ ეჭვი, თუ ვინ იყო მიზეზი მათი ცბიერი გეგმის ჩაფუშვისა.

ლუარსაბი თავის სამყოფელში ჩაიკეტა წინამძღვრითურთ, რომელიც სწორედ დროზე მოვიდა. ტრიფილიოსმა ყურადღებით მოუსმინა ლუარსაბს და ურჩია: ნუ გაამქღავნებ, რომ შენ ასეთი დიდი საქმისა არაფერი იცოდიო. თურქეთს ასე მოუხდება, რატომ არა მეფეს, არამედ ბრწყინვალე ბაგრატს უგზავნის საიდუმლო ელჩებს? მაშასადამე, კანონიერი მეფის წინააღმდეგ ავი განუზრახავს; ეს არც თუ ერანისთვისაა ცუდი: დეე ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ ჩვენს მეგობრობას. აზიზ-ფაშაზე დიდი ხანია ნადირობს შაჰი, დიდი შეწუხება მიაყენა ერანს. შაჰი, მთელ ქალაქს დაჰპირდა მუსტეშარის თავის მიმტანს, და უეცრად მეფეთ-მეფე ლუარსაბმა ცოცხალი მიჰგვარა იგი... არც დამნაშავეთა ძებნაა საჭირო. მათ ვერ იპოვნიან, მტრებს

კი გაეხარდებათ: მეფეს როდი დაუპერიაო, და შიში აღარ ექნებათ, თავმოყვარეობა? განა პოლიტიკაში ამ საქონელს ფასი აქვს? შეიძლება დიდი საბჭო შეეყაროთ და დასაშინებლად ისეთი რამე ვთქვათ, რომ ისინიც, ვინც იცის, და ისინიც, ვინც არაფერი იცის, დაშინდნენ და მეფის დაუკითხავად ასეთი რამ აღარ გაიმეორონ... თავმოყვარეობაც დაკმაყოფილებული იქნება და დიდებულნიც დაწყნარდებიან...

ლუარსაბმა დიდი მადლობა გადაუხადა ბრძენ მოძღვარს. ნაპოვნია საუკეთესო გზა მეფის ღირსების დასაცავად.

ტრიფილიოსი რუსუდანის სამყოფელში გაეშურა, რათა დაემშვიდებინა მშვენიერი ქალბატონი: დამნაშავეებს ძებნას აღარ დაუწყებენო...

ერთი კვირის ლხინისა, ასპარეზობისა და სახალხო სეირის შემდეგ სამგიერო ძღვენით დატვირთული ემირ-გიუნე-ხანი და აღა-ხანი ქართლიდან წავიდნენ.

ლუარსაბმა მყის ჩამოიხადა თავაზიანობის ნიღაბი და ბრძანება გასცა: ყველანი საელჩო დარბაზში შეიკრიბონო.

ლუარსაბი მეხივით გრგვინავდა. „სულ ერთიაო,—ფიქრობდა იგი,—ყველანი დამნაშავენი არიან რაიმეში. და, შესაძლოა, შადიმანი და გიორგი ყველაზე უფროც... ტყუილ-უბრალოდ კი არ გაფითრებულა ასე დათო, ხოლო ბატონიშვილი სვიმონი წამოჭირხლებულა.“

— დიდი ხანია თვალს ვადევნებ თავხედთა მოქმედებას. ვინც ჰფიქრობს—ბედნიერებამ მეფე ლუარსაბი დაამრცხვაო, იგი თვით დაბრმავებულა, ვინაიდან ვერ ამჩნევს ჩემს თვალთა მწვავე ისარს... გაფრთხილებთ: მოღალატეებს ულმობელად მოვეპყრობი,—და სვიმონს ზიზღით გადაჰხედა,—არ მაინტერესებს, სახელდობრ ვისთან მოვიდნენ სტამბოლის საიდუმლო ელჩები,—ელვისებური ცქერა ამირინდოსაკენ,—არ მაინტერესებს არც ის, თბებოდნენ თუ არა ისინი მეტეხში,—მრისხანე თვალი შადიმანისაკენ მიმართული.—არ მინდა ვიცოდე, ვინ აღებს კარებს ასეთ შემთხვევაში...—და დამცინავად გადაჰხედავს ბააკას,—არა მსურს ვიცოდე, ვინაიდან გავურბი ძმათა შორის სისხლისღვრას, ამავე მიზეზით ხანებს არ დავუსახელე ის უგუნურნი, ვინც წყალს გაატანა შაჰ-აბაზისათვის ჩემ მიერ გაგზავნილი წერილი...—გაცოფებული ცქერა რევაზისა და ჯავახიშვილისაკენ, რომლებიც მკვდარს დაემსგავსნენ.—გარნა გირჩევთ დაიხსომოთ: ქართლში ვირებისათვის სპარსულზე არა ნაკლები ნალი შეიძლება ვიშოვნოთ, ხოლო მეტად მოუსვენარი დიდებულებისათვის კი—წყნარი ადგილები... რაიცა შეეხება გველებსა და შხამიან გომბეშოებს, მონასტერში ლოცვა ასეთებს ერთობ ამშვიდებს... კმარა მეფის გულკეთილობით სარგებლობა, ეს გულკეთილობა მხოლოდ მეფისა

და ქართლის ერთგულთ მიენიჭება...—და მეფემ სწრაფად მოავლო თვალი მთელს დარბაზს და ერთის წუთით გიორგის აღფრთოვანებულ თვალს შეხვდა.

დიდად შეშფოთებულნი დაიშალნენ კარისკაცნი. შადიმანი დედოფლის სანახავად გაეშურა, რათა გადაეცა ლუარსაბის ნართაულად თქმული მონასტრის სამკურნალო თვისებათა შესახებ. თვითონ კი გადასწყვიტა დიდებულნი დაეხსნა ყველაზე უფრო საშიშ მხეცისაგან. სააკაძე უნდა დაიღუპოს. ყოველი ფარული საშუალება ნახმარია, ერთადერთი ღა დარჩა: მახვილი მდაბიოს გულში.

ციე ოფლში აცურებულნი „ვეფხვნი“ დავობდნენ: იცის თუ არა მეფემ მათი სასაზღვრო ნადირობის შესახებო.

გივიმ ამოიოხრა:

— იცის თუ არა, სულერთია, განა სამართლიანია ვირები გვიწოდოს იმ უსტარის დაკარგვისათვის, რომელიც მეფეს არასოდეს არ დაუწერია?

საერთო ხარხარმა „ვეფხები“ ჩვეულებრივ ხასიათზე მოიყვანა...

თავი ორმოცდამესამე

ყრუდ ისმოდა მიწისქვეშა გუგუნი, ახლოვდებოდა ულმობელი ბრძოლა.

„ის გაიმარჯვებს, ვინც პირველი დაიწყებს,—ჰფიქრობდა სააკაძე.—სამი დიდებულებისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, თუ ვის უნდა უმადლოდნენ ისინი თურქული საქმის ჩაშლას. სისწრაფე ყველაზე მნიშვნელოვანია.“

სააკაძემ და რუსუდანმა ვაჟის ავადმყოფობა მოიმიზეზეს და მეტეხიდან წავიდნენ, მათთან ერთად წავიდა ყველა „ვეფხიც“.

ნოსტეში ერთი ხმაურია. დიდმა საშობაო ბაზრობამ ჩვეულებისამებრ დიდძალი ხალხი მოიზიდა. მაგრამ მარტო ბაზრობა როდი ახარებდა გლეხებს: აზნაურები ასპარეზობასა და ჯირითს მართავდნენ. გამარჯვებულისათვის ჯილდოდ დანიშნული იყო ფარი ზედ გამოხატული ვეფხით, და მოოქრულ ბუნიკიანი შუბი. ალბათ, ამ ძვირფასმა ჯილდომ მოიზიდა ნოსტეს, ორმოცზე მეტი აზნაური და მოჯირითე. ყოველ ოჯახში სტუმარი და მხიარულობაა. სააკაძის სასახლეში მრავალი აზნაურია სტუმრად.

ნოსტელების მიერ უხვად ნამასპინძლევი გლეხები, მოლაშქრენი და ვაჭრები საბაზრო მაიდანზე მხიარულობენ.

დაირისა და საზანდრის ხმები უერთდებიან ერთმანეთს. ჩანჩქერივით მოსჩქეფს მომღერალთა ხმები:

დაჰკრეს დაფი, მეხი
აგუგუნდა უცებ.
ჩვენს გოლიათს ახლა
რისხვით გული უცემს.

თავხედები თვალით
წაახდინა გმირმა,
სდუმს ყაზახი, დაშნის
გაიელვა პირმა.

მწვერვალების მეხი
მიდამოებს დაგავს,
რაზმელების ჰანგი,
მესაზანდრეე, დაჰკარ.

აგუგუნდა ქედი:
მოვა ნიაღვარი,
სურამს ახსოვს კარგად
ქართლის ბასრი ხმალი.

მინდორ-ჭალებს ახსოვს:
ჰკა მაგასა, დაჰკა,
რაზმელების ჰანგი,
მესაზანდრეე, დაჰკარ.

ცხარობს, ჯავრობს ხანი,
ყარსს ჩაუქრა შუქი,
და ქამანდით შეჰკოა
„ვეფხვმა“ უცებ თურქი.

ადლი ვისლა ახსოვს,
ბაზარს ჰკეტენ ადრე,
რაზმელების ჰანგი
დაჰკა, მესაზანდრეე!

ყველა ცხენზე, ყველამ
გამოპირეთ ხმალი.
შემოედვას კოშკებს
შურისგების ალი.

დავასრულოთ ბრძოლა
მრისხანე და სწრაფი,
მესაზანდრეე, დაჰკარ
ნაღარა და დაფი.

საკაძის კოშკის კარჩაკეტილში აზნაურები თათბირობდნენ. გიორგიმ არწივისებური თვალი მოავლო ყველას:

— დროა, მეგობრებო, შევთანხმდეთ, დადგა დრო მოქმედებისა.

როსაბმა მოუსვენრად მიიხედ-მოიხედა:

— მგონია, გიორგი, საჭიროა სიფრთხილე, თავადები ნებით არ დასთმობენ თავიანთ უფლებას.

— რატომ არ დასთმობენ? მე ხონჩაც კი ვნახე, რომელზედაც თავადთა უფლებები ელაგა,—წაიბუზღუნა პაპუნამ.

— ეგეთი რამ მეც მინახავს... ოღონდ კუბოსა ჰგავდა,— დათომ ფეხი გასწია და კატას კუდზე დააბიჯა. გაცხარებული კატა ოთახიდან გავარდა.

დიმიტრი შეიშმუშნა: ერთი წუთით ვერ მოისვენებსო.

— ვიცი, ოღ საქმეს როდი ვეჭიდებით,—განაგრძობდა საკაძე,— შაგრამ განა აქამდე ფრთხილად არ ვემზადებოდით? რამდენი წელია, რაც ფარულად ვიარაღდებით, რამდენი წელი გვიოცნებია აშკარა აჯანყებაზე. ერთხელ სავსებით მზად ვიყავით—გიორგი მეფემ გვიღალატა, მეორეჯერ მეტეხის ზღუდესთან ვიდექით—ლუარსაბ მეფემ უკან დაიხია... გამოდის, მეგობრებო, რომ მეფეების იმედი როდი უნდა გვქონდეს.

ქვლივიძემ წარბი შეიკრა:

— რას ამბობ, გიორგი? უმეფოდ როგორ შეიძლება?

— უმეფოდ არ ვაპირებ,—და გიორგიმ დაკვირვებით დაათვალიერა მოღუშული აზნაურები.—მეფის საწინააღმდეგო არა განმიზრახავს რა, მაგრამ დეე იყოს ერთი ხელისუფლება. თქვენ კარგად იცით, წოდებით მე თავადი ვარ, გულით კი— აზნაურთა მხედართმთავარი.

მაშინ, რატომ უნდა გვასხდნენ კისრად თავადნი ჩვენ, აზნაურებს? სასარგებლო რამ აქ არა არის რა. თვით თქვენ რამდენჯერ უჩიოდით თავადთა შევიწროვებას, თვითონ მთხოვდით რაიმე მეღონა. რას ჰფიქრობდით, განა მე თქვენი შიკრიკი ვარ, მეფესთან წარგზავნილი? იცოდეთ, მხოლოდ დიდი საქმისათვის ჩავები ბრძოლაში... ახლა პირდაპირ ვილაპარაკოთ: თავადთა სოფლები ხალხით არის სავსე, ხუთი წლის ბავშვები უკვე მუშაობენ, მაიდანზე თავადთა მსახურნი ყველაფერს ჩვენზე იაფად ჰყიდიან, ჩვენ კი იძულებულნი ვართ ვიმუშაოთ, მიწა მცირე გვაქვს, ხალხი ცოტა გვყავს, რჩენა გვინდა, ჩაცმა-დახურვა... ჩვენ ყველანი ხალხის წიაღიდან ვართ გამოსულნი, ხალხთან ერთსულოვნად უნდა ვიცხოვროთ, უკანასკნელი საბადებელის წართმევა აზნაურს არ შეეფერება. მაშინ ან კი რით განვსხვავდებით თავადთაგან? რისთვის ღა გამოგვყვება მაშინ ხალხი? ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს. ახლა გადასახადები? ნახევარი შემოსავალი ამაში ინთქმება. ყოველ სამთავროს საზღვარზე ათასი ხაფანგია დაგებული: უბაჟოდ ცალიერ ურემს ვერ გაატარებ, სანამ ტფილისამდე მიაღწევდე, მეოთხედი ქარავანი გადასახადში უნდა მისცე. მთელი სამეფო უღლად გაწევთ კისერზე... თავადნი კი რას აკეთებენ? გადასახადს არ იხდიან და თავიანთთვის ცხოვრობენ არხეინად... მთელი ქართლი მუშაობს, თავადნი კი მბრძანებლობენ... კიდევ დიდ ხანს ვითმინოთ?

— ჩვენ მაგის წინააღმდეგნი არა ვართ, გიორგი, ყველანი გამოგყვებით,—საჩქაროდ მიუგო აზნაურმა ქარუმიძემ—როგორც შენ გსურდა, ისე ვცხოვრობდით: ვისაც ხმლის მოქნევა შეეძლო, ყველა ცხენზე შევსვით, შენი „ვეფხები“ მოდიან, ასწავლიან, რაზმებს აწყობენ... მხედართმთავრად აგირჩიეთ და აი გემორჩილებით კიდეც, მხოლოდ... ოჯახები გვყავს, საიმედოდ უნდა ვიმოქმედოთ, საშიშია, უკე თუ თავადებმა გაიმარჯვეს, თავზე ხელს არ დაგისვამენ...

— მათ ძლიერი დამხმარე ჰყავთ,—გააწყვეტინა ასლამაზმა,—თვითონ ამბობ—მეფე მათს მხარეზეაო, ჩვენ კი მხოლოდ სიკვდილი გვიმაგრებს ზურგს...

— მეფეს უნდა მოველაპარაკოთ, ხელაღებით მოქმედება საშიშია, —წაიბუზღუნა ქვლივიძემ.

— მეფემ ყველაფერი უნდა იცოდეს,—მხარი დაუჭირა როსაბმა.

გიორგი დაკვირვებით დააცქერდა აზნაურებს:

— რა თქმა უნდა, მეფემ უნდა იცოდეს, მაგრამ... ხალხზედაც უნდა ვიფიქროთ. სურამის ბრძოლამ დაგვანახვა, თუ რა შეუძლია ქართველ ხალხს, როდესაც ბრძოლაში აზნაურები უძღვიან წინ, როცა თავისუფლად იცავენ თავის საკუთრებას, და თავადნი უძლურნი არიან ხალხის ძლიერების წინაშე.

— ხალხზე დანდობაც საშიშია,—წამოიძახა გორელმა აზნაურმა, —კვერცხს მისცემენ და დედალს მოითხოვს... ხომ იყო კიდეც ასეთი შემთხვევა. აი შენ ალჩა-ყალაში მდივან ბეგად გლეხი დანიშნე, იგი კი, ბატონიშვილ ბაგრატთან რო დაბრუნდა, იქაც მოინდომა ასეთი წესის შემოღება. თავადმა მას უღელი დაადგა, კამეჩი გახადა და ახლა ნახშირს ეზიდება. თვით გლეხი გარეგნულად დამშვიდდა, ჩუმად კი ხალხს აჯანყებს.

და ერთბაშად გაისმა ხმები:

— ხალხთან გულახდილობა არ შეიძლება.

— უკეთუ ყველა მმართველობას მოინდომებს, ვინ ღა იმუშაოს?

— თავადები რომ დავაძარცხოთ, ხალხი იტყვის: ბატონ-პატრონი მე ვარო.

— ზოგჯერ ხალხი თავადებზე უფრო საშიშია!

— ამაზედაც ბევრი უნდა ვიფიქროთ!

დათო გაფიცხდა:

— ამდენ სიტყვას რად ხარჯავთ? ვისაც ეშინია. ახლავე წავიდეს, თავადები სიხარულით მიიღებენ თავიანთ საზოგადოებაში, მით უმეტეს, ერთი უკვე გაექცა მათ. რევაზ ორბელიანი დარეჯანის კულულებს ჰფიცავდა: პირველ დაძახებისთანავე მოურავს მივემხრობი ათასი მოლაშქრითურთო.

— შენ ახალგაზრდა ხარ, დათო, ასეთ საქმეზე საჭიროა დიდ ხანს ლაპარაკი,—შეაჩერა დათო ტფილისელმა ხანშიშესულმა აზნაურმა.—იქნება ასე სჯობდეს, იქნება ისე, თავადებთან რად გვგზა-

ვნი? სპარსული თუმნიანები კი ყოველთვის ტკბილად როდია შეზავებული.

— აი გორში აზნაურ ედიშერის გლეხებმა თავდგმურსა სცემეს, ჩვენს წილს იპარავდაო. წინათ ასეთი ამბავი არასოდეს მომხდარა, ქველ წერეთელს კი მატყლით სავსე ფარდული დაეწვა. კიდევ ბევრი რამ სასიამოვნო გამიგონია ხალხზე,—დაცინვით დაასრულა საეკლესიო აზნაურმა.

— ხალხისა შეგშინებიათ და მინდა ვიცოდე, ხალხის დაუხმარებლად, ნეტავ, როგორ გაიმარჯვებთ?—გაიცინა გიორგიმ.—მაშასადამე, თქვენ ნებას აძლევთ ხალხს აზნაურთა უფლების მოსაპოებლად იბრძოლოს და მოკვდეს, ხოლო ერთი ზედმეტი ლუკმისა ან ჯამზე მეტი ღვინის მიცემა კი არა გსურს? კარგად გიფიქრნიათ! არა, აზნაურებო, ჩვენი პირველი საქმე ის არის, რომ ხალხი აზნაურების მხარეზე გადმოვიყვანოთ, თქვენ კი რითი გსურთ გადმოიბიროთ? იქნებ თავადთა ღონისძიებით? რა გაეწყობა, ძალიან კარგია. შესთავაზეთ ხალხს უღელი, ხუნდები, მათრახი, ჯურღმული, ბორკილი—მგონი, გაეხარდება და თავადებს ერთბაშად გასცვლის აზნაურებში.

უნდა გახსოვდეთ, მაშინაც კი, როცა ძლიერნი გახდებით, როცა მეფე კვლავ „ღვთის სწორი“ იქნება, როცა თავადთა და აზნაურთა უფლება გათანასწორდება, მაშინაც კი ხალხთან მეიდრო მეგობრობა მოგვიხდება, ვინაიდან ხალხი ჯარია, ჯარი კი მაშინ იმარჯვებს, როცა თავის მხედართმთავრებს ენდობა და როცა მხედართმთავრებს უყვართ თავისი ჯარი. და კიდევ ერთი რამ გახსოვდეთ: თქვენ, აზნაურებს ხმალი მუდამ გაშიშვლებული უნდა გექნეთ, თავადებს ქედი არასოდეს მოუხრიათ, არა ჰხრიან და არც მოიხრიან. ხალხი გაშიშვლებული ხმალია თავადთა წინააღმდეგ, მეფე კი ძალას მიემხრობა. ამას გეუბნებათ გიორგი საკაძე.

ასლამაზმა საერთო აზრი გამოჰხატა:

— ჩვენ ხალხისა როდი გვეშინია, მაგრამ ვინც ბევრის განწირვას ლამობს, უფლება აქვს ბევრიც იფიქროს.

„ვეფხები“ სულ უფრო იღუშებოდნენ, და გიორგი მიხვდა: დადგა გადამწყვეტი წუთი და უკან დახევა დამარცხების ტოლი იქნებაო. წელში ამაყად გაიმართა, ზვიადათ გადაჰხედა ყველას და ხმას უმატა:

— ბევრის განწირვას ლამობსო? მაინც რისას? ცხენისას, ფულისას, შესაძლოა ერთი მტკაველი მიწისასაც! კარგად შემომხედეთ: მე თავადი ვარ, მეფისაგან უხვადა ვარ მამულით დაჯილდოებული, ვარ მოურავი, მამაცი ნუგზარის სიძე, ქართლის დედოფლის ძმა... კიდევ რაღა მესაჭიროება?... ჩემს თავზე რომ ვფიქრობდე, დიდი ხანია შადიმანს მოვურიგდებოდი: ერთად ვიმეფებდით. ძველის-ძველ

საზღვრებამდე მივიტანდი ქართლის ზღუდეს, ქართველთა ყველა სამეფოს გავაერთიანებდი, როგორც დავით აღმშენებლის დროს. ორი, მხოლოდ ორიკაცი იქნებოდა: ერთი—მოურავი, რომელსაც შეიარაღებულ ხელში უჭირავს მთელი ჩვენი ქვეყანა, რისხვა მაჰმადიანთათვის; მეორე კი—მმართველი თავადთა ბურჯი, რომელსაც რკინის ხელში უჭირავს სამეფოს შინაური საქმეები და თვით მეფე... დიაღ, აზნაურებო, ჩემს თავზე რომ ვფიქრობდე, მაშინ ორი კაცი იმეფებდა ქართლში, მესამეს კი ეგონებოდა, მე ვმეფობო... სამშობლოსკენ მიისწრაფვის ყოველი ჩემი ფიქრი, მთელს საქართველოსკენ მიისწრაფვის ყოველი ჩემი ზრახვა. დიდი საქმისათვის მოგიწოდებთ თქვენ, აზნაურნო. შევარდენს არ შეუძლია შეკვეცილი ფრთებით ფრენა. დაქუცმაცებულ საქართველოს არ ძალუძს სიცოცხლე. ქართველთა ყველა სამეფოს და სამთავროს გასაერთიანებლად მოგიწოდებთ თქვენ, აზნაურნო.

— რა გაერთიანებაზე ლაპარაკობ, გიორგი?—გაოცდა ხანში შესული აზნაური.

— იმერეთის სამეფოსთან გაერთიანებაზე.

— იმერეთის სამეფოსთანაო?!—წამოიძახა ასლამაზმა.—იმერლები თვითონ არ ინდომებენ. დიდი ხანია ლიხის მთებისათვის ქართლთან დაობენ.

— შემდეგ კახეთთან...

— კახეთთანაო?!—გაიცინა საეკლესიო აზნაურმა. —სწორედ ახლა ვართ მასთან მტრულად განწყობილნი.

— გურიასთან...

— გურია კი რაღად გვინდა?!—წაიბუზღუნა ქვლივიძემ—იქ ერთ წვეთ ღვინოსაც ვერ ეღირსები.

— ოდიშთან...

— ოდიშთანაო?!—წარბი შეიკრა თავადის აზნაურმა.—მუდამ გურიას ეომება, შიშველა ფეხის გარდა, აღარაფერი გააჩნია.

— სამცხე-საათაბაგოსთან...

— საათაბაგოსთან?! რად გინდა ეს ქართველი თურქები?!—წამოიყვირა როსაბმა.

— და, დასასრულ, აფხაზეთთან!

— გმადლობთ, ჩემო კარგო!—აღელდა ქარუმიძე.—სანამ ამ მეზობელს მიაღწევდე, ცხენი ჯორად გადაიქცევა.

— არავინ არ დასთანხმდება ქართლთან შეერთებას!—წაიკნავლა როსაბმა.

— ჩვენ მეფესა და მთავრებს კი არ გავაერთიანებთ, არამედ ხალხს. ხოლო ხალხის დახმარებით ყველა გვირგვინს ერთ გვირგვინად გადავაკეთებთ. მგონია, ლუარსაბს მოეწონება ასეთი მორთულობა.

აზნაურები ზეწამოიკრენ, შეჩოჩქოლდნენ, ერთმანეთს სიტყვას აწყვეტინებდნენ.

— მარტო ერთი ქართლი თურქეთსა და ერანს ვერ გაუმკლავდება!—მრისხანედ დასძახა საკაძემ.

დავა ერთბაშად შეწყდა და დამყარებულ დუმილში გიორგიმ განაგრძო.

— საკმაოდ სძღებოდა მტერი ჩვენი სისხლით. ძალას მხოლოდ ძალით მოერევი! საჭიროა საქართველოს გაერთიანება ისე, როგორც მეთორმეტე საუკუნეში, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.“ გაიხსენეთ, რამდენი მტერი შემოჭრილა ჩვენს ქვეყანაში? არაბნი ქალაქებს აქცევდნენ, ხაზარნი ტფილისს სძარცვავდნენ, სელჯუქებმა ცეცხლით ამოსწვეს ქართლი, მონღოლებმა თავიანთი ცხენების ფლოქით გასთელეს ჩვენი სამშობლო. მერე ამ დროს რას ფიქრობდნენ ჩვენი ძლიერი დიდებულნი? ერთმანეთს ეომებოდნენ, ურთიერთს ჭღალატობდნენ და შემდეგ ყველანი ერთად ფეხქვეშ ეგებოდნენ მტერს. ახლა კი, აზნაურნო, ჩვენ მოწოდებულნი ვართ გავუძღვეთ, საქართველოს ბედს. უნდა ვამაყობდეთ! საკმაოდ ვხოხავდით, ვით მონანი, დროა გამარჯვებულნი წელში გავიმართოთ.

— ეგ რა განგიზრახავს, გიორგი?!—შიშითა და თანაც აღფრთოვანებით წამოიძახა ქვლივიძემ.

— განვიზრახე, საქართველო ძლიერი გავხადო, განვიზრახე, რომ ვერც ერანმა, ვერც თურქეთმა და ვერც სხვა ვინმემ ვერ გაბედოს ჩვენი საზღვრების გადმოლახვა. გახსოვდეთ, რომ ჩვენ მთებს გადაღმა მეგობარი არავინა გვყავს. რამდენჯერ მოსულან ცხვრის ქურქში გახვეულნი, შემდეგ კი მგლის კბილი გამოუჩენიათ. ჩვენგან ხარკად მიჰქონდათ აბრეშუმი, მატყლი, ოქრო, მიჰყავდათ ხალხი, მაგრამ არასოდეს არ დამშვიდებულან და არც დამშვიდდებიან, აი გიორგი მეათეს ეწადა მეგობრობა დაემყარებინა შორეულ რუსეთთან, მერმე რა უპასუხა თავადმა ტატიშჩევმა თხოვნაზე—საქართველოში დასტოვე თოფით შეიარაღებული მოლაშქრეებიო! გამოდის, რომ ჩვენგან ყველაფერი სურთ მიიღონ, სამაგიეროდ კი დაპირებით სავსე საპნის ბუშტს გვთავაზობენ.

— რუსეთი ერთმორწმუნეა,—ჩაურთო როსაბმა რაკი მამა თეოდოსის სიტყვები გაახსენდა.

— ერთმორწმუნე! — ჩაიცინა საკაძემ. — უკეთუ აფხაზეთამდე მისვლაში ცხენი ჯორად იქცევა, მაშინ სანამ ერთმორწმუნემდე მიხვიდოდე, თვითონ სახედრად გადაიქცევი. ყველასთვის უნდა ჩაიკეტოს საქართველო, ყველა ხევში რკინის კარი უნდა აიბას, ჩვენ მოკავშირეები აღარ დაგვჭირდება, თვით ძლიერნი ვიქნებით.

— მეფემ ყველა ეს უნდა იცოდეს,—სასწრაფოდ დაურთო როსაბმა.

— მეფეს, რა თქმა უნდა, ვეტყვი,—კუშტად შეიკრა წარბი გიორგიმ,—მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ წუთს ვეტყვი, როცა ჯარი ტფილისის გალავანთან იდგება, აზნაურთა რაზმები კი—მეტეხის კედელთან... მგონია, რომ ლუარსაბი ისეთ მეფეთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებისთვისაც სასიამოვნოა ერთხელმწიფება, და სიმართლე უნდა ითქვას, მას ქართლი უყვარს, მხოლოდ არ ესმის რა არის მისთვის სასარგებლო... უკანასკნელ წუთს გავუმჟღავნებ, მანამდე კი ღალატისა მეშინია... როცა მეტი გზა არ ექნება, უნებურად აზნაურებს გაჰყვება...

ხანში შესულმა აზნაურმა ურწმუნოდ გაიქნია თავი:

— უარი რომ სთქვას?

— მარტონი რომ დავრჩეთ?—წამოიძახა თავადის აზნაურმა.

— მარტონი არ დავრჩებით...—სააკაძე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, აზნაურთა წინ შესდგა და მტკიცედ განაცხადა:—შაჰ აბაზი ჩვენ გვემბრობა...

საშინელი დუმილი დაეუფლა დარბაზს. გარეთ, ფანჯარაში გაკრთა მტრედის ფრთა, სადღაც კარებმა დაიჯახუნა, ხალიჩაზე მზის ალმაცერა სხივი დაერჭო.

ქვლივიძემ ძლივს მოიბრუნა სული:

— საიდან იცი საშინელი შაჰის სურვილი?

გრგვინვასავით გაისმა გიორგის სიტყვები:

— დიდი ხანია ერანის ლომს შევუთანხმდი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თინათინს ისპაჰანს ვახლდი... მას შემდეგ მიწერ-მოწერა მაქვს...დიდი დახმარება გამიწია: ოქროს, იარაღს ერანიდან ვიღებ... რა თქმა, უნდა, არა მუქთად... რამდენიმე სამსახური მეც გავუწიე... აი ამას წინათ აზიზ-ფაშა ვუძღვენი...

ზოგიერთმა აზნაურმა ინსტინქტურად მოაელო თვალი კარს, სხვები შიშით უცქეროდნენ საკაძეს, თითქოს პირველად ხედავენო. თითქოს რაღაც უცნობი რამ იმალებოდა გიორგის არსებაში.

ასლამაზმა შეშფოთებით გაიფიქრა: „იქნებ, . გაგვცა? ჩემი პაპა უკვე მდიდარი აზნაური იყო, მაგისი კი—ღატაკი. იქნებ ღარიბ აზნაურებზე უფრო მეტს ფიქრობს, ერთხელ ხომ ასწავლეს ჭკუა... ახლა ჭკუის სწავლება გვიანლაა. მეფეს თავისი და ცოლად შერთო...“—და ასლამაზმა მღელვარებით ხელი შეისვა ნაიარავებ ყბაზე.

ქვლივიძე თავის ფიქრებსა და გრძნობებში ვერ გარკვეულიყო. მის გულში შიში შაჰ აბაზის ჩარევის წინაშე და სიამაყე აზნაურთა წოდების განდიდებისათვის ერთმანეთს ებრძოდა.

„მოღალატეა თუ წინამძღოლი?—ჰფიქრობდა შეძრწუნებული როსაბი.—მე ხომ ტახტის აზნაური ვარ, თვალადელთა ასისთავი, დიდებულთა საბჭოც მაფასებს და უმაღლესი სამღვდელოებაც, მე უნდა გაეხდე ქართლის სარდალი. მაშ, რაღად ჩაუვარდი კლანჭებში ამ

„ვეფხს?“—როსაბმა წვეტიანი ულვაშები გადაიგრიხა და თითქოს საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო კიდეც.

„უნდა გავიქცეთ! გავიქცეთ აქედან, სანამ გვიან არ არის,“—შეშფოთებით ჰფიქრობდა ზემო, შუა და ქვემო ქართლის შთამომავლობითი ყოველი აზნაური, მაგრამ თანაც ეშვობდა: იქნებ დარჩენა უფრო ხელსაყრელიაო?

— განა მხოლოდ სტამბოლელთა ქუსლებისათვის ცდილობს სპარსელი?—იკითხა როსაბმა.

გიორგი ყურადღებით აკვირდებოდა შეკრებილთ, რომ თვითეულის აზრი გამოეცნო:

— რა თქმა უნდა, არა, ჭკვიანი შაჰი ჰფიქრობს ჩვენის ნაშრომით ისარგებლოს და ქართლს შემოეპაროს, სიტყვით კი სულ ქართველთადმი სიყვარულზე ლაპარაკობს.

— კატასაც უყვარს თაგვები იმიტომ, რომ აღრჩობს,—უკვე მკვეთრად მიუგო როსაბმა.

— კატას ფრინველიც უყვარს, მაგრამ ძვირად თუ ეღირსება მათი დაღრჩობის სიამოვნებას, — დაცინვით მიახალა გიორგიმ.—ყოველი კაცი თვისი ხვედრის ღირსია... საქმე ეს როდია... ახლა შაჰის დახმარება აუცილებელია: როცა ლუარსაბი ჩვენი მოკავშირის შესახებ გაიგებს, უკანდახევას ვეღარ გაჰბედავს. რაც უნდა ძლიერნი იყვნენ თავადნი, სპარსელი ერთი თითის გაქნევით ყველას გაანადგურებს...

— საშინელი საქმეა, გიორგი, უნდა ვუფრთხოდეთ სპარსელებს, ოქროს ისინი ტყუილ-უბრალოდ არა ჰფლანგავენ. თვითონ ამბობ—მრავალჯერ მეგობრულად მოსულან და მტრულად კი წასულანო...—გაუბედავად წარმოსთქვა ქვლივიძემ.

— ამჯერადაც, მგონია, მტრულად წავლენ... გეგმა ზუსტად მაქვს მოფიქრებული... ქართლისკენ ისწრაფვის ფიქრი ჩემი... თქვენ ვერ გაიგეთ... გინდათ კიდევ იცოდეთ რამე? უკან არ დავიხევთ და არც თქვენ გირჩევთ: შადიმანმა იცის ყოველივე... მასაც თათბირი აქვს გამართული. თავადნი იარაღს ისხამენ, მტრულად განწყობილნი შეერიგდნენ აზნაურთა მოსასპობად. გსურთ განა ამოგწყვიტონ... მაშ, თავთავიანთ სახლში დაბრუნდით და ელოდეთ სტუმრებს...

— გიორგი, რატომ წინათ არ ლაპარაკობდი აგრე?—გაიკვირვა გივიმ.

— არ ლაპარაკობდა?—უეცრად გაფიცხდა დიმიტრი.—შენ, მგონი, ყურში ბამბა გაქვს ჩაჩრილი.

— იქნება ბევრ სხვასაც,—გულგრილად ჩაურთო დაუთბეგმა, — მგონი, ყველასათვის ცხადი იყო, თუ რა საჭიროებისათვის ხარჯავდა გიორგი ოქროს. მაშასადამე, მამულის გაფართოება, საქონლის შემატება და საჭურველის შეძენა მოგწონდათ? მაშინ არ გაინტერესებდათ—სპარსულია ეს ოქრო თუ გიორგი ტყეში სთხრიდა მას? არ გაინ-

ტერესებდათ — ხალხი ხმელ პურს დაკმაყოფილდება, ჩვენ კი ნაირ-ნაირებს მივირთმევთო?

— არ მინდა განუგეშოთ, აზნაურნო, ბევრი სისხლი დაიღვრება... თქვენ მართალი ხართ, დიდ ხანს უნდა იფიქროთ... მაგრამ მეგონა, უკვე მრავალი წელია ჰფიქრობენ მეთქი... ხოლო თუ კვლავ გსურთ ფიქრი, სამი დღის ვადა მომიცია... ხვალ ასპარეზობა იქნება, ზეგ კი—ჯირითობა. ბაზარი საესეა შადიმანის ჯაშუშებით, ფრთხილად იყავით, მხოლოდ აქ ილაპარაკეთ, ციხე-დარბაზში საშიში არაფერია...

სამი დღის შემდეგ აღელვებულმა და რატომღაც გახარებულმა თხუთმეტმა აზნაურმა ქვლივიძის მეთაურობით გიორგის ჩააბარეს თავიანთი სიცოცხლე, ქონება და ოჯახთა ბედი...

მაგრამ შთამომავლობითმა, საეკლესიომ და სააკაძის შემწეობით გამდიდრებულმა ოცდახუთმა აზნაურმა ისე მიატოვა ნოსტე, რომ გიორგის არც კი გამოსთხოვებია.

პირველნი გაეენდნენ როსაბი და ასლამაზი.

ასეთი მოღალატური საქციელი გადამწყვეტს მომენტში სააკაძემ ისე მიიღო, როგორც გაფრთხილება, რომ საჭიროა ბრძოლა არა მარტო თავადების წინააღმდეგ, არამედ გავლენიანი აზნაურების წინააღმდეგაც, რომლებიც არასოდეს არ გასწირავენ თავიანთ მდგომარეობას და კეთილდღეობასო.

„არა, ამ ფუქსავატ ხალხთან ერთად როდი ვიწყებ ბრძოლას თავადების წინააღმდეგ ქართლის განსათავისუფლებლად.—და იქვე დაურთო:—მაგრამ ვისთან ერთად? განა საუკეთესონი არ დარჩნენ? დე, მცირენი ვიყოთ, როგორც სურამის ბრძოლაში. განა დელიმაჰმად-ხანი საუკეთესო მხედართმთავარი არ იყო? მაშასადამე, ის კი არ გაიმარჯვებს, ვისაც ბევრი საჭურველი აქვს, არამედ ის,-ვისაც გარკვეული მიზანი და მჭრელი ხმალი აქვს. და მე ვიცი, რომ მთელი ქართლელი ხალხი გამომყვება...“

ყრუდ ისმოდა გაღვიებული მოძრაობის გუგუნი. მთელ ქართლს მითქმა-მოთქმა მოედო: აჯანყება მაისშია დანიშნულიო. ნოსტეს მაგრად კარჩაკეტილ ციხეში ცხოვრება სდუღდა. ღამ-ღამობით მალავდნენ ტფილისის ამქრებისგან მოტანილ იარაღს, მალავდნენ ცხენებს, სამრად სწვრთნიდნენ გამოქცეულ გლეხებს.

აზნაურთა კაეშირის ერთგულ წევრებს სააკაძემ აუკრძალა ცხოვრების ნირის შეცვლა: უკანასკნელ წუთამდე ეჭვი არავის არ უნდა აღუძრან და მხოლოდ ოცდახუთ მაისს თავიანთი რაზმებით გამოცხადდენ იმ ადგილას, რომელსაც იგი დაუნიშნავსთ.

„ვეფხები“ მეტეხში წავიდნენ. ქართლში მყუდროება იყო...

შადიმანმა სამ დღეს დაჰყო თავის ციხე-დარბაზში. მამული არ დაუთვალიერებია, რადგან ისედაც საუცხოოდ იყო მოვლილი მოურავ ოთარის მიერ.

წინასწარი საიდუმლო მოწვევით შეიკრიბა ყველა სახელგანთქმული თავადი. პიოველად იყო მოპატიჟებული ლეონ მაღალაძეც: ნოსტეს ახლოს ცხოვრობსო...

შადიმანმა მდგომარეობა დაასურათა:

— სოფელი აღარ დარჩებილა, საიდანაც ხალხი სააკაძესთან არ გაქცეულიყოს. იგი ურიგებს მიწა-წყალს, შალის, აბრეშუმის და ოქროს გაღებით ანთავისუფლებს მესეფეებს და გლეხთა მდგომარეობაში გადაჰყავს ისინი. სად შოულობს ამდენ ოქროს? მისი ხალხი თავისუფლად ცხოვრობს: თუ სურს, შეუძლია წავიდეს და თან წაიღოს თავისი წილი. და ხალხი თვით აძლევს ამომრჩევლებს ზედმეტს, რაც კი გააჩნიათ, გასასყიდად და სამარაგოდ... საშიში მაგალითია თავადთა სამფლობელოსათვის... მთელი ახალგაზრდობა ცხენზე ზის. ბევრ აზნაურს ერთნაირი წესწყობილება აქვს, ამ ნიშნით ვცნობ, ვინ არის სააკაძის კავშირში. ყველგან სიმაგრეები ააგო, ციხეები განამტკიცა... ნუ თუ ყოველივე ეს სააკაძის ფულით კეთდება?.. გეგონება, ფულს თვითონ სჭრისო... ხალხი ერთგულია „დიდი მოურავისა“, პირველ დაძახებისთანავე მზად არის ყველაფერი ჭიატოეოს და მდაბიოს დროშის ქვეშ დადგეს. გესმით განა რას ნიშნავს ესა?.. გაქცეულნი თმას იკრეჭენ, წვერ-ულვაშს იღებავენ, სახელსა და გვარს იცვლიან... ხუთი ჩემი მსახურიც „გაიქცა“ სააკაძისას, ორ თვეს დაჰყო იქა და უკვე დაბრუნდა... დაწვრილებითი ცნობები მაქვს... ირწმუნებიან, ნოსტეში საომრად ემზადებიანო... მერე ვის წინააღმდეგ სურთ ეს ომი? ადვილი მისახვედრია... მგონია ერანთან მეგობრობა აქვს, ტყუილ-უბრალოდ როდი უზიდავენ საქონელს ისპაჰანელი ვაჭრები... დიდებულნო! ღალატს ამზადებს მდაბიო! თავისი და ტახტზე დასვა, მდაბიოებს ჩვენს ადგილებს უმზადებს... ტყუილ-უბრალოდ კი არა ჰყავს ხელში სამეფო ჯარი, მრავალი ციხე საიდუმლოდ აქცია, მთელს ქართლში გვირაბები გათხარა, ვითომ სამხედრო მიზნით მტრის შემოსევის შემთხვევისათვის... გარდა ამისა, შეამჩნიეთ განა რა ფრთხილად ეპყრობა მეფეს?.. თითქოს ნათესავიც არ არისო... დიდი ცბიერი ვინმეა მდაბიო: ერისთავი მუქში გამოიმწყვდია, მუხრან-ბატონის მეგობრობა უზრუნველჰყო, ახლა შაჰ აბაზს ელოლიავება... დაყოვნება შეუძლებელია. დიდებულნო, სააკაძე უნდა დაიღუპოს ან... ან ჩვენ ყველანი დაეიღუპებით.

თითქმის არ უძინიათ... ორი დღის განმავლობაში შეოთავდა შადიმანის ციხე-დარბაზი, აწყობდნენ და შლიდნენ სისხლისმღვრელ გეგმებს და, გადაწყვეტილება რომ მიიღეს, წყნარად დაიშალნენ.

შადიმანი მეტეხს დაბრუნდა... ქართლში მყუდროება იყო...

მარიამი ყველაზე უფრო გააკვირვა და შეაშფოთა შადიმანის ხასიათის ცვლილებამ. მმართველი მთლად განისმენვალა ლუარსაბისა და თეკლეს ინტერესებით და ქება-დიდებას ასხამდა „მშვენიერი

დედოფლის“ სილამაზეს, ჭკუასა და კეთილ ხასიათს. დიდებულის უფლებით მოუღო ბოლო დედოფლის წინააღმდეგ მიმართულ ხრიკებს და შეშინებული კარისკაცნიც ისწრაფოდნენ პოზიციის გამოცვლას, გულშარიც კი ერთბაშად გულკეთილი გახდა და ცდილობდა დამეგობრებოდა თეკლეს. ნასიამოვნებმა ლუარსაბმა მოჭედილი ხმალი მიუძღვნა შადიმანს და კვლავ განიმსჭვალა ნდობით საყვარელი მოძღვრისადმი.

თეკლემ რომ მეფის სიხარული და კარგი გუნება შენიშნა, ინსტინქტურად შეშინდა შადიმანის ცვლილებების გამო, მაგრამ ვერ ბედავდა ლუარსაბისათვის გაემხილა თავისი შიში.

განმარტოებულს ხეიანში დასეირნობენ მეფე და შადიმანი...

— მაშასადამე, საჭიროა საელჩოს გაგზავნა, ჩემო შადიმან.

— აუცილებელია, მეფეო... დიდებული საელჩო და უხვი ძღვენი. წარმოიდგინე, შაჰ-აბაზი ხანში შედის, თხუთმეტი წლის შემდეგ ერანის ტახტს დაიმკვიდრებს ნახევრად ქართველი, მშვენიერი თინათინის ვაჟი. რა მომავალი ელის ქართლს! საჭიროა ვინახულოთ თინათინი, გავიგოთ რასა ჰგრძნობს ნათესავებისადმი და ჩუმად დავარწმუნოთ, რომ ვაჟი ქართლის სიყვარულით აღზარდოს... დიდი ამოცანაა, მეფეო,—წინასწარვე შევამზადოთ ნიადაგი სამეფოს მომავალი კეთილდღეობისათვის...

— მოიცა, შენ ამბობ თინათინი ვნახოთო? განა მამაკაცებს ჰარმხნაში უშვებენ?

— რა თქმა უნდა, არა, საჭიროა მანდილოსნების გაგზავნა... საბაბიც შესაფერისია: პირველი ვაჟი კანონიერი ცოლისაგან, დიდხანს ელოდებოდა. ნათესავებისაგან დიდი ძღვენი სეფი-მირზას, შაჰსა და დედას... შაჰს უყვარს, როცა პატივსა სცემენ, მუდამ ცდილობს მაიდანზე გამოაქვეყნოს საამო ამბები...

— შენის ფიქრით, ვინ უნდა გავგზავნოთ?

— ვფიქრობ, მეფეო, საელჩოს უნდა მეთაურობდეს ემირ-გიუნე-ხანისა და აღა-ხანის ტოლი ვინმე, თორემ შაჰი იწყენს. სპარსელები მტკიცედ იმახსოვრებენ მარცხსა და უურადღებას... კარგი იქნებოდა გაგვეგზავნა ბატონიშვილი სვიმონ, მაგრამ საშიშია, მოხუცი ბაგრატი ბავშვობიდანვე შეყვარებულია ქართლის ტახტს.

— სანაქებო ერთგულებაა,—გაიცინა ლუარსაბმა, მაგრამ, რა-თქმაუნდა, ასეთებისათვის უმჯობესია შეყვარებულის გვერდით ოხრავდეს... მუხრან-ბატონი შესაფერისია?

— დიდებული აზრია, მეფეე! სამწუხაროა, რომ ამირინდოსა მტრობს, თორემ სხვა მხრივ შესაფერისი იქნებოდა, გულშარიც წავიდოდა და თინათინთან ბაასს მოახერხებდა, აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე და ჭკუა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მეგობრები გავგზავნოთ.

— რა იქნება, ზურაბს რომ ვთხოვო? ნესტანი ოდესღაც საყვარელი მეგობარი იყო თინათინისა, მას უფრო ნდობით მოეპყრობა ჩემი და. ნესტანსაც ვერ ვუძრახავთ უპკეობასა და მოუხერხებლობას, ტყუილუბრალოდ როდი აღზრდილა მეტეხში... შენ რაღაც უკმაყოფილო ხარ თითქოს, შადიმან?

— არა, რატომ, მეფეო? თქვენი სურვილი მუდამ მაკმაყოფილებს... რა თქმა უნდა, ნესტანს გარდაც მოიპოვებიან ჭკვიანნი, მაგალითად, ხორეშანი... თანაც მეტი დიდებულობისათვის საჭიროა ორი სეფექალი გაიგზავნოს ბრწყინვალე ამალითურთ...

— ნესტანი და ხორეშანი? ძალიან შესაფერისნი არიან, მაგრამ ვშიშობ, ქალბატონს არ ვაწყენინო: ორის ღვით წასვლა აზნაურს დააშორებს...

— ამგვარს რასმე ქალები არაფის აპატიებენ, ხორეშანი კი ერთ კვირაზე მეტს ვერა სძლებს. თუ აზნაური აქ არის, ხორეშანიც აქ არის, თუ იგი ამშაშია, ქალიც შინა ზის. ამბობენ, თავადმა თურმანიძემ ფხიზელი ძაღლები გაიჩინაო, საიდუმლო ხვრელები ამოჭყორა, შუბოსანი გუშაგები გალავანზე უდგანან, თვითონაც ღამით ნადირობს, აზნაური კი ყოველ მეორე დღეს ქალბატონთან ითევს ღამეს...

ლუარსაბმა გადაიხარხარა და ბაეშვურად გადააქნია თავი.

— ყოჩაღ, ასეთი საქმისათვის ჯილდოს ღირსია...

— შესაფერისი საბაბია, მეფეო, შეგიძლია კიდეც დააჯილდოო.

— როგორ, ერანს გავგზავნო? რა თქმა უნდა, უნდა გავგზავნოთ! წარმოგიდგენია მოხუცი თავადის გაცოფება! იგი უნდა დავსაჯოთ, მეტეხს ჯოჯოხეთივით გაურბის... ხორეშანს კი სიამოვნებით მოვუწყობ მხიარულ მგზავრობას.

— დიაღ, მეფეო, მხოლოდ უხერხულია ერთი აზნაურის გაგზავნა, თვალში ეცემათ. იქნებ სურამის საქმისათვის? „ვეფხთა რაზმმა“ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, ბევრი დაჭრილი იყო, მაგრამ ბრძოლა არ მიუტოვებიათ. წყალობა დამსახურებული იქნება. შაჰი საჩუქრებით დააჯილდოებს და გიორგისაც გაეხარდება, ახლო მეგობრები არიან... დიდებულნი წინააღმდეგნი არ გახდებიან, ისწავლეს მეფე ლუარსაბის სურვილის შესრულება... დიაღ, საჭიროა დიდებული ამალა... ახალგაზრდების შერჩევა მოგვიხდება, უმთავრესად, დიდგვაროვანთა შორის და გამოჩენილ აზნაურთა შორის... საბჭოში შეიყრებიან, მეფეს შეუძლია სურვილისამებრ აირჩიოს...

თორმეტი დღის შემდეგ სათათბიროდ მობრძანდნენ მირვან მუხრან-ბატონი და სხვა დიდებულნი.

ლუარსაბმა დიუფალთა დასწრებაც ისურვა: იმათაც შეეხებაო...

თათბირის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე სანადირო დარბაზში შეიკრიბა ცნობისმოყვარეობით გახელებული მთელი სასახლე. ლუარსაბის კარგი გუნება სასიამოვნო თათბირს მოასწავებდა.

მარიამი ძალაუნებურად მარჯვნით დაჯდა, თეკლე კი—მეფის გვერდით. ფარჩა ეცვა, ნაწნავებში მარგალიტი უბრწყინავდა. თვალნი კრძალვით დაეხარა და მხოლოდ ხანდახან შეანათებდა ხოლმე სიხარულს ლუარსაბის გულს.

რამდენსაც მეფე ლაპარაკს განაგრძობდა, დამსწრეთა სახენი იმდენადვე მხიარული ხდებოდნენ. მხოლოდ ვინ იქნება ღირსი ამ საამო მგზავრობისა? როგორ, სეფექალებიც თინათინის მისალოცავად? ბრწყინვალე ჰარამსანა, ცეკვა, სიმღერა, შაჰის საჩუქარი, მაგრამ რომელი ბედნიერი ქალი ეღირსება ამას?

სულგანაბულნი ელოდნენ. მირვანი... ეს მოსალოდნელი იყო... ზურაბი? რატომ? განა სხვები ცოტანი არიან?

— იქნებ მეფე ინებებდა ჯავახიშვილიც მიემატებინა? შადიმანმა თავი ისე მოაჩვენა, თითქოს უკმაყოფილოაო.

— შეუძლებელია, შადიმან, მე მხოლოდ გუშინ შეეპირდი, ერთად ვინადიროთ მეთქი... თავადი ეპვიანია, გუშინ დიდ ხანს მეხვეწებოდა, უარს ნუ მეტყვიო. იფიქრებს—საბაბს ვეძებ რომ დაპირება არ შევუსრულო.

ლუარსაბმა ნესტანისა და ხორეშანის ქკუა და მოხერხებულობა, შეაქო. თანაც სთხოვა: ქართლის მეფისა და დედოფლების სახელით მოიხადეთ თავაზიანობის ვალი ერანის სასახლის წინაშე და ჩემს დას გადაეცით გულწრფელი სურვილი მისი კარგადყოფნისაო...

გულშარი კინაღამ ხალიჩაზე დაეცა, წყენის დაფარვაც კი ვეღარ მოახერხა.

— რატომ გულშარი არა, შვილო ჩემო? ისიც მეგობარი იყო თინათინისა, — ძლივს წამოიკნავლა მარიამმა.

ლუარსაბმა მიუგო: არა მსურს ეაწყენინო ციხის უფროსს და ორის თვით მოვაშორო მშვენიერთა შორის უმშვენიერეს ქალსაო. თუმცა აქ ტყე არ არის, მაგრამ ვხედავ, რომ „ვეფხები“ ყველანი აქ არიან, მსურს სურამის ამაგისათვის დავაჯილდოო. ისინი ყველანი ისპაჰანს წავლენ, რადგან მათ ვანდობ სეფექალთა დაცვას.

და ლუარსაბმა ღიმილით გადაჰხედა აშკარად გახარებულ ხორეშანს.

სააკაძე გაფითრდა: „ორის თვით? უცნაური ამბავია. რატომ მარტო ჩემს მახლობელს ჰგზავნის?... ეს შადიმანიც რომ გაფითრებულია... ნუთუ ლუარსაბი ადრე არ მოსთათბირებია მმართველს? ნუთუ უკვე აღარ ეთათბირება? ბაკა განცვიფრებულია. მარიამი გველივით სისინებს, გულშარი ცოცხალ-მკვდარია, მაგრამ მაინც უცნაურია!

შადიმანმა შენიშნა გიორგის ცქერა და თითქოს უკმაყოფილომ იკითხა:

— იქნებ ინებებდი, მეფეო, თამაზ მაღალაძეც ჩაგერიცხა? თავადს დიდიხანია სურს ერანის ნახვა...

გაკვირვებულმა ლუარსაბმა შადიმანს გადახედა და, ოდნავი ფიქრის შემდეგ მიუგო:

— მაგას მეც ვფიქრობდი, მაგრამ „ვეფხთა“ სიახლოვე ბევრს როდი ესიამოვნება.

ლუარსაბმა თვალი მიაპყრო მოწყენილ რევაზს: ამასაც რომ სამსახური გავუწიო? ასტანს მაინცა და მაინც არა სწყურია მისი სიახლოვეო, და საამური ღიმილით განაგრძო:

— ასეთ შემთხვევაში, თავადო, კარგია ახლოს გვყავდეს ჩინებული მონადირე. იმედი მაქვს, რევაზ ორბელიანი ისპაჰანშიც ასახელებს ქართულ სიმარჯვეს...

— მეფეე, ნურც მამუკა დაგავიწყდება, თორემ უთავადოთ მას აქსული ამოხდება,—გესლიანად მიახალა გულშარმა.

დათომ გვერდში მჯიღი ჰკრა გალენჩებულ რევაზსა და წასჩურჩულა:

— მამუკა წავიყვანოთ, დარეჯანიც, ეს ურიგო როდი იქნება, მგზავრობაში კი განსაკუთრებით საამოა: ხორეშანთან მოვაწყობთ...

რევაზმა ქურდულად გადაჰხედა ამაყად წელში გამართულ ასტანს. სიხარულის კორგალი ყელში მიებრჯინა და უეცრად ცხვირი დააცემინა. ლუარსაბმა ჩარბი ჩაიკვნიტა. მირვანი დაჟინებით ათვალიერებდა ქერზე დახატულ ოქროსფერ დურაჯს. ჯავახიშვილმა „უწესო“ სიცილის თავიდან აშორება განიზრახა და საჩქაროდ შეეკითხა ლუარსაბს:

— ნებას ხომ არ დამრთავდი, მეფეო, საელჩო ქარავნისათვის შემეერთებინა ძღვნით დატვირთული აქლემი მშვენიერი თინათინისათვის?

დარბაზმა მადლიერი თვალი მიაპყრო ჭკვიან მანდილოსანს და უეცრად ახარხარდა, იცინოდა, კისკასობდა ისე, რომ თვალს ცრემლი ადგებოდა.

დარცხვენილმა ლუარსაბმა დარბაზს წინადადება მისცა: ძღვენსა და ამალის შემადგენლობაზე ვიმსჯელოთო.

დიმიტრი შეუმჩნევლად მიუახლოვდა გიორგის.

— რაო, გიორგი, ხომ არ დაგვცინის ეგ რეგვენი რევაზი? თუ „ვეფხვების“ მეგობრობა სურს, დეე ორბეთში აცემინოს ცხვირი და არა მეფის წინაშე...

საკაძე არ იზიარებდა ნესტანის, ხორეშანისა და „ვეფხვების“ დიდ სიხარულს... ციხის გალავანზე მიმოდიოდა გამალებული. საავდრო ღრუბლები იგრაგნებოდა კოშკების თავზე. მაღლა, ცაში არწივი დანავარდობდა... ახლა მარტის დასასრულია... საუკეთესო თანაშემწენი და მისი ნების აღმსრულებლები უცხოეთს მიდიან. ად-

ვილი სათქმელია—აჯანყების შეკავება, როცა იგი ყოველ დაბრკოლებას წალეკვას უქადის. და თავადებს განა ყველაფერი მზად არა აქვს? ამაყობენ მეფის წყალობითა და ნდობით. ნესტანსა და ხორეშანს უხარიათ, მაგრამ რატომ მხოლოდ ჩემს მეგობრებს ჰგზავნიან? იქნებ საჭიროა გავაფრთხილო „ვეფხები“? შევაჩერო? არა, ეს შადიშანს ეჭვს აღუძრავს.

მაგრამ რაკი ძალა არ შესწევდა დაეცხრო მოუსვენრობა და ეჭვი, საკაძემ მოახერხა და საიდუმლოდ ინახულა თეკლე.

— არა, მეფე არასოდეს არ მესაუბრება სამეფო საქმეებზე. მარწმუნებს, როცა შენი სამყოფელის ზღურბლს გადმოვაბიჯებ, ასე მგონია, ჯურღმულიდან ამოვედი და სხვა ყველაფერი მავიწყდებაო... მაგრამ სწორედ საელჩოზე მეკითხებოდა ლუარსაბი: ხომ არ მოგეწყინება უნესტანოდო... შადიმანი დაჟინებით ურჩევდა გულშარს, მაგრამ მეფემ მაინც გადასწყვიტა სიამე მიანიჭოს თავის საბრალო დას... თანაც საგულისხმო საქმეა, და ერისთავს უფრო ენდობა ვიდრე ბაგრატის ნათესავ ამილახვარს. სვიმონსაც სურდა წასვლა. ხოლო „ვეფხების“ გამოჩინების საბაბს დიდი ხანია ეძებდა. გადაწყვეტილი აქვს, დათოსა და როსტომს ისპაჰანიდან დაბრუნების შემდეგ თავადობა უბოძოს სურამის ბრძოლაში მეფის მხლებლობისათვის. მე სხვებისთვისაც ვშუამდგომლობდი, გაეხარდა, პირველი თხოვნაა შენი, და აღმითქვა.

ასეთმა ცნობებმა ოდნავ დააშოშმინეს საკაძე.

რა კი მეგობართა მომავლის გაფუჭება არა სურდა, მოურავმა არ გაუმჟღავნა „ვეფხებს“ თვისი შეშფოთება და, პირიქით, ამცნო მეფის განზრახვა მათთვის თავადობის წოდების მინიჭებისა, რაც „ვეფხებმა“ საკმაო გულგრილობით მიიღეს. მათ ახარებდა მომავალი მგზავრობა, თავგადასავალი უცხო, ზღაპრულ ქვეყანაში, ლხინი, ნადირობა და სპარსთა დიდებულებთან ასპარეზობა.

დათოს კი ის გარემოება ახარებდა, რომ მოურავმა საიდუმლო დავალება მიანდო შაჰ აბაზის წინაშე.

ღამით ვენეციური სარკე ასახავდა გულშარის მოზეიმე თვალებს. კოხტაობდა და ამირინდოსთან ერთად ყვითელი გველისა და მდაბიოების მიამიტობაზე ხარხარებდა.

მხოლოდ ერთმა მარიამმა არა უწყოდა და რა თვისი აშკარა გაცოფებით მოურავს ამშვიდებდა.

თავი ორმოცდამეოთხე

მოკაუჭებულ ხმალივით ჰკიდია ქართლის ცაზე ახალი მთვარე. თბილ ნისლს დაუბურავს ხევები. ბურუსში კუს ხოკივით მოსჩანან მაღალი მთები, რომელთა კალთებზედაც გველივით დაკლაკნილან ბილიკები.

ლურჯ ცის კამარას მიბრჯენიან კოშკთა წვეროები. მაგრამ არ-სად სჩანს ყიზილბაშთა შუბი, არც თურქ მოხალისეთა წითელი ფესი და არც ენგიჩართა ყალხზე ამდგარი ცხენი.

მხოლოდ სქელ ნისლში შრიალებს ტყე, ქურდულად იძვრიან აჩრდილნი, წკრიალებს ტბის ლელი. მთელს ქართლს მოსდებია შემაშფოთებელი ჩურჩული, სოფლიდან სოფელს გადადის ფრთამალი ახალი ამბავი.

გლეხები შიშით იხედებიან იქით-აქეთ და ერთმანეთს რაღაცას ჩურჩულით უზიარებენ. მაშვრალთა ხელს მიუტოვებია გუთანი, თო-ხი და ნაჯახი და მათ მაგიერ აუღია ხმალი და სატევარი.

მდინარეებში ლპება მატყლი, დაუქმეზულა ჯარა, უმოძრაოდ ძევს წინდისჩხირი, გაკვირვებულნი ბღავიან ძროხები, ობლად და-ბორიალებენ ქათამ-ბატ-ინდაურები. გლეხები მჭიდროდ შეჯგუფე-ბულან, პირჯვარს ისახავენ, იცრემლებიან:

— ქალებო, ქალებო. თავად შადიმანისას ყველა მესეფეს უღე-ლი ადგია, ფიჩხიეთ ჩამომხმარან საბრალონი... თავადმა მზე დაუბ-ნელა ქალწულებს, მოლაშქრეებს ერთის წლით აუკრძალა დაქორ-წინება.

— სულ ტყუილია, ამით ვერავის შეაკავებს, უკვე მრავალი გაექცა.

ბრმა მოხუცი პერანგს იფხრეწს და ხალხს მოუწოდებს: მოურავ-თან გაეშურეთ, მხოლოდ იქ არის ხსნა გამხეცებულ თავად ჯავა-ხიშვილისაგან, რომელმაც თვალები დასთხარა ნეპყრობილ გლე-ხებს.

— ვაი ჩვენ, ხალხო, თავადმა ამილახვარმა ჩვენი სარგო ერთი-ორად შეამცირა, სამუშაო კი ერთი-ორად გაადიდა... ბალღები წაგ-ვართვა, თუ უფროსები გაიქცევიან, ამათ თათრის ტყვეობაში გავ-ყიდიო.

— სულ ტყუილია, ასეთი რამ ხალხს ვერ დაიჭერს, უკვე მრა-ვალი გაექცა.

— ხალხო, ხალხო ბატონიშვილმა ბაგრატმა მოხუცნი ჯურღმულ-ში ჯაჭვებით დაბა, ქალიშვილები კი მძევლებად სარდაფში ჩაჰკე-ტა: თუ ახალგაზრდობა გაიქცა, მოხუცთ დააღრჩობს, ქალიშვილებს კი ჰარამხანაში გაჰყიდის.

— ტყუილი ფიქრია, ეს ხომ ხალხს ვერ შეაკავებს, უკვე მრავა-ლი გაექცა.

— ხალხო, თავადმა ქაჩიბაძემ ყველა მოლაშქრეს შუბი წაართვა, იარაღი გადამალა; მსახურები სოფლიდან აღარავის უშვებენ, ღამე სდარაჯობენ, ძაღლებით იპერენ, თმებსა ჰკრეპენ, ქონებას ართმე-ვენ...

— უაზრო რამ განუზრახავს. მაგით ხალხს ვერ დააოკებს, უკვე მრავალი გაექცა.

მიცოცავს შრიალი, ქართლს ეფინება სხვადასხვა ხმა, ქართლს აშფოთებს მოლოდინი.

— ნუ გეშინიათ, ხალხო, სააკაძემ ღამით თვით მოაჭენა ცხენი, აღგვითქვა, ბავშვებს ვიხსნიო, აღგვითქვა...

— მიწობში მოხუც ფანუშს თავისი თვალით უნახავს...

— ღმერთს გეფიცები, მიწობში კი არა, ეგ არყივანში იყო...

— დიდ მოურავს შეუძლია ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას იყო.. მის ცხენს უხილავი ფრთები ასხია.

— ხალხო, ხალხო, ამზადეთ ისრები, ათანიაში ჩვენი მოურავი იყო, ყველა გლეხი გამოისყიდა ყაჩაღ ჩიჯავაძისაგან!

— არა მარტო გლეხები, მესეფეებიც უყვარს: ცოფიან მაღალაძეს ბევრი მესეფე წაართვა.

— მოხუცი პავლე ამბობს: თავადებს ყველაფერს წაართმევს ხალხისთვისო...

— როგორც მტრებსაო... აღიღეთ ხმალი, აღიღეთ შუბი!

— ძნელია თავადებს რაიმე წაართვა, დიდი ძალა აქვს...

— სურამმა დაგვანახვა რა ძალაც აქვთ... მოურავი მიწა-წყალს ხალხს დაურიგებს.

— მოურავი ნებას არავის მისცემს ბავშვები გაუყიდონ, ნებას არავის მისცემს ხალხი დაახრჩონ, ნოსტეს მიაშურეთ მოლაშქრეენო!..

— ხალხო და ჯაამათო, გალესეთ ხმალი, შეჰკაზმეთ ცხენი და ილტვოდე ნოსტესკენ, ნუ გეშინია, იქ მოურავს გულით უყვარს ხალხი...

და დაიძრა ნიალვარი...

უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ხალხი უკვე გაჭედილ ნოსტეში.

სააკაძე მიხვდა, სტიქიონის შეკავება მის ძალას აღემატებოდა. აუცილებლობის ორომტრიალით წარტაცებული მოურავი უდროო ქარიშხალს ეგებებოდა, მაგრამ მტკიცედ ახსოვდა: არცერთი გლეხი იმედგაცრუებული არ უნდა დაბრუნდეს უკან, თორემ დაიღუპება მრავალი წლის ნაამაგარი, დიდი ხნით ჩაიხშობა გაღვიძებული მრისხანება და კვლავ შავი მონობა დაეუფლება ქართლის მიწა-წყალსო...

და იარაღს ისხამდა სახალხო ლაშქარი...

მიზანს აშკარად არ ამხელდნენ, შემთხვევითს ცნობისმოყვარეთ, ალბათ, თავადების მოგზავნილთ, სიამოვნებით მოუთხრობდნენ მეფის დასათვალიერებლად სახალხო ლაშქრის მზადების შესახებ.

აშკარად არ ამბობდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა—ახლოვდება ბრძოლა, დიდი ხნის ნანატრი სასტიკი ბრძოლა... მოიგრაგნებიან სისხლით გაჟღენთილი ღრუბლები, ულმობლად ზუზუნებენ ისრები,

მარჯვენა მრისხანედ იქნეს ხმალს, მაგრამ ვინ დაატეხს თავს დიდებულთა კოშკებს ხალხის მრისხანებას, ვინ დაეხმარება განზრახულის შესრულებაში?

მტანჯველი სიცხადით მიხვდა საააკაძე: იგი მარტოა. ოჰ, რა შორს არიან: „ერთგული -ვეფხები“, რომელნიც ელვის უსწრაფეს ხვდებოდნენ მოურავის აზრს; მკაცრი ზურაბი, შეუდრეკელად რომ ისწრაფვის მიზნისკენ, მირმან მუხრან-ბატონი, რომელსაც ფიქრადაც არ მოსდის საქმის ნამდვილი ვითარება, რომელიც დასთანხმდა ხელი შეუწყოს შადიმანის მომხრეთა მოსპობაში; შორსმჭრეტელი ნესტან, რომელიც თვალს ადევნებს მეტეხის განწყობილებას; ხორეშანი, რომელიც ლუარსაბისთვისაა მიჩენილი... თვით გულუბრყვილო გივიც კი ომში ნაცად ათ აზნაურს გაუტოლდებოდა...

მარტოა, ერთგულ თანამოსანგრეთა დაუხმარებლად, უშიშარ მხედართა და ჭკვიან პოლიტიკოსთაგან მიტოვებული.

მხოლოდ ჩამომხმარი, თვალანთებული ერასტი და მისი ოცი მზვერავი დამთხვეულებივით დაჰქრიან სოფლიდან-სოფლად და მიაქვთ მოურავის ბრძანება: მზად იყავით, პირველ დაძახებისთანავე იარაღი აისხითო. მხოლოდ მოღუშულმა, ძილგამფრთხალმა პაპუნამ, რომელსაც ამძიმებდა მზრუნველობა, რით გამოვკვებო და რა ჩავაცვა ნახევარ ქართლსო, იცოდა რაოდენ საშინელი უფსკრული გაჩნდა მოურავის წინაშე...

პირველად ამშელთა რაზმმა ჩაიქროლა. მას მიჰყვებოდა მსუბუქ ცხენოსანთა რაზმი. ოდნავ დაშორებულნი, დინჯად იძვროდნენ შუბაღმართული ოთხკუთხედები.

ყოველწლიური აღლუმი მეტეხში იზიდავდა სამეფო და აზნაურთა ჯარს.

გზაჯვარედინები, დუქნები, ბაზარი სავსეა ჯაშუშებით. არალში მოულოდნელად იფეთქა ამბოხებამ, სადღაც გაჰქრენ ასასების ცხენები, განთიადისას კი ეკლესიის კარებთან მოკლული მღვდელი იპოვნეს...

შავჩაბალახიანი და ოთარი სწრაფად გაილალნენ ცეცხლმოდებულ არალიდან, მაგრამ მისაქციელში, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, უეცრად გაჩნდა ჯავშანში ჩამჯდარი ცხენოსანი ხევსური.

ხევსური ოთარს მიეჭრა და ჩაფხუტი აიხადა. განცვიფრებულმა ოთარმა ძლივს მოასწრო დაძახება: „კიაზო, შენა?!“ რომ ხევსურმა ხმალი მოუქნია და თავმოკვეთილი ოთარი ცხენზე დაეკიდა.

ხევსურმა სწრაფად ჩამოიფარა ჩაფხუტი, თვალი გაადევნა გაქცეულ შავჩაბალახიანს და სწრაფად მიიმალა.

აღრევა და ხანძარი სწრაფად მოედო დახშულ სოფლებს.

შეშინებული ვაჭრები მეფესა სთხოვდნენ, მღელვარე ხალხის საფრთხისაგან დაგვიფარეო.

საჩქაროდ შეიყარნენ არაჩვეულებრივ თათბირზე დიდებულნი და ლუარსაბის წინაშე გამოჩნდა ალმოდებული სახე ქართლისა: გაქცეული გლეხებით გაქედილი ნოსტე საომრად ემზადება, სააკაძე მღვდელთა მკვლელობას აქეზებს. წმინდა ეკლესიის მსახურნი სოფლებიდან გარბიან. თავხედებმა გაბედეს და ჩაფრების და ასასების ცხენებიც კი მოიპარეს, დიდებულნი უამალოდ სანადირობადაც ვერ გასულან... მალე მთელს ქართლს ამოსწყვეტენ მდაბიონი... ისინი ამხედრდნენ ბატონების წინააღმდეგ, საუკუნეებით განმტკიცებული წესწყობილების წინააღმდეგ... დიდებულნი არ აპირებენ თავიანთი სიცოცხლე და ქონება საფრთხეში ჩააგდონ. საჭიროა მტკიცე ღონისძიება... ქართლის დიდებულნი მეფის სიტყვას ელოდებიან.

— განა მეფე ვერა ხედავს? სააკაძეს ავი განუზრახავს ტახტისა და დიდებულთა ციხე-დარბაზების წინააღმდეგ.

— რას მირჩევენ დიდებულნი?

— დაუყოვნებლივ განქორწინებას, ვინაიდან ეს ქორწინება ჩირქსა სცხებს ქართლის ტახტს და პატივისცემას უკარგავს ქვეყნის თვალში.

— წარიხოცოს პირისაგან ქართლისა ავის მზრახველი მოღალატე.

— მისი სიკვდილით დამშვიდდეს სამეფო და გადარჩეს ტახტი და ციხე-დარბაზები.

— თორემ დიდებულნი თვით იღონებენ და დეე მეფე მარტო დარჩეს მდაბიოს განკარგულებაში.

ლუარსაბმა მრისხანედ და აღშფოთებით უარჰყო მოთხოვნა განქორწინებისა: სანამ მეფე ვარ, დედოფალი თეკლე იქნებაო. მაგრამ, რადგან ძლიერი ეკვი შეუვიდა სააკაძის ერთგულებაში, დიდებულთ აღუთქვა: მოურავის საქციელს გამოვიკვლევ და მაშინ თქვენთან ერთად საჭირო გზას დავადგებიო...

სააკაძე სწრაფად დაიბარეს მეტეხში.

შადიმანის რჩევით მეფემ პასუხი მოსთხოვა დიდებულთა, თანდასწრებით. სააკაძემ თვალი მოავლო მტრულად განწყობილ დიდებულთ: ჯავახიშვილს, რომელიც მხრებს იჩეჩდა, მაღალაძეს, სისხლის მსმელივით რომ ტუჩებს ილოკავდა, ამირინდოს, რომელიც გაოფთრებული ბღუჯავდა ხმლის ვადას, და თვალსისხლიან სვიმონ ბატონიშვილს.

„ყველას წინაშე ვილაპარაკო? ვთქვა, რომ აზნაურთა კავშირს სურს დიდებულთა ხელისუფლების მოსპობა? ახლავე, თუნდ ხვალ, გარშემოვერტყა მეტეხს, დავატყვევო მონობის მთესველი შადიმან, ალყა შემოვარტყა მძლავრ ფეოდალთა ციხე-კოშკებს და ვაიძულო მეფე თავს იდოს ერთხელმწიფება?—სააკაძეს გულში ჩაეცინა.—ვთქვა

ახლავე: „მეფე და ხალხი“, აქვე დავეცე აფთართა ხმლით აკეპილი და დავღუპო მთელი საქმე? არა, საიდუმლო თავის დროზე გამომჟღავნდება. ცალკე გავუმჟღავნო მეფეს? მაგრამ განა ერთხელ უკვე არა ვცადე? საფრთხეში ჩავაგდო ყოველივე?.. არა, ამასაც ვერ დავთანხმდები...“

და საკაძემ მშვიდად გაუსწორა თვალი ლუარსაბს:

— რა ომისათვის ვემზადები, მეფევ? მხოლოდ იმ ომისათვის, რომელსაც მეფე ლუარსაბი გამოაცხადებს. რატომ არ დავშალე აზნაურთა რაზმები და მუქთად ვაპმევ? უმჯობესია ჩემიანებს ვაპამო მუქთად, ვიდრე უცხოებმა შემჭამონ... დავით ალმშენებელმა პირველმა შემოიღო მუდმივი ჯარი და ბრძოლაც არასოდეს არ წაუგია. მეფის ნდობით აღჭურვილი მოურავი ვალდებულია დაიცვას ქართლი მტერთა მოულოდნელი თავდასხმისაგან... ნოსტეს ციხეს კი, რა თქმა უნდა, მეგობართაგან თავდასაცველად როდი ვამაგრებ. შენთან ხალხი გამორბისო? ჩემგან არავინ გარბის, დეე დიდებულნი ჩაუფიქრდნენ ამას.

საკაძეს კარგად ესმოდა ამ პასუხის მცირე საბუთიანობა, მაგრამ ნუგზარ ერისთავის ჯარი, მთავარი ძალა, ტფილისს წასასვლელად მხოლოდ თოთხმეტი დღის შემდეგ იქნება მზად... უნდა გავაჭიანურო, ყოველი საშუალებით უნდა გავაჭიანურო...

— გარდა ამისა, მეფევ... არის კიდევ სხვა მნიშვნელოვანი მიზეზიც. გარნა, ნება მიბოძე, ამის შესახებ ორი კვირის შემდეგ მოგახსენო... ცნობები მაქვს... საზღვარზე თურქებიც არ არიან მშვიდად... აი დიდებული ბაგრატიც გაფითრდა... არ ვურჩევ თავადის საქურველმტვირთველთ საზღვრის ახლოს ხეტიალს, არც ის არის კარგი, რომ მტერს შავი ჩაბალახები უთავაზო... ხალხი გარბისო?! ყველა ჩემთან როდი მოდის, აი თავად ამილახვრის ერთი მსახური საზღვარზე შეიპყრეს.. მგონია, ვიპოვნი მღვდლის მკვლელ ავაზაკს. ერთ მესტვირეს უნახავს, ამბობს, შავი ჩაბალახი ჰქონდა თვალებზე ჩამოფარებულიო... ნება მიბოძე, მეფევ, წარმოგიდგინო საბუთი შენდამი ჩემი ერთგულებისა...ორი კვირის შემდეგ ბევრ რამეს გაგიმხელ.

ლუარსაბმა მაგრად დაარახუნა იატაკს ბაგრატოვანთა ხმალი.

— მაგრამ მართალია თუ არა, აზნაურთა ფარული კავშირის არსებობა?

— მართალია, მეფევ, აზნაურთა კავშირმა ერთხელ უკვე გაუმჟღავნა თავისი საიდუმლოება ქართლის მეფეს სურამის ველზე... მხოლოდ აზნაურებს უნდა ვუმადლოდე, რომ ამჟამად თურქები კი არ მემტერებიან, არამედ დიდებულნი...

ამ ნართაულმა სიტყვამ ლუარსაბი წამოაწითლა. გარდა ამისა, გაიხსენა ბაგრატიც და გულში გაიცინა: ამ აფთარს ყოველთვის უნდა ვერიდებოდე...

შადიმანი, ლუარსაბს რომ აკვირდებოდა, მიხვდა, საჭიროა მდგომარეობა ვიხსნაო. მანიშნებელი თვალით გადაჰხედა ამირინდოს და „მკლე“ თავადმაც იერიში არ დააყოვნა. მას სხვებიც მიჰყვნენ: მუქარა, ლანძღვა...

— ირჩიე, მეფეო: ან ჩვენ, ან მდაბიო, რომელმაც გაჰბედა ქართლის დიდებულთა პატივისა და უფლების ხელყოფა.

აჩხარუნდა იარაღი. შორეულ კუთხეში შიშველმა ხმალმა იელვა, გიორგიმ ივარაუდა: რამდენს გავაგორებ, სანამ მომწვდებოდნენო. მაგრამ ხმალი ამოვიღო მეფის წინაშე?... ისურვებს განა ლუარსაბი ასეთი თავხედობის შემდეგ მოისმინოს ჩემი პასუხი?

შადიმანმა საჩქაროდ სთქვა:

— დიდებულნო, გთხოვთ მომისმინოთ. მოურავი ორი კვირის ვადას თხოულობს, განა უფლება გვაქვს უარი ვუთხრათ? მეტად დიდია მოურავის დამსახურება ქართლის წინაშე. იმედი მაქვს თავადი მოახერხებს ტახტის ქებულ დამცველთა დამშვიდებას.

სააკაძემ გაკვირვებით, ხოლო ლუარსაბმა მადლობით შეჰხედა შადიმანს. მეფემ საკაძეს ურჩია, დროს ნუ დაჰკარგავო, და ჯარის დათვალიერება ორი კვირის შემდეგ დანიშნა.

საკაძე ნოსტეს გაეშურა. ჭიშკარი ჯერ კიდევ არ დახურულიყო მფლობელის შესვლის შემდეგ, რომ კვლავ გაიღო და პაპუნა საჩქაროდ გაეშურა ნუგზართან, რათა გადაეცა საკაძის თხოვნა: ჯარის გაგზავნა დააჩქარე ტფილისში, სადაც გიორგი სწორედ ორი კვირის შემდეგ იქნებაო.

პაპუნას არ უყვარდა ცხენის აჩქარება, მაგრამ დავალება სისწრაფეს მოითხოვდა და ამიტომ ცხენს ქუსლი ჰკრა და გააქანა. გაახსენდა ბედნიერი დრო, როცა ჯიუტი კამეჩები ზანტად მიაბოტებდნენ მის ცხოვრებას. გაახსენდა ურმით თბილისიდან უკანასკნელი დაბრუნება. აი ხრამი, მდინარე, იქ, დიდ ლოდთან ბადრი ოჩოკოჩის ამბავს მოუთხრობდა. ბადრი... პაპუნამ წარბი შეიკრა. „მარგალიტს სისხლი უყვარს, სისხლი ადგილს ეძებს, ხოლო ადგილს მთელი დედამიწა დაუკავებია...“ და პაპუნამ მკაფიოდ შეიგნო ხვალინდელი დღის გამოუცნობლობა. გული მტკივნეულად შეეკუმშა...

მოსისხლე მტრის მოულოდნელი მხარდაჭერით გაკვირვებულმა გიორგიმ მეტისმეტი სიფრთხილით მოისაზრა აზნაურების უკან დახევა ტფილისიდან, თუ ვინიცობაა ღალატი მოხდებოდა. რაკი პირველი მარცხი ახსოვდა გიორგი X დროს, საკაძემ გადასწყვიტა არ დანდობოდა მეფეთა ცვალებად გუნებას, ამიტომ, როგორც მტრის შემოსევის მოლოდინში, მთელი ნოსტე მიწაში მარხავდა ხორბალს, ერბო-კარაქსა და მატყლს.

მწყემსებმა საქონელი შორეულ საძოვრებზე გარეკეს. ცოტა ხნის წინათ ბაზარში დამკვიდრებულმა ამქრებმა ფრთხილად შეახვიეს

სხვადასხვა ფერის ტარსიკონი, ზანდუკებში ჩააწყეს ვერცხლის ნიეთები, ურმებში ჩატვირთეს სპილენძეულობა და აქლემებს აჰკიდეს ჩითეულობა. ესოდენი სიძნელით მოწყობილი ვაჭრობა, რომელსაც უკვე კავშირი ჰქონდა გაბმული სატრანზიტო ქარავასლებთან, ახლა დროებით გადაჰქონდათ ამშას, დათო ქავთარაძისას. რეალური საფრთხე არავის სწამდა, მაგრამ არავის სურდა 'შემთხვევის ანაბრად დაეტოვებინა თავადთაგან ძლივს მოპოებული უფლება თავისუფალი ვაჭრობისა. მთელი დღის განმავლობაში ახმაურებულ ქუჩებში ქრიალებდნენ დატვირთული ურმები, ქალებსა და ბავშვებს „ეეფუხთა რაზმების“ სოფლებში ჰგზავნიდნენ. ერასტიმ თავისი ცოლი დარეჯანი და პატარა ვაჟი, ბეჟანი დაუთბეგის ოჯახში გაგზავნა. ერასტის შამას არას გზით არ სურდა წასვლა და ხალხის ქონების დასაცავად დარჩა.

გაზაფხულისაგან ამწვანებულ ბაღებში კი ვარდი იფურჩქნებოდა. სურნელებას აფრქვევდა თეთრი შროშანა და ფრინველებიც ათას ხმაზე ჭიკჭიკობდნენ...

შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულმა ლუარსაბმა თეკლეს გაუზიარა თავისი ეჭვი გიორგის უცნაური საქციელის გამო: ისე წავიდა, რომ პირადად ნახვაც კი არ ისურვაო. თეკლე მიხვდა ძმის გუნებას და მისი საქციელი სიამაყით ახსნა: არა სურდა ნათესაური უფლებით სარგებლობაო.

სამი დღის შემდეგ ლუარსაბი ინახულა შეშფოთებულმა შადიმანმა.

— ცუდი ამბებია, მეფევ, ვერაფერი სანუგეშო ცნობები მომდის დიდებულთაგან, კვლავ საბეოს მოითხოვენ...

— რა ამბებია?—წარბშეკვრით იკითხა ლუარსაბმა.

— ერთი თურქი შეუპყრიათ ჩიტის ხევში, ერანიდან გამოქცეულა, აზიზ-ფაშის საეურველთმტვირთველია... მხოლოდ იგი გადარჩენილა სასტიკ სასჯელს. ამბობს, აზიზ-ფაშა საზღვრის ახლოს ნადირობდა, სააკაძემ და მისმა ათმა აზნაურმა აზიზ-ფაშა დაატყვევეს, პირში ჩვარი ჩასჩარეს, უნაგირზე დააკრეს ისე, რომ 'მშველელის დაძახებაც კი ვერ მოასწრო. ერანის საზღვარზე ქართული ტანისამოსი ჩააცვეს და დიდ ფულად შაჰაბაზს მიჰყიდეს. მეფის სახელით მოქმედებდნენო. დიდი თავხედობაა! სირცხვილია სტამბოლის წინაშე. აზიზ-ფაშა გავლენიანი კაცი იყო.

— შესაძლებელია ეს განა! ასეთი თავხედობისათვის თავის მოკვეთა ცოტაა! მაგრამ მოვუცადოთ სააკაძის განმარტებას.

— რა თქმა უნდა, მეფევ, მაგრამ დიდებულნი გაცოფებულნი არიან, ეშიშობ შუღლი არ დაიწყოს. დიდი საშიშროება... ნუგზარი მზად არის აღსდგეს, ბაგრატი დიდი ხანია შემთხვევას ეძებს, შალვა

ქსნის ერისთავი კარგა ხანია ალმაცერად უცქერის ამირინდოს, ხალხი კი ელოდება: თავადებმა ხმალი როდის იშიშვლონო...

— ძვირფასო შადიმან, არ შეიძლება შუღლის ჩამოგდება, გთხოვ ბოლო მოუღო დავას.

— ძნელია, მეფევ, დიდებულნი შეუძლებელს მოითხოვენ... ხალხის სიძულვილით იმუქრებიან, იგი თითქოს აღშფოთებულია ქორწინებით, რომელმაც დაამცირა ღვთის ცხებულის მაღალი ღირსება...

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, შადიმან... ხალხის სიძულვილის შესახებ მხოლოდ თავადებისაგან მესმის და, უნდა გამოვტყდე, მცირე მნიშვნელობას ვაძლევ.

— დიაღ, მეფევ, გარნა სახელმწიფო საქმეები საფრთხეშია.

— შენ შეგიძლია, შადიმან, თავიდან აგვაშორო მღელვარება.

— ვფიქრობ, მეფევ, ნადირობით გავაქიანურო დრო. თავადებს სისხლი გაუნელდებათ და მშვენიერი დედოფალიც, რომლის მყუდროებისათვის მზადა ვარ სიცოცხლე გავწირო, კმაყოფილი დარჩება...

— დღესასწაულობა! რა შემთხვევის გამო? და მართალი უნდა ითქვას, შადიმან, შეშფოთებული ვარ, მხიარულობას გული არ მითქვამს.

— მეფევ, ეს არის აზრად მომივიდა... ოც მაისს ერთი წელიწადი სრულდება შენი დაქორწინებისა... რა იქნება, რომ თითქოს ქვათახევის მონასტერში სამადლობელი პარაკლისის გადახდის საბაბით შენ და დედოფალი დროებით თვალადს წახვიდეთ? მეფეს ვერავინ უძრახავს ასეთ დღეს ილოცოს და ყოველდღიურ საქმეთაგან მოისვენოს...

— შადიმან, ძვირფასო, ნუ თუ ეს შესაძლებელია? ჯარის დათვალიერება? ან გიორგის რა ვუყოთ?

— ძალიან კარგად მოეწყობა... ტფილისში საუტანელი სიცხეა, მოზღვავებული ლაშქარის გამო შესაძლებელია რაიმე ავადმყოფობის გაჩენა. ციციშვილს ვუბრძანებ კიკეთს წავიდეს და იქ ელოდოს ჯარის დათვალიერებას. გიორგი არ იწყენს, მიხვდება, რომ ახალგაზრდა მეფისა და დედოფლისათვის უფრო სასიამოვნო იქნება ქორწინების დღე გრილ თვალადში გაატარონ და არა სიცხითა და სიძულვილით გავარვარებულ ტფილისში...

— შადიმან, მარტო ორმა?... დიდებულნი?..

— ყველანი წავიდეს სასახლეში მიიწვიე. საჭირო არაა ყველას მოწვევა. ყარაიის ველზე ახლა საუკეთესო დროა ნადირობისა: დიდებულნი სისხლს დაიცხრობენ, მე კი თვალადს შენი გამგზავრების შემდეგ ვეტყვი, თითქოს ოცს ჩამოხვალ. მეფის არყოფნის საბაბს ყოველთვის ვიშოვნით. საკაძე მოასწრებს თავის გამართლებას. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად მოეწყობა და ქარიშხალი სისხლდაღვრეულად თავიდან აგვცდება.

ხრიკებსა და დავიდარაბის ქსელში გახვეული ლუარსაბი ჩაებღაუჭა ამ შესაძლებლობას თეკლესთან ერთად საყვარელ თვალადში დასასვენებლად.

სანაძ მოწვეული დიდებულნი წავკისში წავიდოდნენ შადიმანის რჩევით, თვალადს მეფის გამგზავრება ხერხეულიძესაც კი დაუმალეს. ბაკა, მეფის სურვილისამებრ, წაეკისს გაემგზავრა სამეფო ნადირობის შესამზადებლად. სასახლის მცველთა უფროსის წასვლის შემდეგ მეფემ ციციშვილი მოიწვია და უბრძანა: დაუყოვნებლივ წაიყვანე ჯარი კიკეთს და იქ ელოდე ჩემს დაბრუნებასო. ნოსტეს კი მეფის შიკრიკი გაგზავნეს და მოურავს შეუთვალეს: ოცი მაისის საზეიმო დღე წავკისში ნადირობაზე გაატარეო.

შადიმანთან საიდუმლო მოთათბირების შემდეგ დიდებულთ სიამით მიიღეს მეფის მიპატიჟება და საჩქაროდაც კი დასტოვეს ტფილისი. ციციშვილიც საჩქაროდ გაემგზავრა ჯარითურთ კიკეთს.

ღამით ლუარსაბი და თეკლე, მხოლოდ ქეშიკთა და შადიმანის რაზმის თანხლებით, თვალადს გაემგზავრნენ...

ახალგაზრდა თავადი ამირეჯიბი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა რუსუდანის სპარსულად მორთულ ოთახს ნოსტეს სასახლეში. დიდი აღფრთოვანება გამოსთქვა რუსუდანის გემოვნების გამო და თავაზიანად გადასცა მეფის დავალება.

სააკაძე ძალიან გაახარა ამირეჯიბის მიერ მოტანილმა ამბავმა. დრო მისთვის ამჟამად ძვირად ღირდა. ამასობაში კი მეგობრებიც მოვიდოდნენ. ლოცავდა ოც მაისს, საყვარელი თეკლეს ქორწინების დღეს... საჩქაროდ მოემზადა, თავის მაგიერ ქვლივიძე დასტოვა თხუთმეტი აზნაურის რაზმთა მეთაურად და თვითონ კი ერასტის თანხლებით წავკისს გაეშურა.

სიფრთხილის გამო მოურავმა ქვლივიძეს დაავალა: რაიმე ცვლილების შემთხვევაში შიკრიკს გამოვგზავნი და დაუყოვნებლივ ტფილისს მოაშურეო.

ასეთი შიკრიკი, ქვლივიძის გასაოცებლად, მეორე დღესვე მოიჭრა.

— მეფემ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება, ჯერ ჯარს დაათვალიერებს, შემდეგ კი აზნაურებს საერთო ნადირობაზე მიიწვევსო.

გახარებული აზნაურები თავიანთი რაზმებითურთ ტფილისის გზას გაუდგნენ.

იმავე დღეს ანანურის გზაზე მიაქროლებდა აზნაური ასლამაზი ისე, რომ დუქნებშიც კი არსად გაჩერებულა. ანანურიდან ნოსტეს მომავალ პაპუნას ფიქრადაც კი არ მოსვლია, რომ ის ცხენოსანი, ჯაშუში იყო, თორემ პაპუნას სატევარს შეეძლო ერთბაშად ჩაეფუშა შადიმანის მთელი გეგმა.

ანანურიც ნამდვილ სამხედრო ბანაკს ჰგავდა. მეფის მსწრაფ-მსრბოლი დიდი სიფრთხილით შეუშვეს. ნუგზარი ასლამაზს გიორ-გის ერთგულ მომხრედ სთვლიდა და კარგად გამასპინძლების შემდეგ თავის სამყოფელში მიიწვია.

— ტფილისში მღელვარებაა, მეფე და მოურავი საიდუმლოდ თათბირობდნენ და ფარულად გამომგზავნეს მთელი სასახლის სახელით, ჯარი ტფილისში დასავლეთის კარებით შევა, მამაცი ნუგზარი ჯერ ნუ წამოვა ანანურიდან, სამი-ოთხი დღის შემდეგ პაპუნა კვლავ მოვა მოურავის საიდუმლო დავალებით, მაშინ თავადმა თვით გადასწყვიტოს რა უმჯობესიაო.

შეშფოთებულმა ნუგზარმა დაუყოვნებლივ გაგზავნა ხუთი ათასი ცხენოსანი ბრძოლებში გამოცდილი აზნაურების მეთაურობით.

რაკი სურდა ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდა შადიმანის მომხრეებს, როგორც საკაძე არწმუნებდა, ნუგზარმა ორი დღის განმავლობაში მთელი არაგვის საერისთაოში შეჰკრიბა ყველა, ვისაც კი ცხენზე ჯდომა და იარაღის ხმარება შეეძლო. ანანურში მხოლოდ ღრმად მოხუცებულნი დარჩნენ. პირადი დაცვის ჯარიც კი ნუგზარმა ერთი-ორად შეამცირა.

წავკისში დიდი გამოცოცხლებაა. ხითხითებენ, ბოროტად აბრიალებენ თვალს, ბრძანებას იძლევიან და იარაღს მუქარით აჩხარუნებენ, თანაც ჩურჩულით ლაპარაკობენ და იქვნეულად აქეთ-იქით იცქირებიან.

შეშფოთება მთელ სასახლეს ედება. საჯინიბოებში — ცხენთა ჭიხვინი ისმის, ეზოში — მსახურთა ლანძღვა-გინება, საგუშაგო კოშკებში კი — ყურდაცქვეტილი ფხიზლობა მეფობს. წავკისში ცუდად მხიარულობენ, ცუდად სძინავთ, ავად ელოდებიან რაღაცას... ერთერთ კოშკში მყოფი ხერხეულიძე შადიმანის მომხრე მეხუთე თავადის რაზმების მოსვლას უცქერდა. იარაღის საეჭვო ჩხარუნი, უნაგირმოუხდელი ცხენები საჯინიბოში, დიდებულთა უცნაური ნერვულობა სრულიადაც არა ჰგავდა ყარაიის ველზე ნადირობის მშვიდობიან სამზადისს.

შადიმანის მარტოდ მოსვლამ, უმეფოდ, რომელიც ვითომ ერთის დღით წასულიყო ცხინვალს, საბოლოოდ განუმტკიცა ბაკაკას ეჭვი მმართველის საიდუმლო განზრახვისა, ხოლო „რკინის ხელის" სადგომის ჭერქვეშ დამალულმა მოლაშქრეებმა დილით საშინელი ამბავი მიუტანეს.

ბაკაკამ დაუყოვნებლივ უბრძანა ერთგულ ქეშიკს: ახლავე საკაძის შესახვედრად გაეშურეო, მაგრამ ხერხეულიძეს თავზარი დაეცა, როცა ჭიშკარი ერთბაშად გაიღო და საკაძემ მარტო ერასტის თანხლებით შემოაჭენა ცხენი.

მეჯინიბენი საჩქაროდ მიცვივდნენ და ერთობ სასწრაფოდ მოხადეს უნაგირი გაქაფულ ცხენებს.

შადიმანი გამოეგება და ზეიმოვნად მიესალმა დედოფლის ძმას. თანაც სხვათა შორის გაისხენა ლუარსაბის სურვილი, დედოფალთან ერთად ღმერთს მადლობა მინდა შევწირო ბედნიერი წლისათვის და ხვალ ნადირობის დაწყებისას მოვალო.

სააკაძეს გაუკვირდა:

— როგორ მოხდა, რომ ბრძენი შადიმანი თან არ ახლავს მეფეს?

შადიმანმა თავაზიანად დაჰხარა თავი და სააკაძემ ვერ შეამჩნია ბოროტი ღიმილი.

— მეფემ დაგვიანებისათვის იბოდიშა და მე მთხოვა წინდაწინ წამოვსულიყავ. დიდებულნი ამაყნი არიან, განსაკუთრებით ბრწყინვალე ბაგრატი. ნეტავ, როდის მოკვდება, სიმონთან საქმის დაჭერა უფრო ადვილია.

შადიმანი გიორგის არა შორდებოდა, მაგრამ ხერხეულიძემ ყალბი განგაში მოაწყო. თავადთა ყურადღება განაბნია და გიორგიმ გაიგონა სწრაფი ჩურჩული:

— შუათანა კოშკში ამოდი.

ბააკა მოუთმენლად ელოდებოდა გიორგის, ერთგული გუშაგი შესასვლელს იცავდა.

— რას ნიშნავს ეს შენი საიდუმლო მოპატიჟება? სად არის ლუარსაბი? შენ შეშფოთებული ხარ, თეკლეს ხომ არაფერი მოსვლია? სთქვი, თავადო, ახლა ავი დროა.

— გიორგი, დედოფალი კარგად არის, მაგრამ... დიდხანს ლაპარაკი უსარგებლოა... დაუყოვნებლივ გაიქეცი, ხაფანგში ხარ! ბოროტი შეთქმულებაა!.. გადაწყვეტილია შენ აქ მოგკლან, ნოსტეს ციხეში კი მალალაძეა გაგზავნილი... რუსუდანი საფრთხეშია... გაიქეცი, გიორგი, დაუყოვნებლივ გაიქეც!!

— რას ამბობ, ბააკა? ყური ხომ არ მატყუებს? შეთქმულება ჩემს წინააღმდეგ ლუარსაბის ნებართვით? შიკრიკი მოიპრა, მე მეფის ხელწერას დავუჯერე, თორემ მარტო არ მოვიდოდი... შენ იცი ყველაფერი მზადაა ლუარსაბის განსადიდებლად. მისი სკიპტრით მინდოდა საქართველო გამეერთიანებინა, ახალი გზა დამესახა... დიდებულთა დაბერებული სისხლი ხალხის ქორფა სისხლი განმეახლებია.. ბააკა, იქნებ იხუმრე?! როგორ შეეძლო ლუარსაბს დაევიწყებინა... როგორ გაჰბედა სურამის ბრძოლის დავიწყება? სად არის მეფე, თეკლე? სად არიან ისინი? შენ აბნეული ხარ! ბააკა, ნუთუ მეფემ იცის? უეჭველია, გამცა... ბააკა, რა არის ესა?.. ერთ წუთში ყველაფერი დაინთქა... მითხარ, მეგობარო, იცის თუ არა მეფემ?

— არა მგონია, ძვირფასო გიორგი.. ახლავე ნოსტეს გაიქეცი, ოჯახობითურთ ანანურს შეაფარე თავი... მეფეს თეკლე უყვარს, შენ

დას მე გავაფრთხილებ, ყველაფერი განქარდება... ახლა ლაპარაკის დრო არ არის. გაიქეცი, გიორგი, რუსუდანი საფრთხეშია!

— მაშ მართალია?! გავიქცე? იქ, საიმედო მთებს იქით, ნოსტეში მეგობრები მიმელიან. ბრძოლა იწყება ეხლოდ ულმობელი, სიკვდილივით შეუბრალებელი ბრძოლა! ახლა ჩაფხუტახდილი ვიბრძოლებ, კმარა ღიმილით მალულობია... დიდი მოურავი... ასე მეძახის ხალხი. ან მე არ ვიქნები ამ სახელწოდების ღირსი, ანდა ხალხი გაიმარჯვებს! ბაკა, გადაეცი დიდებულთ, რომ ისინი კვლავ გაიხსენებენ დიდ მოურავს. შებრალება არ იქნება, მათს სისხლში ავაცურებ მთელ ქართლს! ნოსტეში აზნაურთა ჯარია, ანანურში კი— ნუგზარი... მშვიდობით, მეგობარო, შენს ამაგს არ დავივიწყებ... თეკლეს გაუფრთხილდი...

— მოიცა, გიორგი, საიდუმლო ხვრელით გაგატარებ...

— უჩემცხენოდ?! არა!.

საკაძე სწრაფად შებრუნდა. ჩაიქროლა ქვის საფეხურები— ერთი... შვიდი... თერთმეტი... ეზო...

— ერასტი, ცხენები! ნუ შეჰკაზვავ. საფრთხეში ვართ!..

წუთი, მხოლოდ ერთი წუთი. სასწრაფოდ გაიღო ჭიშკარი. გუშაგის გადატეხილი შუბი—და ცხენზე გაკრული ორი მხედარი გზაში გაიჭრა.

შეშფოთებული გუგუნი... მათრახის ტყლაშუნი... წყევა-კრულვა...

- შადიმანი, ამირინდო და ჯავახიშვილი რაზმებითურთ დაედევნენ გაქცეულ ცხენოსნებს...

— ნოსტეში! მოვსპოთ საზიზღარნი!—გრგვინავდა შადიმანი.

საკაძემ მიიხედა და ორი ცხენი ხრამს გადაევლო.

ნეგლის მაღლობები. ცხენთა ფაფარში ქარი გახლართულა. მეფე მოღალატეა! მოსალოდნელიც იყო, არასოდეს ხალხთან ერთად არ ყოფილა... შურისძიება მეფეს, შურისძიება დიდებულთა ციხე-დარბაზებს! ერთი მოურავი მოკვდება, მეორე დაიბადება... დაღმართი... ხშირი ტყე... გელიყარის მაღლობები... ერასტი ცხენს დაჰკვდომია ზურგზე, ძლივს სუნთქავს, ხრიწინით დაისტვინა... შეუძლებელია ხალხის შეკავება!..

ციცაბო მოსახვევი, დიდგორის მაღლობნი, პირდაჩენჩხილნი კლდენი... საკაძემ ცხენს ქუსლი ჰკრა... შეუძლებელია ხალხის შეკავება, ვის შეუძლია ქარიშხლის შეკავება?! მიხვეულ-მოხვეული ბილიკები, ვიწრო საცალფეხო გზა... წითელი ყვავილები რუხ ქვებში... გოსტიშის ხეობა... და ორი მიწას გაკრული ცხენი შეიჭრა დაბურულ ტყეში და ორი ცხენსგაკრული მხედარი ხარბად ლევს სივრცეს... და კვლავ ნაცნობი დაღმართი... აღმართი... ხევი... ნოსტე...

მაგრამ რად დაცარიელებულა ქუჩები? რად დადუმებულა მოსახლეობა, რად აღარ ისმის საბრძოლო სიმღერები? სად არიან აზნაურთა ერთგული რაზმები? სად არის შურისძიებით ანთებული ახალგაზრდათა თვალი? და წუთით გაქვავდა გიორგი, როცა გაიგონა: ყალბმა შიკრიკმა ტფილისს წაიყვანა აზნაურთა ჯარიო... უეცრად აგორდა ოქროსფერი მტვერი, ბორიალით დაიცარნენ აჩრდილნი,—არა, ყველაფერი როდი დაღუპულა, არის კიდევ მტკიცე დასაყრდენი,—თვალწინ აბრჭყვიალდა ნუგზარის ხმალი... მაშ, ანანურისკენ! საჩქარო განკარგულებანი. გლეხნი დაუყოვნებლივ წავიდნენ „ვეფხთა რაზმის“ სოფლებში; ამოჰქოლეთ შალსართავი, ერბო-კარაქის ქარხანა, შეუნახავი მატყლი ფარულ სარდაფებში დამალეთ, დარჩენილი ჯოგი მთებში გარეკეთ... და ნოსტე ერთ წუთში დაცალიერდა... გადახრილი მზე ცის დასავალს მიეშურება. ციხეში საჩქარო მზადებაა წასასვლელად, საიდუმლო გვირაბთან უკვე მოუთმენლად ფრთქვინავდნენ ცხენები, პაპუნა, პაატა, ავთანდილი და პატარა ვახტანგი უკვე ჩაეშვნენ ხვრელში, ერასტიმ უკვე აჰკიდა ცხენს საგანძურის ზანდუკი, ანანურელ არჩილსა და მის ცხრამეტ ახალგაზრდა მზვერავს უკვე მზად უპირავს ხმალი. სახეგაქვავებული რუსუდანი კი ქვის კიბეზე შეყოვნდა, კვლავ განიცდის ოდესღაც განცდილ ბედნიერებას.

მკვეთრი სტვენა... ნოსტეს გალავანს გარეთ შორეული გუგუნი, ცხენთა თქარათქური, გინება, მუქარა და იარაღის ჩხარაჩხური ისმის...

საკაძემ ბრძანება გასცა... წუთი—და კვლავ დაიხურა ფარული ხვრელის კედლები.

მტკიცე რკალად შემოერტყნენ მოურავის ციხეს. დიდებულთა ხმაჩახლეჩილ ყიჟინაში მაღალაძის რაზმელები ციხის ჭიშკარს ამტვრევენ. ყვირილი, გინება, წვევა-კრულვა... ციხის შემტვრეულ ჭიშკარში პირველი შეევარდა შადიმანი...

დიდგორის მაღლობები. ცივი განთიადი რუხ ფანტელებად ჰკიდია ხეებზე. მღვრიე ლაქები მოსცურავენ კლდეებზე, ირხევა დახრილი ტოტი.

ხესმიყრდნობილი გიორგი და რუსუდანი დასცქერიან ალში გახვეულ ნოსტეს...

უკან დარჩნენ ულრანი ტყენი, ხრამნი, ციცაბო კლდენი, მოღუშული მაღლობნი. ხშირნი ჭალანი. კვლავ განთიადი. მძინარე სოფელი თელავანი... ვიწრო ბილიკი, ჩქარი სვლა, სოფელი კარსანი.

ამომავალმა მზემ გააბრწყინა დიდებული მცხეთა. მეფის მცველთა რაზმის სამოცი შუბოსანი ფხიზლად სდარაჯობს კუზიან ხიდს.

ოდესღაც ამ ხიდზე გაუვლიათ პირთეთრა ცეზართან მწყობრ ლეგიონებს, გაუქროლნიათ მარდ სარკინოზებს, გაუქენებიათ არაბთა ცხენოსნებს, გადაგორებულან მონგოლთა ურდოს ტალღები.

გარნა სააკაძემ ხიდს გვერდი აუხვია და აბობოქრებულ მტკვარს მიაშურა.

რომელ ქართველს არ უნახავს ადიდებული მტკვარი მაისის გასულს!

უნდო მორევნი ავის მომასწავებლად აქაფებულან. ცვალებად ნაპირებს გაშმაგებით ეხეთქებიან ყვითელი, შფოთიანი ტალღები, მოაქვთ ფესვიანად ამოთხრილი ხეები, დაშლილი ტივები. ჩირგვნარი, ღობეები, ქვები და შეუფერხებელი ოტებით ქლდოვანი ვიწროებიდან მღვრიე კასპიისაკენ მიექანებიან.

— რუსუდან, ხომ არ გაშინებს ადიდებული წყალი?

— მოურავის მეუღლემ შიში არ უნდა იცოდეს,—და რუსუდანმა პირველმა შეაგდო ცხენი აქაფებულ მორევში. მას მიჰყვა არჩილი ვახტანგითურთ და ერასტი, რომელსაც მაგრად ჩაეხუტებინა ახარხარებული ავთანდილი. პაპუნამ გულში ჩაიკრა პაატა და მშვიდად გადასერა აბობოქრებული მდინარე.

ნაპირს უკასკნელი გასცურდა სააკაძე.

გუშაგებს ფიქრადაც კი არ მოუვიდოდათ ეს უმაგალითო მამაცობა და ამიტომ, შუბებს დაყრდნობილნი, უდარდელად სთვლემდნენ ხიდზე.

გაქცეულები არ შემდგარან მისაქციელში, საიდანაც იწყებოდა ნუგზარ ერისთავის სამფლობელო, და პირდაპირ ანანურს გაეშურნენ.

არასოდეს ასე საჩქაროდ არ გაღებულა ანანურის ციხის ჭიშკარი.

თავზარდაცემული ხუგზარი უცქერდა რუსუდანის დახეულ კაბას, ტალახით დასვრილ ჩოხებს, გაწამებულ ცხენებსა და ძლივს წარმოსთქვა:

— სად არის არაგვის ჯარი?

მძიმე ქვებივით ეცემოდნენ სიტყვები და იხსნებოდა უფსკრული...

— ჯარი?!

გიორგი დაბარბაცდა...

შეშფოთებით განვლო ღამემ ციხეში. თვალი სჭვრეტს შორეულ სივრცეს, გულისცემა მძაფრ ქარს უერთდება. მტკივნეულად იხლართებიან გავარვარებული ფიქრები; „ნინო, ოქროს ნინო! ვერც არწივებთან ბრძოლა, ვერც სამეფო სასახლეთა ბრწყინვალება, ვერც განთქმულ მშვენიერთა სილამაზე ვერ ჩაჩრდილავენ შენს ოქროს კულულებს...“—გიორგიმ ახალოხი გაიხსნა და ქისა ამოიღო: ნაგვიანევი მთვარის ცივ შუქზე უცნაურად ალაპლაპდა ამოქარგული არწივი... „ძმაო, ჩემო დიდო ძმაო, შეხე, რა საყურეა...“ გულში უჩხვლიტა შეგნებამ: ლუარსაბი მოღალატეა,მოღალატე ვით უკანასკნელი ლაჩა-

რი!.. მეფენი არასოდეს ხალხთან არ იქნებიან. საჭიროა მომავალში მახსოვდეს ესა... უკანასკნელი იმედია მუხრან-ბატონი და ქსნის ერისთავი... მაგრამ რომ არ გამომყვნენ? რომ მიხვდნენ?.. ხელი კლდის წვეტს დაეცა... მაშინ?.. და დარიალის ქარის გრიალსა და არაგვის გააფთრებულ შხეილში გიორგის გათენებამდე ეჩვენებოდა ხმაჩახლეჩილი მუქარა, გალესილ ხმალთა ჩახუნი და ცხენთა გამალებული თქარათქური.

დილით კი სააკაძემ მდუმარედ მოუსმინა ნუგზარს.

— მირვანი ისპაჰანშია, მოხუცი მუხრან-ბატონი კი მეფის წინააღმდეგ არ წავა... მარტო ქსნის ერისთავიც არ იკისრებს ამხედრებას. უკანასკნელი შველა ერანს გაქცევაა, ერანს გაქცევა, სანამ შადიმანი ანანურს არ შემორტყმია გარს... დავბრუნდებით და ვერაგობას სამაგიეროს ვუზღავთ.

— სამაგიეროს ვუზღავთ? მაგრამ გიორგი სააკაძე მშვიდობიანად ვერ დაბრუნდება... შაჰ აბაზს გაეუმჯღავნებ თურქეთთან მოლაპარაკების ამბავს, დიდებულთ ძვირად დაუჯდებათ უკანასკნელი თამაში...

და კვლავ საჩქარო მზადება წასასვლელად, დაძაბული ლოდინი. ღამით წასული ქარავნის შემდგომ მძიმედ დაიხურა ანანურის კარები.

და კვლავ ულრანი ტყეები, არაგვის მარდი ტალღები, კვლავ აღმართი, დაბურული მწვერვალები, დაღმართი, ჭალები, და სურამის გზით, ლაჯინის გვერდის ავლით, გაქაფული ცხენები ყურყუტის ფონს მიანდგნენ...

იქ ერანის მხარეს, ბედი ულმობელ ქარტეხილებს ამზადებს. რა მოელის მოურავს? დიდება თუ სირცხვილი? ან იქნებ შაჰის მიერ აღთქმული დახმარება დიდებულთა წინააღმდეგ?.. სისხლიანი ფარდა აიხადა და გამოჩნდა ბრძოლის ახალი ასპარეზი და მართალია ის, ვინც გაიმარჯვებს... მაგრამ რა ფასად?.. და განა მოურავისთვის ამას მნიშვნელობა აქვს?.. განა იძულებითი უკანდახევა გიორგი სააკაძეს შეაყენებს? არა, ბრძოლა გააფთრებული და საბოლოო, სრულ გამარჯვებამდე.

უკანასკნელი გადასასვლელი...

და იქ, სადაც სააკაძე ქართლის საზღვარს ამაგრებდა, სადაც ააგო ახალი აღჩა-ყალა, მეფის საგუშაგოს ერთგული მცველის კოლოტაურის ხმალი ცდილობდა გზა გადაეღობა მისთვის. განრისხებულმა სააკაძემ ხმალი იშიშვლა. თავხედის გაგდებინებული ხმალი შორს დაეცა. ცხენზე ჩამოგდებული კოლოტაური მომაკვდინებელ დაკვრას ელოდება, გარნა გიორგიმ ხმალი აღმართა, ტარამდე ჩაასო ქართულ მიწაში და გადასტეხა.

— ასე გასტეხს გიორგი სააკაძის ხმალი ქართველ დიდებულთა უკანასკნელ საგვარეულოს.

უკანასკნელი გადასასვლელი...

აღჩა-ყალის ჭიშკარი გაიღო, გამოცვივდნენ სარბაზები და ორ რიგად დაეწყვნენ. გიორგის შემოეგება იუზბაშებითა და ონბაშებით გარშემოხვეული ციხისთავი.

გაუტეხელი დუმილით გაუსწორეს თვალი ერთმანეთს მოურავმა და ხანმა...

ხანის უკან გიორგიმ შენიშნა ქერიმის საშინელებით აღსავსე თვალი.

ალი-ბაინდურმა გულზე ხელი მიიდო და თავაზიანად მიესალმა:

— ერანის კარი ფართოდ არის ღია დიდი მოურავისათვის...

მეორე ნაწილის დასასრული

Анна Антоновская
ВЕЛИКИЙ
МОУРАВИ
книга I
часть II
(на грузинском языке)
Изд-во „Федерация"
19 Тбилиси 41
* *
რედაქტორი: გ. ჭიკოძე
ხელმოწ. დასაბეჭდად 14-IV 1941 წ.
ტირაჟი 4000 წიგნის ზომა 6 x 10,5
საავტორო ფორმათა რაოდენობა 15,3
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 17
შეკვეთის № 8509 УЕ 18349
* *
გამ. „ფედერაციის"-ს სტამბა, თბილისი, პუშკინის, 181

ფასი ჯდით — 13 მ.